

# Կարկաս

+8

1987



ვაჟა-ფშაველას - 125

# სესეი

361

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

8

აგვისტო

1987

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუენალი

---

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# ბ ი ნ ა ა რ ს ი

## კოეზია და კროჯა

3. ჯანსუღ ჩარკვიანი — იტალიური რეპული. ლექსები
6. ეშვარ კვიციანი — ლექსები
10. თენგიზ ჩალაუჩი — ...და არ იყო ჩვენს შორის ზმირი, რომანი. გაგრძელება.
35. დავით მხედველი — ლექსები
39. მამუკა სულაშვილი — მადიას სიუჟეტი
45. შალვა საბაშვილი — ლექსები
46. გოდერძი ჩოხელი — მბელი. რომანი. დასაწყისი
71. დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები
72. აშირან ქალაქი — ლექსები

## დრამატურგია

74. თამაზ ბაქალა — ძველი რეალი. პიესა

## ახალი თარგმანები

92. გიორგი გუგული — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა გივი ბერიაძე
94. ბენ-გოვა — უმნიშვნელო შეცდომა. თარგმნა თამაზ ბერიძემ

## დიდი ოქტომბერი — 70

99. გურამ გვარდუთელი — ზმირი და დრო. გაგრძელება

## ვაჟა ფშაველა — 125

114. ვაჟა ხოჩნაული — „ღმერთო, საშრობლო მიცოცხლე...“
117. შუია უნაბელია — მარტოკაცის ტრაგედია

## გერონტი ძიმოძე — 100

128. შალვა ხიდაშელი — გერონტი ძიმოძის ბახსენება

## გარდაქმნა დროის მოთხოვნა

133. ჯარჯი ფხოველი — გუშინ და დღეს

## დიალოგი

138. თამაზ ბიბილაძე, როსტომ ჩხიძე — ვიღრა ამოდის შუა

## ახალგაზრდა მეცნიერი „ცინკარში“

151. ელენე ჯავახიძე — სიზმლოიზმის შესწავლის ისტორიისათვის

160. ძ რ ი ნ ი კ ა

## შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილი

სარედაქციო კოლეგია:  
გივი ალხაიციანი  
მოდო გეგეჭორი  
(შთავარი რედაქტორის  
შოაფგილე)

გურამ გვარდუთელი  
გივი გვარდუთელი  
გიორგი გუგული  
თეიმურაზ დონაშვილი  
მერაბ ელიოზიანი  
შაველა ქახიძე  
შოთა ნიშნაიანი  
გურამ უნაბელია  
მორის ფოცხვიანი  
ალექსანდრე შარაშია  
ნუზარ შატაიანი

ავთანდილ  
ჩხიკვიანი  
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე  
გიორგი წარბაქიანი  
ტარიელ ჯანაშიანი  
ბადრი შოთაშვილი  
შაქა ჯონაძე



# ჯანსუღ ჩარკვიანი

## იტალიური სვეული

### სანტა მარია...

შენ ცეკვავ,  
შენი ფეხის მტვერს მივსდევ,  
ათასი თვალი  
გიბრწყინავს გულზე,  
შენ მაჩერატას  
მოკგავხარ ცისფერს  
და შენს ფორთოხლებს  
დარცხვენით ვუმზერ.

იმ ერთი გავლით  
და ერთი წამით  
ვარ ნაწვიმარი  
და ნამეწყრალი.

სანტა მარია,  
რეკავენ ზარებს —  
რაც მზის სხივით  
გულთან მესობა,  
სანტა მარია,  
შენ დამაზმანე  
თეთრი სხეულის  
უნაზესობა.

შენ ცეკვავ,  
შენი ლამაზი ტანი  
ირხევა ქარში  
როგორც ლერწამი,

### სანმარინოს სურდა

რევაზ თაბუკაშვილს

გადავეცლეთ შორით ალბებს —  
დინოზავრთა სახლებს,  
მიყვებოდნენ თურმე ზღაპრებს —  
მე ნამდვილი ვნახე.

ანგელოსი მილიონი  
თავს გევლება თითქო.

ციხე-კოშკთა ამოწვდილი  
მილიონთა დროშა,  
ღმერთებისგან დალოცვილი  
ტაძრის თავზე მოჩანს.

სამხრეთული მზე გვიღიმის  
როსანოს და მირტოს,  
ლამის ტოტი ზეთის ხილის  
სულში გაიკვირტოს.

მილანი და ბიბიონე,  
სანმარინოს სითბო,

ვენეცია — სამოთხეში  
გასასვლელი ხიდი,  
შვიდი ციდან ცისფერ ფრთებს შლის,  
ანგელოსი შეგეძინა.

სანტა მარია  
ხატ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა



შეიდი ფერი, შეიდი ბუკი,  
სალამური შეიდი,  
თუმც ყველა გზა რომში მიდის,  
ღარიბის და მდიდრის...

ჩვენ ზღვაში ვყრით ვერცხლს  
ხურდებს,  
სანმარინოს ხურდებს,  
მაგრამ კაცი თავის ბუღეს  
უნდა დაუბრუნდეს.

**პომპეი**

ეს ქალაქი პომპეია,  
ეს ქალაქი მკვდარი არის,  
სულს რომ სევდად მოჰყენია  
ეს სევანური ზარი არის.

აქ რომ ახლა დუმულია  
სიცოცხლეზე უხნესია,  
აქ სიკვდილის სურვილია,  
აქ სუყველა უხეშია.

არც ლეგენდა, არც მითები,  
ერთადერთი — გაოცება,  
უცებ, ჩემთვის ჩავფიქრდები,  
უცებ, ჩემთვის წამომცდება.

ნუთუ ასე დაიწყება,  
ნუთუ ასე გათავდება?

**ანზორ ერქომაიშვილს**

ღმერთო, ნუთუ დავიწყება  
მღერის ასე გადამდება?

ნუთუ ასე განწირულა  
რაც მარადის მიგაჩნია?  
მაშინ, გმირზე რაც კი თქმულა  
ყველაფერი სილაჩრეა.

ცეკვავე, მღერი, მღერი, ცეკვავე,  
მღერი „კუჩხბედინერის“,  
მაგრამ ზეცით ზარი რეკავს, —  
იქნებ ჩვენც ის ბედი გველის?

ამ ცხოვრების ვუმზერ წამზომს,  
ვუმზერ ვნების თაკარებას,  
გაუმარჯოს, ძმაო ანზორ,  
სიმღერაში გაქვავენას.

**წახილი**

მინდოდა შენთვის მესმინა,  
სიცილით ბალებს ჰქარგავდი,  
როსანოს ჰგავდა მესინა,  
მაგრამ შენ არვის არ ჰგავდი.

ღიახ, შენ არვის არ ჰგავდი,  
არ ჰგავდი ქვეყნის სიჭრელეს.

მივხვდი რომ უცებ გაარგავდი  
და წასვლით გული ვიჭერე.

გული ვიჭერე, წავედი,  
მკერდი მკერდს ვერ დაგატოლე,  
მანდ ჩემი ლექსის ბუჭარედი  
ტერასებივით დავტოვე.

**სიხარული სასტუმროში**

უმშვენიერეს ვარ სასტუმროში,  
ვწევარ გულაღმა და ველი ხვალეს,  
გახვეულია სულ მთლად სუროში  
ჩემი სასტუმროს ოთხივე მხარე.

არის რალაცა, რასაც ვერ მოშლი,  
ჭერზე სისველეს მოვკარი თვალი,  
თურმე არ მხოლოდ საქართველოში,  
იტალიაშიც ჩამოდის წყალი.

რაის ომი, თუ კაცი ხარ,  
ომი არა, ის არ გინდა?!  
როცა ეტნა იხედება  
კატანიის ცის სარკიდან.

თუ კაცი ხარ, რაის ომი,  
მალლა ღმერთი, დაბლა ღმერთი,  
აქ ერთს მართლა გავისროდი  
და სიმშვიდეს დავარღვევდი.

### რომი

იქნებ ყველაფერს  
ალიბი ერქვა,  
შენ სამჯერ ნახე  
ქალაქი რომი,  
ალიგიერთან,  
ალიგიერთან —  
შენ ითამაშე  
პოეტის როლი.

ქვეყანა თითქოს  
გომზერდა წყრომით,  
ვერ ჩამოაგდე  
ვერაფრით ზავი,

შენ სამჯერ ნახე  
ქალაქი რომი,  
სამჯერ შეგეძლო  
მოგეკლა თავი.

მიდიხარ,  
შურით უმზერ იმ თიხას,  
რომელსაც მოზელს  
სხვა ღმერთის ხელი...  
ამ სამოთხიდან  
თბილისს მიდიხარ  
და უსაშველოდ  
ხარ ბედნიერი.

რომი. 1986 წ. აგვისტო

წელიწადი

წელიწადი ჭირდება  
ტოტს, დახუნძლულ ღეროს, —  
ხილით ნაირნაირით  
თვალი გააშტეროს.

ცაა — იტყვი, სადაფი  
შეაყარეს თაღსო;  
მე ამ ტოტის სითეთრე,  
აყვავებაც მახსოვს.

ბუსუსდაყრილს, დაყურსულს —  
რომ უყურებ ატამს,  
ისე გაიპარება,  
თვალსაც ვერ მოატან.

ლოყაწითელს, დაკენკილს  
შეურჩიე შენ დრო,  
თორემ თავჩაქინდრული  
წყლად იქცევა ხენდრო.

არ დაგისხლოს ეკალმა  
იმ ძირგასახმობმა;  
ჩაშაგებულ მაყვალზე  
ობმა იცის მობმა.

ტბიდან ამოქანებულ  
შროშანას თუ ლოტოსს  
სილამაზის მძებნელი  
უნდა დაელოდოს.

წელიწადი მოუნდა  
სურათს — ძროხა ხბოთი...  
წელიწადი გიცადეს,  
ვიდრე გაჩნდებოდი.

დაჭორფლილი კვერცხები  
ბუდეში რომ ჩადოს,  
წელიწადი ეძლევა  
შაშვს, ბუნების ჯადოს...

წელი უნდა, ბროწეულმა  
თავი რომ ჩაკიდოს,

ამდენივე — (ასამღვრევად)  
ჩქაწითელს და თითას.

ჩემს წაწყმედილ სულს და  
ჩემს აწყვეტილ წადილს,  
ძირზე მორგვალეზული  
უნდა წელიწადი.

მზე უხდება გარგარის  
და გულაბის კრეფას;  
ზაფხულს ითხოვს ჩიტლეღვაც,  
ბაგე რომ გაეპოს.

ჩელტზე გაიფინება  
ჩირი ასაკინძი...  
მზე ბრიალებს, მამრუებს  
ომბალო და ქინძი...

ლაფში ჩემი ურემი  
მალე ჩაეფლობა;  
ვითვლი, კიდევ რამდენი  
დამრჩენია ბლობა.

კაკალს ვხედავ ხონჩაზე,  
კვანს, სიმინდის ტაროს...  
წლების ლხინი ერთმა დღემ  
როგორ ჩამამწაროს.

წესი არი — უკანა  
უნდა მიყვეს წინას...  
მე ზამთარი მჭირდება —  
დამკლას, მიმძინოს.

მატლი ხოხავს, ობობა  
მაცდურ ბადეს ართავს...  
ჯერ არავის შეგვედრივარ  
მიწასავით მართალს.

თავად დაედარება  
ღრუბლის ქულას მჩატეს,  
ვინც სურვილებს, მთელ ცხოვრებას —  
წელიწადში ჩატევეს.



დღეს დავინახე ქუჩაში —  
შემკრთალი, ფერნაცვალი,  
ერთ დროს ნიავი ფეხმარდი,  
ახლა — ნატანჯი ქალი.

სათვლიანმა, წახრილმა,  
ლანდივით ჩაიარა,  
რა დარდი გამომაყოლა,  
დატოვა რა იარა.

მახსოვს „ცისკარში“ მოსული  
თვალელებმცინმა გოგო...  
ვთქვამენ, წყაროვ გამქრალო,  
ყელამომშრალო დოქო,  
ლამის კენჭებად დატეხილ  
მარილზე დავიჩოქო.

მუჭა თოვლივით დამდნარა  
ოცნება ქვეყნის ტოლა;

იმ ოცმა წელმა წამივით  
წამილო, ჩაიქროლა.

შეგვხდე, სუნთქვა შემეკრა  
და გული გამელია, —  
სველ დაღმართს მიუყვებოდა  
ის, ქალი-კამელია,  
დაფურცლული და დამკნარ  
(რა მოსაშხამელია).

რომელ კოცონზე დაიწვა  
სიცოცხლე მისი წილი,  
ხელში საფულე ეჭირა  
და ქოლგა დაკეცილი.

აღარც ის თეთრი ღიმილი,  
აღარც ის სიხალისე...  
თვალზე მომდგარი ცრემლისას  
ვერვის ვეტყოდი მიზეზს,  
შეგვხდე, გული მომიკვდა —  
ჩემთვის, უბრალოდ, ისე...

### მონახულება

ცივ, გაკრიალებულ სამარის ფილაზე  
წყვილი კვიპაროსი ტოკავს, ილანდება...  
ქვაში ჩარჩენილა, ამ შუალამემდე  
როგორ მოატანა შუქმა დილანდელმა.

აქვე ჩანს; — ცაზე ოქრო სხივნაჭედი,  
ვარსკვლავთა დაწყვეტილი ძეწკვია;

აქვეა თვითონაც, ჩვენი მზე ჩამქრალი,  
ამ ლოდქვეშ გული მოწეწკვია.

ის ჩვენზე მარტოა, ათასჯერ საბრალო.  
ძელზე, გაყინულზე ვზვიავთ მაშა-  
შვილი.

ქანაობს, გვითრევს ღამის ცა — ოკეანე,  
არავინ — მომკითხავი, მაშველი.

გაჩენა ანუ დაბადება —  
წვალეების, ტანჯვის დაბედება;  
აყალყულ ლანდებით დაფთება,  
თითები — ქცეული აბედებად.

თვალს ვერ შეაწრებ, ისე სწრაფად  
ცვივა ნაცარი, ნაფოტები...  
გადაგაფარებს ღამე ნაბადს,  
აბდება ძილში ნაბოდები.

ხომ აათავე ბაწრის კიბე...  
ხომ შენი ფეხით მოიარე,  
ხომ მოისთველე, ჩამოკრიფე, —  
ბალი კეთილად მსხმოიარე.

ნეტა რას ფიქრობს იგი, ვინაც  
დათვლილი წლები გიწილადა,  
გატარა, მერე ჩაგაწვინა...  
აღბათ, არ ყოფნი სიცილადაც.



იტყვი: გამწელებს, გამომწელებს,  
 თვალწინ ჩემივე შთამომავლის,  
 გადამხობილი წითელ ღელეს,  
 ჩემსავე სისხლში ამომავლებს...-

დამცადა ბედმა, მერე დამცა —  
 წყვდიადში თვალთა დამცეცები...

ჩამოეკიდა ცრემლი წამწამს,  
 დამცვივდა ვერცხლის ნამცეცები.

ისმენ საათის ძვერას, ტიკტიკს...  
 რა გჭირს, რა სნება დაგმართია:  
 გადაწვენენ წლები, შეურიგდი,  
 წინ — ხრამია და დაღმართია.

**იყოს...**

კლდის დახეთქილ კედელზე  
 გულის შეხეთქება,  
 თქმული სულმოუთქმელად...  
 იყოს ჩემი ქება.

ნაძვის წვერო, პირველი  
 თოვლით შეფიფქული

(ხეობაში არაგვის),  
 იყოს ჩემი გული.

ცეცხლმა დამწვას თაკარამ,  
 შავმა ზღვამ გამრიყოს,  
 ოღონდ მზის ქვეშ პატარა  
 საქართველო იყოს.



გახსენდება (ოქროს სხივმა  
 წამოგადო ზე),  
 ბიჭობიდან ფანჯარაში  
 შემოსული მზე...

შავ ჯარგვალში გბანს მამიდა  
 და გიმშრალებს ტანს...

იმ ღრიჭოდან, რასაც ხედავ,  
 სიყვარულად ჩანს.

ახლაც დაბნეული უმზერ  
 სხივებს ალმაცერს,  
 ვერც მიხვდები, ზღაპარს შენსას,  
 ვისი ხელი წერს.



ბზე შობის ნაძვად ჩავთვალე,  
 ბზას გამჯობინე ჩალა;  
 ვერ მოვინელებ შეშლილი,  
 რაც შენთან შემეშალა.

სად იყო თქვენი გუმანი,  
 ნადირ-ფრინველნო, მხეცნო,

ცის ნამი გამომეცხადა,  
 მე საწყალს, უნდა მეცნო.

ერთხელაც მომლანდებოდი,  
 გამახარებდა სხვა რა...  
 შენი სიცილი ბალახში  
 წყალივით ჩაიღვარა.

**განაჩენი**

იმდენ ჭირს და განსაცდელს  
 მიგზავნიდა ზენა, —  
 შეუძლებელი იყო  
 ჩემი გადარჩენა.

მუხლი ვერ მოვიყარე  
 სალოცავად შენდა,  
 შენთან ყოფნას, სიცოცხლევ,  
 მე უინ შემარჩენდა.

როგორ მამატიებდა  
მიწა ამდენ ტანტალს;  
მატყუებდა, ვატყობდი —  
ბოლოს დამიტანდა.

თავი, ბოლო მიხურდა  
ამონაშთულ ბეჭთა, —  
სხვათა საცოდაობა  
სულს მამრობდა, მგლეჯდა.

გადავლილი ზერხემალზე  
რკინის შალაშინი...  
განწირული განძი ჩემი —  
ვაქრა თვალის ჩინი.

მუქში თვალაუხეღელს  
მედო განაჩენი,  
თვითონ ღმურთივ. არ იყო  
ჩემი გადაამრჩენი.

### უთქვამთ...

პოეტის შეყვარება  
წყალში გადაყრილია;  
ტანი მისი უფსკრულის  
თავზე გადახრილია.

უთქვამთ, ეს იგივეა —  
ელვას ხელი ჩაჭიდო

ანდა დანა გეჭიროს  
გადაჭრილი მაჯითო.

მხარი ვერ შეაშველო,  
არც შველის შეყვირება;  
უნუგეშო საქმეა  
პოეტის შეყვარება.

### დანანება

დღემ მოიმატა და შენთვის — არა,  
ახალი მთვარეა, შენთვის — არა,  
ბეტონის ყორე. წელი გადის,  
რაც შავი მიწა დაგეყარა.

მტვერი ვყოფილვართ ასახვეტი,  
ვინ გითხრა, ცოდვის ზღვაში შედი...

გულო, რას აღარ გაუძელი,  
გასაძლებია ასჯერ მეტი.

ვეხლები ბორბტს: გეყო, კმარა...  
გზა ვისმა ხელმა გაგხარა —  
თექვსმეტი წლისა მზეს მოშორდი,  
რა იქნებოდა გაგეხარა...

დღე იწურება და მზე მარჯნის,  
რა უნდა მოკვდავს, ნეტა რა რჯის...  
ვინ მისცა ძალა მჭლე მარჯვენას  
ვეშაპს გულში ნაკრავ ბარჯის.

გრანიტის კედლებს თავნაცემი,  
ვცდი მიზანს ჩემსას, ასჯერ ნაცადს  
და იწერება წიგნი ჩემი  
აუწერელი ტანჯვის ფასად.

## თენგიზ ჩალაუერი

# ...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

რომანი

მაღალირსმა მღვდელმა ალექსი ბონდარენკომ, რომელსაც ეს სასულიერო წოდება, უდავოდ, დამსახურების მიხედვით ჰქონდა მინიჭებული, მარისკა და ცხვირმოუხოცავი ბიჭი, უფარაჯო ჯარისკაცის დანაბარების მიხედვით, მაღალ ხაროში შესხა, „თუ ფეხს მოიცვლით, შეგარისხავთ“, დაემუქრა და თავად ჩამოშლილი ანაფორის კალთების ფრიალით ეშმაკეულის სამყოფელისაკენ გამოემართა.

...ისინიც ხომ ღვთის შვილნი არიან. — ფიქრობდა გერმანელებზე, — ერთ დროს მორწმუნენი, კეთილნი და ჯვარზედ მლოცველნი, მაგრამ სატანამ მისაკუთრა მათი გული და გონება, აცდუნა, და არა უწყიან, უბედურთა, რასა სჩადიან“.

ასე ასპარეზისაკენ მისწრაფებული მოქიდავესავით ხელების ქნევითა და მოგრძო ნაბიჯით გამოუყვა გვირაბს, იმ შეგნებითა და განზრახვით, შავ სამოსელში გამოხვეული ცოდვილი სხეული იქ მიეტანა, სადაც სულიერი მოძღვრის ნათელი მრწამსი ავალდებულებდა, მაგრამ ჯვარივით ხელებგაშლილი მეხსიერება ზუსტად იმ ადგილზე გადაეღობა, „აქეთ ლაზარეთია, იქით კი ბავშვთა ბავაო“, წმინდა მამა აღარც შეუყოვნებულა, მუხლებამდე

მყარლსა და აქოთოებულ მდინარეში ჩაფლულმა მარჯვნივ უგანა და ბერთა სალოცავის მაგვარ, ქვის გრძელ საკანში შეაბიჯა.

საკნის სამთავე მხარეს უპატრონოდ მიტოვებული ჩვილები იწვნენ და გულისმომწყველად გაჰკიოდნენ, ერთი თვალგადავლებითაც მიხვდა ალექსი ბონდარენკო, რომ თორმეტნი იყვნენ; გამურულ, ჭუჭყიან ხელებს მაღლა, იქნებ ზეცისკენ იშვერდნენ და საშიშროების ალლოაღებულნი ხელფეხს მოუთმენლად ასხმარტალბდნენ. მეცამეტე, შედარებით სუფთა სახევეში გამოკრული, მაგიდაზე დაესვენებინათ, ჭურვის ცარიელი პატრონისაგან გაკეთებული ჭრაქის ქვეშ, პატრუქიდან ჩამომავალი ჭვარტლი პირისახეზე ჭორფლივით ეყრებოდა და ეფინებოდა, ერთადერთი ის არ ღნაოდა, თითქოს წინასწარვე შეგუებოდა გარდაუვალ ბედისწერასა და იღბალს.

აჩქარებითა და სულსწრაფად გადასახა პირჯვარი მაღალირსმა ალექსიმ, „ღმერთო, შენ მიშველო“, დაურთო და იატაკზე შემოცოცებულ სატანისეულ ამონავგრემში ფრთხილად და დაკვირვებულად შედგა ფეხი, რადგან გუშანით იგრძნო, რომ მისი აბუქება პატარებს კარგს არაფერს უქადდა.

პირველსავე ამოსვლაზე ოღბი უმწეო ჩვილი დაიიღლიავა, და ბაზრიდან

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 6, 7.

ნავაჭრით დაბრუნებული გლეხის ქალი-  
ვით დატვირთულმა „ოსანას“ ვალო-  
ბით, მარისკასა და დედადაკარგული ბი-  
ჭის სამყოფელისაკენ გასწია.

მღვდელმა სამი გზობა გააკეთა და  
თორმეტი ჩვილი გაიყვანა სამშვიდო-  
ბოს, ხაროში წყალდიდობას გამორი-  
ღებული კატის კნუტებივით დააწყო და  
მეთვალყურედ მარისკა მიუჩინა. ბო-  
ლო ოთხეული რომ მოჰყავდა, სასიკვ-  
დილო ღრუბელი უკვე ცხვირამდის  
სწვდებოდა და ყოველ ამოხველებას  
სისხლის კოლტებს აყოლებდა, თუმცა  
არც პატარებს ადგათ უკეთესი დღე,  
ნემსგადაყლაპულებივით ხაოდნენ და  
ბეირდებოდნენ.

„მეცამეტის გამოყვანა, ვიცი, სიცოც-  
ხლედ დამიჯდება, ამიტომაც შეწევნას  
შენგან ველი, მაცხოვარო!“ — ისე მი-  
მართა, თითქოს, იესო მართლაც გვერ-  
დით ჰყოლოდა დამხმარედ და თანა-  
მოზიარედ ამომდგარი.

ჯარისკაცები და ოფიცრები, ვინც სი-  
კვდილის მორევში ხალხს მიეშველა და  
აირწინალები ქალებს დაუთმო, ახლა  
კრუნჩხვით გადაგრულები, ხრილითა და  
სისხლის ღებინებით ერთიმეორეს მი-  
ყოლებით ილექებოდნენ მოწამულსა  
და ტბად ქცეულ ქვაბურის ფსკერზე.  
ყბებმომუწული ხანინი, დაჰმული  
ტუჩებიდან რომ სისხლი სდიოდა, თვა-  
ლნათლივ ხედავდა ამას და, თუმცა თა-  
ვიდანვე გარნიზონის არც ერთ წევრ-  
ში ეშვი არ ეპარებოდა, მაინც ჰკვი-  
რობდა, ეს რა საოცარი რწმენა და სა-  
ყოველთაო თავგანწირვის უნარი გვექო-  
ნიაო, თუმცა ისიც შენიშნა, რომ სამ-  
ხედროთა ერთმა ნაწილმა, ადგილობ-  
რივ მაცხოვრებლებმა ერთად, ლაბი-  
რინთის გასასვლელს ფაცხაფუტხით მი-  
აშურა და თავს უშველა. თუმცა ათ  
მეომარში მხოლოდ ერთი მხდალი მსო-  
ფლიოს საუკეთესო არმიისათვისაც კი  
საუცხოო მაჩვენებელი იქნებოდა, მაგ-  
რამ ხანინს ყველაზე მეტად იმან დას-  
წყვიტა გული, რომ მათ შორის ოფი-  
ცერთა ოცეულიც შენიშნა, თავში მო-  
ქცეული „დოდორიალა“ ხარიტონიჩი,

მათი კი თავიდანვე, პირველი დღიდანვე  
ურყევად სწამდა და სჯეროდა.

კატაკომებების ამოსასვლელის ყელთან  
ავტომატომარჯვებული ესესელები გა-  
მწყრივებულიყვნენ და იმ ხალხს, ვინც  
წამებით სიკვდილს ტყვედ დანებება არ-  
ჩია, ბუჯლუგუნებისა და პანდურის  
კვრით შორიასლო მდგარი სატვირთო  
მანქანებისაკენ საქონელივით ერეკებო-  
დნენ.

ღურბინდმომარჯვებული ვალტერ გე-  
ინეციუსი კი ეკლესიის სამრეკლოზე იდ-  
გა და ტყვეთა რაოდენობას გულმოდ-  
გინედ თვილიდა, თან ღიმორეული ხმა-  
მალლა ბუტბუტებდა და ყოველ ახლად  
გამოჩინილს თავისებურად ესიყვარუ-  
ლებოდა: „შენ, ფეხმოდრეცილო ბებრუ-  
ხანავ, მხოლოდ ჩამოგახრჩობ, რადგან  
სხვა მხრივ, გამოუსადეგარი ხარ, —  
ქირქილებდა, — შენ კი, გათქვირული  
ქალბატონო, დიდ პატივს დაგდებ და  
ოფიცერთა საროსკიპოში გაგამწყსებ,  
ამ ბიჭუნას, დედა რომ დაფეთებული  
შოარბენინებს, გავათავისფლებ, რად-  
გან ნათლად ჩანს, ჩემი ნობათი გემრი-  
ელად ჩაუსუნთქავს და დაუხმარებლა-  
დაც მშვენიერად გაიგულებს, ო, აი  
ეს კი საუცხოო ეგზემპლარია, თავად-  
ვე გამომადგება“, — გაიფიქრა წელ-  
ზემთო გაშიშვლებული გიგანტის დანახ-  
ვაზე, რომლსაც მთელი სხეული ისე-  
თი შინაარსიანი სვირინგით ჰქონდა მო-  
ხატული, რომ ცოცხლად ტყავის გაძ-  
რობა არ ასცდებოდა, რადგან ბერლი-  
ნიდან მეუღლის მიერ მოწერილი წე-  
რილის ქნობით, ახლა იქ საყოველთაო  
მოდად ქცეულიყო ადამიანის მოსვი-  
რინგებული ტყავისაგან გაკეთებული  
თალფაქები. მაგრამ შტურმბანფიურე-  
რის განზრახვას თურმე განხორციელება  
არ ეწერა, რადგან ის გრძელუღვაშა ისე  
თავხედურად მოიქცა, რომ ვალტერ  
გეინეციუსმა გაოცებისაგან რამდენი-  
მე ნაბიჯიც კი წარსდგა წინ და კინაღამ  
სამრეკლოდან თავდაყირა გადმოეშვა.  
სამზეოზე ამობობლებისთანავე, მო-  
წაფის სახატავი რვეულივით ტანაჭრე-  
ლებულმა გოლიათმა პირველივე ორ

ესეგელს კისერში ხელები დასტაცა, თავებით ერთიმეორეს შეახეთქა, ააოგნა, მერე წინ აიფარა და უკუსვლით კვლავ გვირახის ყელში გაუჩინარდა.

იმ შლეგიანის გაქრობისთანავე კატაკომბებიდან მასზე არანაკლებ გადარეულების ოცეული ამოცვივდა და, იძის ნაცვლად, რომ იარაღი გამარჯვებულთა ფეხქვეშ დაეყარათ და ხელები მორჩილად მაღლა შეემართათ, ერთობლივი ბათქაბუთქი ატეხეს, რალა თქმა უნდა, მოალყეებს ეს ყოველივეც გათვალისწინებული ჰქონდათ და ათეული ტყვიამფრქვევიც გამზადებული და იმ ადგილს მიმზნებულო, მაგრამ ამ უაზრო თავგანწირვამ რამდენიმე ესესელი მაინც იმსხვერპლა და ერთმა ტყვიამ გაზის მანქანაში საქმეს მინდობილ და გულარხეინად მომუშავე ჰანს ფისნერსაც უწია, თუმცა მხოლოდ ყურის ბიბილო წააგლიჯა.

ამ დროს მაღალირსი ალექსი ბონდარენკო, რომელსაც უკვე კრუნჩხვები დასწყებოდა, მეცამეტე ბავშვის გადასარჩენად წალასლასდა.

გარნიზონის უფროსი კი წყალწალეზულთა მაველივით ყვინთავდა შხამითა და სამსალით პირთამდე ამოვსებულ ქებაურში და ყოველ ცდაზე თითო გონდაკარგული ამოჰყავდა, ნაპირისაკენ მიათრევდა და იქ მომლოდინე თანამებრძოლებს აბარებდა, ამ ხნის განმავლობაში ხანინმა სამად სამი ფრაზა თქვა: პირველად „საბავშვო ბაგას მიხედეთო“, მეორედ „პოსპიტალსო“, შემდეგ კი „რადისტ ბეგლოვსკის დამიძახეთო“, ყველას, ვისაც რაიმეს განსჯა და განსაზღვრა შეეძლო, სჯეროდა, რომ მისი თავგანწირვა უაზრობა იყო, მაგრამ თავად გარნიზონის უფროსი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, იგი ერთ მიზნად და მისწრაფებად იყო ქცეული — მკვდარი თუ ცოცხალი არავინ დაეტოვებინა დაწყველილ მორევში, ხვდებოდა, რომ შეუძლებელ საქმეს შესქიდებოდა და ამიტომაც სიმწრის ცრემლები დაპალუბით სცვიოდა, უბრალო, ჩვეულებრივი ცრემლები კი არა, გუ-

ლიდან და ძარღვებიდან მომდინარე სისხლის ცრემლები, თუმცა თავად ვერც გრძნობდა ამას, მაგრამ შემდგომ, ოდნავი შვება რომ იგრძნო, „ალბათ ვტირიო“ გაიფიქრა და „ეს კი ჩემს ცხოვრებაში უკვე მეორე შემთხვევაო“ გაიხსენა.

პატარა ბიჭს დედა გავლიძებისთანავე მკლავებში როგორც ჰამაკში, ისე იწვენდა და სახლს უკან, ნუშის ხეებით დამშვენებულ ბაღში გაჰყავდა. ბაღს იქით ღრმა ხევი იწყებოდა, ხევს გადაღმა კი თეთრად შეფეთქილი ერთსართულიანი სახლები იდგა, მათ შუაგულში მაღალი, კიდევ უფრო თეთრი ეკლესია აღმართულიყო, რომელიც მოცუპქნულ ქონმახებს ისე გადაჰფარებოდა, როგორც კრუხი დასაჩეკ კვერცხებს.

ეკლესიის უკან, უმეტესწილად დეკორაციასავით უცვლელი, ქულა-ქულად დაპენტელი ღრუბლები მოჩანდა, როგორც კი დედა ბიჭს ბაღში გაიყვანდა, თითქოს მათ გამოჩენას უცდიდნენო, ხევის გადაღმა მხრიდან ზარები და ზანზალაკები რეკვას იწყებდნენ, ხოლო ღრუბლები იფანტებოდნენ, იცრიცებოდნენ და ცას ერწყმოდნენ.

ღვთის სახლის გუმბათიდან მტრედების გუნდი აიშლებოდა და გეზს აქეთ, ხევსგამოღმა მყოფ დედა-შვილისაკენ იღებდა.

იმ დღეს არც ზარებმა დარეკეს და არც ღრუბლები გაიფანტნენ, ხოლო გუმბათიდან ერთი მტრედიც არ აფრენილა, და ბიჭი წინათგრძნობით მიხვდა, რომ დაბინდებისას დედა გარდაიცვლებოდა.

სწორედ მაშინ ატირდა მშობლის მკლავებს მინდობილი ხანინი პირველად.

ახლა კი სისხლის ცრემლები სცვიოდა, ღვარივით ჩამოსდიოდა ლოყებზე, მოყვითალო-მოყავისფრო ნისლში იღვენებოდა, ფსკერზე იღექებოდა და ქვავდებოდა.

ჯერაც მსუბუქი წითელი ქვა-ცრემლები მოწამლულ ღინებას გვირაბები-

საქენ მიჰქონდა, სწრაფად მიაგორებდა, მაგრამ ქვებად ნაქცევი სისხლის ცრემლები ნელ-ნელა იზრდებოდნენ, ლავასავით მსრბოლავ შხამს ეწინაღმდეგებოდნენ, ელობებოდნენ, თანდათანობით ხერგავდნენ და აჩერებდნენ.

ხანინის წითელი ცრემლები, უფარაჯო ჯარისკაცის გარდა, არავის შეუმჩნევია, რადგან ცოცხლად დარჩენილ ყველა მშველელსა და დამხმარეს აირწინალები ეკეთა, ხოლო დაორთქლილი, დაბინდული შუშებიდან თითქმის არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა, უნიღბებოდ მხოლოდ ისინი — ხანინი და უფარაჯო — დაბორილებდნენ და, რაც მეტი დრო გადიოდა, გარნიზონის უფროსი უფრო და უფრო ჰკვირობდა, რიგითი ჯარისკაცი, ჯერაც ჰაბუ-კი, რომელიც, ალბათ, პარტიის წევრიც კი არ იყო, როგორ იტანდა იმ ჯოჯოხეთში ყოფნას, სადაც მასაც კი, მრავალჭირნაცადსა და ყოვლისმომსწრე კაცს, უჭირდა გაძლება.

ბოლოს და ბოლოს ხანინმა ამ საოცრებასაც მოუძებნა ახსნა-განმარტება „ამისი წინაპარი, უდავოდ, ბოროტებაზე ადრეა გაჩენილი და ამიტომაც ეს შხამი ამას ვერაფერს ვნებსო“. ეს გაიფიქრა თუ არა, იმავე წამს ის დავალებაც გაახსენდა, რომელიც ადრევე მისცა.

— ბაბენბერგი სად არის? — ჰკითხა, როგორც კი შორიახლო დაიგულა.

— ჰოსპიტალში, — მიუთვო იმან.

— იქ გაზებია, — თქვა ხანინმა, — წადი და გადაარჩინე!

უფარაჯო ჯარისკაცს გოცებისაგან ყბა ჩამოუფარდა, მტრის საშველად როგორ უნდა წასულიყო, როდესაც მოყვარეს უჭირდა, მაგრამ გარნიზონის უფროსს რომ შეხედა, მიხვდა, ეს ყოველივე მას ბრძანების გაცემამდე უკვე გააზრებული და აწონილი ჰქონდა.

უფარაჯო მხოლოდ წამით შეყოვნდა, ისიც იმიტომ რომ შეეხედა, რას მოიმოქმედებდა „დოღორიალა“ ხარიტონიჩი,

რომელიც გვირაბის ჩამოსასვლელში გამოჩნდა უკვე გონს მოსულ ორ ქერათმიან ესესელთან ერთად.

„დოღორიალა“ გულდაგულ შევიდა სიკვდილის მორევში, კისრებიდან გაკავებული შავფორმიანებიც შეათრია, ხელთა ერთი ჩამოქნევით თოთო ნერგებივით მოდრიკა, „ხომ შეგპირდით, რწყილებივით-მეთქიო“. იღრიალა, საწამლავეში ჩააყურყუმელავა და თავებით ლაჭებში ამოიჩარა.

ზუსტად იმ დროს, როდესაც ესესელებმა სასიკვდილო შხამი შეისუნთქეს, მაღალღრსი ალექსი ბონდარენკო, მეცამეტე ბალლით ხელში მხუთავი განთ პირთამდე ამოვსებული საბავშვო ბავიდან გამოვიდა და სისხლის ხეულაფურთხებით გაუყვა შემალლებულ ხაროსაქენ მიმავალ გვირაბს. სამოციოდ ნახვიის შემდეგ გვირაბი კატაკომბების სიღრმეში ეშვებოდა, რომელიც მთლიანად მხრჩოლავი დისფოგენით იყო ავსილი, და, უნდოდა თუ არა, მღვდელს ეს მონაკვეთი ბრმად, ხელის ცეცებით უნდა გაეველო.

მკერდზე ჩვილმიკრული და თითქმის გონდაკარგული ალექსი ბონდარენკო ლასლასით ჩაეშვა ღრმულში და ნახევარიც არ ექნებოდა გავლილი, რომ საოცარმა, არაბუნებრივმა სინათლემ თვალი გაახელინა.

მის წინ მზით განათებული და თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული კიბე ადიოდა, რომელიც ნაღრფერი და სურნელოვანი ვარდის ფურცლებით იყო მოფენილი.

მაღალღრის ალექსი ბონდარენკოს არც შიში უგრძენია და არც სინანული, მან უკვე იცოდა, სადაც მიჰყავდა ამ კიბეს, მხოლოდ ბავშვი უფრო მოხერხებულად მიიხუტა მკერდზე და აუღელვებლად იწყო ზესვლა, ყოველ საფეხურზე ამალებისას სინათლე კიდევ უფრო მატულობდა, მაგრამ მზერას არ სჭრიდა, პირიქით, ესალბუნებოდა. სადღაც, შორიდან მგალობლთა გუნდის ჩუმი ლილინიც მოისმა და შემდეგ უსასრულოდ მაღლა მიმავალი

კიბის თავზე ნათლად დაინახა, როგორ მოიჩქაროდა. მისკენ ერთიანად თეთრ სამოსში გამოწყობილი, მოღიმარი დედამისი, რომელსაც ოცდაათი წლის წინათ საკუთარი ხელით დაუხუჭა თვალები.

დიდი ხნის მონატრულმა და უნახავმა მშობელმა პატარა ბიჭვიით ჩაიკრა მკერდში უნებლიეთ აცრემლებული ალექსი.

— ნუ სტირი, შვილო, — ნეტარი, თბილი ხმით მოეაღერსა, — დიდი ტვირთი მოიხსენი და ახლა მარადიულ სასუფეველში მოხვედი, დიამშვიდე გული, მზერა და გონება, სადარდებელი აღარაფერი გაქვს.

— ჩემს თავს არც ვნაღვლობ, ბაღლი მეცოდება, ის ხომ მთლად უზაკველია.

დედამ მოწყალედ გაუღიმა.

— ბავშვი ხომ გაიღვიძებს, — დაამშვიდა. — უცილობლად აგრე მოხდება და აქ უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე იქ, იმ ცოდვილ ქვეყანაში.

ალექსი ბონდარენკომ ჩიუტად გაიქნია თავი.

— ვერ გაიღვიძებს, — დაბეჯითებითა და მრავლისმთქმელად უთხრა.

დედამ კვლავ გაუღიმა, ამჟამად მიმტკეველურად, როგორც დაუჭერებელსა და გონებააბნეულ მოზარდს, თქმით კი აღარაფერი უთქვამს.

მშვიდად და აუჩქარებლად ადიოდა დედა-შვილი კიბეზე, თან მიცვალებული ბაღლიც მიჰყავდათ, ვერც დაღლას გრძნობდნენ და ვერც მანძილს, რადგან დრო უკვე სამუდამოდ გამჭრალიყო და მის სანაცვლოდ მარადიული ეამი ჩამომდგარიყო.

კიბის დამთავრებისთანავე ედემის წალკოტში შეაბიჯეს, სადაც „გიზაროდენ შენ, გიზაროდენ“ გალობით, იმ ქვეყნად წასული ნათესავ-ახლობლები შემოგებნენ, გვერდში ამოუდგნენ და ყვაილებით მოჩითულ ხავერდოვან მდელიზე გადაატარეს, თვალშეუდგამი მწვერვალის ძირამდე მიაცილეს, ხილულით გაბრუებულ ახლადმოვლენილს,

ოდნავ უბიძგეს და ჰაერში ააფარეს ტეს.

მაღალღირს ალექსის ფრთები არ გამოსხმია, მაგრამ იგრძნო, რომ თავისუფლად და ძალდაუტანებლად შევიძლო სივრცეში მოძრაობა, ჯერ ნელა, შემდეგ კი უფრო და უფრო სწრაფად იწყო სრბოლა, სულ მაღლა და მაღლა, უსასრულო მწვერვალისაკენ.

ზღაბრული, ნაირფერად აყვავებული ხეხილით დამშვენებული და ტერასებად დაყოფილი მთის ფერდობიდან წმინდანები და ანგელოსნი თავადერთი ამოსცქეროდნენ, უღიმოდნენ და ხელის ქნევით ესალმებოდნენ უსასრულობისაკენ მსრბოლავს.

ხოლო მწვერვალზე, ალექსი ბონდარენკოს უზარმაზარი, გატოტილი ბზის ხის ძირში მარტომდმარტო მყოფი და მოწყენით მდგომი მამაზეციერი დაუხვდა.

ნათელი, რომელიც მთელ სამყაროს აცისკროვნებდა, მისი შარავანდელიდან მოეშუქფერებოდა. თავად სამპიროვანს, ჩვეულებრივი ადამიანის იერსახე ჰქონდა და ქერჩის წმინდა ვასილის ეკლესიის დეკანოზს მოეჩვენა, რომ სადღაც და ოდესღაც უკვე ჰყავდა იგი ნანახი.

ჩვეულებრივი, სუსტი აღნაგობის შუახნის კაცად გამოიყურებოდა, არა თეთრი, როგორც წარმოდგენილი ჰყავდა, არამედ ქლალწვეროსანი, დაბერილი ქუთუთოებითა და ნათელი, სევდაჩამდგარი თვალებით, ერთმა კი უდავოდ გააოცა და შეაცბუნა მაღალღირსი მღვდელი, არც მოწიწება და, მით უმეტეს, არც სასოება რომ არ დაეუფლა მასთან პირისპირ მიახლოებისას, პირველალქმული შთაბეჭდილება კი „—სადღაც მიწახავს და, ვგონებ შევხვედრივარ კიდევაცო“. უფრო მეტად გაულრმავდა და განუმტკიცდა.

„თავისუფლად განმჭვრიტე და სრულად აღმითქვი“, — უთქმელად, მხოლოდ გონებით გამოესაუბრა მამაზეციერი და პირისახე სამზერად მიუშვირა.



„რალა თქმა უნდა, ეს ასეა, არც არაფერია გასაოცარი, უფერად შეიცნო ალექსი ბონდარენკომ, — ღმერთი ხომ ყოველ ჩვენგანშია და ამიტომ ყოველი ჩვენგანიც არის ღმერთში“.

უფალს მისი სახე და იერი ჰქონდა, ბროლის სარკვეც ვერ გაიმეორებდა ესოდენი სრულყოფითი მის ორეულს, ამასთანავე, ექვსივე განზომილებაში, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ უზენაესს მისდაგვარად წნევაც აწუხებდა და ზედა ყბაზე მებუთე კბილიც გამოხრული და სამკურნალო ჰქონდა. ახლად მიხვდა მაღალღირსი მოძღვარი, რატომ არ განიცადა მამა-ზეციერთან შეყრისას კდუმა და აღფრთოვანება. არც თუ ხანგრძლივი მიწიერი სიცოცხლისა და არსებობის მანძილზე, მას გამუდმებით აწამებდა და ქენჭნიდა ერთი აზრი, რომელსაც სრულყოფილად ვერც მრევლს უმარტავდა და ვერც საკუთარ თავს უხსნიდა, ამიტომაც გამუდმებით ოცნებობდა იმ გარდაუვალ შეხვედრაზე, როდესაც ყოველისმცოდნე და ყოველისგანმჭვრეტი სრულყოფილ პასუხს გასცემდა და გააცნობიერებდა.

ეს კითხვა კი მართლად უბრალო, ლაკონური და, ამასთანავე, მარადიულიც იყო, რომელიც ზენაარის ამოიარებელ, ნებისმიერი რჯულის მორწმუნე ადამიანს სამყაროსა და ცხოვრების შემეცნებისთანავე ებადებოდა — რატომ და რის გამო მძლავრობდა დედამიწაზე ესოდენ ხშირად ბოროტი და მაცდური, როდესაც საყოველთაო სიკეთისა და სიყვარულის მქადაგებელი ღმერთი, ყოველისმხილველობასთან ერთად, ყოველისშემძლე იყო?

და თუ უმცირეს ცოდვის ჩამდენთა დაუნდობლად დასჯა-დათრგუნვა იმით გამართლებოდა, რომ ქარის მთესველს ქარიშხალი უნდა მოემკა, რა აზრი, მიზანი და დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა იმ ჩვილთა ტანჯვა-წამებით მოკვდინებას, რომელთაც ჯერ ჰიანჭველისთვისაც არ დაედგათ ფეხი?!

ამის სათქმელად მოემზადა მაღალღირსი ალექსი, რომ მამამ, ძემ და სულიწმინდამ ერთდროულად, ერთი გარსიდან ტანჯულის თვალეზით გამოჰხედა და ამ მზერით ერთიანად შებოროკა და შეაჩერა.

— უბრალოდ და გასაგებად განგიმარტავ, — ადამიანური სიტყვით მიმართა: — უთვალავი წელია ყოველი აქ გარდმოვლენილი მოკვდავთაგანი მაგას მეკითხება და ყველას მოთმინებითა და დაუფარავად ვამცნობ, — თავიდათავი ჩემი შეცდომა და შეცოდებაა, ერთადერთი, უკანასკნელი და გამოუსწორებელი, — უზენაესმა თქმისთანავე გულხელი დაიკრიბა და შორეულ, მხოლოდ მისთვის შესაცნობ სივრცეებს გახედა, — სამყაროს შექმნის ეამს, — განაგრძო, — უსაშველოდ გადაქანცულმა, დედამიწის შემოკობაში ეშმაკი შევიამხანაგე, მისთა არსთა სრულყოფაში მოვიხმარე და ყოველივე მიწისეულის ნახევარი წლიც სამუდამოდ და სამარადეამოდ ვარგუნე. ეს არის ცოდვა ჩემი და საუკუნო სატანჯველი!

— უფალო, — მოთმინებამ უღალატა მოძღვარს, — როგორ შეგძლო შენ, ყოველთა არსთა ზრახვათა სრულად განმჭვრეტს, ბოროტებასთან წინაყრობა?

— მეც მაცდუნა, — ოხვრით აღიარა მამაზეციერმა, — იგი ხომ იმ ეამად ანგელოზი იყო და არა ბოროტი სული, საკუთარ სამყოფელად მოხოვა, მეაჯა და მეც დამამშვრალ-დაქანცულმა მომავალი ვერ განვსაჯე და მიწიერნი შვილნი ჩემნი გავწირე.

— რატომ არ განდევნი, მამაო ჩვენო, რატომ?! — გაიოცა მაღალღირსმა ალექსიმ, — ძალა შენი ხომ უსასრულოა და უძლეველი?!

— უფლისაგან პირის შერცხვენა არ ეგების, მაშინ ჩემზე წინმდგომი და ყოველის საფუძველთა საფუძველი სიტყვაც დაჰკარგავს აზრს და ზემოქმედების ნიჭს.

ყოველივე ის ბუნდოვანი და აუხსნელი, რაც დედამიწაზე მოსვენებასა და

სიმშვიდეს აკარგვინებდა ქერჩის წმინდა ვასილის ეკლესიის მოძღვარს, დღესავით ცხადი და ნათელი შეიქმნა. თურმე კაცობრიობა დაბადებიდანვე საწამებლად და ორთა საპაექრო ასპარეზად ყოფილა გამიზნული, ბოროტისა და კეთილის საჯილდაო ქვად. კრიტიკ აღარ დაუძრავს, დაუმშვიდობებლად შეაქცია ზურგი უფალს და უკვე ერთხელ განვიღო გზას დაადგა.

— ვიცი, რომ წარსულს უბრუნდები და მარადიულ სასუფეველზე უარს ამბობ, — მოესმა უზენაესის გულნაკლული ხმა, — არც გაყოვნებ, აქ ყოველი ნება ნებაყოფილია, წადი, მიაშურე ყოფილ სამყოფელს, მაგრამ ჩვილი დამიტოვე, მას ამქვეყნიურ ნეტარებას და ბედნიერებას მივანიჭებ.

— იგი მკვდარია! — მიუგო მალაღირსმა მოძღვარმა.

— გარდაცვლილია, — შეუსწორა მამაზეციერმა, — სასუფევლად გარდამოიკვალა, მე გავაცოცხლებ და სამოთხეში მარადიულ სამყოფად განვაწესებ.

მკერდში ბალღაქრული ალექსი ბონდარენკო დაგესლილივით შემობრუნდა და რისხივთ აღვისილი მზერით შეაკერდა სამყაროს შემოქმედს.

— ვერ შეძლებ! — დაბეჯითებითა და შეგონებით უთხრა, — ვერა იქმ, რამეთუ, ეს მხოლოდ გარდაცვლილი ბაღლი კი არ არის, არამედ რწმენაა, ადამიანთა გონებასა და მრწამსში შენგანვე ჩანერგილი ღვთის სიკეთის რწმენა, რომელიც იქ, თავისუფლების მოსაპოვებლად შექმნილ ჯოჯოხეთში, სატანიესულმა ძალებმა მოაშთეს და მოკგულეს. მკვდარი რწმენის გაცოცხლების ძალა კი, საუბედუროდ, არც შენ შეგწევს, უფალო!

მამაზეციერმა გაავებით თვალანთებულ მღვდელს პირისახე აარიდა, ბზის ხესთან ჩაიჩოქა, თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა და თვალზე მომდგარი კურცხალი ფარულად მოიწმინდა.

— „მხოლოდ თქვენ, ადამიანებს, ძალიდით მიწიერი საუფლოდან ბორო-

ტისა და უკეთურის განდევნა, მხოლოდ თქვენ და სხვას არავის!“

ალექსი ბონდარენკო საწამლავით ამოვსებული ღრუბლიდან რომ ამოვიდა, მას თოვლივით თეთრი თმა და კიდევ მეტად თეთრი წვერ-ულვაში ჰქონდა. მღვდელმა ხელში ატატებული ბაღლი მაღალ ხარომდე მიიყვანა, იქ მყოფ თორმეტ ჩვილს მიუწვინა, თავადაც მათ გვერდით განერთხო და სული განუტევა.

იმ ბალღთაგან სამი გადარჩა და ერთი მათგანი ის უქანასკნელი, მეცამეტე ბავშვი იყო.

თავფეხიანად აცახცახებული და ცივი ოფლით გახვითქული დროიდე ლაბირინთიდან ისე გამოვიდა, როგორც კომპარული სიზმრიდან და ცისკიდურზე, გაცრეცილ ღრუბლებში ლალსფრად აალებულ მზეს რომ გახედა, ჯერ ისეთი შეება იგრძნო, ცრემლიც კი მოეძალა, ხოლო შემდგომ, უნებურად, ურჩხულის სისხლმომწყურებული თვალები გაახსენდა და ის ფრანსაც, პერისადმა მუხლებზე დაცემულს რომ ჩასძახა: „შეხედე, ოქროსფერ თვალე-ბში შეხედო...“

რატომ შეუცვალა ბოსფორის გამგებელმა კიანფას სამზერთა ფერი? შეგნებულად თუ შეცდომით, — ვეღარ მიხვდა, თუმცა ამჟამად იმ ნათქვამს მნიშვნელობა აღარც ჰქონდა, რადგან სხვა თავსატეხი და საფიქრებელიც აურაცხელი გასჩენოდა, მაგრამ გუმანმა უქარანახა — „კიანფას ოქროსფერი თვალები“ შემთხვევით არ იყო ნათქვამი და საგულდაგულო განსჯა-განჭვრეტას საჭიროებდა.

გვირგვინოსანი საჩრდილობელიან ტაბტრევანზე იყო მხართემოზე წამოწოლილი და ლაბირინთის გამოსასვლელს მსხვერპლს დადარაჯებულ მგელივით ქვეშქვეშ გამოსცქეროდა, თან შავსა და მოკლე ულვაშს კბილებით იწიწკნიდა.

უცილობელ ბედს შეგუებულმა ხუ-

როთმოდღარმა მწარედ ამოიგინა და რამდენადაც შეეძლო, გამართული ნაბიჯით მიაშურა ხელმწიფეს. დანამდვილებით იცოდა, რასაც მოსთხოვდა ახლა პერისადი და იმასაც ხვდებოდა, მისი მხრიდან ყოველგვარი სიჯიუტე რომ სრული სიბრძნევე იქნებოდა, რადგან სისუსტის ქაშს თავადვე გასცა საიდუმლო და ახლა, უნდოდა თუ არა, მეფეთა აკლდამის გასაძარცვად გათხრილი ხერხელი ტირანისათვის უნდა ეჩვენებინა და, შესაძლოა, ამ გამჟღავნებით ნაკლებმტანჯველი აღსასრული დაემსახურებინა.

— უპირველესად მადლი შეგწიროთ ღმერთებს დღის ნათელის კვლავ ხილვისათვის და, მათივე ნებით, მშვიდად დავნაყრდეთ, — კატისებური კრუტუნით შესთავაზა პერისადმა, ოდნავ ჩაიჩოჩა და დროოდეს ტახტრევიანზე ჩამოსაჯდომი ადგილი დაუთმო, — ხოლო შემდეგ... — შეყოვნებითა და სიოტყვებით დავემოვნებით განაგრძო, — სახელმწიფოს პირველი არქიტექტორი გვიჩვენებს იმას, რაც მას არ უნდა მოემოქმედა, მაგრამ უგუნურობის გამო ჩაიდინა.

მზაკვრობაში მხილებული თუ სიაცეცხე ან ქურდობაზე წასწრებული ყოველი ადამიანი თავ-თავისებურად და სხვადასხვაგვარად იქცევა და ამ მოქმედებით უნებლიეთ ამქალაქებს საკუთარ შინაგან ბუნებასა და ხასიათს.

ზოგიერთს ენა უვარდება და თითქმის მუნჯდება. — ასეთნი მხდალთა კატეგორიას ეკუთვნიან. გულადნი და ჩიუტნი, თუნდაც უმიძიგსი დანაშაული ჰქონდეთ ჩადენილი, პირდაპირ, მოუნანიებლად აღიარებენ ნამოქმედარს და ამაყად მომზირალნი კუთვნილ სასჯელს დაუხანებლად ითხოვენ. გაიძვერები თავს იგიყიანებენ, ვითომდა აფექტურ მდგომარეობაში იყვნენ და გონება ჰქონდეთ დაბნელებული, მეტ-ნაკლებად განათლებულნი კი ღრმავაროვანი, ფილოსოფიური განმარტებებით ცდილობენ თავის მართლებას.

ბერძენ ხუროთმოძღვარს არც ერთ

ამაღვანი არ უცდია, პირიქით, მოიქცა, თითქოს არაფერი ჰქონდა და როშილი და ხელმწიფის წინაშეც სრულიად პირნათელი იყო, მხოლოდ დაუოკებელი ყბედობისა და ენაქართალობის სურვილი გაუჩნდა, რაც არასოდეს სჩვეოდა, და მთელი გზა კაქკაივით უაზროდ და უადგილოდ იტიტყინა.

პერისადი მალე მიხვდა, რომ ამ გაუთავებელი, სულმოუთქმელი და აბდაუბდა ყბედობით განწირული ცდილობდა მიიჩქამლა ზარდამცემი ფიქრები და არ დაუშლია, არც სიტყვა შეუწყვეტინებია და ვიდრე აკლდამა-დრომოსის მახლობლად მდგომ, ხელმწიფის რეზიდენციას მიაღწევდნენ, ნახევრად მთვლიემაჩე უსმენდა და თან იმ საკადრის სასჯელზე ფიქრობდა, რომელსაც მოლაღატე ხელოვანი იმსახურებდა.

იქ კი, უბრალოდ, მაგრამ მყარად ნაგებ ციხე-სახლის სატრაპეზოში, სადაც გულუხვად და საუკეთესო გემოვნებით გაშლილი სუფრა დაუხვდათ, დროოდემ მართლაც განაცვიფრა ბოსფორის გამგებელი დაუოკებელი მადითა და საოცარი მუცელლორობით. თავად ხორცეულის მოძულე და ბავშვობიდან უმადლობით გამორჩეული ხელმწიფე, დაუფარავი ზიზლით შესცქეროდა ამ ამომშრალ ჭსავით ძნელად ამოსავსებ ბეხრეკ ბერიკაცს, რომელიც ქოშინით ნთქავდა მთლიან ხოხბებს, გაცვეთილ კბილთა ღრჭილით ტკვერდა გარეული ტახის ნეკნებს, ერთი შესუნთქვით ისრუტავდა მსხვილ-მსხვილ ლოკოკინებს, აურწყავი რაოდენობით ყლურწყავდა კოლხურ წითელს, მაგრამ რატომღაც ვერ თვრებოდა... ეტყობოდა, ამ მოუპირავი ღმურძვლით უნდოდა გაეხანგრძლივებინა ძნელად დასათმობი სიციცხლე და, თუნდაც მცირე ხნით დაევიწყებინა, რაც ელოდა.

ბოლოს და ბოლოს, უძღები სვავი მაინც ამოიყორა, რუმბივით გატიკინილმა მუცლის კანმაც შეაწუხა და მხოლოდ ტყვიელმა შეაჩერებინა წისკვი-

თენგიზ ჩალაშვილი

...და არ იყო ჩვენი შორის ზმირი

ლის დოლაბივით დაუღალავი ყებები. ბოყინითა და ხენეშით სულაც მოითქვა და თვალებში კვლავინდებურად შეეპარა სათაგურში გამომწყვდეული ვირთხის სასოწარკვეთილი გამომეტყველება.

— კმაყოფილია თუ არა სახელმწიფოს პირველი ხუროთმოძღვარი ბოსფორის განმგებლის სტუმართმოყვარეობითა და გულუხვობით? — დამკინავი თავაზიანობით დაინტერესდა პერისადი და წურბელეზებით გატიჟნილ ტუჩებზე ნაძალადევი ღიმილი მოიჩრაგო.

— უდიდეს მაღლს ვწირავთ, — ტოლწორივით მიუგო დრიოდემ, რომელსაც თითქოს წამით გადაავიწყდა ყოველივე, რაც უახლოეს მომავალში ელოდა, — დიონისეს საკადრისი სადილი გახლდათ.

პერისადს თვალთა კაკლებში ავის-მომასწავლებელი შუქი გაუკრთა, „შხამად შეგარგებო“, დაიქაღნა გულში და მეფის ბუნების საუკეთესო მცოდნე დრიოდემ იმავ წამს იგრძნო ხიფათის მოახლოება.

— კიდევ რას ინებებს ძვირფასი სტუმარი? — დაინტერესდა გვირგვინოსანი, — დაბინდებამდის მისი ყოველი სურვილი დაუხანებლად იქნება შესრულებული, — მრავლისმთქმელად აღუთქვა, — თვით ბოსფორის სახელმწიფოა ამის თავმდები.

„მხოლოდ დაბინდებამდის, — ამ აზრმა აუტანელი ტკივილით გაჰკრა გონებაში მოხუც არქიტექტორს, — ნუთუ რამდენიმე ამოსუნთქვა სიცოცხლეღა დამრჩენია?!“

სევდამოწოლილი გაყუჩდა, გარეგნულად თითქოს მშვიდად გამოიყურებოდა, ეგონა, ჭირთათმენითა და გულმაგრობით დესპოტზე ზემოქმედებას მოახდენდა და გულს მოუღობოდა, შემდეგ იმედის უაზრობას თავადვე მიხვდა და ამან ერთგვარად დააშოშმინა.

„უველაზე დიდი და გრანდიოზული იდეები, როგორც წესს, განუხორციელებელი რჩება“. წყენით გაიფიქრა და

ირონიით გაეღიმა. ცხადლივ წარმოიდგინა თავარა მზის გულზე თვალისმომჭრელად მოელვარე, პაროსის მარმარილოთი შემოსილი, აპოლონის ცადაზიდული ტაძარი, უზადო მშვენიებითა და ჰაეროვანი სინატივით საუკუნეთა შემდგომაც რომ უნდა განეცვიფრებინა და აღეფრთოვანებინა მსოფლიოს ცნობილი ხელოვანი.

ამ წარმოსახვამ იმდენად მონუსხა, ისე განაჩიდა აწყყოს, რომ ხელმწიფის კითხვაც გადაავიწყდა და ყოველგვარი სურვილიც დაუჩლუნვა.

— ნუთუ დიდ ხუროთმოძღვარს აღარაფერი დაშთენია ამქვეყნად სანატრელი და საოცნებო? — ხელმეორედ დაინტერესდა პერისადი და დრიოდეს ისეთი დაძაბული დაყინებით ჩააცქერდა, რომ ყოველგვარი ხილვა გაუქრო და გაუქარწყლა.

მხოლოდ ახლა, ტირანის სადისტურის მხერის გულმშვიდად აღქმისას შეიგრძნო დრიოდემ, თუ რარივი საოცარი მსგავსება არსებობდა ბოსფორის მბრძანებელსა და ორთავიან ურჩხულს შორის. ასეთი სისხლმწყურვალე გამოხედვა მთელ სამყაროში მხოლოდ მათ შეიძლებოდა ჰქონოდათ და ერთ-ერთი მათგანის მსხვერპლი, განგების ნებით, თავად დრიოდე უნდა შექმნილიყო უახლოეს მომავალში.

აღსასრულს შეგუებულმა მოხუცმა ხუროთმოძღვარმა მართლაც სრული სიმშვიდე იგრძნო, ასეთი რამ კი მხოლოდ იმ გონიერ ადამიანთა ხვედრია, რომელთაც ყოველივე გათვალეს და, რაკილა მიხვდნენ გარდაუვალის აცილების შეუძლებლობას, საბოლოოდ დაწყნარდნენ, რადგან ფილოსოფიური განსჯით და შეუნიღბავი ცინიზმით განჭვრიტეს წუთისოფლის არამდგრადობა და უცილობელი წარმავლობა.

უდავოდ ამიტომაც იყო, ამ განწირული კაცის დინჯმა მსჯელობამ და ცნობისწადილმა ერთხელაც რომ გააოცა ბოსფორის მრისხანე მბრძანებელი.

— ღმერთთა თანასწორის სამფლო-  
ბელოში მოწვევამდე, მის საპატიო  
სტუმარს, რომელიც ათენის უპირვე-  
ლეს არქიტექტორად ითვლებოდა და  
მრავალ მეცნიერებას სრულყოფილად  
ფლობდა, — საკმაოდ ქედმაღლურად  
დაიწყო დროდემ, — გამუდმებით  
უკარგავდა სიმშვიდეს სამყაროს შვიდ  
საოცრებათაგან ერთ-ერთის შექმნის  
საიდუმლო, რამეთუ დანარჩენთა აგე-  
წა, გამოკვეთა და აღმართვა თავადვე  
ხელეწიფებოდა.

აქ მან სული მოითქვა, უძვირფასესი  
თვლებით მოოჰვიღო ოქროს თასს გა-  
დასწვდა. გამშრალი ბავე წითელი ღვი-  
ხით გაისვლა და გაირინდა, თან იმა-  
საც ფიქრობდა და იმედოვნებდა, რომ  
მეფე მოუთმენლობას გამოიჩინდა და  
დაინტერესდებოდა, რომელი საოცრე-  
ბის განჭვრეტა ვერ შეძლო ზურათ-  
მოქალაქისა, მაგრამ პერისადს თვალე-  
ში მიეხსივნა, შეუფალი იერი ჰქონდა  
და განსასვენებლად მოქცეულ აედოსს  
წააგავდა.

— გამოხდება ხანი, ჩინავლება და  
ისტორიად იქცევა საუკუნენი და ათას-  
წლეულები, — მსმენელის დაუხმარე-  
ბლად განაგრძო დროდემ, — მაგრამ  
მოკვდავის გონება ვერასოდეს განსა-  
ზღვრავს, რამ და რომელმა ძალამ აზი-  
და ხეპსუს პირამიდის ლოდები მხოლოდ  
უკვდავთათვის მისაწვდომ სიმაღლეზე.

ამ სიტყვების თქმისთანავე, როგორც  
სიკბაუტის ყამს, როდესაც ამოუხსნელ  
თავსატეხზე ღამეებს თეთრად ათენე-  
ბდა, მოხუც არქიტექტორს უცნაურმა  
ყრუოლამ დაუარა მთელ სხეულში, თავ-  
დადე არ უწყოდა, რითი იყო ეს შე-  
გრძნება გამოწვეული — შურით, ცნო-  
ბისწადილით თუ უცნობი, არამქვეყ-  
ნიური ძალების შიშით.

პერისადმა უეცრად გაახილა სფინ-  
ქსივით უმეტყველო და ცივი თვალები.  
— გონება, — მეტისმეტად დამაჭე-  
რებლად ამცნო, — გონების უსაზღვრო  
ძალამ.

— გონების ძალა... — ჩურჩულით  
გამიგორა დროდემ, — უდავოდ ასეა...

— კვერი დაუკრა ხელმწიფეს, —  
ლოდ არა ადამიანისამ!

აქ მან საჩვენებელი თითი ზეადმარ-  
თა და მკლავიც ბოლომდე იმდაგვარად  
გაშალა, რომ იდაყვის სახსარმა გაიტ-  
კაცუნა.

— ახლა კი დროა — მოირას ცივი  
და გრძობაუქონელი ხმით განაცხადა  
პერისადმა და სავარძლიდან კი არ წა-  
მოდგა, გააგებულ კობრასავით შეიმა-  
რთა.

იმავე წამს სატრაპეზოში აჩრდილივით  
უჩუმრად ზენონი შემოიბიძგა. რო-  
გორც ჩანს, იგი ძილის დროსაც არ  
აცილებდა მბრძანებელს არგუსივით  
მოდარაჭებულ თვალს.

— ყოველ სიტყვასა თუ პირობას,  
მით უმეტეს, გვირგვინოსანისას, შეს-  
რულება ეგების და ამშვენებს, —  
მტკიცედ და მომთხოვნად აღნიშნა  
დროდემ, — ხელმწიფის სტუმარს  
უქანასკნელი სურვილი და სათხოვარი  
ჯერ არ წარმოუთქვამს.

ამ საყვედურმა საჭირო ზემოქმედება  
მოახდინა, ფეხზე მდგომმა პერისადმა  
წარბები კითხვით აზიდა, მერე მოიხა-  
რა, ბეჭდიანი თითი მაგიდის კიდეს სამ-  
ჯერ დაჰკრა, ამით ზენონს სატრაპეზოს  
დატოვება უბრძანა და კვლავინდებუ-  
რად სავარძელზე დაეშვა:

— განსწავლულობითა და გონიერე-  
ბით ცნობილ სტუმარს, უდავოდ, კა-  
რგად მოეხსენება, რომ ყოველგვარ  
შესაძლებლობას აქვს ზღვარი, მაშინ  
როდესაც სურვილს იგი არ გააჩნია!

დროდემ დარბაისლური თავისდა-  
ხრით მიანიშნა, რომ ეს ჭეშმარიტება  
თავადაც სრულყოფილად ჰქონდა გან-  
ჭვრეტილი და შეგნებული.

— არის საიდუმლოებანი, რომელთა  
გამხელის უფლება თვით ყოვლისშემ-  
ძლე მბრძანებელთაც არა აქვთ, გარდა  
ერთი შემთხვევისა... — თქვა მან.

პერისადმა კვლავ შემართა წარბები,  
გამომცდელად შეაკერდა მოხუც ზუ-  
როთმოძღვარს.

— როდის დგება ასეთი შემთხვევა?  
— უნდობლად ჰკითხა.

— მაშინ, როდესაც საიდუმლოს ახლადმცნობს არა აქვს შესაძლებლობა მისი შემდგომი გამჟღავნებისა, რამეთუ მიცვალებულნი ვერ მეტყველებენ. პერისადი ნერვიულად წამოიღვა, ზურგის მხრიდან მოუარა დროოდეს და სავარძლის საზურგეზე ორთავე ხელით დაეყრდნო.

— ნუთუ ბერძენ ხუროთმოძღვარს ჰგონია, რომ ბოსფორის ტახტის მფლობელმა იცის ფარაონთა პირამიდების საიდუმლოება? — დროის მოგების მიზნით ჰკითხა, რადგან ხვდებოდა, საუბარი სხვა საგანს უნდა შეხებოდა.

— გვირგვინოსანმა იცის უფრო დიდი საოცრების ისტორია, — გვერდულად ახედა დროოდემ, თავადაც წამოიმართა, შეტრიალდა და პირისპირ დაუღდა.

— რომელი? — იკითხა, ხმაგაბზარულმა ხელმწიფემ.

— კიანფა! — პირდაპირ ამცნო დროოდემ — ...და ამასთანავე სხვადასხვა ყოველივე, რაც მის შესახებაა ცნობილი, ასეთია უკანასკნელი სურვილი იმ ადამიანისა, რომელიც სულ მალე ჩრდილთა სამყოფში უნდა გადასახლდეს.

ერთადერთი კანონი, რომელსაც ბოსფორის ქვეყნის უპირო გამგებელი უცილობლად იცავდა, სიკვდილმისჯილისათვის მიცემული სიტყვის შესრულება იყო, და ამას იმიტომ სჩადიოდა, რომ ღრმად სწამდა — ღმერთთა მამა და ადამიანთა წესჩვეულების დამდგენელი ზევის გვირგვინოსნებს ორად ორ ცოდვას არ პატიობდა — მისი სახელობის ტაძარში კაცის კვლას და მომაკვდავისათვის მიცემული პირობის დალატს.

ყოველივე ეს დროოდესათვის, ზენონის შემწეობით, კარგა დიდი ხნის წინ იყო ცნობილი.

— მეტისმეტად გრძელი და ბუნდოვანი ამბავია, — თავის დაძვრუნა სცადა პერისადმა. — დიდ დროს მოითხოვს.

დროოდემ მრავლისმეტყველად თხიბო.

— ხელმწიფის საპატიო სტუმარს არსად ეჩქარება, — ამცნო, კვლავინდებურად სავარძელს მიუბრუნდა, თავხედურად გადაწვა და წამობერილ მუცელზე ერთიმეორეს გადაჭდობილი ხელისმტევნები შემოიწყო.

გვირგვინოსანი სატრაპეზოში ბოლთის ცემას მოჰყვა. შემოსასვლელთან წამით ყოვნდებოდა და ჰერის იმ კუთხეს ასცქეროდა, სადაც ობობას სიმეტრიული ქსელი ჩამავალი მზის შუქზე ვერცხლისფრად ბზინავდა.

— მრავლისმცოდნე ბერძენს ჰგონია, რომ ორთავიანი დრაკონი მექანიკური ქმნილებაა? — უხალისოდ ამოღერდა სათქმელი პერისადმა.

დროოდემ ორი თითი ჩაპყო თასში და მერე გამშრალ ტუჩებზე მოისვა.

— ბოლო დღემდე, — აღიარა მან, — ახლა კი თვალნათლივ დარწმუნდა, რომ კიანფა ცოცხალი არსებობს.

-- ამასთანავე ყოველ არსებაზე დღეგრძელი, — ერთგვარი სიამაყით დაურთო გვირგვინოსანმა, რომლის კუთვნილებასაც წარმოადგენდა ქვესკნელის ეს საშინელება — ურჩხული ათ საუკუნეს სულდგმულობს და ამჟამად დაახლოებით შვიდასი წლისაა.

მოხუცმა არქიტექტორმა გაცემის ნიშნად პირი გააწყლაპუნა.

— ათასი წელი? — შეუნიღბავი შურით წარმოთქვა, — ბოროტების განსახიერება სიკეთეზე ხანგრძლივი ყოფილა.

— ასე ინებეს ღმერთებმა, — მშვიდად დაუდასტურა ხელმწიფემ, — მარსის ნაბუშარი თითქმის უკვდავების თანაზიარია.

დროოდემ წინ წამოიხარა, მელოტი თავის ქალა მოიქექა, დალილი მხერით გახედა ზურგმიქცეულ გვირგვინოსანს. „ნუთუ კვლავაც ცრუობს?“ — ეჭვით ვაიფიქრა, მაგრამ უცბადვე უარყო.

— ოლიმპოელთა შორის მარსი ყვე-

ლაზე დაუნდობელია, — სხვათა შორის აღნიშნა, — მის სურვილსა და ნამოქმედარს უბედურების მეტი არაა მოაქვს ადამიანისათვის, ამიტომაცაა მისი ნაშეიერი ეგზომ საზარელი, იგი ომისა და სიკვდილის ცოცხალი სახეა.

ბოსფორის მპრძანებელი ხელმეორედ დაებჯინა სტუმრის სავარძელს, ტუჩები ყურთან მიუტანა და მწვრთნელის ინტონაციითა და ორატორთა შესაშური ოსტატობით აღმოთქვა:

— ომია ყოველივეს მამა და ყველაფრის შემოქმედი, ზოგს მან ღმერთებად ყოფნა განუსაზღვრა, სხვებს — ადამიანებად, ზოგნი მონებად გახადა, სხვები — თავისუფლებად. ეს შეგონება საუკუნის წინ პერაკლიტე ეფესელმა გვასწავლა, კაცმა, რომელსაც ფილოსოფოსთა შორის დღესაც არ მოეპოვება ტოლ-სწორი.

პერისადმა ახლა დრიოდეს მხრებზე გადაანაცვლა ხელისგულები და ისე განაგრძო:

— განა თვით უდიდესი ღმერთები ტიტანებთან უებრო ბრძოლით არ დამკვიდრდნენ ოლიმპოზე და საოცარი სიჩაუქითა და თავდადებით არ მოიპოვეს უკვდავება?!

დრიოდემ რალაც ამოიხრიალა, უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა, მერე ხმამაღლა ჩაახველა და ხრინწი ჩაიწმინდა.

— იქნებ ასეც იყოს, — ნაწილობრივ დაეთანხმა, — მაგრამ იქ, კეთილისა და ბოროტის გარდაუვალ ჭიდილში, ნათელმა და ცეცხლმა დათრგუნა ბნელეთის ძალები, ასეთი ომი კი საპატიოა და თავისი შედეგით მთელი სამყაროსათვის სასურველიც.

თვალანთებულმა გვირგვინოსანმა წინ მკდომ ბერკაცს მძლავრად ჩაუჭირა თითები ლავიწის ძვლებში.

— ტიტანებს რომ გაემარჯვათ? — აბუჩამგდები ინტონაციით შეაპარა, — როგორ ფიქრობს დიდი ხუროთმოძღვარი, ვის მიაკუთვნებდნენ მაშინ ადამიანები ნათელსმქმნელის, არწივისა და მეხთამტყორცნის ატრიბუ-

ტებს, ანდა ვის აღუვლენდნენ დიორამებზე?

აქ ხელმწიფემ ბეკდიანი თითი, როგორც გონებაბნელ მოწაფეს, რამდენჯერმე მსუბუქად ჩაუტაკუნა კეფაში დრიოდესს.

— რალა თქმა უნდა, გამარჯვებულს, — სისინით დაურთო და შემდეგ დამარცვლითა და შეგონებით გაუმეორა — გამარჯვებულს!

ბოსფორის განმგებლის ჩვეული სახეცვლილებით შემცბარი არქიტექტორი, თავის ქიციანით დაეთანხმა.

— საუბედუროდ, სრული ჭეშმარიტებაა, მხოლოდ ერთიცაა, ენა ხშირად ემორჩილება მსახვრალ მარჯვენას, მაშინ, როდესაც გონება მარადეამს უარყოფს მას.

— დამარცხებულისა და დათრგუნვილის გონება, — განუმარტა გვირგვინოსანმა, — დიდი არქიტექტორი რომ სრული ძალაუფლებით აღჭურვილი მპრძანებელი ყოფილიყო, მაშინ სხვაგვარად განსჯიდა ყოველივეს და არა თუ ორთავიანი, ცხრათავა ურჩხულის ქვეშევრდომობასაც უტოქმანოდ მიიღებდა, გამოიყენებდა და ღმერთების კეთილ ნება-სურვილად აღიარებდა.

ბერძენ ხუროთმოძღვარს კვლავინდებურად ძველმა ეჭვმა გაუელვა გონებაში, იმ აუხსნელმა და ფართულმა საიდუმლომ, რომელსაც გუმანით და რომელიღაც უცნობი ვრძნობით აღიქვამდა.

— რატომ არგუნა აპოლონმა კიანფა მაინცდამაინც ბოსფორის განმგებელ არქონტებს და არა ათენის, სპარტის, ანდა კორინთოს ხელისუფალთ, რომელნიც მსხვერპლსაც უმეტესი გულუხვობით სწირავენ და ტაძარ-საკურთხევლთაც უფრო მდიდრულს უგებენ.

პერისადმა მაგიდასთან ჩვეული ადგილი დაიჭირა, სავარძლის კიდზე ჩამოჯდა და თითებიც მონაცვლეობით, ერთიმეორის მიყოლებით აატაკუნა. „უმჯობესია ლაკონიური და მოკლე პასუხები. გავცე, — მიაგნო გამოსა-

ვალს, — დროსაც მოვიგებ და, რაც უმთავრესია, აღარც ფიცს გავებტბ“.

— უფლისწულობის ხანაში დიდი ლეკონ პირველის მემკვიდრემ იგი თავად მოიპოვა და მოითვინიერა, — უზენაეს მსაჯულივით ამცნო.

— სად? — გაისმა დრიოდეს მოუთმენელი კითხვა.

— უერცესი და უმძლავრესი სახელმწიფოს ინდოეთის მოსაზღვრე ერთ პატარა ქვეყანაში, რომელიც სამყაროს უმადლესი მთებითაა შემოჭარული, მათთან შეფარდებით ოლიმპო ტანსრულ ბორცვად თუ გამოჩნდებოდა.

— ვის ეკუთვნოდა კიანფა?

— წარმართთა ქურუმებს.

ხუროთმოძღვარმა მეტისმეტი მღვლევარებისაგან დაასლოცა.

— რატომ დათმეს? — გაიოცა.

— ასეთ საგანძურს საკუთარი ნებასურვილით არავინ შეეღევა, — ცალკეად გაიღმა პერისადმა, — ბოსფორის ტახტის მემკვიდრემ მას ადამიანის სისხლი და ხორცი აგმა და ურჩხულიც მისი მონა-მორჩილი შეიქნა.

დრიოდეს ღრმა ნათქვამით დაეღარა მაღალი შუბლი, „ჭერ არა — გაიფიქრა. — აღელვების ქამს უნდა შევიტყუელო“.

— არც ერთ მოკვდავს გვირგვინოსანის ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ შეეპარება, მაგრამ მოსმენილის განსჯით კიანფა წარმართთა ღმერთის ნაშიერი უფროა, ვიდრე ჭეშმარიტისა.

პერისადმა კვლავაც სატრაპეზოს კუთხეს მიაპყრო გამოციხებული ჭროლა თვალები, სადაც აბლაბუდაში ულამაზესი პეპელა გახლართულიყო, ხოლო გრძელფეხება ყავისფერი ობობა შორიახლო გარინდულიყო და უმწეოდ აფართხალებულ მსხვერპლს უთვალთვალებდა.

— ქურუმთა სამლოცველოს წიგნსაცავში არსებობდა უძველესი ბერძნული ხელნაწერი, რომელიც მკითხველს ამცნობდა ორთავიანი დრაკონის წარმომავლობას, ძალას, შესაძლებლობებს, იმასაც, რომ იგი აპოლონმა დათრგუნა,

შებოჭა და სამყაროს უმადლესი მარადყინულოვანი მწვერვალის ქვეშ შეამწყვდია. პერგამენტზე შესრულებულ იმ ტექსტში; რომელიც, უდავოდ, რომელიცა უკვდავის ხელითაა შექმნილი, კიდევ მრავალი ცნობაა მოცემული, მათ შორის ისიც, თუ როგორ და რა გზით თვინიერდება კიანფა.

მოხუცმა არქიტექტორმა არდაჭერების ნიშნად ხელები გაშალა, — რატომ არ გამოიყენეს ტექსტი ქურუმებმა?

პერისადმა დაცინვით გადახედა.

— მათ არ იცოდნენ ოქროს ხანის ძველებერძული იეროგლიფები, ამ ენის სრულყოფილად შესწავლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

— სად არის ამჟამად ეტრატი? — დაინტერესდა ხუროთმოძღვარი.

— იგი ურჩხულის მფლობელის საკუთრებაა, — თავმოწმონედ განაცხადა გვირგვინოსანმა და შუათითი მკერდზე ამაყად მიიბჯინა.

მუქი ყავისფერი ობობა საკმაოდ დიდხანს შეყოვნდა ფრთახატულა პეპლის სიახლოვეს, თითქოს ჰკვირობდა, ეს რა მშვენიერება უჩუქებია ჩემთვის განგებასო, შემდეგ ხარბი სისწრაფით დააცხრა, ზედ გადააჭდა, საცეცები ფრთებზე გადააჭდო, შებორცა, გააკავა და ნება-ნება, აუჩქარებლად იწყო შებოჭილის სხეულიდან სისხლისა და სიცოცხლის გამოწოვა.

პერისადმა უსაშველო, ენით გამოუთქმელი ნეტარება იგრძნო. „ო, რა ბედნიერია ახლა იგი“. შურნარევი სადიზმით გაიფიქრა.

ბერძენ ხუროთმოძღვარს კი უფრო და უფრო უღვივდებოდა ცნობისწადილი.

— იმ რვა წლის განმავლობაში, რაც სახელმწიფოს პირველი არქიტექტორი მეფეთა სამარხებსა და ლაბირინთს ქმნიდა, ბოსფორის განმგებლებმა ოცამდე დიდი და მცირე ომი გადაიხადეს, რატომ არ გამოიყენეს ბრძოლებში ურჩხული? ხომ ნათელია, რომ მისი საომარ ველზე გამოჩენაც კი შიშის



ზარს დასცემდა და უკუაქცევდა ნებისმიერი ქვეყნის ლაშქარს.

პერისადს, თითქოს ამ კითხვას ელოდაო, უეცრად წამოუარა ბნელის მსგავსმა სიშმაგემ, თვალები ბუდეებიდან გადმოუცვივდა, პირზე დუფი მოადგა და წარმოუდგენელი მწივიანა ხმით აკივლდა.

— ბოსფორის სახელმწიფო უძლეველია, სწორუპოვარი და შეუდარებელი, მას ღირსეული მოწინააღმდეგეც კი არა ჰყავს, ნებისმიერი სახელმწიფოს დამარცხებაც გაუჭირვებლად შეუძლია, თვით ფილიპე მაკედონელისაც კი და ამისათვის სრულებითაც არ ესაჭიროება კიანფას დახმარება!

ექსტაზში შესული გვირგვინოსანი, ალბათ, კიდევ დიდხანს გააგრძელებდა ამ ტირადას, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი, მან უეცრად დროოდეს გადახელი და იქ, დამფრთხალი და მობუზული არქიტექტორის ნაცვლად, ღიმ-მორეული და სატირითი დამცინავად მომზირალი ბერიკაცი შერჩა, რომელიც სავარძელში ნებიერად გამოტილიყო, თავიც გვერდზე გადაეხარა და ამ პოზით პირდაპირ მიანიშნებდა, „ეგ ოინბაზობები ცხვირის დაცემინებაზე მეტად არ მაშინებსო“.

პერისადი ისევ უცბად დაწყნარდა, როგორც გაცოფდა და გაცუცურაკეზაც ტუჩებზე კბენასა და ყბის კუნთების დაძაგვრაზე შეეცყო.

— ორთავიანი დრაკონი არ არის საომრად და საბრძოლველად მოვლენილი, არსება, ასეთია ზემდგომთა ნებასურვილი, — ხელმწიფემ ეს ყოველივე ისეთი თვალშისაცემი დარცხვენიტ განაცხადა, თითქოს შეეყვარებულ ქალს საკუთარ არასრულფასოვნებას უმელავნებო. — თვით მარსმა, მისმა ჩამსახველმა, ინება ასე, რადგან კინფას უპირველესი დანიშნულება შთამომავლობის შექმნაა.

— შთამომავლობის შექმნა? — აღშფოთდა დროოდე. — ნუთუ ღმერთებმა ასეთი საშინელი სიმახინჯე გამრავლების ღირსად სცნეს?!  
ტირანმა უხმოდ ჩაიჭირქილა, მას უკვე სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა იმ საიდუმლოს გამჟღავნება, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში მართლმართო ინახავდა.

— ის ვერ გამრავლდება, მხოლოდ განმეორდება, — მშვიდად აუწყა თანამოსაუბრეს, — ასე გვამცნობს ხელნაწერი, და ეს მისი ათასწლოვანების შესრულების დამეს მოხდება, როცა კიანფა ორ ურჩხულად გაიყოფა, ხოლო გამთენიისას საზარელ სამკვედრო-სასიყვარულო პიდილში კვლავ შეერთდება, შენივთდება და აითქვიფება. ეს უმცინვარესი შერკინება იქნება მისი აღსასრული და ახალი ურჩხულის ჩასახვა-დაბადება, რომელიც დროთა განმავლობაში მშობელზე გაცილებით მძლავრი, საშინელი და დაუნდობელი იქნება.

„რალა უნდა იყოს ახლანდელზე ამაზრზენი და სისხლმოსურნე?“ მხოლოდ ეს გაიაზრა ბერძენმა ხუროთმოძღვარმა და წარმოდგენისთანავე ზიზლით გააყრეოლა.

პერისადმა კი განაგრძო:

— თუმცალა არც ის იქნება ომისშემდეგ, ეს მისია მესამე თაობის კიანფას დაეკისრება, უძლეველ ყავისფერ დრაკონს, განგების ნებით იგი დაიპყრობს და დაიმონებს მთელ მსოფლიოს, ხოლო თუ მისი მფლობელისა და პატრონის სურვილიც იქნება, ერთიანად გადაბუგავს და იავარქმნის სახელმწიფოებსა და ერებს.

— როდის მოხდება ეს? — თვალბემოწყურვით იკითხა დროოდემ, კვლავ ღვინის თასს გადასწვდა და ვიდრე მოსვამდა, გადაწყვიტა: „უკვე დროა“.

გვირგვინოსანი მოუგონარი აღგზნებით წამოიმართა, მომავლის წარმოსახვით ანთებული გონება სრულიად უხატავდა, რასაც მოიმოქმედებდა ყოვლისშემძლე ურჩხული და როგორი განუზომელი ძალაუფლებით იქნებოდა აღუჭურვილი მისი პატრონი.

— ოცი საუკუნისა და ორას ორმოცდაათი წლის შემდეგ, — ისეთი სისწრაფით მიუგო, რომ ნათლად ჩანდა, ეს

თარიღი მრავალგზის ჰქონდა გამოთვლილი და დაზეპირებული, — ეტრატი იმასაც გვამცნობს, — აცახცახებული ხელის შემართებით განაგრძო პერისადმა, — რომ უძლეველი დრაკონი სიცოცხლის ბოლო ორმოცდაათ წელს ქვეყნების დამორჩილებას მონადომებს და მისი შემწეობით შეიქმნება მარადიული ათასწლოვანი იმპერია, რომელსაც ერთადერთი ღმერთი ეყოლება და ის... მე მემგვანება... ჩემი, პერისად პირველის ზუსტი ასლი იქნება.

ბოსფორის მბრძანებელმა სიტყვა უეცრად გაწყვიტა, ნიკაპადერილი ამყად გაიჭვინტა, წინ გაშვერილი მარჯვენა რისხვით მომუშტა და ზეცას დაემუქრა.

„აღზევებული დესპოტის მკრებელობას ზღვარი არ გააჩნია, — აღშფოთებით აღნიშნა დრიოდემ, — მას ტიტანთა მკორე ომი და ბოროტების გაღმერთება სურს და რომ შეეძლოს, ამ სიგიჟეს დაუფიქრებლად ანაცვალებს კაცობრიობას“.

— აი, თურმე რატომ აქვს კიანფას ოქროსფერი თვალები, — მოჩვენებითი აღფრთოვანებით შეაპარა მთავარი სათქმელი, — მან ცეცხლოვანი მზერით თვით მზე უნდა დააბნელოს!

— ეს გარდაუვალა! — შეშლილის ხმით იღრიალა პერისადმა, — ცეცხლით დაითრგუნება ყოველივე და სამყაროს ახალი მნათობი გაანათებს, შავი მნათობი!

„ტირანი ფერთა განურჩევლობითაა დაავადებული, — უეცრად განჰკვირტა დიოდემ და ამ აღმოჩენამ ბუნდოვანი, ჭრე გაუთვითცნობიერებელი სიხარული მოჰგვარა, — ქეშმარიტად ასეა; — დაასკვნა შემდგომ, — ცეცხლში ხომ შვიდი ფერია, იგი კი მხოლოდ ერთს ჰხედავს, აი თურმე რატომ მაგონებდა მისი შემოხედვა ორთავიანი ურჩხულის მზერას, მაშასადამე, კიანფაც... პერისადივით... სრულყოფილად მხოლოდ ცეცხლისფერს ხედავს და...“ — ლარივით სწორხაზოვანმა აზრმა მოხუცი არქიტექტორი ადგილზე შეატოკა და თით-

ქოს ზებუნებრივმა ძალამ ცინცხალი იდვით გაუნათა გონება.

ბოსფორის განმგებელი გველნაქენივით შემობრუნდა.

— გაიძვერა ხუროთმოძღვარი რაღაც ისეთს მიხვდა, რაც ჩემთვისაც უცნობია, — თითის მიშვერით დაიხავლა მან. — რაღაცას ისეთს... რაც საფრთხეს მიქმნის...

მაგრამ რას... რას? — თავისთავს ჩაეკითხა და ჩაფიქრდა, გაირინდა, თვალელები მილულა, — რას მიხვდა ეს ბებერი გაიძვერა?

დრიოდემ კი იღიმებოდა, ნათელი ეფინა სახეზე.

— ზენონ, — უეცრად იღრიალა ხელმწიფემ, — ჯალათი!

და ვიდრე მისი ბრძანება შესრულდებოდა, ბერძენ ხუროთმოძღვარს ერთადერთი შეეკითხვა მისცა.

— სურს თუ არა ხელმწიფის უპირველეს მეგობარს უმტკივნეულო აღსასრული?

— მთელი სიცოცხლე მაგაზე ოცნებობს, — მკერდზე ხელის მიდებითა და თავისდახრით მიუგო დრიოდემ, — ამიტომაც გაამხელს იგი უცნობი ხერხის საიდუმლოს, თუმცა მხოლოდ განთიადისას, რადგან შეღამებულზე იქ აღწევა შეუძლებელია.

თეთრწვერა, სუსტი აღნაგობის, ნატიფხელებიან ჯალათს ვარსკვლავთმრიცხველის ბრძნული და სათნო იერსაზე ჰქონდა.

— არაოაობამ იცის ის, რაც ღმერთის სადარმაც არ უწყის, — შემოსვლისთანავე ამცნო მბრძანებელმა.

— ესე იგი, ენა ამოვადგმევიწნოთ, — წყნარად დაადგინა თეთრწვერამ და ფუთაში გამოკრული საზარელი ხელსაწყოები დრიოდეს ფეხებთან გაშალა.

— პირიქით, — შეუსწორა გვირგვინოსანმა.

ზენონმა სავარძელში მშვიდად მჯდომ არქიტექტორს მკლავები ზურგს უკან გადააწყობინა და გაუკავა. ჯალათმა პირი გააღებინა, ყბებში ხის სოლები ჩაუღო, ენა ამოუქაჩა, ზედ ცხენის ძუის



ყულფი ჩამოაცვა. ნასკვის ბოლოებზე  
ცერა თითებზე დაიხვია; გაკვრით გაპ-  
ქაჩა და მოხუც ხუროთმოძღვარს ენა  
თითქმის უმტკივნეულოდ წაჰკვეთა.

— ამქვეყნად მუნჯები და მკვდრები  
ყველაზე სანდონი არიან, — ცალყბა-  
ლიმილით აღნიშნა პერისადმა, გულწა-  
ული დროოდეს მოვლა-პატრონობა ზე-  
ნონს დაავალა და ხელმწიფური ნაბი-  
ჯით მოსასვენებლად წაბრძანდა.

ბოსფორის მპყრობელს ჭერაც არ  
ჰქონდა კარი ბოლომდე გახურული,  
რომ უენო არქიტექტორმა თვალი გაა-  
ხილა და თავზე მდგომ თანამომძმეს ორი  
თითით საიდუმლოდ რაღაც ანიშნა.

ზენონმა თანხმობის ნიშნად თავი  
დაუქნია.



...ყველას... ყველას... ყველას... მთელ  
საბჭოთა ხალხს, სრულიად მსოფლიოს!  
ჩვენ, ქერჩის დამცველები, ფაშისტების  
მხუთავი გაზებისაგან ვიხრჩობით. ვი-  
ხოცებით, მაგრამ ტყვედ არ ვნებდებით.  
სიკვდილი მეტისმეტად ძლიერია, მა-  
გრამ თავისუფლების სიყვარული — უძ-  
ლეველი!

ეს სიტყვები ხანინმა შხამის მორევი-  
დან გამოსვლისთანავე უკარნახა რა-  
დისტ ბელგოვსკის და ღია კოდით მისი  
ეთერში გადაცემა უბრძანა.

ამ დროს უფარაჯო ჯარისკაცი ჰოს-  
პიტალს უახლოვდებოდა და გვირაბის  
კედელზე ხელის ცეცებით შესავალ  
კარს ეძებდა.

„გარნიზონის უფროსის ბრძანება  
უქველად უნდა შესრულდეს, — ფი-  
ქრობდა გზადაგზა, — როგორც ჩანს,  
ფონ ბაბენბერგი ისეთი პიროვნებაა,  
რომლის გადარჩენა და სიცოცხლის შე-  
ნარჩუნება აუცილებელია“.

კოტაოდენი ხნის შემდეგ იმ ფარდა-  
გსაც მიაგნო, რომელიც აქეთობისას  
თავადვე ჩამოგლიჯა, სამი თუ ოთხი  
საფეხური ბორძიკით ჩაიარა და ლაზა-  
რეთში შევიდა.

პირველხანად ვერაფერი გაარჩია,  
მხოლოდ გაუშვიკრავალი ბურუსი აღი-

ქვა, შემდეგ მტვერივით აბუქებულ  
კორიანტლის მიღმა აქა-იქ სინათლის-  
მაგვარი ალი გამოკრთა და მაშინლა  
გაახსენდა. მისი აქ ყოფნის დროს,  
ვრცელი საკანის კუთხეებსა და კედლე-  
ბში ამოკვეთილ ნიშებში ჭრაქები და  
სხვადასხვა ზომის ნაეთქურები რომ  
იყო შედგმული.

ჯარისკაცმა მხედველობა დაძაბა, ბუ-  
რუსს თვალი შეაგუა და, როგორც  
დროუჟამისაგან ჩამუქებულ ძველ ტი-  
ლოს ჩაჩერებულმა რესტავრატორმა,  
აღამიანთა სხეულების ბუნდოვანი კო-  
ნტურები გამოაჩინა.

ადრე, როდესაც ფაშისტებმა ლაბი-  
რინთის ჭერი ფუგასური ბომბებით  
ააფეთქეს და ლტოლვილთა ცოცხლად  
ჩაქოლვის ოპერაცია განახორციელეს,  
ქირურგმა ოგანეზოვმა ხანინს საომარი  
იარაღისათვის განკუთვნილი საწყობის  
გათავისუფლება და სალაზარეთოდ და-  
თმობა სთხოვა, რადგან ის საკანი ყველა  
სხვაზე ვრცელი იყო და, რაც კიდევ  
უფრო მნიშვნელოვანია, ისეთ სიღრმე-  
ზე მდებარეობდა, რომ მისი მასიური  
ჭერის გარღვევა-ჩამოქცევას ვერც ერ-  
თი ჭურვი და ნაღმი ვერ შეძლებდა.

გარნიზონის უფროსი უყოყმანოდ და-  
თანხმდა, რადგან მტერთან უიარაღოდ  
ბრძოლა დასაშვებად მიაჩნდა, უადამიან-  
ებოდ კი — შეუძლებლად.

მაგრამ ის, რასაც ასზე მეტი დაჭრი-  
ლი მეზობელი უნდა დაეცვა — საკანის  
სიღრმე და სიმტკიცე, საბოლოოდ სა-  
ბედისწერო აღმოჩნდა მათთვის.

მთავარი ქვაბურიდან მდინარესავით  
წამოსული შხამიანი ვაზი ჰაერზე მძი-  
მე აღმოჩნდა, ამიტომაც უპირველესად  
კატაკომბების ფსკერს გაჰყვა, სიღრმე-  
ებს მიაშურა, იქ ჩაილექა და ვიდრე ალ-  
ყაშემორტყმულნი გონს მოსვლას და  
განიწრულთა დახმარებას მოასწრებდ-  
ნენ, მძიმედ დაჭრილთა ლაზარეთში შე-  
ცოცდა, კედელმორღვეული ბუხრიდან  
გამომდინარე კვამლივით შეიხრჩოლა  
და სამიოდ წუთში მიწისქვეშა ჰოსპი-  
ტალი ჭერამდე ამოავსო.

მოწყალეების დებმა და ექიმებმა სამ-



შვილობის მხოლოდ თითო კაცის გაყვანა მოასწრეს და უკან მობრუნებულები თავდაც იმ კბილებდაკრეკილი ჩონჩხის მსხვერპლნი შეიქმნენ, რომლის მსახვრალი ცელისაგან თანამოძმეთა გარიდებას ცდილობდნენ.

სურათს, რომელიც უფარაჯო ჯარისკაცის თვალწინ თანდათანობით იკვეთებოდა და ცხადდებოდა, ვერც ბართლომეს ლამის მომწყობი წარმოიდგენდა და ვერც პომპეის უკანასკნელ დღის ავტორი შექმნიდა, რადგან იგი სამი ყველაზე საშინელი გეჰენიის — სიკვდილის, ფაშოზმის და ბოროტების ერთობლივი ქმნილება იყო, მოლურჯო, მოყავისფრო და სისხლისფერ ტონებში შესრულებული და გადაწყვეტილი.

ყოველივე იყო უგრძობი, უძრავი და სამარადეამოდ გაყინული. მხოლოდ ხარკმიღებულნი მხუთავი გაზო მოძრაობდა ოდნავ შესამჩნევად, მძიმედ აღიჩადიოდა, როგორც მსხვერპლის ხორციით ამოყორილი და სისხლით დარწყულებული ალიგატორის სტომაქი.

ჯარისკაცის გონება უარობდა იმის შეგნებას და აღქმას, რასაც თვალი ხედავდა და ამიტომაც, როგორც იქ — ქერჩის სრუტესთან მომხდარ უბედურებასთან პირველშეყრისას, ახლაც გაოგნებისაგან თვითუნებურად ჩაიშუხლა და კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოჯდა.

მძიმედ დაჭრილი, ახლა უკვე სულამოხდილი მებრძოლები საწოლებიდან გამომოცვნილიყვნენ, აგონიაში მყოფთ სახვევები ჩამოებდღვნათ და არტახები დაეგლიჯათ, მათ შიშველ, დაკრუნჩხულ დაკვართულ სხეულებზე სისხლშედებულ იარებს კი ბრალმდებლებივით დახსნოდით პირები.

ქირურგი ოგანეზოვი გადაბრუნებულ საოპერაციო მაგიდასთან ჩაჩოქილიყო, ზურგგადადრეკილი იმავე მაგიდის საბიჯეს მიყრდნობოდა, მორკალურ მკლავებზე ახალგაზრდა, ქერათმიანი ქალი ესვენა, რომელსაც ნაღმისაგან ერთიანად დაბდღვნილი და დაჩქეპილი მარცხენა ფეხი ნახევრად მოკვეთილი ჰქონდა.

საწოლებს შორის, ლაზარეთის საკენ მიმავალ გასასვლელში, ქვის იატაკზე ორი მეზღვაური იყო გაშეშებული. ერთს, — ჭალარას, თვალებზე დოლბანდი ეკრა, მეორე მკერდამდე თაბაშირში იყო გამოკრული, ერთიმეორისათვის მკლავები გადაეხვიათ და საფეთქლებით შეტყუებულყვნენ. ნათლად ჩანდა, ბოლო წამამდე ბრმა წელმოწყვეტილს მიათრევდა, ხოლო წელმოწყვეტილი ბრმას შველოდა გზის გაგნებაში, სიკვდილსაც ვერ დაეშორებინა ერთმანეთისათვის.

აქ ყველაფერი არაბუნებრივი და არარეალური ჩანდა.

ყოველ მოვლენას აქვს თავისი სახე და რომელიმე კანონს თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც ემორჩილება; ასეა თვით ყოვლისშემძლე სიკვდილიც, და ადამიანი, რომელიც ვერასოდეს ეგუება გარდაუვალს, შინაგანი განსჯითა და მრწამსით უმეტესწილად მაინც აღიარებს მის ცხოვრებისეულ არსებობას — სარეცელში გარდაცვლილი ახლობელის დატირებისას, კუბოში ჩასვენებული ულამაზესი ასულის ხილვისას თუ ბავშვის ტრაგიკულად დაღუპვის ამბის მოსმენისას.

იქნებ მორგში მომუშავე ექსპერტ-პისტილოგისათვის ანდა მოხუცი მესაფლავისათვის! უფარაჯო ჯარისკაცის თვალნათლივ ხილული სურათი პირველი წამებიდანვე სიკვდილთან შეხვედრა ყოფილიყო, მაგრამ ოცი წლის ჭაბუკისათვის იგი უფრო საშინელი და საზარელი რამ აღმოჩნდა, რადგან აღსასრულის შესახებ მის გონებაში არსებულ არც ერთ წარმოდგენასა და წარმოსახვას არ ექვემდებარებოდა.

ასზე მეტი გონიერი არსება — ზრდასრული თუ მოზარდი, ქალი და კაცი ერთი სულსმოთქმასავით მოესპოთ, გაეთანგათ, დაეხრჩოთ, თითქოს მათი სამყოფი ჰაერი დედამიწაზე აღარ არსებულოყო, ანდა ვიღაცას, როგორც თავისი საკუთრება, მათთვის დანანებოდა და ძალით წაერთმია.

სრულიად მოულოდნელად და უად-

გილოდ ჯარისკაცს გუბურაში ჩაფარდნილი მწერი გაასენდა, ბალახის ღეროს ჩაქიდებული უმწეოდ რომ ასხმართალებდა სუსტ კიდურებს; მასთან ერთად ზეცაში ღრუბელთა ნელი მონაცვლეობაც თვალწინ დაუდგა და როგორც მაშინ, ახლაც კისერი მალეების ტრევილამდე დაჭიმა და ბუნაგდანგრეული მგელივით გაბმით დაიკმეულა, მხოლოდ ამჟამად ამ არააადამიანურმა ხმამ თავადვე შეაერთო და გამოაფხიზლა.

„რა არის ეს, — აზროკრებილმა გაიფიქრა, — მოჩვენება, კოშმარი თუ სინამდვილე?“

და იმავ წამს მიხვდა, შეიგრძნო და ირწმუნა, რომ ყოველივე, რასაც ამჟამად ხედავდა უკვე მომხდარი, დაკონკრეტებული და ცხადლივ არსებული ფაქტი იყო.

რომელიღაც უცნობმა ძალამ თუ შინაგანმა იმპულსმა ნელ-ნელა წამოზიდა, მუხლებში გამართა და წინ, ლაზარეთის სიღრმისაკენ უბიძგა, თუმცა ხედებოდა, რომ იქ აღარაფერი ესაქმებოდა, და მაინც მექანიკურ კაცუნასავით გადადგა ნაბიჯები და, როგორც საშინელებათა მუზეუმში მყოფი დამთვალეირებელი, გუგებგაფართოებული, თვალდაუხამხამებლად შეაკაქერდა თვითეულ ექსპონატს.

ყოველგან ერთი და იგივე ბოროტების ზეიმის თემა მეორდებოდა — „წამებით სულის ამოხდომა“, მხოლოდ ფორმა იყო სხვადასხვაგვარი — ინდივიდუალური.

ფონ ბაბენბერგის საწოლის თავთან, ქანგიან რიკულში ხელგაყრილი მფრინავი იდგა, ოდნავ ჩამუხლული, მკერდით მიბჯენოდა რკინას, ენით უთქმელი ტანჯვა აღბეჭდვოდა სახეზე, ცერა თითი მომუწულ პირში მოექცია, საჩვენებელი ახლად მოკვნიტილი ჰქონდა, მარცხენა ხელში ცალხაზიანი რვეულის ფურცელი ჩაებლუჯა და ისეთნაირად გაეშვირა, თითქოს ვილაცას ეხვეწებოდა, გამომართვიო.

უფარაჯო ჯარისკაცსაც ასე მოეჩვენა,

ნა, ძალისძალით გაუხსნა მუშტები და ფურცელს დახედა.

— საყვარელო დედა! — იწყებოდა ნახევრად დაწერილი ბარათი და ათიოდე წინადადების შემდეგ დაუმთავრებელ ფრაზაზე მთავრდებოდა, — ახლა იმედი მაქვს...

„რატომ შეწყდა მაინცდამაინც ამ სიტყვებზე, — ბუნდოვნად, თითქოს რაღაც მაგიური აზრის ამოხსნის სურვილით გაიფიქრა უფარაჯომ და ცოტაოდენი დახანების შემდეგ დაადგინა, — კი არ შეწყდა... დამთავრდა“.

მფრინავს, რომელიც, შესაძლოა, მისი ხნისაც არ იყო, კიტელის ჯიბიდან საბუთები ამოუღო და, ბარათთან ერთად, გულის ჯიბეში ჩაიჩურთა.

ფონ ბაბენბერგს ძალისმიერი სიკვდილისა არაფერი ეტყობოდა, გულხელდაკრეფილი და გაშოტილი იწვია, თავსახვევიც ადგილზე ჰქონდა და თითქოს ლოცვაში გაიპარაო, უგრძნობი მშერაჰერისათვის მიეციებინა.

იმ ბოროტმოქმედვით, რომელმაც განზრახული სისხლიანი საქმე ჩაიდინა და დანაშაულის ადგილიდან ყველასაგან შეუუმჩნევლად, ჩქამდაუტდენლად გაიბურწა, შხამიანი ნისლიც ისე გაქრა, თითქოს აორთქლდა, ანდა კედლებს შეესრუტაო, უფარაჯო ჯარისკაცმა კიდევ უფრო ნათლად აღიქვა საწოლზე გართმული მიცვალებულის სახე, დიანახა და, გაოცების ილაჯი რომ ჰქონოდა, ასეც დაემართებოდა, რადგან დედამიწის ზურგზე აქამდე ერთადერთი ადამიანი ეგულეებოდა, ვისაც ანალოგიური თვალის კაკლები გააჩნდა.

გერმანელ არისტოკრატს მარცხენა თვალი მაისის უღრუბლო ცასავით ლურჯი და კამკამა ჰქონდა, ხოლო მარჯვენა — უმთვარო ღამესავით შავი და ამასთანავე კარბონატივით გამკვირვალე.

„რატომ ცდილობდა ხანინი ამ კაცის გადარჩენას, ანდა რას წარმოადგენდა იგი გარნიზონის უფროსისათვის?“ — ცნობისწადილით გაიფიქრა უფარაჯომ, მოიხარა, გაშლილი ხელისგული

მკვდარს წარბებიდან ქუთუთოებში ჩამოუსვა და თვალები დაუხუჭა.

შიშის გრძნობა ყოველ არსებას აქვს, ადამიანს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად და, მიუხედავად ამისა, თვით თავის მოკვლის სურვილით გონებაანთებულ კაცსაც კი, რომელიც უფსკრულს მისდგომია და გადახტომას აპირებს, ვინმემ რომ უეცრად შეუყვიროს, უეჭველად ისიც შეკრთება და ინსტიქტურად სხეულში შიშის ქრუანტელი დაუვლის.

ასე დაემართა უფარაჯო ჯარისკაცსაც, როდესაც ფონ ბაბენბერგმა ხელის მოცილებისთანავე კვლავ გაახილა თვალები და ჰერს კი არა, პირდაპირ თავზე მდგომს აპხედა.

— რატომ იყო ასეთი საშინელი ღრი-ალი? — მშვიდად იკითხა, — რა მოხდა?!

უფარაჯოს ენა სასაზე მიეკრო, თითქმის მიეწება, გათავისუფლება სცადა, ქვედა ყბაც მოახმარა, ააკაპკაპა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

— რა განზრახვით ჩამასუნთქეს ის სიმყარე? — წყენანარევი ხმით დაინტერესდა ფონ ბაბენბერგი და დამძიმებული თავი გაარეტრეტა, — თანაც უკვე მძინარეს, ტრეპანაციას ხომ არ მიპირებენ?

ჯარისკაცმა პირში თითები შეიყო და დაკრუნხხული ენა გამართა.

— თუ შეგიძლია, ადექი, — თლიფინით უთხრა, — აქედან უნდა წავიდეთ, დანარჩენს თავად მიხვდები.

პოსპიტალიდან გამოსვლამდე არქეოლოგიის დოქტორს კრინტიც არ დასცდენია, მხოლოდ ფეხს ითრევდა და ოთხსავე მხარეს რეტიანივით ტრიალებდა.

— ვინ ჩაიღინა ეს? — ზღურბლს რომ გადმოსცდნენ იქ იკითხა.

— შენმა თანამომხეებმა, — მიუგო უფარაჯომ და სახელოში ხელი ჩასჭიდა, კედელს რომ არ შეჭახებოდა.

ფონ ბაბენბერგმა გამაფრთხილებელი ღრენისმაგვარი ხმა გამოსცა, უნებურად ამოსცდა ყელიდან.

— მე რატომღა გადავრჩი? — ისე იკითხა, რომ ძნელი მისახვედრი იყო,

ცოცხლად დარჩენა სწყინდა ალბათ.

— არ ვიცი, — მიუგო უფარაჯომ, — ალბათ, ორგანიზმი გაქვს ასეთი.

გერმანელი არისტოკრატი ცოტა ხნით გაყურდა, ჩანდა, აზრს იკრებდა.

— სხვაგანაც ასეთი უბედურებაა? — დაინტერესდა, თუმცა პასუხს წინასწარვე საზღვრავდა.

— ყველგან, — უთხრა თანმხლებმა, — მთელ ლაბირინთში, ეს გვირავიც მხუთავი გაზებითაა სავსე.

— მსხვერპლი დიდია? — ჰკითხა იმან.

— დანამდვილებით ჯერ არავინ იცის, ალბათ, აურაცხელი.

ფონ ბაბენბერგი შედგა, რატომღაც სინათლე ინატრა, სახელოდაკიშული ხელით მეგზურს მაჯაში წასწვდა, თითები ძალუმად მოუჭირა და სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ამიერიდან უკვე აღარაფრისა შეეშინდებოდა.

— მე მრცხენია, — ხმაჩავარდნილმა ამოილულლულა. — მრცხენია, რომ გერმანელი ვარ.

ჯარისკაცმა ახლა გააკვებული მაჯით გაჭქაჩა, ამოძრავა და თავად წინ ჩაუდგა.

— გერმანელობა აქ არაფერ შუაშია, — მიტევებით დააწყნარა. — ეს ფაშიზმია.

— ამჟამად ორივე ერთია, — უგერგილოდ აღნიშნა არქეოლოგიის დოქტორმა, — დრო და ისტორია მათ ვერ განაჯალკვებებს, ისევე, როგორც რომსა და ტირანიას.

ისინი დამრეც გვირაბში ჩავიდნენ. გზადაგზა დაღუპულთა გვამებს და კუს ბაკანივით მკვრივ, მოზრდილ ლოდებს აწყდებოდნენ, რომლებიც ამ ყიამეთშიც კი მოწითალო ფერის შუქს ასხივებდნენ. ახლა უკვე უტყვად მიბორიანებდნენ, მიცვალებულთა რაოდენობა კი გამუდმებით მატულობდა. პირველ ხანად ფეხის შეხებისთანავე გვერდს უვლიდნენ, შემდეგ ეს შეუძლებელი შეიქნა და როგორც ტივის მორებზე, ისე აბიჯებდნენ მკვდრებზე.

ბოლოს ჩაღრმავებული გვირაბის ამრეციც აიარეს და შედარებით სწორსა და განიერ ნაწილში შევიდნენ. მხუთავ გაზს აქამდე ველარ ამოელწია, ამოსასვლელში ფუთფუთებდა და ფსკერგაზვრეტელი ჭაობივით ნელ-ნელა დაბლა იწევდა.

როგორც კი აღმართს ამოსცდნენ, ერთიანად აციმციმებულ კატაკომბში მოხედნენ, ათეულობით ჭრაქს ლიტანიობა ღამის საყდარივით გაეჩახჩახებინა იქაურობა.

ყოველ ლტოლვილს, ვისაც კი მხუთავი სამსალისათვის გამოესწრო, აქ მოეყარა თავი. ჩუმი, შეკავებული მოთქმა-გოდება იდგა, კომისარ მანოხინს, იმის შიშით, რომ ჰირისუფალთათვის ახალი ჭერი არ ჩამოემხოთ თავზე, ხმამალა ტირილი აეკრძალა.

უფარაჯო ჭარისკაცს გამოჩენისთანავე ახლად მოწიფული, ცისფერკაბიანი გოგო მიეახლა, ხელები შემოხვია, მკერდში ჩაეკრა და აქვითინდა.

— მარისკა... მარისკა... — მონოტონურად იმეორებდა და რალაცას გაურკვეველად ლულულულებდა.

ჭარისკაცმა კეფაზე, მსხვილი ნაწნავის დასაწყისთან ხელის თითები შეუცურა, თავი გადაუწია და ცრემლიან თვალეებში ჩახედა.

— ცოცხალია, — დამაჯერებლად უთხრა, — დაწყნარდი, ანისკა! ცოცხალია-მეთქი.

გოგონას ზღვისფერ თვალეებში იმედის სხივი გაუკრთა, შემდეგ ბედნიერების ღიმილი და მასთან შერწყმული უკვე განცილილი ტკივილი და სასოწარკვეთა ერთდროულად გამოეხატა სახეზე.

— სად არის? — მოუთმენლად იკითხა და ხელმეორედ აქვითინდა, მხოლოდ ახლა უკვე თავადერილი და ჭარისკაცს შემაცქერალი.

— გვირაბის ბოლოში იქნება, სადმე შემადლებულში, — მიუგო იმან და თავზე ხელი ისე გადაუსვა, თითქოს შვილიშვილს ეფერებო.

— იქ ვინ მიიყვანა? — ამოისლუკუნა ანისკამ.

— მღვდელმა, ალექსი ბონდარენკომ. — ალექსი... ალექსი... — თითქოს საზებიროს სწავლობდა, ისე გამიგორა გოგონამ, — ქვაბურიდან ვინღა დაიხსნა, ის ხომ გაზების შემოშვებისთანავე ხელიდან დამისხლტა და დამეკარგა.

უფარაჯო ჭარისკაცი გაირინდა, გვირაბის სიღრმისაკენ გაიხედა, ემჩნეოდა, ვილაცას ეძებდა, ცისფერკაბიანი კი პასუხის მოლოდინში თვალეებში შესცივინებდა, იმის ხალათს ბეჭებთან ჩაფრენოდა, ჩაებლუჯა და დაბლა, თავისკენ ექაჩებოდა. ბოლოს ყოველივეს ალლო აულო, კვლავინდებურად მიეტმანა ჭარისკაცს, ერთიანად ჩაეკრა, ღამის გულში შეუძვრა და მკერდზე მადლიერებითა და თავდავიწყებით კოცნა დაუწყო.

უფარაჯომ უხეშად მოიშორა, იქნებ არც სურდა, მაგრამ ასე კი გამოუვიდა, გოგონას მისი მოქმედება აინუნშიაც არ ჩაუგდია, ვერც იგრძნო, ერთხელაც შეპლიმა, შეტრიალდა და ქურციკივით მკერდგადებული ფეხმარდად გაიქცა.

ფონ ბაბენბერგმა და ჭარისკაცმა გარნიზონის უფროსს იმავე გვირაბის ბოლოში, ჭერდაბალ საკანში მიაკვლიეს, მაგრამ ხანის მათთვის არ ეცალა, ბატალიონთა მეთაურებს და კომისარებს ეთათბირებოდა, პირგამეხებული მიყრდნობოდა კედელს, კითხვებს იძლეოდა და ზოგიერთ პასუხზე ხორკლიან ქვას კეფას ახეთქებდა. თავი გაბზარული ზარივით ქლრიალა, უსიამო ხმას გამოსცემდა.

— რამდენი კაცი გაკლია, ერშოვ?

— ორას ორმოცი, ანდა უფრო მეტიც.

— შენ კალნინში?

— ოთხასამდე.

— დავიდოვი სად არის? — ჰკითხა მესამე ბატალიონის კომისარს.

— იქ დარჩა, — მიუგო იმან, — სამულდამოდ.

— თქვენთან რამდენია?

— სამასნიღა დავრჩით.



ხანინმა მთელი ძალით შეახეთქა კეფა კედელს.

— გეძინათ? — საყვედურით დაიღმუვლა.

კომისარმა მზერა გაუსწორა, ტუჩები უთრთოდა, სახეზეც მიწისფერი ედო და მთელი ტანით ცახცახებდა.

— ორივე მხრიდან შემოუშვეს, — ენაბლუსავით ბორძიკ-ბორძიკ მოახსენა, — საშველი აღარსაით გვექონდა, ბატალიონის ორმა მესამედმა, მაიორ დავიდოვის მეთაურობით სათადარიგო გასასვლელი გაარღვია და ცეცხლით სცადა გზის გაკვლევა.

— შენ სადღა იყავი იმ დროს?

რაკი ბრძანება არ მიმიღია, ჩავთვალე, რომ კატაკომბების მიტოვების უფლება არ მქონდა.

— სწორად მოქცეულხარ, — დაეთანხმა ხანინი, — შედეგი?

— ალყის გარღვევა ვერ მოხერხდა, ორმოცი კაციღა შემობრუნდა უკან, დავიდოვი დაიღუპა.

— ადგილობრივი მოსახლეობა?

— ჩემი ნებართვით, ტყვედ ჩაბარდა.

ხანინმა გამშრალი ტუჩები ენით მოილოკა, თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდა.

— დაჭრილები? — ხრინწიანად ამოიხრიალა.

კომისარმა პასუხის გაცემა ველარ შეძლო, ისეთი ხველება აუვარდა, თითქოს ფილტვებში წისქვილის ქვები უბრუნავდა, მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— ლაზარეთში წადი, — უბრძანა გარნიზონის უფროსმა, — ჯერ არ ვიცი, სად არის, მაგრამ მანოხინი აყალიბებს, ის მიგასწავლის.

უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი საკანის ზღურბლთან იდგნენ და ყოველივეს ისმენდნენ, როგორც იქნა, ხანინმა მათაც მიაქცია ყურადღება.

— ჰოსპიტალში თუ იყავი? — მიმართა უფარაჯოს და ისეთი დაჟინებული მზერით ჩააცქერდა, თითქოს სთხოვდა, ცუდს ნურაფერს მამცნობ, ესეც საკ-

მარისიაო. იმანაც თანხმობის მხოლოდ თავი დაუქნია.

— იქ რაღა, ბევრია მსხვერპლი?

— ყველა, — დაუფარავად გაუმხილა ჯარისკაცმა, — სამედიცინო პერსონალის ჩათვლით.

გარნიზონის უფროსს თვალები ისე გაუფართოვდა, ლამის გადმოსცივდა, ყბის კუნთები დასკდომამდე დაეძაგრა და უკბილებო ღრძილები კაჟის ქვებივით გააღრჭილა.

— ეს სადღა იზოვნე? — არქეოლოგიის დოქტორზე მიანიშნა.

— იქვე, — მიუგო უფარაჯომ, — იქვეა და ბაიბურში არ იყო.

— ასეც ვიცოდი, — ხრიალით ჩაიღუღღუნა ხანინმა, — ესეც უნდა გადარჩენილიყო.

„ვითომ რატომ? — თავისთვის გაიფიქრა ჯარისკაცმა, — რატომ მხოლოდ ჩვენ ორნი?“

გარნიზონის უფროსს რატომღაც სავალავში არ აგდებდა.

სიკეთის ქმნა ვერასოდეს მიანიჭებს ისეთ სიამოვნებას მის მკეთებელს, როგორც ჩადენილი ბოროტების შედეგი — ბოროტს.

შტურმბანფიურერ გეინეციუსის ბრძანებით, განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებმა კატაკომბებში გაზების ჩატუმბვა ზუსტად ექვეს საათზე შეწყვიტეს, თუმცა მთელი დღე შეუსვენებლად მოუწიათ ოფლის ღვრამ, რაც მათ პრაქტიკაში იშვიათად ხდებოდა.

— დღეს კარგად იზრომეთ, ყოჩაღად და ბეჯითად, — შეაქო ვალტერ გეინეციუსმა ქვეშევრდომები, — ვანშმად ყოველი თქვენთაგანი თითო ბოთლ შნაბსს მიიღებს.

ქიმიური ბატალიონის ჯარისკაცებმა ხმამაღალი ჟრამულითა და ხორხოცით გამოხატეს კმაყოფილება.

განსაკუთრებით ბედნიერი ჰანს ფინერი ჩანდა, რადგან მისმა „სათაყვანებელმა კერპმა“, გუნტერ ლახუნენის



გაქრობისა და „სისხლის მისტერიის“ ოპერაციაში აქტიური მონაწილეობისათვის რკინის ჭვარზე წარდგინება აღუთქვა.

თავად გეინეციუსს ფეხებზე ეკიდა, რას არგუნებდნენ „ერთგულ მგელს“, რაიხის უმაღლეს ორდენს თუ ნიფხვის შესაკრავ ღილს, მას სხვა გათვლა ჰქონდა — თუ წარმატებით ჩატარებულ ხოცვა-ჟღეტისათვის რიგითი ფელდ-ფებელი ესოდენ მაღალ ჯილდოს იმსახურებდა, მაშინ რა ეკუთვნოდა შტურმბანფიურერს, რომელიც ამ სისხლიანი სპექტაკლის სულისჩამდგმელი რეჟისორი და საერთო ხელმძღვანელი იყო.

და მაშინ, როდესაც „სიკვდილის ყუთად“ წოდებულ გაზის მანქანაში, მძღოლის გვერდით მოკალათებული ვალტერ გეინეციუსი „ვალკირიდან“ ვოტანის ერთ-ერთ არიოზოს მხიარულად ღიღინებდა და დასასვენებლად მიჯაყყაყებდა, აჯიმუშკაის კატაკომბებში ცოცხლად დარჩენილი ყველა ზრდასრული ადამიანი ორ ჭგუფად გაყოფილიყო, ერთი — ცენტრალური ქვაბურის გაყოლებაზე ქვის ფსკერს ამტვრევდა და საფლავს თხრიდა; ხოლო მეორე, გვირაბებსა და მის მიმდებარე ხვრელებში დარბწოდა, დაფორთხავდა და გაგუდუღათა ცხედრებს იქით ეზიდებოდა.

მკვდრები გვირაბის გაყოლებით ორ მწყრივად დაასვენეს და ეს წყება ისეთი უსასრულო გამოჩნდა, რომ მანოხინმა გრძელი, ოთხმოცსანტიმეტრიანი ნაბიჯით გაზომა და, როდესაც გადაიანგარიშა, კილომეტრი და ას ოცი მეტრი მიიღო. შემდეგ თვითონ ბოლოდან გამოჰყვა. ოიკოვის ქარხნის ბულალტერი ზინოვიევი კი თავიდან და საბოლოოდ გარნიზონის უფროსს ორივემ ერთი და იგივე ციფრი მოახსენა — დახოცილთა რაოდენობა ოთხი ათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტს შეადგენდა, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და კატაკომბების ფარულ ადგილებში დაღუპულთა გარდა.

თუმცა დიდ მსხვერპლს ყველა გრძნობდა, მაგრამ ასეთ ზარდამცემ ციფრს არავინ მოელოდა, საჭირო შეი-

ქნა დამატებითი სამარეების გათხრები და კიდევ ქვაბურის გაყოლებაზე გაიჭრა ჯიუტი კლდე.

სამშო საფლავის ამოვსება შუალამის სამ საათზე დამთავრდა, გამოსათხოვარი სიტყვა არავის წარმოუთქვამს, რადგან დრო არ ითმენდა. მთავარი სამარხის პირდაპირ გაცილებით მომცრო სამარე უნდა გათხრილიყო, იქ ერთიმეორის გვერდით, როგორც საბავშვო ბაღის წყნარი საათის დროს, სამოცდაცამეტი ბალღი ესვენა, ყველაზე უმცროსი ექვსი თვისა იყო, ყველაზე უფროსი — ცხრა წლისა.

ფონ ბაბენბერგი და უფარაჯო ჯარისკაცი მეორე ჭგუფში მოხვდნენ, თანაც, ერთიმეორის მეწყვილედ, ასე რომ თუ ერთს გადმოსასვენებელი ცხედრის ფეხები ეჭირა, მეორე თავითი ედგა, შემდეგზე კი — პირიქით. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე ისინი მკვდრებს ეზიდებოდნენ, გერმანელ არისტოკრატს არც რაიმე უკითხავს და არც არაფერი უთქვამს, მიწას ჩაჩერებულნი და თავჩაქინდრული დაბოტებდა, ხოლო როდესაც ყოველივე მომთავრდა, ხანითან მივიდა და თარჯიმნად უფარაჯო ჯარისკაცი მიიყოლა.

— რაღაც აქვს სათქმელი, — მოახსენა ჯარისკაცმა გარნიზონის უფროსს.

— ამოღერდოს, — ნება დართო იმან.

— მე მოვითხოვ, რომ დამხვრიტოთ!

— იმდაგვარი გულდადინჭებით განაცხადა ფონ ბაბენბერგმა, თითქოს მოსასაქმებლად გასვლის ნებართვას ითხოვდა, ხანინი აულღელებლად მიუახლოვდა, მხარში ხელი ჩააგლო და ისე შემოატრიალა, რომ ჭრაქის შუქი პირისახეზე დასცემოდა, შემდეგ ცოტა ხანს დაკვირვებით უცქირა.

— არა! — საბოლოო განაჩენივით გამოუცხადა.

— ლაბირინთის სავარაუდო ნახაზები მე შევედგინე, — აღიარა არქეოლოგიის დოქტორმა, — ასე რომ, ამ სისასტიკეში ჩემი წვლილიც ძვეს და არცთუ უმნიშვნელო.



— ვიცი, — მშრალი ხმით აუწყა ხანინმა, — მაინც არა.

ფონ ბაბენბერგს სახეზე შეცბუნება გამოეხატა.

— კი მაგრამ, რატომ? — გაიკვირვა, — თქვენ ხომ სრული უფლება გაქვთ, ჩემივე დანაშაული მაზღვევინოთ.

— რალა თქმა უნდა, — დაეთანხმა გარნიზონის უფროსი, — ვერც ვერავინ გამამტყუნებს, მხოლოდ თქვენთვის დახვრეტა მეტისმეტად იოლი სასჯელი იქნება.

ფონ ბაბენბერგს წირიც არ შეცვლია.

— პირადად ჩემთვის ნებისმიერი სასჯელი მისაღებია, — მართლაც უშიშრად წარმოთქვა, — მზად გახლავართ!

— მიიღებთ კიდევ, — კვერი დაუკრა ხანინმა, — თქვენ კატაკომბებში იქამდე მოგიწევთ ყოფნა, ვიდრე გარნიზონის თუნდაც ერთი წევრი მაინც ცოცხალი და ბრძოლისუნარიანი იქნება, შემდეგ განთავისუფლებთ, და ამას კი იმიტომ ჩავდივარ, რომ საჭიროდ მიმაჩნია, ერთმა არიელმა მაინც გამოსცადოს და იწვნიოს ყოველივე ის, რასაც ჩვენ ამჟამად განვიცდით, ვიტანთ და კიდევ რაც მომავალში მოგველის. ეს არის ჩემი განაჩენი და ვალდებული ხართ, იგი შეასრულოთ. აქვე, თქვენი თანდასწრებით ვუბრძანებ თქვენსავე დარაჯს, — აქ მან უფარაჯო ჭარისკაცს მკერდზე თითი მიაბჯინა, — თუ გაქცევას სცდით არ გესროლოთ.

ხანინი შეტრიალდა, საკანიდან გავიდა და ყბაჩამოვარდნილი ფონ ბაბენბერგი გახევებულ მიატოვა.

მეორე დილით, ოცდაექვს მაისს, ისეთი უქარო და მზიანი დარი დაიჭირა, სადღესასწაულოდ ანდა საკარნავალოდ რომ ინატრებს ხალხი.

ქიმიური ნაწილები და „სიკვდილის ყუთები“ გამთენიისთანავე შემოეჯარნენ კატაკომბებს და საბრძოლო ოპერაცია „სისხლის მისტერიის“ გასაგრძელებლად გაემზადნენ, მაგრამ როგორც ჰირნახულს მოწვეული გლეხი ესწრაფვის ნაოფლარ-ნამაგარის სრულ

არწყვა-აწონას, ასევე ვალტერა გვირგვინი ციუსიც ეშურებოდა ნამოღაწარის შედეგის დათვლასა და აღნუსხვას. ამასთანავე, ბერლინში სასიხარულო ინფორმაციის გაგზავნასაც ჩქარობდა. ამიტომაც თავისთავად ხელქვეითებს და მოალყე ესესელებს მოხალისეთა რაზმის ჩამოყალიბება შესთავაზა და „გულმამაგარ ბიჭებს“ იმავე საღამოს ქერჩის საროსკიპოში ერთდამიან მივლინებას შეჰპირდა.

დახოცილთა ნახვისა და დათვლის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ ქიმიური ბატალიონის წარმომადგენლებს ლამის მუშტებით მოუხდათ საკუთარი პრიორიტეტის დაცვა და ასეთ საქმეებში სითავხედით ცნობილ ესესელებს, რომლებიც ტურებივით ყველა მძორში პირველნი თხრიდნენ დინგს, კულზე ფეხი დააბიჯეს და უკმაყოფილოდ ააჩხვლეს.

ბისმარკის ცნობილ გამონათქვამს „საკუთარ შეცდომებზე სწავლას სხვათა შეცდომებზე სწავლა მირჩენიაო“, ხანინი ერთ-ერთ გონივრულ სენტენციად მიიჩნევდა, ამიტომაც კატაკომბებში ფაშისტების დამთვლელი კომისიის მობრძანება წინასწარვე ნავარაუდევო და ნაგულისხმევი ჰქონდა. ამის გამო იყო, რომ განახევრებული გარნიზონის ყველა წევრს ხმამაღალი დახველვებაც კი აუკრძალა და დილაუთენია მიგნებული რამდენიმე უბედურის ცხედარიც დროებით ჩამოსასვლელ ქვაბურში დაასვენებინა.

ავტომატომარჯვებული უნტეროფიცერი გრუნლოხი, მეტსახელად „ბავარიელი დათვი“, ბაჯბაჯა ნაბიჯით ჩაუძღვა მოხალისეთა ოცეულს, არც ერთ მათგანს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ლაბირინთში არა თუ ადამიანის, ცოცხალი ვირთხის ჰაქანებაც აღარ იქნებოდა და როდესაც ჭიბის ფარნების შუქზე დახოცილთა გვამები შენიშნეს, ისეთი საერთო ყიყინით გამოხატეს კმაყოფილება, თითქოს სატყეპით გაყუყულ ბუზებს ითვლიდნენ.

ქვაბურიდან გამავალი გვირაბის ყე-

ლშიც რამდენიმე კაცი ეგდო. ოცეულ-  
მა სულსწრაფი ნაბიჯით გადაიბრინა  
იქითა მხარეს და კედელთან მომჩვარ-  
ულ პირველსავე ჭარისკაცს უნტერ  
ოფიცერმა გრუნლიხმა ჩექმის ჰეინტი  
ნიკაპში ამოსდო, თავი წამოუწია, სა-  
ხეც გაეშუქა და, „ეს მეცხრეო“, სიხა-  
რულით გაათახა მორალიყებს, მაგრამ  
აქ ისეთი საოცრება მოხდა, რასაც ვერც  
ერთი მათგანი ზღაპრადაც ვერ წარ-  
მოიდგენდა.

მკვდარმა ჯერ ენა გამოუყო, მერე  
თვალებიც გაახილა და ფეხზე ფიცხ-  
ლად წამოხტა. გეინეციუსის „გულმა-  
გარ ბიჭებს“ ნაქები გულები წყალში  
ჩამბალი პურივით დაურბილდათ და  
აბუყბუყებულ კუჭებში ჩაუსრიალდათ.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ცხედართა  
დამთვლელი კომისია ქვაბურის ფსკე-  
რზე ხელფეხგაკოჭილი იწვა, ხოლო  
ქვის იატაკს საფეთქლით მიბჯენილი  
„ბავარიელი დათვი“ ჩამოსასვლელში  
დღის შუქის დაღანდვას ცდილობდა  
და კბილმტკივანი მხეცივით მთელი  
ხმით ღრიალებდა.

— ჰერ შტურმზანფიურერ, ისინი  
ცოცხლები არიან, ჩვენც დავგატყვევეს  
დროზე მოგვეშველეთ, ვიდრე დაბრუ-  
ნებულან... ჰერ შტურმზანფიურერ!

ვალტერ გეინეციუსს კატაკომბებთან  
მიახლოვება ისევე არ სიამოვნებდა,  
როგორც შუადღისას ბერლინის მეტ-  
როს ლიანდაგებზე ძილი და როდესაც  
ჰანს ფისნერმა მომხდარი ფაქტი მოახ-  
სენა, თანამებრძოლთა დასახმარებლად  
თავქუდმოგლეჯით კი არ გაიქცა, არა-  
მედ მშვიდი ხმით გასცა განკარგულება.

— დაუყოვნებლივ შეუდგეთ დასა-  
ხული ოპერაციის განხორციელებას!

ფელდფებელ ფისნერს თავის კოლო-  
ფში რომელიღაც ჩაქანგული ჰანჭიკი  
აუმოძრავდა.

— ბიჭები? — შემცბარი ხმით იკით-  
ხა. — იმათ რაღა მოუხებრხოთ?!

შტურმზანფიურერმა ღრმად ამოიოხ-  
რა და ტრაგიკული ნიღაბი გამოცდილი  
მსახიობივით მოირგო.

— ვისაც მსხვერპლის გაღება აღ-  
ლუძს, ის ვერც გაიმარჯვებს! — დიდი  
მხედარმთავრის შესაფერი ინტონაცი-  
ით აღმოთქვა. — ჩაუშვით გაზი!

მიწისქვეშა გარნიზონი ამჯერად მო-  
მზადებული შეხვდა მოსალოდნელ ხი-  
ფათს. დიდი თუ პატარა ლაბირინთის  
სიღრმეში არსებულ საკნებში შეიკეტა,  
შემოსასვლელებს ფარდაგები, ლეიბე-  
ბი და ფარაჯები ჩამოათარეს და ამით  
გვირაბში ზღაზენით მომავალ მხუთავ  
გაზს გზა დაუგმანეს, სახეებზეც პირსა-  
ხოცები და ჰინჭები აიფარეს, რამდენი-  
მე საიდუმლო გასასვლელიც გახსნეს  
რომ გამჭოლ ქარებს დროულად გაჰყო-  
ლოდა ის შხამიანი საშინელება. საბო-  
ლოოდ წინა დღესთან შედარებით  
მსხვერპლი უმნიშვნელო გამოდგა —  
ჩვიდმეტი ბულგანაკელი დედაკაცი,  
რომლებიც ბაფტისტთა რომელიღაც  
სექტის წევრები აღმოჩნდნენ და, იმის  
ნაცვლად, რომ სიკვდილისათვის გზა  
გადაეკეტათ, მუხლებზე დაციმული  
ლოცვით შეხვდნენ მას, რადგან მათს  
იღუმენს დოგმატიზმის ნათელი აზრით  
განათებული აღმოაჩნდა გონება — „თუ  
ღმერთმა ზურგი გვაქცია ეშმაკს ველ-  
რსად დავემალებითო“.

დედაბრების გარდა, დისფოგენის სა-  
მსალამ, კიდევ ოცი ახალგაზრდა კაცი  
იმსხვერპლა — ქიმიური ბატალიონის  
მოხალისეთა რაზმი, მაგრამ მათ არც  
ერთი მხარე სათვალავში არ აგდებდა.

სრულ ორ კვირას გრძელდებოდა კა-  
ტაკომბებში მხუთავი გაზების ჩატუმბ-  
ვა, მაგრამ როგორც ვალტერ გეინე-  
ციუსი, ასევე გენერალ პოლკოვნიკი ენ-  
ნეკე ხედებოდნენ, რომ „საუკუნის ია-  
რალს“ წარმატება აღარ მოჰქონდა, რა-  
დგან ყოველ ღამით მიწისქვეშა გარნი-  
ზონის მეომრები თავხედურ გამოხდო-  
მებს აწყობდნენ, საგულშაგოებს და სა-  
წყობებს თავს ესხმოდნენ, ომობანას  
მოთამაშე ბავშვებივით უშიშრად იბრ-  
ძოდნენ და არათუ დანებების ულტი-

თენგიზ ჩალაუაი  
...და არ იცოვ ჩვენს შორის გმირი

მატუშზე, ყოველგვარ მოლაპარაკება-ზეც კი ცეცხლითა და ზათქით იძლეოდნენ პასუხს.

ამ გაუთვალისწინებელ ამბებს ისიც დაემთხვა, რომ რაიხის გენერალური შტაბიდან აჯიმუშაის „ექსპერიმენტის“ შესამოწმებლად და სიანსპექციოდ, პოლკოვნიკი ბრაუნი ჩამობრძანდა. ქერჩის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს მისი პიროვნების შესახებ ზოგიერთი ცნობა წინასწარვე ჰქონდა შეკრებილი, თორემ იქნებ კინკრიხოში წყიპურტის კვრითაც გაეგდო ეს ყოყლოჩინა პოლკოვნიკი, მაგრამ ენნეკემ მშვენივრად იცოდა, რომ ბრაუნი თვით კალტერბრუნერის ემისარიც იყო და მის მიერ შედგენილ პაქტას, ადრე თუ გვიან ფიურერს მოახსენებდნენ, რომელიც ქიმიურსა და ბაქტერიოლოგიურ იარაღებზე დიდ იმედებს ამყარებდა.

მართალია, ცუდად დადგმულ სპექტაკლს ფარდის დაშვება ვერ იხსნის, მაგრამ, ენნეკემ მაინც სცადა პოლკოვნიკისათვის, რომელიც ქერჩში ჩამოსვლამდე პოლონეთში — ოსვენციმის, მაიდანეკისა და ტრემბლინკის საკონცენტრაციო ბანაკებში იყო ნამყოფი მსგავსი მისიით, ანალოგური „ესთეტიკური“ სიამოვნება მიენიჭებინა და ამიტომ ბრძანა, კატაკომბებიდან გაზებით გამოდევნილი, ტყვედქცეული მოსახლეობა აჯიმუშაის სიახლოვეს შეეყარათ; და შაბათ დილით ბერლინელი ინსპექტორის თანხლებით, საკუთარი სცენარით დადგმულ სპექტაკლზე მიბრძანდა.

პოლკოვნიკმა ბრაუნმა დიდად გაიხარა, სამი ათასამდე ადამიანი მათ მიერვე გათხრილი თხრილის წინ გამწკრივებული რომ იხილა და სტუმარ-მასპინძელს შორის მეტისმეტად სულის მაამებელი საუბარი შედგა, რომელიც ორივეს ორჭოფული სიტყვაჯამულობის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნდა.

— ბატონო გენერალო, — არისტოკრატიულ სალონში მოხვედრილი მეწაღის ქალიშვილივით ტუჩებმოპრუწვით მიმართა გორილის აღნაგობის პოლკოვნიკმა, — ეს უცოდველი და უმწიკვლო კრავები ისე დაგიყენებიათ, თითქოს მათ დატუქსვას აპირებდნეთ.

ენნეკემ ზეცისკენ პატრიარქივით შემართა მკლავები, შემდეგ სასწრაფოდ გადაისახა პირჯვარი და თავისი როლის გათამაშებას შეუდგა.

— ღმერთმა შემრისხოს, თუ ასეთი მკრეხელური აზრი ოდესმე გულში გავივლო, ეგ როგორ იფიქრეთ? — თვალბის გადაელმებით გადახედა პოლკოვნიკს, — თქვენც ხომ მოგეხსენებათ, ამ სათნო არსებების უმრავლესობა რომ იუდეველია, მე ცოდვილს კი ისინი იმდაგვარადვე მიყვარან, ვითარცა მოსეს, დიახ, ასეა და ამიტომაც მათ დასჯას კი არა, პირიქით, დაჯილდოებებს ვაპირებ. — აქ გენერალმა გულხელი დაიკრია და ცალყბად გაიღიმა, — იცით, რა ხანია, ყოველი მათგანისთვის დამზადებული და სათუთად შენახული მაქვს ძვირფასი ლითონისაგან ჩამოსხმული ხუთ-ხუთ გრამიანი ავგაროზები და დღეს უდიდესი სიხარულით გულელებზე უნდა დავაბნო და დავასაჩუქრო.

## დავით მჭედლური

### მთები სიხარტოვები

სველი ტყე, წვიმა, წვიმის ღრუბელი...  
მესამე დღეა წვიმს და ხეობას  
ალტობს, მაგონებს რატომღაც წვიმა  
მტერთა ძველისძველ მოსისხლეობას.

მესამე დღეა, ლამის ინატრო  
ქალი, რომელიც სიძულვილს გვგვრიდა,  
მესამე დღეა, მეხის გრილით  
მოდის ღრუბელი არხოტის მხრიდან.

გრძნობ ყველაფერი იძვრის, ხმაურობს,  
ხმაური ხმაურს მჭახედ მოება,  
ოდენ ჩვენა ვართ ისევ მდუმარი,  
ღუმს შიშნული ჩვენი ცხოვრება.

ღუმს უჩინარი ჩვენი ბანაკი,  
დავიწყებული უკვე მტრისგანაც,  
ფეხქვეშ გვეცლება მიწის ნაგლეჯი,  
ღვთის თვალმა სხვაგან გადაინაცვლა.

არცარა საქმე, არცარა სიტყვა,  
არცრა შემოკვრა საქვეყნო ძელის,  
და სამომავლო ხმაურის ნაცვლად  
წვიმით ივსება ხეობის ყელი.

და ნასახლარზე მღელვარე ჭინჭარს  
ჩამოსდის თესლი სველი და სადი,  
და ხეალ იქნება მხოლოდ ჭინჭარი,  
აღარ იქნება არც ერთი სახლი.

აღარ იქნება არც ერთი კვამლი  
და წვიმაც უკვე ვეღარ დასძებნის,  
სად დარჩა ჩვენი ძველი სახლები,  
ძველი კოშკები და აკლამები.

## გააქვე მდინარეს

გააქვე მდინარეს, რომელიც კიდევ  
ხმაურობს, მიდის და ჯერ ჭაობმა  
ვერ დასდო ხელი, მისი დინება  
ვერ შეაჩერა და დააობა.

გააქვე მდინარეს, რომელიც მიდის  
ქვეყნიერების ოთხივე მხარეს,  
იქაწრე ხორცი ქვესა და კლდეზე,  
სამშობლოს მიწა და ქვიშე თხარე.

გააქვე მდინარეს, რომელიც მიდის  
ამ ნაოხარი ველების გასწვრივ,  
თუ სიკვდილია, შენც ეგრე მოკვდი  
თიბათვის მზის და ქარების თვალწინ.

გააქვე მდინარეს, რალაცა ძველი  
რალაც ძვირფასი იგრძნობა მასში,  
სანამ იარაღს აისხამს მკვლელი,  
ან დროის მძიმე ტალახი დაგვერის.

## პრაგმატიკული ელემენტი

„გულს ნუ აჩაგრეთ გონებას...“

პაპა-ფაფაველა.

ცხოვრების ხერხში გაეძვერი,  
განვლე უფსკრულის კიდეც,  
ახლა გულს აღარ მივყვები,  
ახლა გონებას მივდეგ.

დულს საქმიანი გონება,  
გულის ზეიმი ჩაქრა,  
აქამდე გული სჯობნიდა,  
ახლა გონება ჩაგრაქა.

ჩაიყვავილა ცხოვრებამ,  
დღემულამ ველი ნაყოფს,  
მაგრამ ყინულად მოიქცა  
გული და ველარ ვალღობ.

სადაც სხვა გზებით მიმოდის,  
თითქოს გვერდს უქცევს სისხლიც,  
სჯის საქმიანი გონება,  
დულს და მოსაგებს ითვლის.

## ამბავი უსენისა

რუსთველის თქმისა არ იყოს —  
არცრა არ ხდება უსენოდ,  
აღარვინ დარჩა, ამქვეყნად  
რომ ბროლის კოშკი ვუშენოთ,  
შენც უნდა ჭირით აგავსონ,  
სხვა ვინღა დარჩათ უსენო,

ხელკავით გვერდზე გაგიყვანს:  
— თუ შეიძლება უსენო...  
(ყველა ქირქილით გიყურებს,  
ვინ გეტყვის ნუ მოუშენო),  
— უკვე რვაასი წელია,  
ცოლი გღალატობს უსენო!

## კური და სანახობა

(ანუ ძველი დროის ორი ბრძენის შეხვედრა)

დაჰკრეს ბუქსა და ნაღარას,  
დაფრთხნენ ნადირნი ტყისანი  
ერთმა თქვა: ერი ზეიმობს,  
აქვს მიზეზი და მიზანი!

მეორემ მწარედ ინანა:  
— ვაჰ, რო არა ვარ მისანი,  
ეს ამოდენა ზეიმი  
არ არის კარგის ნიშანი!

არის კი სადმე უფრო  
მტკიცე გალავანი,  
ვიდრე ჩინოვნიკის ეს მაგიდაა?  
— მთელი სიცოცხლე მკერდით ვასკდები  
და ვერა და ვერ გადავლახე.

### გამოცდილება

ძველისძველი მოხელე ვარ,  
დამერწმუნეთ ამაში,  
ბრძენს თამაშობს როცა ყველა,  
გიჯობთ ბრიყვის თამაში.

ეს ბრიყვული რევერანსი,  
ეს ბრიყვული თავაზი,  
გამოვცადე — ძალზე ართობს  
გართულთ ბრძენის თამაშით.

მიდი, ეგრე აფრიალე  
სიტყვა ლამაზ-ლამაზი,  
ბრძენს თამაშობს ახლა ბევრი  
და ამ თამაშ-თამაშით —

უნდა საქმე გაინადღოს,  
არ მოტყუედეს მთავარში,  
სხვისი ქუდი დაიხუროს,  
ჩაწვეს სხვის აკლდამაში.

ითმენს გული, რაც უზომოდ  
შეაღწია შხამმა შიგ.  
განზე დგახარ, რა ხელი გაქვს  
მალალ გვაძთა დავაში.

...ბრძენს თამაშობს როცა ყველა,  
გიჯობთ ბრიყვის თამაში.

### ორიული

ნოდარ წულეისკირს

მე გუშინაც ვიხილე,  
იღვა კარის მცველად,  
დოქსოპულო ჯალათი,  
ჩვენი ბედისწერა.

იგი ჩასაფრებული  
გვიყურებს და გვზვიერავს,  
სადაც აქვე დროებით  
მალავს სახრჩობელას.

და თუ კიდევ აღზევდა  
ნება დიქტატორის,  
ჩვენ ყულფისკენ გავგვრეკავს  
ისე, სხვათაშორის.

არასოდეს არ კვდება,  
არასოდეს არ ქრება,  
ვხედავ დოქსოპულოზე  
საშიშს არანაკლებად —

ჩინოვნიკთა არმიას  
და მათ კარის მცველებს,  
ვარჯიშობენ ჩუმჩუმად,  
ჩვენს განაჩენს წერენ.

საყურებლად არა ღირს,  
შენც არიდებ თვალებს,  
როგორ ციგნობს ზოგ-ზოგი,  
ბამბას აჩხრიალებს.

კენწეროზე მიძვრება,  
არჩევს მწიფე ნაყოფს,  
ხან კეისრის მანტიით  
ცდილობს დაგვენახოს.

ხანაც აბჯარს იმოსავს  
და სცენაზე თავის  
აჩრდილს ებრძვის, თუ გნებავთ —  
აი სანახავი!

ჩუმად ყულფსაც კვანძავენ,  
რომ ოცნებით მაინც  
ჩამოგვახრჩონ, დაგვსაჯონ,  
წაგვაცალონ თავი.

და ელიან პატრონის  
კართან ზარის დარეკვას,  
გულმოდგინედ უვლიან  
დოქსოპულოს კარეტას.

მე გუშინაც ვიხილე,  
ის ბოროტი სული.  
დოქსოპულო ჯალათის  
ნაღდი ორეული.

## 06

ხმას არავინ იმაღლებს,  
ყვირილს არავინ ცდილობს,  
შენც მის გვერდით თუ ჩანხარ —  
ჩანხარ სასაცილო.

ძველი აღჭურვილობით,  
ძველი რომანტიკით,  
მას შენს დასამცირებლად  
აქვს ათასი ზრიკი.

ჩრდილში ძალით გაყენებს,  
ძალით გიხვევს თვალებს,  
ოინბაზობს ხალხის წინ,  
ბამბას აჩხრიალებს.





მითი და სინამდვილე ისეთივე კავშირში არიან ერთმანეთთან, როგორც ცხადი და სიზმარი. ბევრი რამ მითში სინამდვილიდან არის გადასული და იმდენად არის გამიჯნული ადამიანის ფანტაზიასთან, რომ შეუძლებელი ზდება პონა და დადგენა თავად მიჯნისა. მაგრამ ძიება აუცილებელია. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის შორეული, ბურჟუაზიული მოცული წარსულის კვლევა-ძიებას, ალბათ, უმთავრესად მითებზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს, რადგან ისტორიული წყაროები მეტადრე მწირ და არც თუ ბევრის მომცემ ცნობებს მოიცავენ. ქართული მითოლოგიაც, ამჟამად სრულიად დაფანტულია ზღაპრებში, ხალხურ თქმულებებში და მის აღდგენას ხანგრძლივი, თავდაუზოგავი შრომა დასჭირდება. ამ რთულ საქმეში უეჭველია, რომ ქართული ენა დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარს „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს“, როგორც იოანე ზოსიმე გვაუწყებს. წინამდებარე ნაშრომში, ან უკეთეს ორი ლექსი „მართა წიგნიდან“, რომელიც ბერძნულ მითოლოგიაში დაცულ არგონავტების ლაშქრობის ამბავს ემყარება, ერთგვარი პოეტური ცდა გახლავთ ქართული პანთეონის აღდგენისა და იგი ისტორიის იმ პერიოდს შეეხება, როდესაც ქართველები, მზისა და მთვარის მეთაურობით, მნათობ ღვთაებათა შვიდეულს სცემდნენ თავჯანს:

## მეფას სიზმარი

აიას ველებს არ აძინებს ჩურჩული ისლის,  
 ღამის ნაბადი მოუხურავთ მთებს ბუმბერაზებს  
 და ქარაფ კლდეში კიბეებად ნაკვეთ ტერასებს,  
 ჩუმად მჩქეფარე, ჩამორეცხავს ჩანჩქერი ნისლის.  
 ამარანტების წიაღიდან მდინარე ფაზისს,  
 თან ახლავს გმინვა და გოდება მრავალტანჯულის,  
 იაფეტის ძის, ამირანის კლდედ მიჯაჭვულის,  
 და ხმა წყეული, სანადიმოდ წვეული ბაზის.  
 მალღა ცაზე კი ახლადშობილს, თოთო მთოვარეს,  
 ელია ურწევს ღრუბლის აკვანს ძუძუმწოვარეს.

ძილის მორევში ჩაძირულა აისქალაქი,  
 თვით კარდესაც მორევია ფარული რული,  
 გლავანის მიღმა თვლემს გრძნეული ცირას ჭალაკი  
 და არემარეს მღუმარება მოიცავს სრული.  
 აიეტ მეფის სასახლის წინ ცეცხლი გიზგიზებს,  
 კოცონის ირგვლივ გაყინული ლანდები სხედან.  
 ცეცხლი კისკისობს, ლაღობს, ცეკვავს, ჯზმოდ კისკისებს  
 და ლანდებივით ცახცახებენ ჩრდილები ხეთა.

მედია კოშკის სარკმელიდან დასცქერის კოცონს,  
ანცი და ცელქი ცეცხლის ცეკვა აოცებს, მოსწონს.

აღაგზნებს გრძობა უცნაური და საამური,  
სულში აღუძრავს როკვისა და თამაშის ხალისს  
ქალწულებრივი, თუ ქალური მიმოხვრა აღის.  
თვით აღენთება, მოედება ცეცხლის აღმური.  
სთხოვს და დაითხოვს მარინოლას საყვარელ მხეველს  
და როცა თავის სამყოფელში მარტო დარჩება,  
ჩაიძმევს კაბას ხალებიანს, ფერადფარჩებას,  
მოჰყვება როკვას, აღსებურს რწევას და რხევას  
მიდის სარკმელთან, ტრიალდება, უკან ბრუნდება  
და ცეკვავს, ცეკვავს, ვიდრე ბრუნვით არ გაბრუნდება.

და მერე, ისევ, რა სარკმელთან მიდის, ჩერდება;  
ცეცხლს აჩერდება დედაკაცურ ფიქრით გართული,  
ტურფა, მკერდსავსე, ტანკენარი, მაღალფერდება,  
ქედუხრელი და მედიდურად ყელშემართული.  
განსაცვიფრებლად ლამაზია ასული მეფის;  
აღსაფხე არაქვეყნიური იდუმალებით,  
აქვს მომნუსხველი, დაბინდული, ლურჯი თვალები  
და დალალები ოქროსფერი, ბზინვარე თმების.  
განსაცვიფრებლად ლამაზია დალთა დობილი,  
აიეტისგან ილიიას მიერ შობილი.

მედია იყო ჯადოქარი, ქალი მძნობელი,  
მოქმედი მძნა და მისნობათა, გამჩხრეკი ნაცრის,  
ნათელმხილველი და სიზმართა ამომცნობელი,  
დედა ქურუში, თუ მისანი ლამარას ტაძრის.  
გრძნეულთა ნიჭი ნაბოძები ჰქონდა განგებით,  
მოსახდენსა და მოსალოდნელს გრძნობდა, მისნობდა,  
ათასგვარ ჯადო ყვაეილსა და ბალახს იცნობდა  
და მცენარეთა უსიტყვობის იყო გამგები;  
უცხო წამლების შემზადებას მათგან სწავლობდა  
და ამ წამლებით ფრინველსა და ნადირს წამლობდა.

ამბობდნენ თითქოს მარებისგან გადანამალი;  
თვით უკვდავების წყაროს წყლისგან სამგზის ნახადი,  
მარადიული სიყმაწვილის ჰქონდა წამალი  
და არ ჰქნებოდა იგი ვარდი კალმით ნახატი.  
ეს რომ შეიტყო, ძლიერ გაწყრა მართა ბატონი,  
თვით შემოქმედი ქვეყანის და ზეცის კამარის,  
უზუნაესი განმგებელი, მამა, გამარი.  
მოიხმო ციცა, დედოფალი ცის კაბადონის  
და დაარია ქალბატონი იგი ცისმარი,  
რომ მედეასთვის მოეველინა ავი სიზმარი.

და მოხდა კიდევ ისე, როგორც გამარს ენება,  
 დღემ მიმდინარემ როცა მკრთალად იწყო თენება,  
 ცეცხლოვან ცეკვით გადაღლილი, გადაქანცული,  
 ძილად მიიქცა მშვენიერი იგი ქალწული  
 და ცისა მარმა განიკითხა სული მძინარის,  
 თავზარდამცემი მოუვლინა ბედკრულს სიზმარი,  
 ამღვრეულიყო კალაპოტი ფაზის მდინარის,  
 შიგ იწვა გველი საზარელი და საზიზღარი,  
 ქერცლშევერცხლილი სპილენძისგან გაქედის ჰგავდა  
 იწვა და ციდან ჩამოცვენილ ვარსკვლავებს ნთქავდა.

დაბზარულ ზურგზე ესხა უცხო ფრინველთა გუნდი,  
 მათ ფრთების ტლაშუნს საშინელი გრიგალი ახლდა,  
 წამოიშალნენ, წინ გაიგდეს დამფრთხალი ხუნდი,  
 კამარა შეკრეს და აღმოჩნდნენ ელვისა სახლთან.  
 სტუმრებს მედეა შეეგებათ წრფელი ღიმილით,  
 სუფრა გაუწყო საკადრისი, მოისხა გვერდით,  
 ფრთათეთრმა ქულამ დაუკორტნა ალერსით მკერდი  
 და მეფის ასულს გაბრუებულს ყვილ-ხივილით  
 გული მოსტაცა, ქალწულმა და სანაცვლოდ გულის  
 მიიღო ხვევნა და უგულო ალერსი ქულის.

ბზი ლამობდა, მოფერებით გამოეძალა  
 ბზის ნაბობები ოქროს კოჭი ქალის მამისთვის,  
 და როცა ხვევით ქალს ძაღლონე გამოეცალა,  
 სამაგიეროდ სიყვარულის ერთი ღამისთვის,  
 კიდევ ყოველი აღუსრულა, რასაც დაპირდა,  
 არ შეეშინდა განრისხებულ მამის მუქარის  
 და უცხო ფრინველს მისცა კოჭი მზის ნაჩუქარი,  
 თვითონაც გაჰყვა, გადაფრინდნენ უმაღ ნაპირთან,  
 სადაც ეყარა ფაეტონტის ძვლები ბზინვარე  
 და იწვა მღვრიე მდინარეში გველი მძინარე.

ფრთათა შრიალმა გააღვიძა ალბათ წყეული,  
 წყალზე შეირხა, სიხარულით შეხვდა მოსულებს,  
 შემდეგ ზღვისაკენ შემობრუნდა მთელი სხეულით  
 და თვალწინ პონტო გადეშალა უცხოთმოძულე.  
 მთვარის შუქს გაჰყვა, გასრიალდა წყლის ზედაპირზე,  
 მკრთალი ნათელი არემარეს მოჰფინა შხეფად,  
 და დაედევნა გამოღმა და გაღმა ნაპირზე,  
 გაბოროტებულ მდევართა თუ მწევართა ყეფა.  
 ცა აიეტის რისხვისაგან ქუხდა, ელავდა.  
 და ზღვა შფოთავდა მედეაზე მეტად ღელავდა.

სულშეძრწუნებულს გაეღვიძა დედოფალს გრძნეულს,  
 გაიზმორა და სარკმელიდან სივრცეს გახედა.  
 დიდხანს ეძებდა შეშინებულს, ნათელით ძლეულს  
 ღამეს, ხეების ჩეროებს ქვეშ რომ ცახცახებდა.

და შეიცხადა: „ნუთუ გახდა?! ნუთუ თენდება?!  
მზე მობრძანდება, დახეთ მთიებს რარიც ცილებს,  
ჰა, ირიყრაყა, ალბათ მალე კიდევ იალებს  
და სანთლის მთვარე მთებში ნისლად ჩაიღვენთება,  
მოხუცი მნათეც გააღვივებს თავის ყალიონს,  
რომ შეურიოს ბინდისფერი კვამლი ალიონს.

#### ილიია ვეფხია დემეტრესადმი

ნიაგმა ქალებს მოახვია ჭავლები კვამლის,  
დაბინდა ველი დიამარს, ანუ თამარის  
და დაგუბებულ მდუმარებას, ლოცვა ამარის  
ისე აფრთხოზდა, როგორც ღამეს ყვილი მამლის.  
საფლავებს შორის გამოღებულ სამარის კართან,  
სადაც დარაჯად მოოქვრილი კერპი დგას გაცის,  
ვერვის ნახავდით, ჭკანებაც არ იყო კაცის,  
არავინ სჩანდა მუხლმოყრილი დიაცის გარდა.  
ადგილის დედას, დედამიწას, დიპას, თუ დიხას  
ვეედრებოდა ილიია ღალადით, დიდხანს.

დიდება შენდა დიამატერ, დედაო ღია,  
თვალთა შენთაგან წყარონი რომ ცრემლებად დიან,  
ებჭურებიან ველ-მინდვრებს და ბალახებს ზრდიან,  
ზრდიან ბალახებს ცხოველთა, თუ ცხოვართა საზრდოდ  
და არა მისთვის, რომ მოკვდავმა წამლად ეძიოს,  
ამიტომ ვშიშობ, მართა რისხვა რომ არ ეწიოს,  
გემადურები ჩემს მედეას შენ შეეწიო,  
ცოდვა შეუნდო, აბატიო, პატივი დასდო.  
მშობელო ჩვენო, წოდებულო დედა-დიადო,  
დიდება შენდა დიბაალ, ღია დიადო.

#### მარულა

გათენდა. ცვარი ცის ნაცარი იქცა მარაგად  
და მზირა დილით, ბზის საქრეფად სისხამს გასული,  
ნაშუადღევსლა შემობრუნდა ტყიდან მარაქა,  
რათა შეემყო ბზის გვირგვინით მეფის ასული.  
მედვას, ღამის ზმანებებით დაქანცულს, დაღლილს,  
დაფიონიდან დაყოლილი დარდი და სევდა  
დილის სავალზე განუყრელად ფეხდაფეხ სდევდა,  
ვით მონადირეს სდევს წკაფწკაფი ერთგული ძაღლის.  
განმარტოვდა და მართა ნების სცადა გაგება,  
რომ განემარტა, რას უქადდა სიზმრად განგება.

მზირა დღე გახლდათ. ვრცელ და ნათელ შემარის ველზე  
იმართებოდა მარიალის დიდი მარულა.

აფსირტემ ავი თვალისაგან მალვირ, ფარულად,  
თხის ტყავის თასმით თვალ თილისმა შეიბა ყელზე,  
წელზე მოირგო ხალიბური ვერცხლის ქამარი,  
თვით აღიკაზმა და შეკაზმა რა სახელდარიც,  
საასპარეზოდ გაემართა მშვიდი, ამარი,  
თანაც ამაღლდ გაიყოლა ასი მხედარი.  
ქურანთა რემას გზად წარუძღვა შავი მერანი,  
შავარდენს ფრთამალს დაედევნენ მფრთხალნი ძერანი.

შუმარის ველზე შეყრილიყო მთელი სოფელი.  
პელას თავს ედგა ოქროს პორლი, მზის ეტლის დარი,  
საჩრდილობელქვეშ, მედიდურად, სამყად მჭდარი,  
უკვდავსა ჰგავდა მეფე მოკვდავთმანათობელი.  
უდარდელი და მხიარული სჩანდა უფალი,  
მარჯვნივ და მარცხნივ საპატიო სტუმრები ესხდა:  
პიპერის ქვეყნის მბრძანებელი, მეფე თუბალის  
და ქალაქ მცხეთის განმგებელი, ბატონი მესხთა.  
თავდავიწყებით მისცემოდნენ განცხრომას ნეტარს,  
შარბათს წრუპავდნენ, ამბროსია შერეულ ნექტარს.

მზემ მარიოტა აღიარა. შუადღეც გახდა.  
ღღე უკუიქცა, მოიწია ჟამი დათქმული  
და გამობრწყინდა ცხრა მხედარი სახელგანთქმული,  
რომელთა შორის ფაეთონტი პირველი გახლდათ.  
ფეხშენაცვლებით, არეული, ლამაზი ჩოროთით,  
მოაჭენებდა სვებედნიერ, ფეხმარდ ბედაურს,  
კვალში ჩაუდგნენ ჭინიბები ჰუნეს მეთაურს,  
მარდუქის გოდოლს ჩაუარეს, გადმოჭრეს კორდი  
და როცა ცხრავე მონაწილე მწყრივად დაეწყო,  
აიეტ მეფემ ანიშნა და ბრძანა — დაეწყოთ.

ცხენებმა იწყეს ბულრაობა, გარე-გარება  
და ზარის ხმაზე ცხრა ტაიჭი, გულფიცხი ახტა,  
განქარვდა, გაქრნენ, მარქაფები იქცნენ ქარებად;  
ქარების ქროლას აიეტი უცქერდა სახტად.  
სჩანდა მეტადრე გართულიყო ქართა მარულით,  
აღარ ესმოდა ყიყინა და ხალხის გნიაში,  
დაწინაურდნენ ნიავექარი და საბარული,  
აფსირტეს რახსი და ქურანი მარღანიაში.  
პირველად ყველა უფლისწულის მოსვლას ელოდა,  
თუმცა სათქმელად ძნელი იყო ვინ პირველობდა.

და ახავი! საოცარი ამბავი მოხდა,  
მოულოდნელად წინ გაიჭრა ჭრელი სინიბი  
და ვინმე მომი მარგველანის საღარმა კოხტამ  
ჩამოიტოვა დარჩეული ყველა ჭინიბი.  
მიჯნა პირველმა გადაკვეთა სისვამა, ამლაკმა  
და ცქენზე მეტად გახვითქულმა თავად მხედარმა,

გამარჯვებულმა, ბედნიერმა, ლაღმა, ნეტარმა,  
გახელებული ბედაური ძლივსღა ალაგმა.  
ცხენს თივა მისცეს, მხედარს ჭილდო და საბოძვარი,  
თან გამარჯვებაც მიულოცეს გასაოცარი.

აიეტ მეფე უფლისწულზე წამით თუ გაწყრა,  
უმალვე მოღბა, შეურიგდა, აღარ ბრაზობდა.  
ცეცხლი განელდა და სიფიცხეც ცხადია დაცხრა,  
გამხიარულდა, იმღეროდა და დარბაზობდა.  
მედაფდაფეებს დაავალა დაკვრა საკრავთა,  
მარონს უბრძანა ყველა მარნის კარის გაღება,  
კვალად მართათვის შესაწირად დაკვლა საკლავთა  
და სტუმართათვის სალაროდან ლართა გაღება.  
მზირა დღეც გახდა. მარიალის დიდი მარულა,  
ესე გასრულდა ბედნიერად და მხიარულად.



სივრცე, მარადის განუწყვეტელი,  
მე — მაცქერალი კენტად,  
ჩემი დღეები, განუწყვეტელი  
საუბარია შენთან.  
რომ გადაღწეოს, ძალუძს, კედელი  
სულს, გადაქცეულს დენთად,  
ჩემი ფიქრები განუწყვეტელი  
დიალოგია შენთან.  
შუქი, რიყრაყის მათუწყებელი —  
ელვია უცნობ დენთა,

ჩემი ცხოვრება განუწყვეტელი  
მოახლებაა შენთან.  
დაუსრულებელ-დაუწყებელი  
არსი ლაყვარდებას პენტავს,  
ჩემი არსება განუწყვეტელი  
ზიარებაა შენთან.  
ყოველთა სიღრმეთა ფარულ-მკვრეტელი  
ნება სულს ღრო-ჟამს შერთავს,  
ჩემი ოცნება განუწყვეტელი  
მღუმარებაა შენთან.

დილა. რადიო ჰანგით  
შორეულ ნაღველს მიყოფს,  
ვიტრობი უცხო ბანგით...  
მაშინაც ასე იყო!

სული გავგზავნე თითქოს  
შორეულ ქვეყანაში,  
რომ თრთვილით დაიფიფქოს...  
ასევე იყო მაშინ!

სარკმელს ადგება სხივი —  
დილის ხოტბა და ოდა,  
თრთის ფიქრთა თეთრი დივი...  
მაშინაც ასე თრთოდა!

რამია ყოფნის აზრი?  
ფიქრი ცით გადაქანდა.  
შორს ცელი მოჩანს ბასრი...  
მაშინაც იგი ჩანდა!

სხვა შელოდით სხმული  
სივრცე უღერს ათას ხმაზე,  
ნეტარებას მთხოვს გული...  
მაშინაც მთხოვდა ასე!

ლურჯ ნაღველს შევეთავსე,  
ღრომ უცხოდ გამომრიყა,  
ვარ იღუმალით სავესე...  
მაშინაც ასე ვიყავ!

საკმარისია ერთი შერბევა,  
რომ აიშალოს ფრთონა,  
დიდხანს დუმილი არც ეხერხება  
სულს, გამუღმებით მკრთომარს.

მუდამ ვასცქერი შორ, ნისლიან გზებს,  
ლოდინს — სიმძაფრე მოსავს,  
აფეთქებულა — ოდნავ შრიალზეც,  
სრული დუმილის დროსაც.

დუმილის დროსაც შიგნით რეკს ზარი,  
გახსნი? ხმა ცამდე ავა,  
საკმარისია მცირედი ბზარი,  
ამოინთხევა ლავა.

დიდხანს ყოვნება არც ეხერხება,  
რავა? წუხილთა ასხმა.  
საკმარისია ერთი შერბევა,  
ჩამოიცილება თავსხმად.

# გგელი

რომანი

სიმაღლე — 80-100 სმ.

მორუხო-წითური.

შემოდგომასა და ზამთარში

ხროვეხად ცხოვრობენ.

მძუნაობს ზამთრის დამლეხს.

მაკეობა 62-66 დღე.

ურისს-18 (ხშირად) 6 ლეკვს.

სქესობრივ ხიზწიფეს აღწევს

22-24 თვისა.

ცოცხლობს 15-18 წელი.

შემოკლებული ამონაწერი ქართული საბჭოთა  
ენციკლოპედიიდან.

## ქალაქი

ავტობუსი ქალაქში შედის და მანქანებში იკარგება. სტუდენტთა ქალაქის შესასვლელთან დიდი რიგია. შესასვლელი წარმოადგენს პატარა ოთახს, რომლის სივანე ცოტათი თუ აღმებტება ერთ მეტრს. ამ პატარა ოთახის შუაგულში ტრიალებს მრგვალი რკინის ბორბალი, სიმაღლით ასევე ერთი მეტრი ან იქნებ ცოტა მაღალი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩერდება მეზობელი ოთახიდან გამოშვებული გრძელი რკინით. მეზობელ ოთახში მორიგეები სხედან. ისინი სამნი არიან. სამივეს მკლავზე წითელი ნაჭერი აქვს შემოკრული და ზედ მხოლოდ ასო — „მ“ — აწერიათ, რაც ეტყობა, აქაურად მორიგეს ნიშნავს. შესასვლელი ოთახი და სამორიგეო შუაში მინით არის გატიხრული. შესასვლელს გარედან აწერია: — „სდექ! წარმოადგინე საშუალება“ ბორბალი, რომელიც შესასვლელში ტრიალებს, ისეა დადგმული. რომ შისი ერთი შემოტრიალებით ერთი კაცი გარედან შედის სტუდენტთა ქალაქში, ხოლო მეორე შიგნიდან გამოდის გარეთ. ისე კი, თუ ბორბალი არ შემობ-

რუნდა, ვერც გარედან შევა ვინმე და ვერც იქიდან გამოვა. მორიგეები უსაშუოდ არავის უშვებენ და ორივე მხრიდან ხალხის დიდი რიგია.

ლუკა ხალხის რიგში დგას. იგი საშუალო ტანის, გამხდარი ბიჭია, ჯერ თვრამეტი წლისაც კი არ იქნება. წაბლისფერი თმები მოკლედ აქვს შეკრეპილი და ცისფერი თვალებით ოდნავ აფორიაქებული იყურება აქეთ-იქით. ერთი მოხუცი ქალი მიუახლოვდება და ჩუმად, თითქმის განწირული ხმით ეხვეწება:

— ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, ორი კარაქი მიყიდე რო შეხვალ და გადმომაწოდე.

ქალი ფულს აძალეხს. ლუკამ არ იცის რა ქნას, პირველად არის აქ, ქალი კი ისეთი სახით ეხვეწება, უარის თქმა არ შეიძლება. მოხუცი, ეტყობა, რაღაცას ხვდება და ბიჭის გასაგონად ჩურჩულებს — აქაურ მაღაზიაში უტალონოდ აძლევენ კარაქს. სტუდენტებს შეღავათს უწევენ, — თან ბიჭის გასაგონად ამბობს, თან ბოდიშს იხდის, ჩურჩულებს, ხელში სამამანეთიანს აცხცახებს და



თითქოს მხრებსა და ტანსაც აყოლებს ხელის კანკალს, მერე ამავე აკანკალებული ხელით ლუკას ჯიბეში უდებს ფულს და, ხომ არავინ დამინახაო, შეშანებული იყურება აქეთ-იქით.

ამასობაში ლუკას რიგმაც მოაღწია.

— შენ, ეი, არ იცი კითხვა?! — ყვირის მორიგე და ბორბალს აჩერებს, ისე რომ ლუკა ბორბლით კედელზე ამიკრული.

— საშვი მეთქი! — ხმამაღლა იძახის მორიგე.

— პირველად ვარ აქ, არა მაქვს საშვი.

— თუ არა გაქვს, ნუ მიეთრევი.

— პირველად ვარ, ხომ გითხარი.

— ბიჭო, ან შედი, ან გამოდი, ნუ გვაგვიანებ! ბრაზობს აქეთ-იქიდან მომდგარი ხალხი.

— მიმართვა მაქვს აქ საცხოვრებლად. — ინსტიტუტიდან წამოღებული ცნობა ამოიღო ლუკამ.

— მაჩვენე! — გამოჰკლიჯა მორიგემ.

— ვა, თეატრალი ხარ, ტო? — დამცინავად თქვა მეორე, გამხდარმა მორიგემ.

— გაუშვით, რა! — დაუძახა მათ მესამე მორიგემ, რომელიც კუთხეში იჯდა და რადიოთი რაღაც მუსიკას უსმენდა.

— ლექსი გვითხარი და შეგოშვებთ.

— არ ვიცი ლექსი და გამიშვით.

— ვა, მა რა თეატრალი ხარ თუ ლექსი არ იცი, ტო?!

მორიგემ ცნობა მიაწოდა, ბორბალი დაატრიალა და შიგნით შესულ ლუკას მიიძახა:

— შენ, ეი, თეატრალი ხარ თუ ვიდაცა ხარ, მეორედ აქ უსაშვოდ აღარ დაგინახო მოსულის თორე!

სტუდენტალაქის მალაზია იქვე, შესასვლელთან ახლოს იყო. ლუკა შიგნით შევიდა, კარაქი იყიდა და ღობის იქით დარჩენილ მოხუც ქალს დაუწყო ძებნა. ქალი მოშორებით წასულიყო და მოფარებული ადგილიდან ხელის ქნევით ანიშნებდა, აქეთ წამოდი, აქ გადამოაწოდეო.

ლუკამ ღობის ზემოდან გადაუგდო

ქალაღმწი გახვეული კარაქი და მტკიცე კორპუსი რომელიაო, ჰკითხა ქალს.

— ბოლოდან მესამე — დაუძახა ქალმა და რაღაც მადლობის მსგავსი სიტყვების ჩურჩულით წავიდა თავის გზაზე.

ლუკა ერთხანს ქალს გაჰყურებდა. რაღაცით იზიდავდა ეს მოხუცი. რაღაც მშობლიური სიტბო მოდიოდა მისი ოდნავ წინწახრილი მხრებიდან. ხანდახან წაბარბაცდებოდა და ჯოხს ეყრდნობოდა.

აქამდე ყველაფერი მოხეიძე და ამაღლებული ეჩვენებოდა ლუკას ქალაქში. მისაღებ გამოცდებზე კი იყო აქ ორი კვირით ჩამოსული, მაგრამ მაშინ ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, მხოლოდ ერთი მიზნით იყო შეპყრობილი — სტუდენტი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდევ. როცა ინტიტუტის შეშის კარზე გამოკრულ ჩარიცხულთა სიაში თავისი გვარიც წაიკითხა, იმ წუთიდან ყველამ და ყველაფერმა საზეიმო იერი მიიღო. სოფელში დაბრუნებულს თვით მთებიც უფრო მეტად მაღალი და მოხეიძენი მოეჩვენა.

ქალაქმა წარმოშვა ეს ამაღლებული გრძნობა და თვითონვე იყო უჩვეულო, ამაღლებული და იღუმალი. იგი რაღაცით ჰგავდა უცნობ ლამაზ ქალს და თავისკენ იზიდავდა ლუკას, იზიდავდა და თანაც სიკეთეს ჰპირდებოდა.

და თითქოს ამ ჰარმონიულ მელოდიაში სიმი ჩაწყდაო, ისე ჩასწყვიტა რაღაც მოხუცმა ქალმა ლუკას. ქალი არ ეკუთვნოდა ქალაქს, მის მოძრაობაში ერთი ნაბიჯიც კი არ იყო საზეიმოდ გადაადგმული. არა, ქალი ნამდვილად არ ეკუთვნოდა ქალაქს, ან...

ლუკა შებრუნდა და ქალმა რომ მისაწავლა, იმ კორპუსში შევიდა.

**ოთახი № 55**

ლოგინზე გაუხდელად წევს მერაბ ბახია — მსუქანი, ზემოთ ამოშვებული ღიბით.

— გამარჯვება! — მიესალმა ლუკა.

— ოჰ! გავიმარჯვოს ბატონო! — ლოგინიდან წამოიწია მერაბი.

- მე თქვენ ოთახში გამომაგზავნეს.
- საიდან ხარ შენ, მაგალითად?
- გულდამაყრელი ვარ.
- აჰ! სად არის ეგ, შენ თუ მეტყვი?
- მთაში.

— აუჰჰ! ჰოო... ერთი ეს მითხარი, თქვენთან გაზეთს მოხარშულს ჭამენ, თუ შემწვარს?

— გააჩნია გაზეთს, — თქვა ლუკამ და მერაბ ბახიას ისეთი სიცილი აუფარდა, ლამის საწოლიდან გადმოვარდა. მერე ერთად იცინოდნენ ლუკა და მერაბი.

— მწვადის საქმე როგორაა თქვენთან, მწვადის? — რაღაც უაზრობებს იძახდა მერაბი და თან თავის ნათქვამზე იცინოდა.

კარზე ვიღაცამ უხეშად დააბარახუნა და შემოვარდა ორი მილიციელი. ბიჭებს სიცილი სახეზე შეაცივდათ. მილიციელებს რამდენიმე მორიგე კომკავშირელიც შემოჰყვა.

— არ გაინძრეთ! — დაიყვირა ერთმა მილიციელმა და თვითონ რაღაცას გაფაციცებით დაუწყო ოთახში ძებნა. ამოაბრუნა ლოგინები, კარადა გამოაოლო, ცარიელ ღვინის ბოთლს მოჰკრა თვალი და ლუკას შეუთქა:

- მოდი აქ შენ!
- ლუკა მასთან მივიდა.
- რა არის ეს?
- ბოთლია.

— მეც ვხედავ რო ბოთლია, შე ლაწირაკო, შენა! ჩაწერე, — მიუბრუნდა მეორე მილიციელს.

- გვარი და სახელი?
- ლუკა.

— ლუკა. გვარი გვითხარი, თორე ისე ამბობ შენ ვინაობას, თითქოს ეს-ეს არის, გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში შემობრძანდი რომელიმე გენიალური მოთხრობით ხელში.

— მე ჩოხელი ვარ, მაგრამ, იმედი მაქვს, არც თქვენ ბრძანდებით ჭკაჭკაელების ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი.

— ამ ლაწირაკს ვერ უყურებ?! მეტს კი არაფერს ასწავლიან ამათ ინსტი-

ტუტში, დედის ძუძუს მაგიერ წაყა არა გაქვს ბაღნობაში ნაწოვი, ისე ვერ მოხვდები იქ, სუ იპიპიებს და ეჭეჭეებს ლებულობენ.

— თქვენს ინსტიტუტში სულ ბეჭეჭეებს ლებულობენ და რა ვქნათ იპიპიებმა, არ ვისწავლოთ?

— ხმა ჩაიკმინდე, ამხანაგო! როგორ ელაპარაკებით უფროსს? — გაუბრაზდა ლუკას ახალგაზრდა კომკავშირელი.

— ისე ვამჩნევ, ბეჭეჭეს ვამღერებთ მაგას ხვალ-ზეგ, — დაქადნებით თქვა მილიციელმა.

ოთახში კიდევ ორი კაცი შემოვიდა, რომლებმაც ნახევარლიტრიანი ქილები შემოიტანეს. ერთი ქილა მერაბს მისცეს, ერთიც ლუკას.

— ჰო, მიღით ახლა, რალს დგეხართ! — ბრძანებით თქვა ჩოფურა მილიციელმა.

— რაა?! — ვერ გაიგო ლუკამ რას ითხოვდნენ.

— რა და, ქენი მანდ! — ქილაზე მიუთითა მილიციელმა.

ლუკა დაიბნა.  
— ამხანაგო, რასაც გეუბნებიან, ქენით, — აუხსნა ბიჭებს მორიგე კომკავშირელმა.

— ვერ გავიგეთ ბატონო, რომელი, მაგალითად? — იკითხა დაბნეულმა მერაბმა.

- რა რომელი?
- ეს ვქნათ, თუ ის?

— ის არ გვჭირდება ჩვენ, ანალიზისთვის შარდია საჭირო — გაბრაზდა მილიციელი.

— თუ შეიძლება, იქ გავალთ, ბატონო, — სთხოვა მერაბმა.

— ჩვენს თვალწინ, ჩვენს თვალწინ! — ნახევარ ლიტრზე მეტი რომ მომივიდეს, მერე რა ვქნა ბატონო?! — შეწუხდა მერაბი.

— აბა ეხლა ზედმეტი ლაპარაკი არ იყოს, დროზე! — გადაჭრით თქვა მილიციელმა.

ლუკა დაბნეული იყურებოდა და არ იცოდა რა ექნა.

მერაბმა ლუკას ანიშნა, სხვა გზა არ



არისო, და ლუკამაც შეასრულა ბრძანება.

იმ ორმა კაცმა ჭილებს პირს მოაკრეს, გვარები დააწერეს და წავიდნენ.

მარტო რომ დარჩნენ, მერაბმა ისევ გააგრძელა სიცილი. ლუკა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ჩუმად იყო.

— ეე, გაგიჩნდა რაღა შენც სადარღებელი. ნეტა ყოველდღე ესე მოგვემსახურნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მერე ისევ იქ მოგვიწევს სიარული, სადაც მეფენი თავის ფეხით დადიან. მიიტანენ, გაანალიზებენ და მიხვდებიან, რომ მორფინისტები არა ვართ, პლანს არ ვეწევი, მორჩა და გათავდა, შენც გადაგივლის ბრაზი, — ამშვიდებდა ლუკას მერაბი.

— ჰო, შენი საწოლი ეს იქნება, — ცარიელი საწოლი აჩვენა მერაბმა ლუკას. მერე მიმართვა გამოართვა და უთხრა:

— წამომყევი, ლოგინი გამოვართვათ კომენდანტს.

ლუკას ლოგინი რომ დაალაგეს, მერაბმა თქვა:

— წამო, ეხლა დავასველოთ.

— რა დავასველოთ? — ჰკითხა ლუკამ.

— რა და, ჩვენი ერთად ცხოვრებისა დავლით.

ბიჭები კორბუსიდან გავიდნენ.

— აი, იმ სახლში საიყეეთია, — უხსნიდა ვზადავა მერაბი ლუკას — მოდი, ფანჯრების წინ გავიაროთ.

— ააჲ! — დაიყეფა ძაღლის ხმაზე ერთმა დედაკაცმა, როცა მის ფანჯარას გაუსწორდნენ.

ლუკა გაიქცა.

სალუდებში შევიდნენ და თამბაქოს კვამლში გაეხვივნენ.

— მე უსაშუოდ არ შემომიშვებენ, — უთხრა ლუკამ მერაბს. როცა უკან მობრუნდნენ.

— მე მანდღან არც შევდივარ, — თქვა მერაბმა — საშვი მაქვს მარა, იდექი ახლა იმ რიგში.

— აბა, როგორ შედიხარ?!

— წამო, — მერაბმა მეორე მხრიდან შემოუარა სტუდენტალაქს, მეათე კორბუსის პირდაპირ გახსნა მავთულის ლობე, შიგნით შევიდნენ და ისევ შეინიღბა შესასვლელი.

ოთახში რომ შევიდნენ, დასასვენებლად წამოწვენენ ლოგინებზე.

— ბიჭები სახლში არიან წასული — თქვა მერაბმა.

— ვინ ბიჭები?

— ჩვენთან კიდევ ორი ბიჭი ცხოვრობს.

ოთახის კარზე დააკაკუნეს.

მერაბმა კარი გააღო.

— აბა, როგორა ხართ? — იკითხა შემოსულმა კაცმა, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა

— კარგად, პატივცემულო.

— მე ინსტიტუტიდან გამომავაზენენ შესამოწმებლად, ყველაფერი რიგზეა?

— კი, დიას.

— ეს ბიჭი ვინ არის?

— პირველკურსელია.

— სასიამოვნოა! წელს არა, მაგრამ გაისად მოგიწევს ჩემთან სამხედროს გავლა, — თქვა სამხედროს მასწავლებელმა.

— საიდანა ხარ?

— მთიდან.

— ჰოდა, მაგარი მეომარი უნდა გამოხედო, თუ მაგარი მეომარი იქნები, მაშინ მსახიობადაც ივარგებ და პოეტადაც. ვისაც თოფის წამლის სუნი არ უყნოსია, ის...

სამხედროს მასწავლებელს უცებ ფერი წაერთვა და ლუკას ლოგინზე ჩამოჯდა. მერაბი წყლისთვის გაიქცა. სანამ ის წყალს მოიტანდა, მანამდე სამხედროს მასწავლებელი ლოგინზე გადაწვა და სული დალია. მერაბმა აღარ იცოდა წყლისთვის რა ექნა და ისე დაიბნა, თვითონ დალია.

ოთახი ხალხით გაივსო.

მერე გარდაცვლილი წაასვენეს და ოთახი დაცარიელდა.

ლუკა იჯდა და ფიქრობდა.

გოდებადი ჩოხელი  
მგალი



მერაბი გვიან მოვიდა და მაშინვე დაწვა.

ლუკა იჭდა და ლოგინს უყურებდა.

— რატომ არ იძინებ? — ჰკითხა მერაბმა.

— არ მეძინება.

— ხომ არ გეშინია?

— არა.

— მაშ რატომ არ წვები?

— იმ ლოგინზე ვერ დავიძინებ.

მერაბი ადგა და ლუკას ლოგინზე დაწვა.

— შენ ჩემ ლოგინზე დაწევი. კაცის სიკვდილი საშიში არ არის. კიდეც კარგი, ის მოკვდა ამ ლოგინზე.

— კიდეც კარგი, რატომ?

— იმიტომ, რომ ამ ლოგინში მყოფმა სიკვდილმა უკვე წაიღო თავისი წილი სიცოცხლე. ეხლა აქ საშიში აღარაფერია. კიდეც კარგი, ის მოკვდა.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

— გშია? — ჰკითხა მერაბმა.

— არა, ისე.

— მე მშია, ვჭამოთ.

— რა ვჭამოთ?

— ჩვენ ქვემოთ ვოკალისტი ცხოვრობს, მისთვის მწარე საჭმელი არ შეიძლება, ყელი გაუფუჭდება, სახლიდან კი სულ მწარე საჭმელებს უგზავნიან.

მერაბმა ლოგინის ქვემოდან ხის კავი გამოაძვინა, ფანჯარა გამოაღო და ქვემოთა ფანჯრის რაფაზე გარედან ჩამოკიდებული საჭმელებით სავეს კალათა ამოიტანა ზემოთ. თიხის ქოთნიდან ლობიო გადმოსახა თეფშზე, თონის პური შუაზე გადატეხა, ნახევარი ისევ კალათში ჩადო, ნახევარი კი მაგიდაზე დადო. კალათიდან ახლა ქალაღის დაკეცილი ფურცელი ამოიღო, რომელზეც უამრავი მადლობა ეწერა. ყველა მადლობის ქვეშ მიწერილი ჰქონდა რიცხვი და საათი. მერაბმა ერთხელ კიდეც მიაწერა — მადლობა, რიცხვითა და საათით დაამშვენა, ქალაღი დაკეცა, კალათში ჩადო და ისევ დაბლა ჩამოჰკიდა კავით.

უცებ დერეფანში ხმაური ატყდა. ბიჭებმა გარეთ გამოიხედეს. ვიწრო დერეფანი მაყურებლებით გაივსო.

ახმახს კატისათვის თასი გამოება კულზე და აიძულებდა გაქცეულიყო. კატა მაკედ იყო და ძლივს ეროდა მუცელს. შეშინებული აფეთებდა თვლებს. მოიკრებდა ღონეს, გაქცეოდა, დერეფნის ბოლომდე მივიდოდა, კუთხეში მიიკუნჭებოდა და აკრუსუნდებოდა. ის ახმახიცი წამოადგებოდა თავზე და ახლა აქეთ გამოჰქცევას აიძულებდა:

— ბრის! ბრის! — უბაკუნებდა ფეხს.

ლუკა მისკენ წავიდა.

— არ გინდა, — შეაჩერა მერაბმა.

ლუკა მინც წავიდა.

— არ გინდა, გაგლახავს, — ისევ შეაჩერა და თითქმის ხევწით სთხოვა მერაბმა.

ლუკა კატის მწვალებელთან მივიდა და უთხრა.

— ცოდოა.

— თუ შენ კული გაქვს და მაგის მაგიერ გამოიბამ ამ თასს, კი, ბატონო, ცოდოა კატა, გაუშვათ, ოღონდ ერთი პირობით: ასჯერ იქით გაიქცევი, ასჯერ აქეთ, მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ კული არ აღმოგაჩნდა.

— ცოდოა კატა, გაუშვი, — მშვიდად გაუმეორა ლუკამ.

ამ ამბავს ისე მისჩერებოდა მთელი სართული, ისეთი დაძაბული სიჩუმე იყო ირგვლივ, ეტყობოდა, კარგი არაფერი მოხდებოდა.

კატის მწვალებელი, ეტყობა, მთვრალიც იყო, ამღვრეული თვალელები ჰქონდა და კი არ სუნთქავდა, ქშინავდა.

— მაშ გაუშვათ კატა, არა, — მუქარით ჩაილაპარაკა და ისე ღონივრად მოუქნია მუშტი ლუკას, რომ მოხვედროდა, ალბათ, იქვე ვათავებდა; მაგრამ ლუკამ აღცდინა მოქნეული მუშტი, ახმახს წელში შეუვარდა, მოხდენილად გადაიკიდა მხარზე და გააქცია დერეფანში, ხან იქით და ხან აქეთ, ხან იქით და ხან აქეთ. კატის მწვალებელი დაიბნა, ფეხებსლა იქნედა ჰაერში. მაყურებლებში სიცილი ატყდა.

ასევე, მხარზე გადაკიდებული გაიყვანა ლუკამ მოწინააღმდეგე გარეთ.

ეზო გაირბინა, სამორიგეოში შეეარდა, ბორბალი დაატრიალეთ, დაუყვირა მორიგეს, გავარდა ქუჩაში, შეერია ნაძვებს, ბნელ კუთხეში მიიმალა, მოწყვეტით დაიქნია ტვირთი, მიწაზე დაახეთქა და წყნარად უთხრა:

— აქ არაფერ მოგვეხმარება, აი აქ გაესწორდეთ ერთი-ერთზე.

კატის მწვალებელი ზანტად წამოდგა, შარვალი ჩაიბერტყა, შებრუნდა და თავჩალუნული დაადგა ქუჩას.

ლუკა სამორიგეო შესასვლელით შევიდა სტუდენტულაქში.

მორიგეს საშვი ალარ მოუთხოვია მისთვის. გაკვირვებული თვალებით უყურებდა და სადა და როდის ამოღებდა სათქმელი:

— ვა, თეატრალ, ეს შენ იყავ?!

ლუკას არაფერი უთქვამს მისთვის, იგი ამ დროს კატას უყურებდა. კატა სტუდენტულაქიდან გადიოდა და იქით შეერია სიბნელეს, საითაც მისი მწვალებელი წავიდა.

არა, არაფრით არ იყო ეს დღე მოზიემე.



— დალიე! — აძალებს სასმისს მერაბი ლუკას.

— არა, მეტი ალარ შემოძლია.

— დალიე, რა! — ახლა მეორე ეუბნება.

— ლექცია მაქვს.

— ლექცია, თორეე..

მერაბის ძმაკაცი თითქმის ძალით ასმევს არაყს.

— ეხლავე მოვალ. — თქვა ლუკამ.

— სად მიხვალ?

— ინსტიტუტში გავალ და მოვბრუნდები.

— ფული ესესხე ბიჭებს.

— კარგი.

ლუკა გარდერობისკენ მიდის. სახინკლეში პაპიროსის ნისლი წვეს.

— ჩემი პალტო მეთხუთმეტეზე ჰკილია, ნომერი ბიჭებთან არის. — ეუბნება მეგარდერობებს.

— ეს არის?

— არა.

— ესა?

— არც ეგ.

— აბა მეტი პალტო ამ ნომერზე არ ჰკილია.

ლუკა ბიჭებთან მივიდა.

— ჩემი პალტო ალარ არის.

— ალბათ, შეგაწერა ვილაცამ, რას იზამ, ჭიგარ, ხდება ესეთებიც, — იცინიან ბიჭები.

ლუკა პერანგის ამარა გამოდის გარეთ.

გარეთ თოვლია, ცივა, ქარი ქრის.

საგოყეთის პირდაპირ მიუყვება გზას. გზა კედლის პირზე გადის ფანჯრებთან.

— ააფ! — დაიძახა ფანჯარაში მდგარმა ქალმა და ერთი ვედრო წყალი შეასხა ლუკას, რომელიც ადგილზე გახვედა და ალარ იცოდა რა ექნა.

ფანჯარაში გოყები გადმოდგნენ და ხარხარი ატყეს.

ქარი ქროდა, ციოდა.

ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მხატვრული კითხვის საღამო ტარდებოდა. სიცვიისაგან მთლად გათოშლილი ლუკა დარბაზში შევიდა.

სცენაზე ირინა იდგა და ლექსს კითხულობდა.

სითბოში უცებ თავბრუ დაეხვია. სამად ეჩვენებოდა ირინა. ცალ თვალზე თითი დაიდო და დაიყვირა:

— ირინა!

ირინა გაჩუმდა.

— ირინა!

— რა გინდა, ლუკა?

— მიყვარხარ, ირინა!

დარბაზში ხარხარი ატყდა.

ორმა ბიჭმა გარეთ გამოიყვანა, კუთხეში მიმალეს და ერთმა ჰკითხა:

— გიყვარს, არა?

— მიყვარს.

იმავე წუთში მეორემ ისე ღონიერად დაარტყა სახეში, ლუკა უგონოდ დაეცა. იმათ წიხლებით ურტყეს, მერე წყალი მოიტანეს და დაასხეს, რომ მოსულიერებულყო.



●  
ლუკა თავის ლოგინზე წევს და კან-  
კალებს.

მერაბი ტანსაცმელს აყრის ზემოდან.  
ექიმი შემოვიდა და გასინჯა.

— სასწრაფოდ უნდა წავიყვანოთ, —  
თქვა მან.

— რამდენი დღეა რაც წევხარ?

— ერთი კვირაა უკვე. — თქვა მე-  
რაბმა.

ტანსაცმელი ჩააცვეს და წაიყვანეს.  
გასასვლელში ისევ იდგა ხალხი  
რიგში.

სასწრაფოდ მანქანამ სიგნალით გაი-  
რა ქუჩა.

●  
პირველი, რაც საავადმყოფოში შე-  
სულს თვალში ეცა, ვიწრო დერეფანი  
იყო. დერეფანი საესე იყო ავადმყო-  
ფებით. ისინი ცნობისმოყვარეობით ათ-  
ვალიერებდნენ ახალმოსულს.

დერეფანი ძალიან ვიწრო და მიხ-  
ვეულ-მოხვეული იყო. აქვე დაედგათ  
სასადილო მაგიდები და ქალები და  
კაცები ერთად ჰამდნენ.

— მეხუთეში დააწვინე, ადგილია  
იქ. — უთხრა ექიმმა სანიტარს.

— წამო, შვილო, — წაიყვანა ქალმა.

მეოთხეს და მეხუთე პალატას ერთი  
შესასვლელი ჰქონდა. მეოთხეში რომ  
შევიდნენ, სანიტარმა ჰკითხა:

— მორფს იკეთებ?

— რა?

— პლანს ეწევი?

— რა პლანს?!

— მოგაწვეინებენ, შვილო.

— ვინ?

— მეხუთეში, — ჩუმად ჩურჩულებ-  
და ქალი და იქეთ იხედებოდა — სუ  
ეგეთი ხალხი წევს იქ. ქრონიკული კლე-  
ქიანები არიან. თვითონ ხომ ეწვევიან და  
ნემსებს იკეთებენ, სხვა თუ ჩაიგდეს,  
იმასაც აფუჭებენ.

— დეიდა!

— რა შვილო.

— სხვაგან არ არის ადგილი?

— არა, მანდაც დღეს მოკვდა  
იმის ლოგინია თავისუფალი.

— ამ პალატაში რომ გამიშალო, არ  
შეიძლება?

— აბა როგორ, ხომ ხედავ, თხუთმე-  
ტი ლოგინი დგას.

ლუკამ ჯიბიდან ათი მანეთი ამოიღო  
და ჩუმად გაუწოდა:

— ეხლა მეტი არა მაქვს, თუ მოვრჩი,  
მერე მოგცემ, ოღონდ იქ ნუ დამაწვენ.

მეხუთედან ვილაც თავგადაბარსული  
გამოვიდა და საჭმელად გავიდა დერე-  
ფანში.

— წავალ, ექიმს ვეტყვი, — დაიმედა  
ქალმა ლუკა.

ორმა კაცმა საწოლი შემოიტანა და  
მეოთხეში ისე ჩაჭედეს ორ საწოლს  
შორის, ადგილი აღარ დარჩა.

მერე დააწვინეს და არ იმოძრაოთ,  
დარიგეს.

სადილის მერე პალატაში შემოლაგ-  
დნენ ავადმყოფები და თავ-თავის ლო-  
გინებზე დაწვენენ.

ერთი მოხუცი იქით დაუწვა ლუკას,  
მეორე აქეთ. მეორეს მოხუცობა არც  
ეთქმოდა, შუახნისა იქნებოდა. იმან და-  
კვირვებით უყურა-უყურა და ყვირილი  
ატება:

— მიშველეთ! მიშველეთ, მამკლავს!  
არავინ განძრეულა.

— მიშველეთ! — ყვიროდა მოხუ-  
ცი, რომელსაც სურენას ეძახდნენ.

შემოკვივდნენ სანიტრები და ძლივს  
დააწყნარეს.

— მამკლავს! ჩემ მოსაკლავად გამოგ-  
ზავნეს ეგ, — ლუკაზე ანიშნებდა სა-  
ნიტრებს.

— დანა აქვს, დანა!

— დაწყნარდი, ნუ გეშინია, არა აქვს  
დანა.

— გასინჯეთ თუ არა აქვს.

სანიტრებმა ყასილად დაუწყეს ლუ-  
კას სინჯვა.

— არა აქვს?

— არა, არა, ნუ გეშინია.

— არ მამკლავს?

— ხომ ხედავ, ვერ ინძრევა, რატომ  
უნდა მოგკლას.



— ისინი გამოჰგზავნიდნენ.  
 — დაწყნარდი, დაწყნარდი, — წამლებს ასმევდნენ სანიტრები. მოხუცს ხველა აუტყდა და ლოგინზე დააწვინეს. როცა დაწყნარდა, ჩემად ჰკითხა ლუკას:  
 — მართლა არა გაქვს დანა?  
 — არა.  
 — არ მომკლავ?  
 — არა.  
 — რო დავიძინებ, მოპარვით ხომ არ გამომჭრი ყელს.  
 — არა, ნუ გეშინია.  
 — ჩემი ძმა იქნები?  
 — როგორც გინდა.  
 — ხო მიყარაულებ?  
 — როგორ?  
 — მესამე საწოლზე, იქეთ მხარეს რომ წვეს, ხო ხედავ?  
 — ჰო,  
 — ეგ იმით გამოგზავნილი ჩანს.  
 — ვისი?  
 — იმათი. მე უნდა გამომჭრას ყელი, რო დავიძინებ. ხო მიყარაულებ თუ დამეძინა?  
 — კი.  
 — მაშ დავიძინებ, ერთი კვირა არის არ მძინებია.  
 ერთ წამში ხვრინვა ამოუშვა სურენამ.  
 თანდათან მიწყნარდა პალატა.  
 — ალბერტ! — მოისმა ქუჩიდან.  
 ლოგინიდან ახალგაზრდა, დაბალი კაცი წამოდგა და ფანჯარაში გადაიხედა.  
 — ეხლავე, — ჩასძახა ვილაცას ქვემოთ, ტანსაცმელი ჩაიცვა, მერე ლოგინი ისე გაასწორა, თითქოს იქ ვილაც იწვა და მოაჯირზე გამობმული თოკით ჩასრიალდა ქუჩაში.  
 იმის გვერდზე მწოლიარე ბიჭმა თოკი ამოახვია და შეინახა.  
 მეხუთე პალატიდან თავგადაპარსული გამოვიდა, ჩუმად მივიდა ლუკასთან და წასჩურჩულა:  
 — ჩვენთან გეძახიან.  
 — ვინ?  
 — უფროსი.  
 — ჩემი განძრევა არ შეიძლება.

— შეიძლება, როცა გიბრძანებენ.  
 შეიძლება, წამო!  
 ლუკა წაჰყვა.  
 პალატაში კარტს თამაშობდნენ. მათ თითქოს არც კი შეხედეს ლუკას, რომელიც კართან იდგა.  
 — მოწვევ, თუ გაიკეთებ? — იკითხა უფროსმა.  
 — არ ვეწვევი, ჩემთვის არ შეიძლება.  
 — დიდი ხანია რაც მოფრინდი?  
 — დღეს მოვედი.  
 — აბა, მაშინ ჩვენი გაცნობისაც მოვეწიოთ!  
 — მე არა.  
 — ბატონო, ბატონო!  
 ორმა შპრიცი აჩვენა.  
 — მორიგე მოდის! — შემოიხედა ვილაცამ მეოთხე პალატიდან და მიმალა.  
 — აბა, ჩქარა, გაფრინდი! — ბრძანა უფროსმა.  
 ლუკა თავის პალატაში გამოვიდა და საწოლზე დაწვა.  
 მორიგემ ჩამოიარა და წავიდა.  
 მეხუთედან ისევ გამოვიდა შიკრიკი.  
 — მაყუთი გაქვს? — წასჩურჩულა ლუკას.  
 — არა.  
 — ხვალე მოვლენ შენთან?  
 — ვინ?  
 — სანახავად მოვლენ?  
 — არ ვიცი.  
 — თუ მოვლენ შეაწერე, გაიგე?  
 — გავიგე.  
 შიკრიკი თავის პალატაში დაბრუნდა. ავადმყოფებს ეძინათ.  
 დანდობილად ეძინა ლუკას გვერდზე მწოლიარე მოხუცსაც.  
 ლუკა იწვა და ფიქრობდა.  
 ფიქრიც არ ერქვა ამას.  
 სხვა დროს რომ არ გახსენებია, ახლა ისეთ რამეზე ფიქრობდა.  
 ეს ღამე, რალაცით ჰგავდა იმ ღამეს. პატარა იყო მაშინ. ჯერ სკოლაშიც არ დადიოდა, თუ პირველ კლასში იყო, კარგად აღარ ახსოვს. მაშინ პირველად მოხვდა საავადმყოფოში. თავის ტოლბიჭებთან თვალხუჭობანას თამაშობდა



და იმისი რიგი რომ მოვიდა, თვალზე ჩიქილა აახვიეს. ბიჭები დაიმაღლნენ. ბანზე ერთ მოხუც ქალს ხორბალი ჰქონდა გასაშრობად გაფენილი და სდარაჯობდა რომ ქათმებსა და ფრინველებს არ აეკენკათ. თვალახვეული ლუკა იმის ბანზე მოხვდა.

— სად მოხვალ, სად? — დაუცაცხანა დედაბერი.

ლუკამ ჭერ ჩიქილის მოხსნა დააპირა. მაგრამ ეს თამაშის წესის დარღვევას ნიშნავდა და თქვა:

— რა ვქნა, თვალახვეული ვარ, რომელზე გავიარო ვერ ვხედავ.

— იქით მიიწი და ისე გაიარე.

ლუკამ იქით მიიწია და ხელის ფათურით წავიდა წინ:

— იქეთ, იქეთ — ეუბნებოდა დედაბერი.

ლუკამ კიდევ გაიწია ბანზე და ისევ წინ წავიდა.

— კიდევ მიდექ, კიდევ — ეუბნებოდა დედაბერი და ლუკაც იწევს.

უცებ გამოეცალა ფეხქვეშ ბანი და ძირს დაეშვა.

დაცემისას ნაპერწკლები წამოსცვივდა თვალებიდან. თავი დაარტყა. სისხლი წამოუვიდა კრილობიდან.

ატირდა.

შეშინებული დედა გულში იკრავდა და თან ხელებით სინჯავდა. მართლა ცოცხალია, თუ არაო.

მაშინ პირველად მისცა მეზობელმა ლუკას შაქარყინულის დიდი ნატეხი.

მეორე დღეს რაიონის საავადმყოფოში წაიყვანეს.

პალატაში სამნი იყვნენ.

მეოთხე ლუკა იყო.

ისინი ათანაირ ამბებს ჰყვებოდნენ.

ერთმა თქვა: დღეს ერთი ერი ისე არ გაჩერდება, თუ ქრისტიანების სისხლი არ დალიეს, დღეს იმათი დღესასწაულია და წესად აქვთ, ქრისტიანის სისხლი დალიონო.

ლუკა პირველად იყო თავისი სოფლის გარეთ.

პირველად იყო უცხო ხალხში, უცხო გარემოში და იმ კაცის ნათქვამი თავი-

სებურად გაიგო; იქნებ ეს კაცობრივი პარული და რომ დამეძინება, თავს მომკრის, ჩემ სისხლს კი დასალევად წაუღებს ქრისტიანების მტრებსო.

პალატაში ყველამ დაიძინა.

ლუკა კი ცდილობდა არ დაეძინა.

სთვლემდა.

იფხიზლებდა.

ძილი და სიფხიზლე ერთ-ერთს ებრძოდნენ.

ჩაეძინა.

ესიზმრა: თავის სოფელში იყო და ბანებზე ბაღლებთან თამაშობდა. უცებ ატყდა მტრედების ფრთხილი და ზარების რეკვა. სოფლისთავ მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმაწვერიც თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისაკენ მოდიოდა.

ბაღლები გაიქცნენ.

ლუკასაც უნდა გაქცევა, მაგრამ შებორკილი აქვს ფეხები და ვერ გარბის.

მოვიდა ის კაცი, თოვლივით ქათქათა ხელი თავზე დაადო ლუკას, ხელში ყვავილი მისცა და უთხრა:

— ნუ გეშინია, შვილო, მიდი, გაიქეცი.

ლუკა გაიქცა.

გაეღვიძა.

გათენებულყოფ.

პალატაში ექიმი შემოვიდა...



— დანა აქვს, დანა! — დაიღრიალა უცებ სურენამ და წამოხტა.

— მიშველეთ!

მთელი პალატა ფეხზე დადგა.

ძლივს დააწყნარეს.



დილაა. ავადმყოფები ნემსის რიგში დგანან. ლუკა პირის დასაბანად გავიდა დერეფანში. პირს რომ იბანდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა და ძლივს გაუჩერეს.

გულაღმა ფრთხილად დააწვინეს ლოგინზე.



პალატაში მარტო ის და მოხუცი დომენტი დარჩნენ, დანარჩენები დერეფანში საუზმობდნენ. იმ დერეფანს ყველაფრისათვის იყენებდნენ, სივიწროვე იყო საავადმყოფოში.

— მე იცი ვინა ვარ? — ჰკითხა დომენტიმ ლუკას. — მილიციის მაიორი ვარ, მაშ, ყოფილი.

დომენტის ხველა აუტყდა. მეხუთეპალატელების შიკრიკი გამოვიდა, დომენტის თავზე დაადგა და ჰკითხა:

— რაო, ბიძია დომენტი, გახველებს?  
— მაშ, ბიჭო!

— ეხლავე, — თქვა მეხუთე პალატის შიკრიკმა და ცოტა ხანში არყით სავსე ჭიქა გადააკვრეინა დომენტის.

დომენტიმ სული ველარ მოითქვა და მიესვენა ხრიალით.

— სსსუ! — ტუჩებთან თითის მიტანით ანიშნა შიკრიკმა ლუკას და გარეთ გავარდა ექიმის მოსაყვანად.

დომენტიმ სული დალია. ბევრი უყვირა ექიმმა: დომენტი! დომენტიო! მაგრამ დომენტი აქ აღარ იყო.

დამძიმებულოყო, ძლივს გაასვენეს პალატიდან.

— იცი, ვინ მოვიდა! — შემოიხედა სურენამ პალატაში და ლუკას დაადგა თვალი.

— ვინ? — ჰკითხა ლუკამ.  
— ადრე რო იწვა გიყი აქაზა, ის მოვიდა.

ავადმყოფები დიდი ზარ-ზეიმით შეხედნენ ოცი წლის ბიჭს, რომელიც, შემოსვლისთანავე დომენტის ლოგინზე წამოწვა.

— ისევა გაქვს? — ეკითხებოდნენ გამომწვევად ავადმყოფები.

— გაქვს, მაშა! — იძახდა ის.  
— არა, დაჰკარგავდი, — გააქეზა ვილცამ.

— დავკარგავდი?!  
— ჰო.  
— სანაძლეო.  
— რაზე?

— თუ არ დაგიკარგნია, თავლს ვაჭმევ.  
აქაზა საწოლის ფეხზე შედგა, წონასწორობა დაიკავა და ერთ წუთს ასე გაჩერდა.

ავადმყოფები გაისუსნენ. გამოხედეს მეხუთეპალატელებმაც.  
— მაშ დავკარგავდი, არა? — თქვა აქაზამ.

— ჰო.  
— აჰა! — დაიძახა აქაზამ და ჩაიძრო შარვალი.

ავადმყოფებმა ტაშით დააჯილდოვეს. წაგებულმა თავლი მოუტანა და ბიჭმა მადიანად დაუწყო ჭამა.

— ჩოხელი, შენთან გოგოა მოსული, შემოუშვა? — იკითხა სანიტარმა.

— შემოუშვი! შემოუშვი! — დაიძახეს ავადმყოფებმა აქეთ-იქიდან და გაინაბნენ.

ლამაზი გოგო შემოვიდა და ლუკას აკოცა.

— ჩემი კოცნა არ შეიძლება. — უთხრა ლუკამ.

— ნუ სულელობ! — გაუწყრა გოგო. იები საწოლზე დაუწყო და მერე საკმელები ამოალაგა ჩანთიდან.

— დედამ გაიგო? — ჰკითხა ლუკამ.  
— არა, არ მოთქვამს.

— ნუ ეტყვი.  
— გოგონა, შენი აქ დიდხანს ყოფნა არ შეიძლება, გავიდა ხუთი წუთი, — გააფრთხილა სანიტარმა.

გოგომ კიდევ აკოცა ლუკას და პალატიდან გავიდა.

ყველა ლუკას მიაჩერდა.  
— ვინ იყო? — ჰკითხა ქერა ავადმყოფმა, რომელსაც ვასოს ეძახდნენ.

— ჩემი და არის.  
— კარგი რამე კი არის! — თქვა ვასომ.

ყველა გაისუსა.  
— ნაბიჭვარი ხარ, შენ, ვასო! — უთხრა ლუკამ.

— ვინ არის ნაბიჭვარი, შენი! — ლუკასკენ გაიზიდა ვასო — ლოგინში არ იწვე, მე გიჩვენებდი, — ყვიროდა ხმამაღლა.

— შემეძლოს ადგომა!

— ვერც ადგები ვერასოდეს! — ყვიროდა ვასო.

პალატაში ექიმი შემოვიდა და ყველა გაჩუმდა.

— აბა, დაწეით, შუაღლის ძილია! — ბრძანა ექიმმა.

ყველამ თავის ლოგინს მიაშურა.

როცა წყნარი საათი მორჩა, ამის მერე ყველანი საკმელად წავიდნენ. პალატაში მარტო მწოლიარე ლუკა დარჩა. მერე აქაზა შემოვიდა გალალებული სახით, ხელში ერთი კოლოფი წამალი ეჭირა.

— შენ იცი ეს რა არის? — ჰკითხა ლუკას.

— არ ვიცი.

— წამალია, ტუბაზიდი ჰქვია. ჩვენისთანებს ამით არჩენენ. ერთი ცალი ძალღსა ჰკლავს. იცი, რად მინდა?

— ვიცი, უნდა მორჩე.

— მოვრჩე? ეგ არ მოხდება. პირიქით, იქ უნდა წავიდე. ათი ცალი საკმარისია გასამგზავრებლად. მე ოცს დავლევ, რაში მენადვლება, რა, მაქვს და, ისე მოვპარე ექთანს, ვერც გაიგო, — ტუჩებთან თითი მიიტანა და ლუკას ანიშნა — სსუ! — მერე პალატიდან გავიდა.

ოთახში ორი ახალგაზრდა ავადმყოფი შემოვიდა. ლუკას გვერდით, მოხუცის საწოლში, სკამები ჩადგეს, ზედ ზეწარი გადაათარეს, ლუკას იები გამოართვეს და „კუბოს“ ზემოდან დააყარეს. დასხდნენ და დაიწყეს ხმით მოთქმა.

შემოვიდნენ ავადმყოფები.

შემოვიდა სურენაც და თავის საწოლზე ზეწარგადაფარებული და ზედ ყვავილებმოყრილი კუბო რომ დაინახა, შეშინებულმა იკითხა:

— ვინ მოკვდა?

— შენ! — უთხრეს „მოტირლებმა“.

— მეე?

— ჰო. იმან გამოგჭრა ყელი.

— ცოცხალი რო ვარ?! — თავი მოისინჯა.

— აღარა ხარ ცოცხალი, ყელგამოჭრილი ასვენებარ ამაში.

— მართლა?

— მართლა.

სურენამ საწოლთან დაიხოქა და გამტენარდა.

— რა არის ეს? — იკითხა ექიმმა.

— ჩემი კუბოა, — უთხრა სურენამ.

— რა დაგემართა?

— იმან გამოგჭრა ყელი.

— წამომყვე! — თავისთან წაიყვანა ექიმმა.

ყველას რომ ეძინა, ფეხაკრფით შემოიპარა და დაწვა.

— ცოცხალი ვყოფილვარ — გადაუჩურჩულა ლუკას. — ოღონდ არავის უთხრა რომ ცოცხალი ვარ, თორემ მართლა გამოგჭრიან ყელს, კარგი?

— ჰო, კარგი.

მერე ჩაიძინეს.

— მიშველეთ! — იყვირა დილაადრიან სურენამ.

ყველა წამოხტა.

სურენა აქაზას საწოლს უყურებდა და ჯანკალებდა.

ბიჭს თვალები და პირი ღიად დარჩენოდა. ხელში წამლის ბოთლი ეჭირა.

ისიც დამძიმებულიყო. ისიც მძიმედ გაასვენეს.

იმის მაგივრად ერთი თათარი შემოიყვანეს და იმის ლოგინზე დააწვინეს.

პალატაში მერაბ ბახია შემოვიდა.

მერაბი საწოლზე ჩამოჯდა.

— აკი ერთი სიკვდილი ერთ სიცოცხლეს ითხოვსო? — თქვა ლუკამ.

— ვერ გავიგე?!

— სამხედროს მასწავლებელი რომ მოკვდა, შენ ხომ დაწეი იმ ლოგინზე, იქ ნუ იწვები, საშიშია.

— რატო?

— შეჩვევა სცოდნია.

— რას?

— სიკვდილს.

— რის შეჩვევა.

— ადგილის შეჩვევა.

— რა ვიცი.

— აი, ამ ლოგინზე უკვე ორი კაცი მოკვდა. ეხლა ეს თათარი დააწვინეს.

— იქნებ ეგ არ მოკვდეს.  
 — არ ვიცი.  
 — ეს ფულს შენთან გამომატანა.  
 — ვინ გამოგატანა?  
 — თემურმა. შენი პალტო იმას გაუ-  
 ყიდა მაშინ.  
 — წაიღე, არ მინდა.  
 — არა, აი აქ გქონდეს, — მერაბმა  
 ბალიშის ქვეშ ამოუღო ფული და წა-  
 ვიდა.



ავადმყოფები ეზოს შემოვლაზე ჩა-  
 ვიდნენ ქვევით. ლუკაც ჩაჰყვა. იმათ  
 რამდენჯერმე შემოუარეს საავადმყო-  
 ფოს.

ყოველთვის იცავდნენ საზღვარს, რო-  
 მელიც მათ პალატებს ბავშვების პალა-  
 ტებისაგან ჰყოფდა.

საზღვართან, იქიდან პატარები იდ-  
 გნენ, აქედან ესენი, დიდები. ერთმა-  
 ნეთს უხმოდ უყურებდნენ.

ეზოში მდგარ ხეზე ჭდეები იყო.  
 ყველამ თითო ჭდე მიამატა თავიანთ  
 კუთვნილ წილ-ჭდეებს.

ლუკამაც გაუეთა ჭდე.

— ვა, უკვე მაგდენი? — გაიკვირვა  
 სურენამ.

— ჰო, ორი თვეა, რაც აქა ვარ.

— ნახე, იმას რამდენი ჭდე აქვს, —  
 ქურთის ჭდეებზე აჩვენა სურენამ.

— იმ ბაღლებსაცა აქვთ ესეთი ხე.

— ისინიც აჭდევენ?

— ჰო.

ეზოში თექვსმეტობდე წლის ლამაზი  
 გოგონა შემოიყვანეს და მეორე სარ-  
 თულზე წაიყვანეს დასაწვენად.



დერეფანში პურს ჭამენ ავადმყო-  
 ფები.

მეხუთეპალატელების შიკრიკი ლა-  
 მაზ გოგონასთან მივიდა და უჩურ-  
 ჩულა:

— მეხუთე პალატაში თქვენი ნათესა-  
 ვი წევს, ვერ დგება, დაგიბარათ, ერთი  
 წუთით შემომხედო.

გოგონა გაჰყვა.

მეოთხე პალატა რომ გაიარეს, გოგონა  
 რიკი თითოთ დაემუქრა ლუკას. ანიშნა,  
 ჩუმაღ იყავიო.

ერთი წუთის მერე, დაგუდული ყვი-  
 რილი გაისმა მეხუთე პალატიდან.

ლუკა წამოხტა და შეიხედა: ორს  
 ეჭირა და მესამე გაუპატიურებას უპი-  
 რებდა კაბაჩამოხეულ გოგონას.

ლუკა იმათ ეძგერა.

ატყდა ჩოჩქოლი.

პალატაში ეჭიმები შემოცვივდნენ.

მეხუთე პალატიდან სამი კაცი გა-  
 აგდეს იმ დღეს. დანარჩენებს ხმა არ  
 ამოუღიათ და ისეთი თვალებით უყუ-  
 რებდნენ ლუკას, აშკარა იყო, რალაცას  
 უპირებდნენ.



წვიმს.

ავადმყოფები ფანჯრებს აჰკვირან სა-  
 ხეებით.

ეზოში ის ლამაზი გოგონა მიდის.

— არ ყოფილა ავად, — გულდაწყვი-  
 ტით თქვა ერთმა.

— აბა რალას მოჰყავდათ აქ!

— ანალიზები აუღეს და არ ყოფილა  
 ავად, — ისევე გულდაწყვით თქვა მან.  
 გოგონა ეზოდან გავიდა.

წვიმდა.

ექიმმა შუადღის ძილი გამოაცხადა  
 და ყველანი დაწვენენ.

— ლუკა, დერეფნის ბოლოს შენი  
 და გივდის, — დაუძახა სანიტარმა.

ამჯერად ლუკამაც აკოცა დას, უკვე  
 კარგად იყო.

დამ ყვავილები მისცა და საჭმელები  
 ამოალაგა ჩანთიდან.

მერე ერთმანეთს დაემშვიდობნენ და  
 წასვლისას დამ ჰკითხა:

— კიდევ დიდხანს დარჩები?

— არა, უკვე კარგადა ვარ, ოღონდ  
 ჯერ არ ვიცი.

და წავიდა.

ლუკა შემობრუნდა და ვასოს მოჰკრა  
 თვალი.

ვასომ თვალი ჩაუკრა და ხელებით  
 ანიშნა იმის დაზე — ესეო.

ლუკა და ვასო ერთმანეთს ეცნენ.

ხან ერთია ძირს და ხან მეორე, კაცი შეილი იმათ გასაშველებლად არ გამოსულა, წყნარე საათი იყო.

ბოლოს ვასო მოექცა ძირს და იმდენი ურტყა ლუკამ, მანამ თვითონაც არ დაიქანცა.

ვასოს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა.

ლუკა საავადმყოფოდან გავარდა.

გარბოდა მანქანებში.

ვერ ჩერდებოდა, ეგონა, მთელი ჯოჯოხეთი უკან მოსდევდა, მერე საგიჟეთს რომ გაუსწორდა, მაშინლა მოვიდა აზრზე.

შეღვა.

ფანჯრებიდან გაკვირვებული უყურებდნენ გიყები. ახლად დაიხედა ტანსაცმელზე და მიხვდა, რომ მასაც იმათსავე ტანსაცმელი ეცვა და გარეთ რომ იყო, ალბათ, ის უკვირდათ გიყებს.

ლუკა სტუდენტალაქში წავიდა.

საიდუმლო შესასვლელიდან შევიდა, მაგრამ მეათე კორპუსი იქ აღარ დაუხვდა. მეათე და მერვე კორპუსები დაენგრიათ სიძველის გამო.

ლუკა ქუჩაში გამოვიდა. ტაქსი გააჩერა და სთხოვა ავტობუსების სადგურში გამიყვანეო.

— დაბრძანდი, ჩემო ბატონო! — ზრდილობიანად მიიპატიჟა მძღოლმა.

ლუკა ჩაჯდა.

ერთ შენობასთან მძღოლმა ტაქსი გააჩერა და ლუკას მოუბოდიშა.

— ერთი წუთით შევირბენ, ბატონო, პატარა საქმე მაქვს აგერ და გამოვალ ამ საათში.

— კი, ბატონო.

ტაქსის მძღოლი მალევე გამობრუნდა და ორი მილიციელი დააყენა თავზე ლუკას.

— აგერ ზის, ჩემო ბატონო, მთვრალია, მე მგონი, ივინება, არ გამიჩერა ერთი მკვდარი საფლავში.

— აბა ერთი გადმობრძანდიო!

ლუკა გადმოვიდა.

— რაზე აგინე ამ პატიოსან კაცს შენ?

— ვის?! — გაუკვირდა ლუკას.

— არ იცი ვითომ, მთვრალს ხედავ?

— არა.

— აბა წამობრძანდი!

— მე თავისუფალი ვარ, ბატონო? — იკითხა მძღოლმა.

— არ დაიკარგო, — გააფრთხილეს იმათ.

— კიდევ მოვალ დღეს ორ-სამჯერ, — თქვა იმან და წავიდა.

ლუკა შენობაში შეიყვანეს.

— ააა, ეს თავის ფეხით მობრძანდა — გაიცინა ერთმა მილიციელმა, რომელიც მაშინვე იცნო ლუკამ.

— გვიმღერებს აბა მაშ ამაღამ ტკბილ ხმაზე ბეჭეჭეს. გიყები რომ ხართ კი ვიცი, მარა, სუ გადაირიეთ ეს თეატრალური და პოეზიებიოთაც დაიწყეთ ქუჩაში სიარული? თანაც გიგინებია იმ კაცისთვის.

— მე არავისთვისაც არ მიგინებია.

— ხმა ჩაემინდე! როგორ თქვი, ბეჭეჭებს ლებულობენ თქვენ ინსტიტუტშიო, აბა თქვი, რატომ აგინე იმ კაცს?

— არავისთვის არ მიგინებია.

— თქვი მეთქი! — თმაზე მოქაჩა მილიციელმა.

— ხელი გამიშვი! — გაბრაზდა ლუკა.

— ააა, ხელს მიბრუნებ? აბა შეაგდეთ ვირის აბანოში.

მოუშვეს ცივი წყალი.

— არა, არა! ცივი წყალი არ დამახათ, ცუდადა ვარ, ცუდად ვიყავი, დედას გეფიცებით, ცუდად ვიყავი, — შეეხევეწა ლუკა.

— ააა, გასაგებია, ბანაობა მერე, აბა წაივარჯიშე მოფარებულში, — უთხრა იმ მილიციელმა მეორეს და იმან კამერაში შეაგდო ლუკა.

— სანამ არ იტყვის, რატომ აგინა იმ კაცს, ივარჯიშე, — მიამძახა უფროსმა.

— რატომ აგინე მძღოლს?

— არ მიგინებია.

ლუკას მუშტი მოხვდა და დაბარბაცდა.

იმ დამეს დასასრული აღარ ჰქონდა. მეორე დღით ცუდად გახდა და ექიმს გამოუძახეს.

— დასუსტებულია, დასვენება უნდა, — თქვა ექიმმა.

— ის კაცი ჩივის, მაგინაო, გადაუხადოს ჯარიმა და კი, ბატონო, საწინააღმდეგო არა გვაქვს ჩვენ, წავიდეს მერე სადაც უნდა, — უთხრა მილიციელმა.

— რამდენს ითხოვს? — ჰკითხა ლუკამ.

— ეგ შენზეა დამოკიდებული, შენ უკეთ არ იცი, რა ღირს შენი გინება, საერთოდ კი, ტაქსის მძღოლებს ორმოცდაათი მანეთი აქვთ გეგმა დღეში, ხო გაუცდა ის დღე, როგორღა იმუშავენდა, განერვიულებული იყო.

ლუკას მერაბმა რომ საავადმყოფოში მიუტანა, იმ პალატოს ფული ჯიბეში ჰქონდა, ამოიღო, დაითვალა, ორმოცდათხუთმეტი მანეთი იყო, ხუთი მანეთი ისევ შეინახა, ორმოცდაათი მანეთი მაგიდაზე დადო.

— ოცი მანეთი კიდევ უნდა გადაიხადო, ხუთი მანეთი ექიმის გამოძახებისათვის და თხუთმეტი მანეთიც, წუხელ რომ მოგემსახურეთ მთვრალს და ღამე გაგათენებინეთ იმისთვის.

— ხუთ მანეთზე მეტი არა მაქვს, გამოიშვით, მოვიტან და გადავიხდი.

— საიდან მოიტან.

— მეგობარს გამოვართმევ ინსტიტუტში.

— რა ჰქვია შენ მეგობარს?

— მერაბი. მერაბ ბახია.

— წადით, მოიყვანეთ ბახია აქ! — უბრძანა უფროსმა.

რამდენიმე ხანში მერაბი მოიყვანეს.

— მერაბ, ჩემი ტანსაცმელი და ფული მომიტანე, — სთხოვა ლუკამ.

— რამდენი?

— რაც ღირს.

— რა?

— ღამის გათენება და ექიმის გამოძახება.

— გასაგებია, წავალ ვიშოვი, შენი ტანსაცმელი შენახული მაქვს, — თქვა მერაბმა და წავიდა.

ერთ საათში მოიტანა ფული და ტანსაცმელი.

რომ გაათავისუფლეს, ერთხელ კიდევ დაუცაყხანა მილიციელმა ლუკას:

— რას გავდი რომ იყო, სცენა ხომ არ გგონიათ ქუჩა, რომ დაიარებით თქვენ ნებაზე პოემაობით, სხვა დროს წესიერად მოიქეცი, თორემ არ ავცდებთ ვირის აბანო.

წამოვიდნენ.

ერთი სული ჰქონდა ლუკას, როდის გაეჭეოდა ქალაქს. თითქოს სძულდა იგი, ვერ ითვისებდა, თავისიანად ვერ იხდიდა, ვერ გუობდა.

მადლობა გადაუხადა მერაბს და შეპირდა ფულს მალე დაგიბრუნებ, წერილით გამოგიგზავნიო.

დემშვიდობა და ავტობუსების სადგურისაკენ წავიდა. კი არ მიდიოდა, გარბოდა, უკან მისდევდა მთელი ქალაქი და უყვიროდა:

— აღარ ჩამოხვიდე, აღარ ჩამოხვიდე აქ!

იმათ სოფლისაკენ კვირაში ორჯერ გადიოდა ავტობუსი, მძღოლი ღამეს იმ სოფელში ათენებდა, სადაც ბოლო გაჩერება იყო და მეორე დღეს უკან ბრუნდებოდა.

საბედნიეროდ, დღეს ის დღე აღმოჩნდა, როცა ავტობუსი უნდა გასულიყო.

სულ რამდენიმე მეზავრი იყო და სკამზე თავისუფლად დაჯდა.

ავტობუსი ქალაქიდან გავიდა.

### წითური მგელი

— აუუუუუ! — გაისმა შემოდგომის ფერწასულ ხეობაში მგლის ყმუილი. სწორედ ამ დროს ავტობუსი ყინულოზე მოკურდა და მძღოლმა მკვეთრად ამუხრუჭა.

— ყინულოზე ნუ ატორმუზებ! — წამოხტა ლუკა სკამიდან და წინ გაექანა.

— შენ მე ჰქუას ნუ მასწავლი! — ბრაზიანად შეეპასუხა მძღოლი, რომელმაც უკვე მოასწრო მანქანის გაჩერება.

— ესეც ასე! — თქვა მძღოლმა და საჭეზე მოჭირლი მორებივით დააწყია უშველებელი ტორები.

— რაა? — ჰკითხა ლუკამ.

— რა და, მოვედიით, — ბოლოში გააგრძელა სიტყვა მძლოლმა.

— იქნებ იქით აღარ იყოს მოყინული, ჰა?

— არა, ძმისწულო, ერთი კაცის გულსათვის თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ, ვერაა, — ისევ გააგრძელა მძლოლმა ბოლოში სიტყვა.

ლუკა შეეყოვნდა, აღარ იცოდა რაღა ეთქვა, აშკარა იყო, მძლოლს ეზარებოდა ერთი მგზავრის გულისათვის იმოდენა გზის გავლა. ჯერ შუადღე თუ იქნებოდა, მაგრამ მის სოფლამდე კაი ხნის სავალი იყო და თუ მძლოლი მართლა აქ აპირებდა მის ჩამოსმას, ფეხით, ალბათ, ხვალ ამდრომდისაც ძლივს მივიდოდა სახლამდე.

ერთხანს მძლოლიც ჩუმად იყო და ლუკაც. ორივე გარეთ იყურებოდნენ ფანჯრებიდან. ხეობის სიღრმეში სათოვარი ნისლი იყო ჩამოწოლილი.

— აუუუუ! — სადღაც შორიდან ისევ მოისმა ყრუანტელის მომგვრელი ხმა. ლუკამ მძლოლს შეხედა.

— რაღას მიყურებ, რა, გითხარი, ავტობუსი მეტად აღარ წავა-მეთქი, თანაც ქართულად გითხარი, თუ ისევ უკან წამოხვალ, წამოდი, რა...

ლუკამ თავის ჩანთას წამოაგლო ხელი და ავტობუსის ღია კარში ჩავიდა, სწორედ ამ დროს ისევ დაიყმუვლა მგელმა.

— მაიცა ერთი წუთითა, — მიაძახა მძლოლმა და ავტობუსიდან ჩამოხტა.

— რომელ სოფლიდანა ხარ?

— ხეობის ბოლოში რაა. — უთხრა ლუკამ.

— მერე, დღეს რო არ მიხვიდე, პატარძალი გავითხოვდება თუ რაა?

— ეგ შენი საქმე არ არის! — მკვახედ მოუჭრა ლუკამ.

— არ არის და აღარცრა, ხალათის კალთებსაც არ დაგახვე ზიდილითა, მაგრამა, შენ რო რამე დაგემართოს, მერე შენი გულისთვის მე რად უნდა ვაგო პასუხი, ჰა? წახვალ და იჩივლებ, შუა გზაში ჩამომავლოო, იმას კი არ იტყვი

მოყინული გზები იყო და ვსხლტებო-ლითო.

ლუკამ დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, არსად, არავითარ საყვედურს არ ვიტყვი.

— ჰა?! — ეტყობა ასეთ პასუხს არ მოელოდა მძლოლი.

ლუკა გზას დაადგა.

— მაიცა კაცო, მაიცა ერთი წუთითა, ცოლ-შვილსა ვფიცავ, მართლა მეშინია ამ გზაზე სიარული, გამორჩენა რამე რო მქონდეს კიდეც ჰო, ერთი მგზავრის გულისთვის რანაირად ჩავიგდო თავი საფრთხეში, თორე ვინ მამაძალი არ წაგიყვანდა! მაიცა, აი ესა, აი ამას ბენზინში დავასველებ და თან წაილე. — ჯოხზე დახვეული ჩვარი გამოაძვრინა საბარგულიდან, ბენზინი მოუშვა და ზედ დაასხა, მერე ლუკას წამოეწია და შეცვლილი ხმის კილოთი ჰკითხა:

— პაპიროსს ეწევი?

— არა.

— მაშინ აი, ასანთიც წაიყოლე, რო დაგიღამდება, ამ ჩვარს მოუკიდე და ერთ საათს მაინც სინათლით გავლევს, — მიიხედ-მოიხედა და დააყოლა: — ნადირიც ფრთხება ამის შუქზედა.

ლუკამ ასანთი და ჯოხი გამოართვა.

მძლოლი ერთხანს კიდეც ყოყმანობდა, მერე შებრუნდა, ავტობუსში ჩაჯდა, მოსაბრუნებელი ადგილი მონახა და კარგა ხანს იწვალა, სანამ მიბრუნდებოდა.

ამასობაში ლუკამ კარგა გზა გაიარა. ჯერ აღრე იყო, მაგრამ თუ ის სათოვარი ნისლი აქეთ წამოვიდოდა, შეიძლება უცებ ჩამოხენლებულიყო. იცოდა, დღეს ვერ მიიღწევდა თავის სოფლამდე, მაგრამ მეზობელ სოფლამდე მაინც როგორმე უნდა მისულიყო. „შეიძლება რაიმე სატიერთო მანქანა წამომეწიოს“, უფრო ეს აზრი უტრიალებდა თავში და იმედიანად მიიბიჯებდა.

ჰაერში თოვლის სუნე ტრიალებდა. შემოდგომის მზე ველარ მორეოდა ღამით გაყინულ დედამიწას და მიწა

ხრიოკი იყო, თუმცა ცაზე არც ჩანდა მზე, მთების ზემოთაც, მთელი ცის სიგრძე-სიგანაზე, ისეთივე სათოვარი ღრუბლები იყო შემოჭარბული, როგორც შორს, ხეობის სიღრმეში. ეტყობოდა, ეს გაცრეცილი ნისლი იყო შუამავალი ცასა და მიწას შორის, შემოდგომასა და ზამთარს შორის. აქა-იქ ტყეებს ჯერ კიდევ შემორჩენოდათ გაყვითლებული ფოთლები. სიოც კი არ ქროდა, მაგრამ თუ დაუქვირდებოდათ, ეს გაყვითლებული ფოთლები კრთოდნენ ირხედოდნენ, თითქოს გრძნობდნენ დასასრულს და შიშით კანკალებდნენ.

ხეობა ვიწრო იყო, მაღალ მთებს შორის მოქცეული სივრცე კი იღუმალეებით სავსე. ღორღიან ქალაზე მდინარე მოედინებოდა, ისიც წყნარად, დაწმენილი, ნაპირებშემოყინული. ისე იყო დაპატარავებული, კაცი თუ მოინდომებდა, ფეხის დაუსველებლად გადაახტებოდა კიდევაც, თუმცა კი მის სანაპიროებს ეტყობოდა, რასაც წარმოადგენდა ზაფხულობით ეს მდინარე. სავალია გზა მიხვეულ-მომხველი იყო, მაგრამ მაინც კარგა მანძილზე მოჩანდა ხეობის სიღრმე. ფერდობებზე სჭარბობდა წიფლის ტყე. ტყის ზემოთ ალბური ზონა იწყებოდა. მთის წვერები არ ჩანდა, ზეცა მათზე ღრუბლებით იყო ჩამოყრდნობილი. თანდათან დაბლა ეშვებოდნენ ღრუბლები და ხეობაც უფრო იღუმალე ხდებოდა.

მთლიანად იღუმალ გარემოში იყო გახვეული ლუკა და რაც კი შეეძლო, ფეხს უჩქარებდა. მისთვის მშობლიური იყო მთელი ხეობა და ამდენი ხნის მონატრებულს, ახლა ყველაფერი სამოთხედ ეჩვენებოდა, გულსა და გონებას უხსნიდა და ათასნაირ ბავშვობისდროინდელ თავგადასავალს წარმოუდგენდა თვალწინ, ბავშვობაში გაზაფხული უფრო უყვარდა. ზამთარი კარგი იყო, პირველი თოვლის მოსვლას ხომ სულწასულად ელოდებოდნენ და ზამთარიც ყოველთვის მოდიოდა, არასოდეს ლატობდა ბუნების წესს. საოცრება იყო, როდესაც მოლოდინით გაფერ-

მკრთალებულ მთებს, სათოვარი ღრუბლები გადმოადგებოდნენ თავზე, გადაეკროდნენ მთელ ცას, პირშეკრული ზეცა, ქვემოთ, ხეობის სიღრმისაკენ ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ჩამოიწვედა და წიფლიანი ტყეების ზემოთ შეჩერდებოდა. დაიმუხტებოდა. მაშინ დედამიწაც, ზეცის მოახლოებას გრძნობდა და იმის გულს ბაგაბუგი გაუღიოდა. გაყუჩდებოდა ყველა სულდგმული, ასეთ დროს ჩიტაც კი არ გადაფრინდებოდა ხიდან ხეზე, სიო რა არის, სიოც კი არ შეატოკებდა ხეს, მარტო იქა-იქ, ხის კენწეროზე შემორჩენილი ფოთლები თრთოდნენ. ცხროოდნენ, კანკალებდნენ და ისინიც უხმოდ. დიდი, იღუმალი სიმშვიდე იდგა მთელს ხეობაში ერთ წამს, ორ წამს, შეიძლება ერთ საათსაც კი, არ ვიცი, ასეთი ზეციური სიმშვიდის დროით გზომვა შეუძლებელიც კია, ასეთ დროს შეიძლება წამიც კი საუკუნედ მოგეჩვენოს. ზეცაა დედამიწაზე ჩამოსული და დედამიწა ყურს უგდებს, ჩუმადაა. და ამ ღვთაებრივ სიჩუმეში უცებ გაკრთებოდა მოძრაობის წამი და მიწისაკენ შრიალით წამოვიდოდა თოვლის ფანტელები. ეს ხმა ჰგავდა ზეციურ საგალობელს, რომელსაც სულგანაბული ყურს უგდებდა დედამიწა. უცებ, ამ დროს, საიდანაც ამოფრინდებოდა ყვავი და ყრანტალით გაყრუებდა იქაურობას. მერე სხვა ყვავებიც წამოიშლებოდნენ, მერე იწყებდნენ ფრენას, ხის კენწეროებიდან თოვლის ფიფქებით დამძიმებული ყვირთელი ფოთლები ცვიოდნენ და, ფანტელებთან ერთად, ისინიც პაერში დაფრინავდნენ. ეზოებში ბალები ატებდნენ სირბილს. დედამიწა ნელ-ნელა თეთრდებოდა და ხეობაში თანდათან მკვიდრდებოდა ზამთარი.

დღევანდელმა დღემ გაახსენა ლუკას ეს ყველაფერი. ახლაც ასეა, ზეცა თანდათან ჩამოდის ქვემოთ, დედამიწას გული გადაუშლია და შესახვედრად ემზადება. ირგვლივ სიჩუმეა გამეფებული, სიოც კი არ არხევს ხის კენწეროებს, მარტო გაყვითლებული ფოთ-

ლები კრთიან, კანკალეზენ უზარმაზარ წიფლის ხეებზე. საცაა უნდა დადგეს გარინდების წამი და წამოვიდეს შავ მიწაზე ზეციური საგალობელი.

სიჩუმეა.

და ამ სიჩუმეში უცებ გაისმის:

— აუუუუუ!

შეკრთა ლუკა.

მიმოიხედა. თვალი მოავლო ახლო-მახლო ტყიან ფერდობებს, ხეებს შორის არაფერი ჩანდა. მარტო თხელი ნისლი მოიწვედა ზემოდან ქვემოთ.

— აუუუუუ! — ისევ გაისმა სიჩუმეში. ხმა სადღაც, შორიდან მოდიოდა.

„ეტყობა, ყარაულია, დამინახა და სხვებს ატყობინებს“, გაიფიქრა ლუკამ. მძლოლმა რომ ბენზინიანი ჩვარი გამოატანა ის გაახსენდა. აღარც კი ახსოვდა თუ გადააგდო. „უკან გაბრუნება ცუდი ნიშანია“, გაიფიქრა და გზის გაგრძელება დააპირა.

— აუუუუ! — ახლა უფრო ახლოდან გაისმა ხმა. ლუკას მოეჩვენა, თითქოს მის ზემოთ, წიფლიან გორზე იყო წამოყუნტული მგელი. „არა, ეს შიშის ბრალია და იმიტომ მეჩვენება“...

ჯერ კი დღის სინათლე მეფობდა ხეობაში, მაგრამ ისე სწრაფად მოიწვედა ფერდობზე ნისლი, შეიძლება უცებ ჩამობნელებულიყო.

ლუკა უკან გაბრუნდა ჯოხზეწამოცმული ბენზინიანი ჩვრის საძებნელად. ჯიბე მოისინჯა, საბედნიეროდ, ასანთი თან ჰქონდა. „კიდევ კარგი ესეც სადმე არ გადავაგდე“, გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა. ზურგს უკან კიდევ მოესმა გულისწამლები ყმული. სცადა გულში შიში არ შეჰპარეოდა და სტვენა წამოიწყო. „ვაითუ, სადმე გზის პირას მოვისროლე ჯოხი... არა, არა, ამაზე ფიქრი არ ღირს, შიში რა კაცის საქმეა, თანაც დღისით... რო დადამდეს?.. სადმე მახლობელ სოფელში შეეუხვებ და იქ გავათენებ...“

ლუკამ გზის პირას დაგდებულ ჩვარს მოჰკრა თვალი და ისე გაიქცა მის ასაღებად, თითქოს იქითა მხრიდან კიდევ

ვინმე გამოებოდა და ეშინოდა ალება არ დაამსწროსო.

ჯოხი აიღო და ისევ სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგა. ახლა უკვე, ასე თუ ისე, „შეიარაღებული“ იყო და პირველმა შიშმაც გადაუარა. ხეობაში ჩამომდგარ იდუმალებასაც შეეჩვია, გაითავისა. ისევ მშობლიური და ახლობელი გაუხდა მიდამო. მგლის ყმულიც კი თითქოს განუყოფელი ნაწილი იყო იმ ყველაფრისა, რაც ლუკას გარშემო ხდებოდა და რასაც „სათავისო“, „თავისიანი“ ერქვა. თითქოს სადღაც, მისი ბავშვობის შორეული დღეებიდან გამოჰყმუოდა აწყმოს მგელი. მარტო ლუკა იყო ფერშეცვლილი, გაზრდილი და სხვა ყველაფერი კი ისევე იყო, როგორც ბავშვობაში.

ზეცა მოიწვედა ქვემოთ.

დღედიწა ემზადებოდა მის შესახვედრად.

ლუკა იყო მგზავრი.

ფერდობზე მოცურავდა თხელი ნისლი.

სადღაც ყმუოდა მგელი.

აუუუუ! — ბავშვობაში სწორედ ასევე ყმუოდნენ ზამთრის დამდეგისას მგლები, სოფლის ვაღმა წამოყუნებულ საკიდობნიას ტყეში. ჯერ ერთი მგელი დაიწყებდა, სვენებ-სვენებით, გულის გამწყალებლად. იმას საიდანღაც მეორე მისცემდა ბანს, ოღონდ ეს უფრო ლამაზობით ხდებოდა, დღისით იშვიათად, მაგრამ მაინც ხანდახან დღისითაც ატყობინებდნენ ერთთურთს რალაცას. უფრო პირველ დამეს იცოდნენ ყმული. სახლიდან გარეთ გამოსვლის შეგეშინებოდა, თუმცა კი მგლები მდინარის ვაღაღმა, მოპირდაპირე მთიდან გამოჰყმუოდნენ სოფელს, ძაღლები დერეფნებში იკუნჭებოდნენ. ზოგი, იმათ შორის უფრო გულადი, სოფლის გარეთაც ვადიოდა და ხმამაღალი ყეფით იცავდა სოფელს.

ამაზრუნე იყო ერთი რამ, რასაც მთელი სოფელი შიშის საბურველში ჰყავდა გახვეული. ხანდახან, როცა ვაღმა ტყიდან კარგა ხანს გამოჰყმუოდა





მგელი, სოფელში ერთი დედაკაცი შუალამისას სახლის ბანზე გადადგებოდა და საზარლად გაჰყმოდა მგელს. ასეთ დროს გულადი ძაღლებიც ჩუმდებოდნენ და ისინიც თავიანთ სახლის დერეფნებში იმალებოდნენ კუდამოძუებულნი.

— აუუუუ! — ყმოდა ტყეში მგელი.

— აუუუუუ! — აქედან გასძახოდა დედაკაცი.

— რალაცას ატყობინებს ეს შავის მიწისა! — ჩურჩულებდა ხალხი და შიგნიდან კარს კეტავდნენ.

ან იმ ღამეს, ანდა მეორე დღეს, ვინმეს საქონელს უნდა დასცემოდნენ მგლები. შიშით ღამე გარეთ ვერ გამოხვიდოდი. ხალხმა იცოდა დედაკაციის ვინაობა, მაგრამ ეშინოდათ, როცა ყმოდა, მაშინ ვერ იჭერდნენ, დღისით კი ქალი ჩვეულებრივ გამოდიოდა ხალხში, წყალზე გაჰყავდა საქონელი, მზიან ამინდში სხვა დედაკაცებთან ერთად მყუდროში მიმჯდარი ქსოვდა წინდებს, აჭრებდა წითელ-ყვითლებით, დროდადრო ძუძუს აწოვებდა თავის წლინახევრის ბალსს და როცა რომელიმე ძაღლს რალაცაზე გაუწყრებოდა:

— შე სამგლევე, შენა! — მიაყოლებდა თან.

ხალხი ცდილობდა რაიმეში დაეჭირა, მაგრამ ქალი არასოდეს არაფერში ამჯღანებდა თავის მგლობას.

— რაც ეს საშავეთო მგლად მიიქცა, სოფელს იღბალი აღარ ექნა! — თავისთვის, ჩუმად ეჩურჩულებოდნენ დედაკაციები ერთმანეთს მგელქალის ზურგს უკან, პირში კი ვერაფერს ვერაფერს უბედავდა. ყველას სათავისოდ ეშინოდა, პირველს ვერაფერს გაებედა მგლისთვის კბილის გაცვრა.

— აუუუუ! — ისევ დაიყმუველა მგელმა და ლუკას საშინლად გააყრყოლა. ახლა იგი მთელი არსებით იმ ქალზე ფიქრობდა. მაშინ პატარა იყო და როცა ქალი მგლებს გაჰყმოვლებდა, საბნის ქვეშ იმალებოდა და ხმის ამოღების ეშინოდა. დღისით დედაკაციები პირ-

ჯვრის წერით ეჩურჩულებოდნენ ერთს გაუგონარ ამბავს:

— ქალოოო, კუდიანებთან ჰქონია მაგ მგელშავას საქმე! — ქალშავასაც აღარ ამბობდნენ, მგელშავას ეძახდნენ და ეს „მგელშავა“ საზარლად ეღერდა, თუმცა ქალი არ იყო უხეირო შესახედაობის, ლამაზიც კი ეთქმოდა. ზურგზე გადაყრილი ნაწნავეები, შოლტივით ტანი და მაყვალვივით შავი თვალები ჰქონდა, რომლებიც მუდამ რალაცას დაეძებდნენ, მაშინაც კი, როცა თავის პატარა ბალსს ძუძუს აწოვებდა, მაშინაც არ ისვენებდნენ იმის თვალები.

— კუდიანი ყოფილა, თეთრუას უნახია, უკან პატარა კუდი აქვსო, იფიცებოდა ახი.

— ახი კი არის, შავრას სოფელმა პირი და დააყენოს თეთრუაი თავზე, — ჩურჩულით იმუჭრებოდა ერთი ბებერი დედაკაცი, მაგრამ — ქალო, ხმა ჩიკმინდე, რაც შენი საქმე არ არის, იქ ნუ ერევიო, — აჩუმებდა დედაპთილს შეშინებული რძალი.

— როგორღა ჩემი საქმე არ არის, ლამის არის, ამაგდოს მთელი სოფელი, — თუმცა არ ტყდებოდა, მაგრამ მაინც ჩურჩულით ამბობდა დედაბერი. ლუკა და იმისი ტოლი ბალები დერეფნის ერთ კუთხეში იყვნენ მიყუყული და სულგანაბლნი უსმენდნენ ქალებს.

ამ დროს, თითქოს იცოდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, მოვიდოდა ხელში აყვანილი ბალებით ქალი და ისიც დედაკაცებთან ჩამოჯდებოდა ღიმილად აკრული სახით. ქალები უცებ წყვეტდნენ მასზე ლაპარაკს. ბალები შეშინებული თვალებით მისჩერებოდნენ ქალის უკანაღს და ცდილობდნენ რამენაირად დაენახათ მისი კული. ქალი თითქოს ამასაც ხვდებოდა, ერთი ისეთი თვალებით შეხედავდა ბალებს, იმათ შიშის ქრუანტელი დაუვლიდათ და გარბოდნენ. თუ წყაროზე მიმავალნი, იქიდან მომავალ ქალს გზად შემოეყრებოდნენ, გზისთავ აცვიოდნენ, ხბოებივით ერთმანეთს აეტუზებოდნენ, სა-

ქალ მგელი



წყლევ თუნგებსა და ლიტრებს გულზე მიიკრავდნენ და ჩუმად ქსუტუნებდნენ. ქალი ჩაუვლიდა, მარტო წამით შეავლებდა ბალებს თვალებს, და იმათაც მეტი აღარ უნდოდათ.

ახლაც თვალწინ დაუდგა ლუკას ეს თვალეები და შედგა. უკნიდან თითქოს მანქანის ხმა მოესმა, მაგრამ ისევ მიწყდა.

ქალის თვალეების გახსენებაზე შეაეროლა ლუკას...

სოფელში ათასნაირი უსიამოვნო ამბავი ხდებოდა და მგლობაში და კუდიანობაში ექვეშეტანილი ქალი სოფლის დასანახად აწოვებდა ძუძუს თავის პატარა ბალებს.

ერთ ზაფხულს მთიდან შემფოთებულნი მწყემსნი შემოვარდა სოფელში. მწყემსნი აქაურ მთებში მოჯამაგირედ ყოფილა და საკუთარი თვალით ნანახს ყვებოდა. ლუკას იმ მწყემსის თვალეებიც ისე ცხადად ახსოვს, თითქოს ახლა შეხვედროდეს გზაზე.

იმ დამეს მარტო ყოფილა მწყემსნი ცხვრის ყარაულად და რაკი მეორედღეს ამხანაგს ელოდა, სოფლის მხარეს, მთის ფერდზე გამოუშლია ცხვარი საძოვარზე.

მწყემსნი დურბინდით ჩაჰყურებდა სრფელს და ხალხის შორი ხილვითა ერთობოდა მარტოობით დადლილი. მწყემსნი ხედავს სოფლიდან მხედარი გამოვიდა, ერთ ცხენზე თვითონ ზის, მეორე უკან მიჰყვება. უკანა ცხენი საბლითა ჰყავს მხედარს გამობმული. კარგა გზა გამოიარეს და ტაფობში ჩამოვიდნენ. კარგად რომ დაუკვირდა, მხედარი პატარა ბიჭი აღმოჩნდა.

ცხვრის ფარა მზეში იყო დამურვილებული და მწყემსს დრო ჰქონდა სოფლისთვის ეყურნა.

არ გასულა დიდი დრო მას მერე, რაც ბიჭი ცხენებიანად ტაფობში ჩაეფარა, რომ სოფლიდან ახლა თუნგაკიდებულნი ქალი გამოვიდა. გამოიარა წყაროს გზა, ჩამოვიდა ქვემოთ, დაღა თუნგი, გაგორდ-გამოგორდა ერთ მტკრიან მიწაზე და მგელი წამოდგა. გამოეკიდა

ბალებს და მიეტანა უკანა ცხენსა და მგელს. დაფრთხა ცხენი, გაიტაცა საბელზე გამობმული ბალები და გადაეშვა გაცოფებულ მდინარეში.

ის ცხენი, რომელზეც ბიჭი იჯდა, ერთ ადგილზე დადგა ყალყზე, თითქოს წინა ფეხებით უნდოდა მგლის მოგერიება, მაგრამ მგელმა იმას ყურიც არ უგლო, შემობრუნდა, აღმართი ამოიარა, ისევ იმ ადგილზე გაგორდ-გამოგორდა და ქალი წამოდგა.

ქალმა თუნგი წამოიკიდა, წყაროზე ავიდა, წყლით გაავსო და სოფელში შევიდა.

მარტოდ დარჩენილი ცხენი, კარგა ხანს დგებოდა ყალყზე და ჰიხვიებდა, მერე მდინარის აღმა-დაღმა დაიწყო სირბილი და ხვიხვინით ეძებდა თავის პატარა პატრონს. მდინარე მოჰქუხდა ლოდებზე და ქაფს იკიდებდა.

ცხენმა, რამდენჯერმე, გამწარებულმა, ჰიხვინითა და ლოდებზე ნალების ძგარაძგურით აირბინ-ჩაირბინა მდინარის აღმა-დაღმა, მერე ერთ უფსკრულთან შედგა, ყურებდაცკვეტილი რაღაცის მიაშტერდა წყალში და თვითონაც გაცოფებულ მდინარეში გადაეშვა. ერთ წამს მარტო მისი ფეხები გამოჩნდა წყლიდან, შვის სხივებმა გაიეღვეს ნალებზე და მერე ყველაფერი მორევმა შთანთქა.

— ჯერ მინდოდა ბალების საძებნელად გავქვეულოყავი, მაგრამ მერე მეც შემეშინდა მგლისა, თანაც ცოცხალს მინც ვეღარ მივასწრებდი, ისეთი ადევებული წყალი მოდის, — აქოშინებული ჰყვებოდა მწყემსნი და იძახდა:

— ის ქალი ამ სოფელში შემოვიდა, აქაური უნდა იყოს, გამოვიდეს ყველა და ვიცნობ, ვიცი როგორი კაბაც ეცვა.

მაღალ ბანზე ჩაამწკრივეს ქალები და დედაკაცები. მწყემსმა ჩამოუარა და ჰკვლევდა. ხალხი გამტკნარებული იყო ამ ამბით, მარტო წყალწალებული ბიჭის დედის წიოკი აყრუებდა სოფელს. მდინარისაკენ ვარბოდა თმებგაშლილი ქალი და უკან საში-თოხი წლის გოგო და ბიჭი მისდევდნენ ტირილით.



მწყემსი საეპევო ქალთან შედგა. ქალი ბალს ძუძუს აწოვებდა და იმის წინ შეჩერებულ მწყემსს მარტო ერთხელ ამოხედა. ყველამ დაინახა როგორ შეერთა მწყემსი და გასცილდა ქალს... ვერ ამოიცნო.

სოფელმა კარგა ხანს ეძია წყალწალღებულს და ვერ იპოვა.

ბიჭის დედას თეთრუა ერქვა.

სოფელს ეჭვი ჰქონდა, ვისგანაც იყო ეს საქმე ნაქნარი და ხმას ვერავინ იღებდა შიშით.

— თეთრუამ რომ გათქვა, კუდი ვუწახეო, მაგის თქმაზე აგე რა დამართა იმის ბალს, აბა ის ერთი ბეწო ბალლი რალს უშლიდა მაგ მგელშავს, მაგასა. — ჩურჩულებდა სოფელი.

თეთრუაი ზეზეურ ჩამოხმა შვილის ძებნაში. იჭდა ერთხელ დალილი-დაქანცული, ჩაპყურებდა წყალს და ჩაპკვითინებდა გულამომჭდარი:

— სხოს კი რას გამოგაჯაერებ, წყალო, არ შავსომ ტიალო! — ეტყობა ჭწყურდა. მერე იმის ყურებამდეც მიიღწია ხალხის ჩოჩქოლმა და შეეშინდა დანარჩენ ბალღებსაც რამე არ აუტებოს ქალმგელმაო.

ერთ დღეს ისევ დაკარგული ბიჭის საძებნელად წავიდა თეთრუაი. პატარა გოგო და ბიჭი სახლში დატოვა და დაარია:

— კარი შიგნიდან გადმორახეთ, ვინც უნდა დაგიძახოთ, არავის გაულოთ, — მოიხევა შავი ჩიქილა და მდინარეს აედევნა.

ბალღები ისხდნენ ჩაბნელებულ სახლში და დაწოკებულნი ერთმანეთს ეკვროდნენ.

— თეთრუავ, სახლში ხარა? — მოისმა გარედან ქალის ხმა.

— არ არის დედაი სახლში, — გაეძრახნენ ბალღები.

— ბალღებო, კარი გამიღეთ, დო მოგიტანეთ. — ისევ დაუძახა ქალმა.

— არა, არ გვინდა, არ არის დედაი სახლში, — ისევ გასძახეს ბალღებმა.

კარზე ფხაჭაფხუჭი ატყდა. ბალღები ერთმანეთს ჩაებლაუჭენ.

უცებ ერლოდან სინათლე შემოეშრათობაში. ბალღებმა აიხედეს და თვალი მოჰკრეს როგორ მოძვრებოდა ერლოდან ხახადაღებული მგელი.

— გამიღეთ, შვილო, კარები, ჩქარა გამიღეთ! — გაიგონეს ბალღებმა კარიდან თეთრუაის ძახილი.

ბიჭი გაექანა კარის გასაღებად, მაგრამ გოგო ჩაებლაუჭა:

— არ გაულო, იქნებ ეგაც არ არის დედაი და გვატყუებს.

მგელი კი მოძვრებოდა ერლოდან და ცდილობდა კლანჭებით თავხვს ჩაბლაუჭებოდა.

— მიშველეთ, ხალხო! — გამწარებით გაპყვიროდა სოფელს თეთრუაი და თან შვილებს ეხვეწებოდა, კარი გაეღოთ.

თეთრუას ხმაზე მოცვივდა ხალხი.

შეშინებულმა ბალღებმა ერთი იმასდა მოჰკრეს თვალი, როგორ გაძვრა უჯან ერლოში მგელი და მალდიდან ჩამონათა თვალეები.

მგელმა სოფლის თავზე გადაირბინა და მიიმალა.

ძლივს მოასულიერეს თეთრუაი. გონს რომ მოვიდა, მერე ჰყევბოდა.

— ჩაყევი წისქვილებს მხრიდან წყალსა და უცებ წყლიდან ცხადად ხმა შამამესმა, ჩქარა, ზედი, გაბრუნდი, ბალღებს მიხედეთ. როგორ ამოვიარე ეს აღმართი აღარ მახსოვს და ამ ამბავს არ მოვადექი!

ქალი ფითრდებოდა, ყვითლდებოდა და აკანკალებული შვილებს იხუტებდა.

უფრო დაფრთხა სოფელი.

ჩურჩულითაც კი აღარავინ ჩურჩულებდა მგელქალის კულზე.

ერთ დღეს კატის ხმამ გააყრუა სოფელი. ისეთი შემაზრუნენი ხმა იყო, მეზობელ სოფელშიც კი გაეგო ხალხს. რაკი ხმა თეთრუაის სახლიდან გამოდიოდა, იქით გაიქცნენ.

თეთრუას ქმარი ცოცხალი აღარ ჰყავდა და რაკი ასეთი ამბავი დაატყდა თავს, მამისახლიდან მოხუცი მამა მოუ-

გოფარძი ჩოხელი  
მგელი



ვიდა საპატრონოდ. კაცი ჯერ სახლში ეპატუა შვილს, მაგრამ ქალმა იუარა, სანამ ჩემი შვილის ძეგლებს მიწას არ მივებარებ, მანამდე როგორ წამოვალო.

ერთ დღეს კაცმა შეამჩნია, რამდენჯერმე იმათ სახლს აუარ-ჩაუარა ბაღლიანმა ქალმა. კაცს რაღაც ეჭვმა გაპკრა გულში და სახლში შევიდა.

დიდხანს ფიქრობდა.  
ერდოდან ფხაჭაფხუჭი მოესმა.  
აიხედა:

კატის თვალებმა ჩამოანათეს და გაქრნენ.

კაცი გარეთ გამოვიდა.  
სახლის ბანზე ბაღლიანი ქალი გადადიოდა.

კაცი ისევ სახლში შევიდა.  
რამდენიმე ხნის მერე კატის ჩხავილმა შესძრა სოფელი.

თეთრუაის სახლში ასეთი სურათი დაუხვდა მეზობლებს; კაცის ფეხებთან თავმოკრული ტომარა ეგდო და თეთრუაის მამა გამეტებით ურტყამდა კეტს იმ ტომარას. შიგნით კატა ფართხალებდა და საზარლად ჩხაოდა. ხალხს ეგონა კაცი გაგიჟდაო და შეკონეს. როცა ტომარას მოხსნეს პირი, იქიდან ძლივს გამოძვრა დასისხლიანებული კატა და გაჭირვებით აითრია წელი.

კატამ ორღობე გაიარა და ქალმგელის სახლის კიბეს აუყვა. მერე სახლში მიიძალა.

იმ დღეს რატომღაც სეირის სანახავად არ მოვიდა ქალმგელი. საღამოს ცხერიდან მოვიდა იმისი ქმარი სახლში და ცოტახნის მერე ცოფმორეულივით გამოვარდა სოფელში.

— მითხარით, ვინ სცემა ჩემ ცოლს, მე თქვენნი...

იგინებოდა კაცი.

მერე გაირკვა — კაცი შინ შევიდა და ნახა, მთლად ჩაბეგვილი ცოლი ესვენა ტახტზე. ბალღი გულზე შესცოცებოდა და ძუძუს ამოღებას ცდილობდა...

როცა ქალი გონზე მოვიდა, ვერ წამოდგა, ხერხემალი ჰქონდა ჩალეწილი. ძლივს გახადეს სისხლიანი ტანსაცმელი და გაოგნდნენ: ქალს თეთრი კუდი

ჰქონდა და მის შუა წელში წამოშვებულ ბეწვი განუწყვეტილვ ტრიალებდა...

მომაკვდებოდა სულ ბოლოს თეთრუას შეხედა და უთხრა:

— დღის მერე დაგასვენებ, ქალო! სული კარგა ხნის დაღეული ჰქონდა, მაგრამ წელქვემოთ წაგრძელებული კუდი ტრიალებდა, არ აპირებდა სიკვდილს.

არ დაუმარხიათ, ერთ მიუდგომელ ხევში ჩააგდეს და იმის მერე, არც დღისით და არც ღამით იმ ხევს აღარავინ გაჰკარებია.

იმ ღამეს თეთრუას სიზმარში მგელი ეჩვენა.

— წადი, შენ ბაღს წისქვილების ქვემოთ იპოვნი, — უთხრა მგელმა.

ქალს უცებ გაეღვიძა.  
მამაც გააღვიძა.

ღამით წასვლა ვერ გაბედეს და გათენებას დაელოდნენ.

იმ ადგილას, სიზმარში მგელმა რომ აჩვენა, ლურჯად ტრიალებდა მორევი და თეთრუაის ბიჭს მოიყოლიებდა თან...

— აუუუ! — ამ ხმამ ისევ შეაერთო ლუკა და მიმოიხედა. დედამიწას უკვე ნელ-ნელა წამოჰპარვოდა სიბნელე.

ნისლი საკმაოდ იყო ჩამოწოლილი.

მოხსნა ცამ პირი და წამოვიდა თოვლის ფანტელები, თოვლს თავისი სუნი ჰქონდა, მაგრამ ახლა ლუკა ვეღარ გრძნობდა ამ სუნს. იგი უსიამოვნო მოგონებას ისე შეეპყრო, ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა. რამ გაახსენა ეს ამბავი, იგი ხომ სადღაც შორს დარჩა და აი, უკვე რამდენი ხანია, აღარ გახსენებია. სოფელმაც ხომ დაივიწყა. ხომ მშვიდობით გაიზარდნენ თეთრუაის ბაღლები, გოგო ლუკასთან სწავლობდა სკოლაში, ბიჭი ერთი წლით პატარა იყო და იმათ მომდევნო კლასში სწავლობდა. მგლის შიში დიდობაშიც გამოჰყვათ. ერთხელ მთელი სკოლა ტირილით აიკლო ბიჭმა. მასწავლებელს გარეულ ცხოველებზე უნდა აეხსნა ვაკვეთილი და შემთხვევით მგელზე ჩამოუგდია ლაპარაკი.

— არ გინდა რა, მასწავლებელო! არ

გინდა რა, მასწავლებლო! — შეეხვეწე თეთრუაის ბიჭი.

მასწავლებელმა ყური არ ათხოვა და დაფაზე ქალაღლი გააკრა, სადაც მგლის ჩონჩხი იყო გამოხატული. მაშინ კი იღრიალა თეთრუაის ბიჭმა, კლასიდან გამოვარდა, თავის დასთან მიიჭრა, მუშტები მომუჭა და ღრიალით გაჰკიოდა:

— ჩემ დას ხელი არავინ ახლოთ! ჩემ დას ხელი არავინ ახლოთ!

მერე ორივეს თანდათან გაუქრა შიში და აღარც მგლებზე ლაპარაკს ერიდებოდნენ.

დავიწყებას მიეცა ეს ამბავი.

მაშ ლუკას რამღა გაახსენა ახლა, როცა ირგვლივ კაცის ქაჭანება არ არის დ ესე-საა ჩამოლამდება?

ჰაერში ახლად წამოსული თოვლის სუნი ტრიალებს და თოვლის მოსვლასთან ხომ იმდენი რამე აკავშირებდა მის ბავშვობას; მას კი მიინცდამაინც ის მგელქალი ამოუხტა წარსულიდან. იქნებ არც კი ყოფილა ეს ყველაფერი. იქნებ როდესმე ბავშვობის დროს სიზმარში ნახა და ახლა ცხადი და სიზმარი ერთმანეთში ერევა. ახლა თვითონვე უნდა დააჭეროს თავი, რომ ეს სიზმარში მოხდა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამე, მაგრამ სიზმარში ხომ დაფრინავდა კიდევ, რატომ ვეღარ იხსენებს, რატომ არ აგონდება ის განცდა?

— აუუუუ! — იქნებ ეს ხმაც წარსულიდან ისმის და ახლა სულაც არ ყმუის მგელი. იქნებ ეს თოვლის ფიქვებიც წარსულიდან მოდის, ეს ნისლიც იქაურია. ეს გზა?

— აუუუუ! — არა, ეს ცხადი ყმუილია, თანაც უფრო ახლოს ყმუის, ვიდრე აქამდე ვგონა. დღის სინათლემ თანდათან ქრება.

თოვამ იმატა.

არემარეს სითეთრე მოერია.

მერე ჩამოლამდება და ჩაშავდება ყველაფერი, ახალმოსული თოვლიც კი; ასე იცის, როცა ნისლია და ხეავრივლად თოვს. როგორმე მახლობელ სოფლამდე უნდა მიიღწიოს, თორემ თუ გზა

აებნა, შეიძლება უფსკრულშიც გადაიჩხვოს.

წელან მანქანის ხმა მოესმა ლუკას, მაგრამ მალევე მიწყდა. ეტყობა, მოეჩვენა. იქნებ იმის გახსენებაც მოჩვენება იყო, მაგრამ არა, არა, ახლა მოჩვენებებზე არ უნდა იფიქროს, ყველაფერი ცხადია, რაც ცხადში ხდება. თეთრუაის ბალები ხომ მასთან სწავლობდნენ, მგელქალის ბალებიც ხომ იზრდებოდა მათ სოფელში; მერე მამამისმა წაიყვანა და სადაც გადაიკარგნენ. ნეტავ, სად არის ახლა ის ბალები. იმას ხომ კუდიანი ქალის ძუძუ ჰქონდა ნაწოვი. იქნებ ისიც მგლად მოიქცა და დაღის კაცთა შორის. ანდა, ვინ იცის, რამდენი მგელი დაღის კაცის თუ ქალის სახით. ეს ამბავი ერთხელაც არ გახსენებია ქალაქში. სოფელი პატარაა და ერთმა მგელქალმა ხეირიანად ვერც კი დამალა თავი. ქალაქი დიდია, უამრავი ხალხი ირევა. ნუთუ მართლა შეიძლება მგელი კაცივით დადიოდეს. თუ ასეა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაპყრია მგელს. ზოგმა შემთხვევით ჩაუარა ქუჩაში, ზოგმა... იქნებ დაძრწიან დღისით და ღამით სამგლო საქმეებით დატვირთულნი, უჯღებთან ერთმანეთს მანქანებში, ანდა საავადმყოფოებში იპარებიან... ანდა უცებ თავს დაგესხმიან და ციხეში ამოგალობენ, ან საგამოცდო კომისიაში დაგზვდებიან, ვინ რა იცის, რომ მგელთანა აქვს საქმე, კაცის სახე აქვს და ფარღობითობის თეორიას გეკითხება, შენ პასუხობ, ის გეკითხება, რას გეკითხება?

არა, არა, ასე ფიქრი არ შეიძლება, ეს ყველაფერი შიშის ბრალია, როგორ შეიძლება, მიდიოდე ქუჩაში და შენსავით შარვალკოსტიუმში გამოწყობილი მგელი მოგყვებოდეს გვერდით. შეხვიდე მაღაზიაში და მგელმა ისე მოგყიდოს ფეხსაცმელი, ვითომც არაფერი, სხვას რომ თავი დაევანებოთ, თეთრხალათიანი მგელი ხომ აღარ შეიძლება. ის, რაც ბავშვობისდროინდელი მოგონებიდან მგლის სახით ამოხტა, რატომ უნდა განვაზოგა-

დოთ. მგელს რა საქმე აქვს ქალაქში, ანდა სოფლად, კაცის სახით, თუ გინდ, ქალის სახით. მგელი ხომ შექვამს ადამიანთა წილ სიყვარულს, კაცით მათ შორის იტრიალებს და ნელ-ნელა გამოსწოვს რაც კი რამ წმინდაა მათ შორის. მგელს ასეთი ხასიათი აქვს, სისხლს გამოსწოვს და მძორს დატოვებს. მერე მძორი თვითონვე გაიხრწნება. აი, მგელმა ახლა თბა ამოახტუნა ლუკას ბავშვობიდან, ლუკას დედამ უპატრონო ციკანი იპოვა და ძროხის რძით გაზარდეს. ლუკა ცხვრებთან ერთად მწყემსავდა იმ ციკანს. ერთხელ სხვა მწყემს ბიჭებთან ერთად თამაშით გაერთო და დაავიწყდა ცხვრები. მწყემსები შუა თამაშში იყვნენ, რომ უცებ საიდანღაც ციკანი მოვარდა, მიიჭრა ლუკასთან და შეშფოთებული აციკინდა. ლუკას ცხვრები გაახსენდა, წამოვარდა და დაუწყო ძებნა. წინ ციკანი მივარდა. უცებ ციკანი შედგა. ლუკამ იქით გაიხედა და ფერღობზე მძიმედ მიმავალი მგელი დაინახა. დაუსტვინა. მგელმა მოხედა, ერთ წუთს შედგა, თავი მალა ასწია, ჰაერში შემოტრიალდა და ტყვიასავით გამოქანა მისკენ. მწყემსმა ბიჭებმა კივილი ატეხეს, ლუკას ფეხები აუკანკალდა და ადგილიდან ველარ დაიძრა. მგელი კი პირდაპირ მისკენ მოექანებოდა. ციკანი ბიჭის ვარშემო დარბოდა და კიკინებდა. რამდენიმე ნახტომით მათთან გაჩნდა მგელი, ერთ წამში ციკანს ყელი გამოლადრა, სისხლს დაეწაფა და მგლური ხროტინით შეხერია. ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა უკან ლუკამ, იგი თითქოს რაღაცამ მოაჯადოვა და ადგილზე გააქვავა. მგელმა თავი წამოსწია, უკანა ფეხებზე ჩაქდა და ამღვრეული თვალებით დაუწყო ბიჭს ყურება. ყვირილი უნდოდა ლუკას, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა. მგელი რაღაცას აპირებდა, რაღაცას ზომავდა, რაღაცისთვის ემზადებოდა.

უცებ ჰაერი თოფის გრიალმა გააყრუა.

მგელი წამოხტა თოფის ხმაზე, ჰაერში ისევე უცებ, კისერგაშეშებული შე-

ტრიალდა და ერთ წუთში გორი გადაიარა.

ლუკასთან მწყემსი ბიჭები მოცვივდნენ. იმათ შორის ვიღაცას თოფი ჰქონია და შესაშინებლად ისროლა.

სალამო ხანზე ლუკას ცხვრებიც იპოვეს, ყველას ყელი ჰქონდა გამოჭრილი და ყველასათვის სისხლი გამოეწოვა მგელს. ხორცისათვის კი კბილიც არ ეხლო.

უსიამოვნოდ შეაყრყოლა ლუკას.

ნეტავი რას უპირებდა მაშინ ის მგელი?

არც ერთი ცხვარი არ გაუტყავებიათ და არ წამოუღიათ, იმ ხორცის შექმაც არ შეიძლებაო, თქვეს სოფელში.

„ნეტავი რას მიპირებდა ის მგელი მაშინ?“ — ეს ფიქრი აეკვიტა ლუკას და ველარ მოიშორა. ნუთუ მართლა შეიძლება მგლები დადიოდნენ ხალხში. ვინ იცის, რამდენჯერ ეჭდა ლუკას ცხვირწინ მგელი და თვალებში უყურებდა. იქნებ მართლა დადიან, ჰა? ადამიანებმა კი ეს არ იციან, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს. მგელს კი საზარელი თვისება აქვს. სისხლით გაუმადლარია, სისხლით გაუმადლობა კი ყველაზე ამაზრუნენია. თუ მართლა მგლები დადიან ქალაქში. მაშინ? თუ მართლა ისეთ ადგილებზე სხედან, სადაც არ მოელო, მაშინ?

— მაშინ, რა?

— რა და გამოხრავენ კაცთა მოდგმას, თანაც ისე, აზრზეც ვერავინ მოვა, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს.

— ნეტავი ვინ იყო მგელი, ჰა?

— არა, არა, ასე რომ ვიფიქრო, შეიძლება ყველას მგლობა დაეაბრალო.

— აუუუუუ! — თითქოს ზურგს უკან დაიკმუვლა მგელმა. ლუკა უცებ შემობრუნდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

უკვე ბარაქიანად თოვდა.

ძლივსლა არჩევდა სავალ გზას. არც სოფელი ჩანდა სადმე. ახსოვდა, ახლოს სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ესესაა ლამდებოდა და თუ გზა აებნეოდა შეიძლებოდა ველარც მიეღწია იქამდე. ერთი-ორი კილომეტრის იქით წის-

ქვილები უნდა ყოფილიყო, იქამდე თუ მიადწევდა, შეიძლებოდა ღამის იქ გათევვა.

წისქვილის გაფიქრებამ ისევ წამოაგდო ბავშვობიდან მოგონება:

დედაბერმა დაკარგა დროის საზომი და ყოველდღე პატარძალივით ირთვებოდა. ყველას ეკითხებოდა, მაყრები არ მოდიანო?

ზოგი ეუბნებოდა, სოფლის ბოლოში შემხვდნენ, მე ორღობით ამოვედი, ისინი შარავზით წამოვიდნენ, სადაცაა მოვლენო.

— კარებში თაფლიანი ჯამი დადგით, სიძე რომ მოვა, რას იტყვის, ერთი კოვზი თაფლი ხო უნდა შექამოს, — არიგებდა რძალს დედაბერი.

სიძე არ ჩანდა და დედაბერი ბუზულუნებდა:

— რა არის, რა სოფელი გახდა, ყველაფერი გადაღობეს, მაყრებმა ჩვენი სახლის გზა თუ ვეღარ გამოიგნესო.

— სიძე გაბრაზებული მიდიოდა უკან თავისი მაყრიონით, მე მაგ ქალის შემრთველი არა ვარო, — მოატყუა ერთხელ ვილაცამ.

— რადაო?! — გაიოცა დედაბერმა.

— რადა და, იმადაო, რო ზარმაცი ყოფილა, წისქვილში თვითონ არ დიდის და რძალს აფქვევინებსო.

— აი, მამიკვლა თავი აგრიაა! — მუხლებზე დაირტყა დედაბერმა ხელი და იმ დღის მერე რძალს გადაეკიდა, შენ სახლს მიხედე, წისქვილში ყოფნა ჩემი საქმეაო.

რძალი რას გაუშვებდა ამ გამოყრუებულ დედაბერს წისქვილში ღამის სათენებლად, მაგრამ ისე მოაძულა თავი, ჯანდაბას, ერთი ღამე დარჩესო, იფიქრა ქალმა და დატოვა დედამთილი წისქვილში.

დაუდგა ნანატრი ამ დედაბერს. ფართოდ გამოაღო წისქვილის კარი, ჩამომტენარ ლოყებზე წაიციხო ქერის ფქვილი, აქაოდა, სიძემ არ დამიწუნოსო, წისქვილის კარის ღობეში სახლიდან მაღულად წამოღებული თაფლიანი ჯამი დადგა და მოიდერა ყელი.

ჯერ ისევ პირველადეა.

სოფელს არ სძინავს. რაღა თქმა უნდა, არ სძინავს არც დედაბრის რძალს. მარტო დედაბრის შვილიშვილებს სძინავთ ტკბილად, იმათ ბებია კი ყელმოღერებული ელოდება მაყრებს.

— აუუუუ! — ისმის ძახილი.

— აქეთ იარეთ, აქეთაა! — გასძახის დედაბერი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ნეფე ეძახის.

— აუუუუ!

— აუუუუუ!

— აუუუუუ! — ისმის მთელ ხეობაში.

— აქეთ, აქეთ! — ეძახის დედაბერი და წისქვილის გარშემო სიბუნელეში გამოკრთებიან მგლებს თვალები. დედაბერს ისინი საქორწილო მამუხალები ჰგონია და უხარია, გარეთ გამოვარდება ცეკვა-ცეკვი.

ზამთარია. დამშუული მგლების ხროვას ლოდინის ძაფე აქვს გაწყვეტილი და ერთი გრიალით, გაყინული თოვლის ხრამხარუშით მიარბენინებენ ტყისაკენ თავიანთ „პატარძალს“.

— ნება გამწით, მაყრებო, ნებაა! — ყვირის მოტაცებული პატარძალი და ამ ხმაზე გარეთ გამოეფინება სოფელი. გვიან მიხვდებიან, რაც მოხდა და თოფების სროლითა და ყვირილით გაედევნებიან დედაბრის მაყრიონს.

ის-ისაა, უნდა გადმოდგეს გორზე მთვარე.

— ნება გამწით, მაყრებო, ნებაა! — სადღაც შორიდან მოისმის დედაბრის ძახილი.

სიძე ჩქარობს.

სოფელი თოფს ისვრის და ისე ტკბილად სძინავთ დედაბრის შვილიშვილებს, არც კი ეღვიძებათ ამ ხმაზე.

დილით კი მოიკითხავენ ბებიას და ეტყვიან მაყრებმა მოიტაცესო.

შვილიშვილებს კარგახანს სჯერათ ეს ამბავი, რომელიც მგლის ყმუილმა „დააფთა“ და წისქვილმა გაახსენა ლუქას.

საცაა უნდა შემომგლისფერდეს, დღემ და ღამემ. ერთად უნდა შეკრან

პირი. ირგვლივ ახალმოსული თოვლის სუნი ტრიალებს, მაგრამ ლუკა მგლის სუნს უფრო გრძნობს, მთელი ჰაერი ამ სუნითაა გაღვნილი. წიფლის ხეები თანდათან ბინდში იძირებიან და მოჩვენებებს ემსგავსებიან. თოვლმა ყველაფერი ერთიანად გადაასწორა და ლუკას უჭირს გზის გაგნება. ჯიბიდან ასანთი ამოიღო და დააპირა ბენზინიანი ჩვრის ანთება, მაგრამ ისევ ვადაიფიქრა: ანთებული ჩვარი ნახევარ საათს თუ ეყოფა და მერე? მერე ვაითუ, მგლები დაეხსნენ და უფრო დასჭირდეს. ლუკას გაგებულნი ჰქონდა, რომ მგლებს ცეცხლისა ეშინიათ და თუ სოფლამდე ან წისქვილამდე ვერ მიადგევს, მაშინ სჯობია შავი დღისთვის შემოინახოს ბენზინიანი ჩვარი. თუმცა თოვლმა მთლად გაათეთრა არემარე, მაგრამ „შავი დღე“ მაინც სადღაც ახლოს დასუნსულეებს. მგელმა უკლო ყმუილს, მაგრამ დუმილი უფრო ამაზრზენია. როცა ყმუიან, იცის მაინც, შორს არიან თუ ახლოს, ახლა კი ასე ჰგონია, ყოველ ფეხის გადადგმაზე მგელია უკანა ფეხებზე ჩაყუნტული და ელოდება.

ჩაყუნტული მგელის გახსენებაზე უსიამოდ გააყრყოლა.

ნეტავი რას უბრძობდა მაშინ, თვალწინ რომ ციკანი გამოუფატრა მგელმა და მერე წინ ჩამოუსკუპდა? ნუთუ მასაც... არა, არა მგონია, ახლა იხსენებს იმ მგლის თვალებს და რატომღაც ჰგონია, რომ მგელს მაშინ შეეცოდა იმის წინ გახევებული პატარა ბიჭი. მანამდე, სანამ წინ ჩამოუსკუპდებოდა, ყველაფერს მგლური კანონით აკეთებდა, სისხლით იყო მთვრალი და ციკნის დანახვაზე უფრო მოერია ეს სიმთვრალე. ბიჭს კი მეგობრად ჩამოუსკუპდა წინ. ვინ იცის, ვინ იცის, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა იმ დროს, ნამდვილ მგლებს ხომ ცოდვა-მადლის დაუწერელი კანონი აქვთ.

გზის თავ რალაცამ გაიფაჩუნა. ლუკა

შეკრთა. მოდი, ავანთებ, ვაიფიქრა და ჯიბიდან ასანთი ამოიღო. ჩვარს პატარაზე ჩამოახია და ცეცხლი მოუქიდა. ბენზინი უცებ ააღდა და მიდამო განათდა. არსად მგელის ჰაქანება არ ჩანდა, გზის ზემოთ, თოვლი იყო ჩამოხვევებული და, ეტყობა, იმან გაიშრილა.

ლუკამ მიდამო მოათვალიერა და შეცბა. რალაც არაამქვეყნიური მოეჩვენა მთელი ხეობა. ირგვლივ მარტო თოვლი შრიალებდა, სხვა მხრივ იღუშალებდა იყო გამეფებული.

დაიბნა.

ერთხანს ადგილზე იტრიალა, აღარ იცოდა, საით წასულიყო, მერე თოვლში თავის ნაფხუტებს დააკვირდა და აღიდგინა გზის მიმართულება. ანთებული ჩვრის ნახვევი იქვე, გზის პირას ჩამოკიდა და გზა გააგრძელა.

თუ სადმე ახლოს იყვნენ მგლები, ცოტა ხნით მაინც დაფრთხებიან, ეს კარგი მოიფიქრა, პატარ-პატარა ნაჭრებს აანთებს და გზადაგზა დატოვებს. თუ მართლა ეშინიათ მგლებს სინათლის, მაშინ იქნება აღარც აედევნონ კვალში, რაც უნდა იყო, წინიდან შემხვედრს უფრო დაინახავს და მოიგერიებს, ვიდრე უკან ადევნებულს.

მთვარე მაინც ამოვიდეს, მაგრამ, ეტყობა, ამაღამ მთვარე არ ამოვა. მთვარე აფრთხობს მგლებს, რატომ? დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ვილაყამ უთხრა, მთვარიდან მგლებს მძორის სუნი ესმით და ამ სუნს უფრთხიან, ემალებიანო.

მგლებს კი სიცოცხლე უყვართ, იმატომ ეწაფებიან სისხლს, რომ სიცოცხლე სისხლშია და მოწყურებულები სვამენ სიცოცხლეს.

ძალღებიც შეპყმუიან ხოლმე მთვარეს, როცა ვინმეს სიკვდილსა გრძნობენ.

ნუთუ მთვარეა სიკვდილის ადგილის დედა?



განწყობილება

მენტრებოდა სურნელი და ყვავილთა ფერი,  
თრთოდა იმედი უცაბედი გამოდარების,  
ჩემს სიმატოვეს ამძაფრებდა ვით ეფემერას  
გამოღებული სხვა სივრცისკენ წამით კარები.

თავნება ქარი მიმშრალებდა ნოტიო თვალებს  
და დაბინდული ნავსადგური გემებს ელოდა,  
ველარ ალტობდა სიტყვას გამშრალს და დანაცხავებს  
ბრმა სიყვარულის გაცხადების გვიანი ელდა.

ამიკაფდა გარინდებულს თვალები ჭრელი,  
ღამის ბილიკებს შესდგომოდა დარდი ვეება,  
და მომეჩვენა გამოხედვა ზეციდან შველის,  
რომელსაც ღრუბლის გველემში უხმოდ შეება.

გაოგნებული სიძღვრებით მივადექ ქვესკნელს  
და ჩემი ნატვრა ჰგავდა ბნელში ხელის ცეცებას,  
ჩემივე წარსული მაგონებდა გადაშლილ ფრესკებს  
და თმები ჩემი მოღელავდნენ ქარში ძეწნებად.

მენტრებოდა სურნელი და ყვავილთა ფერი,  
ანდა იმედი უცაბედი გამოდარების;  
ჩემს შეშფოთებას ამძაფრებდა ვით ეფემერას,  
როს გამომიღეს სხვა სივრცისკენ წამით კარები.

თეთრი ზიჟსი

ფიქრით არაგვთან ვიყავი ისევ  
და მაწუხებდა საჯიხვის ბედი,  
მიწვდილდნენ მთები ნისლიან კისრებს  
და დუმდა კერპი კლდეში ნაკვეთი.

მოაქვს სურნელი ქარს მწიფე ვაშლის,  
ჟამი უნაზეს სიზმრებს მპირდება,  
ვარსკვლავებიან ღამეს გადავშლი  
და თვალი სივრცეს დააკვირდება.

ვარ მონუსხული მწუხრის სიცივით,  
არ მანებივრებს საწუთრო ღზინით,  
ალარ დამწიფდა ვნების ისრიმი,  
განზე გამიღდა მოყვასი ფრთხილი.

ჩუმად ორევა ნისლები მრეში,  
გზები მაოცებს ძელქვის სიუხვით...  
მერე უეცრად იელვებს მთებში  
და განათლება თეთრი ქიუხი.

გულგასენილი მივყვები ქუჩებს,  
ჩემი არსება ელდით სავსეა,  
ვინ ამჩნევს სიმწრით მოკუმულ  
ტუჩებს,  
ფიფქთა ცვენასაც თავის აზრი აქვს.

ცრემლი გადაჰყვა მწუხარე ტონებს,  
კვლავ მოიყრუა ყური საღამომ,  
უკან დასახვევ გზას არ მიტოვებს  
ჩემი სტრიქონი, ღმერთო მაღალო!

როგორც სიბრძნევე უყუნი ღამის,  
სიტყვაც მკაცრია და საუყუნეც,  
იყოს სინათლე, თუნდაც მბეუტავი,  
რომ ოღნავ მაინც ჩანდეს უფსკრული.

ნუთუ ეს იყო, ნუთუ ეს არის,  
რასაც იტევდა ცის თვალთა ჭრილი,  
ქარი შემაბეს, როგორც ეყვანი,  
ვწუხვარ და ვცოცხლობ თოვლივით  
გრილი.

## ამირან კალაძე

### სამი გზა ვენახისაკენ

გადაშუადლდა,  
დაჰბერა ზღვაურმა,  
როდემდე უნდა ვითრიო ფეხი...  
ბოლოს და ბოლოს  
ჩავდივარ ვენახში და  
ცას ვუხსნი იმ ვაზებს,  
რომელსაც ოდესღაც  
ბაბუაჩემი უვლიდა შვილივით.  
ეს ვაზი იყო მისი იმედი,  
მარჩენალი,  
ქართველობის და  
კაცურკაცობის ნაღდი ნიშანი...  
მთვარის შუქზეც კი მუშაობდა  
ის დალოცვილი,  
რათა ვენახი გადაერჩინა  
ომში წასული მამაჩემისთვის,  
რომელიც ჭერაც უწვერულვამო  
ყირიმის რომელიღაც  
Ne — ნაწილში იბრძოდა და  
საველე ჰოსპიტალიდან

ახლადგაწერილი  
შრომამში წელგაწყვეტილ ბაბუაჩემს,  
ფაშისტებზე გამარჯვებას ჰპირდებოდა  
სამკუთხა ბარათებით.  
გამოხდა ხანი,  
დაბრუნდა მამა  
და თუმცა ხშირად

ახსენებდნენ თავს იარები —  
თავს ევლებოდა ვენახს ნაომარს,  
ფიქრობდა ვალზე,  
მოსავალზე  
და იმ ღვინოზე,  
რომლითაც თავს არ შევირცხვენდი  
კახელ ძმაკაცებთან  
სტუდენტულაქის მე-10 კორპუსში...  
ახლა კი,  
ახლა, როგორც გითხარით  
გადაშუადლდა,  
დაჰბერა ზღვაურმა,  
თავს დაეტრიალებ  
მამა-პაპის ნათერებ ვენახს,  
(აწ გულსაკლავად გამეჩხერებულს!)  
რომელიც ჩემი შვილებისათვის  
ჯერჯერობით არის ყურძენი,  
მხროლდ ყურძენი,  
რასაც ბაზარშიც კი იყიდი  
ცხრა-ათ შაურად,  
ანუ ტყემალზე ბევრად იაფად!  
აი, სამი გზა ვენახისკენ,  
და ღვთის წყალობით,  
ქართლის იმედად,  
პაი-პაი, რომ  
მეთხეც მოდის!

### ავვისტოს წვიმა

გადიშხუვლებს ალაგ-ალაგ  
ავვისტოს წვიმა,  
გვალვაში დამსკდარ  
მიწის ჭურნელს  
მოაფრქვევს ბალებს...

და როგორ გინდა  
ოდენ სიტყვით ამოჩურჩულდეს  
ლექსი, რომელიც  
ამ დროს სულში  
შეიფრთხილებს.

### რწმენა

კვლავ ენაცვლება წუთისოფელში  
თვალსასეირო გულით სატირალს...  
შენ გწამს,

რაც შენთვის სასარგებლოა,  
მე — რაც მოითხოვს  
თავის განწირვას!

დღეს ჩვენმა მერცხლებმა  
 ბარტყები გადააფრინეს.  
 მე და ჩემს შვილებს  
 უსაზღვროდ გავვიხარდა,  
 მაგრამ გულიც დაგვწყდა რალაცაზე...  
 პაწაწინა ბარტყებმა,  
 პაწაწინა ბუდეში,  
 პაწაწინა ფრთები გაშალეს და  
 თვალუწვდენელ ცისკენ გაფრინდნენ.  
 და იყო რალაც საიდუმლო  
 იმათ ქლურტულში!  
 და იყო რალაც საიდუმლო  
 ფრთების გაშლაში!

### რად ყმუის ძაღლი?

გათენდა ჩემს შუბლზე დაშიფრული ბედისწერის  
 კიდევ ერთი დღე...  
 ვწევარ გაუნძრევლად...  
 მიტარდება სისხლის პერფუზია.  
 (ჩვენს ენაზე ამას ჰქვია  
 სისხლის გადასხმა ანუ  
 სხვის გულსა და გულსთქმაში ნაწრეტი სისხლის  
 უცნობ არტერიაში გადაგდება.)  
 ბათქაშაყვნილ ჭერზე დაკლავილი ნაპრალები  
 ლოკოკინას ნაკვალევზე მეტად  
 ჩემს მიერ პირქარში გავილი  
 ზიგზაგებბაც შეიძლება შევადაროთ...  
 საიდანაც ამოისმის ძაღლის ყმუილი...  
 წვიმის მრავალწერტილით გასაიდუმლოებულ  
 ფანჯარს მინაზე უსტვენს ცივი ქარი...  
 გაფაციცებული სმენა აფიქსირებს  
 ვიღაცის კენესას და უეცარ შეკვივებას...  
 რად ყმუის ძაღლი?!  
 რას მიწინასწარმეტყველებს ქარის ზუზუნი?  
 რას მივაცურადო, რას?  
 რა ფიქრს მივინდო და ავედევნო?  
 რომელ ერთზე გადავრთო ის,  
 რასაც ზოგჯერ (უკეთეს შემთხვევაში)  
 უსარგებლო „ტვინის ჰყლეტას“ უწოდებენ...  
 მეტადრე ასე ნათლავენ წვეთ-წვეთად ნაჟურ შუალამეს,  
 რომელსაც ჩემი ამქრისანი ქალღღებე ვადიტიანენ და  
 ლექსის ფორმაში მოაქცივენ...  
 გათენდა ჩემს შუბლზე დაშიფრული ბედისწერის  
 კიდევ ერთი დღე!

# კვლევი როიალი

პიესა ორ ნაწილად

მონაწილეობენ:

ხათუნა, შაზა, ირაკლი, ნიკო

სცენა წარმოადგენს ვიწრო, დაბალკერიან ოთახს. ოთახის მარჯვენა კუთხეში დგას როიალი. სიღრმეში — უწესრიგოდ მიმოფანტული ნახატები და ჩარჩოები. რამდენიმე ნახატი კედელზეც ჰკიდია. ძველებური ტახტი, შავიდა, სკამები ოთახს სიძველისა და მოუვლულობის იერს აძლევენ. მარცხნივ — პატარა სამზარეულო, რომელიც სცენაზე სანახევროდ მოჩანს.

## ნაწილი პირველი

1

ნიკო სავარძელში ზის და გაზეტის კითხულობს. ზაზა ოთახში რალაცას ეძებს, მერე სამზარეულოში გადის.

ზაზა. საფერფლე სად არის?

ნიკო. ნუ ეწევი ამდენს.

ზაზა. სად არის მეთქი.

ნიკო. იქა დევს, მაცივარზე, ბარემ გაზიც ჩააქრე, დათბა უკვე. (ზაზა სამზარეულოდან საფერფლეს გამოიტანს, ფანჯრის რაფაზე ჩამოდებს და თვითონაც იქვე ჩამოჯდება) ხო-ხო-ხო, რას უტყუამენ ეს გადარეული სპარსელები?

ზაზა. იმათი ჭიშვიც ვაწყდა, შენ რა ვენაღვლები.

ნიკო. როგორც ბახთიარის სააგენტო იუწყებდა...

ზაზა. კარგი რა მამა... მეთი საქმე არა ვაქვს?

ნიკო. (გაზეთს მაგიდაზე დადებს) შენ თუ იცი, როდესაც ალა-მამაშად-ხანმა თბილისი ააოხრა.

ზაზა. ვიცი, ვიცი... შენ თუ იცი, რვასი მანეთი რომ ვვაჭვს ვალი (საფერფლეს მაგიდაზე გადადგამს და გვერდით მიუჯდება).

ნიკო. ცოტა იქით გაიწი, ნუ ამუჯროდენი ხნის რომ ვიყავი...

ზაზა. დღიხით მუშაობდი და ხალაშის სწავლობდი. ახალ სოფრებას აშენებდი, მომავალზე უიქრობდი...

ნიკო. დიახხ...

ზაზა. ტელეფონი ხომ დაგიდგეს სამაგიეროდ. მაგრამ რისთვის. ჩვენ არავის ვურტყავთ. ჩვენ არავინ გვირტყავს. აიღე ერთხელ ეგ ყურმილი და დაურტყე ვილა-ვილაკებებს. ესა ვართქო, ისა ვართქო, ჩემთან ნუ ტრაბახობ. მე თავი დამანებე. ჩემი საქმე მე ვიცი.

ნიკო. რომელი საქმე... ზაზა, ოცდახუთი წლისა ხარ, არ დაგავიწყდეს. ცხოვრება ხომ გინდა.

ზაზა. მერედა როგორ. საკუთარი ხუთთახიანი ბინა ფინური ავეჯით გაწიკწიკებული. ეზოში პატარა ბაღი, ბაღში შადრევანი, შადრევანთან აღმოსავლეთის ქალწულები და თუთიყუშები, იქვე საცურაო აუზი...

ნიკო. მაგას მოაოვებია უნდა.

ზაზა. გაიღვიძებ ალიონზე, ეზოში სამ წრეს დაარტყამ (როიალის ირგვლივ დარბის) ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი... გამკლავი, ჩაისუნთქე, ერთი-ორი-სამი, წინმკლავი, უფრო ღრმად ჩაისუნთქე.

ნიკო. რა გეშველებია. მე რომ მიუჯრებ, დავბერდი უკვე.

ზაზა. (მკლავზე ხელს მოჰკიდებს) ერთი-ორი-სამი... ერთი-ორი-სამი...

ნიკო. დღესაც დალიე?

ზაზა. (მჩერდება) ცოტა. ნერვები მომეშალა (გაზეთის აიღებს) ირანის ჭარბმა სამი კილომეტრით წაიწვს... (ჩუმად) ააფთქებს... დაწვებს... ჩამოაგდებს... დახოცებს... დაქრებს... გაადავტერებს...

ნიკო. ჭერ ადრეა ხელის ჩაქნევა.

ზაზა. შშია.

ნიკო. წელან კერცხები მოვხარზე.

ზაზა. დიდძალი ცოცხალი ტქნიკა, მათ შორის ჩვიდმეტი ტანკი, სამი ვერტმფრენი და ერთი ცხენი.

ნიკო. საწებელიც გვაქვს. ცოტა ყველიც...

ზაზა. (გაზეთს გადაადგებს) მართლა რა უნდა ვქნათ, აა?

ნიკო. ნუ გეშინია, ყველაფერს მოველდება. შენ ჭკვიანად იყავი. არ დალიო, საქმეს მიხედ, დავით აღმაშენებელი დიდგორის ველს რომ მიუახლოვდა...

ზაზა. მარგო თუ ნახე!

ნიკო. (მცირე პაუზის შემდეგ) დილით ამოწყვიტა. რაღა ეგა და რაღა შამ-ახასი. ხასწრაფოდ გვეპირდებოა, ქმარი ლენინგრაღში მიფრინავსო, ავეჭი უნდა შევიძინოთო. მაინც სად გაქრა ის რვაასი მანეთი.. რამდენიმე დღეში მოგართმევთ-მეთქი.

ზაზა. გაწაფხულამდე რომ ვეხეხხოთ ვინმეს? იქნებ რამე მოვახერხოთ.

ნიკო. აწი ჩვენ ფულს არავინ გვახეხხებს, ახესალომს სამი თვე დაუფავიანეთ. ღენა ყოველდღე კარზე გვაღდა და ისიც ძლივს მივეციო. გოჩას ვალი კი, მგონი, გადასახდელი გვაქვს, რვა წელია... ჩაი მაინც დადგი. (ზაზა: სამზარეულოში გადის) ახეა ძმაო, შამპანური და კონიაკი რომ გიყვარს...

ზაზა. (სამზარეულოდან) ჩაიდან ხად არის?

ნიკო. მაცივარზე დევს. (როიალთან მიდის, აკორდს აიღებს, შემოდის ზაზა) რაღაც მოვიფიქრე.

ზაზა. რა მოიფიქრე? ეს ჭინცი გაიხება, ფეხსაცმელიც გაიხება...

ნიკო. მიჭირს, მაგრამ ცხოვრება ხომ გვინდა.

ზაზა. მაინც? თფუმი (ფეხსაცმელს გაიხლის და ტახტის ქვეშ შეყრის) ბოლოსდაბოლოს მეტყვი თუ არა...

ნიკო. (მცირე პაუზის შემდეგ) ცოტა სულს მოვიტყვამთ.

ზაზა. ეღლა ფლოსტები უნდა ეძებო. ჭიანჭველა მაპოვინე, მე შენს ბინას გააპოვინებ (ტახტის ქვეშ შეძრება).

ნიკო. როიალი უნდა გავყიდოთ.

ზაზა. (თავისთვის) სულ გაღაირია...

ნიკო. ჭერი თავზე გვეგრევეა, ხასმელ-საქმელი წომ გვინდა, ჩაცმა ხომ გვინდა, დახურვა ხომ გვინდა, მეგობრები ხომ გვინდა,

ზაზა. კლიენტი თუ გვაგვს?

ნიკო. მე უკვე აღარ ვუკრავ. არც შენ.. ძვირადღაც გაიყიდება. გერმანულია. ეგეთი როიალი ეღლა... (თავს გააქნევს) ტყუილად ვვიღვას. ამოდენა ადგილს იკავებს.

ზაზა. მერე მაგიდაც მივაყოლოთ, ტახტიც, სკამებიც, მითი რა გვაქვს ა. ბატონო, შენი კი-

ტელიც, ფეხსაცმელებიც, პერანგიც, აი, გრძელი საცვლები რომ გაცვია, ისიც კარგ ფასში წავა, უცხოურია... (პაუზა) ამ როიალზე ხომ დედა უკრავდა...

ნიკო. მო, ლამაზა უკრავდა, მეც ვუკრავდი, შენც... მერე რა მოხდა, ათი წელია დუმს დუმს, მე კი ეს დუმილი საშინლად მაღიზიანებს. ერთი სული მაქვს, სხვენიდან ჩაქური ჩამოვიღო და ერთიანად დავღვეო.

ზაზა. ვერ გავიგე... ყოველდღე ახფთავებ, უვლი, ეფერები, შარშან ხელოსანსაც ანახე... ვერ გავიგე..

ნიკო. ვერც მე გავიგე, ჩაი უკვე აღუღლდა ბოლა... (გადის, შემოაქვს ჩაი) სხვა გზა არა გვაქვს. თავი ხომ უნდა ვირჩინოთ.

ზაზა. ჩემი ბრალია, მამა... არაფერს ვაკეთებ.

ნიკო. ძალიან ცხელია! (ჩაის როიალზე შემოღობამს) შაქარი?

ზაზა. შაქარი არა გვაქვს.

ნიკო. განჯინაში ნახე.

ზაზა. არ არის.

ნიკო. არა უშავს. უშაქროდ მიჩვენია. მგონი, წნევამ ამიწია. ამინდის ბრალია. ხომ არ გაწვიმდა.

ზაზა. აპირებს. გაგიზომო?

ნიკო. არა. საღამოს. (პაუზა, ნიკო ჩაის სუაშს და თან გაზეთს კითხულობს)

ნანა. არ გენანება?

ნიკო. როიალი?

ზაზა. მო, როიალი.

ნიკო. მეჩვენება რომ ერთხელაც იქნება ამ თავის უწარმავარ პირს დაადებს და ჩამყლაპავს.

ზაზა. მამა, ცუდად ხომ არა ხარ?

ნიკო. დამცინე?

ზაზა. რა ბედნიერები ვიყავით, დედა რომ ცოცხალი იყო. თქვენ უკრავდით, ხან დედა, ხან კიდეე — შენ. მე კუთხეში ვიჭექი და გისმენდით. ხომ გახსოვს, მამა. რა ნათელი ოთახი იყო, რა სიმშვიდე... მერე მე ვხატავდი, თქვენ ცალი თვალით შემომხედავდით და ჩუმად იღიმებოდით... მე ეს მიხაროდა.. მე ვითომ ვერ გეხდავდით. შენ დედას შუბლზე კოცნიდი. დედა იცინოდა... (პაუზა)

ნიკო. ეწოში ჩავალ, ცოტას გავისეირნებ, ეს მაგიდა კედელთან მისწიე, სახურავი ჩატეხილია. არ გააფუჭოს. წავიდა ის დრო. წავიდა. წავიდა.

ზაზა. მალე გაწვიმდება, შორს ნუ წახვალ.

ნიკო. და დაუტევა მან ალაგი თვისი, რამეთუ... (ლამარას სურათს შეხედავს) შეხედე, დედაშენიც ბერდება... (ხელს ჩაიქნევს და გადის).

შემოდინან ირატლი და ხატუნა

ირატლი. სჯობს სიცოცხლეხა ნაწარხხა, სივდილი მაინც ძნელია. მშვიდობა სახლხა ამას და მისთა მღგმურთა.

**ზაზა.** შემოდით. ახლავე, ეს ფეხსაცმელი ხალ დიკარგა. (როიალის ქვეშ შეიხედავს) აქაც არ არის.

**ირბაქლი.** მე და ხათუნა შემთხვევით კიროვის პარკში წავაწყდით ერთმანეთს. მერე მუყდრო ოქახური იდილია მოგვენატრა.

**ხათუნა.** გამარჯობა, ზაზა.

**ირბაქლი.** რა დაგემართა?

**ზაზა.** ვეძებ. ახლავე. მაპატიეთ.

**ხათუნა.** როგორ დავიღალე...

**ირბაქლი.** შენ ძმაო, კატა-თავგობანას ხომ არ თამაშობ?

**ზაზა.** აგერ ყოფილა. მაპატიეთ! (ტახტის ქვემოდად ფეხსაცმელს გამოიღებს და იცვამს)

**ირბაქლი.** ორი საათი ვიდევით ტაქსის გაჩერებაზე. ჩვენმა რიგმა რომ მოაწია, ბავშვიანი ქალი არ დაგვიდგა წინ? თან ოთხი ბავშვი... სულ ერთმანეთის მიყოლებით. ნერვები მომეშალა. ჰოდა, ავტობუსს გამოვეყვით. ავტობუსში კიდევ ერთი ჰედვა იყო. ცალი ფეხი გარეთ მქონდა, ცალი უკანა სავარძლის ქვეშეთ, მარჯვენა ხელი ხათუნას წელზე და მარცხენა ვიღაც ფაშფაშა დედაკაცის გავაზე. (ქალადში გახვეულ ბოთლს მაგიდაზე დებს) ესეც, მუზა რომ მოგვივიდეს.

**ზაზა.** დაქვით, როგორა ხართ.

**ირბაქლი.** ცოტა დახსოვლებელი თუ გეჩენება, რა გვიჭირს...

**ხათუნა** (ოდნავ დაბნეულად) ზაზა, როგორა ხარ?

**ზაზა.** მოხარებული კვერცხვით. საწებელიც გვაქვს, ყველიც, ახლავე მოვიტან. დაქვით, ხათუნა, შენ რას შვრები, ცოტა ფრთხილად იყავით, კარები გუშინ შევღებე.

**ირბაქლი.** (კარებს ათვალეირებს) კარგი ნამუშევარია... ფერთა საოცარი შეხამება, თვით ამასაც და იმასაც კი შეუშურდება.

(ზაზას თეფშით მოხარული კვერცხები, ყველი, პური და ჭიქები შემოაქვს. ირაკლი როიალს ათვალეირებს)

**ხათუნა.** ახალი რა არის?

**ზაზა.** ახალი რა უნდა იყოს.

**ირბაქლი.** ბრწყინვალე როიალია. ეგეთი რომ მქონდეს... ძმაცაც, ჩაისა სვამ?

**ზაზა.** მაჩაჩემს დარჩა. სკეპტიკოსი რას შვრება. დაწერა თავისი ტრაქტატი? (ხათუნას) სკეპტიკოსს ხომ იცნობ? ანდროს დაბადების დღეზე კინლამ გაილახა. მაგასთან სუფრაზე ვერ დაქდები, გარეკავს და გარეკავს.

**ხათუნა.** ცოდვია.

**ზაზა.** მეც მეტოდება, ასინი გააფრენს. დაქვით.

**ირბაქლი.** (აკორდს აიღებს) ო, მის, კარო ამიკოლო... ო, მის... (წამლდერებით) ხალ არს ბატონი ნიკო?

**ზაზა.** ეზოში ჩავიდა.

**ხათუნა.** (ირაკლის) არ დამიწყო ესლა აღეგრო, სოლფეჯიო, მოლფეჯიო... რიჩარდ მო-

ცარტი, იოჰან სებასტიან ჩაიკოვსკი... დაქვითი. და ჭკვიანად იყავი.

**ირბაქლი.** ლაო, ჩემო ცუნცულა გოგო, ძალიან გიყვარვარ? (ჭიქას აიღებს) რას შვავს ეს?

**ზაზა.** რაშია საქმე.

**ირბაქლი.** რას შვავს მეთქი.

**ზაზა.** ვერ გავიგე.

**ირბაქლი.** ასეთი ჭიქებით მეშვიდე კლასში ვსვამდი. დამწყები ხომ არა გგონივარ?

**ხათუნა.** არ გინდა, ზაზა, მშვენიერი ჭიქები?

**ზაზა.** მეტი არა გვაქვს.

**ირბაქლი.** ეს სხვა საქმეა. ხელოვანს ხელმოკლეობა უხდება.

**ხათუნა.** რა ლამაზია?

**ირბაქლი.** ამ დროს მისი სული მშვიდი კუჭით ლაფვარდებისკენ იღტვის. ეს, ტავარიში, ტავარიში. მოხრძანდით, მშვენიერო ქალწულო. (ზაზას, ხამალა) გადასარევი ნატურაა, რა წელი, რა მკლავები, რა მკერდი, — უკეთესი ქალები ნაღდად გოგენსაც არ ეუოლებოდა.

**ხათუნა.** არ მორჩები? რა მოგივიდა.

**ირბაქლი.** ხათუნა, ფრთხილად! ჭერ ცოლისთვის არ მიღალატია... ფუი, რამ გამახსენა, შენ რეზერვში მყავხარ. რა იცი, საით დამტროლავს სასტიკი ცხოვრების ქარი. (ვერცხს ფცქვინს)

**ზაზა** (ხათუნას) გუშინ შენსკენ ვიყავი, დილომში...

**ხათუნა.** მაიკოსთან? იყო მოწყენილობა?

**ზაზა.** ჰო, ცოტა ვიცოკვეთ, ცოტა დავლიეთ. ბლომად სიგარეტი მოვწიეთ, დავახსათ. (კონიკს ასხამს) მერე ვიღაცა ვიღაცას აუხტა, მერე ნატო დათვრა და იტირა, მაიკოს ჩაეძინა, უჩამ მაიკოსთან დარჩენა მოინდომა, ამირანი სკამზე იდგა და ტერენტო გრანელის ლექსებს ეთხოვლობდა. მაგნეტოფონი ხომ არ ჩავრთო?

**ირბაქლი.** ჭერ ადრეა. ჭერ კუჭი, ძმაო.

**ხათუნა.** ღენონი ხომ გავქვს?

**ზაზა.** გუშინ წაიღეს.

**ირბაქლი.** (ხათუნას) უნდა იცოდე, რომ ახლა იტალიურია მოღაში.

**ხათუნა.** ვინ წაიღო? ირაკლი, სიგარეტი რა...

**ზაზა.** არის რა ერთი.

**ხათუნა.** მაინც? (ირაკლი სიგარეტს აწვდის)

**ირბაქლი.** ინებეთ, მშვენიერო ქალწულო!

**ზაზა.** რა მნიშვნელობა აქვს?

**ხათუნა.** იქნებ აქვს.

**ზაზა.** ემ, ხათუნა, ხათუნა...

**ხათუნა.** რატომ მიუყრებ ასე?

**ირბაქლი.** დროა, შეუვლდეთ საქმეს, ამხანაგებო!

**ხათუნა.** თითქოს არაფერი მესმოდეს.

**ზაზა.** რა უნდა გესმოდეს.

ხატუნა. (მცირე პაუზის შემდეგ). ლენონი მოკლეს. რა საშინელებაა.

ზაზა. თქვენს მოსვლას გაუმარჯოს.

ირბაქლი. ეხ, კბილი, კბილი. (ჭიქას დაყნოსავს) ორი კურდღლის მღევარი ხანდახან სამსაც დაიჭერსო. გაუმარჯოს.

ზაზა. საწებელიც გვაქვს. ახლავე მოვიტან. (გაღის).

ხატუნა. რა კარგი ბიჭია, როგორ უჭირს.

ირბაქლი. კიდევ გიყვარს? ეტყობა, თქვენი ჭკუა მართლა თხამ შეჭამა.

ხატუნა. რა სულელი ვარ, რატომ წამოგყვეი. ირაკლი, ძალიან გთხოვ, არაფერი წამოგცდეს. უხრატოდ, არ მინდა, ბევრს ნუ დაღვე, ძალიან გთხოვ.

ირბაქლი. ლაო, გოგო, ტილილს ხომ არ აპირებ? მე ამუნია ვარ. ჰამ-ჰამ-ჰამ.

ხატუნა. ძალიან გთხოვ! (შემოდის ზაზა).

ზაზა. დღესაც თავი მტკივა. დამე არ მეძინა. სიგარეტს უნდა დავანებო თავი, გადაიღეთ, ისეთი ცხარეა, მამიდაჩემის გამოგზავნილია.

ირბაქლი. ახალი ამბავი გაიგე? ანდროს ვიდაც ფილოსოფოსს ურჩებენ. ანდრომ კიდევ, მე ისეთი ქალი მჭირდება, კაი საქმელებს რომ მომიწვადებს, მომიფილოს... მოკლდე, დაიწუნა, ან გაინტერესებს ვინ ურჩებდა? ტრიფონი, ჩემს მეზობლად რომ ცხოვრობს, გვერდით კორპუსში, ანდროს დაღვეა რომ მოუნდება, იმასთან ადის ზოლმე. მოკლდე, არ მოყავს ცოლი.

ზაზა. მაგას მარტო ცოლი თუ უშველის.

ირბაქლი. ტრიფონი იძახის, ეგ რომ ჩემთან თავის ნიშილიწმის დაფერთხავს, ერთი კვირა სახლიდან ვერ გამოვდივარო. მე მგონი, ერთიც შეგვერგება.

ხატუნა. ზაზა, შაბათს გცალია? მე უკვე დაუფერო.

ზაზა. მე ყოველთვის მცალია.

ხატუნა. უნდა წაგიყვანო სადღაც.

ზაზა. საინტერესოა სად?

ხატუნა. ჭერჭერობით საიდუმლოა. თუმცა..

ზაზა. დაბადების დღე ხომ არ გაქვს.

ხატუნა. მერე გეტყვი.

ზაზა. კი, ბატონო! (მცირე პაუზა).

ხატუნა. ზაზა, ხო იცი, შარშან მამაჩემმა პატარა სახლი აგვიშენა, ზედ ზღვის პირას.

ზაზა. მართლა? აქამდე რატომ არ მითხარი, მაგას რა გობია.

ხატუნა. რა ვიცი, დამავიწყდა. ეწოში მაგნოლიები უვაკიან. ჰიშკართან დიდი ქაფურის ხე დგას. ჰიშკარს გააღებ და პირდაპირ ზღვაში შეხვალ.

ირბაქლი. ცეკვა თუ შეიძლება?

ზაზა. რა თქმა უნდა, ოღონდ ცოტა მსუბუქად, ქვევით მუსიკოსები ცხოვრობენ (ჩარბათავს მაგნიტოფონს. ხათუნა წამოდგება, უცებ ტირილი აუვარდება და ტახტზე დაემხოება).

ირბაქლი. კონიაკის ულურწვამ ასე იცინებს შეგა მწყერი ხესა, მაგრამ ძალით აიყვანესო. (გვერდით მიუჭღებდა) რა მოგივიდა, ლამაზო? გაიღიმე, გაიღიმე. ტირილი ადვილია, აბა, თუ გაიღიმებ? (ხათუნა ნერვიულად იცინის) ასე, ასე. კარგია. ახლა შენს ტვინში ეშმაკი ხითხითებს. გაიღიმე, გაიღიმე, ვინც ბევრს იცინის, უფრო დიდხანს ცოცხლობს. ასე, ასე.

ხატუნა. რა სულელი ვარ!

ირბაქლი. მიყვარს თვითკრიტიკა.

ხატუნა. მაპატიე, ზაზა, დამისხი ცოტა.

ირბაქლი. თუ ბოლომდე დაღვე, მერე პატარა სტრიპტიზიც შეიძლება გამოვაცხოთ. (ხათუნას ძალით ააქეკვებს) ასეა, ლამაზო. ქალწულის ცრემლები ამაოდ არ უნდა დაიღვაროს (ცალი ხელით ჭიქას აიღებს) ზაზას გაუმარჯოს. (ხათუნას ასმევს. ხათუნას ხელებზე აუვარდება). კვერცხი დააყოლიე!

ხატუნა. გამოშვი! (ზაზა მაგნიტოფონს გამოორბათეს) არ შემიძლია.

ირბაქლი. დაწყნარდი, პუტკუნ, თორემ ჩვენც ვტირებთ.

ზაზა. წყალი ხომ არ გინდა?

ხატუნა. აბაზანაში გავალ, ერთი წუთით...

ზაზა. აბაზანა არა! ვერის აბანოში ვარ გაზრდილი.

ხატუნა. ღმერთო რას ვგავარ (სარკეში იხედება)

ირბაქლი. დავსხდეთ ქრისტიანულად. რა მოგივიდათ.

ხატუნა. ახლავე. (სამზარეულოსკენ მიდის) მაპატიე ზაზა... (გაღის).

ირბაქლი. კანფეტებით გოგაო.

ზაზა. (ჩაიცინებს) ჭეშმარიტად!

ირბაქლი. ჭკვიანად თუ იქნები, შემიძლია დაგიშო.

ზაზა. დიდი მადლობა.

ირბაქლი. უცოლო კაცი ხარ, გამოგადგება. (სამზარეულოდან წყლის შხელი ისმის)

ხატუნას ხმმა. ზაზა, ზაზა... (ზაზა გარბის)

ირბაქლი. რა მოხდა! (შემოდის გაწუწული ხათუნა) შენ რა, შხაპი მიიღე?

ხატუნა. რა უბედური ვარ! (დაჭდება) ვაიმე, სულ მთლად სველი ვარ!

ირბაქლი. არ გამოგიყო. სუ მთლად, აბა მაჩვენე.

ხატუნა. მომშორდი. (შემოდის ზაზა) ზაზა, მაპატიე, ეს რა დამემართა.

ზაზა. შენ ეხლა გაცივდები. ონკანი ნელა უნდა მოგეშვა, ჩემი ბრალია, დამავიწყდა, რომ მეთქვა. ვერ შევაკეთეთ. შენ მართლა გაცივდები.

ხატუნა. (შესამჩნევად კნკალებს) ჭურჭელი მინდოდა დამერცხა.

ირბაქლი. თქვენ, შემთხვევით, აქ დარჩენას ხომ არ აპირებთ.

ხატუნა. როგორ მცია.

ირბაქლი. დიაგნოზი: ფილტვების ანთება



მწვევე ფორმით, რომელიც შეიძლება ტვინის ანთებაში გადაიზარდოს. ასე გარეთ ვერ გახვალ, აქ უნდა დარჩე.

ზაზა. (კარადის გამოალებს) ახლავ. დედაჩემის კახას ჩაგაცმევ.

ბათუნა. ზაზა... არა... არ გინდა...

ზაზა. (კარადიდან კაბას გამოიღებს) ნუ გრცხვენია.

ირბაქლი. ჩვენ თვალებს დავხუჭავთ. (შებრუნდება)

ბათუნა. ზაზა, არ მცოვია, გაშრება...

ზაზა. ჩაიცვი, ჩაიცვი...

ბათუნა. არა... მართლა არ მცოვია... (ზაზა კაბას შეაჩვენებს)

ზაზა. ვაზი აანთე და სკამზე გადააკიდე.

ბათუნა. ზაზა. არა... უხერხულია... ღმერთო... (სამზარეულოში გადის)

(ხანგრძლივი პაუზა)

ირბაქლი. ამ ბოლო დროს რაღაც ცუდადა ვარ. მეშინია, არ გავგოფდე, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. რაღაცას ვეძებ, ხან მგონია, რომ ყველაფერი ინგრევა...

ზაზა. თქვენ ბავშვი მაინც გყავთ... (შემოდის ხათუნა... აცვია ზაზას ღედის კაბა. უხერხულად დაჯდება)

ბათუნა. უთო ჩაერთე, კაბას გავაუთოვებ და უცებ გაშრება... მრცხვენია.

ირბაქლი. ზაზა, დედაშენს გაუმარჯოს! (პაუზა, უხმოდ სვამენ) ღამდამობით, ნახვამზე გამედვიება თუ არა, ხამზარეულოში გავდივარ წყლის დასაღვებად. სინონლეში ონკანს მოვუშვებ, ფანჯარას გამოვადებ და ტირილი მომიწდება, პირველად რომ დავთვერი, ცუდად გავხდი, დედაჩემი მთელი ღამე თავზე მადგა და მეფერებოდა. მე ვეფიცებოდი, აწი არასოდეს დავლევ მეთქი.

ზაზა. დედაჩემი ამ კაბაში ძალიან დამაზი იყო...

ირბაქლი. თუ გინდათ, დავუკრავ რამეს. (ზაზა თავს დაუქნევს, ირაკლი როიალს მიუჯდება. უკრავს)

ბათუნა. ზაზა, თავს მოუარე, ძალიან ბევრს ხვამ. (ზაზა ფანჯარას გამოალებს). წვიმს? (ოთახში ქარი შემოიჭრება და კარადის ზემოდან ფურცლებს ვადმოყრის. ზაზა ფურცლებს დაედევნება) აა, ვუშატონო, სამიჯნურო უსტარებია? მანახე, მანახე...

ზაზა. მე არავინ შწერს წერილებს.

ბათუნა. რა კარგი ბიჭი ხარ, ზაზა.

ზაზა. რატომ დამცინი?

ბათუნა. თუ გინდა, მე მოგწერ წერილებს. დავკლები ჩვენს სახლში, გავხედავ ზღვას, სანამ თვალები არ მეტყინება, მერე დავკლები და დავწერ: ზაზა, როგორა ხარ, მე კარგადა ვარ. მაგრად იყავი. მეტი არაფერი. ხო გავიხარდება, ზაზა, ვაიმე, უთო ჩართული დამარჩა. (სამზარეულოსკენ გარბის. ირაკლი დაკვრას შეწყვეტს და როიალზე დაემხოება).

ირბაქლი. (მცირე პაუზის შემდეგ) ზაზა, კბილი... (ზაზა ფურცლებს აკრებს და კარადის ზემოდან დალაგებს) მე ვიწებოდი ალექსანდრე მკედლონელი, ეს დამპალი ჭიანი კბილი რომ არ მტკიოდეს. მე დავიპურობდი ხატატოებს და იშპრებიებს, ეს დამპალი ჭიანი კბილი რომ არ მტკიოდეს... ერთიც დავასხათ და ერთი იქნება. მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი, ცოლს უნდა გავეყარო, ზაზა.

ზაზა. მაიას?

ირბაქლი. ჩერ-ჩერობით მაიას.

ზაზა. რა მოხდა? სერიოზულად ამბობ?

ირბაქლი. არ ესმის... ჩემი არ ესმის... (კონიაკს მოსვამს) შენი დედა კი ვატირე, ქალბატონო ევა. ახლა გვერდით რომ მყავდე, მაგ ვაშლის ნაცვლად მღუღარე უკარს ჩაგახხამდი პირში და სულ თმებით დაგიორთვედი კუკიის სასაფლაომდე, არა, ძმაო, ხელგონაშა კაცმა ცოლი არ უნდა შეერთოს. მორჩა და გათავდა, ავიქი გვინდაო, ტაშტი გვინდაო, სარეცხის მანქანა გვინდაო...

ზაზა. ეგეც საჭიროა, ალბათ.

ირბაქლი. მე, ძმაო, სხვა უაღბობის კაცი ვარ, მე, ძმაო, სხვა რამეებზე ვფიქრობ. ხომ უნდა გაიგოს. არ უნდა ჩემთან ცხოვრება? მარში მე ბევრის ატანა არ შემიძლია, თავისუფლება მიყვარს (მცირე პაუზა) ვიფიქრე, დავკლები, რამეს გავაკეთებ მეთქი, ათასი იღვა შიტრიალებს თავში. არა! შენი ვის ესმის არავის აინტერესებს! მაგრამ ერთხელაც იქნება და დავწერ, ისეთ მუსიკას დავწერ... მერე აქ მოვალ, პირველად აქ დავუკრავ, შენს თვალწინ, ხომ გჭერა ჩემი, ზაზა, მითხარი, რომ გჭერა, მითხარი, რომ დავწერ, მითხარი, რომ შემიძლია...

ზაზა. ჩვენს ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს... (სვამს)

ირბაქლი. მე ჩემს თავს ვანადგურებ, ზაზა. ჩემი თავის მეშინია, ვაუტრბავარ, დაცვინი... (შემოდის ხათუნა, ზაზას სათუთად გადასცემს კაბას).

ბათუნა. ეს კაბა დედაშენის შემდეგ არავის ჩაუცვს, არა?

ზაზა. არავის. (კაბას კარადში ჰკიდებს) რატომ მეიტოხები?

ბათუნა. არ ვიცი... უცებ ტირილი მომიწდა...

ზაზა. რა მოგივიდათ, რა ხაზავგო ხალი გამართეთ. ეს ტირის, შენ ტირიხარ, დავკლები და ვიტტიროთ. კი ბატონო: დედა მინდაა... (კარზე აკაკუნებენ) ალბათ გასაღები დაავიწყდა... ახლავ... (გადის)

შემოდის ნიკო

ნიკო. გამარჯობათ, ახალგაზრდებო. გამარჯობათ.



ბატონუნ. გამარჯობათ, ბატონო ნიკო.  
ირბაქლი. ხომ კარგად ბრძანდებით.  
ნიკო. გმადლობთ, გმადლობთ. ზაზა, არა  
გრცხვენია? სტუმრები რას იტყვიან, ლეიბი  
მინც აგედო. როცა დავიღლები, წამოვწვიბი  
ხოლმე და მერე ალაგება მავიწყდება.  
ირბაქლი. არა უშავს, ბატონო ნიკო...

ზაზა. ჩვენები არიან.  
ნიკო. ფარდებიც გატუქუყიანებულია, ჩვენ-  
თან წყალი ადრე წუდება და დარცხვას ვერ  
ვასწრებთ. გვაპატიეთ.

ირბაქლი. როგორ გეპაძრებათ, ბატონო ნი-  
კო. დაბრძანდით.

ნიკო. (ზაზას) რამე მინც ვაღაფარე.

ზაზა. დაქვით, მამა.

ნიკო. მამაკითხე! ზაზა, ერთი წუთით. (ავან-  
სცენაზე გამოდიან) რას ვაღუყვი ამ სმას, რა  
გვირს. მიშასთან ვიყავი, ერთი კაცი ვიცო,ო,  
მაგის გარდა ამ უბანში არავინ იყიდის. მე  
თითონ წამოგყვები. მალე მოვალ, ბევრი არ  
დალიო. ქოლგა სად არის?

ზაზა. მაცივარზე დევს.

ნიკო. სადაც ახლოს უნდა ცხოვრობდეს.  
საკომისიოში რომ დადოთ, კი ხანს არ გაიყი-  
დება, თანაც პროცენტებს აულებნო.

ზაზა. არ დახველდე, ლაბადა მოხბურე.

ნიკო. იქნებ გაგვიმართლოს. (მედიკოსთან  
მიდის, კიქას აიღებს) დავით აღმაშენებელი  
დიდგორის ეკლს რომ მიუხაზოვდა...

ზაზა. შენ არ დალიო.

ნიკო. არა ვსვამ, კაცო. სადღეგრძელოს ვამ-  
ბობ. რომელი საათია?

ზაზა. არ დაგავიანდე, ღამდება.

ნიკო. კარგად ბრძანდებოდით, ბედნიერად..

მამაკითხე, უჩემოდ არ მოიწყინეთ. (გაღის).  
ირბაქლი. კარგი კაცო მამაშენი. რა სადღე-  
გრძელოს ვსვამდით?

ზაზა. მომავალს გაუმარჯოს.

ბატონუნ. მომავალი არ არსებობს. ზაზა,  
გჭერა, რომ მომავალი არსებობს?

ზაზა. რა ვიცი, ჩემთვის სულ ერთია.

ბატონუნ. მე მაგალითად, ყოველ საღამოს,  
ძილის.. წინ ვფიქრობ: რა მოხდება ხვალ, რა  
შეიცვლება, სად წავალ, როგორ დავბრუნდები,  
ვის შევხვდები, ვინ გამიღიმებს, ვინ დამცი-  
ნებს...

ზაზა. შენ შეყვარებული ხომ არა ხარ.

ირბაქლი. აბა რა გგონია, თუ იცი, ვინ უყ-  
ვარს.

ბატონუნ. მაგას ნუ უხმენ, ხო მართალი  
ვარ, ზაზა. მე სერიოზულად არავინ მიყურებს.  
ხან ეს რვეგნი გამოიღებს მკლავს და რაღაც  
სისულელეებს მეუბნება, მე ყურს ვუვლებ და  
ვიციანი, ხან კიდევ ვიდაც სხვა...

ირბაქლი. დროზე უნდა გათხოვდე, ჭირიმე.  
ბატონუნ. მე ისე შევეჩვიე მარტოობას..

ზაზა. დარჩა რამე?

ირბაქლი. ბლომად! (კონიას ასხამს)  
(პაუზა)

ბატონუნ. ზაზა, რაზე ფიქრობ?

ზაზა. ზანგებზე... საცოდავებს თურმე თეთ-  
რკანიანების პლუტოე არ უშვებენ.

ირბაქლი. მართლა? რა საშინელებაა..

ბატონუნ. მე კი ჩვენს სახლზე ვფიქრობ, ძა-  
ლიან მომენატრა. ქაფურის ხეც მომენატრა.  
გაყვითლებული მზის ჩასვლაც, როცა წყალი  
წითლად იღებება... ზაზა, ყავა ხო გაქვს.

ზაზა. დასაუფავია.

ბატონუნ. მე უკვე მოვრალი ვარ.

ირბაქლი. ხომ არ გეძინება? (თვალს ჩაუქ-  
რავს და ტახტზე ანიშნებს)

ბატონუნ. დებილი თქვენ არაფერი გესმით!  
შინ მისვლა მეზარება, სად იყავი, ვისთან იყა-  
ვი, რატომ გვარცხვენ, ამხელა ქალი ხარ...  
ჩვენს სახლს მივაკითხავდი, მაგრამ შორსაა,  
მთელი ღამე უნდა იმგზავრო, არავის დანახვა  
არ მინდა, სადმე მინც ვადავიკარგო.

ირბაქლი. მამო, გამიშვი ამერიკაში...

ბატონუნ. კინოში არავინ მამაფიქებს, წიგნებს  
უკვე აღარ კითხულობ, ტელევიზორს არ ვუ-  
ყურებ. რა ვკეთო, არ ვიცი, არავინ არაფერს  
მეკითხება, ვზივარ სამსახურში, ვსვამ ყავას  
და ვჭორობ თანამშრომელ ქალებზე. ვის რო-  
გორ ავიცა, ვინ ვის უყვება?

ზაზა. მე ყავას მოვძებნი... (გაღის)

ირბაქლი. ო, დაამლუპველო მშვენიერება,  
უცნობ მამაკაცთან ლოგინში კოტრაილს ვერ  
აიტანს ეს ჩვილი გული.

ბატონუნ. ირაკლი, რა გინდა ჩემგან?

ირბაქლი. მეცინება.

ბატონუნ. რაზე გეცინება?

ირბაქლი. ყველაფერზე. ხანდახან მგონია,  
რომ ბავშვები ვართ და რაღაცეებს ვიგონებთ.  
თავის გასართობად.

ბატონუნ. მერე?

ირბაქლი. რა მერე, ზოგჯერ კი მეჩვენება,  
რომ ბებერი ბავშვები ვართ და რაღაცეებს  
გახსენებას ცდილობთ. უცნაურია, რატომ შევ-  
ხვდით ერთმანეთს, რატომ მოვედით აქ, რა-  
ტომ ვსვამთ სადღეგრძელოებს, თითქოს გამო-  
ფხიზლების გვეშინია... ნუ მიყურებ ასე, მიპო-  
ტენუშის კვადრატო უღრის კათეტების კვად-  
რატების ქამს. დღეს საქმოდ ცივა. ვილაპა-  
რაკით ამინდზე, მონახალზე.

ბატონუნ. ძალიან გთხოვთ, ბევრს ნუ დაღვე.

ირბაქლი. არა, ცუნცულ! ცოტა წაფილო-  
ხოლოსება ნერვებს ამშვიდებს, შენ თავი არ გეტ-  
კინოს, ნუ მისმენ, ყავა დალიე, მერე მიმკით-  
ხავე, ხვალ ანდროსთან ავიდეთ, ზეგ ბადრის-  
თან, მავზე ურასთან. ბევრი ვიტროთო — ცოტა  
ვაკეთოთ. (შემოდის ზაზა).

ზაზა. (ხათუნა) ტკბელი თუ მაგარი.

ბატონუნ. მე თვითონ, ზაზა.

**შემოდის ნიკო**

**ზაზა.** (ჩუმად) ნახე?  
**ნიკო.** უარი მითხრა, არაფერი გამოვაო.  
 ეგრე იციან, კაცს რომ სხვა ჯა არა გაქვს.  
**ირბაქლი.** დაბრძანდით, ბატონო ნიკო.  
**ნიკო.** ახლავე, ახლავე.  
**ირბაქლი.** მიირთვით! (კიქას აწვდის).  
**ზაზა.** არ გინდა, წინვა აქვს მაღალი.  
**ირბაქლი.** ორმოცდაათი გრამი კონიაკი რას  
 უნახს.

**ნიკო.** ქალიშვილი სად წავიდა?  
**ირბაქლი.** ყავას გვიშვადებს.  
**ხათუნას ხმბ.** ზაზა, ზაზა!  
**ირბაქლი.** ზაზა, მიხეზარე, ლამაზი თითები  
 არ დაეწვას (ზაზა გაღის)  
**ნიკო.** დისშვილი უნდა ჩამოსულიყო, კარ-  
 გი ბიჭია, ალბათ ვერ მოიცალა. დიდი ბოდიში,  
 საჭმელიც არაფერი გვაქვს. ხომ იცით, უქა-  
 უნა ოჯახის ამბავი. ზაზამაც საშველი არ დაა-  
 უნა, ვეუბნები: მოიყუანე ვინმე ნორმალური,  
 საკოსანია, არადა არ შეუძა.

**ირბაქლი.** დროა, ბატონო ნიკო. ოცდახუთის  
 არი უკვე, მაგრამ უჭირს, გადაწყვეტა უჭირს.  
 ქალებს კი ჰგონიათ, ცოლის მოყვანას არაფე-  
 რი უნდა, მოგწონება? მოჰყიდე ხელი და...  
 (შემოდის ზაზა და ხათუნა)

**ხათუნა.** (ზაზას) მერე სანაპიროზე გავდი-  
 ვართ ისეთი სიჩუმეა ხოლმე, გინდა დაჭდე და  
 სიჩუმეს უსმინო (ფინჯებს მაგიდაზე დადებს)  
 მიირთვით, ბატონო ნიკო.

**ნიკო.** ყავა შეიძლება, გმადლობთ.  
**ზაზა.** ეეჰ! (მცირე პაუზა, უხმოდ სვამენ ყა-  
 ვას).

**ნიკო.** ჭაბუკობისას რა ბროლის კოშკებს არ  
 ვაგებდი....

**ზაზა.** მამა, შენ ხომ წუწუნე არ გიყვარს,  
 რა საჭიროა.

**ნიკო.** მე არ ვწუწუნებ. მე ჩემი სიშართ-  
 ლით ვიცხოვრე და კმაყოფილი ვარ.

**ხათუნა.** (ირაკლის) შენ ხომ უშაქრო ყავა  
 გიყვარს.

**ზაზა.** მამა, დახეხე...

**ნიკო.** ყველაფერს მოეწონებო. მოთმინებაა  
 საჭირო. რომი ერთ დღეში არ აშენებულა  
 (მცირე პაუზა) აი, ახლა თქვენ მტკვით: ფუ-  
 ლი არა გვაქვს, ხოლო თუ ფული არა გექვს...  
**ზაზა.** ყველას ფეხებზე ჰკიდებარ.

**ნიკო.** ზაზა, მეტი არ დალიო.

**ზაზა.** ჰო, ჰო. გავიგე, გავიგე, მეტი არ უნ-  
 და დავლიო. წვერი ყოველდღე უნდა გავიპარ-  
 სო, სამსახური უნდა დავიწყო. ცოტაც ვაძე-  
 ვრე, ცოტაც გამოვძვრე, ცოტაც მოვითმინო.  
 მერე ყველაფერი იქნება, როდის იქნება ყვე-  
 ლაფერი. ან კი საერთოდ იქნება?

**ხათუნა.** (დაიბნევა) ფანჯარა ხომ არ მივ-  
 ხურო, ბატონო ნიკო?

**ნიკო.** არა, როგორც გენებოთ.

**ზაზა.** მე დღეს მინდა ვიცხოვრო, მე ერთხელ  
 დავიბადე.

**ნიკო.** გაბრაზებული ახალგაზრდები ქვეყა-  
 ნას ვერ ააშენებენ. თქვენ ცხოვრებას დაცინ-  
 ვით იწყებთ, სიგარეტი მომეცი. მარტო ერთი  
 ღერი.

**ზაზა.** მე ქვეყნის აშენებას არ ვაპირებ.  
 (სიგარეტს აწვდის. ნიკო ღიღხანს უქიღებს).  
**ხათუნა.** ზაზა, რა მოგივიდა.

**ნიკო.** თქვენ არაფერი გწამთ!

**ზაზა.** რა უნდა გვწამდეს. (პაუზა, ჩუმად) ამ  
 სახლში ყველაფერი დაძველდა... ჭერიც, ია-  
 ტაკიც, როიალიც, შენც. მეც...  
**ხათუნა.** ზაზა, დაწყნარდი, რა მოგივიდა,  
 სირცხვილია.

**ზაზა.** (ნიკოს) ხოლო შენ...

**ნიკო.** მე თავი დამანებე, მე ვიცოდი, რა-  
 საც ვაკეთებდი, თქვენ ესეც არ იცით.

**ზაზა.** სისხლი დაღვარე ხომ? მერედა რის-  
 თვის? რკინიგზის საღაროში ურიგოდ რომ  
 აიღე ბილეთი არა? რისთვის? რისთვის?  
 (ნათურისკენ აიშვერს ხელებს) ეს ვენეციური  
 ჭალი გაანათებს შენი ტუბილი სიხერის დღეებს  
 (პაუზა).

**ირბაქლი.** იცით, ბატონო ნიკო, ზაზა რა-  
 დაცაში მართალია.

**ნიკო.** კი ბატონო. თქვენ შეუვალი ლოგოკა  
 გაქვთ. ვერ გავიგე, ვისგან რას მოითხოვთ,  
 რა გააკეთეთ, რა შემიქნით, რა მოიპოვეთ.  
 ცხოვრებას ავანსად არ იძლევიან, შეილო!  
 თქვენ კიდევ ვაჭრობთ აი, მე ამას გავაკეთებო.  
 თქვენ კი ეს მომეცით.

**ზაზა.** კარგი, მამა. ჩვენ ერთმანეთს არ  
 გვესმის.

**ნიკო.** კი ბატონო, არ გვესმის, ასე იყო და  
 ასე იქნება (ხათუნას) ხომ არ მოიწყენით.  
 ჩვენ ყოველდღე ასე ვკამათობთ. გვაპატიეთ,  
 არაფერი გვაქვს, ზაზა, მტხვი მაინც ამოგვე-  
 ტანა. მშვიტ კუჭზე სმა ვის გაუგია.

**ირბაქლი.** (თავისთვის) ყოფნა? არყოფნა?  
 საკითხავი აი ეს არის!

**ხათუნა.** არა უშვავ, ბატონო ნიკო, ჩვენ  
 ახლობლები ვართ.

**ნიკო.** (ზაზას) ჩადი, ჩადი, ნუ გეზარება.  
 კონსერვიც ამოაყოლე. აგერ ჩანთას მოგცემ.  
 მაცივარზე დეფს. (ორივე გაღის).

**ირბაქლი.** გადმოვაბრუნო?

**ხათუნა.** აი ასე, ცოტა ხანს აცალე.

**ირბაქლი.** გისმენთ, ევა.

**ხათუნა.** გმადლობთ, ადამ.

**ირბაქლი.** ეს ფოთოლი რაში გჭირდება, ევა.

**ხათუნა.** (ფინჯანში იხედება) ორი ქალი  
 მოდის, ერთი...  
**ირბაქლი.** ერთი შენა ხარ, ევა.

ხათუნა. იცოდე...

ირაპალი. ჩიტუნია, ფრთხილად, რამე ხომ არ გეშლება? (უფრო ახლოს მიუჩიოდება)

ხათუნა. ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან.

ირაპალი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა...

აზრზე მოდი, აი, ასე მყავხარ გამოკუთრილი. არაქომ გამირობიხარ. ჩვენ ერთმანეთს გავუშვებთ. ყველფერი ჩუმად და უხმაროდ.

ხათუნა. დამალი, არც კი გრცხვენია.

ირაპალი. მე რატომ უნდა მრცხვენოდეს.

ვისზე ნაკლები ვარ, არ დამიწყო ახლა სიყვარული, მიჭნურობა, კატლეთი... დამდამოხიოთ ხომ კარგად დაუცნულზე კიროვის პარკში. მე ბევრი რამე ვიცი.

ხათუნა. რა შენი საქმეა. დავუცნულზე და ვცუღალუტობ კიდევ, სხვა რამესაც ვაკეთებ.

ირაპალი. იმეც ვიცი. შენი კომენტარები ზედმეტია. (მცირე პაუზა) მაშ, ზაზა გუყვარს და ვილაღ-ვილაღებთან... აქეთ ანდროო, იქით ტრიფონიო...

ხათუნა. გაჩუმდი! (სილას გააწნავს).

ირაპალი. გმადლობთ. მე მაგარი ნერვები მაქვს. ჰიპოტენიზის კვადრატით უდრის კათეტების კვადრატების ჯამს. ხომ არ მოსწევთ კარგი სიგარეტია. მე მხოლოდ „მალბროსო“ ვეწევი. აი საფერფლიც. საფერფლე დაშინის შეგობარია. მე მიყვარს ძაღლები. მძულს უზულოდ სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუშო.

ხათუნა. დამალი! (სიგარეტს აიღებს).

ირაპალი. არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენი მადმუაჟელ, ბოდიშს მოვიხდი თქვენს უნაწუნსი გრძნობების წინაშე. შევრიგდეთ.

ხათუნა. (ნერვიულად იცინის) რა კარგი ბიჭი ხარ, ირაკლი!

ირაპალი. სწორია, ფროიდიან. პათოსანი, გულწრფელი, გულკეთილი, გულახდილი, გულმოდგინე... (მცირე პაუზა).

ხათუნა. აჰ რამე მომიყვანა. შეიძლება გავაფუდე.

ირაპალი. კიდევ კარგი, რომ მოხვედით სინიორინა. სილ ვუ პლე. მე ბოდიში.

ხათუნა. ყველანი მატყუარები ხართ, უსინდისობები! (ქვითინებს)

ირაპალი. გინდა შელის ნუკრის ნამბობს მოგიყვები. პატარა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრძოვა, თუ გინდა ფანჯრიდან გადავხტები. მეც მტკიცა კბილი, ნუ ტირიხარ!

ხათუნა. უსინდისობები!

ირაპალი. ნახე, თუ არ გადავხტე. (რაფაზე აძვრება) ცოდ-შვილს შენ გიტოვებ. გადაეცო, ძალიან უყვარდით თქო, სიცოცხლე მომბერდა თქო. დამნაშავე არავინ არ არის თქო. (ხელს გაშლის) მომიგონებდეთ. მშვიდობის! (დაბლა ჩაიხედავს) ფრთები, ფრთები მინდა! რამსიმაღლეა ეს დალოცვილი! (აკეთებს ფრენის იმიტაციას)

(შემოდის ზაზა)

ზაზა. რა ამბავია რას შერები!

ირაპალი. ზაზა, თავს ვიკლავ! მშვიდობით!

ზაზა. გეყოფა მაიმუნობა, ჩამოდი, კონსერვი ჭამე.

ირაპალი. ემე! (ჩამოხტება) ცხოვრების ტუპი მაინც თავისკენ მივთარევეს, ძმარ ირაკლი.

მე ვიქნებოდი ალექსანდრე მაკედონელი, ეს დამალი ჭიანი კბილი რომ არ მტკიოდეს. ერთი ის დაწესებულება მიმასწავლენ მშურად...

ზაზა. ეზოში, მარჯვენა! (ირაკლი ცმუქეა-ცმუქეთი გადის) ხათუნა, პალტო მოიხურე, შეიცვალდება.

ხათუნა. ზო, ცოტა შემცივდა. მოდი, დღეს-ვე წავიდეთ.

ზაზა. (იცინის) სად უნდა წავიდეთ?

ხათუნა. ჩვენს სახლში, ზღვაზე. (მცირე პაუზა) ზაზა, გჭერა რომ მეორედ მოვალთ ამქვეყნად? გჭერა, რომ სული არსებობს?

ზაზა. ღმერთმა იცის!

ხათუნა. მერე სად არის ის შენი ღმერთი! სად!

ზაზა. ვნახოთ. ბევრი ფიქრი თავს ატოებს.

ხათუნა. გავა ორასი წელი, გავა სამასი წელი, არავინ გავგვიხსენებს, არავის მოვავონდებით. არავის ჩვენი სიხარული და ტანჯვა ჩვენთან ერთად მოკვდება. ვერავინ ვერაფერს გაიგებს. რა საშინელებაა! იწვე ცივ მიწაში და არაფერს გრძნობდე. მერე ნელ-ნელა დაღებები, თმა გაგცივდება, ღოყები გაგილურჯდება...

ზაზა. რა მნიშვნელობა აქვს...

ხათუნა. (მცირე პაუზის შემდეგ) ათი წლის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა. ვილაღ კაპიტანს გაჰყვა უკრაინაში.

ზაზა. პირველად მესმის, შენ ამბობდი რომ...

ხათუნა. ზო, ვამბობდი, მთვარალი ვარ, რა მოხდა, მთვარალი ვარ და სულელი, მამარეში მთელი დღე მუშაობდა, მე ოთახში ვიყავი გამოკეტული. ნუ მისმენ. სისულელეა, შენი ფინჯანი რა უყავი. (ფინჯანს აიღებს) ვერაფერს ვნდავ; არც არის საჭირო. შენც შტერი ხარ. ნუ გეწყინება ზაზა. ყველანი შტერები ვართ.

(შემოდის ირაპალი)

ზაზა. (ირაკლის) ასე უცებ?

ირაპალი. აქვე, საღარბაოსთან, სანაგვე უფოში. (პაუზა) ამ სახლში რემონტია საჭირო, ბიძიკო.

ზაზა. ფრთხილად...

ირაპალი. არა უშვას. ხათუნაც კარგად გათხუანულია.

ხათუნა. მზე? (იცინის, დაიხედავს კაბაზე)

თამაზ გაბაღლაძე

რ. ი. ი. ა. ლ. ი.



დმერთო, რა კარგია! სკოლაში სულ მეღნით გათხუნილი დავრბოდი. მასწავლებელი კუთხეში მაყენებდა, რა კარგია! როგორ მინდოდა კიდევ ერთხელ მენახა ზღვა. თუ მომისმენთ, ლექსს წაგიკითხავთ.

**ირბაქლი.** რატომაც არა, ლექსი შეიძლება. ზაზა მოითმენს. ჩანმრთელი თიერკმელია აქვს. ხატუნა. მაინც წაგიკითხავ. ასე მინდა, დიას, ასე მინდა, სულაც ნუ მომისმენთ. არ მაინტერესებს. (დარბაზისკენ შეტრიალდება)

ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი ნუჯრის თვალებით, თმით მიმოზრებით და მწუხარების მალენიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კიოდა ქუჩა შორს კი მზე იყო და მშობლის კერა, მზეზე ყვაოდა სოფლად ალურა და გაისმოდა დების სიმღერა. მზე შორსაა, ძალიან შორს, შენ კი გაყინულ ქუჩაში დგახარ და გცივა.

**ირბაქლი.** ბრავო! ბრავო! სე ბიენ! სე ბიენ, მადამუაჟელ!

**ზაზა.** მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები... **ირბაქლი.** (სკამზე შეტბება) მე პატარა ბიჭი ვარ, გამოვდივარ სცენაზე, რა დროს ჩემი ლექსებია დამპალი ვარ ყველაზე.

**ზაზა.** (ტაშს უტარავს) პოეზიის ხალაშის გახსნილად ვაცხადებ.

**ხატუნა.** ზაზა, გახსოვს, გამოსაშვებ საღამოზე „რომეო და ჯულიეტა“ რომ დავდგით..

**ზაზა.** საიდან გაგახსენდა?

**ხატუნა.** თეორი, ფუმფულა. კაბა მეცვა. მოდი, ჩვენს ბავშვობას ვაუმარჯოს, მე ყველა ნივთს ვინახავ, რაც კი ბავშვობასთან მაკავშირებს. კაბებს, ჩანთებს, წიგნებს, რვეულებს, შაბთებს. ხშირად ოთახში ჩავიკეტებ და ვათვლიერებ. მერე კი ვტირი. არ ვიცი რატომ.

**ზაზა.** აი ამბავი, თუ როგორი ბედი სწევია ტურუა ვერონის ორ ძველ ოჯახს, ცნობილებს დიდად.

**ხატუნა.** მაშინ ძალიან გამხდარი ვიყავი...

**ირბაქლი.** კარგი რამე კი იქნებოდი... (ტუნებს გააწყლანუნებს)

**ხატუნა.** ჯულიეტა ჩემი პირველი სიყვარულია.

**ირბაქლი.** ვერ გავიგე, ჯულიეტა თუ ხარ, რომეო უნდა გიყვარდეს, რომეო თუ ხარ, ჯულიეტა უნდა გიყვარდეს. ჯულიეტას უყვარს ჯულიეტა, რომეოს უყვარს რომეო. ღორო, მომეც ქაგარი, დავგრებ თოქა ბაწარს, ვგრე გამოდიხ.

**ხატუნა.** კაბა მაშიღარჩება შემოიკრა. სკოლაში უფხით წავიდი, არ დამემპუწნოს-მეთქი. ხალაშომდე მერხზეც არ ჩამომჭადრავარ. როგორ მიხაროდა. წინა რიგში მასწავლებლები და

მშობლები ისხდნენ. უკან მოწაფეებიც სცენაზე რომ გამოვედი, ერთი სტვენა და უვილ-ხივილი ატყდა. მე ხელები მაღლა შევმართე, კინაღამ გული წამივიდა.

**ზაზა.** (როიალთან, ხათუნას წინ დაიჩოქებს) თვალნო, შეხედეთ — კვლავ სინათლეს ვეღარ იხილავთ,

მკლავნო, იგემთ თქვენ მოხვევნა უკანასკნელი და თქვენც ტურებო, სუნთქვის კარნო, კოცნით ალბეძეთ

ჩემი უვადო შეთანხმება ამ ხარხ სიკვდილთან მაშ, მოდი ჩემო გესლიანო გამოცილებელო, მწარე მეგზურო, უხასო მესაქვე, მოდი და ქაირხმლებით მოქანცული ნავი ახლავე ციცაბო კლდეებს მიანარცხე, შენთვის ვცლო, სატრფოვ

(ზაზა კიქას იღებს და გადაკრავს) მართლაც სწრაფია შენი შხამი, მეაფთოაქვე, ჩემო ტრფიალო, გაკოცებ და ისე მოვკვდები.

**ირბაქლი.** უფრო კოცხლად, უფრო გულწრფელად, ზედმეტი დაძაბვის გარეშე. ჯულიეტა ბავშვი არ არის. მან ყველაფერი იცის ხელები ოდნავ წინ. ნუ იმოძრავებ. სდექ, რომეო მჭრე არაფერი იცის, მაგრამ მალე ყველაფერს მიხვდება. წავედით!

**ხატუნა.** შენ თვითონ წადი, მე აქედან აღარ მივდივარ,

მაგრამ ეს რაა? შუშა ჩემი ტრფიალის ხელში? მაშ ამაწ მოგკლა? საწამლავემა მოგიღო ბოლო? ხარბო, სულ შესვი? ერთი წვეთიც არ დამიტოვი?

**ირბაქლი.** რომ მას დავესხენ?! დაგიკოცნი ახლა მაგ ტურებს

იქნება ბედზე საწამლავე აქვთ შერჩენილი და ის მომაკვდენს! ო, თბილია შენი ტურები.

**ირბაქლი.** ბრავო! ბრავო! სეტენ შაღმან სპეტაკლი ბრავო! ბრავო! რა მსახიობები იკარგებიან?!

**ხატუნა.** ზაზა, აქამდე როგორ გახსოვს. ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო, როგორ არ დავავიწყდა.

**ზაზა.** შუა სპეტაკლში სცენაზე შუქი ჩაქრა. მე ჩაგჩურჩულე: „ნუ დეშინია!“ დარბაზში საშინელი სტვენა ატყდა. მეზობელი სკოლის ბიჭებს გამოერთოთ შუქი. ერთი კვირა არ გამოვსულვართ სახლიდან. გვრცხვენოდა. სპეტაკლი დაუშთავრებელი დაგვჩრა.

**ხატუნა.** იმ დამეს ვადაწვევით, სამსახიობოზე ჩამებარებინა. სამი წელი ვაბარებდი, ნიჭი არ მეყო.

**ირბაქლი.** ეხლაც არ არის გვიანი!

**ზაზა.** ნუ დასცინი, როლში შეიქრა. (პაუზა)

**ხატუნა.** სულაც ხვალ წავიდეთ, ზაზა. გზევიები. ჩვენი სპეტაკლი დავამთავროთ. ისეთ ჯულიეტას ვითამაშებ... სახლში ზღვა შემოგვივარდება და დავგახრჩობს. (ხელებს გაშლის და ცეკვავს):

**ირბაქლი.** (ზაზას) რი სახლი, რა სახლი, რი

სექტაკლი, რა სექტაკლი, რი ზღვა, რა ზღვა.  
ზაზა. სახლი უყიდა მამასის, ზღვაზე.

ირბაქლი. მშუ... რაღაც მეტევება.  
ბათუნა. რა ბენდიერები ვიქნებით. შეიძლება მართლა დაბრუნდეს ბავშვობა. ბავშვობა კი არა, ის აუხდენელი ოცნებები, ის სიზმრები, ის სიხარულები... რა სულელი ვარ, ღმერთო ჩემო! ძალიან გთხოვთ ნუ დამცინებთ, ხომ შეიძლება ერთი გუის ატანა. თქვენ ყველაინ ბჭვიანები ხართ. ხომ გიხარიათ, რომ თქვენს შორის ერთი გუია. ლამაზი გიფი!

ირბაქლი. ძეხვი ხომ არ შევწვათ?  
ზაზა. შეზოლილია, რათ უნდა შევწვა, მოუსმინე.

ირბაქლი. უკაცრავად, ბატონო რომეო. მე ცუდი მაყურებელი ვარ, შეიძლება შუა სექტაკლის დროს შუქი ჩავაქრო ან სულაც დავუხტვინო (უსტვენს) მაპატიეთ პარდონ ექსკუზე-შუა. რატომ არაფერს ამბობთ. ხომ არ გეწყინათ. მე ჩემ თავს დავცინი.

ზაზა. ჩვენს მოგონებებს გაუმარჯოს.  
ირბაქლი. მე არა მაქვს მოგონებები. მე მაქვს დაფები და ცარცები. თქვენ არ გესმით? მე ხაღდაც დამეყარება ბავშვობა. ამიტომ მგონია. ოუუდღუი, ილ პღე. წვიმს. მე ვიებერთელა ჩანთა მიჭირავს ხელში და მეოთხე ხართულზე ავდივარ. ბონეუდ, მაღამ, საათნახე-ვარი ვწვივარ და კეფას ვიფხან. გარეთ კი მწევა. მერე მზამენ...

ზაზა. (ხათუნას) დანა მომარადე! (კონსერვს ხსნის). ვიხმენ... ხად გაზამენ?  
ირბაქლი. როიალთან მზამენ. სკამზე. ორი ხაათი. მე ვგრძნობ, როგორ შემოდის ფილტვებში როიალის ნესტი. ვახველებ. ფეხებს უფრო მაგრად მიკრავენ. მე არაქათი შეცდვება და ვლუმვარ. საღამოს, ტანტე მონიკა პურძინს კომპოტს მასმევს და ჩემი თავი ხდება გლობუსი. ტანტე მონიკა თავისი ჭადონსური წკიპურტით ამ გლობუსს წაღმა-უკუღმა ატროიალებს და კმაყოფილი ილიმება. (კარებზე აკაკუნებენ)

ზაზა. ამ გახალეზმა შემეკლა ხელში (გალის და კარებს აღებს).

მ.

შემოდის ნიკო.

ნიკო. (აღღვეებული იხდის ლაბადას) ძლივს გავაჩუმე, სტუმრები გეყავს მეთქი. სულელი მაშინ ვიყავი, ფული რომ გახესხეთო. ხო ვიცოდი, რა გადაშხდლებიცი იყავითო. მეტი მეკუთვნისო. გამიშვიო, იმ ვილაც სტუმრების თვალწინ უნდა დავასხა ლაფიო. ძლივს გავაჩუმე, მართლა მოდიოდა, კაცო.

ზაზა. ნუ ნერვიულობ, რა მოხდა მერე.  
ნიკო. ერთ კვირაში თუ არ ჩამბარებთ, ხელწერილს დაგადებინებთ და პროცენტებს

გადაგახდენებთო, აბა, აბა, რა იკადრა მაგ უნამუსო.

ბათუნა. (სამზარეულოში შემოდის) რა მოხდა, ზაზა, მაპატიეთ.

ზაზა. არაფერი, წვიმას აპირებს.  
ნიკო. დიახ, დიახ. ცოტა არეულადა ვართ. ხომ იცით უქალო ოქახის ამბავი, ათასი საქმეა. ვერაფერს ვერ ვაბამთ თავს (ზაზა უსიტყვოდ გადის) კიდევ სვამენ?

ბათუნა. არა, ვსაუბრობთ. დაგებმარებით, ბატონო ნიკო.

ნიკო. ძალიან შეეჩვია ამ ბოლო დროს. მეც ვერაფერს ვეუბნები. ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. გული წუდება, რომ არ უმართლებს. მე როგორ უნდა დავეხმარო. ასე ცხოვრება არ შეიძლება. მე რაც მქონდა, იმას ვწერდებოდი ზაზა კარგი ბიჭია. მხარში ამოდგომა სჭირდება, მიხედეთ ერთმანეთს, თქვენ ეს შეგიძლიათ. ძალიან დიარავრა.

ბათუნა. ჩვენ ზაზა გეყვარს...  
ნიკო. მხარში ამოდგომა სჭირდება, თქვენ კარგი გოგო ხართ... (ერთად გამოდიან. ნიკო მიგაღის მიუჭდება, ირაკლის გვერდით. ზაზა ფანჯარასთან სიგარეტს ეწევა. ხათუნა ნახატებს ათვალეიტებს).

ბათუნა. ზაზა, გინდა შაბათს ექსკურსიაზე წავიდეთ. ჩვენები მიდიან ყინწვისში.  
ზაზა. ვინ თქვენები.

ბათუნა. ვინ და... მეგობრები, სულ რამდენიმე კაცი ვიქნებით: შემოდგომაზე ყინწვის ფანტასტიკურია.

ზაზა. არ ვუოფილვარ.  
ბათუნა. გამაგიჟებ, მე ყოველ შემოდგომაზე დავდივარ. ვერ წარმოადგენ, რა ნახაზობაა. ირგვლივ ყვითელი ფოთლების ნიაღვარი, ცა კიდევ ძალიან ახლოს. ისე ლურჯი და მშვიდი, ტირილი მოგინდება... (პაუზა)

ზაზა. (კედელთან მიყუდებულ ნახატს გადმოაბრუნებს) კარგად დააკვირდი, უნდა გარუქო.

ბათუნა. კარგი რა, უსინდისო არცერთი შენი ნახატი არა მაქვს, გმადლობ! (შუბლზე აკოცებს).

ზაზა. შენი ნაჩუქარი ფუნჯებით გავაკეთე. ხომ გახსოვს. (შორიდან სამგლოვიარო მუსიკის ხმა).

ბათუნა. ზაზა!  
ზაზა. მო...  
ბათუნა. ნახე, მიცვალებულს მიახვენებენ.  
ზაზა. ახლოა კუკიაშდე.  
ბათუნა. (თვალეზში ჩაჰყურებს) სიკვდილის არ გეშინია?

ზაზა. რატომ მეკითხები?  
ბათუნა. აღმათ ძნელია. მეშინია, როდესაც გავიფიქრებ, რომ უნდა დავბერდე.

ზაზა. მაგას რა ჯობია. არავინ შეგაწყუხებს. რბილი ფარჩუნებით ივლი, უკბილო პირით

ტვილ ნამცხვარს გადაუღაპავ. „მოამბის“ დაწ-  
ყებამდე ტელევიზორთან ჩაგვიტინება.

ხატუნა. მეშინია, გესმის, მეშინია. თითქოს  
ჩემთვის ყველაფერი ხვალ უნდა დამთავ-  
რდეს. ან ომი დაიწყება, ან მანქანა დამეჩახე-  
ბა, ან ვიღაც აგურს ჩამართავს თავში, არ  
მინდა სიკვდილი, ზაზა...

ზაზა. (კაბას დაყნოსავს) რა კარგი სუნამოა.  
ფრანგულია არა?

ხატუნა. შენ ყველაფერი გესმის, ზაზა და  
მატყუებ.

ზაზა. ეს ფეხსაცმელიც როგორ გიხდება.  
თმა ცოტა მაღლა უნდა აგვიწია.

ხატუნა. მე წავალ, ზაზა.

ზაზა. ო, ძმობილო, მომეცი ხელი. ბედის  
მწუხარე წიგნში თურმე ერთად ვწერივართ...

ნიკო. დავით აღმაშენებელი დიდგორის  
ველს რომ მიუახლოვდა... (ზაზას) მაცალი-  
სხვა რაიმე ვამბობ. (შეტრიალდება ირაკლის-  
კენ. ირაკლი თავს უქნევს).

ხატუნა. ჩვენს სახლს დიდი ცისფერი ფან-  
ჯრები აქვს. ფანჯრიდან ზღვა მოჩანს. ზღვა  
დელტას, ტალღების თეთრი ქაფი გამჭვირვალე  
არშიად მიუყვება სანაპიროს. ჩვენ გამოდე-  
ბულ ფანჯრებთან ვსხედვართ, ვცაშთ ჩაისს,  
გაყურებთ ჩამუქებულ სივრცეს და ვედუმ-  
ვართ. ყველას ერთმანეთი გვიყვარს, ყველა  
ერთმანეთს ვეფერებით. კარგია, როცა არავინ  
გაწუხებს, არაფრის გეშინია რადგან მარტო  
არა ჩარ.

ზაზა. რა ღამაში თმები გქონია.

ხატუნა. სახლში მხოლოდ ერთი მაგიდა და  
რამდენიმე სავარძელი დგას. მეტი არაფერი.  
ჰო, ერთი ტახტიც, როცა დავიღლებით, ტახ-  
ტზე წამოვწევებით ხოლმე (მცირე პაუზა).

ნიკო. ირანი უკვე იქით გადავიდა შეტევაზე.  
დაიბრუნა თავისი მიწები, გადალახა საზღვა-  
რი და მგონი ბაღდადშიც აპირებს...

ზაზა. რა თქმა უნდა. დიდი სიამოვნებით.  
გავიშორები იმ თქვენს ტახტზე და ვიძინებ,  
ვიძინებ...

ირბაქლი. აი, რას ნიშნავს ფანჯრისმი... (ის-  
მის ქარის ზუზუნს. ფანჯრის რახარუხი. ზაზა  
ფანჯარას დიდხანს ეგაჯგურება დასაკეტად).  
ხატუნა. ჩვენ ფანჯრებს არასოდეს არ  
კვიტავთ...

ირბაქლი. ნავთობის საბადოები საერთოდ  
გაანადგურებს.

ხატუნა. რადგან ზღვა გვიყვარს. თუ ფანჯ-  
რებს დავკეტავთ, ზღვა გავიწყდება და აღა-  
რასოდეს მოვა ჩვენთან.

ზაზა. როგორ აცივდა...

ნიკო. რომელი საათია?

ხატუნა. ზამთარი მოდის ზაზა, დიდი ზამ-  
თარი...

ირბაქლი. არა მაქვს, ბატონო ნიკო.

ხატუნა. ჩვენს სახლში არასოდეს არ ცი-  
ვა. როგორ მომენტარა ჩვენი სახლი...

ზაზა. (ნიკოს) მიდიხარ?

ნიკო. ჰო, ცოტას გავივლი... (ნიკო თავის  
დაკერით გადის).

ირბაქლი. მე მთვრალი ვარ, მაგრამ კარგად  
ვიტან. არაფერი შემუღება. (ხანგრძლივი პაუ-  
ზა) არაფერი! (ხათუნას) დაჭექო, ზღაპარი  
მოგვიყვი.

ხატუნა. ზაზა, დარეკვა მინდა, ტელეფონი  
საღარის?

ზაზა. ეგერ დევს... (ხათუნა ყურმილს იღ-  
ებს)

ხატუნა. არ მუშაობს.

ზაზა. (ყრღ) მაშინ კირდაპირ, გაჩერებას-  
თან, ორკაბიანი გაქვს?

ხატუნა. მაქვს. (ირაკლი სიგარეტს უკიდებს  
და ხათუნას და ზაზას ზურგს შეეკეცვს).

ზაზა. სად უნდა დარეკო?

ხატუნა. მეგობართან, შენც ხომ წამოხვალ  
ყინწისში, ზაზა.

ზაზა. არ ვიცი.

ხატუნა. ხვალ ავტობუსს დავიჭირებთ.  
შეიძლება ჩვენს სახლსაც მივაკითხოთ, ყო-  
ველთვის ასეა. ჩავსხდებით ავტობუსში და  
მძღოლს ვეტყვი: აბა, უფროსო, ფული ჩვენ-  
ტერყვებს, ზაზა. წავიღებ ჩვენს სახლში, ავა-  
დულოთ ჩაი. დავსხდეთ ფანჯარასთან... ახ-  
ლავე მოვალ... (გაღის. ზაზა იცინის).

ირბაქლი. რატომ იცინი?

ზაზა. არ ვიცი.

ირბაქლი. ორჯერ ორი არის ოთხი, თითქოს  
ვერაფრის ხვდები.

ზაზა. ვერ გავიგე.

ირბაქლი. მე მაინც არაფერი გამომიღის.

ზაზა. კარგი მა.

ირბაქლი. შენ კი უყვარხარ.

ზაზა. ჰმ, სასაცილოა.

ირბაქლი პირიქით. მაგაშია მთელი უბედუ-  
რება. გაიგე?

ზაზა. ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთ-  
მანეთს.

ირბაქლი. ეგ არაფრის ნიშნავს.

ზაზა როგორ... სასაცილოა... გერჩვენება...

ირბაქლი. მე არაფერი შეჩვენება. მე ის ვი-  
ცი, რომ ხათუნას უყვარხარ. დაახ, მითხრა,  
რომ შენ მას ცოლად მაინც არ შეიტავა, უბ-  
რალოდ არ შეიყვარებ, რადგან შენ ყველაფე-  
რი იცი...

ზაზა. სისულელეა.

ირბაქლი. დილით დამირეკა და მითხრა, ზა-  
ზასთან ავიღეთო. მშვენიერი საყვარელი გეყო-  
ლებდა...

ზაზა. გაჩუმდი! (ჭიქას ესვრის).

ირბაქლი. მე მაგარი ნერვები მაქვს. ასე  
ჭობია. დამშვიდდი. სტუმარს ოქახში ჭიქას  
არ ესვრიან. მაგრამ გააბტიებ. იმიტომ რომ  
ნიჭიერი ხარ. (ჭიქას აიღებს) როგორ გადარ-  
ჩა. რაც მოგივა დავითაო, ყველა არყის ჭიქი-



თაო. არა; თუ გინდა წავალ. (პალტოს იცვამს) კარგად იყავი.

ზაზა. დააგდე ეს პალტო. ირბაქლი. მე რა შუაში ვარ, რომ მიუვირი, თუ არ გინდოდა მოსმენა, ვინ გაძალღებდა. მე ძმაო, შეიდი თავი კი არა მაქვს. ზაზა. შაკატიე... (პაუზა). ირბაქლი. ხათუნა ცოდავა...

(შემოდის ნიკო).

ნიკო. ფანჯარა შინც გამოაღეთ, დაიხრჩობით, არ ნიავდება ეს ოთახი. რა დახუთული მაგერა. წვიმას აპირებს. ხათუნა სად არის? ირბაქლი. დასარკვად წავიდა, ბატონო ნიკო.

ნიკო. კაცო, ტელეფონი აგერ არ არის? ზაზა. არ მუშაობს.

ნიკო. როგორ თუ არ მუშაობს. გუშინ გადავიხადე ქირა. (ყურმილს იღებს. გაკვირვებით) მუშაობს!

ზაზა. მაშინ არ მუშაობდა. გასაგებია?! ნიკო. შეიძლება. უცებ გამორთავენ ხოლმე. ზაზა, ერთი ეგ ნამცხვარი დადე სუფრაზე. ზაზა. ნამცხვარი რად გინდოდა...

ნიკო. როგორ... ქალია, პატვისიცემა უნდა, ეგრე ხომ არ არის, ქოლგა გადამივარდა მაცივირიდან. უნდა გამაწვიოთ. დიდი ბოდიში. წვიმას აპირებს. ეს მაგიდაც იქით გავწიოთ. ზაზა, მომეხმარე... (სამივე მაგიდას ექაჩგურება) გეც ახე. ახლა მაცივარი.

ზაზა. მაგას რათ უნდა ხაში კაცო. ირბაქლი. მე მოგეხმარებით, ბატონო ნიკო.

ნიკო. ნუ წუხებით, ნუ წუხებით.... ირბაქლი. როგორ გეკადრებთ... (გაღიან. მაგიდაზე დაყრდნობილი ზაზა სიგარეტს ეწევა).

ნაწილი მეორე

1

ხათუნა და ზაზა.

ზაზა. რატომ დაიგვიანე ამდენ ხანს. ვიფიქრო, გაიპარა მეთქი. ცოვა გარეთ?

ხათუნა. ძალიან. ორკაპიკიანი ვერ ვიშოვი. მერე ტელეფონი დაკავებული იყო. ირაქლი სად არის?

ზაზა. სიყვარულს უხსნიან ერთმანეთს. არ გაიხადო, თორემ გაცივდება. მე შეჩვეული ვარ, ნამცხვარი მიირთვი. მაშაჩქმს ძალიან მოეწონე. შენთვის ამოიტანა. გასინჯე.

ხათუნა. გმადლობ. ზაზა. სიგარეტაც გამოთავდა.

ხათუნა. მე მაქვს. (ჩანთიდან სიგარეტს ამოიღებს).

ზაზა. (სიგარეტის კოლოფს ატრიალებს) სსკ ქანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ:

მოწვევა მივნივლია თქვენს ქანდაკებულ თვის „იავა“ კარგი სიგარეტია. მე ვერ ვშოულობ. შაბათს უინწვისში მიდიხართ, არა? ხათუნა. ზო, ალბათ. ნაცნობი გამყოფელია. ის მაქვსც ხოლმე. (კაბას უჩვენებს) ძალიან იტყობა?

ზაზა. არა... ეგ არაფერი თუ გინდა თქვენს სახლს მოვხატავ... (მცირე პაუზა) პატარა მელისასავით. ღვთისმშობელსაც დავხატავ, მათესაც, მარკოზსაც, ლუკასაც, იოანესაც, მაცხოვრასაც დავხატავ. რომელი დარჩა? უინწვისის ანგელოზსაც, მაღლა, ფრთებგაშლილს, თავისუფალს... აი, ხომ გეხმის მისი ნაღვლიანი ფრთების შხუილი... ხათუნა. მესმის... მაგრამ ცარიელი კედელი უფრო ლამაზია; შეგიძლია მთელი დღე იქდე და უყურო. მთელი დღე იქდე და არაფერი აკეთო.

ზაზა. ნეტა თქვენთან დამასახლა. რა ხედნიერი ვიქნებოდი. ხათუნა. ჩვენ იქ ღამეს არ ვათეთ. სახლი პატარაა და უველა ვერ დავებძიეთ. ზოგჯერ ბავშვებიც მოდიან ხოლმე. ჩვენ ერთად ვცეკვავთ. ვმღერიათ. ბავშვები ლექსებსაც გვიკითხავენ. მერე ჩაის ვსვამთ და ნამცხვარს ვაყოლებთ... ხომ წამოხვალ ჩვენს სახლში, ზაზა, მითხარი, რომ წამოხვალ.

ზაზა. აუცილებლად, აუცილებლად (მცირე პაუზა) იქნებ კიდევაც შემიყვარდეს ვინმე. ხათუნა. დაიგვიანე. ჩვენ უველანი შეუყვარბულები ვართ. დაიგვიანე. (იციის) თვალში ჩამიწითლდა, ამდენი არახოდეს დამიღვია. მე ვგულბები, როცა ვსვამ. შენ არ გინახავს ჩემი სიმთვრალი.

ზაზა. კონიაკმა იციის თვალბები ჩაწითლება. საღებავიც გადაგსვლია. ასე უფრო ლამაზი ხარ. ხათუნა. შენ რომ ადრე არ დამციინოდი? ზაზა. ალბათ, ოდენმე დავხატავ. ხათუნა. მატყუარა ხარ. რამდენი წელია მპირდები.

ზაზა. სასიკვდილოდ განწირულ ჭულიებაც თერთ ტანისამოსში. ძალიან მოვიხდებო. როგორც მაშინ.., იქნებ კიდევ ერთხელ სცადო, ხათუნა. შენგან უთუოდ ნიჭიერი მსახიობი გამოვა. ხათუნა. გვიანია. ძალიან გვიანია. აღარ შემიძლია. არაფერი არ შემიძლია, თავის მოტყუების გარდა.

ზაზა. ნიჭი მართლა გაქვს. ამას ვერ უარყოფ, თანაც ახალგაზრდა ხარ, მომზიბლავი. ხათუნა. (აგდებული ღიმილით) მოგწონვარ? (შემოდის ნიკო და ირაქლი).

2

ნიკო. სოფლიდან რომ წამოვედით, პირველად ეს როიალი ვიყიდეთ, მეთი არაფერი

გვებადა. როიალი და კიდევ ეს სარკე, სარკე იქიდან წამოვიდეთ. მაშინ ლამარა ახალგაზრდა იყო, დიდ მოზავალს უწინაწარმეტყველებდნენ. როიალი ამ უბანში არავის მქონდა. გოყფი ვეგონეთ. იმედით ვცხოვრობდით. გვიუყვარდა, გვიხაროდა. ლამარა უკრავდა, მე იატაკზე ვიჭეკი და ვუსმენდი. მეტი არაფერი გვებადა. მეგრე ზაზა გაჩნდა.

**ზაზა.** მამა, ნუ მომაბერებ თავი... რა მოგივიდა.

**ნიკო.** შენც ნუ მომაბერებ თავი.

**ზაზა.** ვაჰ! (ილიმის)

**ნიკო.** არც ისე ბებერი ვარ, შენ რომ გგონია. თქვენ თუ მოგებურდით უველაფერი, მე რა უნდა ვიქვა... მე რომ ვარსებობ, იმით ვარ ბედნიერი. რომ ვარსებობ, ესე იგი, საჭიროა, ეს იგი, ასე უნდა იყოს.

**ზაზა.** შენ სხვა ფილოსოფია გაქვს.

(ისმის წვიმის ხმაური, რომელიც სწრაფად ძლიერდება)

**ნიკო.** (ზაზას გვერდზე გაიყვანს) ჭერი ჩამოგვეგრევა. უნდა ავიდეთ, შიფერი გავაწწოროთ. ეს წვიმა კაი ხანს გახტანს. რამე მოიხურე.

**ზაზა.** ეხ, ფილოსოფია, ფილოსოფია...

**ნიკო.** ჩაქუჩიც წამოიღე. მაიცვარებ დევს (ღამდას მოიხურავს)

**ზაზა.** (ხათუნას და ირაკლის) ნოეს კიდობანში ცოტა ბზარი გაჩნდა. ფილოსოფიური ჩაქუჩით ხელში მივიწევი მალა. თქვენ მშვიდად იუაიეთ, კამჩის მოსურებოთ, (ნიკო და ზაზა გადიან)

**ბათუნა.** მომშორდი!

**ირაკლი.** თავს ნუ ისულელებ.

**ბათუნა.** ბრიყვი ვარ, დებილი ვარ, გარყვნილი ვარ! რა გინდა ჩემგან, რატომ მაწვავლებ.

**ირაკლი.** შენ კარგი გოგო ხარ ბათუნა. მეცოდები.

**ბათუნა.** კარგი გოგო ვარ, გმადლობთ.

**ირაკლი.** მეც შემოდია რაღაც გავიგო.

**ბათუნა.** გამაგებინე, რა გინდა ჩემგან.

**ირაკლი.** არ ვიცო, ჩვენ უველას რაღაცა გვიკირს.

**ბათუნა.** მშვენივრად ვარ.

**ირაკლი.** მაინც არ მენდობი?

**ბათუნა.** ნუ მამშვიდებ.

**ირაკლი.** მე უველაფერი ვიცო.

**ბათუნა.** ნუ გამახსენებ, ძალიან გთხოვ.

**ირაკლი.** რატომ, გეშინია?

**ბათუნა.** ასანთი მომაწოდე (სიგარეტს უყიდვებს, პაუზა).

**ირაკლი.** შენ ხაშიში ხარ, შენ დიდი სიყვარული შეგიძლია, ზაზამ უკვე იცის.

**ბათუნა.** ზაზამ? როგორ?

**ირაკლი.** მე ვუთხარი. ასე ჭობია.

**ბათუნა.** ალბათ... ალბათ... (სიჩუმე) შემიყვარდი, არ შემოდია უნდა წავიდე! **ირაკლი.** (ძალით აჩერებს) შენ ჭერ არ წახვალ!

**ბათუნა.** უნდა წავიდე... უნდა წავიდე... არ შემოდია... გამიშვი... თავი დამანებე, ვიციკლებ, იცოდე.

**ირაკლი.** (ტახტზე დასევამს) რა მშოშარა უყოფილხარ!

**ბათუნა.** (მცირე პაუზის შემდეგ) მო, მშოშარა ვარ. კარგია, რომ მშოშარა ვარ, მე მგლეზის მეშინია. მომეფერე. ირაკლი, იქნებ დამეძინოს. მომეფერე, რისი გრცხვენია (მუხლებზე თავს დაუდებს) „იავანა“ მიმღერე, მე ხომ გარყვნილი და უსინდისო ვარ! შენ მაინც მიმღერე „იავანა“, შენ მაინც დამამშვიდებ, იავანაა, ვარდოვანაა, იავანაინაააააოოო. **ირაკლი.** (მეანჯღრევს) აზრზე მოდი, რა გემართება.

**ბათუნა.** (იციინს). ზაზა თუ წაგვასწრებს, მით უკეთესი. გადაირევა ბავშვი.

**ირაკლი.** ზაზასთვის სულერთია.

**ბათუნა.** ვიცო, ზაზასთვის სულერთია. ჩემთვისაც სულერთია.

**ირაკლი.** (წამოდგება) წვიმს... აღევი, სირცხვილია!

**ბათუნა.** რა არის სირცხვილი, ირაკლი? (წამოხტება) შოთხარი, რა არის სირცხვილი. მე არაფრის მრცხვენია. გინდა ვიმღერო, გინდა ვიცეკო, თუ გინდა გავიხდი. ახლავე გავიხდი. შენ გგონია, შემრცხვება?

**ირაკლი.** (ხელებს დაუქერს) ხომ არ გააფრინე! ბათუნა...

(შემოდინან ნიკო და ზაზა).

**ზაზა.** წვიმა, ძმაო, კიბე არა ჩანს. გზა არა ჩანს. ღმერთი არა ჩანს. ვთქვათ და დავეხედო, ფილტვების ანთება ავიკადე, ოღონდ ფარული, ხიცხემ ამიწია, ჩავწეკი, ვინ მომივლის? არავინ! ჩემი ფილოსოფიური ჩაქუჩი მათრთობილებს: ხანამ არ გაწვიმს, წვიმში ნუ ვახვალ.

**ნიკო.** (ვერს აკყურებს) ჭერ აქეთკენ წამოვა. კუთხეში შეგროვდება მარტყნე, როიალამდე რომ მიადწიოს... ერთი, ორი, ორი მეტრი რჩება... ორი მეტრის გავლას დაახლოებით ზვალ საღამომდე ვერ შეძლებს, თუ, რა თქმა უნდა, მიმართულება ამ შეიცვალა... სვალ საღამომდე ალბათ რამეს მოვახებრებთ.

**ირაკლი.** ეხ, კბილი კბილი...

**ზაზა.** როგორ?

**ირაკლი.** კბილი მტკივა რა.

**ზაზა.** მეგრე რას უყდი, დროზე ამოიღე.

**ირაკლი.** გეშინია.

**ნიკო.** იქითკენ თუ წავიდა, საერთოდ აცდება, ან სამწარეულოში ჩაიდგრება.

**ზაზა.** რომელი კბილია?



ირაპლი. უჯანა, სიბრძნის.

ზაზა. ჰიანია? (ირაკლი თავს უქნევს) ჰიანი კბილი ინტელექტის დიდი მტერია. ინტელექტის დიდი მტერია აგრეთვე მდღერობითი სქესი... (ხანგრძლივი პაუზა)

ნიკო. არავინ მოვიდა?  
ზაზა. ვინ უნდა მოსულიყო?  
ნიკო. რა ვიცი, ისეთი გრძნობა მაქვს, იქნებ ვინმე მოვიდეს მეთქი.

ხატუნა. (მცირე პაუზის შემდეგ) ბატონო ნიკო, თქვენ ბედნიერი ხართ?

ნიკო. ალბათ... ერთ რამეს გეტყვით. უკმა-ლას რატომღაც აუცილებლად მიაჩნია, რომ ბედნიერი იყოს.

ხატუნა. აი, ჩვენ, მთელი საღამოა ვსხედვართ და ერთმანეთს ნერვებს ვუშლით. მაინც ერთმანეთი გვიყვარს. ერთმანეთის გარეშე არ შეგვიძლია. მე საერთოდ ვამბობ.

ნიკო. თქვენ მაქსიმალისტები ხართ. ეს კი შეცდომაა.

ხატუნა. რატომ? მე პირიქით მგონია.

ნიკო. გაჩნია... თქვენ სხვა დროში უნდა გეტყვოდით...

ზაზა. შენ მაინც ურუვეო ლოგია გაქვს. სხვა დრო, მაქსიმალისტები.

ნიკო. მე უკვე სიმშვიდეს ვეძებ. შეიძლება მართლა დავბერდო (მცირე პაუზის შემდეგ) მაგრამ ეს როიალი მართლა შენაგება (პაუზა) სახლი გამახსენდა... (მაგრილასთან ჩამოჭდება) ჩემი ძველი სახლი. ზაზა იქ არასდროს არ ყოფილა. ზაზამ ბევრი რამე არ იცის... მაშინ ბავშვი ვიყავი. როგორც ვატყობ, ესლაც ბავშვი ვარ, პირიქით, გამოვიდა უკელაფერი...  
ზაზა. მაშა, არ გინდა, ნერვებს ნუ აიშლი... არ არის საჭირო.

ნიკო. (ფიქრში წასული) რომ ჩამოვიდე, იუჯანა ცოლი შეიტყება პირველი, ჩემი ოჯახის დაიშლება, შენ არ გაიხარეო... ხმა ვერ ამოვიღე. მაშინ ცხოვრებაში პირველად დავმარცხდი, იუჯანა კი ჩემთან მოვიდა და ატირდა. ზაზა. (დაუფიქრებლად) შენ რაც შეგიძლო, ათასჯერ იმაზე მეტი გააკეთე.

ნიკო. არა, შეილო. იქნებ მართლა არ ღირდა. იქნებ მართლა ბავშვი ვიყავი. ოთხი წელიწადი დამნაშავე მერქვა, ლამის მეც დავიჭრე, რომ დამნაშავე ვარ, მერე ინსტიტუტში არ მივებდნენ, მერე მასწავლებლად არ მიშვებდნენ. კინაღამ დამარწმუნეს, რომ მართლა საშინო პიროვნება ვარ, სკოლაში ჩემი შესვება არ შეიძლება. რაც მოხდა, მოხდა, მე იმაზე მწყდება გული...

(სუსტი განათება, ნიკო მაგიდის ცენტრში. ირაკლი და ხატუნა გაოცებით შეჰყურებენ)  
ზაზა. და მაინც შეცდი, მაშა. უკელამ თავისი ჭვარი უნდა ზიდოს.

ნიკო. რატომ, რატომ შეცდი?  
ზაზა. შენ იუჯანაში კაცი მოჰკალი... კაცი!

აჭობე, დამარცხებ, გაანადგურე, თავისი არა რაობა დაანახებ...

ნიკო. იუჯანა ვაქაცომა ვინა თქვა.  
ზაზა. ციხეშიც არ შეუშვი. დაასწარი.

ნიკო. იუჯანა ციხეში დაიღუპებოდა.

ზაზა. ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა.

ნიკო. მე იუჯანას შვილები გადავარჩინე.

ზაზა. ნუ გეშინია. იუჯანას შვილები შემშლილით არ დაიხოცებოდნენ. იქაც შეგიძლო მიგებოდა.

ნიკო. არა, შემშლილით არ დაიხოცებოდნენ... რა ადვილი ყოფილა სიკვდილი, როცა შენი წვიმა არ გაწვიმს, როცა შენი ნიავი არ გიბერავს, როცა შენი პურის სურნელი არ გიძმს, როცა შენი მეზობლის ხმა არ გესმის (პაუზა). იმ დღეს იუჯანა აღრენილი მოვიდა, მთვრალი იყო. მე კაკლის ქვეშ ვიწვიე და მიძინა. გამაღვიძა. ვუთხარი, სახლში წადი, დაისვენე მეთქი, რა დამასვენებსო, ბავშვები შემშლილით მეხოცებიან, არ ვიცი რა წყაღში ჩავვარდეთ. კიდევ იმითი ჭავრი რომ არა, თავს მოვიკლავდიო. მერე იუჯანამ ვიღაცა გაძარცვა, ძარცვისას ის ვიღაცა... შემოაკვდა.

ხატუნა. და დანაშაული თქვენს თავზე აღდგო? იუჯანა დამიშალა?

ნიკო. იუჯანა იპოვინდნენ.

ხატუნა. რა საოცარია. ნუთუ კიდევ ხდება ამგვარი რამე.

ნიკო. იუჯანა ექვსი შვილი ყავდა, ხუთი ბიჭი და მეექვსე გოგო. ძნელია, მკვლელის შვილი გერქვას. ისინი შემშლილით არ დაიხოცებოდნენ, ზაზა, მაგრამ შეიძლება... ძნელია მკვლელის შვილი გერქვას. სავშვის გული ცოცხალია, ზაზა...

(პაუზა)  
ირაპლი. წვიმს...

ნიკო. იქ არასოდეს არ წვიმდა... მერე ომი დაიწყო და ფრონტის წინა ხაზზე გამიშვეს. საოცარია, ტყვის არ გავუაწრევივარ, წვიმი სისხლი არ დამდინია... როცა ჩამოვიდე, პირველი ღამე გოგონა, მიწაზე მიძინა.

ხატუნა. ღმერთო ჩემო!

ნიკო. მალე ლამარა შევირთე... სახლის აშენებაც მაშინ გადაწყვიტე...

ხატუნა. (უცებ ჰქიას აიღებს) თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო ნიკო. ძალიან მიყვარხართ!

ნიკო. გამადლობოთ, შეილო.

ირაპლი. აცადე, რა მოგივიდა! (ჰქიას აიღებს). გაგიმარჯოთ, ბატონო ნიკო! (კონიაც გადაჰკრავს)

ხატუნა. ფანჯრები გამოვალთ, ბატონო ნიკო, თუ შეიძლება.

ნიკო. რა თქმა უნდა, შეიძლება, მიდი, ზაზა.

ხატუნა. არა, არა, მე თვითონ! (წამობტება და ფართოდ აღებს ფანჯრებს).

ირაპლი. ასე გავიყინებო.

ნიკო. არა უშავს... (მცირე პაუზა)

ზაზა. მამა, გაგიმარჯოს..

ხატუნა. ვისმინთ, ბატონო ნიკო.

ნიკო. ხომ არ დაიღალეთ.. ბარემ დავაშთავრებ..

ირაკლი. დიდი სიამოვნებით ვისმინთ.

ნიკო. სახლის აშენება გადავწყვიტეთ-მეთქი. ჭერ იყო, შეზობლები დამცინოდნენ, ჭიბენში კაპიკი არ უჭყავის და ბიჭი სახლს აშენებსო. სამირკველი რომ ამოვთხარე, მიწის სუნი შეცა ისე შიშობლიური და ტკბილი, ვერ მოვიტყინე, მიწა თითებით ამოვფხოვნიე და სახეზე წავიხვი. იმ მიწას მამაჩემის სუნეც ჰქონდა, დედაჩემის სუნეც, სიცოცხლის სუნეც... კიდევ ერთ ღერს მოვწვეე და მორჩა.

ირაკლი. ინებეთ.

ნიკო. არა, ეს არა... რამე ჩვენებური თუ გაქვთ... (ხატუნა აწეღის, ირაკლის მხატივით, შეჩვეული არა ვარ.. (რამდენიმე ღრმა ნაფხის დაარტყამს) ასე სიამოვნებით დიდი ხანია არ მომიწევია... სუფრა მთლად დაგვავიწყდა... სახმელიც არაფერი გვაქვს... ჰო, დამით მარტო ვმუშაობდი, ბეტონს ვასხამდი. მრცხვე-ნოდა, ვინმემ არ დამინახოს და არ იფიქროს, ეს ვინ უყოფილა, ან შეზობელი არ ჰყავს, ან ნათესავი, ან მეგობარიო. ლამარაც იქვე იქდა ხოლმე. წყალს მაწეღდა. მე არ მინდოდა ლამარას ემუშავა. უბრალოდ, იქდა და შევხედავდი ხოლმე. მერე ლამარა ლობოს გააცხელივდა, მე ბოსტანში მწვანის დადვარდი, ერთ ბოლო ღვინოს დავდიგაღდი და მიხაროდა, არ ვიცი, რა მიხაროდა... სახლი რომ მოვამთავრეთ, მითხრა, ბებერი შეილი უნდა გავაჩინოო.. ექმ! იუზა რომ ღლოთობას გალაშქვა, უცებ ყველაფერზე გული ამიკრუვდა, დავკარით ფეხი და თბილისს მოვაშურეთ... (სინათლე უფრო სუსტდება, მკითხალება. ირაკლი შეუმჩნევლად გადაკარავს კონიაკს, მერე ნიკოსთან ჩაიჩიქებს და ლულუღებს).

ირაკლი. თქვენ ხართ ბატონო ნიკო, ჩვენი იმედი, თქვენ ხართ ჩვენი დიდი კაცო, თქვენ ხართ მეთორმეტე საუკუნის ნაღდი ქართველი, თქვენ ხართ ოქრო..

ნიკო. აღეკით, უბრახულია.

ზაზა. აღეკით, რას გავხარ.

ირაკლი. არაფერს! მე არაფერი ვარ! მე ყველანი მიუვარხართ, მაგრამ არ ვიცი, რა მემართება. დამიჭერეთ, მომეფერეთ, იცი რა კარგი ბავშვი ვიყავი, ბატონო ნიკო... დედა რომ გარდაიცვალა, მეგონა სულ მარტო დავრჩი. ბიჭები ამოდიოდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა, კონიაკაც ამოყაოდნენ. მე ფიქრობდი რომ ასეა საქირო, მეგონა სასიმელი ტკივილს შემისუსტებდა. ეს გული ნელ-ნელა დაეკარიღდა. ბოლომდე ვერაფერი გავაკეთე. ხან რას მოვედებოდი და ხან რას... რა კარგია, რომ ვიღაცას უყვარხარ... ხან ვთარგმნი-

დი, ხან მთებში დავდიოდი, ხან მუსიკას ვწერდი... არაფერი გამოდიოდა, ყველაფერს შუა გზაზე ვტოვებდი... ერთხელ ბენისბოლის გუნდი ჩამოვუალები... მე უბედურე ვარ.

ნიკო. თქვენ ახლა იწყებთ ცხოვრებას.

ირაკლი. მე კი შეჩვენება, რომ დავებრდი.

ნიკო. გადაღლილი ხართ, უნდა დაისვენოთ.

ზაზა. თქვენ არ გჭირთ, რასაც აეთებთ, თქვენ ბედნიერი ხართ, თქვენი ოჯახი გეყვართ, თქვენი საქმე გეყვართ, მეგობრები გეყვართ, მე ახლა იმაზე ვწუწუნებ, რომ არ ვსვამდე, დედამიწას გაადავბრუნებ-მეთქი. ვიცი, რომ თავს ვიტყუებ...

ნიკო. არ არის საქირო დედამიწის გადაბრუნება.. როცა საღამოსანს აივანზე წამოწვები, თავქვეშ ხელებს ამოიდებ და ვარსკვლავებს ითვლი, როცა შეზობლის სახლში ხმა-მალა მდერია, როცა გვერდით ოთახში შენი უმცროსი დაიკო ლექსს იზეპირებს და იცი, რომ შენი დაიკო შეუყარებულა... როცა სინდელში სათითაოდ ინთება შუკი და გრძობა, შენს ახლოს ადამიანი ცხოვრობს...

ირაკლი. თქვენ ისე გულწრფელად ამბობთ.. მე ამეებზე არც მიფიქრია. მე უფრო დიდ ბედნიერებას ვეძებდი...

ნიკო. შენ გეგონა, რომ თუ ამერიკაში არ იმოგზაურე, თუ პარიზი არ ნახე, თუ საკუთარი იახტო არ გაისერიე, თუ აფრიკაში სანადიროდ არ წახვიდე, თუ გვიან დამით ბორდელში არ შეიარე... მესმის, ეს ყველაფერი მომიხიბლავია, მაცდურია, მაგრამ მთავარი სხვა რამეა, შეილო!

ირაკლი. თქვენ მეგობრის გულსთვის ოთხი წელი ციხეში იჭეეთ, მე კი ისიც არ შემიძლია... აი, დავსდებთ და ოთხი საათი ვილაპარაკო ვინმესთან, თუ, რა თქმა უნდა, არ დავლიე... მითხარი, ბატონო ნიკო, მითხარით, რომ ბედნიერი ხართ, როცა მშენს უყურებთ, როცა წვიმს და საუკარელ ადამიანზე ფიქრობთ, როცა...

ნიკო. ნუ გეშინიათ... ჭერ იცხოვრეთ, ნახეთ, ბებერი რამე ნახეთ... მეც დავიღალე. მე ახლა სავარძელში უნდა ვიქედ, გავნოს ვუთხულებოდე ან შეილოშვილებს ზღაპარს ვუყუევებოდე, ასე მოხდა, როიალი უნდა გაყვილოთ... რაც ლამარა გარდაიცვალა, ზაზას არავინ მოფერებია... მაშინ პატარა იყო, ეხლაც პატარაა, არ დაიხაროს მეთქი — მოსკოვში წავიდა ძმაცაცებთან ერთად, ოთხანი მანეთი ვისესხეთ...

ირაკლი. ეს როიალი უნდა გაყილოთ?

ნიკო. წყალი ჩამოგდის, მომთხარეხავით დამაქვს ეს ტახტი აქეთ-იქით.

ირაკლი. ბატონო ნიკო, რას მეუბნებით! ეს როიალი ხომ მთელი ისტორიაა...

ნიკო. სხვა გზა არა გვაქვს.. წამთარი მოდის; მერე რამე გამოჩნდება. ზაზაც მუშაობას

დაიწყებს, ხალაშობით აქ ვიკრიბებოდით ხოლმე, ვმღეროდით, ვუკრავდით, ვსვამდით ჩაის და ვსაუბრობდით ხელოვნებაზე. დიდი სამოვარი გვედგა — ძველებური, ჩემს დას ვაჩუქე. ამ როიალმა უველაფერი იცის, უველაფერი ახლოს.

ირბამი. ბატონო ნიკო... თქვენ... იცი? თქვენ დიდი კაცი ხართ, ბატონო ნიკო (როიალზე უთითებს) ამის ფასი მართო თქვენ იცი...

ნიკო. ზაზას ჩემს გარდა არავინა მუავს...  
ირბამი. ზაზა როგორმე გაძლებს, ბატონო ნიკო...

ნიკო. მე არ გამძლებს გული. შეილო! (პაუზა)

ირბამი. ფულს მე გასესხებთ.  
ნიკო. არა, არა! მაგისტომ არ მითქვამს!

როგორ გეკადრებათ!  
ირბამი. ბატონო ნიკო...

ნიკო. არა, არა... თქვენ თვითონ ოქახი გყავთ სარჩენი.

ირბამი. ჩემი სიმაჰრი უსახბია, ბატონო ნიკო უხარია, როცა ფულს ვთხოვ ხოლმე. რაც უფრო მეტს ვთხოვ, უფრო უხარია...

ნიკო. არა, არა... რას ამბობთ!  
ირბამი. ძალიან გთხოვთ, ბატონო ნიკო! არ გეწყინოთ ძალიან გთხოვთ. თქვენ დიდი ადამიანი ბრძანდებით. თქვენთან რომ მოვალ, დავუკრავ ხოლმე...

ნიკო. ზაზას ეწყინება.  
ირბამი. ზაზას არ უთხრათ, არ არის საჭირო... როცა გეკენებთ, მაშინ მივცემთ, დიდი მაღლობა, ბატონო ნიკო.

ნიკო. პირიქით, რას ამბობთ.

მ.

ირბამი, ზაზა და ხტომუნა.

ირბამი. (კონიაკის ბოთლს ათვალეერებს). არაფერი გვაქვს? ზაზა. ნამცხვარი მიირთვი. რუნეს კბილს მოუხდება.

ირბამი. იქნებ მოვიფიქროთ რამე. ზებ შაბათია, რა გავაკეთოთ. წვიმა, ქარი, მოწყენილობა. გავეცქეთ მეგობრებო, მოწყენილობას!

ზაზა. რა მოფიქრება უნდა, გავყოლოთ სული და წავიდეთ ზღვაზე.

ირბამი. ამ სიციფეში არ გეწარება? ზაზა. მართალი ხარ, მანქანა რომ იყოს, მესმის, ბათუნა რას იტყვის.

ხტომუნა. წამოდი, საითაც არ უნდა წავიდეთ, ბოლოს მაინც იმ სახლში მივალთ. თუ გინდათ მარჩენი, თუ გინდათ მარცხნივ. გინდათ პირდაპირ, აქედანაც მოჩანს... ოღონდ ცოტა მაღლა იყურეთ. ირაკლი მაინც ვერ დაინახავს... (თითისწვერებზე დგება)

ირბამი. დარუბელი მიშლის...

ხტომუნა. მე ახლა დარუბლებს გადავარკავ...  
ზაზა. გეყოთ რა მიმუნობა.

ირბამი. წინაპრებს პატივი ვცემო... ზაზა. ხალაქ ნახევარი ბოთლი მქონდა შემონახული... (სურათებს გადააღებებს. ისმის ტელეფონის ხარი. პაუზა. ზაზა ხელს ჩაიჭნევს. ხათუნა თავს ჩალუნავს და შეტრიალდება).

ირბამი. ზაზა... აიღე... ზაზა. არა. მუშაობს... (მცირე პაუზა. ზარა განუწყვეტლოვ რეკავს)  
ხტომუნა. ზაზა!

ზაზა. არ მუშაობს მეთქი. გაიგეთ. არ მუშაობს და მორჩა. მართო წარი გამოდის. გაიგეთ. სიცარიელიდან სიცარიელიდები. ამიტომ არაფერი ისმის. ჩვენი წინაპარი მიმუნია. (მცირე პაუზა).

ირბამი. (უგრძობს აიღებს და მაშინვე დადებს). უფალმა გისმინოს! (ნიკო კვალ-კვალ შემოდის და ქერს ათვალეერებს)

ზაზა. გამხიარულით ხალხო, რა დაგემართათ. (მაგნიტოფონს ჩართავს). შეუყარებელი ვის არ ჰყოლია.

ირბამი. ეს მესმის. დანქე შონ. გავმხიარულიდეთ. ცხოვრება წინ მიდის. მაგრამ ბეთ-მოვენს მაინც არ ვუყვარვარ. ბათუნა კარგი გოგოა. ბათუნამ ბევრი იმხიარულა. ბათუნას კეთილი გული აქვს. ბათუნას... ბათუნით... ბათუნად... ბათუნო! ეს ის დამალო კიანი კბილი რომ არ მტკიოდეს?!

ნიკო. ხვალ კიბეს ვიპოვი, აუცილებლად ვიპოვი, ისევ ის უამუშო წაათრევდა, ვიპოვი და კარგად გამოვლანდავ. აქ კარგად არის, ქერ-ქერობით არა უშავს.  
ხტომუნა. ზაზა, მე... წავალ...

ზაზა. რა დროს წასვლა, ახლა იწყება...  
ნიკო. ზაზა, მაცივარშია რაღაც ბოთლი, ნახე, იქნებ სახმელი იყოს... ესევ გამოისაღეო.

ხტომუნა. არ გინდა მეთი, ზაზა... (ზაზას ნახევარი ბოთლი კონიაკი შემოაქვს).

ზაზა. ამის ვეძებდი, ვიპოვე!  
ირბამი. ვიცინო, აღარ ვტირებ მე!  
ხტომუნა. ღმერთო ჩემო, ისევ თავიდან... მეც დამისხი ზაზა, ბევრი დამისხი...

ირბამი. ძლივს ვნახე კაცი, რომელსაც სიციფელი უყვარს... (ბათუნას) ქერ ეს გეყოფა!

ზაზა. ნამცხვარი მიირთვით ძეხვი შეტანეთი კვერციბი გადაუღებეთი საწებელი გასინჯეთ!

ირბამი. ხინტერესოა, ტრიფონა რას იტყოდა, ან ჩვენი სეპტიკოსი რას იტყოდა... იმათ არც აწუხებთ, სანამ შეიძლება ასე უაზროდ ცხოვრება... მაგარი ნერვები აქვთ!

ზაზა. ნამცხვარი მიირთვით, როიალი მიირთვითი გთხოვთ, მეგობრებო. (გადაკრავს).



ნიძმ. ესენი მაინც გაგვიწია იქით... (ნახატებს ალაგებს).

ბატონა. (ჩუმად სვამს) შენი აღმასის ხიზმრები მისერავენ ძარღვებს.

ნიძმ. ნეტა ვინ ცხოვრობს ეხლა ჩემ სახლში... წითელი კრამიტით გადავხურე, მწესავით წითელი კრამიტით.

ირაპლი. ზაზა, ხანდახან ისე ფხიზელი ვარ, მეშინია და თავს ვიშთვრატებ, არ ვიცი, რისი მეშინია. მინდა თავლები დავხუჭო, არაფერი მესმოდეს. ვიცი, რომ თუ ასე გაგრძელდა...

ზაზა. რა მოვივიდა?

ირაპლი. არ ვიცი, არ ვიცი... დილით რომ ვდებო მინდა მიხაროდეს, მინდა ჭანსალად შევხედო ჩემს ნინოს, ჩემს პატარა გოგოს, ვეთამაშო, ვიკოტრიალო, ვიციწო... მე კი თავი მიბრუნის, გული ხელებით მიჭირავს, ძლივს ვსუნთქავ და არაფრის თავი არა მაქვს... მართა ძილი მინდა...

(პაუზა)

(მუსიკა თანდათან ძლიერდება. ოთახში სიბნელე ისადგურებს. სიბნელეში ტელეფონის ზარი, დიდხანს, ჭიუტად).

4

**ბატონა და ზაზა**

ზაზა დიდხანს დგას ფანჯარასთან. ბატონას ქიჩა უჭირავს და თავდახრილი ეწევა სიგარეტს. ბატონა. რატომ მიუყურებ ასე? გძულვარ არა? — ძალიანაც კარგი.

ზაზა. შეგიძლია მშვიდად იყო, მე არავინ მძულს.

ბატონა. და არც არავინ გიყვარს.

ზაზა. და არც არავის ვუყვარვარ.

ბატონა. (ირონიულად) პატარა ბიჭი! დაჩაგრესს რა ეშველებდა! ხომ გინდა ამქვეყნად ყველაზე ლამაზ, ყველაზე კეთილ, ყველაზე...

ზაზა. შოკოლადი არ მიყვარს. გადავიჩვიე. ხოლო, რაც შეეხება ირაკლის...

ბატონა. ვიცი.

ზაზა. უკვე მოასწრო?

ბატონა. რა თქმა უნდა, მე არ მრცხვენია. პირიქით.

ზაზა. ეს ყველაფერი ამაზრუნენი სისულელია.

ბატონა. რა თქმა უნდა, ტრაგედიას ვეძებდი და კომედია გამომივიდა. რატომ არ იციენ? შენ ხომ კეთილი და გულუბრყვილო ბიჭი ხარ.

ზაზა. რა უნდა გიხსრა. შენ უკეთ იცი.

ბატონა. შეცდომებს ხშირად განწარბ უშვებენ, ზაზა!

ზაზა. მე ჭერ არ...

ბატონა. (აწუვეტინებს) შენ ჭერ არ გვმის, რა არის ქალი, რა არის ნამდვილი, და-

მანგრეველი სიყვარული, რა შეიძლება თოს ქალმა, რომელსაც უყვარს.

ზაზა. მართალია, მე ჭერ ბავშვი ვარ.

ბატონა. გიფიქრია ოდესმე, რომ მე მიყვარდი?

ზაზა. რა საჭირო იყო თამაში?

ბატონა. დიდხანს მაგასაც ვერ გაიგებ, ზაზა, შენ სხვა საუკუნეში უნდა გცხოვრა. მამაშენმა სწორა თქვა, შენ აქ დაილუბები, ზაზა.

ზაზა. მომატყუე, მეუბნებოდი, რომ ანდრო გიყვარს...

ბატონა. ნუ მახსენებ...

ზაზა. მეუბნებოდი... რომ უნდა გათხოვდე... თან აუცილებლად საზღვარგარეთ, მე მართლა ბავშვი ვარ!

ბატონა. რა ნეტარებაა, როცა ვილაცაზე ზრუნავ, ვილაცაზე ფიქრობ, მაშინ, როცა ირგველი აუტანელი სიყარბილეა, როცა არავის არ ჭირდები. მამატიე, ზაზა.

ზაზა. სულ ეს არის?

ბატონა. დიახ, სულ ეს არის.

ზაზა. მერე?

ბატონა. ყველაფერი დამთავრდა. მე თავს არ ვაკოდებ, არც არაფერს ვნანობ. მე თავისუფალი ვარ. ეს სისულელეც მართა ჩემთვის მოვიგონე, მე მჭირდებოდა.

ზაზა. ხათუნა, ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით, მე...

ბატონა. ვიცი, ზაზა.

ზაზა. მომისმინე.

ბატონა. ჩემთვის არავის არასოდეს უკითხავს, რა მაწუხებდა, რა მტკიოდა, რა მიხაროდა. ყველას ბედნიერად ვაჩვენებდი თავს. დაბადების დღეებს არ ვაკლდებოდი, გასვენებებს და პანაშვილებს მითუმეტეს. ყველას ჭირისუფალი მე ვიყავი, ჩემთან კი არასოდეს არავინ მოსულა, ხელი რომ ჩაეკიდა და თუნდაც კინოში წავეყვანე. ზაზა, ამ სურათს წავიღებ.

ზაზა. მო, ხომ გაჩუქე.

ბატონა. გმადლობ! (მცირე პაუზა) რა საშინელიებაა, ყველაფერი დამთავრდა!

ზაზა. (ცდილობს გაიღიოს) თქვენს სახლში ახლა საოცარი სიჩუმე იქნება.

ბატონა. (ნერვიული სიცილი აუტყდება, თავს ძღვს იკავებს). ეგ სახლი არ არსებობს, ზაზა!

ზაზა. როგორ თუ არ არსებობს?!

ბატონა. მო, არ არსებობს, მე მოვიგონე.

ზაზა.. აბა მამაჩემო?

ბატონა. (ფანჯრიდან იხედება) რა ლამაზად წვიმს. ჩვენ კი ერთმანეთისთვის უცხოები ვართ. ყველანი უცხოები ვართ, ეგ სახლი არასოდეს არ აშენდება, ზაზა. დამიჭერე, არასდროს არ აშენდება, იმიტომ, რომ ვერ მოვიცდით, იმიტომ რომ იმ სახლში მართლაც ვყოფილვარ. დიდი ფართო ფანჯრებიდან მართლაც მინახავს წუნარი და



რავისუფალი ზღვა. მართლაც მოსულან ბავ-  
შები.

ზაზა. რატომ მაგიჟებ, ხათუნა?  
ხათუნა. მართლს გეტუხნები, ზაზა, ჩვენ  
არც შეათს მივდივართ უინწვისში, არც ავ-  
ტობუსს ვქირაობთ ხოლმე. წარმოიდგინე, რომ  
უინწვისი საერთოდ არ მინახავს — ლამაზი,  
კეთილი ფოთლები მოფენილი უინწვისი  
(იციის) ვწვიარტ მეგობრები ავტობუსში და  
ფანტს ვთამაშობთ. მე ჩემი ცხვირსახოცი ამო-  
მაქვს, ეს იგი, შენ უნდა გაკოცო, თვალბეში,  
შენ უკანა სავარძელზე წიხარ და სიგარეტს  
წვევი. მეგობრები იციანიან და მაქვებენ! ხო  
ზაპარია, ზაზა!

ზაზა. ცუდად ხომ არა ხარ, წყალი ხომ არ  
გინდა, ახლავე მოგიტან.

ხათუნა. არა... ჩვენ ვერასოდეს წავალთ  
უინწვისში, ვერასოდეს დავსვდებით ავტობუს-  
ში ერთად, ვერასოდეს გავიციანებთ გულწრფე-  
ლად, იმიტომ რომ უცხოები ვართ, იმიტომ რომ  
ერთმანეთი არ გვჭირდება... რა ვიწრო ოთა-  
ხია, ზაზა..

ზაზა. ტახტზე ჩამოგქვი. გთხოვთ დაიხვეწე.  
შენ გადადგომი ხარ. ნუ გეშინია. ხვალ ყვე-  
ლფერი კარგად იქნება.

ხათუნა. ხვალაც იგივე განმეორდება, სახ-  
ლში, სამსახურში, ქუჩაში იგივე უცნობი სა-  
ხეები შეგხვდებიან, ხელს ჩამოგართმევენ, მო-  
გიკითხავენ, გაგიღიმიებენ... ჩვენს სახლს კი არა-  
ვინ მოუვლის, წვიმასა და თოვლში ჩაღებია,  
კეთილი ფოთლები გადაფარავს.

ზაზა. ხათუნა, მომიხმინე...

ხათუნა. როგორ მიყვარდი, ზაზა! ეს უც-  
ხოური ფუნჯებიც მე ვყიდე, არავითარი მე-  
გობარი არ უყოფილა იუგოსლავიაში, მინდო-  
და, რადაცით დაგხმარებოდი.. თუნდაც ფან-  
ჯრები გამეწმინდა, თეფშები დამერცხა, პე-  
რანჯი გამეუთოვებინა... მაგრამ აქ მოსვლის  
რატომღაც მეშინოდა.

ზაზა. რატომ ხათუნა, რატომ, რატომ???

ხათუნა. არ ვიცი.

ზაზა. მამაკიდე.

ხათუნა. მე რა უნდა გაპატიო, შენ რა  
შუაში ხარ, სხვა გზა არ მქონდა, ამიტომ მო-  
ვგონე. მე ვიღუპებოდი, ზაზა..

ზაზა. რა სასაცილოა. თურმე აქამდე არ გი-  
წოდებ.

ხათუნა. არც ახლა მიცნობ, ზაზა.

(ხანგრძლივი პაუზა).

ზაზა. არ შეგცოდვს. დამწვიდდი (თითებ-  
ზე ეფერება).

ხათუნა. მე უკვე ოცნებაც არ შემიძლია  
წაზა. თუ გინდა ჩაის ავიღებ. რატომ  
ცახცახებ ასე? ჩვენ...

ხათუნა. გაჩუმდი, მე ახლა ერთი ჩვეულებ-  
რივი გოგო ვარ, რომელიც ხელიდან სხვანა-  
ირად იფიქრებს, სხვანაირად იცხოვრებს.

ზაზა. ჩვენ..

ხათუნა. (აწყვეტილებს). დამწვიდდი, ბიჭუ-  
ნავ, მე ხომ გარყვნილი ქალი ვარ, ასეთი ქალს  
შენ არ გამოგადგება. ჩვენი სახლი უკვე დაინ-  
გრა. ჩვენი ჩიტებიც აღარ მოფრინავენ. ზამ-  
თარი მოდის, ზაზა, გრძელი და ცივი ზამთა-  
რი (როილს მიუღდება). ნუ გეშინია, აწი  
აღარ დაგჭირდება თავის მოტყუება, შენთა-  
ნაც მოვალ, როცა მამაშენი სახლში არ იქნე-  
ბა, დიდი ტახტია. როგორმე მოვთავსდებით  
(პაუზა) მო, ასე იქნება. დროა, სერიოზულად  
შევეხედოთ ცხოვრებას. (როილს სახურავს  
ახდის). დადამებულა. მე წავალ, გაიღება არ  
მინდა. (პალტოს ჩაიცვამს და მავიდიდან სიგა-  
რეტის კოლოფს აიღებს). ნახევარს დაგიტო-  
ვებ. სახლში არცერთი ღერი არა მაქვს. ნა-  
ხვამდის.

ზაზა. (ყრუდ). არა, შენ არ წახვალ!

ხათუნა. უნდა წავიდე ზაზა.

ზაზა. (მკლავში ჩაავლებს ხელებს). არა,  
შენ არ წახვალ.

ხათუნა. გამიშვი!

ზაზა. ჩვენ იმ სახლს ავაშენებთ, ხათუნა!  
გესმის?!

ხათუნა. მეშინია, გამიშვი!

წაზა. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით. არა, შენ  
არ წახვალ!

ხათუნა. გამიშვი... მეშინია... (ნელა შემო-  
დის ირაკლი).

ირაკლი. ხალხო, რა უბედური ვარ. მე მა-  
ია მიყვარს, ჩემი ნინო მიყვარს, სახლიდან  
რომ გავდივარ, ნაღვლიანი თვალბებით შემომ-  
ხედავს, ალბათ ფიქრობს, რომ არ დავბრუნ-  
დები, მივატოვებ, მე თქვენ ყველანი მიყვარ-  
ხართ. მოდით, წვიმაში გავიხიროთ, დავსვე-  
ლდეთ, დავსველდეთ. დავსველდეთ... მერე  
ჩემთან წავიდეთ. ნინო ვნახოთ. რამდენი ხანია  
ნინოსთან არ მითამაშია... (სამივენი ერთმა-  
ნეთს ჩაეხვევიან. შემოდის ნიკო. მცირე პაუზა.  
მიდის როილთან. ეფერება. მერე დაჭდება და  
უკრავს. ბნელდება. სინელიდან იმის ირაკლის  
ხმა).

მე დავეწერ მუსიკას პატარა ბედნიერ სახლზე...  
მე დავეწერ, დავეწერ, დავეწერ...



## გიორგი გუბლია

### საპრღენი

რა არის შენი საყრდენი, მითხარ? — და დუმდა ისიც. ხავსით მოფენილ  
ვთხოვე ჩაფერფლილ კერას. ქვებს სხვა წუხილი ახლდა.  
ვიდექი, პასუხს ველოდი დიდხანს, და რომ გამოგცდი იმ საყდრის  
ცა დამცქეროდა ცერად. ინაშალს,

რაა ძეობა და გამრავლება? — უცებ ჭაბუკურ ფეთქვით  
გზა გადამიჭრა ქალმა და ვაჟმა...  
გვითხე ფრიალოს მაღალს... ფერი-ფერს!.. ვფიქრობ ჩემთვის.  
კლდის ფერხითი წყარო რალაც საყვარლად —  
მიჩხრიალებდა, გოგონა ლელავს,  
ქარი ბრუნავდა ლაღად. ვაჟი ღიმილით მისდევს.

რა არის ჩვენი წუთისოფელი? — არა მიკითხავს. — პასუხი ყველა  
გვითხე ჩამოშლილ საყდარს. ნათელი გახდა ისიც!

### ლ. გ-ს

ტანჯვით მოპოვებული სიმყუდროვე სულის  
წამისწამში წარმტაცე მზერით, ხელად მქნელით.  
ახლა შორეთს გავცქერი, დარდით დაისრული —  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

სახის შენის ოვალი, რხევა ტანის შენის,  
თვალწინ მიდგას, მოგნებს მონატრება მწველი.  
სხვა სამყარო გადმისხენ მარტოსულად შენისლს...  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

ნატიფი და სათნო ხარ — აუწყავი უნჯი!  
იღუმელად ქალური, უცხოდ მიმზიდველი.  
შენი ადგას ნათელი სულის ყველა კუნჭულს...  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

გაზაფხულზე მერცხალი ლაყვარდს ფრთებით ხატავს  
და საოცრად უხდება აისს, წითლად ფერილს...  
ქალავ, ახალგაზრდული სიციხასის ხატო,  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

თმათა შენთა მატყვევებს ოქროსფერად ღელვა,  
მათ ტალღებში ცურაობს აღერილი ყელი.  
შორით მწეავს და მაბრუებს თვალთა შენთა ელვა...  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

არავისში ავუბრევ, თუნდ ქალების დასტა  
დამეხვიოს, შენს მზერას — მზერას შემკრთალ შველის.  
შენ სიციხის სიმბოლოდ მესახები დასტურ!..  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

რა ბედმა, რა ყისმათმა მარგო ხილვა შენი!  
გული დაღრღნა სევდამ და... არსაიდან — მხსნელი.  
ვინ, ვინ შეთხზას სიმღერა შენი დამამშვენი?..  
ოი, როგორ მაკლიხარ, ოი, როგორ გელი!

### რ ა შ ბ ა დ გ უ რ

მთებიდან რად დაეშვი?  
ზღვისკენ გაკრა გსურს?  
რად ილევით კაეშნით,  
ლომო რაშბა დგურ!

ვხედავ, დარდი გეხვევა, —  
როგორც ჯანდი, — გულს.  
რად არ ქუხხარ მეხივით,  
ლომო რაშბა დგურ!

საით მიეხეტები? —  
მწველ ჰანგს უგდებ ყურს.

ლობე-ყორეს ედები,  
ლომო რაშბა დგურ.

გულის სწორი მონახე,  
ლომო რაშბა დგურ?  
ხომ მიაგენ ყონალებს,  
ლომო რაშბა დგურ?

ეზოს სიცილ-კისკისი  
აბრუებს და... ხურს  
ქორწილი და... კისკასებ,  
ლომო რაშბა დგურ.

## ბენ-ბოვა

# უმნიშვნელო უცდლოა

(ზანტასტიკური მოთხრობა)

ნათან ფრენჩი მათემატიკოსი იყო. იგი კალიფორნიის გორაკზე, ზედ ოკეანის პირზე, ერთ-ერთ ლაბორატორიაში მუშაობდა, მაგრამ მის კაბინეტს, გასაგები მიზეზების გამო, ფანჯრები არ ჰქონდა, იმ დროს, როდესაც ლაბორატორია წყალბადის ბომბებს იკვლევდა და ფულს ამ გზით შოულობდა, ნათანი მუყაითად შრომობდა განტოლებებზე, რომლებიც ადამიანის მთვარეზე გაფრენისას საწვავის ეკონომიას ეხებოდა, წილოდ როდესაც ლაბორატორია ახერხებდა მთვარის კვლევასთან დაკავშირებით ხელსაყრელი კონტრაქტების ხელში ჩაგდებას, ნათანი ჰაერის გატუქუიანების პრობლემებზე მუშაობდა.

გარეგნულად ნათანი სრულებითაც არ ჰგავდა მათემატიკოსს. მაღალი იყო, ძვალმსხვილი, უყვარდა ხელბურთის თამაში, როდესაც ღელავდა, ჩლიფინს იწყებდა. სახე კი ცხენისას მიუგავდა. უყვლა იმ საკიოხში, რაც მათემატიკას არ ეხებოდა, წრფელი და გულუბრყვილო იყო. თუ მას ახალი იდეა შეიპყრობდა თვალების ჭუტავს იწყებდა, ეს არც გადამეტებული ნერვიულობით მოსდიოდა და არც საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენით, მეორე წუთს, — თითქოს არაფერი მომხდარიყო, კეთილი ღმომილით ისევ იტრეპებოდა ცხენისმაგვარი კბილებით.

იმ დღეს, როდესაც ლაბორატორიამ ჰაერის გატუქუიანების გამოკვლევების შესწავლის თაობაზე თავისი პირველი კონტრაქტები დალო (კალიფორნიის შტატის მთავრობასთან), ტეშმარიტმა ინტერესებმა ნათანი, რაღა თქმა უნდა, სულ სხვა მიმართულებით გააქანა.

— მგონი, გამორიცხული არ არის, — განუცხადა მან ლაბორატორიის შეფს, გულკეთილ მოხუცს მანიგრინდენს, — რომ არსებობს მიწისძვრის წინასწარ ამოცნობის შესაძლებლობა.

მანიგრინდერმა სათვალის სქელი მინების

მიღმა თვალები დააფახულა და გულკეთილად უპასუხა:

— რა ვუყოთ, მეგობარო ნათან, იფიქრეთ, ხომ იციოთ, მე უოველთვის მაინტერესებს თვალუური ვადევნო, როგორ ეცნობა ადამიანი საკუთარ სამყაროს.

ნათანმა ვერ მოასწრო შეფის მღიდრული კაბინეტიდან გასვლა, რომ მანიგრინდერმა ადამიანი ტანი პლუშის რბილი სავარძლიდან ამოაძვრინა და ფანჯარასთან მივიდა. სიტყვამ მოიტანა და, მის კაბინეტს ორი ფანჯარა ჰქონდა: ერთი საშუალებას აძლევდა წყნარი ოკეანის წარმტაცი ვრცელი ხედით დამტკბარიყო, მეორე კი ავტომატების სადგომსაკენ გადიოდა, ისე რომ შეფმა იცოდა, რომელი თანამშრომელი აგვიანებდა სამსახურში.

ავტომატების სადგომის უკან (სხვათა შორის, მანქანების უმეტესობა საქაოლ მოძველებული გახლდათ, რამდენადაც ბოლო რამდენიმე წელია ლაბორატორიის საქმეები კარგად ვერ მიდიოდა), ეკალიპტებითა და მწვანე ბალახით დაფარული ოთხი ფუტის სიმაღლის გასაოცრად სწორი ხევი გადიოდა. იგი საფეხურივით გადაეგდა ლაბორატორიის კორპუსს მთელს სიგრძეზე და ბორცვის თავზე მდგარ, შიტოვებულ, ვარდისფერად შეღებილი ეკლესიის უკან გადიოდა.

ბალახით დაფარულ ამ მიწაყრილს სან-ანდრეასის ტენილი ერქვა.

მანიგრინდერი ხშირად უყურებდა ხოლმე ტენილს თავისი ფანჯრიდან და ფიქრებში რეპეტაციას გადიოდა, თუ რას მოიმოქმედებდა მიწისძვრის შემთხვევაში. არა, იგი მშინარა არ გახლდათ, უბრალოდ, წინადაედულობით გამოირჩეოდა. ერთხელაც, მიწა სწორედ გაცხარებული თათბირის დროს შეირყა. იქამდე, სანამ მასზე ორჭერ უფრო ახალგაზრდებმა ფეხზე



წამოდგომა მოასწრეს, მანიგრინდერი ტყვიასავით გავარდა ფანჯარაში, გადაიქროლა ავტომობილების სადგომი და ტუბილის შიგორ მხარეს (მის მარჯვენა, უბიფათო მხარეს) აღმოჩნდა. თანამშრომლებს კიდევ დიდხანს ჰქონდათ ხალაპარაკოდ ფეხმრუდე ღიპიანის ხიცქვიტი.

იმ დროიდან ზუსტად ერთმა წელმა განვლო. ხადგომზე მანქანები მომრავლდა, ახლებიც გაძროჩნდა, ბაერის გატუქუიანების პრობლემა მოდურ თემად იქცა, განსაკუთრებით ხან-კლიმენტის სახინელი სმოგების შემდეგ. ამავე დროს, ლაბორატორიამ რამდენიმე მცირე სამხედრო-სამაერო ძალების კონტრაქტის ხელში ჩაგდება მოახერხა. სხვათა შორის, მათი ღირებულება ექვსჯერ მაინც აღემატებოდა იმას, ლაბორატორიას ბაერის გატუქუიანების პრობლემის კვლევაში რომ უხდიდნენ.

მანიგრინდერი რბილ სავარძელში გადაწვა, ცდილობდა სახეზე დაინტერესება აღებედა და ამავე დროს დამოუკიდებელი გამომეტყველებაც შეენარჩუნებინა, ეს საკმაოდ ძნელი იყო, იმიტომ რომ იგი ვერასოდეს ახერხებდა, თავალყური ედევნებინა ნათანის აზრთა მსვლელობისათვის, როდესაც იგი თავისი სამუშაოს არსის გადმოცემას იწყებდა.

...შრულადი მარტივია, — ჩლიფინებდა ნათანი, — წარმოიდგინეთ პროგრესია უკუ ნიშნით.

შათმატიკოსი აღლევებისაგან სიტყვებს სხა-სახსუით ისროდა და კაშაშა წითელ დაფაზე-გაქრული ხელით, ვაცხოველებით წერდა განტოლებებს. უკეთილი ცარცი შიგადაშიგ კულის გამწვრილებელ ხმას გამოსცემდა.

— ყველაფერი გასაგებია? — ბოლოს და ბოლოს შეჩერდა ნათანი და გაურკვევლად დაწერილი ციფრებითა და სიმბოლოებით აკრებულ დაფას მიაჩერდა. გარს უკეთილი მტერის ღრუბელი ერტყა.

— დიახ, — ღრმავაროვნულად უპასუხა მანიგრინდერმა. — მაშასადამე, თქვენი დასკვნა...

— ცხადზე ცხადია, — თქვა ნათანმა, — თუ ჩვენს ხელთ იქნება ძირითადი მონაცემები, მაშინ არა მარტო შევძლებთ წინასწარმეტყველებას, თუ სად და როდის მოხდება მიწისძვრა, არამედ მის სიმძლავრესაც განვსაზღვრავთ.

მანიგრინდერს თავლები დაუწვრილდა.

— ამაში დარწმუნებული ხართ?

— კალიფორნიის ტექნოლოგიურის ინსტიტუტის გეოფიზიკოსებისაგან კონსულტაციები მივიღე. ისინი ადეთანხმდნენ ჩემს თეორიას.

— მაშ ახე, — მანიგრინდერმა კოტიტა თითები მაგილაზე ათამაშა. — შე, რასაკვირველია, მესმის, რომ ეს საქმე არ ეხება უშუალოდ ჩვენს ინტერესებს, მაგრამ მითხარით, ნათან, მართლა შეგიძლიათ მიწისძვრის წინასწარმეტყველება? თუ ეს მარტო თეორიაა?

— რა თქმა უნდა, შემიძლია, — ნათანმა

ფართოდ გაიღმა. — მაგალითად, მის მხარეზე სუთნაბათს უტევებლად მოხდება მიწისძვრა.

— მომავალ სუთნაბათს?

— სწორედაც რომ სუთნაბათს, თანაც ძალზე ძლიერი მიწისძვრა იქნება.

— სად?

— აქ, ჩვენთან. ტუბილის გაყოლებით.

— გაყოლებით... — მანიგრინდერი კინაღამ გაიგუდა.

ნათანმა დაუდევრად ააგლო უკეთილი ცარცი ტერში, მაგრამ დაბერა ვერ მოასწრო და ცარცი ხალიჩაზე დაეარდა.

მანიგრინდერმა, ცარცზე ოდნავ უფრო უფერულმა, ძლივძლივობით ჰკითხა:

— მაშ ახე, თქვენ ამბობთ, რომ მძლავრი მიწისძვრა...

— დიახ.

— ეს... ეს ტექნოლოგიურის ინსტიტუტის ბიჭებმა იანგარიშეს?

— არა, მე თვითონ. ისინი არ მეთანხმებიან. ერთსა და იგივეს გაიძახიან, თითქოსდა მხედველობაში არ ვიღებდე გამა-ფაქტორს მეთოთხმეტე რიგის განტოლებაში. კომპიუტერზე მიხედება ანგარიშის შემოწმება.

მანიგრინდერს ფუნთუშა ლოყები ცოტათი შეუფარდისფრდა.

— ამა... გასაგებია. მაშასადამე, ახე: კომპიუტერის მონაცემებს რომ მიიღებთ, მაშინვე ჩემთან გაჩნდით.

— რასაკვირველია.

მეორე დღეს, როდესაც მანიგრინდერი ფანჯრის ფარდას ამოფარებული თავალყურს ადევნებდა მანქანების ავტოსადგომთან მოსვლას. ტრეფუნმა დაიქარუნა. მან ზუსტად იცოდა, რომ მისმა მდივანმა ქალმა წუხელ მშფოთვარე ღამე გაატარა და იმიტომ აგვიანებდა. უკაყოფილო, იმიტომ, რომ საქმეს მოწყვიტის, მაგიდასთან მივიდა და ყურმილი აიღო.

ნათანი იყო.

— კომპიუტერი ტექნოლოგიურის ბიჭებს ეთანხმება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ პროგრამირებაში მცირედენი შეცდომაა დაშვებული. არ შეიძლება მთლიანად კომპიუტერზე დაყვარდნით, ისინი იმ ადამიანებზე უკეთესები არ არიან. მათ რომ პროგრამას აჩერებენ.

— გასაგებია, — თქვა მანიგრინდერმა. — განაგრძეთ შემოწმება.

ყურმილი დადო და ჩაიქირქილა:

— ბებერი ნათანი თეორიაშია ძლიერი, მაგრამ როდესაც საქმე რეალურ ცხოვრებას ეხება, იგი ნამდვილი ლლაპია.

როგორც იქნა, მდივანიც გამოჩნდა და მოუტანა დილის უვა თავის ტკივილის აბი და მოფერებთ ყურის ბიბილოვ უკბინა, მანიგრინდერმა ჩაფქვრებით თქვა.



— იქნებ, მინც ხაჭირა ნიუ-იორკში, იმ ბანკირებს დაველაპარაკო.

— მაგრამ შენ ხომ ამბობდი, ახლა, როდესაც საქმეები უკეთ წავკვივდა, ლაბორატორიას მათი ფულები აღარ დასჭირდებაო.

— და მინც... — მანიგრანდერმა ჩაფიქრებით დახარა მელოტი თავი, — მომლაპარაკე მომავალ ხუთშაბათს შეხვედრანაზე. მე ოთხშაბათს გაფურინდები ნიუ-იორკში და იქ უკვე ენდზე დავრჩები.

— როგორ? — გაოცა მდივანმა ქალმა. — წენ ხომ დამირდი, რომ ჩვენ...

— აბა-აბა... ჩერ საქმე, სხვა უველაფერი შეიძლება გადაიდოს. შენთვის კი ბილეთი დაუკვეთე ხუთშაბათს, ღამის რეისზე. სასტუმროში შეხვედებით.

— აჰ, — გაიღმა მდივანმა. — რა საყვარელი ხარ!

ნათანს ზარმა მეთ კლაიბერს მაშინ მოუსწრო, როდესაც იგი პენტაგონში გამართული წვეულებიდან დაბრუნდა.

კლაიბერის რამდენიმე წლის წინათ ნათანთან ერთად მუშაობდა. მან პროგრამისხდალ დაიწყო სამსახური და პირველ ხანებში ნათანსაც ემსახურებოდა. ორი წლის შემდეგ კი სექტორის გამგედ დააწინაურეს და მათემატიკოსის უშუალო უფროსი გახდა. მართალია, უფროსად იგი ნომინალურად მარტო ქალაქლდზე ირიცხებოდა — ჯერჯერობით ვერაჟინ შეძლო მათემატიკოსზე მბრძანებლობა. როგორც კი მანიგრანდერმა შეატყო რომ ერთ მშვენიერ დღეს კლაიბერი მას ჩამოაგდებდა, ახალგაზრდა კარიერისტი ვაშინგტონში სახელმწიფო სამსახურში მოაწყო, რასაც დამწყები ადმინისტრატორისათვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლო.

— ხალამი, ნათან, — დაიუვირა კლაიბერმა, — კიდევ რამდენი ფანჯარი დახარჩე, შე ძველო?

კლაიბერმა ცერად გახედა მაგიდის კალენდარს. დღის მეორე ნახევარში უნდა დასწრებოდა სამ კონფერენციას და ორი თათბირი ჩატარებინა.

— სიჩქარე დაუკელ, — თქვა მან, მეგობრული კილო შეინარჩუნა, მაგრამ ამავე დროს სასოწარკვეთით შეიკმუნა. — ხომ იცი, უბრალო ადამიანს არ ძალუძს შენი დანევა, როდესაც გააქენებ ზოლმე...

გავიდა ნახევარი საათი. კლაიბერი სავარძელში მისვენებულ იქდა და ფეხები მაგიდაზე ელაგა. პერანგის ზედა ღილი გაეხსნა. კალენდარზე პირველი ორი თათბირი მას უკვე გადაეშალა.

— მას ახე, მოდი შევაჯამოთ, ნათან, — თქვა ბოლოს კლაიბერმა. — შენი გამოთვლით, სანდრეასის ტეხილის გაყოფებით მომავალ ხუთშაბათს, შუადღის ორ საათსა და ოცდაათ

წუთზე, ძლიერი მიწისძვრა უნდა მოხდეს... რამ ტექნოლოგიურის ბიჭები და შენი ხაქუთარი კომპიუტერი არ გეთანხმებიან.

კიდევ ათიოდე წუთის შემდეგ კლაიბერმა თქვა:

— კარგი, კარგი... რასაკვირველია, მახსოვს, პროგრამებს ჩვენ როგორ ვურევდით. მაგრამ შენც მოგდიოდა ზოლმე შეცდომები. მომისმინე, ნათან, განაგრძე შემოწმება. თუ დარწმუნდები, რომ შენ კი არა, კომპიუტერი ცდება, მაშინვე დამირეკე. აუკლებლობის შემთხვევაში, თვით პრეზიდენტამდე მივალწე: მოვლაპარაკეთ? ძალიან კარგი. კავშირი ვიქონიოთ.

დუნე მოძრაობით ტელეფონის ყურმილი დააგდო და ფეხები იატაკზე დაუშვა. „ზეგერთი ნათანი, მგონი საბოლოოდ გაგივდა, მომავალ ხუთშაბათს... ხედავ შენ... მომავალ ხუთშაბათს...“

კლაიბერმა კალენდარი გადაფურცლა. ასეც არის — მომავალ ხუთშაბათს, ეპიცენტრიდან ჩრდილოეთით, სიეტლში, თათბირი აქვს ფირმა „ბონიტან“.

„ძლიერი მიწისძვრის დროს მთელი დახველეთ სანაპირო შეიძლება წუნარ ოკეანეში ჩაენარცხო. ასე რომ... ნუ გიფდები. ცხადია, ნათანი გაგივდა. და მინც... საინტერესოა, ეს ტეხილი სადამდე გრძელდება ჩრდილოეთით?“

მან ხელი გასწია და სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა.

— გისმენთ, მისტერ კლაიბერ, — გაისმა მდივანი ქალის ხმა.

— მომავალ ხუთშაბათისათვის თათბირი მაქვს ფირმა „ბონიტან“, ზებგერთი ტრანსპორტთან დაკავშირებით... — კლაიბერი გაუხედავად დადუმდა, მაგრამ ცოტა ხნის უყოშანის შემდეგ თქვა: — გადღეო!

საერთოდ, ნათან ფრენჩი სასმელს არ ეტანებოდა, მაგრამ მომდევნო სამშაბათს, ლაბორატორიიდან პირდაპირ ოკეანის თავზე გადმოკიდებულ პატარა, მუუდრო ბარს მიაშურა.

საოცრად მშვიდი დღე იდგა, ასე რომ ერთადერთ სტუმარზე იყო გამახვილებული არა მარტო შეწუხებული ბარმენის ყურადღება, არამედ გამომწვევად შეარბილი ქალიშვილისაც, რომელიც ამ დილაადიანად, გულზე ღრმად ამოკრილ შავ კაბაში გამოწყობილიყო და იათფსიანი სუნამოს აუტანელ სურნელებას აფრქვევდა.

— ეშმაქმა დალაზვროს, — ჩაბურტყუნა ბარმენმა. — ცხოვრებაში ამისთანა უხალისო ვაჭრობა არასოდეს მქონია, როგორც დღეს და გულში იყო.

იგი უსაქმოდ იდგა დალბს იქით, არ იცოდა, რა მიემოქმედნა. მთელ დაწესებულებაში ერთადერთი კუჭუიანი სირჩა, ნათანს ეჭირა ხელში და არც ფიქრობდა მასთან გაშორებას.

უვარდა ხარისხი ძირში დარჩენილი ყინულის ნაპრების წუწნა.

— სრული კეშმარტებაა, — განაცხადა ქალიშვილმა. — თუ კიდევ ასე გაგრძელდა კვირის ბოლოსთვის შეშებლება მონასტერში შევიდით.

ნათანი საუბარში არ ერეოდა. პირი ყინულით ჰქონდა გამოტენილი და ტაპატაკუცით ავსებდა მთელს ოთახს. კვლავ ცდილობდა გარკვეულიყო, რატომ არ ემთხვეოდა ერთმანეთს მისი საკუთარი და კომპიუტერის განვანტება, მეთოთხმეტე რიგის ამონხნაში. სხვა დანარჩენი წესბაღ ესადაგებოდა ერთმანეთს. დრო, ადგილი და რიტორის შკალის მიხედვით მიწისძვრის სიძლიერეც კი. მაგრამ ვექტორი, ბიძგის მიმართულება... — ვიღაცა ვერ გაერვა მის მიერ შედგენილ პროგრამაში, სხვა ახსნა არ არსებობდა.

— აქციების კურსი ბირჟაზე იხე დაცვა, რომ მათი შუქთად შეგროვება შეიძლება, — პირქუშად განაცხადა ხარმენმა. — ჩემი მაკლერი მარწმუნებს, „ბონიფი“ მუშების დახოვნას აიხრებს. ზებგერითი ტრანსპორტის მშენებლობის მთელ პროგრამას აუქმებს. ჩვენს გორაკზე რომ ლაზარატორიაა, იმასაც რომელიღაცა ბანკი ყიდულობს აღმოსავლეთ სანაპიროდან.

ხარმენმა ნაღვლიანად გადაქნია თავი.

ქალიშვილი ნათანის გვერდით ჩამოქდა, დაბლს იდაყვებით იხე დაეყრდნო, რომ ლიფი გამოეჩნდა. გაიღმა და თქვა: — როგორ ფიქრობ, ცოტა ხომ არ ვაგმობარუდდეთ. უმწივილო? თორემ ვშიშობ, ხელო არ გადავავიწყდეს ხელობა.

ნათანმა ჩაახრამუნა ყინულის ბოლო ნატიბი და თავაწიანად უპასუხა:

— მამაკეთ, გეთყავ, მაგრამ შე კიდევ ერთხელ უნდა შევამოწმო კომპიუტერის პროგრამა.

სუთმხაბთ დილით, საბოლოოდ აეშალა ნერვები ნათანს. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ კომპიუტერი კვლავ განაგრძობდა ჩიუტობას, არც ერთი პროგრამისტის სამსახურში არ გამოცხადდა... ვახსენებია, რომ მათ შორის რომელიღაც — ან იქნებ უველანი ერთად? — შეგნებულად უწყობენ სახობაჟს მის პროგრამას? მაგრამ, რატომ?

იგი დიდხანს დახორალებდა დერეფნებსა და კაბინეტებში. იძებდა პროგრამისტებს, თუნდაც უველაზე უვარგისს, მაგრამ ლაზარატორია თითქოს გაუკაცრიებლებულიყო. მხოლოდ ერთი მთავი თანამშრომლების საცოდავი ჩაუთო გამოცხადდა სამსახურში, მაგრამ კაფეტერიაში დინჯან უავაზე შეშინებული ჩურჩულის შემდეგ, ისინიც თითო-თითოდ გაიძურწნენ ავტოსადგომისაკენ, შეძვრენ თავიანთ მანქანებში და გაუჩინარდნენ.

დერეფანში ბორიალის დროს ნათანი პირი შეეჩება ერთ-ერთ ფიზიკოსს, ახალ თანამშრომელს იმ სექტორიდან, მას აღერ რომ არასოდეს ჰქონია საქმე.

— ბოდიში, — სწრაფად წარმოთქვა ფიზიკოსმა და კარისკენ გაექანა.

— მოითმინეთ! — ნათანმა ხელი სტაცა სახელოში. — თქვენ შეგძლიათ პროგრამირება? — რა? არა, არ შემიძლია!

— სად გადაიკარგინენ? — გაიკვირვა ნათანმა, თან ფიზიკოსს ხელს არ უშვებდა. — შეიძლება დღეს რაიმე დღესასწაულია?

— ღმერთო ჩემო, ნუთუ არაფერი ვაგვივათ? — წამოუვირა ფიზიკოსმა და თავლები გაუფართოვდა. — დღეს, დღის მეორე ნახევარში, მიწისძვრას ელიან. მთელი კალიფორნია წღვაში ჩაითქმება!

— ამა, აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე...

მაგრამ ფიზიკოსმა გაითავისუფლა თავი ნათანის მარწმუნვით ხელიდან და გასასვლელი-საკენ გაექანა, კართან არც კი შეჩერებულა ნათანს მიამახა:

— გაეცალეთ აქაურობას, სანამ ჭერ კიდევ შესაძლებელია ტბილიდან მარჯვენე იარეთი გზები უკვე მანქანებითაა გადაბედილი.

ნათანი შეიჭმუნა.

„ჭერ კიდევ ერთ საათზე შეტია დარჩენილი, — უთხრა თავის თავს, — და შე ძველებურად ვამტკიცებ, რომ კომპიუტერი ცდება. სიტუვამ მოიტანა და, სინტერესო იქნებოდა, გამომეთვალა, კალიფორნიის შტატის ოკუპანში ჩაკურების შემთხვევაში, რა ძალის მოქცევის ტალღა წარმოიქმნება“.

ნათანმა ვერ შეინწა, რომ ხმაალა მსჭედლობდა. ირგავლივ არავინ იყო, მხედველობაში კომპიუტერს არ მივიღებდით.

იგი კომპიუტერთან იჭდა და ჭერ კიდევ ებრძოდა გაკაუტებულ განტოლებებს, როდესაც პირველი ბიძგი შეიგრძნო. ჭერ ძნელად ხაგრძნობი იყო და მების ცალკეულ გავარდნას წაავავდა. შემდეგ ოთახმა წანაწარი იწყო, გრიალი გაძლიერდა.

ნათანმა საათს დახედა. ნაშუადღევის ორი საათი იდო ცდათორმეტი წუთი იყო.

— ხომ ვამბობდი! — საწივო კილოზე მიმართა კომპიუტერს, — ხედავ? ახლა დარწმუნებული ვარ, რომ სხვა დანარჩენი ჩემი გამოთვლებიც სწორია, თვით მეთოთხმეტე რიგის განტოლების ჩათვლით. სასტიკ ქარიშხალში მოხვედრილი ბომალინ გემბანზე რწევას შეიძლება შევადაროთ გასასვლელისაკენ ნათანის ხელო. შენობის იატაკი და კედლები კონვულ-

ბან-ბოვბ  
უშენიშენილო უბედოგა

სიურაჲ კანკალებდა. ნათანი ძლივს იდგა ფეხზე და დროდადრო სხვადასხვა ილიტების შეხარულება უხდებოდა.

სანამ გარეთ არ გააღწია, აზრადაც არ მოხვლია, რომ შეიძლება მომკვდარიყო. ცა ჩამოხნებოდა, მიწა უაღუწე იდგა, სტიქიის ღრიალმა გააურთა. მძვინვარე ქარიშხალს სქელი მტვერი მოჰქონდა, მისი გააფთრებული რისხვა მიწის გატანჯულ კენსას ერწყმოდა.

რამდენიმე ფუტის დაშორებით არაფერი ჩანდა. ქარი უველაფერს აქცევდა, მტვერმა ამოუფესო თვალები და ნათანი ვერ ხედავდა, საით უნდა გაქცეულიყო. მან იცოდა, რომ ტეხილის ერთი მხარე სიციცხლეს მოასწავებდა, მაგრამ რომელი?

ზიხლიური ძაღვის ელვამ თვალისმომჭრელი ელვარებით გაპკვეთა ღრუბლები და იმავე წამში ნათანს თავს დაატყდა გამაურებელი გრგვიწვა. თითქოს ცა გაიპო. აფეთქების მძლავრმა ტალღამ ძირს დასცა და გრძნობა დაკარგა. მისი ბოლო ფიქრი აყო: „შეინც შე

აღმოვჩნდი მართალი, კომპიუტერი როდესაც ნათანი გრძნობაზე მოვიდა, ირგულივ საკვირველი სიჩუმე იყო გამეფებული ნაცრისფერი ღრუბლების საბურველის მიღწეზე მკრთალად ანათებდა. ქარი ჩადგა. ნათანი ძლივს წამოდგა ფეხზე და მიმოიხედა. ლახირატორიის შენობა გადარჩენილიყო. თვითონ ნათანი კი ავტოსადგომის შუაში იდგა. ხადგოზე ერთადერთი, მტვრით სქლად დაფარული მანქანა იყო დარჩენილი, ისიც საკუთრად მისი.

ავტოსადგომის მიღმა, იქ, სადაც ეკვალიტები ხარობდა, ახლა ხრამი იყო, საიდანაც ჭერ კიდევ ქვები და მიწის ბეღტები ცვიოდა ძირს და ქაფით დაფარულ ოკეანეში უჩინარდებოდა.

ნათანი კოჭლობით მივიდა ხრამის პირზე და უკიდვანო წულას სივრცეს მიაჩერდა. რაღაც ნაირად მიხვდა, რომ იქ, აღმოხვედით, მისგან უახლოესი მიწა — ევროპა იყო.

— ეშმაკის ნაშეირო! — მოულოდნელი გააფთრებით შეუკურთხა საკუთარ თავს, — მართალი ხომ კომპიუტერი აღმოჩნდა!

# გურამ გვერდწითელი

## გ მ ი რ ი დ ა დ რ ო

ლეო ქიაჩელის „მთისკაცი“ აშკარად უპირის-პირდება საბჭოთა ლიტერატურის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც საშაშულო ომის მთელი ტრაგიზმი და სიღიადე გახსნილია ფრონტული ყოფითი ცხოვრების სურათებში. აქ არ უნდა დაგვებადოს კითხვა შესახებ იმისა, თუ რომელი ხასიათის და სტილის ლიტერატურა უფრო მნიშვნელოვანია. მთავარი მწერლის ოსტატობა და ნაწარმოების მხატვრული ხარისხია.

„მთისკაცი“ თავისი პათოსით, ჰეროიკულობით, ამაღლებული ტონით, ერთგვარად საზეიმო კილოთიც, უსათუოდ მკვეთრად გამოირჩევა თვით ლეო ქიაჩელის შემოქმედებებშიც კი. ავტორი, ჭერ კიდევ რომანის დასაწყისშივე, როდესაც თავისი გმირის ბათუ ქარდუას პორტრეტს გვიხატავს, საგანგებოდ უსვამს ხაზს მის გოლიათურ აღნაგობას. მთისკაცი თავისი გარეგნობით, — შალაღი, წარმოსადგეა ფიგურით, ფართოდ ვაშლილი მხრებით, არწივისებური ცხვირით, მზით გარუქული სახით, კრაველის ბოხოხვიით გრუწა თმით, ტანის საოცარი მოძრაობით. მის საკვირველ ღონეს რომ ააშკარავენ და ძალაუნებურად მორიდების და მოკრძალების გრძნობას ბადებს მხანველში, — თავიდანვე გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ჩვენს თვალწინ ერთბაშად აღმართება ბუმბერაზი ადამიანი, ვინც გვხიბლავს და გვაკვირვებს კიდევ. მწერალი შემდგომში ცდილობს კიდევ უფრო გაგვიძლიეროს გმირის მიმართ ამგვარი გრძნობა და ამისათვის ხშირად მიმართავს ჰიპერბოლას ბათუ ქარდუას ძლიერების გამოსაკვეთად. ჩვენც ვეჩვევით ამას და თითქოს აღარც კი გვიკვირს, როდესაც მთისკაცი ცხენიდან დასწვდება, ხელს წაატანს და „ნაფოტივით აიტაცებს“ მანუჩას, ან ძლივს რომ მოთავსდება სარდლობის მიერ გამოგზავნილ მსუბუქ მანქანაში. მისი ზუმბერაზობა ნათლად იკვეთება, როცა ავტორი ჩვეულებრივ

გვეტყვის, რომ მისი წარბების მოძრაობა უზარმაზარი ფრინველის ფრთების აქნევას გავსო.

მწერალი მოქმედების განვითარებასთან ერთად სულ უფრო ცდილობს ააშალოს თავისი გმირი მკითხველის თვალში, რაღაც განუთქორებელი სიღიადით შეამოს იგი. ამ მიზნით ავტორი შრავალ საშუალებასა და ხერხს მიმართავს, ხშირად ისეთ თვისებებს მიაწერს, რაც რომანტიკული გმირებისათვის არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, ბათუ თურმე „ნადირთა გაუფულ ბილიკზე ანაზღად შემოყრილ დათვის რამდენჯერ ხელდახელ შემბია ისე, რომ განჯარახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარ-მკლავის ძალა და გულის სიმამრე გამოუცდია, ტანის სიმარღე გაუსინჯავს და თვალის სისწორე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს მხარზე გაუღვია ვეება ლეში, კლდეებსა და წვარნებში უტარებია, როგორც ნაფოტი, და ხანაკში ასე მოუტანია“. ამ ეპიზოდმა არ შეიძლება არ გავახსენოს ფოლკლორული წყაროები თუ კლასიკური ლიტერატურული სახეები, რომლებშიც აშკარად რომანტიზირებულ იერს ატარებენ.

ბათუ ქარდუას რომანტიკული მწერლობის გმირებთან ანათესავებს მისი ბუნებისადმი დამოკიდებულებაც. მთისკაცს უბრალოდ კი არ უყვარს ბუნება, არამედ ესმის კიდევ მისი, იგი ორგანულადაა შერწყმული მასთან. „არც ერთი ჩქამი, შალა მარჩი თუ ძირს მიწაზე გახშიანებულში, მის ყურთასმენას არ ასცდენოდა. არც ერთი ფერი თუ სახე, შორს თუ ახლოს გალიფლიეებული, მის თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენოდა“ — გვეტყვის მწერალი ბათუზე. მთისკაცი ბუნების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, ისეა შერზრდილი და შეთვისებული მას. ეს ჭარმაგი მთიელი ჯიხვის სიმარღით დაბტის კლდიდან კლდეზე, იოლად გადის ღრმა ნაპარლებში, ციცაბო კლდეები მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. იგი ბუნების შვილია და თითქოს ამ უკანასკნელსაც მშვენივრად ესმისო ეს, მათ შორის სრული ურთიერთგაგება და წრფელი სიყვარული დაჰყვიდრებულა. აქი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4, 5, 6, 7.

სწორედ ბუნებაში პირველმა ამცნო აქავტარის უღელტეხილზე სანადიროდ წასულ მთისკაცს დიდი განსაცდელის მოახლოება. ბათუ ბუნების შემაპარწუნებელი სურათის ხილვით იყო გონებაფორიაქებული. მას წინაგრძნობა არ ღაღატობდა, როცა მანუჩა მიეჭრა და ომის დაწევა ამცნო. ბათუსათვის ბუნება ერთგვარად გახულიერებულა, იგი ემუხაიფება მას, თავის გულსინალებს ანდობს, ფიქრებს უწიარებს. ეს წესად აქვს მას. ამისი მრავალი დამადასტურებელი ეპიზოდია რომანში, მათ შორის მთისკაცისა და შვისი შეჭმარბიც, როცა მთებიდან ხოხუმიხვენ ეშვება იგი. თუმცა მთისკაცი გამომდის გამარჯვებული, სულაც არ ამპარტვინობს ამით, „რაც არ უნდა მომხდარიყო, მთისკაცისათვის მზე მაინც მზე იყო“.

სალიტერატურო კრიტიკა თავის დროზე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რომანის ცალკეულ ადგილებში მწერლის ამაღლებული ტონითობისა ერთგვარად არაბუნებრივად, ზოგჯერ კი პირდაპირ უაზრადაც უღერდა. გულახდილნი თუ ვიქნებით, ისიც უნდა ითქვას, რომ რომანი არ იყო დაწვეული კონიუნქტურული ხასიათის ხარვეზებისაგან. მწერალი მარე კი შეცვალა ამის გასწორებას, ნაწარმოების დახვეწას, მაგრამ ამგვარი ხასიათის ნაკლი მაინც გამოკრთის „მთისკაციში“.

მთისკაცი მეთხველს წარმოუდგება თავისი ადამიანური ღირსებების მთელი სიღაღით. მწერალი გმირის ხასიათსა თუ მოქმედებაში არავითარ ხიჩხას და შეცდომას არ ამჩნევს. ბათუ ქარღუაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ დიდი სულიერი და ფიზიკური სიძლიერის, სრულყოფილ ადამიანს. ვისი თითქმის უბრალო, მაგრამ კეთილშობილდობითა და გმირობით სასვე ცხოვრება შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენს მისი თანახმდღეობისათვის და საერთოდ ყველასათვის, ვინც კი ამ დიდებულ მთიელ კაცს იცნობს.

შეიძლება ითქვას, ბათუ ქარღუა საბჭოთა ლიტერატურის იდეალური გმირების რიგს განეკუთვნება. ამას მხოლოდ ის არ გვაფიქრებინებს, რომ იგი ნაკლავანებების გარეშე წარმოსახული, ან კიდევ, მწერალი რომ ამაღლებული ტონით გვიყვება მისი ცხოვრების ისტორიას. თუმცა, იმ წლებში სალიტერატურო კრიტიკისათვის სრულიად ხაყმარისი იყო ეს ნიშნები იმისათვის, რომ გმირი იდეალურებში ჩაერიცხა. იმ სალიტერატურო დისკუსიის, რომელიც ომისშემდგომ წლებში, მწერალთა საქავშირო მეორე ურდობის წინ გაიმართა, ყურადღების ცენტრში ძირითადად დადებითი და იდეალური გმირის პრობლემა იდგა და ცხოველი კამათიც გაიმართა.

საბჭოთა ლიტერატურაში იდეალური გმირების სახეები იქმნება არა იმ სქემატურ-სქოლასტიკური, ბელოვური და ნაძალადევი გზით,

როგორც ამას დისკუსიის მონაწილეთა გავლენიანი უმრავლესობა ქადაგებდა იმ დროის მხატვრულად მღარე, მაგრამ დაფასებულ ლიტერატურული ნიმუშების მოშველიებით. გმირის დადებითობაც და იდეალურობაც შედარებითი კატეგორიებია. რასაც მკითხველი, კრიტიკადრო განსაზღვრავს და იგი არავითარ შემთხვევაში არ არის წინასწარი საგანგებო განზრახვითა და მიზანდასახულობით შექმნილი სახეების პრიორიტეტი, როცა ისინი ნაცვლად ცოცხალი ადამიანებია, უფრო ლიტერატურულ მანევენებს, ან უკეთეს შემთხვევაში მარიონეტებს გვანან.

ომისშემდგომი პირველი წლების საბჭოთა ლიტერატურაში მკითხველი არაერთ გმირს შეხვდებოდა, ვისაც არავითარი ნაკლი არ გააჩნდა, რაკი ავტორის კარნახით მოქმედებდა და მსჯელობდა, ათას კეთილშობილ საქციელს ხსენიოდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა სწორ, თუმცა მაღალფარღვან ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს, საქმეც ხომ თავისთავად გამოუდიოდა და მისი მდინეწველი არაფერი რჩებოდა. ანეთი გმირები, ავტორების ჩინაფიქრით და ზოგჯერთი ავტორიტეტული კრიტიკოსის ღრმა რწმენით, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური პოლიტიით, წარმოადგენდნენ საბჭოთა ლიტერატურის იდეალურ გმირებს. სინამდვილეში კი ისინი ვერ პასუხობდნენ ლიტერატურული გმირის უპირველეს და უმარტივეს დანიშნულებას — მათ არ გააჩნდათ მხატვრული დამაჯერებლობის ძალა და, ბუნებრივია, ვერც ამაღლებულდნენ დადებით თუ იდეალურ გმირებად. იდეალურები უცოდველნი. დათავდული, მორალური კოდექსის შედავითნებებით მჭადაგებელი გმირები კი არ არიან, არამედ ისინი, ვინც დროის მოწინავეთა ცოცხალ სულიერ სამყაროს, აზრსა და გრძნობას, საქმესა და მისწრაფებას ვიცხხნიან და ამას ისეთი ძლიერი მხატვრული ხმართლთთ აკეთებენ, რომ მკითხველისათვის სამაგალითონი ხდებიან.

სახის ზატვის რომანტიკულმა მანერამ, რასაც მიმართა ღლეო ქაჩელმა მთისკაცის ხასიათის გასახსნელად, უთუოდ შეუწყო ხელი იმას, რომ ბათუ ქარღუა მკითხველმა იდეალურ გმირად წარმოიდგინოს და მიიჩნოს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქმის რომანტიკულ-მეროკული სტილის ნაწარმოებთა გმირებს ამ თვალსაზრისით განსაზღვრელი პრიორიტეტი მქონდეთ.

იმ წლებში სამამულო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის ქართულ მწერლობაში გამოირჩევა დემან შენგელთაის რომანი „წითელი ყუაჩი“. თავდაწვე უნდა განვცხადოდო, რომ დემან შენგელთაის შემოქმედებისათვის საერთოდ დამახასიათებელი ნიშან-თვისებ-

ბები — მხატვრული ფრაზის აგების ოსტატობა, ოსრობის მომხიბვლელი სისადავე, ენის სილაღე და ძარღვიანობა და ბევრი სხვა რამ — აქაც, „წითელ ყაუჩოში“ აშკარად ჩანს. მწერლის ოსტატობის ამ მხარეებს ახლა ვერ ჩაუვლირმავდები. რაკი მთავარია საუბარი რომანის გმირებზე, საბჭოთა ადამიანების, მეომრების მხატვრულ სახეებზე და ამასთან დაკავშირებით კი დროისმიერ ნიშნებზე.

„წითელ ყაუჩოში“ განსაკუთრებით იგრძნობა დემნა შენგელაიას პროზისათვის საერთოდ დამახასიათებელი ლირიზმი, რითაცაა გამოხარკი ავტორის დამოკიდებულება თავის მთავარი თუ არამთავარი გმირებისადმი, რისი მეშვეობითაც არის გამოქვეყნებული ავტორის თანაგრძნობის პარტიკულში მოხვედრული ადამიანებისადმი, სიყვარული იმათადმი, ვინც სწორედ ყველაზე მძიმე ვითარებაში, განსაცდელის უამს გააშვლავნა დიდბუნებოვნება, საბჭოთა ადამიანის შალაი შეგნება და ზუმანურობა.

რომანში ამავეს მთავარი გმირი ბეჟან დავლაძე გვიყვება და ამდენად ნაწარმოები თითქოს ფრონტულ ჩანაწირებს გვაგონებს. ბეჟან დავლაძის თანამებრძოლები თუ ფრონტზე შემთხვევით შემოხვედრული მეომრები, ანუ რომანის მთავარი თუ არამთავარი გმირები, სულაც ეპიკურადური პერსონაჟები, რომელთაც მცირე ხნით ვხვდებით და ვცნობით მოქმედების განვითარების მანძილზე, თვალნათლივ გვაგრძნობინებენ და გვიმდღავებენ თავის უბრალო, ჩუმს, თუმცაა წრფელსა და უსომო სიყვარულს სამშობლოსადმი.

რომანი „წითელი ყაუჩო“ ერთგვარად პატარ-პატარა მოთხრობებისა და ეპიკურების ერთ სიუჟეტურ ქარგაზე ასხმულ კრებულს წარმოადგენს. რომანის მთავარ გმირთან, ბეჟან დავლაძესთან ერთად ჩვენ ხან მოწინავე საჯზე ვართ და საბჭოთა მეომრების ფრონტულ ცხოვრებას ვადევნებთ თვალს, ხან არმიის გაჯეთის რედაქციის თანამშრომელთა დამახული ყოფის მოწამენი ვხვდებით, ხან კი ზოსპიტლის მძიმე სურათების შემსწრენი ვართ. მაგრამ ყველგან და ყველთვის ვხვდებით ახალ და ახალ ადამიანებს, მწერლის მიერ მოქმედებაში შემოყვანილ გმირებს, რომლებიც ყოველგვარი სიყვალისა და პოზიორობის ვარეშე, სრულიად გულწრფელად და უშუალოდ ავლენენ საბჭოთა ხალხისთვის დამახასიათებელ თვისებებს, მდიდარ და დამაჯ ბუნებას. მათთვის უცხო არ არის არც სიყვარული და სიძულვილი, არც სიმხიარული თუ მწუხარება, არც სიცილი და აღშფოთება, არც შრომა, ბრძოლა, ოცნება თუ სხვა ბევრი რამ, სულაც არაფერი, რაც ადამიანისთვის ჩვეულია, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ მიჯანს. სამშობლოს უანგარო სამსახურს, მის დაცვას, მის მომავალს უკავშირდება და ამით არის განპირობებული. სადაც არ უნდა

იყვნენ ისინი, ერთი ცხოვრებით, ფრონტულ ცხოვრებით ცხოვრობენ და მათი განწყობის ბარომეტრიც ეს არის სწორედ. ცალ-ცალკე და ყველანი ერთად ისინი მშვენიერად გვაგრძნობინებენ და გვიხსნიან კიდევ იმას, რამაც ვაგვაშარქვედინა დიდი სამამულო ომში.

ინტერესით ვცნობით ბეჟან დავლაძის ფრონტულ მეგობრებს, რომლებიც რაღაც განსაკუთრებულობის ნიშნებით კი არ არიან აღბეჭდილნი, არამედ სწორედ თავისი უბრალოებით, უშუალოებით, ჩუმი თავდადებით, ქეშმარიტი ადამიანურობით ხსიათდებიან. ყოველ მათგანს გააჩნია რაღაც მისთვის ჩვეული რამ, თუნდაც უცნაურობა, რაც ღრმად ინდივიდუალურსა ხდის სახეს. ამ თვალსაზრისითაც შესწავლი ოსტატობით გვიხატავს მწერალი უფროსი ლეიტენანტ კასატინს, გაჯეთის რედაქტორს პოლკოვნიკ სუროვიცეს, სამხედრო რეპორტიორს ჩიხისოვს, დობროხოტოვს, ბახტურიძეს და სხვებს. მაგრამ მათი ერთმანეთისგან განმასხვავებელი ჩვევები და უცნაურობები თავს იჩენდა, ვლინდებოდა ბრძოლისაგან თავისუფალ დროს, როცა ამოსუნთქვის საშუალება ეძლეოდათ; იქ კი, ფრონტულ პარტიკულში ყველა ერთის მსგავსად, თანაბრად თავდაწირულად იბრძოდა და რომელიმე მათგანს გამოჩენდა შეუძლებელი იყო.

დემნა შენგელაიას ხშირად თითქოს პატარა დეტალით დიდი მნიშვნელობის საშქმელი ნოქვს. ერთი შეხედვით არაფერია ვასაკვირი, რომ უკრანიელი მწერალი ხომენკო თავისუფალ დროს გამოუდებობთ ათამაშებს ხელში ვასალებს. მაგრამ ეს ფაქტი სულ სხვა განჯომილებას და უღერადობას იძენს, როცა ვავიგებთ, რომ ხომენკოს სახლი ომის პირველსავე დღეებში დანგრეულა გერმანული ყუმბარისაგან, ზოლო მისი პატრონი ვასალებს ვერ შეეღვია, უნდა ბერლინამდე ატაროს, როგორც შურისძიების ნიშანი. ამასთან დაკავშირებითვეა, რომ სამსონ ბახტურიძის პირით მწერალი მართლად და შთამბეჭდავ პარალელს ავლებს სახლსა და სამშობლოს შორის, რაც საბჭოთა ადამიანისათვის ერთ მთლიან და განუყოფელ მცნებად ქვეულია.

რომანში ფართოდ არის წარმოსახული ზოსპიტლის ცხოვრება. ბეჟან დავლაძე მძიმედ და იტრება ერთ-ერთი შეტევის დროს და დიდხანს დამყოფს სამკურნალოდ. თუ ვავიხსენებთ, რომ რომანი ერთგვარად მის დილოუს წარმოადგენს. ზოსპიტლის ყოფის ასე დეტალურად წარმოჩენა აღარ ვავიკვირებდი. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწილი რომანისა, სადაც ზოსპიტლის ცხოვრება აღწერილი, არა მარტო ყველაზე ვრცელია, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანიც. ის გმირები, რომლებსაც რომანის ამ ნაწილში ვცნობით, განსაკუთრებით სისხლსავსენი და ცოცხალი გაშოუვიდენ ავტორს.

იმდენად ვრცელი და მნიშვნელოვანია ეს ნაწილი რომანისა, რომ წოგვიერობებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს „ომი ამ რომანში საღდაც კულისებს იქით მიდის, იმ დროს, როდესაც გმირები ჰოსპიტალში წვანან“ და ამის გამო კიდევ აშკარად საყვედურობდნენ მწერალს. ჭერ ერთი, ამგვარი საყვედური უსაფუძვლოა იმიტომ, რომ ომის ხმა ამ რომანში მხოლოდ კულისებიდან როდი მოდის, ჩვენ ფრონტული ცხოვრების უშუალო მონაწილენაც ვართ. მეორედ კიდევ, ამ მხრივ მართალიც რომ იყოს საყვედურის ავტორი, განა ამით დაიწუნება ნაწარმოები? ვერა პანოვანს საყოველთაოდ ცნობილი რომანის „თანამშენებლების“ გმირები ომის წლებს მთლიანად სანიტარულ მატარებლებში ატარებენ, მაგრამ ომის თემზე შექმნილ ნაწარმოებთანავე ბევრი ვერ შეიძლება

„წითელ უაჩარს“ სულაც არა აქვს სამაშულო ომის ეპიური სინავსით წარმოსახვის პრეტენზია, თავის დანიშნულებას კი — საბჭოთა ადამიანების პატრიოტული სულისკვეთების მხატვრულად გახსნას — საყვედურით პასუხობს. რომანის იმ ნაწილში, სადაც ჰოსპიტლის ურთავა აღწერილი, ახალ გმირებს ეცნობილი, რომელიც, მიუხედავად ამუშავებული თითქოს ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრებისა, სხვებზე ნაკლებ როდი გვიხსნიან და გვაგონობინებენ საბჭოთა მებრძოლების გმირულ სულსა და მაღალ წესობას.

დაჭრილი ბევან დავლიძე ჰოსპიტალში, ოფიცერთა პალატაში ეცნობა ციმბირელ პოლკოვნიკს სავგაჩოვს, კიეველ კაპიტანს პილიტენკოს და ქართველ ლეიტენანტს მატახერას. თავდაპირველად უთუოდ გავვიკვირდება ამ გმირების უცნაური გატაცებები და უსქველღობა, მათი გულუბრყვილო კინკლაობა წერილმანი საკითხების გამო, მაგრამ მალე მივხვდებით, რომ ეს მოჩვენებითი სიმშვიდე და ინდიფერენტულობა ერთგვარი ნიღაბია მათთვის დიდი სულიერი მღელვარებისა და ტკივილების დასაფარად. სინამდვილეში, ყოველ მათგანს მძიმე ლოდან აწევს ეს უნებური „უსაქმურობა“, გული ბრძოლის ველისკენ მიუწევს, სავგაჩოვს თავისი ჭარბკაცების საბრძოლო უყინა ენატრება. პილიტენკოს დარღად აწევს, ვაითუ კიევი უშიშროდ განათავისუფლო და მას არ მოუწიოს დნერში გერმანელების გადაყრა, იმ დნერში, რომელშიც დაიხრჩო თავი ფაშისტებისაგან შეურაცხყოფილმა მისმა საყოლემ.

და მინც, ამ რომანში გამოირჩევა ასტამურ მატახერას და რუსი ქალიშვილის, მედიცინის დის მამუნკას სახეები. მწერალი დიდი სითბოთი და სიყვარულით მოგვითხრობს ამ ორი გმირის უბრალო და ღრმად ამაღლებელი ცხოვრების ამბავს, მათ სსსრ-ის უნდა რეპრეზენტაციის უფრო მრავალმხრივ და ღრმად გვიხსნიან, მათი ინტიმური გრძობების თანაზიარსა გვხვდის.

ერთი შეხედვით ასტამური და მამუნკა არამცთუ განსხვავებული, სრულიად საპირისპირო ხასიათის გმირები არიან. მატახერა გულწაბრობილია, უქმელი კაცია, არ უყვარს გრძობების გამოღავნება, ამასთანავე ფიცხია და თავშეუქავებელი. მამუნკა მშვიდი, ნაზი, თანხაოცრად ამტანი ქალიშვილია, მისი გამოცვანა წინასწრობიდან არავითარ განსაცდელს არ შეუძლია. იგი თითქოს აფრქვევს და ასხივებს თავის გულის სითბოს. ალერსს, მისი მჭრუნველობა, ნუგეზიანი სიტყვა დაჭრულებს მძიმე წუთებში ისევე მატებს იმედს და სიცოცხლეს, როგორც ამ ქალიშვილისგვე სისხლი, დაუხარებლად რომ იღებს და იკლებს სხვათა დაუხარებლად. მაგრამ თანდათან ვხვდებით და მერე კი ვრწმუნდებით, რომ სულ ასეც არ ყოფილა საქმე. რაც უნდა განსხვავებული იყოს ასტამურისა და მამუნკას ცხოვრების გზა და გამოცდილება თუ ხასიათის გამოვლენები, მათ შინც ბევრი ჰქონიათ საერთო და, რაც მთავარია; მათ თურმე აახლოვებთ და ანათავებთ საოცარი სისპეტაქე, შინაგანი კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, მოვალეობის მაღალი გრძობა, და კიდევ, სულიერი სითბო და სინაზე, გრძობიერება და გულისხმიერება. მამუნკა ერთხანად გვარწმუნებს ყოველივე ამაში და ამიტომაც არის, რომ დაჭრილებს ღვიძლი დასავით უყვართ იგი. რაც შეეხება მატახერას. თავდაპირველად ფიქრი მის სულიერ სინაზეზე შეიძლება პარადოქსულადაც კი გვეჩვენოს, მაგრამ როდესაც ახლოს გავიციანთ მას, ამ გარეგნულად ტლამე, მოუხეშავ, გულწაბრობილი და ჭაჭლანა კავალერისტში აღმოვაჩინებ რბილი ხასიათის მქონე, გულჩვილ და გულისხმიერ ადამიანს.

ასტამურ მატახერას აუტანელი ხასიათი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ვერ ეგებება ჰოსპიტლის მუდრობებს იმ დროს, როცა ომი მძინვარებს, განსაკუთრებით კი ახლა, საბჭოთა ჭარბების გენერალური შეტევა რომ დაიწყოს. მთელი დღეები ჩუმად არის, ექიმების რჩევას გულმოდგინდ მისდევს, ეცნობა ომი უშიშროდ არ გათავდეს. რაიმე პროცედურას ოდნავ მინც თუ დაუფიცინებენ, ცეცხლდება, მედიცინის დებს ეჩხუბება, საყვედურებით ავებს, რომ კარგად არ უღლიან და ამიტომ უნდა რეპრეზენტაციის განკურნება, იმუტრება, რომ ყოველ მათგანს პასუხს მოსთხოვს „სადაც ჭერ არს და ვისთანაც ჭერ არს“. ამასთანავე მატახერა უსიტყვოდ, არამცთუ სიფიცხის, ყოველგვარი შეკამათების გარეშე იტანს სრულიად დაუმსახურებელ მწერს წყენას უკრინელ პილიტენკოსაგან კიევის განათავისუფლებაზე ჩამოვარდნილი საუბრის დროს, ამხანაგებს კი ასე უხსნის ამას: „მე ნაწყენი როდი ვარ... თქვენ გგონიათ მე მიჭავრდებოდა?.. არა, თავის ბედს უჭავრდებოდა. მშუ რა ქნას კაცმა, როცა ბოდმა გულს მო-



აწევბა, როცა რამე აწუხებს?.. ალბათ ამასაც თავისი მიწევი აქვს... ანეთ დროს ვინმეზე ჭავრი თუ არ ამოიყარე, დაიხრჩობი. ყველაზე უმცროსი მე ვარ და აბა რა ექნა? ადგა და ჭავრი ჩემზე იყარა?.. მატახერიას მშვენიერად ესმის, რომ პილიტენკო მასზე კი არ ბრაზობს, არამედ იმაზე, რომ იგი ზოსსიტალიში წევს იმ დროს, როცა საბჭოთა ჭარები კიევისთვის იბრძვიან. მას კარგად ესმის მეგობრის სულის მღელვარება და მიუხედავად თავისი სიმართლისა, უხმოდ, უდრტინველად იტანს პილიტენკოს გაცხარებას. ჩაქლანა და ფიცები ასტაპურის თბილი გულის ამხავი არა მარტო ამხანაგებმა, ზოსსიტალის თანამშრომლებმაც იციან, ამიტომაც არის, რომ მისგან, როგორც დიდი ბავშვი-მავდი, უხმოდ იტანენ მედიცინის დები საუკველურებს, ხოლო გამოთხოვების უმს კი ყველას ვული სწყუდება, რომ ეს თავმეუპავებელი კვალიერისტი სცილდება მათ. თვით მოხუცი გაღია აკულინა ივანოვაც კი, ვინც არაერთხელ იწვინა ასტაპურის ფიცხი ხასიათი, დიდი მღელვარებით ეთხოვება მას გაწერის წინ. მატახერიას, ამ გარგნულად მოუხეშავი, გაუთლელი ცხენოსნის აღამიანური სულის სინაზე განსაკუთრებულ ძალთ და სიღამწიზით იჩენს თავს მაშუქმელ სადმე მის წმინდა, წრფელ და გამოუთქმელ სიყვარულში, ვისაც თავის მხრივ კარგად ესმის ამ ვეება ვუყავის გულისთქმა.

დემნა შენგელაიას რომანს „წითელ ყუაჩოს“ თავის დროზე შეითხველიცა და სალიტერატურო კრიტიკაც და მსახურებული ინტერესით შეხვდა. გამოითქვა შენიშვნებიც, რომელთაგან ზოგი ანგარიშგასაწევი იყო. რომანს აუკარად არგო ბოლო გამოცემებში იმ ადგილების ამოღებამ, სადაც გმირები გრძელსა და მოსაწევი რიტორიკას მისდევდნენ. ზოგი შენიშვნა კი უმართებულოდ მკავდა. ასე მაგალითად, ერთი კრიტიკოსი რომანის საბოლოო შეფასებისას წერდა: „აქ არის ერთი ამბები ნამდვილი ცხოვრების ასახავად, მაგრამ არ არის ბეშმარტივად რელიისტური სურათი ცხოვრებისა, რადგან ეს ერთი ამბები ავტორს მოყავს პირობითად, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გვიჩვენოს ქალიშვილი — ყუავილის სახე, რომელიც გასდევს მამაკაცის ცხოვრებას“.

ომისშემდგომ პირველ წლებში. როცა ეს სტატია იწერებოდა, სალიტერატურო კრიტიკა დაბაჭიებით მოითხოვდა შიშველ სენტენციებს და მაღალფარდოვან ფრაზებს, რისი კვლიც ჩანს, აქ, ბეშმარტივ ლიტერატურას თვით რეალიზმის სახელითაც კი ვერ წართმევე პირობითობის უფლებას. პირობითობა არამეტოუ არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს სინამდვილის რელიისტურ მხატვრულ გახსნას, ტიპიური სახეებისა და ტიპიური გარემოს გამოყვეთას. ზოგჯერ სინამდვილის სურათების ზუსტი გადმოღებით უფრო მახინჯდება ცხოვრებისეული ხი-

მართლუ, პირობითობის მეშვეობით კი მხატვრულ საშუალება ეძლევა ღრმად და არსებითად გახსნადეს მას, შომამბეჭდავად და ემოციურად გამოყვეთის სათქმელი.

ერთგვარი პირობითობა მართლაც არის დემნა შენგელაიას რომანში და ეს მითუფრო გასკვირია, რომ რომანი ომისშემდგომ წლებში იწერებოდა, როცა ლიტერატურული ატმოსფერო საამისოდ არ იყო მინცდამინც ზელსაურელი, რეალიზმის სახელით იწლუდებოდა შემოქმედის მხატვრული ფანტაზია. აქ თვით ნაწარმოების სათაურიც კი — „წითელი ყუაჩო“ — მიგვანიშნებს მის ერთგვარ სიმბოლუკურ ხასიათს. ფრონტზე მიწვეულ გმირს ბეფან ადვლამეს მათ მიუვება აკვებნა წითელ — ყუაჩოს — თაო დარაშელოძეზე, წითელ კაბაში რომ მისდევს დამარულ ეშელონს.

მაგრამ რომანში მარტო ინტიმურ გრძნობებს როდი მიგვანიშნებს წითელი ყუაჩო, იგი მშვიდობიანი ცხოვრების სიმბოლოდ აქცია მწერალმა, პირობითად ეს ფუნქცია დააკისრა მას და ამით შეტი პოეტური განზოგადება მისცა. ასეთნაირად მივიღეთ ჩვენ იმ წლებში ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანი, სადაც ცხოვრებისეული სიმართლით და ღრმა ლირიზმით არის გახსნილი სამამულო ომის ეპოქის სულიც და საბჭოთა მებრძოლების სიძლიერეცა და სიღამწეც.

იმ დროის ქართულ მხატვრულ პროზას სამამულო ომის თემაზე არაერთი მოთხრობაც მოეპოვება. მათში, მართალია, რომანისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივობით არ არის გახსნილი მხატვრული სახეები, მაგრამ ზოგჯერ ნაკლებ შომამბეჭდავად როდია გამოყვეთილი საბჭოთა აღამიანების პატრიოტული გრძნობების სიძლიერე და სიმტკიცე.

სამამულო ომის გმირული ცხოვრებისადმი მიძღვნილ მოთხრობებში კონსტანტინე ლორთქიანიძე ერთი შეხედვით უბრალო ამბავში დიდი სიძლიერითა და სიცხადით ვეიხსნის საბჭოთა აღამიანის შინაგან ეთოლოშობილებას, მის ვუყავიკურ სულსა და ბუნებას. მწერალი თავისი მოთხრობის გმირის ხასიათის ერთ ნიშანდობლივ დეტალს შეამჩნევს და ამით ოსტატურად გადაუღობის თვალწინ მკითხველს გმირის შინაგანი საშუარის მთელ სიმდიდრესა და სიღამაწეს. ყუველივე ამის შემჩნევა პატარა, სულ რამდენიმე გვერდის შემცველ მოთხრობებშიც შეიძლება: „როგორ მოკვდა მოხუცი მებადურის“, „ერთხელ დამით“, „მინის დილა“, „თერგის ურღანებში“ და სხვა.

ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებადურის“, რომელშიც მწერალი ასე ამბილღებულად გვიუვება ერთი თავგანწირვის ამბავს. მართალია, ეს

მოთბრობა ხელ რამდენიმე გვერდს მოიცავს, მაგრამ ვასილ ჟიგანს სახე ღრმად იჭრება მკითხველის მეხსიერებაში. ამ ძაღლსა და ტყავად ქცეულ მოხუცის უმწიფო სხეულში თუ არ შეუღრეკელი სულია, ამას თუღდაც ის გვიჩვენებს, რომ ვასილ ჟიგანს მხარბეჭიანი გერმანელი ოფიცრის ყოველი შემოკვრის შემდეგ იმდენს ახერხებდა, რომ როგორმე ფეხზე წამომდგარიყო. ამაჲ მოხუცს არ უნდოდა მიწაზე ყოფილიყო განათხმული გერმანელის წინაშე და გასაოცარი იყო, სად პოულობდა იგი ძალას, ეს გულისხმობს განებორციელებინა. მხოლოდ საბჭოთა ადამიანის საყოთარი ღირსებისა და სიამაუის გრძობას თუ შეეძლო ფეხზე დაეყენებინა მისუსტებული მოხუცი, ესეც საკმარისი იქნებოდა ვასილ ჟიგანს ძლიერი ხასიათის გამოკვეთისათვის, მაგრამ ჩვენ მისი ჭეშმარიტად გმირული თავგანწირვის მოწამელად გვხვდის მწერალი. გლეხების დასახინებლად, რომ მათ დახმარება არ გაუწიონ პარტიზანებს, გერმანელები სოფლის მცხოვრებლებს ერთ მწკრივად დააყენებენ და ყოველ მეხუთეს ზერტენ. შემთხვევით მოხვდება ამ მწკრივში გლეხად გადაქმული საბჭოთა მწვერავი. ვასილ ჟიგანს შეიფარა საბჭოთა ქარისკაცი, მან გაათეგია ღამე, მანვე მოაკლევია გერმანელების არტილერიის განლაგება, ასე რომ მოხუცმა მებადურმა კარგად იცოდა მისი ვინაობაცა და დავალების დიდმნიშვნელოვანებაც. მეხუთე იყო საბჭოთა მწვერავი. მან ვაჟკაციური სიკვდილი განიწარხა და ერთხანს ხელი ვერ მოწყვტა რევოლვერს, მაგრამ მიხვდა, ამით საქმეს ვერ უშველიდა და ისედაც დარბეულ სოფელს ახალ უზედურებას შემტარდა, ამიტომაც თავს დასძლია და ჩიბინდა ცარბილი ხელი ათიოღო. ძვირფასი საღაწვერვო ცნობები მას ამა უნდა ჩაეტანა სამარეში, რომ უეცრად ვიღაცამ მხარი გაკრა და ადგილი შეუნაცვლა. გერმანელებმა მოხუც მებადურს ვასილ ჟიგანს ისრაღუს მწვერავისათვის გატენილი თოფი. „ასე მოკვდა მოხუცი მებადური, თუ ასეთ სიკვდილს სიკვდილი ეთქმისო“, გვეუბნება მწერალი მოთბრობის ბოლოს, მართლაც არ ეთქმის ამას სიკვდილი. ეს ზომ სიკვცხლის უკდავებაა, რისთვისაც გასწირა თავი ასე უზრადოდ ვასილ ჟიგანს. შემთხვევითი არ არის, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ერთ-ერთ მოთბრობას ციკლიდან „ბელორუსული მოთბრობები“ — „უკდავება“ ეწოდება და მისი გმირი ბაბუა რუხლო ვასილ ჟიგანს ღირსებული წინაპარია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ სამამულიო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა ვრცელი მოთბრობა „მწვანე ღილი“. აჲ მწერალმა შესძლო გამოკვეთა მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი სახეები, გადმოცა ომის პერიოდის ცხოვრების საერთო მაჩისცემა. ჩვენებინა საბჭოთა ადამიანების მაღალი შეგ-

ნება, გრძნობათა სიწმინდე, ცხოველური სიტიში. მწერალი აღმაფრენით გვიყვება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შესახებ სამამულიო ომის შიმში, მაგრამ ვაჟკაციობით სავსე წლებში. გვიჩვენებს განსაცდელითა და გმირობით სავსე ფრონტულ ყოფას, განწარბ უხვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ მისი მოთბრობის გმირები არაფრით გამოირჩევიან, არ წარმოადგენენ რაღაცა განსაკუთრებულობის ძალით აღბეჭდილ ადამიანებს და არც არაფრის აკეთებენ ისეთს, რაც სხვისათვის უჩვეულო ან მიუწვდომელი იყო. სწორედ ამ ჩვეულებრივის იერიშითა, რომ მოთბრობის გმირები ასე ღრმად და დამაჩერებლად გვიხსნიან საბჭოთა ადამიანების საერთო ხასიათსა და მონასწრაფვას სამამულიო ომის წლებში, წარმოგვიხსნიან იმ საერთო სულს, ერთგულებასა და სიყვარულს სამშობლოსადმი, რომლითაც გამსჭვალული იყო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე ამ მოთბრობაში ეპიზოდური სახეების მთელ გაღერებას ქმნის. მკითხველი ადვილად გაიხსენებს ვარდენ ჭიშკარიანს, ალიოშა გოლიკოვს, ფატიმას დედას თუ სხვებს. მაგრამ მოთბრობის საფუძველს ორი საბჭოთა ახალგაზრდის ბედი შეადგენს. ესენი არიან ქართველი ჭაბუკი ლადო ვაშალომიძე ვისაც მიუტოვებია თავისი საყვარელი საკოლმეურნეო საქმე და ახლა ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჟკაცურად იბრძვის სამამულიო ომის ფრონტზე და ოსი გოგონა ფატიმა. ომმა შეახვედრა და დააკვშირა ეს ორი სულითა და ზორცით განსალი, ღამაში ახალგაზრდა. მაგრამ იმავე ომმა დააშორა ისინი ერთმანეთს სამუდამოდ.

ავტორი როგორც უშუალო მოწმე ისე გვიყვება ამ გმირულს, თუმცაღა სევდიან ისტორიას. ლადო ვაშალომიძე მას ხიბლავდა თავისი უწაღო შესახვედრობით, ღამაში და ვაჟკაციური სახით, შავი ბრიალა თვალებითა და არწივისებური ცხვირით, ღონიერი მხარბეჭითა და ღაღად გაშლილი გულ-მკერდით, მაგრამ უყვალა მეტად მას ლადოს ღიმილი უყვარდა, რომელიც თითქოს ასხივონებდა ამ ქართველი მეომრის იერს. იგი საუკეთესო მებრძოლი და მწვერავი იყო. ყველას უყვარდა ნაწილში ვაჟკაციობისა და შეუღრეკელობისათვის, გულგაშლილობისა და მხიარული ხასიათის გამოც. ლადოს ღრმად სჭეროდა გამარტვება და მისი რწმენა სხვებზეც გავლენას ახდენდა.

ერთ-ერთი დაწვერვიდან ლადო აღარ დაბრუნებულა. ამხანაგმა საჭირო ცნობები მოიტანა, ლადო კი მის გაოსვლას იცავდა, მტერს აკავებდა. ეკვი აღარ ეპარებოდათ ლადოს დაღუბვაში, გულით დამარდნენ მებრძოლები, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ იგი კვლავ გამოჩნდა ნაწილში, თუმცა საოცრად გადასხაფერებული ჩანდა. ღიმილი აჟღერა ვაშალომიძეს და ეს სულ უცვლიდა იერს, აღარც ძვე-

ლებური სიღალღე და სიხალისე ეტუპობდა. გულჩაობრობილი უსიტყვოდ ასრულებდა თავის საბრძოლო შოკალეობას.

მწერალი შალე ხდის ლაღო ვაშალოშიძის ამ გარდაქმნის საიდუმლოებას ფარდას და ღრმა ლირიზმით გვიყუება თავისი მოთხრობის ცენტრალური გმირების მძიმე, მაგრამ ლამაზ თავ-გადასავალს, გვიყუება შაო დიდ მამულშვილურ გრძნობასა და პირველ სიყვარულს, რომელიც ომის მკაცრმა სინამდვილემ იშხვერბლა. ფატი-მამ და დედაშისმა იხსნეს სიკვდილისაგან მძიმედ დაჭრილი საბჭოთა მეომარი, შეიკვდილეს ლაღო და დედახანს უმჯურნაღეს, რომ ფეხზე წამოეყენებინათ. არაფერია გასაკვირი ამაში, რომ ამ ორ მშვენიერ ახალგაზრდას წრფელი გულთი შეუფარდათ ერთმანეთი. ფატიმა ოცნებობდა მონაწილეობა მიეღო აქტიურ ბრძოლაში გერმანელების წინააღმდეგ, ამიტომაც გადაწყვეტს ლაღოსთან ერთად დააღწიოს თავი ოკუპირებულ რაიონს, ფრონტის წინა ხაზს მი-აშუროს და თავის საყვარელ ადამიანთან ერთად იბრძოლოს და იცხოვროს. მაგრამ ბრმა შემთხვევა შეიწირავს ამ სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ქალიშვილს. მოხუც ტრაქტორისტს ბიშბულაოს მანქანა ვერ აემუშაუებინა, გერმანელები მას სიკვდილით ემუქრებოდნენ. ფატი-მამა შეეცოდა მოხუცი მეზობელი, ტრაქტორთან მივიდა, ადვილად უპოვა დაზინებულნი ნაწილი და მანქანა აამუშავა. იგი მადლობას ელოდა ბიშბულაოსაგან, მოხუცმა კი ზურგი შეაკცია მწუარაღად. გვიან მიხვდა ფატიმა, რომ გამოცდილი ტრაქტორისტი განზრახ არ ამუშაუებდა მანქანას. იგი განიზრახავს თავისი უფროსის გა-მოსწორებას. მეზობლებისა და თანასოფელიე-ბის თვალში შეღაბული სახელის ადღგენას, რაც მთავარია, თავისი სინდისისა და მოვალეობის წინაშე გამართლება და მოქალაქეობრივი ვა-ლის მოხდას, ამიტომაც წაუციღებს ცეცხლს კა-ლიებს და შვიდას ურემ მძან ისე გადასწავს. რომ ფერფლისა და ნაცრის მეტს არაფერს და-უტოვებს გერმანელებს. ფატიმა მოასწრებს გაქ-ცევას, ერთი ორღობე კიდევ და ლელიანს შეე-რეოდა, მაგრამ ბრმა შემთხვევამ გასწირა იგი. ღობეზე გადახტომის დროს სარი მოუტყდა და უკანვე გადაშვარდა. მხოლოდ მესამე დღეს შის-ცეს უფლება ფატიმას დედას ქალიშვილის გვა-ში საზრჩობელიდან ჩამოგზნა და მიწისთვის მიგზარებია.

ლაღო ვაშალოშიძე კი გმირულად იღუპება ერთ-ერთი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე უსახელო მადლობზე. იგი სიხსლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვის, მარტო რჩება, მაგ-რამ მტერს არ ანებებს ამ პატარა უსახელო მადლობს და იერიშზე გადასული მისი თანა-მებრძოლები საყვარელ მეგობარს უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსდა მიუსწრებენ მხოლოდ-ასეთია კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრო-

ბის „მწვენი ღლინს“ ამ ორი შესანიშნავი გმი-რის ცხოვრების დასასრული, სავსე ადამიანური ღირსებთა და სიღამაშით, სავსე გმირობითა და სიყვარულით.

ქართველმა მწერლებმა იმ წლებში შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებებისა სამამული ომის თემაზე, რომელთა მიზნობრივ საშუალება აქ არცა გვაქვს და იქნებ არც არის საჭირო, რაკი განსაკუთრებით დამახასიათებელ და მნიშვნელო-ვან რომანებზე და მოთხრობებზე უკვე ვთქვით კიდევ. მაშინვე ცხადი იყო, ამით არც და ვერც ამოიწურებოდა ეს თემა. სამამული ომი იმდენად დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ იგი მომავალშიც დიდხანს უნდა დარჩენილიყო საბჭოთა მწერლობის შთა-გონების წყაროდ. ასეც მოხდა და ამაზე, ისევე როგორც დროის მიერ მოტანილ სხვა სიახლეებ-ზე, უპირატესად გმირის ინტერპრეტაციის თვალ-საზრისით წამოჭრილ დისკუსიებზე და მწერ-ლობის გამოცდილებაზე მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

### ორიენტაციათა ცვლის დრო და მისი ნაყოფი

ქართულ სალიტერატურო კრიტიკას თავის არსებობის მანძილზე სათანადო წვლილი მიუძღ-ვების ეროვნული მწერლობის განვითარებაში. ამის უარყოფა უმართებულეს საქციელი იქნება. ზოგ მწერალს კი დასჩემდა ერთგვარი ნიმილის-ტური დამოკიდებულება კრიტიკაში (რასაც უფრო ხშირად პირადი განაწყენება უდვებს ხო-ლმე საფუძვლად), მაგრამ ეს მხოლოდ განწყო-ბილებას თუ ქმნის, არსებითად კი არა ცვლის და ვერც შეცვლის ვითარებას. ვითარება კი ის გახლავთ, რომ კრიტიკა საბჭოთა მწერლობის განვითარების უკიდვრეტაშე მისი განწყოვებითი შემადგენელი ნაწილი, მისი მიღწევებისა თუ შეცდომების მონაწილე და მოზარე იყო. სამ-წუხაროდ, ათასგვარი მიზეზების გამო (რაც ხშირ შემთხვევაში „დადაშაულის შემამხუბუქებელ გა-რემოებადაც“ გამოდგება), საერთო კონვენტუ-რას აუღლილი კრიტიკა ზოგჯერ არცთუ სწორ გეზს უსახავდა მწერლობას, ვერ ზედავდა ან განზრახ უზუჭავდა თვალს სიმართლეს, რაკ ეს უკანასკნელი მაინცდამაინც პატავში არ გახლ-დათ.

ომისშემდგომ წლებში, ახლა უკვე საყოველ-თაოდ ცნობილ ვარემოებათა გამო (ფაშოზმზე ძღვევაშობილი გამარჯვებით გამოწვეული კანო-ნიერი სიხარულის და ხიამაყის გრძნობის გაღა-ზრდა სიამაჰარავნეში და უყოჩობაში, პიროც-ნების კულტის ატმოსფერო და სხვა), ჩვენს სა-ზოგადოებრივ ცხოვრებაში თავი იჩინა ნაკლო-ვანებობა და სიძნელებების მიჩქმალვის, პარა-დული განწყობის ტენდენციებმა. იმ თვალთა-ხედვით, ჩვენი და ჩვენებური, ანუ საბჭოთა და

საბჭოური უკმაყოფირო ხაუკეთების იყო და დღისათვის სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. ასევე, საბჭოთა ლიტერატურის ისტორია რეალური განვითარების პროცესად კი არ გადამოცემოდა, არამედ იმის შთამავლებლად იყო მოწოდებული, თითქმის ეს იყო ერთიანი მშლავური აღმავლობის პროცესი. ამ მოგონილი „განუხრელი აღმავლობის“ დახასტიკებლად მახინჯდებოდა სინამდვილე, უტოფრად გამოითქმოდა სიკრუე, აღრეული იყო მხატვრული ნაწარმოებების შეფასების კვლავიერობა და ყალბი კრიტიკის უმეობა.

საკვ. X X ურილობის შემდეგ, რომელზეც ამბობენ პიროვნების კულტივ და მასთან დაკავშირებული მანკიერებების, უარყოფილ იქნა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი დოკუმები (თუმცა ამას ცოცხალი მოგვიანებით სხვა ხასიათის, ვოლუნტარიზმით განპირობებული არსებითი ხასიათის შეცდომები მოჰყვა), საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის გაშუქება უფრო სწორი, ობიექტური პოზიციებიდან ხდებოდა. ცხადია, კრიტიკამ აღიშალა მხა იმ უსაფუძვლო თეორიის საწინააღმდეგოდ, რას მოსწონს მიხედვით საბჭოთა ლიტერატურის განვითარება ერთიანი ტრიუმფალური აღმასვლა იყო. როგორც ეს გვჩვენებს ზოლმე, ამგვარი პოლემიკით გართული ზოგი კრიტიკოსი (სახალხო დემოკრატიის კვლევებში, მერე კი ჩვენშიც) მეორე უკიდურესობაში გადავარდა და ახლა მას ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ლიტერატურა არა აღმავალი, არამედ სწორი და დამავალი გზით ვითარდებოდა. მათი მოსაზრებით, საბჭოთა ლიტერატურა, მხატვრული თვალსაზრისით მხოლოდ 20-იან წლებში იდგა სათანადო სიმაღლეზე, მერე კი თანდათანობით ხელ უფრო და უფრო დაეშვა ძირს და დაკარგა ეს მისთვის განმსაზღვრელი თვისება. არც ამ მეორე უკიდურესი მოსაზრების უსაფუძვლობაა მწელი დასამტკიცებელი. ესეც ადვილად ბათილდება საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი ისტორიით.

ლიტერატურის ისტორიას (ისევე როგორც ნებისმიერ ისტორიას) ფაქტობრივად არა სჭირდება, უფრო პირდაპირ ითქვას და არ მიიჩქმალოს ის სიძნელეები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მისი განვითარების განსაზღვრაში. ასე რომ მოკლეყოფილ 50-იანი წლების კრიტიკა, იგი ნათლად წარმოიდგინდა საბჭოთა ლიტერატურის მიერ გამოვლილი გზის მთელ სიორთულეს და სიშარბულეს, იმ გზისა, რომელზეც მან გამარჯვებებთან ერთად შეცდომებისა და შემოქმედებითი მარცხის სიმწარეც არაერთხელ იწვნია. ასევე ნაკლები იქნებოდა შეცდომები და დღეებითი გვირის საკითხის თეორიულ და პრაქტიკულ გადაწყვეტაში, მწერლობა რომ არ აჰყოლოდა კონსერვატიურულ მოთხოვნებს და გულმსუფთა-მთლიანად თავად ცხოვრებისათვის მიეპყრო, მისი კარნახით ეწერა.

თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ლიტერატურის გვირი, მსჯელობა და კამათი ამის შესახებ ამ ლიტერატურის არსებობის პრაქტიკულად დღევანდელ დაიწყოს და დღემდე გაძლდება. მომავალშიც იქნება მწერლობის და საზოგადოებრიობის უფრადლების ცენტრში, მუდამ დაჩემა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის საგნად. ამაში არაფერია გასაკვირი. მართო იმითა კი არა, რომ თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახის შექმნა, დადებითი გვირის ჩვენება საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა, არამედ იმითავე, რომ ცხოვრების განვითარებასთან ერთად იცვლება და ვითარდება ადამიანიც და, ამდენად, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ამ პრობლემას ახალ-ახალი, დროის მოთხოვნების შესაფერისი ინტერპრეტაცია ეძლევა.

ამტომაც იყო, რომ დადებითი გვირის პრობლემა ზნირად ხდებოდა ლიტერატურული დისკუსიების საგანი. ცხოველი დისკუსია გამართა ამ საკითხის ირგვლივ საბჭოთა კავშირის მწერლების მეორე ურილობის წინა პეროდში. დისკუსიის მსვლელობის დროს გამოშვდავანა არა მართო დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისები, არამედ სერიოზული ხასიათის შეცდომებიც დადებითი გვირის ცნების განსაზღვრაში და პრაქტიკულ ანალიზში ორთავ ძირითად მეტოქეთა მხრივ. მწერლების მეორე ურილობაში გადაჭრით უარყო უველა ის მოსაზრება, რომელიც ნებით თუ უნებლიედ მოითხოვდა ცოცხალი შემოქმედებითი პრაქტიკის რაიმე მხა სქემებით შეზღუდვას და მოუწოდა მწერლებს საბჭოთა ადამიანების, ჩვენი თანამედროვეების მხატვრული სახეები შექმნათ მდიდარი ცხოვრებისეული პრაქტიკის საფუძველზე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ურილობის მართებული გადაწყვეტილებისა, წინასაყრილობო ლიტერატურულმა დისკუსიამ, რომელიც გამოხატავდა მწერალთა ერთი ნაწილის არასწორ პოზიციას დადებითი გვირის ინტერპრეტაციაში და მის პრაქტიკულ გადაწყვეტაში, მაინც გარკვეულწილად არასაბარბილო როლიც ითამაშა და ერთგვარი დეზორიენტაცია კი გამოიწვია.

ამ დისკუსიის დროს მწევა კამათი ძირითადად ორ მონიწილდებულ მხარეს შორის ახტდა. ერთი მხარე არა მარტო იცავდა საბჭოთა ლიტერატურაში დადებითი გვირის სახის შექმნის კონსერვირებას, არამედ საკითხი არსებითად განსაკუთრებული, გამორჩეული სახეების შექმნის აუცილებლობაზეც დაჰყავდა, საბჭოთა ლიტერატურის სრულფასოვანი გვირებად მხოლოდ, ან უფრო იდეალურ გვირებს მიიჩნევდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ იდეალური გვირები მათ მეტად სწორსაზოგად და ერთგვარად პრიმიტიულად ეცხებოდათ. მეორე მხარე კი, პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ლიტერატურაში იდეალურ

გმირების შექმნის ტენდენციას და მორალური კოდექსების ხელოვნურად შატარებულ ამ გმირთა უარსაყოფელ ბრძოლაში, ფაქტურად, საერთოდ დადებითი გმირის წინააღმდეგაც კი გამოდიოდა. ეს უკანასკნელნი პრინციპულად მოითხოვდნენ წინააღმდეგობრივი მხატვრული სახეების შექმნას. მათი აზრით, მხოლოდ იმ გმირებს შეეძლოთ შქონოდათ გავლენა მკითხველზე, რომლებიც თანდათან დაადწვიდნენ თავს მათთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, ან თუნდაც სულაც არ დაადწვიდნენ თავს. ამ მიზნით, ისინი მოითხოვდნენ მხატვრულ დამაჯერებლობისათვის ერთგვარად ვაცოცხლებინათ ლიტერატურული გმირი ხასიათის რაიმე უარყოფითი თვისებით.

ძნელი არ არის (ყოველ შემთხვევაში ახლა მინდა) იმის მიხედვარა, რომ იმ წინასაყრილობო დისკუსიის მონაწილეთა როგორც ერთი, ისე მეორე მხარეც ცდებოდა, უკიდურესობაში ვარდებოდა. უნდა მუდამ გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება ერთი, ან თუნდაც რამდენიმე საერთო თარგის გამოკრა, რისი მიხედვითაც შეიქმნება შედეგ დადებითი გმირების მხატვრული სახეები. მართალია საბჭოთა ადამიანებს აქვთ საერთო შინაგანი, ინტერესები, მისწრაფებები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ საზოგადოების ყოველ წევრს არ გააჩნდეს თავისი ინდივიდუალური ხასიათი, განუმეორებელი ბიოგრაფია.

ლიტერატურის მიერ შექმნილი დადებითი სახეები გადმოგვცემენ საბჭოთა ადამიანების შრომითი საქმიანობას თუ მოქალაქეობრივ მოვალეობას, გენებზე მათ გმირობასაც, გვიჩვენებენ იმ სიძნელეებს, რომელთა დაძლევა უზღობათ ასალი საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლის გზაზე, გვიხსნიან მათი ძლიერების წყაროს — მაღალ შეგნებულებას, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობას, კომუნისტური იდეალებიანდმი ერთგულებას. მაგრამ ამგვარი შედეგი მოაქვს მხოლოდ იმ სახეებს, რომელთა „წინააღმდეგობაში“, დამაჯერებლობაში მკითხველს ეგვი არ შეეპარება. ის ლიტერატურული გმირები კი, რომლებიც კი არ იმარჯვებენ ცხოვრებისეულ სირთულეებთან ბრძოლაში, არამედ დაუბრუნებლად მისრიალებენ მწერლის ნების წყალობით შექმნილ ოლი ცხოვრების გზაზე და თან მაღალფარდოვან ფრაზეს აფრქვევენ, არ წარმოადგენენ რეალისტურ მხატვრულ სახეებს და არც რაიმე წემოქმედების მოდენა შეუძლიათ მკითხველზე.

ცხოვრება აღსავსაა სიდიადითაც და სიძნელეებითაც, ამაღლებულითაც და ბიწიერითაც, სიკეთითაც და ბოროტებითაც. ყველა ადამიანს ბრძოლის ერთნაირი უნარი არა აქვს სიძნელეთა და უკეთურებათა დასაძლევად. ეს დამოკიდებულია არა მარტო მის შეგნებაზე, გონებრივსა და ფიზიკურ შესაძლებლობებზე, არამედ ხასიათის სიმტკიცეზე, ნებისყოფაზე, ტემპერამენტზე და მიეღ რიგ არსებით თუ არარსებით მხარეებსა და მომენტებზე, რაც თითოეული ადამიანის ცხოვრებას თავისებურსა და განუმეორებელს ხდის. მხატვრული ასახვის პროცესი კი გულისხმობს როგორც ცხოვრებისეული მოვლენის განზოგადებას, ასევე მის კონკრეტულ-ინდივიდუალურზე ხასით გადმოცემას. სწორედ ამ ინდივიდუალიზებული ზოგადის გახსნას გულისხმობს ტიპიზაციის მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი კანონი. ტიპიზის ერთ-ერთი მხარის იგნორირება იწვევს მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილის არასრულყოფილად გადატანას, საბოლოო შედეგად კი მარცხს.

ამიტომაც, ერთი მხრივ, მართალი იყო წინასაყრილობო დისკუსიის მონაწილეთა ის ჩავთვი, რომელიც მოგონილი განსაკუთრებული გმირების ნაცვლად ლიტერატურისაგან მოითხოვდა რეალური, ცოცხალი ადამიანების მხატვრული სახეების შექმნას, მათთვის დამახასიათებელი ღირებულებითა და ნაკლით. მაგრამ, თავის მხრივ, დისკუსიის მონაწილეთა ამ ჩავთვიდან ზოგიერთნი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ. ისინი ფაქტურად ეპოქის, დროის მოწინავე ადამიანის მხატვრული სახის შექმნის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ. უაბსტრაქტურობას და საერთოდ ამაღლებულს ისინი უპირისპირებდნენ ლიტერატურაში ცხოვრების გულგრილი ასახვის ტენდენციას. მათი აზრით, მწერლობა არ უნდა დაინტერესებულიყო განსაკუთრებული ცხოვრებაში და მხოლოდ მის ყოფითი მხარეების წვდომით დაქმნაყოფილებულიყო.

საბჭოთა მწერლების მეორე და მესამე საკავშირო ყრილობებზე სერიოზული, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ლიტერატურის ამ უმთავრეს, სახიციოცხოლო მნიშვნელობის შქონა საკითხებს და მტკიცედ იქნა უარყოფითი ყოველგვარი ცდა იმისა, რაც წლუდავს მწერლის შემოქმედებით თავისუფლებას მაღალიდურით. ცხოვრებისეული სიმართლით ხავსე, ამაღლვებელი ნაწარმოებების შესაქმნელად ორიგინალური მხატვრული ფორმების და ბერძნების შეჩივრაში. გამოჩინილმა საბჭოთა მწერალმა კონსტანტინე ფედინმა თავის სიტყვაში მეორე საკავშირო ყრილობაზე მწარედ დასცინა იმ მწერლებს, რომლებიც კრიტიკისაგან შუა პროპორციებს ელანს და ზოგჯერ „ახთ რევიზიის მსგავს რჩევას იღებენ: სოციალისტური რეალიზმი მოითხოვს: 50,0 დადებით გმირს, 5,0 უარყოფით გმირს, 1,00 საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს, 1,00 შთაგონებულ რომანტიკას, 100,0 აქვა დისტიალიტას“.

როგორ უნდა ყოფილიყო თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის გმირი? ეს საკითხი 50-იანი

წლების მანძილზე მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და ეს დისკუსია მართო თეორიულ ხუროთმოძღვრული მიმდინარეობდა, მასში ჩაბმულნი იყვნენ თვით პროზაიკოსებიც, გამოხვედითადაც და მხატვრული ნაწარმოებებითაც.

ომის შემდეგ წლებში საბჭოთა ლიტერატურასაც მოუხდა სერიოზული შეცდომებისა და დაბრკოლებების დამლევა. იმ დროს ოფიციალურად აღიარებული თეორიული დებულებები საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების უკონკრეტოების შესახებ, ტიპიურის როგორც ვარკვეული სოციალური ძალის არის გამოხატვის შესახებ და კიდევ არაერთი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით დაკანონებული მცდარი მოსაზრება, აშკარად აფერხებდა იმ ხანის ლიტერატურის განვითარებას, კემპარტიად ღირებული მხატვრული ნაწარმოებების შექმნას. სინამდვილის მეტ-ნაკლებად უგულვებელყოფამ და ცხოვრების შეფერადებულმა ასახვამ ლიტერატურა ერთგვარად ააციდინა თავის ძირითად მიზანსა და დანიშნულებას — მართლისმოქმედობას, სანდო მხატვრულ მემკვიდრეობას. ამის უღებდად ლიტერატურაში თავი იჩინა სქემატიზმმა, ხელოვნურობამ, სიყალბემ. სწორედ იმ წლებში მოიკიდა ფეხი მცდარმა თეორიულმა მოსაზრებამ, რომლის მიხედვითაც ლიტერატურას უპირატესად იდეალური გმირების სახეების შექმნა მოეთხოვებოდა. იდეალური გმირების კატეგორიას კი მოაკუთვნებდნენ იმ მხატვრულ სახეებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს წარმოადგენდნენ ყოველგვარი, თუნდაც უმცირესი აქლის და შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე. ასეთი გმირები უფრო მაღალფარდოვანი ფრანგების რუპორები იყვნენ, ვიდრე ომისშემდგომი პერიოდის უძნელესი აღდგენითი პროცესების მონაწილე საბჭოთა ადამიანების განუყოფელი მხატვრული სახეები.

იმ წლებში მომრავლდა მხატვრული ნაწარმოებები (არა მართო ლიტერატურული), რომლებშიც ცხოვრებისეული მოვლენები მეტისმეტად შეფერადებულ-შელამაზებულად იყო წარმოდგენილი. ასეთი ნაწარმოებების გმირები, საბჭოთა ადამიანების რეალური ხასიათის, გრძობების, ცხოვრების წესის, ყოფის გამოხატვის ნაცვლად, უფრო ავტორების წინასწარ აკვიტებული სქემების უბერიო ხორცშესხმას წარმოადგენდნენ. მათთვის არავითარი სიძნელე არ არსებობდა, ერთი ხელის დაკვიტო აკეთებდნენ ყველაფერს, ამასთანავე ერთად, ყოველი მათი სიტყვა, მოქმედება, უბრალო უცხიდაც კი ოდნავადაც არ არღვევდა მათ საოცარ მარშონიულ მთლიანობას. ასეთი გმირებს იდეალურები ეწოდებოდათ და მათ თავიანთი მაგალითის ძალით უნდა აღეზარდათ მკითხველები, მაგრამ მათი რეალური წეგავლენა ფაქტობრივად ნულს უდრიდა, რადგან ლიტერატურასა და ხელოვნებას ყველაზე უფრო მეტად სწორედ სიყალბეს არა

მატობენ და ვერც თავად ისინი გულობენ მას, რაც კემპარტიად მხატვრულ ნაწარმოებებთან გვაქვს საქმი.

ამგვარი სენი მანინ საერთოდ შეეპარა მრავალფეროვნულ საბჭოთა ლიტერატურას. უკონკრეტოების თეორიამ და იდეალური გმირების ცნების მცდარმა ინტერპრეტაციამ ქართულ ლიტერატურაშიც საგრძნობლად იჩინა თავი, ხელი შეუწყო უფერული, ნაკლებდამაქერებელი, ფუფუნა ნაწარმოებების შექმნას. ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მსხვერპლი ამ ტრენდების ქართველ მწერლობაზე სოლომონ თავაძე გახლდათ. მას საერთოდ ახასიათებდა მიდრეკილება იმისა, რომ საკუთარი ნაწარმოებები ისეთი გმირებით დაესახლებინა, რომლებიც თვალნათლივ დაგვანახებდნენ და გვაგრძნობინებდნენ მოწინავე საბჭოთა ადამიანების მთელ სიმდიერებს და სილამაზეს. მაგრამ მწერლის ეს კარგი ჩანაფქრი ზშირად არგავდა თავის მნიშვნელობას შემოთმინებული არასწორი პოზიციისა და სუსტი მხატვრული განხორციელების გამო.

ამე მაგალითად იმის იმ დროის ერთ-ერთი რომანი „ქართული ფილიდი“ აქტუალურ თემას. ომისშემდგომ წლებში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ექვლენა. ცხადია, ცხოვრებაში ეს უდიდესი სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. რომანიც ეტრალური გმირი ტარეილ ბარუციანი კი უფრო ამ გიგანტი ქარხნის მშენებლობით აღფრთოვანებულ გარეშე მეთვალყურესა მგავს, ვიდრე მის ფაქტიურ მშენებელს. ქარბი პათეტიკურობა, რაც ხელოვნურობისა და ერთგვარი სიყალბის იერსაც აძლევდა იმ მხატვრულ სახეს, უთუოდ ვენებს გმირსა და მთლიანად რომანსაც. სამწუხაროდ, ამგვარი ზერელეობის კვალი, ცხოვრებაში რეალურად მიმდინარე პროცესების შეცნობისადმი უგულვისურობა, ხასიათების ღრმად წვდომის ნაცვლად მაღალფარდოვანი ფრანგული გიგანტი გატაცება იმ დროის ქართული პროზის საკმაოდ გავრცელებული და დამახასიათებელი ნაკლია.

ამ ხასიათის ნაწარმოებები, სადაც ავტორთა მიერ საგანგებოდ იყო ხელოვნურად შეფერადებული და შელამაზებული ცხოვრება, სინამდვილეში კი, არ შეეცდებიო თუ ვიტყვი, სწორედაც პირიქით, გაღარიბებული და გაუფეროვებული იყო იმ წლებში საბჭოთა ხალხის სირთულეებთან და სიძნელეებით აღსავსე ცხოვრება, ოფიციალურადაც და სალიტერატურო კრიტიკის მხრივაც მხარდაჭერის პოკებდნენ, ეძღვნებოდათ ქების რეცენზიები, აღინიშნებოდნენ ათასგვარი წარჩინების ნიშნებით, თვით უმაღლესი პრემიებითაც კი. იმავე დროს, იმ ნაწარმოებებს, სადაც ცხოვრება ასე თუ ისე მართლად და ხინტურდოდა იყო წარმოსახული, არც ცხოვრებისეულ კონკრეტებს ჰქონდა თვალის მოხუჭული, გულცივად ხვდებოდნენ, გზას უკეტავდნენ და თუ მაინც

მოსდებოდა იხე, რომ შშის სინათლეს იხილავდნენ, სალიტერატურო კრიტიკის იერიშის ობიექტებად იქცეოდნენ.

ერთ-ერთი ასეთი თავის დროზე უმართებულად გაკრიტიკებული ნაწარმოებთაგანია მიხეილ მრეკლიშვილის ვრცელი მოთხრობა „ხარატაანი კერა“, რომლის დადებით თუ ნაკლოვან მხარეებს იმ წლების სალიტერატურო კრიტიკა არასწორი პოზიციებიდან უდგებოდა. კრიტიკა ერთხმად ამტკიცებდა, თითქოს ის კონფლიქტი, რომელიც ამ ნაწარმოებს უდევს საფუძვლად, ანარქალური და ხელიკონური იყო. მწერალს უფუნებლდნენ ზურია ხარატელის სახეს იმ მოტივით, თითქოს ასეთი აღაშინებინა იმ პერიოდში უკვე აღარ მოიძებნებოდა ქართულ სოფელში და ამდენად თითქოს სახეს თავისი ფუნქცია დაკარგული ჰქონდა. ამასთანავე, სალიტერატურო კრიტიკა იძულებული იყო ეღიარებინა, მხატვრულობის თვალსაზრისით მიხეილ მრეკლიშვილის მოთხრობა უდავოდ საინტერესო მოვლენააო ქართულ მწერლობაში. მაგრამ იმის შესახებ, რომ მოთხრობის მხატვრული ღირსება შეპირობებული იყო პირველ რიგში სწორედ ცხოვრებისეული კონფლიქტის ღრმად გახსნითა და ჩვენებით, სალიტერატურო კრიტიკა დღემდე, მკითხველმა კი ეს მოთხრობა სწორედაც პრობლემის მწვევად დაუყენებია და თამამი გადაწყვეტილსავეს მიიღო ინტერესით.

მიხეილ მრეკლიშვილმა შეძლო ოსტატურად გაეხსნა ზურია ხარატელის გაორებული ხასიათი. ამ ძარღვმაგარი გლეხის შინაგანად ბოხოქარი ცხოვრება მთელი რიგი სხვაწარმოებერთაა შეპირობებული, რაც მას სხვა თანასოფლელებისაგან უთუოდ განასხვავებს, ხოლო ცხოვრების თავისებურება კი თავისთავად ასვამს დაღს გვირის ხასიათსა და შეგნებას, თავისებურ განცდებსა და მღელვარებას იწვევს ზურიაში.

ზურიას გაორებულ ხასიათში მარცხდება ის მხარე, რომელიც ძველის ნაღვერდებით ფეთქავდა, და იმარჯვებს ახალი ცხოვრების ერთგულება და სიყვარული, უთუოდ აწვადებდა თავის დროზე კრიტიკა, როდესაც ზურია ხარატელში მხოლოდ წარსული მავნე ჩვევების მატარებელ გვირს ხედავდა, გინდაც ასე ყოფილიყო, მაშინაც კი არ ეთქმოდა საუკვედური ავტორს, რადგანა არამთელ ორმოციან წლებში, ახლაც არ არის ნაწილი აღაშინებინა თავისუფალი ძველი, დრომოკმული ტრადიციებისაგან. მით უმეტეს, რომ ზურია ხარატელი მხოლოდ წარსულის ჩვევებით როდი ცხოვრობს, და თუ მას მიიმიე განცდებისა და უყოშანის პერიოდი ჰქონდა; უნდა გავუგოთ გვირსაც და ავტორსაც. მიხეილ მრეკლიშვილმა დიდი დრამატული სიმძაფრით დაგვიხატა ზურია ხარატელის სახე, რომელიც ყოველივე ამის გამო ღრმად აღელ-

ვებს მკითხველის გულს, ბეშმართად ემოსხმება შემოქმედებას ახდენს მასზე.

ამ რთული და წინააღმდეგობრივი გვირის გვერდით მკითხველი განსხვავებული შეგნებისა და ბუნების, უფრო მთლიანი ხასიათის პერსონაჟებსაც ხვდება და უძლეადი ერთად იმ დროის სოფლის ცხოვრებას მართლად წარმოგვიასახვერ. განსაკუთრებით შთაბეჭდავად არის გამოკვეთილი ზურია ხარატელის რძლის ნატოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის აქნა ბუტურაულის სახეები.

მიხეილ მრეკლიშვილის „ხარატაანი კერის“ ღირსებას უპირველეს ყოვლისა ის კონფლიქტები განსაზღვრავს, ამ ნაწარმოებს რომ უდევს საფუძვლად და უთუოდ ცხოვრებიდანაა აღებული. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა თვალსაზრისით იხე უდავოდ როდიღაა რომანი. ავტორს საქმოდ ხშირად ღალატობს სახეობრივი აზროვნების უნარი, ნაწარმოებში იხეთ ადგილებსაც შევხვდებით, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მხატვრულ თხრობასთან.

როგორც უკვე ვთქვი, მიხეილ მრეკლიშვილის რომანი „ხარატაანი კერა“ უკონფლიქტობის თეორიის მიმდევართა მიერ დაწუნებულ იქნა, მაგრამ თავად ამ თეორიას დიდი დღე არ ეცაო ხელოვნურობისა და უსიყვარულობის გამო. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში 50-იანი წლების შუა ხანიდან მოყოლებული უდიდესი მნიშვნელობის გარდატეხები მოხდა. კრიტიკის ტალღას ვერც ის ლიტერატურული ნაკადი გადაურჩა, რომელიც ცხოვრების რეალური მოვლენების ღრმა ასახვის ნაცვლად სინამდვილის ზერედი და შეფერადებულ ჩვენებას ირჩევდა. მაგრამ უკონფლიქტობის ტენდენციას ზოგიერთმა მწერალმა დაუპირისპირა მოგონილი, ხელოვნურად გართულებული და გასწავილებული კონფლიქტები, რომლებიც ცხოვრების სიმართლის მხატვრული წარმოსახვის თვალსაზრისით ისევე მცდარი იყო, მხოლოდ უკვე სხვა უკიდურესობით, როგორც თავის დროზე უკონფლიქტობის ტენდენცია.

იმდენად არაპოპულარულნი იყვნენ ომისშემდგომი ლიტერატურის ის გვირები, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ რეალურ ცხოვრებას, იმ სიძნელეებს, რომელთა გადალახვაც საპირობა აღაშინებს უხდებოდათ, რომ მათ დასაპირისპირებლად ომონენტებმა სულ მთავრობის გვირს წამოაყენეს. ესენი მოითხოვდნენ, რომ მხატვრული ნაწარმოებების გვირები უსათუოდ ყოფილიყვნენ რაიმე ნაკლოვანი მხარით ნაჩვენები, რაიმე მანკით დაღასმული, რადგან, მათი აზრით, არ არსებობს უნაკლო აღაშინი და მისი მხატვრული სახეც წინააღმდეგობრივი უნდა იყოს. მაგრამ გინდა ერთნი თუ გინდა მეორენი მართალინი კი იყვნენ?

ძნელად თუ მოიძებნება საბჭოთა ლიტერატ-

ურაში ისეთი მხატვრული ღირსების და წემოქმედებითი ძალის მქონე გმირი, როგორც დავიდოვია შოლოხოვის „გატყილი უამირიდან“. ეს ხელოვნება ადამიანური, ურყევი ნებისყოფისა და ჩივილი გულის ბოლოშევიკი, ვინც დაუნდობელია მტრის მიმართ, ხოლო მშრომელების, თანსახორციელებისადმი უაღრესად გულთბილია, მართლაც რომ განსახიერებია საბჭოთა ადამიანის, მასების ორგანიზატორის საუკეთესო თვისებებისა და ხასიათისა. დავიდოვი მარტო ლიტერატურული კრიტიკის მიერ კი არა, არამედ ხალხის მიერ იქნა აღიარებული ისეთ გმირად, რომელიც ბადებს სურვილს წაბაძო მას, იცხოვროს ისე გამოწვლად, როგორც ის ცხოვრობდა, ისე ძლიერად და მთელი გულით გიჟვარდეს ხალხი, როგორც მას უყვარდა. მაგრამ წემოხსენებელი სქემების მიხედვით იგი შეიძლება ვერც კი მოხვედრილიყო ძლიერი გმირების კატეგორიაში, მას სხვა შეცდომებს რომ თავი დავანებოთ, ლუსკა ნახულოვასადმი დამოკიდებულება დაღუპავდა.

არც ის მოთხოვნაა გამართლებული, რომელიც გმირის წინააღმდეგობრივობაში ჩვენებს გული-სიბოძის, ან უკიდურეს შემთხვევაში მისთვის რაიმე ნაკლოვანი მხარის მიკერებას მაინც მოითხოვს. კართულ პროზაში ლეო ქიაჩელიის „მთის-კაცი“ სამაშულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ რჩება დღემდე, ბათუ ქართული კი კართული საბჭოთა პროზის მაღალმხატვრული დადებითი გმირების გაღიერებას მიეკუთვნება. ბათუს მხატვრული დამატებლობა ოდნავადაც არ კლებულობს იმის გამო, რომ იგი არ აკმაყოფილებს ამ მეორე სქემის მოთხოვნილებას — გმირს აუცილებლად მოეძებნოს „მისი ვაცოცხლების მიწაში“ რაიმე ნაკლოვანი მხარე. წემოთ მოხსენებულ „ნიმჭიანი გმირის“ სქემაში არც დენა შენგელაიას რომანის „წითელი უაჯროს“ გმირები თავსდებიან, რომანისა, რომელიც ასევე ერთ-ერთი საუკეთესოა კართულ ლიტერატურაში ომის თემაზე.

ეს უველადფერი იმისათვის გავიხსენებ, რომ ლუფრო თვალსაჩინო გამგებდა იმ მოსაზრების მცდარი ხასიათი, რომელიც ლიტერატურული გმირის რაიმე ნაკლით „ვაცოცხლებას“ მოითხოვდა. ამავ მოსაზრებითვე მიიწა აქვე დავუპირისპირო ამ პოზიციიდან დაწერილი და ნი-იან წლებში გამოქვეყნებული ერთი რომანი და მისი გმირები ლეო ქიაჩელიას და დენა შენგელაიას რომანებსა და გმირებს. მხედველობაში მაქვს აკაკი ბელიაშვილის „უღელტეხილი“, რომელიც ასევე ომის თემაზეა დაწერილი.

დისკუსიაში აკაკი ბელიაშვილმა უშუალო მოწინააღმდეგეა მიიღო. იგი აღძრულ საკითხს, საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის პრობლემას გამოეხატა სტატიით, სადაც მხარე დაუჭირა მოკმათეთა იმ ქვეყნს, რომელიც წმინდანების მსგავს უსიცოცხლო სახეების წინაა-

ღმდეგ ბრძოლაში ფაქტიურად უარყოფითად ექიდებოდა საერთო საბჭოთა ლიტერატურის ძლიერი, დიდებუნივანი ხასიათის მატარებელ გმირებს და აუცილებელ პირობად სახვდა გმირის წინააღმდეგობით აღბეჭდილი ხასიათის ჩვენებას, ამ უველ შემთხვევაში მისთვის ხასიათის რაიმე ნაკლოვანი მხარის მიკერებას. ბელიაშვილი ამ სტატიაში უკარად ილაშქრებდა ცხოვრების შეღამაზების ტენდენციის წინააღმდეგ, მისი აზრით, საბჭოთა ლიტერატურას უნდა აეხსა ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეებიც, მასშიც დადებითი გმირების გვერდით უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე უარყოფითებიც. ეს თავისთავად არ იყო უმართებულო მოსაზრება. მაგრამ მწერალი ამ მართალი პოზიციის ძიებაში, ცხოვრების შეღამაზების წინააღმდეგ სხვა ფიც მებრძოლებთან ერთად უნებნებოდ ლიტერატურის ახალ რეგლამენტატორთა რიგებში აღმოჩნდა. აკაკი ბელიაშვილის ეს მცდარი თეორიული მოსაზრება რომანში „უღელტეხილი“ უკვე პრაქტიკულად გამოიხატა.

ამ ნაწარმოებში, რომელიც სამაშულო ომის ეპოქას ეძღვნება, მწერალი ერთნაირი დაბეჭითებით ასახავს ცხოვრების ნაძირალებსაც, ქურდებს, დეზერტირებს, ამორალურ ტიპებს და გამარჯვებისათვის მებრძოლ ადამიანებსაც. ამ თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში საქმე იხე არ უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ ვეღარ გავარჩიოთ ომის მთავარი დამსახურება რა იყო, რომ მან საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სიძლიერე და მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი გვიჩვენა მთელი სიყბადით და სიძლიერით, თუ რომ მან თვალსაჩინო ვახადა ნაძირალების არსებობა ჩვენს საზოგადოებაში და მათ ალვირახსნილი ცხოვრების საშუალება მისცა, რადგან იმ მძიმე დროს მათთვის მაინცდამაინც არ ეცალათ. ასეთი გადაჭარბებული უყრადღება მწერლისა ცხოვრების მახინჯი მხარეებისადმი, ნაძირალებისა, მეზიანებისა და ქურდ-ბაყაყებისადმი ცხოვრების მიერ კი არ იყო აკარსხვეი, არამედ იგი მწერლის წინასწარი განზრახვის ხელყოფური შედეგია, რომლითაც თითქოს სინამდვილის შეუფარავი სურათი უნდა შექმნილიყო.

მწერალი ათას წვრილმანს იყენებს იმისათვის რომ ამით თითქოს დაამარცხებოდა ცხოვრებისეული სიმართლე შემგამო ნაწარმოებს. მაგრამ მარტო დეტალი კი არ უნდა იყოს თავისთავად მართალი და ცხოვრებიდან აღებული, არამედ ამ დეტალში უნდა ჩანდეს დროის განმსაზღვრელი სიმართლე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ემსახურება დეტალი ცხოვრებისეული სიმართლის წარმოსახვის საქმეს: ამ რომანით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალი შორიდან ადევნებდაო თვალს ცხოვრებას. ასეთივე დეტალური პოზიცია უკავიათ რომანის გმირს დავით ბეკიას და მის ფრონტულ მეგობარს შაქროს, როდესაც დროებით თბილისში მოხ-



დებიან. ისინიც იშვიათად ცდილობენ ჩაახდონ ადამიანების სულის სიღრმეში, და შაშინაც კი, როდესაც მას აკეთებენ, მრუდელ ენახებათ ყველაფერი.

ზურგის შრომელთა ცხოვრებას მივძღვნა იმავე წლებში დაწერილი ვახტანგ ავაგიანის რომანი „მოსკოვიდან დაშორებით“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ხარგბელობს მკითხველებში (აქვე, სხვათა შორის შევნიშნავ, რომ ამ რომანის ცენტრალური გმირიც ქართველია, თუმცა ციმბირში შრომობს და მოღვაწეობს). ბელაშვილისა და ავაგიანის ამ რომანების შედარება ნათლად გვიჩვენებს იმ მწერლების უპირატეობასა და ძალას, ვინც ცხოვრების დიდ სიმართლეს მიჰყვება და ვისაც არ აშინებს შრომის თუ ბრძოლის პეროიკის ჩვენება. ვ. ავაგიანა შედგო გავგო და თავის რომანში გადმოცა საბჭოთა ადამიანების, ზურგის შრომელების ცხოვრების მთელი არსი, ის ფიქრები, გრძობები, მიწები, რომლითაც ისინი იყვნენ გამსჭვალულნი. ავაგიანის რომანის გმირები, რომლებიც ფრონტიდან ძალზე შორს მოქმედებენ, უფრო ცოცხლად და მწვავედ გრძობენ ომს, უფრო აქტიურად მონაწილეობენ მასში, ვიდრე შემადაროებლები აკაკი ბელაშვილის რომანიდან, რომლებიც უშუალოდ ებმებიან კიდევ ომის ქარცეცხლში.

ვახტანგ ავაგიანს სულაც არ აღაშაფებს ამ თავის რომანში სინამდვილეს. იგი მხატვრულად, დამაჯერებლად გვიხსნის და გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების ბუნებასა და ხასიათს. მანაც ასახვის სახად აირჩია ერთი მშენებლობის შრომითი უოფა და სწორედ ამ უოფაში დაინახა და მკითხველსაც დაანახა კეთილშობილური სული, მაღალი შეგნებულობა უბრალოდ, რაგითი საბჭოთა ადამიანებისა, რომლებსაც კარგად ესმით ომის არსებითი მხარეებიც და თავისი მოქალაქეობრივი ვალიც ამ რთულსა და მიძიმე პერიოდში.

ყოფითი დეტალებისადმი, წვრილმანი ფაქტებისადმი ხელოვნურმა სწრაფვამ კი აკაკი ბელაშვილი საბჭოთა ადამიანების დიდ და მართლ ცხოვრებას ასე თუ ისე დააშორა. მწერლის ყურადღება „უღელტეხილში“ გამახვლებულია უმნიშვნელოსა და ზედმეტზე, ყოველივე ამან კი თავის მხრე განაპირობა რომანის სერიოზული ნაკლოვანებები. მწერალმა ვერ გვიჩვენა მთელი სიცხადით, თუ ომმა რა გავლენა მოახდინა ადამიანებზე, რა ფიქრებსა და გრძნობებს აღძრავდა იგი მათში, რა ტკივილებს იწვევდა, როგორ მატებდა მათ სულიერ სიმხნევებსა და ძალას.

საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის შესახებ აკაკი ბელაშვილის მოსაზრებების ცალმხრივობა და მცდარობა ადრევე შესამჩნევი იყო მის სადისკუსიო სტატიაში, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე. მწერალი მწვავედ აკრიტიკებდა პროტაპოპოვას და მასთან ერთად კიდევ სხვა

კრიტიკოსებსა და ლიტერატურისმცოდნეებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დადებითი გმირის ქიმიური კრისტალიზაციის გამოს“.

აკაკი ბელაშვილი უთუოდ მართალი იყო, როდესაც ამ სტატიაში დაპირაკობდა, რომ ლიტერატურა ეს მართო კარგად შეფერადებული და დასურათახაბული გამოსატვა კი არ არის ცხოვრებისა, არამედ ესაა დიდი და სერიოზული საუბარი ცხოვრებაზე. უნდა დავეთანხმოთ მწერლის იმ მოსაზრებასაც, რომ ლიტერატურული გმირების გზა გამარჯვებისაკენ იოლი და დაუბრკოლებელი არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა ვებედავდეთ, თუ როგორ ძლევენ ისინი ვარცხნი სინელებსაც და შინაგან წინააღმდეგობებსაც. მაგრამ იმაში კი აღარ იყო მართალი აკაკი ბელაშვილი, როდესაც ამ დავაში სხვა უკიდურესობაში გადავარდა და ფაქტიურად ლიტერატურაში ძლიერი, კეთილშობილი გმირის წინააღმდეგაც გაილაშქრა. მწერლის უსაფუძვლო შიშმა იმის გამო, რომ დიდი აზრები და დიდი გრძნობები თითქოს ვენებენ გმირის მხატვრული სახის დამაჯერებლობას, უთუოდ უარყოფითი გავლენა იქონია მის მხატვრულ პრაქტიკაზე, კერძოდ „უღელტეხილზე“. იგი განზრახ ცდილობს იყოს გულგრილი თავისი დადებითი გმირისადმი, რითაც საგრძნობლად აღარბეებს მის სულიერ სამყაროს.

ჩვენ ასე თუ ისე დავუპირისპირეთ ერთმანეთს სამი რომანი: ლეო ქაჩიელის „მთისკაც“, დემან შენგელაიას „წითელი ყაუჩო“ და აკაკი ბელაშვილის „უღელტეხილი“. ამ დაპირისპირების დროს ერთგვარად უპირატესობა პირველ ორს მივანიჭებ, რომლებშიც საბჭოთა ადამიანის სახე მხოლოდ მისი კეთილშობილური ხასიათისა და მაღალი შეგნების კუთხიდანაა დანახული და გახსნილი, სადაც ძირითად ამოცანას ჩვენი თანამედროვის სულიერი სიღამაზისა და სისხეტაკის ჩვენება წარმოადგენს, რომლის გმირები მთელი თავიანთი შემოქმედებით, გრძნობათა ყოველი გამოვლენებით, აზრებით, მისწრაფებებით, თავინთი ცხოვრების ყოფითი დეტალებითაც კი მკითხველის მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებენ. მაგრამ ეს იმას როდღ ნიშნავს, თითქოს პრინციპულად ვიყოთ წინააღმდეგი თანამედროვეთა ისეთი სახეების შექმნისა, იმ დადებითი გმირებისა, რომლებიც არა მართო ცალკეული ნაკლოვანი თუ სუსტი მხარეების მატარებელნი იქნებიან, არამედ თუნდაც დიდი სულიერი ჭიდილის გზით მონახვენ თავინთ გზას ცხოვრებაში.

დადებითი და უარყოფითი გმირების უბრალო არითმეტკული ანგარიში კი არ სწყვეტს საბჭოთა ლიტერატურაში ნაწარმოების ღირსების საკითხს, არამედ ის დიდი ცხოვრებისეული სიმართლად, რომლის პოზიციებიდანაც უნდა იქნას დაწერილი ნაწარმოები და რომელიც უნდა

თვალნათლივი იყოს მკითხველისათვის ნაწარმოების კითხვის დროს. რაც არ უნდა დაბეჭდით მოითხოვდეს ზოგი ორთოდოქსი კრიტიკოსი რაღაც ვარკვეული სავალდებულო პროპორციების დაცვას და შუა რიცხვების შედგენას დადებითისა და უარყოფითის შეფარდების შესახებ, მას არ შეიძლება რაიმე ანგარიში გაეწიოს, რადგან ამ ხელოვნურ, ტვინის კუვლეტისაგან მიღებულ „თორიულ“ დასკვნებს არაფერი აქვს საერთო ჩვენს ლიტერატურის არც წარსულთან და, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, არც მომავალთან.

ამ თვალსაზრისით ქართულ პროზაში თავის დროზე საქმოდ ხაინტერესო მოვლენა იყო თინა დონუაშვილის რომანი „აღაჯანაზე“. ამ რომანში, შეიძლება ითქვას, პირველად იქნა ქართულ მწერლობაში მთელი გულწრფელობითა და პირდაპირობით ნაჩვენები უხრალოდ ნაკლავანი თუ ჩრდილოვანი კი არა, მანკიერი და მტიკანეული მხარეები ომისშემდგომი ქართული სოფლისა.

თინა დონუაშვილი სულაც არ მოერიდა მთელი ამ მახინჯი ტენდენციების მხატვრულ მხილებას, რამაც თავი იჩინა ჩვენს ცხოვრებაში ომისშემდგომ წლებში პიროვნების კულტის შედეგად. მწერალმა მხატვრულად გვიჩვენა, თუ ამან რა გავლენა იქონია ადამიანებზე, რა დადი დასავა მათ ცხოვრებას, რა სულიერი ტკივილები მიაკენა მათ, როგორ შეიწირა კიდევ მსხვერპლად ზოგი ბუნებით პატიოსანი ადამიანი.

უთუოდ რთული, წინააღმდეგობრივი და ხაინტერესო სახეა ამ რომანში რაიკომის მდივანი გედელი ვარამაძე, ერთ-ერთი ცენტრალური გმირი ნაწარმოებისა. იგი თავისი ცხოვრების ტრაგიზმით შესანიშნავად განასახიერებს იმას, თუ როგორ გადაგვარდება ბუნებით წესიერი კაცის კ, როცა იგი დაკარგავს ცხოვრების ქანსალი ტენდენციის დანახვისა თუ შეგარნების უნარს და თავისი მოქმედებითა და ინტერესებით ხალხს დაუპირისპირდება.

რომანში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზაქრო სიყმაშვილის მხატვრულ სახეს. მართო იმიტომ კი არა, რომ ზაქრო ცენტრალური გმირია და ამდენად იგი მწერლისა და მკითხველის უურადღების ცენტრში დგას; არამედ იმიტომაც, რომ მისი ბედი ჩვენს ცხოველ ინტერესს იწვევს და გვადღეუებს ის ამხავი, თუ საით გადასწონის ამ გულმართალი ადამიანის ცხოვრება. ზაქრო სიყმაშვილის სახე მტრად როულია და წინააღმდეგობრივი, იგი ღრმა გართულებების გზით ვითარდება. ჩვენ მოწმენი ვხდებით გმირის განსაკუდელით სავსე ცხოვრებისა, როდესაც მას ემუქრება უველაზე სახედისწერო საფრთხე — ხალხისაგან, კოლექტივისაგან მოწყვეტა, მასთან დაპირისპირება. მკითხველი სიმამითი გაწეწუბა რომანის გმირის მიმართ მისი ვაჟაკური ბუნების, ალალი და მოსიყვარულე გულის გამო, ადაბული ადევნებს თვალს მოქმედების

განვითარებას, რადგან სიყმაშვილის ბუნების აღარ არის სასხვათაშორისო, გულწრფელად განიცდის მისი პატიოსანი ბუნების შერყვნას პატივმოყვარეობის გრძნობით, წუხს, რომ იგი ექცევა ვედლო ვარამაძის გავლენის ქვეშ. ვინც თვითონაც მსხვერპლია ცხოვრების არაქანსალი ტენდენციისა, გული შესტიკვა ანიკაზე, ვის წინაშეც ასერივად ტყუის ზაქრო. და მაინც, არასოდეს მოგვივა თავში აზრად ვუსაყვედუროთ მწერალს გმირის ხასიათის ასეთი გართულება, რაკი ზაქრო სიყმაშვილის ხასიათის სუსტი მხარე, მისი შეცდომები ცხოვრების სიმართლითაა ნაკარნახევი და სავსებით თავისუფალია რაიმე ხელოვნურობისაგან.

დამაჭრებელია ზაქრო სიყმაშვილის გარდაქმნა, რაკი მწერალი გვიჩვენებს ხალხის ძალას. ხალხი ასე იოლად ვერ გაიმეტებს ადამიანს დასალუპად, და მართლაც, თანასოფლელები თავისი მწარე, მაგრამ მართალი სიტყვითა და მოსიყვარულე გულით უწამლებენ ამ თუმცა დროის სენით დაავადებულ, მაგრამ მაინც სალი და პატიოსანი ბუნების პატრონ ვაჟაკს. სწორედ ამ ხალხის საუკეთესო შვილები არიან ნიკო ხელაშვილი, ბაადურ ბეჟაური, ანიკა და სხვები, რომლებიც პირველნი გაუწვდიან ხელს გაკირებაში მყოფ ზაქრო სიყმაშვილს, მხარეში ამოუდგებიან მას.

რომანი „აღაჯანაზე“ არ არის თანაბარი სიძლიერით დაწერილი, მას ზოგჯერ გულბურკვილობის ბუქედი დაჭრავს, არცთუ იშვიათად მოვლენისა თუ ხასიათის გაუბრალოებაც შეიმჩნევა, ხშირად მოქმედების განვითარება ირღვევა და ავტორისეული აზრი შიშვლად, მხატვრული შეფარვის გარეშეა გადმოცემული, მთელი რიგი არც სხვა ნაკლოვანებებისაგან არის იგი დაწვეული. ერთი სიტყვით, რომანი დიდად ვერ დაიკენებს თავისი მხატვრული ღირსებით, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების პროცესში. რომანის სიძლიერე და მნიშვნელობა მის ცხოვრებისეულ სიმართლესა, გულახდილობაშია, მოქალაქეობრივ პათოსშია, სითამაშეშია, მხილებიაშია.

როგორც ვხედავთ, 50-იანი წლების ქართული პროზა, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად მრავალწროვან საბჭოთა ლიტერატურაზე, საქმოდ დამაჭრებელად ხატავდა სხვადასხვა ხასიათისა და ფსიქიკის, მოქალაქეობრივი შეგნებისა და მოქმედების გმირების სახეებს. აღარც ის იყო საეჭვო, რომ მხოლოდ ის გმირები აღიღებენ მკითხველს, იქნებთან ისინი დადებითი თუ უარყოფითი, მტიკანე ნებისყოფისა და მაღალი შეგნების მატარებელი თუ სულიერ წინასწრობას მოკლებულნი, რომელთა სახეები ცხოვრების სიმართლითაა აღბუქილი. ყოველგვარი ხელოვნურობა მხატვრული სახისა, იქნება ეს გმი-



რის გაკეთდნისათვისა თუ მისი „ცოცხალი ხმა“ მიზნით მოწვევითი მწერლის მიერ. უკარგავს მას წემოქმედების ძალას და, ამდენად, აცლის კიდევ ძირითად ფუნქციას. ეს უზრალე ჭეშმარიტება არ შეიძლება დიდი ხნით მისცემოდა დავიწყებას. ამიტომაც იყო, რომ მწერალთა საკავშირო მერვე ყრილობის წინა პერიოდის დისკუსიის ერთგვარი უნაყოფო, სკოლასტიკური ხასიათი თავიდანვე ცხადი გახდა, თუმცა, ცალკეულ მწერლებზე მან მაინც მოახერხა წყვეტის მოხდენა. ამ მხრივ უფრო „შავდუნებელი“ გამოდგა ის მოსაზრება, რომელიც ცხოვრებისეული სიმართლის ლოზუნგით მოითხოვდა ლიტერატურაში გავრცელებულ ან უკვე შეშინებულ ხასიათის გარკვეული მხარეებით მაინც სუსტი გმირების ჩვენებას. მწერალთა მერვე ყრილობაზე სწორი შეფასება მიესცა წინასაყრილობის დისკუსიას. აღინშნა როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოსაზრებათა ცალმხრიობა და შეზღუდულობა.

ყრილობის შემდგომი პერიოდის ლოზუნგად იქცა მწერლობაში უზრალე ადამიანების ცხოვრებით დანიტერესება, მათი მხატვრული ხანების წარმოქმნა. ერთი შეხედვით, ტერმინის — „უზრალე ადამიანები“ — სისწორე არ უნდა იწვევდეს დავებს. ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ რა შინაარსს ჩადებ მასში. თუ მწერალი ახერხებს ყოფით ცხოვრებაში დანახოს თანამედროვე ადამიანების ერთი შეხედვით უზრალე, თუმცა დიდი შინაგანი ხილამაზე, ყოფით დეტალებში გავიხსნას რიგითი ადამიანების, მშრომელების სულიერი საყუარო, მასხახლამე, მას სწორად ესმის ის მოთხოვნა, რომელიც ცხოვრება უყენებს ლიტერატურას.

რაკი უზრალეობაზე მიდგა საქმე, მინდა დავიმოწმო ასევე უზრალე ნაწარმოებები იმ წლების კართული პროზისა, რომელთაც განსაკუთრებულად პრეტენდია არა აქვთ. თუნდაც ავიღოთ დღემდე უფიანის პატარა მოთხრობები. გავიხსენოთ მოთხრობა „მისი ხედვები“.

მელანო — ახრეშუშის ფაბრიკის ახალგაზრდა

წესოველი თავისი საქმის ვირტუოზია. მისი თები ისევე მომხიზლავდა, ცოცხლად, ელვის უსწრაფხად დაცემავე დაზგაზე გახმულ ახრეშუშის ძაფებზე, როგორც დახელოვნებული პიანისტისა კლავიშებზე. ფაბრიკის კინოაპერატორები ეწვევიან. ისინი ჭერ ახალბედა, ნაკლებად დახელოვნებულ მქსოველს გადიდებენ, რადგან იგი ლამაზი გოგონაა. შეუხედავ მელანოს გულს მღელვარებისაგან დაზგასავით გააქვს ბაგაბუტი. მაგრამ აი, ოპერატორებმა ახლა მას დაუმიწუნეს კინოკამერა და მელანოს შერცხვება თავისი ეჭვისა და განცდისა. იგი არც მეზობლის სიტყვებით გაიტებს გულს, როდესაც მართლაც აღმოჩნდება, რომ ეკრანზე ლამაზი გოგონას სახე დიდხანს უღმის მასურებელს, ხოლო მელანო მხოლოდ ერთხელ გაიღევეს და მერე კი მისი მკვიცხელი თითები დაფარავენ ეკრანს და ფართო პლანით ჩანს, თუ როგორი სისწრაფით ასწორებენ ისინი გაწყვეტილ ძაფს. მელანო მხიარული და ბედნიერი ბრუნდება შინ, იგი კმაყოფილია თავისი ცხოვრებისა მთლიანად. ასევე კმაყოფილებით დაყურებს თავის მოკლე, თითქმის თანაბარი სიგრძის თითებს, ხოლო რომელიც წარმოიდგენს, როგორ უკოცნის ამ კოტიტა თითებს მისი გაუშხედილი გრძნობის ოცნება ოსტატი ვასო, სიცილე-კისკისით შეადებს სარკებიანი ოთახის კარს, სადაც თეთრხალათიანი ქალი ფრჩხილებს ვარდისფერ დაქით ალამაზებს.

უჩვეულო და განსაკუთრებული, როგორც უხედავ, ამ მოთხრობაში არაფერია და თუ ჩვენ ასეთი ინტერესითა და სიამოვნებით ვკითხულობთ მას, ეს იმიტომ, რომ ავტორი დიდი სიბოთით და მსუბუქი იუმორით გვიხსნის ამ უზრალე, შეუხედავი მელანოს ლამაზს და კეთილშობილურ სულს, მისი ყოველდღიური შრომითი ყოფის მთელ უზრალეობასა და სიდიადესაც, დიას, სწორედ სიდიადესაც, რადგან ამ უზრალეობაშია, ყოველდღიურებაშია იგი მოსაძიებელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვაჟა ხორნაული

„ღმერთო, სამუოზლო მისოცხლა...“

იტანჯებოდა საქართველო, ძველისძველი ტყვიელებით დაღლილი, ყოფნა-არყოფნის ციკაბოებით მიმავალი, ბეჭში ისარგარტობილი ირემივით მკურნალის მომლოდინე, მაგრამ მაინც ლამაზი და ცისკენ მაცქერალი... იტანჯებოდა საქართველო, მარადიული ტანჯვის შუქი ეღგა თვალეზში, მის სივრცეში ხიფათების სუსხი ტრიალებდა, მაგრამ მაინც ამაყი ჩანდა, რადგან უკვე, დიდი ხანია, მხარში ედგნენ შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი... და ერი, რომლის თავზედაც გასაჭირის ბინდისფერი მნათობი მძიმედ მოძრაობდა, ცოცხლობდა პოეზიით, უფრო მეტიც: ბედნიერიც იყო, რადგან მის თვალწინ თანდათან მალღდებოდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი...

ილია ჭავჭავაძე — სიბრძნის ვენახი, დაისის შუქით განათებულ ტაძარივით ნაღვლიანად გაღმებულნი და აკაკი წერეთელი — საქართველოს ფიქრი მუსიკად ქცეული, ასე მშობლიური და ასე ღვთაებრივი...

ასეთი განძის მფლობელი ერი მაინც უკმარისობის გრძნობით იყო შეპყრობილი, რადგან იცოდა, რომ მის წიაღში დაუშრეტელი პოეტური საუნჯე არსებობდა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ ამოხეთქავდა და ქვეყანაც ახალ ნაპირებსა და სიმალეებს იხილავდა.

იცოდა და ელოდა.

და გამართლდა მისი ლოდინი.

საქართველოს იმ კუთხიდან, საიდანაც თავის დროზე სამასი არაგველი მოვიდა, ახლა ოცდახუთი წლის ხორბლისფერსახიანმა და თაფლისფერთვალეზიანმა ჭაბუკმა დაიძახა:

**თქვენთან ძალღურად სიცოცხლეს**

**სიკვდილი მიჭობს ცდაშია;**

**ვერ მიაწონებთ კარგს უმასა,**

**რაც არ უჭდება ჭკვაშია!**

ვინ იცის, სამას არაგველთა შორის რამდენი იყო პოეზიის ულამაზესი სენით შეპყრობილი, მაგრამ მათინ ლექსისთვის ვის ეცალა!.. და ის ნარჩევ-ნარჩევი ვეუკაცებიც, ლამაზი ქალის დანახვაზე რომ წითლდებოდნენ და მტრის პირისპირ სახეზე მგლისფერი ედებოდათ, თავიანთ სათქმელს მახვილით ამბობდნენ, ხოლო ბრძოლის ველზე, სიცოცხლესთან ერთად, უთქმელ სიმღერებსა და საგალობლებსაც ეთხოვებოდნენ...

არც ის, ოცდახუთი წლის ქაბუჯი, ვაჟა-ფშაველა, იქნებოდა სხვაზე ზევით მყოფი, მხედრიონის წინამძღოლადაც ივარგებდა, მასაც მოუხდებოდა ჯაჭვის პერანგი თუ მუზარადი, მომხდურის სისხლით დაწინწკლული მისი მარჯვენაც კარგი სანახავი იქნებოდა, მაგრამ განგებამ იგი სულ სხვა, არანაკლებ დიდი და მწარე ბრძოლების გადასახდელად მოაველინა ქვეყანაზე!..

ვაჟა-ფშაველა ისე შემოვიდა ამ სამყაროში, როგორც უწმინდეს და უძვირფასეს ტაძარში, ხოლო როდესაც ჭერ კიდევ ქაბუჯი ამ ტაძრის მტრებს სიტყვითა და საქმით დაუპირისპირდა, უკვე აღარავის გაჰკვირვებია მისი სიტყვები:

**მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც,  
ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა.**

ღროს უსასრულობის ფონზე ასოცდახუთი წელი შეიძლება წუთად მოგვეჩვენოს; ვაჟა-ფშაველა გუშინ დაიბადა, გუშინ ეზიარა ცისა და დედამიწის მარადიულ სიბრძნეს; გუშინ წუხდა და გუშინ ხარობდა, გუშინ იწერებოდა „შვლის ნუქრის ნამბობი“, „მოკვეთილი“, თუ „გველის-მჭამელი“ ...თავგასული მოხელეც გუშინ შემოელახა; ღორებიც გუშინ ჩამორეკა ჩარგლიდან თბილისში და იმავე ღორებით უკანვე გამობრუნდა — ჩარჩებს ჩალის ფსად არ დაუთმო და აქაც, ამ, მისთვის აშკარად შეუფერებელ მდგომარეობაშიც, თავისი ცხოვრების წესის ერთგული დარჩა...

ჩარგლის მიწაზე, ქობის სიჩუმეში, ბუხრის სინათლეზე იქნებოდა პოეტური სასწაულები... როგორც ღომი გალიაში, ფშაველი გოლიათი ქოხში წრიალებდა და ქოხის რომელიღაც დაბინდული კუთხიდან მკრთალად განათებულ მაგიდას ისე გამოხედავდა, როგორც ულამაზესი ბრძოლის ველს, სადაც დეკის ყვავილიც კიაფობდა და ქიჩირის სიმღერაც ისმოდა, ზეზვა გაფრინდაულის ხმალიც კაშკაშებდა და აღაზას ცრემლიც იღვრებოდა... ყანაში შეშლილივით ტრიალებდა გველის-მჭამელი... მოჩანდა თოვლის ნამქერში, ვინ იცის, საით მიმავალი, მშობლიური ბუდიდან აყრილი ოჯახი და მისი წინამძღოლის ალუდა ქეთელაურის ვაჟაცური სახე... ტოტზე ჩამოკიდებული წიწოლა ქანაობდა... ხოლო სადაც, უდაბურ ტყეში მწოლიარე, სასიკვდილოდ დაჭრილ ბერ ლუხუმს გველი მკურნალობდა, რომ მერე, სნეულებას გადაჩენილი, ლაშარის გორზე შემდგარიყო!..

გოლიათი ქოხში ცხოვრობდა, ლილიბუტები და ავაზაკები სასახლეებში ნებივრობდნენ; ახლა აღარავის ახსოვს მათი კმაყოფილი და სულელურად ამაცი სახეები; სამაგიეროდ, დღესაც ისმის და მომავალშიც მრავალ მედროვეს ძილს დაუფრთხობს ეს სტრიქონები:

**უქმად ჩამაღვეთ სიცოცხლეს,  
უქმად საფლავეში სწვებითა,  
დაჰკარავთ სააქაოსა,  
ვერც საიქიოს სწვდებითა,  
არ იცით, დასწნდით რისხადა,  
ან რისათვისა ჰკვდებითა!**

მაშინაც იყვნენ და ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც ვაჟა-ფშაველას ფიზიკურ მონაცემებზე უფრო დიდი გატაცებით ლაპარაკობენ, ვიდრე მის პოეტურ სამყაროზე; ვაჟა მათაც კარგად იცნობდა; ალბათ, იმასაც გრძნობდა, რომ მავანი და მავანი მის ფშავლობა — არაფშავლობაზეც იდავებდა და პროვინციალიზმის ხრიკი დაბლობების ბინადართ თითქოს ყველა გონებანათელი ადამიანის მაგიერადაც უბასუხა, როდესაც შავით თეთრზე დაწერა: „ასე, ბატონებო, თუ ვისმე გეპრიანებათ ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ,

მოგახსენებთ: „მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედისა და მამის.“

ვაჟა-ფშაველა ყველაფერს ხედავდა, ამ „ყველაფრის ხედვამ“ ათქმევინა დიდი გზის დასაწყისში:

**ნეტავ თუ კიდევ სხვასაც  
ჩემებრივ გული სტიკოდნის?!**

გადიოდნენ წლები... ვაჟა-ფშაველა საკუთარ აღმართზე ადიოდა, უფრო და უფრო უახლოვდებოდა მალა — ღმერთს და დაბლა — ერს... და, რაც უფრო მალა ადიოდა, ტყვილიც უფრო მძიმე და მწარე ხდებოდა; ასე იარა მან ტყვილის დიდი გზით, ხოლო ცხოვრების დაისის ქაშს ბედისწერისა და ქვეყნის სამღურავი კი არ დასცდენია, არამედ ყოვლისწამლევკავი ბრძოლებით დაღლილ-დაქანცულმა უბრალოდ, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოა, ნაღვლიანად იკითხა:

**რამ შემქმნა ადამიანად?  
რატომ არ მოვედ წვიმად,  
რომ ვყოფილიყავ მუდამა  
ღრუბელთ გულ-მკერდის მიძვადა...**

საოცარი სიყვარული იცინ დიდმა პოეტებმა და, როდესაც მათი სიყვარულის უნაპირო სიერტყეში მოგზაურობ, ასე გგონია, რომ შენ ხარ ყველაფერში და, პირიქით — შენშია ყველაფერი: სამყარო თავისი პლანეტებით, ხმებითა და ექოებით, სინათლითა და ჩრდილებით... და შეიძლება, გამაოგნებელი სიხარულისგან გულიც გაგიჩერდეს, როდესაც, წიგნის ფურცლებიდან კი არა, თვით შენი წიაღიდან მოგესმის:

**მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდებ,  
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,  
გულზე მესვენა მზე-მთვარე,  
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.**

შეიძლება, სულ ოთხიოდე სტრიქონში ყოველგვარი წინააღმდეგობის და-მანგრეველი ძალაც ზეიმობდეს, ბუნებასთან ყოველი ნერვით სიახლოვეც იგრძნობოდეს და იქვე ლოცვაც გაისმოდეს, ლოცვა — უწმინდესი და უპირველესი?.. ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ვაჟა-ფშაველასთან ესეც შეიძლება:

**ხარს ვგეგვარ ნაიალადარს,  
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —  
მძინარიც იმას ვღუღუნებ.**

ქართველი კაცის გულში საუკუნეების მანძილზე ხმინებდა ლოცვა, რომელიც უზენაესს მამულის კეთილდღეობას შესთხოვდა; ყველა თავისებურად ამბობდა მას: ზოგი კარგად, ზოგიც — ძალიან კარგად, ეს ლოცვა ვაჟა-ფშაველამაც აღავლინა და ისეთი გენიალური ხიბლითა და უბრალოებით, რომ უკეთესად მისი გამოხატვა ადამიანური გონისათვის შეუძლებელია:

**ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!**

გენიოსმა სამასი წელიც რომ იცოცხლოს, ბოლომდე მაინც ვერ იტყვის სათქმელს, რადგანაც მას შორეული სათავეების განძი ამოაქვს, ხოლო ეს განძი უღვევლია. ის, რაც ვაჟა-ფშაველამ დაგვიტოვა, ყოველთვის გვაზიარებს დიდი პოეტური სიმადლებების ღვათებრივ იღუმალებას, ხოლო საქართველო მომავალ თაობებს კიდევ მრავალჯერ შეახსენებს ფშაველი ბრძენის სიტყვებს:

**სანამა ვცხოცხლობ, გულში მაქვს —  
კეთილსა ვყვანდე ზიარად;  
ვერ მივცემ მტერსა მამულსა  
საჩივანად, დასაზიანად...**



# პარტოკასის ტრაგედია

(„განდებნილი“ და „გველის მზამილი“)

„და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის  
პლაღებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“.

„ბარდნილი“

ამ წერილის დაწერის სურვილი დიდი ხნის წინათ აღგვიძრა. მისი მიზეზი გახლდათ ის კითხვები, რომლებიც ა. ხაქრაძის წერილის — „გზა ხსენისა“ — წაითხვის შემდეგ წამოიჭრა (ა. ხაქრაძე — „მარად და ყველგან, საქართველოში, მე ვარ შენთან“, „მერაბი“, 1978 წ.). ავტორმა დასვა კითხვა და მონიშნა გენი პოემა „განდებნილის“ სწორი ანალიზისათვის და ვი-ლიქტრე ასე: კითხვა დასმულია, გენი მონი-შნული — პასუხი უსათუოდ მოიძებნება.

„გველის-მზამილი“ მუშაობისას რამდენ-ჯერმე დაგვირბა „განდებნილის“ მოშველიება. აშკარა იყო, ამ ორ პოემას უფრო მეტი საერთო ჰქონდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ამ აზრის პირველწყარო კი ის მოულოდნელი დას-კვნა იყო, რომელიც, ვფიქრობთ, არასაკმარისად არის მოტივირებული ა. ხაქრაძის ხსენე-ბულ წერილში: „როცა პიროვნების სრულ-ყოფის პროცესი დამთავრდება, მერე იწყება მისი ხსენა“.

ორი ნაწარმოების შესადარებლად, ცხადია, აუცილებელია მათი წინასწარი ანალიზი. „გვე-ლის-მზამილი“ ჩვენ უკვე ვისაუბრებთ („ციხ-კარი“ 1980, №8; 1982, №8; 1985, №8); ამჟერად შევჩერდეთ „განდებნილზე“.

ამ ბოლო წლებში „განდებნილზე“ კიდევ ორი წერილი გამოქვეყნდა: გ. კალანდარიშვილის „ას-კეტონის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდ-ებნილში“ („საცნა“, ენისა და ლიტერატურის ბე-რია, 1982, №4) და ნ. გრიგალაშვილის „გზა ხსენისა“ („ციხკარი“, 1984, №8). სწორედ ამ წე-რილებზე დაყრდნობით შევეცდებით ჩვენი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას.

უმათერესი საკითხი, რომლის ანალიზიც დაი-სახეს მკვლევარებმა, იყო ასკეტონის არსის განსაზღვრა და, თუმცა გ. კალანდარიშვილმა და ნ. გრიგალაშვილმა საკითხი ვრცლად გააშუქეს, ჩვენი აზრით, პოემაში არსებული ფორმა ასკე-ტონისა მთლიანად ემსოვნება ა. ხაქრაძის მიერ შემოთავაზებულ მოდელს: „ბორცის (ბორცთ-ვის) დასქა და ხულის (სიკეთის) გათავისუფ-

ლება“. სხვა საკითხი, რამდენად მისაღებია ასე-თი ფორმულირება ზოგადქრისტიანული თვალ-საზრისით. გ. კალანდარიშვილის აზრით, „ქრის-ტიანობაში არ არის და არც შეიძლება იყოს მატერიისა და სულის ანტაგონიზმი“. საკითხი შეი-ძლება სადავო იყოს რელიგიაში, მაგრამ აღნი-შნული ხაზი პოემაში შეაფიოდ არის გამო-კვეთილი:

დღე-ღამე-ღამე ლოცვით, გოდებით, გვემით  
ხორცი სულისთვის უწამებია,

აქ სული მისი აღყვამებულა,  
და ხორციელი გულისთქმა ყველა  
დამარბულა და განსვენებულა. (IV)  
სულისთვის ხორცი გაუწირინია... (XIX)

და იგი, ვფიქრობთ, უფლებს ვვაძლებს, დე-ვასკვნათ: განდებნილის ერთადერთი საზრუნავი სულიერი სიწმინდის შენარჩუნებაა. — კი, მაგრამ რატომ ერთადერთი, — იკითხავს მკითხველი, — ბერი ხომ ქვეყნის ხსენას ეცდებრება უფაღს? — უსა-თუოდ და, რომ არა სწორედ ეს ვედრება „წაწ-მედიისაგან ქვეყნისა ხსენისა“, კიდევ უფრო მძა-ფრად შეიძლება ვვეთქვა: არის კი მწირი საერთოდ ქრისტიანი?..

კითხვა უაღრესად მკაცრია და იგი, ცხადია, მოითხოვს განმარტებას. დავიწუთ განდებნილის თანადროული „ქვეყნის“ ანალიზით. როგორია იგი? — ეს კითხვა, ერთი შეხედვით, არც არის საჭირო, იმდენად სრულია პოემაში აღწერილი ქვეყნის ხურათი („სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს...“ და ა. შ.). მაგრამ არსებობს ასეთი თვალსაზრისიც: „პოემაში დახასიათებულ ცხო-ვრება სხვა არაფერია, თუ არ პერსონაჟის — მწირის აზრი ამის შესახებ ეს არის ქვეყანა მწირისათვის და არა ქვეყანა თავის არსში“ (გ. კალანდარიშვილი). პოემის აღნიშნული ეპი-ზოდი იმდენად ისეთი გაგების საშუალებაა („გან-შორებაა ვით ცოდვის სადგურს“ და არა „ცოდვის სადგურს“) და მკვლევარი აქ, უსა-თუოდ, მართალია. ეს სიმართლე მას უფლებას

აძლევს, თქვას: „ერთი ხაზგადგობის ბრალი დახლო შიდალი ზნეობრივი ნორმების შეღებვაში, თვისებებში, რომელსაც ა. ბაქრაძე ჩამოთვლის და მეორეა, ქვეყანა ტოტალურად „ბოროტების სამეფოდ“ გამოაცხადო“. ჩვენი აზრით, პოემაში მოიპოვება დამატებითი ცნობა „ბოროტების სამეფოს“ შესახებ და მის ნათელსაყოფად პარალელურად მოვიყვანო ორ ნაწევრებს პოემაში:

თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერცე თურმე ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,  
და თუ შეპბედავს, მსწრაფლ რისხვა

ღვთისა  
კვიპა-ქუხილით მოველინება. (II)  
ვიდექ სტეფვის ქვეშ თელაში სერზედ...  
ცა ქვეყნის დანაქმების ბილთის ლამობდა.  
ქვეყნა და ქვეხდა... და ჩემთა  
ფეხქვეშ  
თითონ მთის ძირი იძროდა,  
ძრწოლა. (XVI)

პირველი სტროფი ამოღებულია პოემის მეორე თავიდან, სადაც აღწერილია წმინდა მამათა მიერ მუნიციპალიტეტის ბეთლემის ტაძრის დაარსება და მათი ღვაწლით ტაძრის არე-მიდაშოს ღვთიური სიწმინდე, ხოლო მეორე მოგვითხრობს მწვეთის ქალის შემოსვლაზე ამ არე-მიდამოში. მათ შორის აზრობრივი კავშირი აქარაა: მუნიციპალიტეტის ამოსულ მწვეთს „რისხვა ღვთისა კვიპა-ქუხილით მოველინება“. პირველ სტროფში გადმოცემული ინფორმაცია ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვირგობდა, მაგრამ რეალურ პლანში მისი ცოდნა აუცილებლად მხოლოდ მეორე სტროფშია დადასტურებული: მწვეთს სიქალის სახით მუნიციპალიტეტში იღვწის („ღვთის ღირსი“) ამოკვდა.

პირველი კითხვა, რომელიც ამ დასკვნის წაკითხვის შემდეგ გაგვიჩნდება, ის არის, თუ რატომ არის მწვეთის ქალი ცოდევილი; უმანკო უნაწილი, ბუნების წიაღში აღზრდილი, გულუბრველი მწვეთის რატომ უნდა იყოს ცოდევილი? — ამ კითხვაზე პასუხის დაძინება პოემაში, ალბათ, შეიძლება („მწვეთის ქალი სხვა არა არის რა, თუ არა განდეგილის მიერ უარყოფილი მწიფიერი სინამდვილე“ — ა. ბაქრაძე), მაგრამ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი აქ სწორედ ის არის, რომ მწვეთის ერთი საუკეთესოა თვისებებითა შორის სიწმინდის თვალსაზრისით და რომ იგი მაინც ცოდევილია. ი. ი. ქვეყანა კვიპა-ქუხილად ბოროტების საუფლოა, სწორედ ისეთი, როგორც ეს პოემაშია აღწერილი და როგორცაც გაერთიანებულია.

სანამ გვირის სულიერი სამყაროს სიმდიდრეს დავაყენებთ იქვეა, კიდევ ორი დასკვნაა საჭირო.

„განდეგილი მუნიციპალიტეტის ცხოვრობს. მას უსრუადება მიაცქია სიმონ ჩიქვანმა და

იკითხა — „რისთვის დაბინავა განდეგილი ფატორმა მუნიციპალიტეტის წიაღში?“ — კითხვა, რომლითაც ა. ბაქრაძე დაინტერესდა, ჩვენც გვინტერესებს, მაგრამ ქვეყნობით ოდნავ შეცვლილი შინაარსით რატომ „აიჩივს“ მწიპა თვის სამუყოფელად მუნიციპალიტეტისა?

განდეგილობა, თავისი არსით, აუცილებლად მოითხოვს ქვეყნისაგან ღვაწლავს. როგორი იყო ამ განმარტების პირველმიწვევი, ამის კვლევა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია მაგრამ, რაც შეეხება პოემას, მასში ნათლად ჩანს რომ ბერი სულის წაწყვედის შიშით გაურბის საქაოს. რაც შეიძლება შორს და რაც შეიძლება საიმედო თავშესაფარია საჭირო. მწიპა იცის მუნიციპალიტეტის ბეთლემის როგორც წარსული დიდების, ასევე აქამდე მოღწეული სასწაულებრივი სიწმინდის ამხავი: „თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერცე თურმე ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება, და თუ შეპბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა კვიპა-ქუხილით მოველინება“.

წმინდა საგანგებო მოსვლით განდეგილმა კიდევ ერთი საიმედო ზღუდე (პირველი ქვეყნის მოშორება) შემოავლო თავისი სულის უსაფრთხოებას: „თუ არ ღვთის ღირსი“ აქ ვერავინ ამოვა და, თუ მაინც ამოვა, მას რისხვა ღვთისა კვიპა-ქუხილად დაატყდათ თავს. მაგრამ ეს არ არის უკანასკნელი ბარიერი ბოროტებისათვის, ამ წმინდა ტაძრის კიდევ ერთი თვისება მჭირია: „რა დღეა-ღვთისამ სენაკს შეუშვა და არ შერისხა იგი მოსულნი, გულში სთქვა მწირმა: ძეკაცისა და არა მავნე, ბოროტი სული“.

მის წიაღში ბოროტი სული თურმე ვერ შეადგენს. ხოლო უკანასკნელი ზღუდე ბერის სულიერი სიმტკიცეა.

ბოროტი სული არ შემოსულა სენაკში, ცოდევილი შემოვიდა მხოლოდ, მაგრამ ესეც საქმის აღმოჩნდა მეოთხე ზღუდის დასაფრთხილად...

შემოთქმულიდან გამოშინებარე შეგვიძლია დავასკვნათ:

მწიპა იმიტომ მიმართა მუნიციპალიტეტის ბეთლემს, რომ იგი ყველაზე სამიედო თავშესაფარია საქეთარი სულიერი სიწმინდის შესანარჩუნებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ასკეტიზმის არსის განსაზღვრამ მკვლევართა საგანგებო ყურადღება მიიქცია. განდეგილის დამარცხების მიზნით ძიებაში მას ალბათ, ჩვენც ვერ ავუვლით გვერდს, მაგრამ აქ მხოლოდ ერთი საკითხი გვინტერესებს: როგორია იმ უკიდურესი ასკეტიზმის ფუნქციონირება რელიგიაში, რომელიც პოემაში მოცემულია და რომელიც ა. ბაქრაძემ ასე განსაზღვრა — „ბოროტის (ბოროტების) დასჯა და სულის (სიკეთის) გათავისუფლება“. აქ აღნიშნულია საშუალება და მიზანი, მაგრამ მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს დანიშნულება რელიგიაში, რომელიც წარმოშვა ამ შიშისათვის ი. ი. აუცილებელია პირველმიწვევი და, აქედან გამომ-



დინარე, შედეგად, რომელსაც ეს რელიგია საჭიროებს.

ა. ბაქრაძის თვალსაზრისით, ეს პირველმოწე-  
ნია ჭარბობის პროცენი: „თავისუფალი ნებით  
ადამიანი იმით არჩეულა განდევნილობა, რომ  
ტანჯის გზით (სიმბოლურად ქრისტეს გზის გა-  
მორჩებით) დაეგმო ხორცი (ხორცობა) და სუ-  
ლით (სიკეთით) ამაღლებული მამხავსებოდა  
უწყნაეს“. იესო ქრისტეს ჭარბობა და ამაღლება  
(მათი სიმბოლური ერთიანობა განუყოფელია) —  
ეს იყო მამადმერთის მიერ მოვლენილი სახ-  
წაული, რომელსაც მოჰყვა ახალი რელიგიის წა-  
რმოშობა და გავრცელება ძველ მსოფლიოში.  
შესაბამისად ხომ არ უნდა ვეძებოთ ღვთიური  
სასწაულის ნიშნები ასკეტთა ცხოვრებაში, რაც,  
ცხადია, განამტკიცებდა ღვთისადმი რწმენას  
ერში? — უსათუოდ — ახეთი იქნება ჩვენი  
პასუხი და მისი სიმართლის საუბრეებელია ასკეტ  
წმინდანთა არსებობა რელიგიაში (ანტონ  
დიდი, ასურელი მამები და სხვ.). ხოლო წმინდა-  
ნად შვირაცხებოდნენ განსაკუთრებული დამსა-  
ხურების გამო და ეს დამსახურება იყო რწმენის  
გამძიერება ერში, რამეთუ სწორედ იმ მიზნით  
მოველინა ძე კაცისა ქვეყანას ამას და ამავე მიზ-  
ნით ეცა იგი ჭვარს.

ამრიგად, წინასწარი დასკვნის სახით, შეგვიძ-  
ლია განვმარტოთ: ცხოვრების ის წესი, რომე-  
ლიც უკიდურესი ასკეტიზმის აუცილებელი ნორ-  
მაა, აღამიანისათვის შეუძლებელია თვინიერ  
ღვთის თანადგომისა („ორი ფაქტორია საჭი-  
რი — თავისუფალი ნება და ღვთაების დახმარება“ —  
ა. ბაქრაძე). ამიტომ ასკეტიზმი თვი-  
თონ არის ის სასწაული, რომელიც განამტკიცებს  
ღვთის რწმენას ერში.

როგორ აღიქმება მწირის ღვთისმოსაობა თვის-  
ტომთაგან და განამტკიცებს თუ არა ამით იგი  
ღვთისადმი რწმენას მათში?

ერის სახელით, როგორც ვიცით, პოემისი  
მარტო მწყემსი ქალი გამოდის და ისიც, ამის  
შესახებ, მხოლოდ შამის აზრს გვაშენებს, რომ-  
ელმასაც, ჩანს, თვითონაც იზიარებს: „მოგონე-  
ბია მამის ნათქვამი, იქ, ყინულებში კაცი სცხოვ-  
რობსო, სული სთვის ხორცი გაუწირ-  
ნია, უწუთისოფლოდ მარტოკა სძლებსო“...

მაგრამ ზემოთ აღვნიშნეთ და აქაც შევახსენებთ  
მათიველს, რომ სიწმინდის თვალსაზრისით  
მწყემსი ერთ-ერთი საუკეთესოა თანამედრო-  
ვეთა შორის და ამით რაოდენობრივი მხარე  
უკანა პლანზე იწევს; თუ განდევნილის ასკეტობა  
ვიწმინდო განამტკიცებს ღვთისადმი რწმენას, სწო-  
რედ მწყემსი ქალი უნდა იყოს ახეთი. მის წარ-  
მოდგენაში კი „ღვთიურა სასწაული“ ბერის პი-  
რადი ინტერესის ფარგლებს არ სცილდება —  
„სულისთვის ხორცი გაუწირნია“ — და უბე-  
დურებად ის არის, რომ მწყემსი ქალი არ  
ცდება, რადგან თვით მწირის მებრაც არ აღიქ-  
მება იგი სხვანაირად: „— რა გითხრა, შეილო?  
ყველაზე უფრო სული ტკბილია“ — პა-

ტარა ცოდვილის კითხვების პასუხად კვლავ  
ვის სულს მასტრის ბერი.

დასკვნა, რომელიც მოჰყვება ამ მსჯელობას,  
თავისი შენაარსით, განსხვავებული არ იქნება  
წინა დასკვნებისაგან და თითოეული ფაქტურ-  
რად მხოლოდ დადასტურებაა პირველისა. დაგ-  
ვირდა ჩვენ იგი, რათა გვეჩვენებინა, თუ რამ-  
დენად უმნიშვნელო და ეპიზოდურია მწირის  
„ღვაწილი“ „წაწყმენისაგან ქვეყნის ხსენისა“ —  
ერთადერთი ნიშანი დამადასტურებელი მისი  
მართლმორწმუნეობისა.

და ამრიგად, შეგვიძლია გავიმეოროთ პირვე-  
ლი დასკვნა, როგორც შემაჯამებელი: განდევ-  
ნილის საზღვრულად მხოლოდ თავისი  
სული იყოს სიწმინდის შენაარსი ნებ-  
ბაა. ხოლო „რომელმან მოიპოოს სული თვისი,  
წარიწყმელოს იგი“ — ასე ამბობს ქრის-  
ტიანული რელიგიის პირველი წიგნი და, აქვე,  
ჭერ კიდევ მწყემსი ქალის გამოჩენამდე, აღ-  
გვიტარებს ექვს როგორც თვით მწირის პიროვ-  
ნებაზე, ასევე ბერის მიერ არჩეული გზის გავ-  
ლის შესაძლებლობაზე.

ექვი მხოლოდ ინტერესს თუ გავნიშნავენ  
განდევნილის ახლოდან გასაცნობად და მას  
ჩვენ, დასახლებულ მკვლევართა წერილების  
ფონზე, ძირითადად საწინააღმდეგო კითხვით და-  
ვიწყებთ: ვინ არ არის განდევნილი?

1. „განდევნილი მოაზროვნე ფილოსოფოსია“  
(ნ. გრიგალიშვილი) — ეს აზრი, მეტ-ნაკლები  
ინტერესით, გამომდინარეობს სამივე წერილი-  
დან და ჩვენი შევეცადოთ, ვნახოთ, თუ რა სა-  
ფუძვლი არსებობს ამისათვის პოემაში.

მას შემდეგ, რაც მწირი მუცნარის სავერ-  
შეშიწმინდა, მისი ყოველდღიური განაწილის პოე-  
მაში ახლა ვაღმოცემოთ: „განდევნილი გული-  
დამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,  
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა სულით გან-  
წყმენილი და განბანილი. დღე-და-ღამ ლოცვით,  
გოდებით, გვემით ხორცი სულისთვის უწყალებია,  
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი — ცრემლით  
ურეცხება, უსოველიბა“.

როგორც ვხედავთ, ფილოსოფოსობისათვის აქ  
ადგილი არ რჩება. განდევნილი „ღღე-და-ღამ  
ლოცვით, გოდებით, გვემით“ იწინებს ცოდ-  
ვებს და ეს განუწყვეტელი ვედრება არა  
მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ მწირის  
მდგომარეობა (ცოდვით სიმრავლე) მოითხოვს  
ამას, არამედ იმითაც, რომ განდევნილი  
„მხოლოდ ზრახვა, ფიქრი, წადილი“ — ფიქრი,  
რომელიც თურმე არცთუ ნაკლებ საშიშია ბერი-  
სათვის, ვიდრე ჩადენილი ცოდვა.

წმინდა ტაძარში მწყემსი ქალის მოხვლამდ  
ეს განაწილი ოდნავადაც არ შეცვლილა, გარდა  
ერთი შემთხვევისა: „ერთხელ, საღამოს, ლოცვით  
დადლილი, გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა და  
დაფიქრებით გადმოჰყურებდა მწყემსი დაფე-  
ნილს მთისა კალთებსა“.

მხოლოდ აქ შეიძლება დაეინახოთ მწირი და

უტიკტებული და, თუმცა პოემაში ითქვა, რომ ეს მოხდა „ეროსელ“, ჩვენ, ცხადია, გვეჩქის, არ შეიძლება სიტყვას ასე გამოვედევნოთ, თუ მას რაიმე სხვა დადასტურება არა ჰქვს და დავუშვებთ: იმ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ბერი აქ იმყოფება, ლოცვით დაღლილს ჩვევად ექვა ზღუდის კარებზე დაფიქრებული გადმოდგომა. მაგრამ დაქანსული კაცი-სათვის არც თუ შესაფერისი დროა იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც წარმოგვიდგინა იგი ა. ბაქრაძემ და სულაც არ არის საკმარისი იმისათვის რომ მასში ფილოსოფოსი დაეინახოთ. „დაფიქრებით გადმოჰყურებდა“ აქ მხოლოდ განდეგილის „იოხსა“ გამოხატავს, ხოლო მისი გონება მთლიანად ბუნების მშვენიერებით არის დაპყრობილი — „მა უბიწო დიადის ხილვით წარტყვევნილ იქმნა განყენებულნი“. ამ ეპიზოდში უსათუოდ არის უშუალო განცდით მიღებული ასოციაციები და შთაბეჭდილებები, მაგრამ არამც და არამც განსჯა და ანალიზი.

მწირს „განუდევნია გულადამ ყველა მსოფლიო ზრახვა“. მსოფლიოს სახით აქ, ცხადია, ქვეყანა იგულისხმება და იქნებ იგი გაურზიხ მხოლოდ ასეთ საფიქრალს და არა რელიგიური სახითისას. არც ამ მხრივ ჩანს რაიმე საიმედო პოემაში, კერძოდ, მწვემბთან დიალოგში. როგორც კ. კალანდარიშვილი აღნიშნავს, მწვემბი ლაპარაკობს უბრალოდ, მაგრამ მისი სიტყვები რელიგიური შინაარსისაა, სათნო აღზრდის ნაყოფია. ის ამბობს: ღმერთზე — „მამ რისთვის მორთო ასე ლამაზად წუთისოფელი, ნუთუ მისთვის, რომ ადამიანმა შეაჩვენოს და აიღოს ხელნი“, მოუვამის სიუვარულზე — „განა ქვეყნად შენ არავინ გუახვს, ან ძმა, ან დე, ან ნათესავი“, სულის ხსნაზე — „მამ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წაწყდებით, ვეღარ დავისნით ვერაფრით სულსა“ — ყველა ეს კითხვა ა. ბაქრაძის მიერ აღნიშნული პრობლემათა (სულისა და ზორცის თანაბარი მშვენიერება, პიროვნებისა და ქვეყნის ხსნა) ირგვლივ ტრიალებს და აი, რა სასუხს იძლევა მათზე ბერი: „რა გითხრა, შვალნი“ — ამით აშორიწურება განდეგილის მასუხის შინაარსი.

მწირის გარეგნობა, მისი წლოვანება („არ იყო ხნიერ“), რაც ცხოვრების გამოცდილებას ნიშნავს, ცხოვრების წესი, ერთობ მაღალუნებელ დატლებს იძლევა ფილოსოფოსის პორტრეტისათვის, მაგრამ არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ განდეგილს „განუ დევნია გული დამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი“. „მსოფლიო ზრახვა“ აქ სწორედ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს გულისხმობს და ბერს მასზე ფიქრიც კი არ უნდა, ცხადია, არა უშიწვოდ — აქ „უშაკის მახე და ცდუნება“ — მწირს შეიძლება რაიმე მკრებელური აზრი მოუვიდეს გონებაში.

„ნებით დასაპურისება“ იმდენად უკვლისმომცველია, რომ განდეგილს საკუთარი სურვილით

უტიკვას უარს ამ უპირატესობაზე, რომელიც ადამიანებში მიწიერ არსებობაგან გამოცალკეების უშთავრებს ნიშნად მიიჩნის და თავიანთ თავს Homo Sapiens — „ადამიანი მკობროვნი“ — უწოდებს.

განდეგილი არ არის ფილოსოფოსი.

2. „განდეგილი ქვეყნისათვის მლოცველი, ხუთედი ამადელი, ალტრუისტი პიროვნებაა“ (ნ. გრიგალაშვილი).

როგორც აღვნიშნეთ, ბერის წილი „წაწყმედისაგან ქვეყნისა ხსნისა“ უსაზღვროდ მცირება და აქ არაფერია საეტყვო, თუ გავისხენებთ, როგორც მოხდა ეს ყოველივე; ლოცვით დაღლილი მწირი დაისის საოქრებით ტუტება და ამ დროს „უეტრად ასტყდა რამ ნიაჟ-ქარი“, რომელიც მალე გრიგალად იქცა. გრიგალმა განდეგილს წარლენა („მგვანდენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა“) გაახსენა, წარლენამ — ღვთის სამსჯავრო („განკითხვის დღე“), ღვთის სამსჯავრომ — ცოდვილი ქვეყანა და ისიც ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო — მართლმორწმუნე ქრისტიანს მხოლოდ დელგამა და წარლენამ გაახსენა მოუვამის თვისი.

არც მწვემბის ქალის სტუმრად მიღება მატებს ბერს მწირის ღირსებას; ქართულ ზღაპრებში ცხრათავიანი დევნიცი ვერ ამბობენ სტუმარზე უარს, მასპინძლობენ კიდევ და ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ზრახვა უდევთ გულში. ეს აზრი, ცხადია, არ არის „პირდაპირი საშილი“ ბერისათვის, მაგრამ პოემაში არც უმაგისობაა; გავისხენით განდეგილის სიტყვები, როცა მას მწვემბმა საშუალება უნებო: „მართალი სიტყვი შენ... თუ ხარ ძე კაცის, ცოდვამ გაერთ დაგტოვო ამ დროს“ — თუმცა ავტორმა ბერის გონებაში მინდლდამაინც ის სიტყვა ამოატიტებია, რომელიც მაცხოვრის სინონიმად არის მიჩნეული, „ძე კაცისა“ (თავშესაფარს მაცხოვარი ითხოვს), მწირი, პირველ რიგში და მხოლოდ, კვლავ თავისი სულის უსაფრთხოებაზე ფიქრობს და ეს ფიქრი სრულ უფლებას გვაძლევს, პასუხის გაუცემლად, დავიტერესდეთ კითხვით: როგორ მოიქცეოდა განდეგილი, მოუვამის გასაჭირში დატოვება რომ ცოდვად არ ეთვლებოდა?

„იქნებ ეს განდგომა თავისთავის გადარჩენას გულისხმობს და არა ქვეყნის ხსნას“ ასე არის: — პასუხობს ა. ბაქრაძე მის მიერვე დასმულ კითხვას და საბუთად ის მოაქვს, რომ განდეგილმა მიაშურა საქართველოს უკვდავ სულს და მის წიაღში ეძებს როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის ხსნის... „ქერ საკუთარი სულის ხსნისათვის უნდა ებრძოლა და შემდეგ მიეცემოდა საშუალება მამულზეც ეტრუნა“. გარდა იმისა, რომ პოემაში არ ჩანს მწირისაგან ქვეყნის ხსნის გზის ძიება, ხსნის ასეთი გზა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ იცის არც რელიგიამ, არც ისტორიამ და არც ლიტერატურამ. პირიქით კი,



როგორც ამას თვით ა. ხაქრაძე იმორწმუნებს: „საქმეთაგან განმარტოვების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ზოლო“. ღმერთთან „წიარებულისათვის“ უკან გზა (იმ გაგებით, რომ წინ ღმერთია და უკან ქვეყანა) არ არსებობს; თვით ძე კაცისა მიწიერ საქმეთა გასრულების შემდეგ ამაღლდა უცადა: „ზე გადიდე შენ ქვეყანასა ზედა, საქმე აღვასრულო, რომელიც მომეცა შენ, რათა ავაყო. და აწ მაიდე შე, მაშაო“ (იოანე, 17, 4-5). ბერის „კაცთმოსყვარობა“ ის აუცილებელი მინიმუმიცაა, რომელიც არა განდევნის ქრისტიანობის (მაღალი მორალური კოდექსით), არამედ მისი ადამიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია.

განდევნილი არ არის ქვეყნის ხსნაზე მოფიქრალი, სულით ამოღლებული ალტრუსიტი.

და აქ, რაკი გვაქვს წარმოდგენა გმირის სულიერი სამყაროს სიმდიდრეზე, შევეცადოთ, განვსაზღვროთ, თუ ვინ არის განდევნილი.

ბერი სულიერად წმინდა ადამიანია. იგი ერთადერთია თანამომეტოა შორის, რომელიც მხოლოდ თავისი, მაგრამ ხულის ხსნაზე ზრუნავს. ეს სიწმინდე არ აძლევს მას საშუალებას, მოატყუოს მწუქმის და ამიტომაც არის მისი პასუხი როგორც სწორი, ასევე არაფრის შთქმეული — „ხსნა ყველგან არის“, — მწირი თავს არიდებს პირდაპირ პასუხს კითხვებზე — „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ვედღი დავიხსნით ვერაფრით სულაჲ“ — თავს არიდებს, რადგან არ სჯერა, თუ ცოდავდ ქვეყანას რაიმე იხსნის. მაგრამ განა ასეთი არ იყო მისი ქვეყანა, როცა ძე კაცისა მოეფლინა მას მხსენებელმა? ქვეყნის ხსნა, ხედაია, განდევნილისთვის აუტანელი ტვირთია, რადგან „ამისათვის ქვარცმულის რწმენა (სიყვარული — მ. შ.)... და ინერგია უნდა ჰქონდეს კაცს“, მაგრამ იქნებ ცვადა, მასთან მოსული ცოდვლის სული მაინც ეხსნა. მწუქმის ქალის მოხვლა ხომ ღვთის წყალობაა, რითაც მწირს საშუალება ეძლევა, „გზა-ახნეული ცხვარი წმინდა სამწყსოს“ დაუბრუნოს, აღასრულოს ყოველი ქრისტიანის უპირველესი ვალი. მაგრამ ბერი აქაც უძღვრია, მისთვის ეს გამოცდა და არა ახსნა. განდევნილის სწრაფვამ, იხსნას თავისი სული წაწყმედისაგან, მას ყველა დანარჩენი გზა გადაუტატა. იგი ვერც ამჩნევს, მის წინაშე ცოდავლი რომ დგას, რომელიც ხსნას ითხოვს მწირისაგან. გამოცდის შემთხვევაში მთლიანად მოიცვა ბერის გონება, რადგან ხაფრთხე ეშუქრება მის პირად ინტერესს, მას, რასაც განდევნილმა ყველაფერი შეხვიართ.

ბერის სულიერი სიწმინდე მისი ერთადერთი უპირატესობაა და მას შეეწირა ყველა სხვა ადამიანური ღირსება.

განდევნილი ეგოისტი. ეს ეგოიზმი არ გამოდინარეობს მისი შინა-

განი ბუნებიდან. არც არჩეული გზა ამაღლების ნაშედეგ და, რომ გავარკვეოთ, თუ რამ გამოწვევას მწირის ასეთად გადაქცევა, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ გ. კალანდარიშვილის მიერ შეკრული, პოემის სწორი ვარიანტის უპირველად მნიშვნელოვანი თვალსაზრისი: ს. ცაიშვილის ცნობით, ილია ტავტავაძეს პოემის დედანაწივე შეუცვლია პირველი ორი სათაური — „მეუღლანოვ“ და „ბეთლემი“ — მანამდე უცნობი, ძველქართული განდგომილის საფუძველზე ამოცნებებული სიტყვით განდევნილი.

იქნებ ამით ილიამ თავის გმირს ჩამოაშორა შუასაუკუნეების მეუღლანობისა და განდგომილების შარავანდედი, არც ბეთლემით ისურვა დანათავრებისა განდევნილის შარტახულობის ტრაგედია. პოემაში წმინდ დანებებისაგან გამოცალკევების მოტივი არის. ის გრძნობა დამამთავრებელ სტროფში: „და იქ, სად წმინდანთ უდიდებითა ღმერთი მსჯავრის და ქვემარტების, იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ მსხვერპლი ქებისა და ღალადების, — აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა მარტო ქარია დადის და ქშუსი, და გამომფრთხალი ქვე-ქუხილით მუნ შეხვეწილი ნაღირი ღმუის...“

და არა მარტო აქ, გამოცალკევება იგრძნობა პოემაში ყველგან და განსაკუთრებით იქ, სადაც მკითხველი პირველად ეცნობა ბერს: „ოდესლაც ტაძარს, იმ გაუქმებულს, მეუღლანოვ შექედლებია“.

განდევნილი ტაძრის ხიზანია, იგი მხოლოდ „შეშეკლებია“ მას, რადგან ტაძარი „აუქმებულია“, არ არიან ისინი, ვინც აქ უნდა იყვნენ.

გამოცალკევება, ცხადია, დაპირისპირება ნიშნავს და იგი არ შეიძლება მხოლოდ ავტორის სურვილით იყოს გამოწვეული. მასთან, უსათუოდ მოიაზრება რაღაც მიზეზი და ყველაზე, გავარკვეოთ, რით განსხვავდება მწირი თავისი დიდი წინაპრებისაგან, განსხვავება, ერთი შეხედვით, არ ჩანს მათ მოქმედებაში.

აქა ყოფილა უწინ კრებული ღვთისთვის ქვეყნიდან განდევნილ ძმათა და მყინარს ამას უღაბნოს თურმე ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა. (11.) დღე-ღალამ სულთქმა და ღლადება მოპფენია კლდეს ყინულისასა, და არ ღეშყყდაა მუნ ლოცვის ცრემლი, ვითა ღელესა მას გლოცვისასა. (17.)

ორივეგან ღვთისადმი ლოცვის აღავლენენ, მაგრამ თუ ეს ლოცვა წმინდა მამათა ნაგეთაგან „ისმოდა ქებად წმიდა-წმიდათა“, განდევნილის ხენაიდან „ღლე-ღალამ სულთქმა“, „გლოცა“, და „გლოდება“ მოიხიბს — ბერი თავის ცოდვებს იჩინებებს.

„აქა ყოფილა უწინ კრებული ღვთისთვის ქვეყნიდან განდევნილ ძმათა“ — ასე განმარტავს ავტორი მყინარზე წმინდა მამათა მოხუცის მიზეზს, ორივე სიტყვით, რადგან მასში არა მოი-



ძიება რა, გარდა ღვთის სიყვარულისა. ხოლო როგორცაა განდევნილი გახიზნის სურათი: „სიკითხოსთვის ეს სააქაო დაუთმია და განშორებია. განშორებია ვით ცოდვის სადგურს, ვით სამეფოს ბოროტისასა, სადაც მართალი გზას ვერ აუტყვევს განსადღელსა მას ემშაყისასა; სადა ცოდა კაცსა სდევნის დღე-ღამე...“

მწიროს განდევნის მიზეზთა აღწერასა და მის მოსვლას სავანეში პოემის ორი თავი აქვს დათმობილი (III—IV) და არსად არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რომ ბერი ღმერთის სიყვარულშია მოიყვანა აქ. „აქ მოხვედ და ღმერთს შეეწვი რე თავი“ — ახე მხნის განდევნილი მყინვარზე ყოფნას და აშკარაა, რომ ეს მისთვის მსხვერპლია. ხოლო სიყვარული, ანუ სიკეთე, ანუ სათნოება არ იცნობს ამ სიტყვას — მსხვერპლი.

მწიროს უყვარს „ქვეყანა“, მაგრამ ამ სიყვარულს გამოეკეცა იგი.

მწიროს უყვარს ღმერთი, მაგრამ აქ იგი მის სიყვარულს არ მოუყვანია.

წმინდა მამები თუცა ღირსეულად „გასულანდნაჲ ქვეყნით“ და მათი ღვაწლით ტაძარი იგი ერის რწმენის სიმბოლოდ ქცეულა („ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა“); ღვთის სასწაულს, როგორც მათი სიყვარულის პასუხს, არ მოსწრებინან. ღვთის თანადგომა აქ მთლიანად მათ სიყვარულშია მოთავსებული.

**ხოლო განდევნილთა:**

წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია და სასწაული ნიშნად მდღისა მღალადებულზედ მოუვლენია.

ბერს, რომლის მოქმედებას არ წარმართავს სიყვარული, ანუ სიკეთე, ანუ სათნოება და მხოლოდ ნებისყოფით აღწევს საწადელს, აუცილებლად სჭირდება დადასტურება იმისა, რომ მისი ვედრება არ რჩება „მზად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ეს ნიშანი ღვთის თანადგომისა მას შინს სხივის სახით ეგზავნება:

„როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმეთის ლოცვანს მწირი ზედ დაყრდენდა, და ხორცთუხნებელი ზედ სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“.

განდევნილის ღვთისმოსაობას ამიერიდან „რელიური“ სტიმული უდევს საფუძველში — ცოდვები მითევებულია, სასუფთველი ცათა მისთვის ღია.

პოემიდან კარგად ჩანს, რომ წმინდა მამები ისეთივე ასკეტები იყვნენ, როგორც მწირი. „გუმე“ და „გოდება“ არ მოიხმის მათი სამყოფელიდან, რადგან სრულყოფა აქ სიყვარულით იქნა მიღწეული და არა „ხორციუნი“ (ხორციუნი) თვითმიზნური დანაკით. ვფიქრობთ, ეს სწორედ ის იდეალური შემთხვევაა, როცა გ. კალანდარიშვილას თვლასაზრისი უნდა გავიზიაროთ: „ქრისტიანობაში არ არის და არც შეიძლება იყოს მატერიისა და სულის ანტაგონიზმი“. ეს

განხიზნა, წმინდა მამებსა და ბერებს არსებითია.

ტაძრის არსებობა, როგორც ქართული, ასევე მსოფლიო ისტორიის მაგალითებზე შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს იყო არა მარტო რელიგიური, არამედ კულტურული ცენტრიც, მაგრამ ამის შესახებ პოემაში ცხარეობა თქმულა და ამიტომ ძნელია დაეჭვება, რომ წმინდა მამები სწორედ ისეთი „უპოვურესი ასკეტები“ იყვნენ, როგორც განდევნილი. „მთათი ღვაწლით იმ ტაძრის მადლი“, „ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა“ — მათი ქმედება განამტკიცებდა ღვთისადმი რწმენას ერში. ხოლო თუ რა ხდება მწირთან, ჩვენ უკვე ვთქვით.

ამრიგად, „გამოცალკევების მოტივი“ პოემაში აშკარა ფაქტებითაა დადასტურებული. ბერის გზა ზუსტად ემთხვევა წმინდა მამათა გზას; ორივე განდევნილია ლოცვა-ვედრებას აღუვლენენ, ორივე განდევნილია ამ წუთისოფლის სამაცდურისა, განხიზნაზეა შეიმჩნევა მხოლოდ მოქმედების შინა არსში, რაც მიზანთა სხვაობით არის გამოწვეული: წმინდა მამათა მიზანი ღვთის სამსახურია, ხოლო განდევნილისა — საკეთარი სულის ხსნა. მას მეტი არ შეუძლია და მისი ეგოიზმიც აქედან იწყება. ძიების ყველა მიმართულების ბოლოს ბერის პირადი ინტერესი დგას და, ამრიგად, შეგვიძლია დავაუხსტოთ, თუ ვინ არის მწირი: „თავისი სულის სოხად გახიზნული ეგოისტი“.

რატომ დამარცხდა განდევნილი? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვფიქრობთ, უკვე შეიძლება. როგორც ვნახეთ, წმინდა მამებმა იგივე გზა გაივლეს, რაც ბერმა. განხიზნაზე მხოლოდ მიზანდასახულობა, რაც მოქმედების არსში ვლინდება. ამ მიზნისათვის ბრძოლის სიმძიმე მთლიანად მწირის ნებისყოფას ეურდნობა: მან შეძლო, განშორებულა „სოფელს“, შეძლო, განედენა, განედენა უყვარა მსოფლიო რუხება, ფიქრი, წადილი“, შეძლო, „ხორცი სულისთვის ეწამებია“, დასასრულ, შეძლო, მოეთოკა ვნება მწყემსი ქალის მიმართ. აქ ყველგან ნებისყოფა იბრძვის, ნებისყოფას კი შეუძლია, კონტრალო გაუწიოს ქმედებას და არა სურვილს. მწყემსი ქალის მოსვლით აფორიაქებული „მწყურალი, გულმშრალი“ ასკეტი ცდილობს, წინასწარვე ჩაკლას ყოველგვარი გრძნობა, ხოლო მშვენიერებით „სტყველქმნილი“ გონება ურთიერთობის მაშაშვილურ „ჩარჩოში“ მოქცევას ისწავლის, სიტყვა „შვილოს“ მრავალგზის ხმარებით მწყემსთან დიალოგში (ნ. გრიგალაშვილი). პირველს გულგრილობა ბეჭვია, მეორეს — სიყვარული. მათი შეთხვევა შეუძლებელია. ამიტომ ბერი ვერც ერთს ახერხებს, ვერც მეორეს და სურვილმაც თავი იჩინა, ჯერ კიდევ კ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ცდუნების ასეთი გამოვლენა რელიგიაში გათვალისწინებულია: „რამეთუ ყოველი რა-



შეიშინებდა და დაიკარგა გულის თქუმად მას, მუნვე ამრუშა მის თანა გულსა შინა თუისსა, — თუმცა ეს „გულის თქუმა“ მწირს რომ ცოდვად ჩაეთვადა, პოემიდანაც კარგად ჩანს; ასე ფიქრობს ავტორი, რომელმაც გმირის დამარცხება გვიჩვენა, ასე ფიქრობს ღმერთი, რომელმაც ბერს აღუკვეთა სასწაული და ასე ფიქრობს ვანდეგილი, რომელმაც ჭერ კიდევ სიკვდილამდე აღიარა დანაშაული („მაშ რამან სძლია“), რადგან სიკვდილიც აღიარებებს ნიშნავს.

ამრიგად, ბერის სულიერი სიწმინდე მთლიანად მის ნებისყოფაზეა დამოკიდებული. სულისათვის ბრძოლის გზაზე მისთვის არც ერთი წამით არ უყოფლია შეგვენება. იგი „ღღე-ღა-ღამ“ იბრძვის ამისათვის. მწირი დაქანცა განუწყვეტლმა ბრძოლამ. მოუნდა, თავისი ზედერის სიმძიმე შემთხვევით მოსული აღამიანისათვის გაეზიარებინა და წამოცდა კიდევ: „ხოლო გზა ხსნისა ენათი მერგო მე... უხებურსა“. „მეოთხე ზღუდე“ თითქმის მეუხეულად დანგრეა, ხოლო შემდეგ ცოდვის საფრთხეც გამოვიდა ნებისყოფის კონტროლის არედან და ის „მარტვი სიტუაცია“, რომელიც მწყემსი ქალის „მიწიერი სინამდვილე“ მოსვლას მოჰყვა სენაკში საკმარისი აღმორჩინდა ასკეტის დასამარცხებლად.

ასეთია ჩვენი აზრით, ვანდეგილის დამარცხების ფსიქოლოგიური მოტივი.

„შის სახით ღვთება თანაბრად ეცხადება როგორც ხულის, ისე ხორცს“ — ასე განმარტავს ა. შაქრაძე დაისის მშვენიერების ხილვის ეპიზოდს და ჩვენ, ცხადია, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო („რაითა იყვნეთ თქუნთ შეილ მამისა თქუნენსა ზეცითადა, რამეთუ შეე მისი აღმოვაღის ბორცთა შედა და კეთილთა“ — მათე, 23). მაგრამ პოემაში არ ჩანს, რომ სული და ხორცის თანაბარი მშვენიერება პრობლემად იდგას ვანდეგილის წინაშე. ღვთის მიერ მოვლენილი სასწაული (შის სხვისი აღფერობა) ბერის მიერ არჩეული გზის კურთხევაა ცხადია. მწირს აქ არაფერი აქვს საკომპანო, მით უმეტეს, რომ დაისის მშვენიერების ხილვა სურათის მხოლოდ ნახეკვარი, ხოლო მეორე ნახევარის ის დღღვმა თუ წარღვნა, რომელმაც იმავე სიძლიერით შეაძრწუნა ბერი და მწყემსი, რა სიძლიერითაც ცოტა ხნის უკან „წარატყვევნა“. ვანდეგილის მიერ დანახული სურათი, ამ მთლიანობაშიც, ჭერ კიდევ არ არის აღფერობა, იმ მიზეზის გამო, რომ მისი არაფერობა და ფრთხილი; აღწერილია ბუნების ორი მოვლენა (დაისი და გრიგალი) და მწირის უზუალო განცდა — აღფრთოვანება და სასოწარკვეთა. მხოლოდ მთლიანობაში და, უსათუოდ, თანამონაწილის მეშვეობით იძენს ეს სურათი აღფეროვანულ დატვირთვას. — მწყემსი ქალი, იგი ჩამავალი მზის მშვენიერებამ აცდუნა და შემოიტყუა მყინვარზე. თუ რა განსაცდელი ჩავარდა აქ, შეითხველმა იცის. ღვთის ხატი

ანუ ზეცაურ ძალთა ნებისმიერი გამოვლენის შესაძლებლობა იყო მაცდუნებელი. მხოლოდ მიწიერი სინამდვილეა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქვეცენლის ბორცოთი ძალეობის ხატს შედარებულ შის მშვენიერებაში ქვეცენლის მკიდრთა ხილვა მეტისმეტა, მაგრამ მასში რეალური, მიწიერი და ამიტომაც მაცდუნებელი შის დანახვა სავსებით ლოგიკურია და სრულიადაც საკმარისი, სურათის აღფეროვანი შინაარსი, ჩვენი აზრით, ასე იკითხება: პირველ ნაწილში სახელობა ცოდვის (მწყემსი ქალის) ცდუნება მიწიერი სილამაზით, ხოლო მეორეში — იგივე ცოდვის ღვთის სამსკავროზე („განკითხვის დღე“), მთლიანობაში იგი ზუსტად ეთხვევა ვროშის ტაძრის ქანდაკების აღფერობას (ნ. ვინაველი-შვილი) და ასევე მოგვაგონებს ბერის სიკვდილისწინა განცდათა მონაცვლეობას — „ჭერ არ-ცნობილი სიტუაცია“, ხოლო შემდეგ ჭკოუნხეთური ტანჯა და აღსასრული. მწყემსი დამწერილობით მოუყვა ვანდეგილს თავდადასავლს და, თუ მწირის უზუალო ვანცდათა სიზუსტეს გაავითვალისწინებთ, აქ სულ ცოტა, იოტის ოდენა თანაგრძობა (სიყვარული) და დაფიქრება იყო საჭირო მოუყვას ს ბედზე და ბერი ყველაფერს მიხვდებოდა. მაგრამ მისი მზრალი სიტუაცია („შვილოს“ „ტრანსკრიფცია“ ჩვენ ვიცით) და სულ სხვა მხარეს მოფათურ გონება მას ამ სამსახურს ვერ გაუწვდენდნ — კარგა ხანია „მწირს ელდა ეცა“ („ელდა — ანაზღი შიშით მიზნდა“ — სახა) — შიში საკუთარის დაკარგვისა.

მიუხედავად საშიშროებისა (მწყემსი გააფრთხილებს, „ნუ ენდობით, შეილო, ამ მუნდვარს, ნახავ, მზე აღგას, უცებ გაწურება...“ ვანდეგილიც „შეკრთა, შეშინდა“, „ნუთუ აქ ბედმა ქალის სახითა განსაცდელი რამ მას მოუვლინა?“), აღამიანი შინაგანად ელტვის „ღვთებრივ“ (მიწიერ) მშვენიერებას — მწყემსი ქალი და ბერი, ორი ძირეულად განსხვავებული პიროვნება („ხორცი“ და „სული“), ერთნაირად მიიზიდა დაისის სილამაზემ. „თვით მადლს ტრფობისას“ ეტოლებსა „გახაოცარი რაღაც შეენება“ მწყემსი ქალისა „და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმა...“

ასეთია ვანდეგილის დამარცხების „მეწიერი“ მოტივი.

როგორც აღვნიშნეთ, მწირს უყვარს მოყვასი, მაგრამ ამ სიყვარულს გამოეცა იგი, უყვარს ღმერთი, მაგრამ სავანეში ბერი მის სიყვარულს არ მოუყვანია. ვანდეგილის წინათვლაში-იხსნას თავისი სული, არ მონაწილეობს ეს ზეცადამცინურ ძალის მქონე გრძობა, რომელმაც წმინდა მამები ღმერთულად გაიყვანა „ამა ქვეყნით“. უგულვებელყოფილია რიგით მთერთმეტეს, ხოლო ქრისტიანულ რელიგიაში უპირველესი მცნება: „რამეთუ ენე არს მცენებანი ჩემი, რაითა იყუარებოდით ურთიერთას, ვი-

თარეკ მე შეგაუყარენ თქუნენ“ (იონე, 15, 18).  
ქრისტეს მცნება მხოლოდ სიუყარულს მიიჩნევს  
სრულყოფისათვის აუცილებელი ინერჯიის წყა-  
როდ, ამტომაც აფრთხილებს შორწმუნებს: „რო-  
მელმან მოიპოოს სული თუხი, წარიწყმიდოს  
იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თუხი  
ჩემთუხ. მან პოოს იგი“ (მათე, 10, 89). —  
„ჩემთუხ“ აქ სწორედ იმ სიუყარულს ნიშნავს,  
რომელიც თანაბრად მოიცავს როგორც ღვთის,  
ასევე ერის სიუყარულს: „შეიყარო უფალი  
ღმერთი შენი ყოვლითა გულისთა შენითა და  
ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონე-  
ბითა შენითა“.

ესე არს დიდი და პირველი მცნებაი.  
და მეორე, მსგავსი ამისი: „შეიყარო  
მოყუახი შენი, ვითარცა თავი თუხი“ (მათე, 22,  
27—29).

ახეთი ჩანს განდეგილის დამარცხების „რე-  
ლიგიური“ მოტივი.

„ინტარია ხასუფავილში“ ერთი გზა მიდის —  
სიკეთის გზა. აუცილებელია, ბერი აქ, სწორედ  
„სულიხსა“ და „ხორცის“ ერთიანობაში ეწააროს  
ამ წეტარებას — სიკეთეს, — რადგან „ერთი  
არს სახერია“ (მათე, 19, 17) — ღმერთი არის  
კეთილი. მწიბრი მხოლოდ ამის შემდეგ ვახდება  
„ღმერთთან ზიარებულად“. მისი სულის ხსნა იმ  
წოდებულს მიღმა ძეგს, რომელზეც „ყოველი“  
დგას. მაგრამ განდეგილისთვის ეს გამოცდა და  
არა ხსნა. ამისთვის მას სიმაო „მოტივი“ გა-  
ანია და მათი სიძრავლე იმის შიუწყებელია,  
რომ ბერი განწირულია და სასაღუპა-  
ეად. მისი სიკვდილიც ამიტომ უდრის თვით-  
მკვლელობას: მას შეუძლია, მოინანიოს ცოდვა,  
კვლავ აწამოს „ხორცი“, კვლავ დაიმსახუროს  
ღვთის წყალობა, მაგრამ ხაღდაც, გზის ბოლოს,  
კვლავ ელის „გამოცდა“ და იგი ისევ დამარცხ-  
დება...

მკვლევართა მიერ მწიბრის პირადი ღირსებე-  
ბის (ფილოსოფიის, ალტრუისტის) წინ წამოწევის  
ცდა, რომ ეს არის დიდი აღამიანის ტრა-  
გედია. მაგრამ ბერი არ არის ახეთი და, რომც  
იყოს, ხილრმე აქ არ მოიძებნება. ეს უყელაფე-  
რი, „წედამირია“, იმის მიუხედავად, შევიცნობთ  
თუ ვერა განდეგილის პიროვნებას ბოლომდე.  
პოემის ფაბულური ორიენტაციების ჩვენებას  
„გველის-მგამელთან“ მიმართებაში შევეცდეთ-  
ით, აქ კი იმ კითხვას დავუბრუნდებით, რომ-  
ლითაც ქერ სიმონ ჩიქოვანი დიფიტრებსდა და  
შემდეგ აკაკი ბაქრაძემ აქცია განსჯის საკითხად  
— „რისთვის დაახინავა განდეგილი ავტორმა  
მყინვარწყურის წილაში?“... „ბეთლემი არის  
„ხაზლი ცხოვრებისა, გინა სიწყინდისა“ (საბა).  
მყინვარწყური იმ უწინების საცხოვრისთა, რომ-  
ლის თვლი დარაჯობს საქართველოს“ (ა. ბაქრა-  
ძე). პასუხი ამ კითხვებზე ასევე ითვლისწინებს  
კითხვას: „რაოტმ დაწერა ილიამ „განდეგილი“,  
ახუ რწმენის ტრაგედია? — რთა ეჩვენებინა,  
თუ ვინ იმყოფება „ადღეს“ ერის სულიერი ძლი-

ერების სათავეში — და სასაღუპად გან-  
წირული ექვიანი მარტოკაცი.

„განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა, მაგრამ  
არა მარტო მწიბრის შემთხვევაში, ტრაგედიის  
მასშტაბი აქ ერის საწვდრებით იფარგლება.

დასასრულ კიდევ ერთი კითხვა: „არის თუ არა  
ეს ყოველივე მაინცდამაინც ასე? — პასუხი  
რეალისტისთვის მიგვიანდება, რადგან ცხელია,  
უყელა აქ გაკეთებული დასკვნა მხოლოდ იმ ინ-  
ფორმაციაზე დაყრდნობით გამოითქვა, რომელიც  
აღნიშნულ მკვლევართა წერილების კვლავ ამ  
გენიალურ პოემაში ჩვენთვის ხელმისაწვდომი  
აღმოჩნდა, მაგრამ ეს სამი ორიენტირი —  
წმინდა მამთა „რწმენის ტაძარი“ —  
ექვიანი მარტოკაციის „თავშეისაღარი“ —  
„მუნ შეხვეწილ ნადირთა“ „ბუნაგი“ — ერთ  
სწორ ხაზზე მდებარეობს, რომლის თავსებად-  
ეში მიმართულება (ვერტოკალურად ქვემოთ)  
ყოველგვარ ეჭვს გარეშე დგას და მკითხველის  
უწრადღახსაც სწორედ ამ ფაქტზე გავამახვი-  
ლებთ“.

ხოლო ეს უკანასკნელი („ბუნაგი“), თავისი  
შინაარსით, აუცილებლად მოგვაგონებს იმ ორ  
პერიოდს კაცობრიობის „ისტორიდან“, როცა  
ღმერთი იძულებული იყო, აქტიურად ჩარეულიყო  
აღმართა საქმიანობაში. პირველი „მსოფ-  
ლიო წარდგინს“ სახით არის ცნობილი, მეორედ  
ქე კაცისა მოველინა ქვეყანას მხსნელად და  
პოემიდან, უსთუოდ, მოყონავს კითხვა: როგორი  
ქენება მესამე განაჩენი?

„განდეგილი“ პენიმისტური ნაწარმოებია და  
ამ პენიმისს აქვს თავისი დანიშნულება პოე-  
მაში — იმეციური დატვირთვის უსასრულოდ  
აღმავალი ხაზი. წარმოვიდგინოთ, რომ პოემა  
მთავრდება არა „ნადირთა ბუნაგის“ სურათით  
(გმოციურთა დატვირთვა სწორედ აქ უფრთდება  
უსასრულობას, რადგან „დაცემის სიხალდე“  
ფანტასტიკურია — ტაძრიდან ბუნაგამდე), არა-  
მედ მწყემსი ქალით, რომელიც ამჭერად აისის  
მშვენიერებით ტკება. პოემა აწკარა ოპტიმის-  
ტურ ინტონაციას შეიძენდა (სიცოცხლე დამთავ-  
რდა, სიცოცხლე გრძელდება) და იქვე, იმ წუ-  
თას, დაინჯრეოდა (გახათილდებოდა) უყელაფე-  
რის ის, რაც ილიამ ცხოვრება დიდი ინერჯიითა და  
სიმძაფრით მოიტანა მკითხველამდე. მაგრამ,  
როგორც ვიცით, ავტორმა მწყემსი ქალი კერის  
ბურანის მომკვრელ სითხოში დატოვა მიწინაუ-  
ლი და სამარადეამოდ.

პენიმისტურია „გველის-მგამელიც“. მისი ფი-  
ნალი... თუმცა, ალბათ, უკეთესია თავიდან და-  
ვიწყოთ და იწყება პოემა ჩვენამდე მოღწეულ  
ხელნაწერებში ასე: „გუპირდა ფრთად ცხოვრება,  
სულთქამსა და ოხრავს სოფელი... დედის ბედს  
შვილი დასტირის, შვილისას ტირის შშობელი“.

„განდეგილი“ აღწერილი სოფელიც ასევე  
„სულთქამსა“: „სად რყენა, წაწყმედა და ღლა-  
ტია, სადაც ძმა ხხარობს სისხლსა ძმისასა, სად



ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის წმინდა სიყვარულს მოყვასისასა“.

წარსული, შორეული და დიდებული, მხოლოდ მაგონებაში ინარჩუნებს ძალას: „და ტაძარი ღვთის გაუქმებულა... იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი (...) ესოდენ წმინდად სწავს დღესაც ერსა“...

და „მოხუცი“ ამ დიდების გახსენებით აქეზებენ ახალუბლებს: „აღზნებით გმირთა სახელებს ლექსებში სთვლიდნენ წმიდადა; (...) ახლებს საწურთნელადა იხსენებდინ კებითა: თქვენ იცით ამას იქითა, კაცად ვინ გამასდგებოთ!“

მაგრამ „კაცი“ არა ჩინ. „ტაძარი ღვთის გაუქმებულა“ და „არც ცოდნა არის, არც ფიქრი, არც ვინ ექიმი ჰირისა“. სწორედ ახეთი შევირვების უამს გამოდინა ახარეზზე „განდებოლისა“ და „გველის-შეამელისა“ გმირები და დიდი ხნის მღუმარების შემდეგ კვლავ გაისმა დალაღება წმინდა ტაძარში:

ღღე-ღა-ღამ სულთქმა და ღაღადება მოჰფენია კლდეს ყინულისასა...

და კვლავ აღდგა ერი იგი შევირვებული: ბევრჯელ მოუნდა ლაშქრობა ღუკ-საპარსებ, ქისტებ, თურქთაზა, გამარჯვებულნი მოდიან ხეცსურეთს ვაჟნი მუღამა.

ზღუდე გაამარდა ქართლისა, მტერს შუაქერეს სუღარა.

ერის რწმენის ტაძარში წმინდანი იღვწის: სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი სიწმინდის მადლით დაჰშენებოდა, და მალალს შებლსა, ნაოკად შეერულს, შარავანდელი გადაჰფენოდა.

ხოლო მის ფიზიკურ ძლიერებას ზეადამიანურ ძალის მქონე ბელადი უღვას სათავეში: მალთა ტყვიასავითა, გრძნეული, როგორც გველია,

იცის მტრის დასამარცხებთ და შემემუსგრელი ფანდია;

შუაზე გაჭრილს გაკურნავს მის უებარი წამალი...

ერას „ხული“ და „ხორცი“ საიმედო ხელშია, მით უმეტეს რომ რჩეულებს ღმერთი უღვათ შემწეად:

როს ჰლოცულობდა, იმ სხვისა თურმე თვის ლოცვას მწირი ზედ დააყრდნედა, და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი უფლის ბრძანებით ზედ შეიჩინდა.

ხოლო „გველის-შეამელი“ „უკველამ იცის“: ჩვენა გვეჰმს, შენაც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა, ხატიც გამმარჯვედ დაგყვები, კარგად იციან ყველგანა.

ახეთია „განდებოლისა“ და „გველის-შეამელისა“ მსგავსება მათ მოსაზრებელ ნაწილში და ახე-

თი ჩანს მწირი და მინდია „გარდენა“. მათი შინაგანი ბუნების წარმოსაჩენად აუცილებელია, ალბათ, მხოლოდ გენოსთათვის ხელმისაწვდომი „მარტივი სიტუაციის“ სირთულე. თუ როგორ წარმოართა ეს სიტუაცია ბერისათვის, ჩვენ ვიცით და ამჭერად შევეცდებით, მოკლედ ვაჩვენოთ გველისშეამელის ვნებათა სქემა-ანალიზი.

მინდას ზეობის პერიოდის „ქვეყნის მდგომარეობა, პოემის მეტუთე თავის დასასრულს, ასეა შეფახებული — „ვედარვინ ჰხედავს რჩოლასა, მყუღროებთაა ყველგანა“. ამ მყუღროებით იწყება ზემოთ ნახსენები „მარტივი სიტუაცია“ და მართლაც, რა უნდა იყოს მყუღროებაზე უფრო მარტობა არის მქონე. მაგრამ მასში გადაწყვეტი მნიშვნელობის ცნობაა ჩადებული: ერის ბელადი „უსაბამური“ გახდა; ომები დამთავრდა, „მტერს შუაქერეს სუღარა“, არც დაჭრილნი სამაკურნალო, იეს ქვეყანა“ დაპყრობით ომებს არ ეწყვა და მხედართმთავარი, რომელიც აქამდე გამუღმებით საქვეყნო საქმეებით იყო დაკავებული („ბევრჯელ მოუნდა ლაშქრობა ღუკ-საპარსებ, ქისტებ, თურქთაზა“) „ღღეღიდან“ თავისუფალა. პოემის შინაარსის მიხედვით, მინდას ეს ზეადამიანური თვისებები იმისთვის მიენიჭა, რომ მასში სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი იქნა დანახული ღვთის მიერ. მაგრამ, სამაგიეროდ, აქრამალა არსებობისათვის საჭირო საგანთა მოპოვება ბუნებაში: არ შეუძლია, მოჭრას ხე, მოთიბოს ბალახი (ე. ი. საქონელს ვერ იყოლიებს); მოკლას ნადირი და ერთადერთი საარსებო წყაროდ ზორბლის მოყვანა და მით საზრდოობა აქვს დატოვებული. ცხდია, ყოველივე ეს „გველის-შეამელი“ იხევს შეფარვით არის გადმოცემული, როგორც „განდებოლი“ ბერის სულიერი საყარო.

თავისუფალმა დრომ მინდას საშუალება მისცა, ცხოვრებაში „გახეხე-გამოხედა“, შეუყვარდა მზია და ცოლად მოიყვანა, გაჩნდნენ ბავშვები ოჯახის მოთხოვნილება გაიზარდა. მინდია დიდხანს ებრძვის თავისთავს, ბოლოს კი იძულებულია, ხეც მოჭრას და ნადირიც მოკლას. ოჯახი უზრუნველყოფილია. მაგრამ რაკი დაიბრუნდა აკრამალა, გველისშეამელი კარგავს ღვთისგან ზოქებულ ნივს მხედართმთავრობისა (აქ და ყველგან გამოყვოფთ მხოლოდ პოემის მთლიანობაში განათვალისწინებელ ძირითად საკითხებს). მინდია ახლად ხედება, თუ ვინ იყო აღრე (ერის მხსნელი ბელადი) და ვინ გახდა — რიგითი ხეცსური.

სამშობლოს სასღვრებზე ჭერ კიდევ „მყუღროებაა ყველგანა“.

ხოლო ბერი ჭერ კიდევ თავისთავს ებრძვის: „უბედურსაო“?! და მწირსა უცებ გულს მცა ამ სიტყვის თქმბედ...



„ვით არ იკმარებს კურთხევას, მისზედ გულუხვად მომადლებულსა.. არა და არა.. მაშ რამან სძლია და ეს სიტყვა რამ ამოაკენსა?“

**განდევლის მიხედვად, რომ „იძლია“. იგი შიგლი არსებით ცდილობს, თავი დაადლოს განსაცდელს, მაგრამ ეს „განწირულის აგონია“: „პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის, ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება, ხატის ხილვა სურს და იგივე... იგივე... ქალი წყეული თვალთ ელანდება!“**  
**გველისშემამელიც ჩასწვდა მოხალოდნელ ხაფრთხეს:**

ველარას ვარგებ ქვეყანას  
მტრის მამგერებელს ჭარშია,

დღესნამდე მტრები შინაით  
ვერა ძვრებოდენ კარშია  
შიშით, და ეს რომ გაიგონ,  
მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ,  
ჩვენ სახლებს, ციხე-კოშკებსა  
ნაობრად გადაქცევენ.

**ერთადერთი იმედი დარჩენია განდევლის — ღვთის გულმოწყალება:**

...თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბელსა.  
შისი ამოსვლასა ელოდებოდა...

და კვლავ შვის სხივი იმავე სვეტად  
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.  
გულზედ მოეშო...

**ერის ხელადიც ხატის წინ დამოხიდა, რათა მისი ცოდვა უფალმა ქვეყანასა და ხალხს არ აზღვეინოს, თორემ ომის მაცენ მოხულა უკვე:**  
ლოცულობს თვალ-ცრემლიანი,  
აზრი არ ისმის ლოცვისა.

ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი  
აბჯრის ეღერაში ერევა,  
ლოცულობს, დაჩოქილია,  
ხანიც მრავალი ეღევა.  
**ამო აღმოჩნდა შვირის უკანასკნელი იმედი:**  
მივიდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ  
და, ეპა, სხივმა არ დაიპირა!..

**ამო აღმოჩნდა მინდიას ვედრებაც:**  
და ამ დროს ნახა სოფლებში  
ციცხლები, — უტლი ნიშანი.  
გაიგო, რაც მომხდარიყო,  
ალარ უნდოდა მისანი.

**და გმირბესაც სხვა არა დარჩენიათ რა:**  
დაესხა რეტო, თვალთ დაუბნელდა,  
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,  
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთისა  
და იქვე სხივ-ქვეშ უტრევა სული.

ქულს იხდის... სიტყვა ველარ სოქვა,  
ხმლის ტარს შეაბო ცერითა,  
ამოიწვავდა ქარქაშით,  
გულს მიიბჭინა წვერითა.  
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,  
გადმოუვიდა ჩქერითა...

დანაშაულის აღიარება არ ნიშნავს მონათესავეს  
იგი მხოლოდ მაშინ არის სრულფასოვანი, როცა  
აღამიანი უეცრე თვისი გახდება. გმირების თვით-  
მკვლელობა კი (შვირის სიკვდილიც თვითმკვლე-  
ლობას უდრის) — მ. კლადარიაშვილი იმის  
მაუწყებელია, რომ მათ ეს არ შეეძლოთ.  
ისინი, მათდა „სანუგეშოდ“, საუკეთესონი იყვნენ  
თავისტომთა შორის, მაგრამ უკანასკნელნი  
თავის მხგავსთა — რჩეულთა — გვერდით; ტრა-  
გედიანს ძირიც აქ იღებს სათავეს და ერის ტრა-  
გედიაც სწორედ ეს არის — „და იგი ცრემლი  
ურწმუნობის, ეჭვისა და ტანჯვის ზღადადებს  
მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა“ —  
ეს მიმართვა „აჩრდილთან“, ცხადია, საქართვე-  
ლოს ეტება.

ჩვენ არ გვიცდია, ჩამოგვეყალიბებინა „გან-  
დევლის“ იდეა. წერილის პირველი ნაწილი  
მთლიანად დაეთმო განდევლის პიროვნებისა და  
მისი დამარცხების მიზეზთა კვლევას. პოემის  
იდეური ხაზი, რომლის საკვანძო ორიენტირები  
„გველის-შემამელთან“ მიმართებაში შეეცადეთ  
წარმოგვეჩინა, ამ ანალიზთან პირდაპირ ლო-  
გაქურ კავშირში არ არის. შვირის ცხოვრება  
მხოლოდ ერთი, თუმცაღა აუცილებელი, მონა-  
კვეთია ამ ხაზზე და ამიტომ ძირითადი დასკვ-  
ნები ამ ანალიზებიდან არ გამომდინარეობს.  
ა. ბაქრაძემ და ნ. გრიგალაშვილმა ილიას შემო-  
ქმედიანად შეაჯერეს ეს კავშირი და ერის ხსნის  
შესახებ აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისს ამის გამო  
უწუროდით მოულოდნელი.

იქ, სადაც „დღეს“ „მეფუცება ჭეპა-ქუხილისა,  
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია“, სადაც  
„კაცთ ტრიაშული ვერ შესწვდინია“, „უწინდელ  
დროში“, „შივისა“ და „ზეცისა“ ამ შეუტრუვე-  
ლელ სამანზე, „ღვთისა მოხავთა“ კლდესა  
და ყინულში ტაძარი გამოუკეთავთ. ღვთის  
სიყვარულს მოუყვანია აქ წმინდა მამანი და  
„ამას უდაბნოს თურმე ისმოდა ქება წმიდა.  
წმიდათა“. ღადადების ხმა, ამ სამანიდან, ორივე  
მხარეს აღწევს: წმინდა მამათა ღვაწლითა და  
უფლის ნებით ტაძრის მიდამოს მარადიული  
სიწმინდე მიენიჭა, ხოლო ქვეყნისთვის თვით ტა-  
ძარი ერის რწმენის, სიწმინდისა და ძლიერების  
სიმბოლოდ იქცა — „ხეტლემს („სახლი სიწმი-  
დისა“) უწოდებს დღესაც ერის“. „გასულან ამა  
ქვეყნით მამანი და ტაძარი ღვთის გაუქმე-  
ბულა...“

„ოდებსღაც ტაძარს იმ გაუქმებულს მეუდაბნოე  
შეგველდება“ — სწორედ აქ, განდევლის გა-  
მოჩენასთან დაკავშირებით მოიხსენიება უკან-  
ასკნელად ეს სიტყვა — ტაძარი, — სიტ-  
ყვა, რომელიც თავის არსშივე მოიცავს დიდ  
ზუღისა და გრანდიოზულის მნიშვნელობას.  
ამიერიდან ეს არის „შესაფარებელი ბინა“,  
„სახლი ღვთისა“, „მონასტერი“ („საშეგერ), „სენა-  
კი“ (ცხრაჯერ). ცხადია, მათი გამოყენება  
ბევრგან კონტექსტითაც არის გამოწვეული, მაგ-  
რამ ამ სიმრავლეში ახვევ ბევრჯერ ან, უკიდურ-





რეს შემთხვევაში, ერთხელ შინც შეიძლება დატარის ხმარება. წმინდა ტაძარი სივრცეში აშკარად დაბატარავდა, იგი „სენაკად“ გადაიქცა...

უკანასკნელმა ბინადარმაც დატოვა სხვანე. „და იქ, სად წმინდანი უდიდებიათ ღმერთი მსჯავრის და ქეშმარიტების“, „აწ შორის ნანგრევთ და ნატაპალთა მარტო ქარიღა დაღის და ქშუსი“. ესმიდან ესამიდე „გზაანულო ცოდეილი“ თუ შემოებეტება შემთხვევით, ღვთის რისხვაც არ დააუფენებს და ქეჟა-ქუხილით გამომფრთხალი ნადირი „თავის ზუნაგს“ შიამურებს. კაცო არა ჩანს...

ახეთია, ჩვენი აზრით, საქართველოს ბედის აღდგორიული სურათი „განდეგილში“ რამელიცა. ბაქრაძის თქმით, მარჯორი უორდროპმა შეამჩნია და აღნიშნა. ასეთივეა ეს სურათი „გველის-შჟამელში“, მხოლოდ „დიდების პიკია“ წანაცვლებული. აქ იგი მინდახ „მოსვლით“ არის ახსნილი, ხოლო ქვეუნი ძლიერების მიდწული დონე თამარ-მეფის ხანასთანაა დაკავშირებული. აღმათ, ამის გამოც „აკლია“ პოემას პროლოგი („გაჟირდა ფრიად ცხოვრება...“) — „პიკის“ ორივე მხარე დამრეცია...

„განდეგილის“ თემად აღებულია ცხოვრება და ტრაგედია პიროვნებისა (ეს პიროვნება უსათუოდ დადებითია), რომელიც, ძნელბედობის ქაშს, შემთხვევით მოექცა ერის რწმენის სათავეში.

როგორც მწირი, ასევე მინდაც შემთხვევით მოხდენენ ერის სათავეში. ამისათვის საქმარისი აღმოჩნდა ბერს თავისი სულის ხსნაზე ეზრუნა,

ხოლო გველისშჟამელს, ტუვეობით შეწუხებულს და სამშობლომონატრებულს თავის მოკვლა დაღწევიტა. არც ერთის მიზანი იყო ქვეუნი ხსნა და არც მეორისა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა. მწირი იხე მოკვდა, არც გაუჯია თურა მოვალეობა ეკისრა მას აქ უოფნით, მინდია მხოლოდ დამარცხების შედეგ მიხვდა ამის.

„წინმავალი კაცი“ ტვრთს ნებისყოფა ვერ ზიდავს. იგი წამიერ სისუსტეთა დახაძლევადა გამოადგება მხოლოდ („ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაისათვს დამიტყვე მიე?“ — ჭყარზე გაქრული მაცხოვრის უკანასკნელი სიტყვები მისი აღამიანური წილის მიყსეული გამოვლენაა). ნებისყოფა „გზა უვალის „გასათეულად“ ბავშვის სათამაშო ხმალი რაინდის მახვილის ხანაცვლიდა.

„განდეგილის“ იდეის განსაზღვრა მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთ ფორმულირებაშიც შენარჩუნებულია ძირითადი აზრი: ერის ძლიერებისათვის აუცილებელია წინამძღოლი, რომლის ამქვეყნიურ ცხოვრებისას არსს ქვეუნი კეთილდღეობა წარმოადგენს. რაც შეეხება „სულის ხსნას“, იგი ნეტარი იქნება „მიწიერი“ გაგებითაც („ნეტავი იმას, ვისაც კი მდალიერი ჰყავს ქვეყანა“) და რელიგიური თვალსაზრისითაც — ეგრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა რაითა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი...“

ასე აისახა ერის „სულისა“ („განდეგილი“) და „ხორცის“ („გველის-შჟამელი“) ტრაგედია ქართველ კლასიკოსთა ამ ნაწარმოებებში, თუშცა ერთი თავისთავად გულისხმობს მეორეს.



შალვა ხიდაშელი

გერონტი ქიქოძის გახსენება

გერონტი ქიქოძე ბავშვობიდან მახოვს, 20-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ჩვენი სკოლის მოწაფეთა ერთი ნაწილი კიკეთში წაგვიყვანეს სააგარაკოდ. ვცხოვრობდით, თუ არ ვცდები, სკოლის შენობაში, რაღაც საქველმოქმედო დაწესებულების ხარჯზე, რომელსაც ჩვენ, მოწაფეები და, მგონი, მასწავლებლებიც „ამერიკულ კომიტეტს“ ვუწოდებდით.

ქალბატონი ანასტასია ამირეჯიბი გერონტი ქიქოძის მეუღლე, პირველ სკოლაში (ყოფილ კლასიკურ გიმნაზიაში) ხატვას გავსწავლიდა და, ამავე დროს, ხსენებული კომიტეტის საქმეებს განაგებდა. ქ-ნი ანასტასია ამ დროს თვითონაც კიკეთში ატარებდა ზაფხულს შვილებთან ერთად და ბატონი გერონტი ქიქოძე თბილისიდან დროდადრო ამოდიოდა. მე, რა თქმა უნდა, ამ პიროვნებაზე დამოუკიდებელი წარმოდგენა არ შეიძლებოდა მქონოდა, მაგრამ, ჩანს, ჩაწვეთებული მქონდა უფროსებისაგან, რომ ის უკვე მაშინ ცნობილი მოღვაწე და მწერალი იყო და ამით იყო გამოწვეული, რომ მისი სახელი ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში აღიბეჭდა.

1927 წელს მე და ჩემი მეგობარი, სანდრო გაბაშვილი (ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი) უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდით, სამი კვირა ვაკატარეთ ეკატერინე გაბაშვილის აგარაკზე ახალქალაქში (გორის მახლობლად), სადაც დღევანდლამდე შემორჩენილი თარხნიშვილების ცნობილი სასახლე. იმავე სოფელში ქალბატონ ეკატერინეს, თარხნიშვილის ასულს, საკმაოდ დიდი აგარაკი მქონდა.

ეკატერინე გაბაშვილთან ამ დროს მისი მრავალრიცხოვანი შვილიშვილები ისვენებდნენ. მე და სანდრო უველაზე უფროსები ვიყავით და ქ-ნმა ეკატერინემ მოგვცა უფლება, აგარაკზე დარჩენილ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წიგნები დავგვეთვალიერებინა, წიგნებს შორის „დაბოვარჩინეთ“ გერონტი ქიქოძის „ეროვნული ენერჯია“ (თბილისი, 1919). წიგნში ნათლად ჩან-

და ავტორის ინტერესების მრავალფეროვნება, ფართო ერულიცა და წერის დახვეწილი სტილი; ჩანდა ავტორის უოველგვარ პრეტენზიულობას მოკლებული საოცარი უბრალოება: „ამ წიგნში — ვკითხულობთ მოკლე წინასიტყვაობაში, — მოთავსებული წერილები პირველად უოველდღიურ გამოცემებში დაიბეჭდა დიდი ომის და რევოლუციის დროს და შეიძლება დღეს მკითხველს უმნიშვნელოდ და დაძველებულად ეჩვენოს ზოგიერთი მათგანი. ჩვენი თაობა ახალი კულტურის მიჯნაზე სდგას და მას ძალოვანი და უჩვეულო სიტყვები სწყურია. მაგრამ ავტორს მგონია, რომ წინსვლა შეუძლებელია თუ დროგამოშვებით უკან არ გადავიხედეთ და არ განვთავისუფლდით იმ ტვირთისაგან, რომელიც იდეების სახით მხრებზე გავწვა წლების განმავლობაში“.

1928 წელს გერონტი ქიქოძე პირადად გავიცანი და დავუახლოვდი. ამ წელს გაიხსნა თბილისში შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენა, რომელიც შედგებოდა ხელნაწერთა (ხელმძღვანელი პავლე ინგოროყვა), ხელოვნების (ხელმძღვანელი გიორგი ჩუბინაშვილი) და მატერიალური კულტურის (ხელმძღვანელი ივანე ჭავჭავაძე) განყოფილებებისაგან. გერონტი ქიქოძე ამ გამოფენის ხშირი სტუმარი იყო, სადაც მას ვხვდებოდი, როგორც მატერიალური კულტურის განყოფილების ექსპოზიციის მოწყობის ერთ-ერთი მონაწილე.

1941 წლის გაზაფხულიდან აგვისტოს შუარიცხვებამდე (როდესაც მე საბჭოთა არმიის რიგებში გამოწვივის) თითქმის ყოველ საღამოს გერონტი ქიქოძესთან ვატარებდი. პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექციის დაკვეთით ვადგენდით ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა საილუსტრაციო ტაბულებს, რომელთა მიხედვით შემდეგ ფოტო-ალბომები უნდა დაიბეჭდათ და მხარე სახელმძღვანელოების სახით.

ამ გამოვლინა ბ-ნ გერონტის განსაკუთრებ-



ბელი ცოდნა, როგორც საქართველოს გეოგრაფიისა, ასევე მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, საქართველოს კუთვნიებისა და ჩვენი ერის ისტორიის ცალკეული ეპიზოდებისა. ის შესანიშნავად იცნობდა როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყაროს, „ქართლის ცხოვრებას“, აგრეთვე, მთელ სამეცნიერო ლიტერატურას. და არა მხოლოდ იცოდა, არამედ განიცდიდა მთელი სიღრმით, ისევე, როგორც უველადფერს, რაც კი მისი ცნობიერების შინაარსს შეადგენდა. ამ დროს დაიწყო მან ცნობილი წიგნის წერა ერეკლე მეორეზე, სადაც კახეთის მხატვრულად გადმოცემულ პიუზების ენაცვლება ისტორიული ფაქტები და ქართველი ერის ისტორიის ტრაგიკული ეპიზოდები: „ახე თავაზიანად შეხვდნენ ერთმანეთს შაჰ-აბას პირველის და თეიმურაზ მეფის ჩამომავლები, თითქოს მათ მახსოვრობაში წაშლილი უყოფილიყოს ნახევარი საუკუნის წინათ მომხდარი ამბების მოგონება, კახთ ბატონის ქედმოუხრელი ბრძოლა შაჰის წინააღმდეგ, კახელების გაქცევა და გადასახლება, მათი ვენახების და თუთის ხეების აკაფვა, მათი დედოფლების ძუძუების დაღვრა გახურებული შანთებით“.

მომხიბლავი იყო გერონტი ქიქოძის საუბრები გურასა და ზამბაროზე, ალაუნის გაშლილ ველზე და დათოვლილი მთების გარეხილებზე. მისი შთაბეჭდილებანი იმდენად გადამდები იყო, რომ შემდეგ, როდესაც სიღნაღი საკუთარი თვალით ვიხილე, მეგონა, იქ დიდი ხნის წინ ვიყავი ნამყოფი.

გერონტი ქიქოძის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს რამდენჯერმე მანქანით გავასიერნეთ ქალაქგარეთ, ჭვარზე, საგურამოს მიდამოებში. ბ-ნი გერონტი თითქოს იცვლებოდა საქართველოს ძველ მიწა-წყალზე და ბუნების წიაღში. მისი გამოხედვა, გარემოს მშვიდი და უყინიარე კვრეტა, მისი „მპატიებლური“ ტონი აღმათების მიმართ აქ თითქოს უფრო მეტი სიციხადით და გარკვეულობით ჩანდა.

აღბათ, ბევრს ახსოვს გერონტი ქიქოძის სახიამოვნო გარეგნობა, მისი დინჯი სიარული, ოდნავ გვერდზე გადახრილი თავი და მზრების თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოძრაობა, იმდენად დამახასიათებელი, რომ, როგორც ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში წერს, ამ მოძრაობის მიხედვით იცნო ის მოსკოვში ქ. ბერნი გაცნობილმა ქალმა მან წლის განშორების შემდეგ.

გერონტი ქიქოძე ძალიან ცოტას წერს საკუთარ ხასიათზე იქაც კი, სადაც თავისი ცხოვრების ფაქტებზე ლაპარაკობს, მაგრამ არ შეიძლება აქ მისი სიტყვები არ გავიხსენოთ: „მე პოლიტიკური მებრძოლის ტემპერამენტი და პატივმოყვარეობა არა მქონდა და უკველთვის მოვლენათა მეთვალყურის როლი მერჩია, ვიდ-

რე აქტიური მონაწილისა. არახოდეს დიდ ბრუნაზე ასვლა არ მყვარებია; თავს დაქმნეულივით ვგრძნობდი, თუ შესაძლებლობა მომეცემოდა და გავითის ან ყურნალის მეშვეობით ქართველ ინტელიგენტურ საზოგადოებას გამოველაპარაკებოდი და უცნობი მეგობრების წრის მოგონებას დავიხსახურებდი“.

გერონტი ქიქოძე არის მეცნიერი, რომლისთვისაც სინამდვილე მხოლოდ არსებობს და მხოლოდ მოაზრების საგანს წარმოადგენს; არც ხმელავანია და მწერალი, რომლისთვისაც სინამდვილე მხოლოდ ესთეტიკური განცდის ფენომენია, და არც მორალისტი, რომელიც მონად ისახავს, ცხოვრების ეთიკური საწყისები ამოიკითხოს და აღმართა ურთიერთობის ნორმები გაარკვიოს. მას არ მოუხდენია მეცნიერული აღმოჩენა და არ შეუქმნია რომანის, მხატვრული ტილო და ქანდაკება.

გერონტი ქიქოძემ შექმნა ერთი, მთლიანი და განუყოფელი, ამავე დროს, ინდივიდუალური, გერონტი ქიქოძისეული სინამდვილე, სინამდვილე აზრებისა და შთაბეჭდილებებისა, განცდებისა და სახეებისა, რომლებიც მის მრავალრიცხოვან ნაწერებში ამოიკითხება. ამდენად, გერონტი ქიქოძე გვევლინება, ერთსა და იმავე დროს, როგორც მეცნიერი, მწერალი (ხელავანი) და ეთიკოსი, რომლისთვისაც გარესამყარი და ცხოვრება არსებობის, მშვენიერების და სიკეთის ერთიანობას წარმოადგენს და მას გერონტი ქიქოძე ითვისებს, როგორც მთლიანობას. ის მოიზარება კიდევ და განიცდება კიდევ ან, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, გონებისთავ გაიგება და გულითაც.

დანიელი ფილოსოფოსი მარალდ ჰაოფდინგი ნიცშეზე წერდა: მისი „შემეცნებისაკენ მისწრაფება უკველთვის უშუალო კავშირშია მისწრაფებასთან ხელშეწყობისა და სიცოცხლისაკენ“. გ. ქიქოძეს ნიცშესაფან ბევრი რამ ახსვენებს, ის არახოდეს არა უყოფლა „იმპულსური და დისპარმონიული“, მაგრამ გარესამყაროს წვდომა მთლიანობაში რჩეულთა ხვედრია და მათ შორის გერონტი ქიქოძეს თავისი გარკვეული ადგილი უჭირავს. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი ეპოქის გულგრილობისა გამოჩენილი მოღვაწეების პიროვნული თვისებებისადმი. გერონტი ქიქოძის შერქმედეებს შუფასება მხოლოდ მის პიროვნებასთან, ინდივიდუალობასთან მჭიდრო კავშირში შეიძლება.

ქართულ ხასიათზე მხკვლობის დროს ბიზანტიელებთან დაპირისპირებაში, გ. ქიქოძე წერს: „ჩვენ გვიყვარდა ცხოველი სარწმუნოება; იმათ — თეოლოგია; ჩვენ გვიყვარდა ფერადი ცხოვრება, იმათ განყენებული აბსტრაქცია“; „ჩვენ გვსურდა ჩვენი ღმერთები თვალთ და-

შალვა ხიდაშელი  
ბერონტი ქიქოძის ბახსიანბა



ვენახა, მათი ადამიანური სიახლოვე გვეგრძნობს; ჩვენი უმთავრესი მნიშვნელობა ყოველთვის პირად განცდას ჰქონდა, იმათთვის ზოგად დოკუმებს“.

გერონტი ქიქოძე შესანიშნავად სძლევს ამ ცალმხრივობას: მისთვის სამყარო ერთი მთლიანია და აბსტრაქციონიზმი ფერადი არ იკარგება, მოაზრებაში — კონკრეტული და ხილვადი, განზოგადებაში — „სიბრადი განცდა“.

გ. ქიქოძე სწავლობდა რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში. დასავლეთის მოწინავე მეცნიერებამ და კულტურულ ძეგლთა სავცებმა მის წინაშე ზღვა მასალა გადაშალა და საშუალება მისცა კოლოსალური ცოდნა შეეძინა, მხოლოდის ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებანი თავისებურად განეცადა და შეეფიქრებინა და ეს ცოდნა ისეა შეთვისებული, „შედულებული“ მის ინტელექტთან, რომ არახილდის არ ტოვებს შექმნილის შთაბეჭდილებას. პირქით, ყოველი მისი ფრაზა მისი სულის ორგანულ ნაწილად არის ქცეული, უშუალოდ მისი გონებიდან და გულიდან მომდინარეობს და ამიტომ „შეადგება“ სტრიქონებში ასეთი სიმსუბუქით.

გ. ქიქოძე თავისუფლად „დაის“ კულტურის დარგთა მრავალფეროვნებაში, ისტორია იქნება, ლიტერატურა, ხელოვნება თუ აზროვნება; დასავლეთის კულტურა იქნება, აღმოსავლური თუ ქართული. მაგრამ ის ყველგან დიდ ბუნებისად რჩება და მისი ყურადღება ყოველთვის და ყველგან ადამიანისკენ არის მიმართული, მის წარმოსახვაში ცოცხლად წარმოქმნილი ღირებულებანი არ არსებობენ ადამიანებთან მიმართების გარეშე. ძველი იბერიელის სამაროვანში აღმოჩენილი მამაკაცის ჩონჩხი მასში აბოვანი ვუკაცხა და „უნაწეხი ქალის“ ასოციაციას იწვევს: „ძალიან ხშირად ცოლ-ქმარი ერთად მარხია. ერთ ვეებერთელა კამეჩის თქოიან მამაკაცს, რომელსაც შეიძლება სავაჭროდ დარიალის გზით სკვითაში ან სარმატიაში უბედობოდა მგზავრობა, ან იქიდან შემოსული მტრის რაზმებისაგან არავის ხეობის დაცვა ევალებოდა, თავის გვერდით უნაწეხი ქალი დაუმარხებინებია: უმიზოდ მას საიქიო, ალბათ, მეტად მოსაწყენი ეჩვენებოდა“.

პარიზში მას ახსენდება ფილოსოფოსი და პოეტი აბელარი, რომელმაც XII ს-ში „ღია ცის ქვეშ ლექციების კითხვა დაიწყო და ამით საძირკველი ჩაუყარა უნივერსიტეტს, შემდეგ სწორბონად წოდებულს“. მაგრამ აბელარი გერონტი ქიქოძისათვის, ამავე დროს, ადამიანია და ბუნებრივად წარმოიქმნება ტრავიკული სიყვარულის ასოციაცია აბელარსა და ელიოზას შორის: „როდესაც აბელარის და ელიოზას ქვის საკოფაგთან მივედი, დავინახე, რომ ცოცხალი ყვავილების თაგულები ეყარა, ეს უბედური მიწურები კი აქ თითქმის რვაასი წელიწადი

წვანან“. პარიზის პანთეონი ახსენებს ვალტერს, რუსოს და მიუგოს. სენ-მიელის „ღლი კოშკის საათიდან“ აგონდება, რომ მისი დარტყვა გადაიქცა ნიშნად, „ბარტოლომეს ღამეში ბუგვიონების უღელტა“ დაწყებულიყო. ნორტ-დამის შვირას და მის ქიშკრებს გ. ქიქოძე შუა საუკუნეებში გადაჰყავს. მასში აღტაცებას იწვევს „თანამედროვე საინჟინრო ხელოვნების შედეგრი“, რჩინით აგებული ეიფელის კოშკი.

სენის ნაბირებზე ბუკინისტთან გამოფენილი შედეგების „შექმნაში წიგნის ავტორი, მხატვარი, სტამპის მუშა, ამკინძვი ერთმანეთს შეკვიბრებოდნენ“. მაგრამ მისი ყუდადღება მიანც ჩერდება ლაფონტენის იგავ-არაკებზე და პეროს ზღაპრებზე, რუსოს „აღსარებაზე“ და გოლდერის ფილოსოფიურ მოთხრობებზე, „რომელთაც არავითარი სამკაული არ სჭირდებათ, იმდენად პლასტიკურია მათი სახეები“.

მიუხედავად აზრებისა და განცდების, შეიძლება ითქვას, მოზღვავენობა, რომლებსაც მკითხველი ხედება გ. ქიქოძის ნაწერებში, მისი სტილი თანახმად დახვეწილი და უშუალო რჩება.

მისი ერთი თავისებურება შთაბეჭდილებების „თავშეკავებულო“ და საოცრად ზომიერი გამომხატვაა. მათ არასოდეს არ აკლიათ სიღრმე და სინატიფე, მაგრამ არასოდეს არ იმოსებიან მაღალფარდოვანებით, პოზით და სიყალიბით. მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობდა შეურიგებლობა ყოველგვარ, ხშირად ოდნავ შესამჩნევი პოზისადმი. მაგრამ, საოცარია, ამ მანიერების სხვაში შემჩნევის დროს ის თითქმის სხვის მავიერ თავის თავში გრძნობდა უხერხულობას.

● არის ერთი წრე საკითხებისა, რომელთა განხილვების დროს გერონტი ქიქოძის აზრი განსაკუთრებულად ინტერესებით მოქმედებს და მისი გული — განსაკუთრებული ადილევებით ძვრს.

„როდესაც საქაოლ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოდან ისევ ევროპაში დავბრუნდით, მე მოვახდინე ჩემი პოლიტიკური და ზნეობრივი იდელების გადოვება და განვიცადე სულიერი კრიზისი, ნაკლებ მძაფრი, მაგრამ უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ჩემი ბავშვობის დროის რელიგიური კრიზისი იყო. მე დავრწმუნდით, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ცოტა ან იყო, ცალმხრივად და აბსტრაქტულად მქონდა ათვისებული. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ერთგვარი სულთა სახსენებლის კიბის საფეხური ავიარე.“

ევროპულ მეცნიერებაში ამაოდ ვეძებდი იმ პასუხს, რომლებიც მქენჯნიდნენ, ფლობების რომანებით და შოპენის პრელუდიებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოცხება. ქართული კულტურის ისტორიას ცუდად ვიცნობდი,

მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემს სამშობლოს კულტურულ წარსულში შემდეგლო მემკვიდრეა სანათური, რომელიც ბნელ გზებს გამანათებდა სკეპტიციზმის ლაბირინთში“.

ლაიფციგში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მუშაობის დროს არჩევანი „ვეუნდები სამი ათას გვერდიან“ ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლებსა“ და ჰამსუნის „მისტერიებს“ შორის გ. ქიქოძემ (წინააღმდეგ უნივერსიტეტის პროფესორის რჩევას) — ჰამსუნის სახარგებლოდ გადაწყვიტა. ხოლო მის სულიერ საზრდოდ პირად „პატარა ბიბლიოთეკაში“ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ იაფფასიანი გამოცემა, „ვეფხისტყაოსანი“, ბარათაშვილის ლექსების კრებული, ილია ჭავჭავაძის „განდებლი“ იქცა. იპოლიტ ტენის „ხელოვნების ისტორიაში“ დაარწმუნა გ. ქიქოძე, რომ „ეროვნული შემოქმედებითი სულის თავისებურება უფრო თვალსაჩინოდ ხელოვნებაში ვლინდება, ვიდრე სულიერი და მატერიალური კულტურის რომელიმე სხვა დარგში“.

გ. ქიქოძის ამ დროს დაწერილი საყურადღებო ნაშრომი — „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“, რომელიც პირველად გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა, არ არის მოკლებული ტენის შეხედულების გავლენას.

ამ ნაშრომში ავტორი იხილავს არსებულ შეხედულებებს ერის ნიშნების შესახებ, თეორიებს ერის წარმოშობაზე და გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებსაც არ დაუპირფარებია თავისი მნიშვნელობა. ეროვნება ცალკე პიროვნებებისგან შედგება, მაგრამ „როგორც მელიდი“ არაა შემადგენელი ტონების უბრალო ჯამი, ასევე ერის უფრო მეტია, „ვიდრე ინდივიდუალობათა კონკლომერატი“. დიადი და კულტურის მამოძრავებელი ისტორიაში ისაა, ფიქრობს ავტორი, რასაც ინდივიდუალობა და ეროვნება ჰქმნის.

გ. ქიქოძე უარყოფს მონტესკიესა და დემესტრის აზრს, თითქოს ეროვნებად „მხოლოდ სუვერენი და არისტოკრატია უნდა ჩაითვალოს“, ანდა თითქოს „ეროვნება — ეს შეძლებული და განათლებული საფრანგეთია“. ამ შეხედულებათა კრიტიკული შეფასების შემდეგ, ავტორი მიიღებს დაცხვამდე, რომ „სპეციფიკურად ეროვნული“ უნდა „სულიერი კულტურის სფეროში“ ვეძიოთ და არსად იხე რეალურად და „ხელშესახებად“ არ გამოსკვივის „ეროვნული სული და გენიოსობა“, როგორც „ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფეროში, რომელსაც ადამიანი ჰქმნის ერის შემწეობით: წენ-ჩვეულებათაში, ესთეტიკურ და ეთიკურ კულტურაში, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენაში“.

უფრო მეტიც: მთელი თანამედროვე ესთეტიკური კულტურა დაფუძნებულია, გ. ქიქოძის

სიტყვით, ეროვნულ შეხედულებათა და ნებართა დაუსრუტელ სიმდიდრეზე, ის მთელი თავისი შინაარსითაა ნაციონალური და „ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას“.

გერონტი ქიქოძის შემოქმედებაში ქართული კულტურის მრავალი საკითხია აღძრული და თავისებურად გადაწყვეტილი. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, ალბათ, არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი მწერალი თუ პოეტი, რომ მასზე გ. ქიქოძეს თავისი სიტყვა არ ეთქვა.

ერთ თავის მნიშვნელოვან ნაშრომში, «Великий поэт грузинского народа» რომელიც რუსთაველის საიუბილეო წილს გამოქვეყნდა (ტურნ. Литературный критик, 12, 1937), ავტორი ხაზს უსვამს „წმინდა საერო ხასიათის მოტივებს“, რომლებიც ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში იჭრება და „ვეფხისტყაოსნის“ წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წაროდ იქცევა. ავტორი ამხვილებს ყურადღებას ანტაგონიზმზე საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის, ფეოდალურ არისტოკრატიასა და სასულიერო წრეებს შორის, წინააღმდეგობაზე „მედონიშმა და ასკეტიზმს შორის“. ლაპარაკობს „წარმართობის ძლიერ ნაკადზე“, ბუნების კულტზე, რომელიც „ცხოვრებათა“ ნაწილში აისახა და რომლის საბოლოო უარყოფა ვერ მოახერხა სქოლასტიკამ და დოგმატიკამ.

გერონტი ქიქოძეს, როგორც აზროვნების თავისუფლების მომხრეს და თავისუფალი აზროვნების წარმომადგენელს, არასოდეს არ უცდია „ვეფხისტყაოსანში“ საეკლესიო დოგმები ეძია. და არაა გამორიცხული, რომ მას, როგორც პოემის შესანიშნავ მცოდნეს, ასეთი ძიება წინასწარ უშედეგოდ მიაჩნდა. პირიქით, რუსთაველის წინამორბედ ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში ის ხედავს „უბადლო რელიზიზმს დახატულ ქართულ პერსონაჟებს“ ვენახებით, მიის ჩქარი ნაკადლებით, ნაყოფიერი წარმტაცი ველეებით. ლაპარაკობს მიწის ნაკვეთების გამო წამოჭრილ უთანხმოებებზე, სამშენებლო სამუშაოებზე, ერთი სიტყვით, ყოველივე ცხოვრებისეულსა და ამქვეყნიურზე, რასაც ადგილი ჰქონდა „იმ დღესა და რთულ სამეურნეო და კულტურულ კოლექტივში, როგორც შუა საუკუნეების მონასტერი იყო“.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, გ. ქიქოძის სიტყვით, „ვრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა“, რომელშიც „ნოველების სახითაა ჩაქსოვილი მომხიბლავი რომანტიკული ეპიზოდები“; ამ ეპიზოდებში ასახული ქართული ფეოდალური საზოგადოების უმადლები წრეების „სახიყვარულო თავგადასავალი“ იქი-

ნებოდა ასკეტური მორალით. ეს ავოგრაფები იყვნენ, წერდა გ. ქიქოძე, შოთა რუსთაველის წინამორბედები, მაგრამ, „რა თქმა უნდა, არა იდეოლოგიით და მორალური შეხედულებებით, არამედ იმ ინტერესის მიხედვით, რომელსაც იზიდავდა იჩენდნენ ცოცხალი სინამდვილისადმი; ადამიანის სულის ცოდნით და „ადამიანური ვნებების რეალისტური განსაზღვრებით“.

ამავე დროს, ავოგრაფებსა და რუსთაველის მსოფლმხედველობა არსებითად განსხვავდება და გ. ქიქოძე ამაზე ამხევილებს უარდადუნას. რელიგიურ მოღვაწეებთან ერთად რუსთაველის მთავარი გმირიც უდაბნოში გაჩნის, მაგრამ მას უკვე სწავას „არა რელიგიური, არამედ სიყვარულის ვნებები“.

გ. ქიქოძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოთქვა შეხედულებანი, რომლებიც რუსთაველის რენესანსულ მსოფლმხედველობას და მის ფილოსოფიურ საწყისებს შეესაბამებოდა. ნესტანის წერილში ტარიელისადმი ის ხედავს „ნამდვილ ფილოსოფიურ ტრაქტატს მისწერილ და სიყვარული შესანებ“, ტრაქტატს, რომელიც დაამუშვენებდა „აღორძინების ხანის ნებისმიერ იტალიელ ჰუმანისტს“; ამავე დროს, აქ გამოთქმული შეხედულებები „სახვებით ეთანხმება ნეოპლატონიკოსებს“.

ტარიელი და ავთანდილი გარეგნობით თითქოს ეკუთვნიან მამამიდიანურ რელიგიურ თემს, მაგრამ „იხივე არიან შორს უკვედგარი ორთოდოქსიიდან, როგორც მათი განათლებული თანამედროვე ქართული ნეოპლატონიკოსები, სპარსელი სუფიები და პანთეისტები“.

გ. ქიქოძე არსებით ანალოგიას ხედავდა XI-XII ს. ს.-ის ქართულ კულტურასა და იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებას შორის, იმ განსხვავებით, რომ ქართული კულტურა ამ დროს „გამოხატავს უფრო დაწინაურებული, უფრო თავისუფლად მოაზროვნე, კლასიკური საბერძნეთისა და რომის მსოფლმხედველობასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოების იდეოლოგიას“. ამდროინდელი მიფეების ქრონიკები, იოანე პეტრიწის და ეფრემ მცირეს ფილოსოფიური და ფილოლოგიური კვლევა-ძიებანი, შავთელის და ჩახრუხაძის ოდები და „ვეფხისტყაოსანი“, ახტაელის, ბეთანის, ყინწყვისა და უბისის ფრესკები — „ნამდვილი რენესანსის სულთნ არის გამსჭვალული. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების მოწინავე ქართული საზოგადოება შეიძლება თავისი გონებრივი ინტერესებით და თავისი კულტურული დონით უფრო ახლო იდგეს მთელს ხმერთმეტე-მეთორმეტე საუკუნის განათლებულ ფლორენციელებთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ტლანქ დასავლეთევროპულ ქვაროსნებთან“; ნესტანდარეკანისთანა „ფილოსოფიურ ეპისტოლეებს ჰუმანისტურად განათლებული იტალიელი ქალები მეთორმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეში წერდნენ“.

გერონტი ქიქოძეზე წერა დაუსრულებლად შეიძლება. ალბათ, იშვიათია მოაზროვნე, რომლის ხედვა სინამდვილისა ასეთი მრავალფეროვანი ყოფილიყო, ფიქრებისა და გააზრების ასეთი ფართო საფუძველი მოეცა და ამდენი ამხედველი, ფაქიზი და კეთილშობილური განცდები აღეძრა. ამიტომაც „გერონტი ქიქოძის თემა“ ამოუწურავი.

უკანასკნელად რომ ვნახე, ავად იყო. თავს და, ქალბატონი ნატაშა ადგა, ბ-ნ გერონტის თვალები დახუჭული ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა.

გერონტი ქიქოძის მემკვიდრეობაში მოიპოვება მოკლე ჩანაწერი, რომელიც სიკვდილის წინაა დაწერილი და ადამიანური სულგრძელობის შესანიშნავი დოკუმენტია. სულგრძელობას გერონტი ქიქოძისათვის არასოდეს არ უღალატნია და მთელი მისი ცხოვრება, უკოვლი დღე მისი არსებობისა სულგრძელობის სხივით იყო განათებული. არ უღალატა მას სულგრძელობამ არც სიკვდილის პირისპირ დგომის კრწისულ წუთებში: „სახარლო სულო, რას შფოთავ? ჩქარა დადგება წუთი, როდესაც შენს ტანჯვას და სიხარულს ბოლო მივდებ, და ვერც დღისნახებს გაიგონებ და ვერც მარმონიულ ხმებს. ნუთუ არ გესმის, რომ შენ შემდეგაც დღეს დამე მოჰყვება, როგორც შენამდე მოჰყვებოდა და იბადებთან ახალი რემბრანდები, რომელნიც თავიანთ ტილოებზე ისტატურად გაანაწილებენ შუქსა და ჩრდილს, ბოლო დაყრუბული ბეთსოვენი სიმფონიებს მიუძღვნან მილიონების სიხარულს. ნუთუ არ გესმის, ბნელი დამეები რომ არ ყოფილიყო, არც შემოქმედი ტვიის წვა იქნებოდა და არ დაიწერებოდა მიმნები, რომელნიც უკვლად ტრის ნოვლისებმა უმთავრო და მთავარიან წევას მიუძღვნეს?“

ქართველმა ახალგაზრდობამ ძალიან კარგად გაიგო ის, რაც გერონტი ქიქოძის პიროვნებისა და შემოქმედების თავისებურებას შეადგენს, გაიგო მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიასა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ზურაბ კაკაბაძე ამბობდა გ. ქიქოძის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე: „მე მინდა ამ გახსენებაზე: სხოვნის ამ საღამოზე ჩემს თაობას მივმართო: ვიცხოვროთ ისე, როგორც ქიქოძემ იცხოვრა, ვიცხოვროთ ისე, რომ სიკვდილის წინ საკუთარი სახის მოღადებდამ არ შეგვაშინოს“.

ამ სიტყვების ავტორი გერონტი ქიქოძეს არასოდეს შეხვედრია. გაივლის კიდევ რამდენიმე ათეული წელი და გერონტი ქიქოძის სახე წაშლიება თაბათა ცოცხალ მესხინებაში. მაგრამ დარჩება მისი მწყნარად ლიტერატურული მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობაში ჩადვრილი სული.



# გარდაქმნა დროის მოთხოვნა

## ჯარჯი ფხოველი

### გუზინ და დღეს

უცნაური რამ ხდება: რგდაქცია მწერალს თხოვს გაბედულ ნაწარმოებს — გაბედულ ლექსს, გაბედულ მოთხრობას, გაბედულ პუბლიცისტურ წერილს.

ჩნდება საკოჰმანო კითხვა: რა არის გაბედულება? საუბარია მწერლურ სიმაჰაცეზე, სულიერი თავისუფლება რომ უდევს საფუძვლად.

ვართ თუ არა მზად, რომ სიმართლე ვთქვათ? არის თუ არა ჩვენი აუდიტორია, ჩვენი მკითხველი მზად, რომ ის სიმართლე მოისმინოს და მისი თანამოზიარე გახდეს?

ის, ვინც სიმართლის თქმას დაედირება, უპირველესად ამ უმძიმეს კითხვებს უნდა გასცეს პასუხი, თუნდაც ფიქრში, თუნდაც გულისგულში.

უპრეცედენტო და დაუჭერებელი ამბავია: სიმართლის თქმა გაბედულებად ითვლება!

კი, მაგრამ. იკითხავს მკითხველი, აქამდეც ხომ სიმართლეს დაღადებდა მწერლობა, დღემდეც ერი და ბერი ხომ ამტკიცებდა, სიმართლეს ვამბობთო...

და მართალიც იქნება მკითხველი, რადგან აღიაკოთითა და ზარზემით ნათქვამ სიმართლეს ცრუფიცობის ელფერი დაპრავს.

ვერ დაუჭერებს მკითხველი იმას, რიზიანი შექაზილით რომ გვარწმუნებს, არიკათ, სიმართლეს ვამბობ და გაიგონეთო...

სიმართლე გულისაკენ თავისი განსაკუთრებული გზებით მიდის, თავისი იდუმალი არხებით, თავისი უტყუარი კანონებით...

სიმართლის სახელით ნათქვამი ნახევარსიმართლე, ნდობის დევაღაცია, კაცთა სატკივარის საჭაროობის უარყოფა და მიჩქმალვა — ეს ყველაფერი ამრუდებს სიმართლის გზას, ჰქმნის სხვადასხვა ბარიერებს, რომელთა გადალახვის მოწადინე მავანმა, შეხაძლოა, წამებულის ექლიანი გვირგვინიც კი დაიღვას თავზე.

საზოგადოებრივი ინტელექტი და საზოგადოებრივი ატმოსფერო ერთიმეორეს განაპირობებენ:

ბენ: მაღალი ინტელექტი ჰქმნის საზოგადოებრივი ატმოსფეროს სიჯანსაღეს და პირუტყუ: საზოგადოებრივი ატმოსფეროს სიჯანსაღე განაპირობებს მაღალ ინტელექტს.

იხინი მწერლის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობენ და ხშირად მათი ქონა-არქონა წყვეტს მწერლის სვე-ბედს.

ჩვენს საზოგადოებაში არსებული აღზრდის პრინციპი იმთავიდანვე ახშობს მწერლური თვითმყოფადობისაკენ, ინდივიდუალიზმისაკენ მიმავალ გზას: კოლექტივის კარგი წევრი ვერასოდეს კარგი ინდივიდუალისტი ვერ გახდება.

ჩვენი ლიტერატურის უპირველესი მუხრუჭი. სხვადასხვა შეხედულებების უქონლობაა. და თუ არის ასეთი შეხედულებები და ტენდენციები, მათს რეალიზაციას უამრავი ხილული თუ უხილავი მიზეზი ეღობება წინ. ვაკისხნოთ სამოციან და სამოცდაათიან წლებში თანამედროვე ქართული ვერლიბრის დამკვიდრება. ეს პროცესი საქმოდ ტკივილიანი იყო. ყველას ახსოვს დოგმატისმის მაშინდელი გააფთრება.

გაბედულებას, სიმართლის თქმას განაპირობებს არა „უფლების მინიჭება“ ან ზემოდან დავლება, არამედ საზოგადოებრივი ატმოსფერო.

როცა საზოგადოებრივი გარემო დიწმინდება, როცა დამოკიდებულებები ადამიანურობის საყოველთაო პრინციპების წრეს არა სცილდება, მაშინ სიმართლის ერთგულება ყოფიერების უპირველეს პირობად იქცევა.

ნახევარსიმართლისა და ცრუფიცობის პირობებში აღზრდილი თაობები, რომლებიც კარგა ხანს იგივე ნახევარსიმართლესა და სიცრუეს მსახურობდნენ, საეჭვოა, რომ თვალუმალ მოექცნენ სულიერი თავისუფლებისა და ზნეობრივი სიმაღლის მწვერვალზე, სადაც სწორედ სიმართლისა და გაბედულების ატმოსფეროა და სადაც ეს მცნებები გმირობად კი არ ჩითვლება, არამედ ყოველდღიურობის მახასიათებლებად,

ადამიანთრობის ჩვეულებრივ ნიშნებად აღიქმება. ანტიკომ დღეს სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ რედაქციები, რომლებსაც სთხოვენ გარდაქმნას, სიმართლეს, კრიტიციზმსა და გაბედულებას, მრავალ სიძინელს აწყდებიან.

სულიერი თავისუფლების ნიშნით აღბეჭდილი ლექსის, მოთხრობისა თუ წერილის მოპოვება მათ მართლაც უკირო, რადგან ავტორები წარსულის ინერციის ტყვეობაში არიან და უახლეს მომავალში არც არის მოსალოდნელი ამ ინერციის მთლიანად დაძლევა.

დიდი დროისა და კოლოსალური ენერჯის დახარჯვა საჭირო, რომ შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ყოველი ადამიანი ზნეობრიობის ეტალონი იქნება.

ამ იდეას, ამ გარემოს ხომ ათეული წლების განმავლობაში ვეზიკნებოდით, ვშორდებოდით... თუმცა იყო მიახლოების ილუზიაც, თავის მოტყუებაც...

ძნელია დათვლა, თუ რამდენი მხატვრული ნაწარმოები და კრიტიკული წერილი დაუბრუნეს ეურნალ-გაზეთებმა ავტორებს იმის გამო, რომ მწერალი სიმართლეს ამბობდა. რამდენი ნაწარვეი შეკრიგეს დამფრთხალმა რედაქტორ-გამომცემლებმა, სულში უმკაცრესი ცენზორი რომ უფით და არავითარ ხალ აზრსა და მხატვრულ მიგნებას რომ არ გააკაპანებენ წიგნსა თუ ეურნალის ფურცლებზე.

აი, მათი სიტყვა:

„თუ ძმა ხარ, სუყველას მოგვხსნიან, როგორმე შეარბილე, ამოილე, რამე მოუხერხე“... და ა. შ.

ბევრი ნიჭიერი მწერალი თვით ცენზორად იქცა და ამით საბედისწერო განაჩენი გამოუტანა თავის თავს. ჩვენმა ლიტერატურამ დაკარგა ისინი.

„შერეკილი“, „შერბილებული“ ნაწარმოებები, უცხო სუროგატი, უღიმღამო ნახევარფაბრიკატი მოედო ქართულ ეურნალ-გაზეთებს. არავითარი სიმწვავე. არავითარი მიგნება... და ყველა კმაყოფილი იყო: გამომცემელიც, რედაქტორიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი მკითხველიც...

გაუცნობიერებული შიშის გავლენით თითქმის ყველას დაავიწყდა (თუ დაავიწყეს!) ძველისძველი სენტენცია, ქართული ენის წიაღში დაბეჭდილი ეს უკვდავი აზრი: მოყვარეს პირში უძრახე...

სიმართლედ შეიწირა დუმილმა, პირში წყალის ჩაგუბებამ, ერთგვარმა ინერტულობამ, გაუმართლებელმა ნიპილიზმმა.

სად არის მწერლური სულის თავისუფლება? სად გაქრა და რა მიზეზებმა განდევნეს ის?

სხვა არის, რომ იყო თავისუფალი და სხვა არის, რომ იქცეოდე თავისუფალი ადამიანივით... ამ ორ მდგომარეობას შორის ძალზე დიდი სხვაობაა.

ერთი მწერალი ამბობს სიყალბეს, ხოლო მეორე — ტაშს უკრავს. მოშლილი კრიტიკიუმი. ჩაკლოვლილი სინდისი. მედროვის ამაზრუნენი ფსიქოლოგია.

სადაა გამართლება, როცა ხელნაწერი წლობითა დღეს ეურნალის რედაქციაში, ან გამომცემლობაში? ან საიდან გაჩნდა სარედაქციო საქმიანობაში არა მარტო მწერლის, არამედ ყოველივე ადამიანურის დამამცირებელი სიტყვა: „რიგი“?

საგამომცემლო და სარედაქციო რიგებს ხომ არ კმნის კრიტიკიუმების დარღვევა, ჭგუფობრიობა, ძმბიკობა?

დღეს მწერალთა კავშირის მდივანი, ან მთავარი რედაქტორი, ან გამომცემლობის დირექტორი მანც თუ არა ხარ, შენი წიგნი მ-4 წელი უნდა „იდგეს“ გაქიანურებულ რიგში.

ეს არის დაბრკოლება, ხშირად მწერლის ენერჯის დიდ ნაწილს რომ იწირავს.

ჩვენი მწერლობის ე. წ. დაჭუფებები რაიმე განსხვავებულ ლიტერატურულ აზრს ან ტენდენციას კი არ გამოხატავენ, არამედ ჭგუფის რომელიმე წევრს, „ლიდერს“ უქმნიან ხელსაყრელ პირობებს ამა თუ იმ თანამდებობის ხელში ჩასაგდებად. იწყება ზნეობრივი უკუსვლა. იკვრება მწერლობისათვის სამარცხვირო წრე, რომლის მიღმაც ჭგუფის წევრები ვერაფერს ვერა ხედავენ და არც უნდათ, რომ დაინახონ.

უსამართლობა იქნება, ჩვენს ლიტერატურას მთლიანი დუმილი და ხმის ამოუღებლობა რომ დაეწამოთ. იყვენ გაბედულებიც. მათი გზა ბეწვის ხიდზე სვლასა მგავდა. მუდმივი საშიშროება მათ საშველდ არ აღძვდა და მხოლოდ ნატამალი დატოვეს თავისი პოტენციური შესაძლებლობისა.

არა ერთი და ორი გადაეგო ისე, რომ ვერა თქვა თავისი მთავარი სიტყვა, ვერ შექმნა თავისი ნიჟისა და ძალის შესაფერისი რამ, ვერ დატოვა კვალი წარუშლელი და „სიტყვა წარუდინელი“.

უნდა შეიქმნას ისეთი ლიტერატურული ატმოსფერო, როცა დამშვიდებაზე, თავმოწონებაზე და დინებას აყოლაზე ფიქრც კი უწნეობად აღიქმება.

მწერლის გაბედულება, ხშირად ვხედავთ, რომ საქმე გვაქვს არა ჭეშმარიტ, სიმართლესთან წილნაყარ ნიჭიერებასთან, არამედ თვითმიზნუ-





რობით შეპურობილ მანიაქთან, ვინც გაჰკივის. გაბედული ვარ და დამინახეთო...

ამგვარ რამესაც გაიგონებთ: ნიჭიერია, მაგრამ გაუბედავიაო. განა შეიძლება, რომ ნიჭი გაუბედავი იყოს?

ნიჭიერება უოველთვის გაბედულია, თუმცა გარემოებების გავლენის გამო უოველთვის ვერ იმარჯვებს.

გაბედულება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება ნიჭის თვისებებია და სხვა ძირითად თვისებებთან ერთად ისინი ქმნიან მთლიან ხასიათს, მწერლის ერთიან სახეს. ეს ცალკეული კომპონენტები მწერლის დასახასიათებლად არ გამოადგება. ხომ არ შეიძლება, რომ ერთზე ვთქვათ, გაბედული მწერალიაო, მეორეზე — შრომისმოყვარეაო, მესამეზე — პატიოსანი და ა. შ....

ლიტერატურის „კარიელი ადგილები“ წარსულის გამოუყენებელი, დაკარგული შესაძლებლობების გამო გაჩნდნენ.

ოციანი წლების შემდეგ ჩვენმა ლიტერატურა ბევრი რამ დაჰკარგა.

შეიძლება დავასახელოთ ამ პერიოდის უკუადვი სახელები, რომელთა შემოქმედებაც ჩვენს კლასიკურ ლიტერატურას მიემატა სამარადისოდ.

ათიანი და ოციანი წლების ძიებებმა დიდი სახელები გამოაჩინა. მათი შემდგომი მოღვაწეობაც იმ წლების იწერცია გახლდათ...

ხოლო სული იმ წლებისა, ატმოსფერო, რომელიც სამომავლო შედეგებსა გვიპრდებოდა, საზოგადო და დაუბრუნებლად გაქრა, გაუჩინარდა დადგენილებებისა და დირექტივების მიღმა.

ის დადგენილებები დღეს აღარავის ახსოვს, მაგრამ ახსოვთ ლიტერატურის წამებულ მოღვაწეთა სახელები, რომლებმაც მაშინ სულიერი თავისუფლების ნატამალიც კი ვერ მიიღეს...

წარმოვიდგინოთ იმ სულის წრიალი, რომელმაც შეიცნო თავისი უმწეო მდგომარეობა, დაინახა, რომ ბევრი რამ, რასაც მიიღებოდა, მიუღწეველია. სულის არტახების დამსხვრევაც შეუძლებელი ჩანს.

ვერცერთი დამწეუბი მწერალი ამ ემოციებს ვერ გაუმკლავდებოდა.

შედეგი: ხელჩაქეული ახალგაზრდა, გზარეული, ან ლოთობის, ან ნარკომანიის მსხვერპლი...

ალბათობა ხომ სხვა რამესაც გვიპრდებოდა: ნიჭიერ მწერალს, ცხოვრების ავკარგის მცობელსა და ქვეყნის პირისუფალს...

ბევრი რამ რედაქციის მუშაკთა გულისხმიერებაზეც არის დამოკიდებული. უპრინციპო, უინიციატივო, თავის თავზე შეუყარებული, გაფუფული ზოგაერთი ვინმე რედაქციის ბოხოლა საქამო შხახსა და გაუგებრობას თესავს მწერა-

ლთა შორის. მათი საშიში გავლენა გზახ ახალგაზრდა მწერლებს.

ჩვენში ცოტანი არიან ისეთი პიროვნული სიძლიერის მწერლები, ვინც „განდგომით“ აღწევს სულის თავისუფლებას, შემოქმედებითი თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის ამ საძირკველს.

გუშუადღი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ატმოსფერო სულის შეწუღდვას უფრო განაპირობებდა, ვიდრე მის აღწევებასა და დამკვიდრებას. ამ გარემოებას მოსდევდა ლიტერატურის აუნაწაღურებელი დანაკლისი. დანაკარგი, რომელსაც განხორციელება არასოდეს აღარ უწერია.

დანაკარგებზე ფიქრისას ჩემს თვალწინ გაილანდებოდა მწერალთა რამდენიმე თაობის ცხოვრება, მათი ყოფნის უღიმღამო რელიეფი. გაიღვებოდა კალამოტში ჩაუენებული სული და შემოქმედებითი ენერგია.

ხოლო ის, ვინც მერმეტულობის ბურუსში დაინთქა, მრავალთავის შეუვალია, მკითხველისაგან გამაჩნულია და სწორად მისი მიზანი მოუხელთებელი ქვეტექსტების განუჭვრეტელ წყვედაღში იკარგება. მას ვეღარც კრიტიკა ამჩნევს, ვერც მკითხველი და ვერც გამომცემელი.

სხვა არის, როცა გეუბნებიან, თავისუფალი ხარო და სხვა არის, როცა თვითონ აღივსები თავისუფლების შეგრძნებით.

ერთმა მეტატონემ მონები გაათავისუფლა თურმე. ისინი დაუბრუნდნენ თავის ოჯახებს და შეუდგნენ ჩვეულებრივს ბუნებით ცხოვრებას... მაგრამ აღმოჩნდა, რომ დამღამობით სუყველანი ბორკილს იღებდნენ ფეხებზე. უიმიხოდ ვერ ვიძინებოდა...

თავისუფლება ცხოვრების ნაწილად რომ იქცეს, როგორც ჩანს, მრავალი რამ არის საჭირო. განსაკუთრებით: სულის შესაბამისი მდგომარეობა და წმინდა სოციალური გარემო.

გაითავისებს თუ არა სულის თავისუფლებას ის მწერალი, ვინც წლების განმავლობაში განიცდიდა სხვადასხვა დამორგუნველ გავლენებს, ვინც სულში ჩახსახდა უმკაცრესი ცენზორი?

ხოლო მერმე, თავის მხრივ, იმ სხვებსაც თრგუნავდა, დოგმატიზმის ვიწრო კალამოტში ერქებოდა.

მე არ მეგულება ჩვენში მწერალი, ვისაც ეს გარემოება, ცხოვრების ეს სუსხი მტნაკლებად არ შეეხა.

ამასწინათ ერთმა მწერალმა მითხრა: ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვაკუუმიდან მაერზე გამოვიდეო...

ვაკუუმი კი, ყველამ კარგად იცის, რაც ხდებ-

ბოლა. იქ რაიმე დიდად ფახულ შემოქმედებით ატმოსფეროზე ფიქრიც კი არავის შეეძლო.

იმ ვაკუუმიდან ქართული მწერლობა მთლად ხელცარიელი არ გამოხლდა. და თუ რამე ფახული შეიქმნა, უტყვევლად დიდი თავდადების ფახად. ესეც გაკვირვებას იწვევს, როგორც ის დიდი დანაკარგები ჩვენი ლიტერატურისა; დაკარგული სული, დაკარგული დრო, დაკარგული შესაძლებლობები...

წარსულს ვერავინ გადააკეთებს; მისი არც შეღამაზება შეიძლება და არც გაუარესება.

მახსოვს: სამოციან წლებში უფრონაღ „ციცქარის“ რედაქციაში დაგვიბარეს ახალგაზრდა მწერლები. უნდა შევხვედროდით ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს.

შეხვედრის დროს იდეურობაზე წამოიჭრა საუბარი.

მდივანმა თქვა: რა საჭიროა ახალგაზრდა მწერლებს ამდენს რომ ეფერებოთ. ადვილი და ვინც ბალახზე და ტყეზე წერს ლექსებს, იმას სტრაქონში მშ კაპიო მიეციო, ხოლო ვინც ქარხნებსა და დღესასწაულებზე წერს — იმას სტრაქონში მ მანეთი მიეციო...

ასე „ზრდიდნენ“ მაშინ ახალგაზრდა მწერლებს.

ჭვევრის პრინციპი: რასაც ჩასძახებ, ისეც იმას ამოგახებ, — სწორედ შეესაბამება დღევანდელ ერთ გარემოებას.

იყო თანამედრობიანი მწერლების ერთი კახტა, რომლებმაც მთელი ცხოვრება შეიღეს ახალი თაობების გამხედრობისა და სულის თავისუფლების დათრგუნვას. ისინი მაშინდელი სიტუაციის მიხედვით ირჩებოდნენ და თავის არაბუმანურ, მდროვეულ მიზნებს აღწევდნენ კიდევ. დღეს, როცა საზოგადოებრივი აზრი ადამიანებს გამხედრობისაკენ, სიმართლისაკენ გეზავს, ისინი ამ სიტუაციის რუპორებად იქცნენ და ახალ თაობებს გამხედრობისაკენ მოუწოდებენ.

უტყველია, რომ მათს სიტყვას მკითხველი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ეკვით ეკიდება.

იქმნება საშიშროება, რომ ეს მდროვეები ამ ახალ ვითარებასაც სახელს გაუტეხენ, დაიუფანენ ლოზუნგურობამდე, შინაარსს გამოაკლიან, გამოფიტავენ.

ტალანტების უნარის ჩახშობაში დახელოვნებული ზოგი ვინმე დღეს მოძღვარისა და მგეზავის ნიღბით რომ მოგვევლინოს, არც ეს არის გამორიცხული.

ადამიანები, რომლებმაც დროის სიმუხთლის გავტენით სინდის-ნამუსი დაჰკარგეს, უტყველია, რომ დღეს წინებორივ პასუხისმგებლობას ვერ იტვირთავენ.

ყოფიერების ზერელეობამ, სიტყვისა და ხმის დაშორებამ ისინი მიაჩნია უკველდელი სიყალბეს. მათი გული, მათი „სული“ თრთოლვა, მათი ცხოვრება ამ წარმავალ მანგზე აიწყო და დღეს სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ უკველი სალი აზრი, უკველი მართალი სიტყვა მათს ხელში უნდობლობისა და დაუტყრებლობის ნიშანს ეტყობა იქცეს.

გადარჩენის ინტინქტი ქამელენის ფერისცვალებას იწვევს. თავისი მდგომარეობის გადაარჩენის მოწადინე კარიერისტი, უტყველია, რომ გარემოების შესაფერისი ხმითა და ფერიო აღიჭურვება.

ჩვენს ლიტერატურაში ბევრი რამ ეწირება კარიერისმის მახინჯ მოვლენას.

რა აღმოაცენება მწერლის გულში კარიერისტულ მიზანს? საიდან იღებს სათავეს ეს ლტოლვა, რამაც ზოგიერთ ნიჭიერ მწერალს თავის ძირითად საქმეზეც კი ხელი ააღებინა?

უინტელექტობაზე და არაპროფესიონალიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს გახლავთ ერთგვარი ავადმყოფური მდგომარეობა.

ლიტერატურული კარიერისმის, ამ მახინჯი მოვლენის საძირკველიც უნდა განათდეს: უნდა დავინახოთ, რას ემყარება, რას ეყრდნობა ის.

ეს ჩაიბოძა ისევე ჩვენს საზოგადოებაში მტკიცედ ფეხმოკიდებულსა და დამკვიდრებულ „კრულ“ საკითხებამდე მიგვიყვანს.

ჩვენ ვინილავთ მომხვეჭელ, „მოვინელ“ ბუნებას ადამიანისა, თბილი, უზრუნველი ცხოვრების წყურვილს, რაც, როგორც ჩანს, მწერლურმა სინდის-ნამუსმაც ვერ ჩაქოლა მთლიანად და საბოლოოდ.

კარიერისმი არის ვაკუუმის შეგრძნების დაძლივის მარტივი გზა, ერთგვარი ილუზია თავის დასხნისა: სიმდიდრე და თბილი ცხოვრება ხომ ასე თუ ისე ამსუბუქებს სულის თავისუფლების წყურვილით გამოწვეულ კონსიხებს, ხშირად ადამიანი კატასტროფამდეც რომ მიჰყავთ ზოლმე.

თანამედრობიანი მწერალი ხომ მტანკლებად უზრუნველყოფილია: მანქანა, კარგი ხელფასი, წიგნის დამოცემის განუსაზღვრელი საშუალებანი, უზარმაზარი ტირაჟები და ა. შ...

„სიკეთებისაკენ“ ლტოლვა აღვიძებს ახალგაზრდა მწერალში კარიერის გაკეთების წყურვილს და იმთავიდანვე, თანამედრობისათვის ბრძოლის კვალდაკვალ, უმოწყალოდა ჰკეთს იმ მარცვალს, რაც მტანკველი შრომითა და განუწყვეტელი რუღუნებით მის მომავალ ნაწარმოებებში უნდა აღმოცენებულიყო...

მახსენდება ერთი თანამედრობიანი პოეტის ჩივილი: რაც აქა ვმუშაობ, ლექსი არ დამიწერიაო...

ახლა წარმოვიდგინოთ მთლიანად ის დანაკარგები ნიჭიერი მწერლის თანამედრობრივ კი-

ზეზე სვალასა და გაძრომა-გამძრომას, უშიზის ბრძოლას რომ მოხდეს.

არახსაზრბიელო სურათს ვიხილავთ.

ებლა წარმოვადგინოთ ამგვარი რამ:  
რა იქნებოდა, რა დაგვრჩებოდა, გალაკტიონს ტაბიძეს თავისი ენერჯია კარიერისტული შიზნიზისათვის რომ შეეწირა?

გვექნებოდა თუ არა მურმან ლებანიძის, ანა კლანდაძის, ოთარ ჭილაძის, ოთარ ჩხეიძის, რევაზ ჭაფარიძის, გურამ გეგეჭიძის ის წიგნები. ჩვენს ლიტერატურას რომ ამშვენებს, — ვთქვათ, მათაც ბევრი მათი თანამედროვესავით კარიერისტული, ყოველად უშიზის ბრძოლისათვის რომ შეეწირათ სულიც და მწერლური ენერჯიაც?

შესაძლოა, მე ფერებს ვამოქებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ გული ვატყინო ზოგიერთ ჩვენს დავწლმოსილ, თანამედრობიან მწერალს, არამედ იმიტომ, რომ ეგებ კარიერისთვის დაძლეულ გზას ავაცილო მავანი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი.

მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, კარიერის გული-სათვის რომ „იწყებენ“ მწერლობას: ორიოდ ლექსის ან მოთხრობის გამოქვეყნების შერამე ისინი ეგებებიან თანამედრობის მოპოვებისათვის გამართულ ფარულ თუ აშკარა ბრძოლებში, იწყებენ ჭაფუფიანას, იტყვიან სვადასხვა ინსტანციის შიშით, მლიქვნელობას, კადრულობენ ყველაფერს, ოღონდ თანამედრობას ეწიონ და ზოგიერთი ვინმე აღწევს კიდევ ამას.

შემდგომ „მრისხანე“ სავარძელში მოკალათებული კარიერისტი თავის თავზე პანეგირიკების ორგანიზაციასაც ახერხებს და ამ გზით ხდება „გამოჩენილი“.

და ის თავის თავის შემდეგ უკვე ვერავის ვერ ამჩნევს, იწყებს ტალანტებისა და უნიკოთა ნიველირებას და თავისი უკუღმართი დამოკიდებულებით გზას უზნევს ზოგიერთ ნიჭით ცხებულ, მაგრამ მერყევ ახალგაზრდა შემოქმედს.

ლიტერატურის კარიერისტი მწერლობის დაკაობების წინაპირობაა, ყოველგვარი ნოვაციისა და ახალი აზრის მტერი და დამორგუწველი. დოგმატიზმის მუშტი. ლიტერატურული ურჩხული.

ეს „რკინის“ ბიუროკრატული ყოველნაირად ცდილობს, რომ მარწუხებში იყოლიოს თავისი „მრევლი“... ამისი ფაქტები მრავლად იყო ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და სამწუხაროდ, დღესაც დაძვინებია...

...იყო ერთი რედაქტორი, ვინც ყოველნაირად ხდენიდა ორ სიტყვას: „ღამე“ და „წვიმა“. თავისივან ასე აპართლებდა: რა ვიცი, ვინ რას იფიქრებს, ამ სიტყვების მიღმა რა იგულისხმებდა... ჩავწეროთ „ღამის“ ნაცვლად „ღამე“ და

„წვიმის“ ნაცვლად „მზე“... ყველაფერი ნათელი იქნება... და უტყველი იქნება...

...იყო ერთი რედაქტორი, ვინც წერილიც კი დაწერა, თუ როგორ „უსწორებდა“ გალაკტიონს ტაბიძეს ლექსებსა და სტემებს...

...იყო ერთი რედაქტორი, ვინც თავის წიგნში წერს, რომ ლაღო ასათიანის ლექსებს მე ვასწორებდი და „ვასალაშინებდი“...

...იყო ერთი რედაქტორი, ვინც თანამშრომლებს სთხოვდა და ავალბდა, რომ ნებისმიერი წერილი უტყველად ჩავსწორებინათ. მათაც იცოდნენ რა რედაქტორის გემოვნება, წერილებს იმის შესაბამისად მკრეჭდნენ და „ასწორებდნენ“...

ეს რედაქტორები არც თუ ისე შორეულ წარსულში იყვნენ. ისინი ეხლაც არიან... ყველაფრის გათანაბრების, შტრეკის, შესწორების, გასაშუალოების მოწადინენი, ყოველგვარ მწერლურ ინდივიდუალიზმს რომ თრგუნავდნენ და თავის ბიუროკრატულ კვერთხს რასაც შეახებენ, ყველაფერი ერთფეროვნების მოსაწყენ ბურუსში რომ ეხვევა.

ლიტერატურული კარიერისტი, მამებლობა, ჭაფუფიანა — ის ნენულებებია, რომლებიც განკარგულებებით ვერ განიკურნება.

ამისათვის ცრულირებულებათა გადაფხება და სინდისის გამოღვიძება საჭირო. წინაპართა ანდერძის გამოხმობაა საჭირო: ნუ სჩადით უკვან საქმესა, კისრად ნუ იდებთ სირცხვილსა... (ვაჟა)

წიგნობრივი კომპრომისების გზა უშუალო მიზეზია შემოქმედებითი სიბერწისა.

სიყალბით, მაქინაციებით აღსავსე ცხოვრება უტყველად აუდაბნოებს არა მარტო პირველულ სულს, არამედ — სამწერლო ასპარეზსაც.

მოვუსმინოთ ისევ დიდ ვაჟას: „და თუ ცოდვები მომპარბდა, დუმს ჩანგი, გული ბელია“... რა აიძულებს მწერალს, რომ სიყალბე იდადალოს და ამით საკუთარ თავს უშიშმისი განაჩენი გამოუტანოს?

სავარაუდოა, რომ ეს არის შინაგანი სიცარიელის, უბადალებული დოგმატიზმის, არაპროფესიონალიზმისა და უინტელექტობის ბრალი.

ლიტერატურული ცხოვრების აზრს ვინც წარსულის გამოცდილების გამოკრებაში ხედავს, ის უარს ამბობს წინსვლაზე.

ქართული ლიტერატურის დანაკლისი უტყველად დიდია. დანაკარგები ცარიელ ადგილებად აღიქმება ლიტერატურის მარად ცოცხალ ორგანიზმზე. ისინი ბევრია... მაგრამ ბევრი რამ მაინც გადარჩენილია, შექმნილია და ცოცხლობს, როგორც მრავალი თაობის მწერლური გამოცდილება, როგორც ტანჯვისა და მოწამობრივი ცხოვრების ანარეკლი.

## დიპლოგი

# შიდრა აპოლის მზე

საუბრობენ მწერალი თამაზ ბიბილაძე და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე

— ბატონო თამაზ, საუბარს დავიწყებ მწერლის სტილით და მასთან დამოკიდებულებით. საკუთარი სტილი უნდა ჰქონდეს ყველას, უკლებლივ ყველა მწერალს — ზოგს მკვეთრი, ზოგსაც, შესაძლოა, ნაკლები ემოციური ძალის მქონე, მაგრამ მაინც სტილი. მწერლობა სტილია, სტილური ძიებებით განისაზღვრება მწერლის ნიჟიერება, სტილური მრავალფეროვნებით — მწერლობის ღირსება. ამის სადავოდ გახდომა ლიტერატურის წინააღმდეგ ბრძოლაა. ჩემთვის ნათელია თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი თქვენი სტილური ძიებებისა და ამ ძიებათა შედეგად მიღწეული მკვეთრი ორიგინალური სტილის გამო, მაგრამ უთუოდ საგულისხმო იქნება თქვენს მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისიც.

— საუბარს ძალზე მაღალ კატეგორიებზე მთავაზობთ: სტილი, ენა, ფორმა... მაინც ვცაოთ, ცდა ბედის მონახევრეა, იქნებ რამე გამოგვივადეს...

რომ დავიწყეთ გახსენება იმისა, სტილზე საერთოდ ვის რა უთქვამს, ალბათ ძალზე შორს შეტვრტავთ ანკი ვინ იცის, როგორ, რა გზით იქმნება მწერლის სტილი. ამისი ორიოდ სიტყვით ჩამოყალიბება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა იმ მწერლებისთვისაც კი, ვინც პირველყოლისა, სტილის მკვეთრი თავისებურებებით არიან ღიღნი. მე მგონია თავდაპირველად კაცი სხვისი წაბამებით იწყებს წერას. „სხვანი“ რომ არ იყვნენ, ძნელად თუ ვინმე მოჰკიდებდა კალამს ხელს. ამას რომ ვამბობ, წერის სურვილს კი არა, სტილის თავდაპირველ ფესვებს ვგულისხმობ. სტილი თვით მწერალია — ამბობენ, მაგრამ ალბათ მხოლოდ მაშინ, როცა მწერალი მართლა იმას წერს, რასაც ფიქრობს. იქნებ სტილის თავისებურებას სწორედ მწერლის გულახდილობა ქმნის? თუ ის მართალია

(და არ შეიძლება მართალი არ იყოს), რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელია, მაშინ მწერლის სრული გულახდილობა უნდა ქმნიდეს სტილის გულახდილობასაც, ანუ თავისებურებას სტილისა. მაგრამ არიან კი ქვეყნად მთლად გულახდილი მწერლები? გააპტიებს კი გარემო, საზოგადოება, ტრადიცია ამგვარ გულახდილობას? აი, რამდენი დაბრკოლება აღიმართა ერთბაშად „საკუთარი სტილის“ ძიების გზაზე. ალბათ ამიტომ ხდებოდნენ საკუთარი სტილის მაძიებელი მუდამ დამაშურალნი, ან საზოგადოებისგან გარიყულნი. დალხინებული მწერლები აქა-იქ თუ იყვნენ ხოლმე და ისინიც შეიძლება ათჯერ დიდნი ყოფილიყვნენ, სწორედ დალხინებული ცხოვრება რომ არ ჰქონოდათ. არც მართო გარემო განსაზღვრავს მწერლის სტილს... შეიძლება ერთ სოფელში სამი მწერალი გაიზარდოს და სამივეს თავისი საკუთარი სტილი გააჩნდეს. გამოუცდელი მკითხველი ან ზერელე კრიტიკოსი ამ სამიდან ერთს თუ აზიდავს ფარზე, ორს კი მის ეპიგონებად გამოაცხადებს. განა გულში ცული რამ უდევს, უბრალოდ იმეტომ, რომ ნაწარმოების წაითხვა არ იცის, დავრგნული აქსესუარები ან ზედაპირული ვეტლები მოაჩუყებს. თუ სამივე მწერლის მოთხრობებში ხელადიდან სვამენ ღვინოს, ან ზედაშე უდგათ ქვევრში, ვენახს კი მაინც და მაინც თებერვლის დამლევს სხლავენ, იტყვის, სამივე მწერალი ერთმანეთს ჰგავსო. მაგრამ სტილი - ხომ ის არ არის, პერსონაჟს ხელში ხელადა უჭირავს თუ კინკლა? მთავარი ალბათ ისაა, რა გინდა, რას უფრო მეტი შემოქმედებითი გახელებით ვჭვრეტ. რას უფრო განვიციდით და რის მიმართ ვართ გულგრილონი. თუ მე რაიმე სენტიმენტალური ისტორია უფრო მაღლევებს, ალბათ ჩემი სტილი (ყოველ შემთხვევაში იმ ნაწარმოებში) სენტიმენტალ-

ლური იქნება. თუ მკაცრი ბუნების გამირზე  
ვერ, სტილიც უფრო მკაცრი, და შეიძლება,  
მონოლითურიც გამოვიდეს. იმ ერთ სოფელში  
გაზრდილი სამი მწერლიდანაც, წელან რომ ვახ-  
სენე, ერთი შეიძლება სოფლის თავის გადმომ-  
დგარ ფერდობზე იჯდეს, მეორე — თავისი  
პერსონაჟის გვერდით იდგეს და ბარადეს მი-  
წას, მესამე კი — ქალაქიდან განსჯიდეს თავი-  
სი სოფლის აეკარგეს. სოფელი, ცხადია, ერთი  
ჰქონდათ, სტილი კი სამგვარი გამოსულა.  
სტილის მწერლის თვლიც განსაზღვრავს — რას  
ვხედავთ გამოჩრეულად. კაცი, ვინც თავისი ბი-  
ნის აივანზე ზის და მეზობლებს გადასცქე-  
რის — ხვალ რომელი დავსამინო სახლმპართ-  
ველობაშიო, მე არაფერს მეუბნება, ჩემთვის  
გინდა ყოფილა, გინდა არა. მაგრამ ძალზე მა-  
ინტერესებს ლამე სასაფლაოს გზაზე... თუთომე-  
ტი წლის ყმაწვილი, რომელმაც პირველად უნდა  
ჩამოიყვანოს შუალამისას სასაფლაოზე გაშვებუ-  
ლი ცხენი, გზა კი სწორედ სასაფლაოზე გადის.  
პირველად, შუალამისას, სასაფლაოზე... რამდენი  
რამ შეიძლება ვანიციდო ამ დროს... კაცია და  
გუნება, მე ეს უფრო მაინტერესებს.

— ეს სუიტეტური ქარგა კიდევ გაქვთ გამო-  
ყენებული მოთხრობაში „მთავრის შვილი“,  
რომლის შესახებაც მერე საგანგებოდ გკითხავო  
რადაცას.

— შეიძლება იმგვარი მიდგომა, რაზეც ზე-  
მოთ ვთქვი, აღარბეებს კიდევ მწერლის შემოქ-  
მედებას, ცალმხრივსა და ერთფეროვანს  
ხდის მას. არ ვიცი, შეიძლება... ბალზაქზე ამ-  
ბობენ, თავისი დროის პარიზისა ყველაფერი  
ძირისძირიბამდე იცოდაო. მაგრამ ხომ იყო  
სხვა მწერალიც, მაგალითად ეკზიუპერი, რო-  
მელმაც ავი იცის „ყველაფერი“, მაგრამ საკუ-  
თარი თავი ნაპოვნი ყავს და ათას ბალზაქში  
იყნობ. ცხადია, აქ უადგილო იქნება იმის თქმა,  
ეკზიუპერი უფრო დიდია თუ ბალზაქი. სიდი-  
დებზე არაა ლაპარაკი, მწერლის სტილზე და  
გამორჩეულ სამყაროზე ვლაპარაკობ. როგორც  
კი მწერალი სხვის სამყაროში შეიჭრება, მაშინ-  
ვე გზა აებნევა და თავის დაკარგავს. ბალზა-  
ქის სამყაროში შეპარული ეკზიუპერი ადგილს  
ვერსად იპოვის და სადმე კუთხეში მიიყუდება,  
სამაგიეროდ იმ თვითმფრინავში ჩაჯდომა და სა-  
პარის ულაქნოს თავზე ლამის ჯოჯობეთში ფრე-  
ნა, როგორც ეკზიუპერი მარტლდმარტო ჰფრენ-  
და, ბალზაქს შეიძლება ვერც გაებედა. ამიტომ  
„ლამის გაფრენა“ მხოლოდ ეკზიუპერს უნდა და-  
ეწერა. სტილი ყოველმა მწერალმა უნდა ეძე-  
ბოს და თანაც თავი ისე დაიპირის, თითქოს  
სულაც არაფერს ეძებს. გინახავთ ვინმე, მართ-  
ლა რადაცას რომ დაეძებეს და თან სხვას ისე  
მოაჩვენებს, თითქოს თავისთვის დაფრატუნობს,  
კი არაფერს ეძებს, მხოლოდ გარემოთი ტკეპ-  
ბა და ათასში ერთხელ თუ მოათვალისაგან  
მიწას? ამგვარი მიმეგობრია მწერალიც, სტილს

ვეძებო, რომ გამოაცხადოს, თავს სასაცილოდ  
გაიხიოს. სტილს ხომ ერთ საათში ან ერთ დღე-  
ში ან პოულობენ, ანდა ერთხელ და სამუდამ-  
ოდ... სტილი ის ვანძია, რომელსაც გამუდმე-  
ბით ეძებ. მოგეჩვენება ვიპოვეო და ისევ თვალ-  
დახეულშეა გაქრება. და შენც, სხვა რა გზა  
ვაქვს, რაკ მწერალი უქვია და მწერალს კი  
სტილი აუცილოლად უნდა ჰქონდეს, ისევ თა-  
ვიდან უნდა დაიწყო ძებნა. აი, როცა წამოგ-  
ცდება, უკვე საბოლოოდ ვიპოვეო, ღმერთი  
იფიქრებს, ამისი დროც დამდგარაო, და თავის  
საქმეს შეუდგება... ეტყობა, მწერალმა, სტილი  
ისე უნდა იპოვოს, თავად ვერც კი შეამჩნიოს  
და, რღა თქმა უნდა, ვერც კი გაიხსენოდ სად,  
ან როგორ იპოვა. ამიტომ ვერც მე გავიხსენებ,  
თუკი სტილი საერთოდ გამაჩნია... არ ვიცი...  
არაფერი მახსოვს... მას შემდეგ ალბათ დიდი  
ხანი გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა...

— თქვენს ხელ პრეგანდელ მოთხრობებში  
საგრძობის უნდა იყოს ირნესტ ჰემინგუეის გავ-  
ლენა, ისევე, როგორც თქვენი თანატოლი  
მწერლების ადრეულ მოთხრობებში. ვგულისხ-  
მობ სტალინ გავლენას, წერის თავისებურ  
მანერას — მოკლე-მოკლე ფრაზებს, რომლე-  
ბიც ცალკე აბზაცებადაა გამოყოფილი — და  
არა იმ გარეგნული დეტალებისა თუ აქსესუა-  
რების მსგავსებას, რაზეც თქვენც საუბრობდით  
და, რაც, ცხადია, სრულებით არ ნიშნავს გავლენ-  
ის არსებობას. ჰემინგუეის გავლენას რომ  
ვახსენებ, თქვენ შეგიძლიათ დამისახელოთ არა-  
ერთი ადგილი, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურ-  
დიასა ან ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებ-  
დან, სადაც წერის სწორად ეს მანერა გამოყე-  
ნებული: ცალკე აბზაცებადაა გამოყოფილი  
მოკლე-მოკლე ფრაზები. ეს ყველას კარგად გვა-  
ხსოვს და მაინც მგონია, რომ თქვენი და თქვენი  
თანატოლების მაშინდელი ვატაცება ასეთი მანე-  
რით არა იმდენად ქართველ მწერალთა გავლენა  
უნდა იყოს, რამდენადაც ამერიკელი მწერლისა  
ამგვარ გავლენას და მისგან თავის დაღწევას  
უთუოდ აქვს თავისი კეთილისმყოფელი მნიშ-  
ვნელობა შემოქმედებითი ძიებისას, რადგან  
სხვაგვარად ალბათ შეუძლებელია, მითუმეტეს,  
რომ თქვენთვის და თქვენი თანატოლებისათვის  
ჰემინგუეი იყო ერთ-ერთი პირველი თანამედ-  
როვე უცხოელი მწერალი, რომელსაც ვაცეცანიო,  
და სულაც არ მიკვირს, რომ მას თქვენს თვალ-  
ში ლამის მთელი ევროპული და ამერიკული  
მწერლობა განესახიერებინა. ასე ერთბაშად და,  
თანაც, არაერთ ახალგაზრდა მწერალზე ამი-  
ტომ უნდა მოეხდინა გავლენა. იქნებ ეს ჩემი  
სუბიექტური დამოკიდებულებაა და რეალური  
ვითარება სხვაგვარი იყო?

— გავლენაზე ამჯერად ვერაფერს გეტყვიო.  
იქნებ ჯობდეს ადრეულ ძლიერ ლიტერატურულ  
შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკოთ და ამით  
გავლენის თემამდეც უფრო ბუნებრივად მი-

ვალი. ყველაზე ძლიერი ლიტერატურული შთაბეჭდილებები კი ჩემთვის ჯერ ილია ჭავჭავაძის პროზა იყო, განსაკუთრებით „კაცია-ადამიანი!“ და „ოთარანთ ქვერევი“, მერე ვაჟას მოთხრობები. ბოლოს კი მაჩაბლისეული შექსპირი და გიორგი ლეონიძის „ნატარის ხე“, ამ საზრდოთი ვიკვებობდი ბავშვობაში და სიჭაბუქეში; ჰემინგუეი პირველად მაშინ არ გაგვიცნია, როცა ქართულად და რუსულად ითარგმნა „მოხუცი და ზღვა“. მასხოვს, უნივერსიტეტში, ჩვენს ჯგუფში, ჰემინგუეის მოთხრობების კრებული, ვგონებ 1939 წელს რუსულად დაბეჭდილი, მოიტანა ერთმა ჩვენმა მხანაგმა. ეს კრებული, ალბათ არ ვეცდები, „მადრიდელი შოფრებით“ იხსენებოდა. ჰემინგუეის მოთხრობებს პირადად ჩემთვის მაშინ რაღაც თავზარდაცემში შთაბეჭდილება არ მოუხდენია და არც ის მიფიქრია, მთელი ამერიკული და ევროპული ლიტერატურა ალბათ ეს არის-მეთქი. ამდენის უფლებას თავს როგორ მივცემდი?.. მაშინ დღევანდელი ახალგაზრდებით გალაღებული ცხოვრება კი არ გვქონდა! წიგნები ცოტა, განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურადან, ძალზე ცოტა იცემოდა, ქართულად ხომ თითქმის არაფერი იყო ნათარგმნი. არა, ჰემინგუეის არ განუსახივრებია ჩემი თაობის მწერლებისთვის მთელი ამერიკული და ევროპული ლიტერატურა. ერთხელ, გაზეთში, რომელშიც ახალგაზრდობის წლებში ვმუშაობდი, თამაზ ჩხენკელს და ბაჩანა ბრეგვაძეს ვკითხეთ, რას ისურვებდნენ, რომ ქართულად ყოფილიყო თარგმნილი. (ის-ისა სამოკიანი წლები მოდის). საკმაოდ გრძელი სია შედგა და, ცხადია, არა ყველაფრის მომცველი. აღმოჩნდა, რომ ქართულად ჯერ ძალზე ცოტა რამ იყო თარგმნილი. ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა ჩვენში „ხომლის“ შექმნით დაიწყო და ამისი დაუნახაობა დიდი უმაღლესობა იქნებოდა. ჰემინგუეი არც მოკლემოკლე ფრაზები და ხშირი აბზაკები იყო ჩვენთვის. შეიძლება უფრო მისი რომანტიკული (ჩვენი შეხედულებით) ბიოგრაფია გვიზიდავდა: კაცი დადილია, სად არ იყო ნაწყობი, ხან აფრიკაში, ხან პარიზში, ხან სტამბოლში. მერე ავდევით, და ჩვენც დავიწყეთ სიარული, ოღონდ პარიზში კი არა — არხოტში, ყაზბეგში, თე-ლოკში... რაც შეეხება მოკლე ფრაზებს... ნუთუ მოკლე ფრაზები, ლაკონური დიალოგები მხოლოდ ჰემინგუეია? რატომ უნდა ყოფილიყო ჰემინგუეის ლაკონური დიალოგი აღმოჩენა ქართველი მკითხველისთვის, და მით უფრო, მომავალი მწერლებისათვის? და მაინც არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს გავლენა მწერლისათვის დამამკირებელ ამბად მიმაჩნდეს. ასე მგონია, გავლენის ვარაუდ არცერთი მწერალი არ ჩამოყალიბებულა. გავლენა უნდა იყოს. სწორედ ამ გავლენიდან

თავის დაღწევაში იწრთობა მწერალი. დამამკირებელი სხვა რამეა, და უფრო ის, რომ ყველაფრის სათავეს მაინც და მაინც სხვაგან ეძებენ ხოლმე. არაგვი კავკასიონის მთებიდან გამოდის. ასევე ალაზანი, რიონი. მათი სათავეების სხვაგან ძებნა უმადური საქმე იქნებოდა... ჰემინგუეის განსაკუთრებულ გავლენაზე „ცისკრის“ პირველივე პროზაული პუბლიკაციების დროს ალაპარაკდნენ. ზოგს ეს გაუგებრობით მოსდიოდა, ზოგს, შეიძლება ნიშნისმოგებითაც. ნიშნის მომგებნი ყოველ ახალ საქმეს ჩვენში აუცილებლად გამოუჩნდებიან ხოლმე და მაშინდელ „ცისკარსაც“ ბლომად ჰყავდნენ. მე დღესაც მიეჭვება, რომ იმ კრიტიკოსებს, ვინც, მაგალითად, გურამ რჩეულიშვილს ჰემინგუეის გავლენას უკითხვებდა, ჰემინგუეი წაითხული ჰქონოდათ. გავლენა მაინც არ მინდა ვთქვა, მაგრამ თუ ღრმა შთაბეჭდილებაზე მიდგება საქმე (იმგვარზე, მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება, — თქმა რომ იცანს), ჩემი თაობის მწერლებზე ალბათ იტალიური კინოს მაშინდელმა მიმდინარეობამ „ნეორეალისტიკა“ უფრო ნოახდინა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. იმ ფილმებმა ეგრეთწოდებული „ლარიბოთა სამყარო“ დაუბრუნა ხელოვნებას. „უბრალო ადამიანი“ კვლავ მხატვრის დაკვირვების საგანი გახდა, ლარიბოთა კვარტალებში, პირდაპირ ქუჩაში გამოფენილი სარეცხი კი — მაშინდელი პეიზაჟების აუცილებელი ატრიბუტი. იმ ფილმების დაიწყება ჩვენ ვეღარ შევძელით. დღეს ისინი შეიძლება ახალგაზრდა თაობას სულაც არაფერს ეუბნებოდეს. დღეს კი არა, სულ ათი-ოდე წელი იქნებოდა გასული მათი დადგმიდან, რომ გაოცებული ვუცქერდი, როგორ ტოვებდნენ დარბაზს ერთი „ნეორეალისტიკური“ შედეგის ჩვენებისას ომისშემდგომი გოგონები და ქაბუკები. ვინც არ წასულა, მათაც ვაწურჩევლი სახეები ჰქონდათ, ან სხვა რამით იყვნენ გართლენი. რას იხამ, ღრმა შთაბეჭდილების მოხდენას ხელოვნებასა და ლიტერატურაში ისიც განაპირობებს, თუ ცხოვრებაში რა ნახე, რა გადაგხდა, რა იყო შენთვის ფასეული და რა არა... თანაც ისე მალე არაფერი ძველდება, როგორც კინო, როგორც მანერა აქტიორული შესრულებისა (თუმცა აქტიორული თვალსაზრისით ნეორეალისტიკა ყველაზე მეტად გაუძლო დროის გამოცდას, რაშიც ალბათ თავისი გარეგნული უბრალოება და ცხოვრებისეული სიმართლე დაეხმარა... ხომ ცნობილია, რომ იმ ფილმებში უმეტესად არაპროფესიონალი მსახიობები თამაშობდნენ, ან ისინი, რომელნიც მერე გახდნენ პროფესიონალები). კითხვა ჰემინგუეისთან მიმართებას ეხებოდა და პასუხი კი „ნეორეალისტიკა“ დაეპასულებოდა. შეიძლება ამგვარი დასასრული შემთხვევით ამბად მოგვეჩვენოთ. ჩემთვის კი იქნებ არც გახალაგო შემთხვევითი...

— ის დახანიათება, რომლითაც ზერელე კრიტიკოსს წარმოგვიდგენთ, მწარე გულისტკივილია და ალბათ გამოწვეულია იმ ვითარებით, ხალიტერატურო კრიტიკაში რომ სუფევს. როგორ უყურებთ კრიტიკის დანიშნულებას საერთოდ და ფსიქოლოგიურ თვალსაზრისით იხილუთუოდ საგულისხმოა, როგორ განიცდით თქვენს შემოქმედებაზე დაბეჭდილ წერილებს. თქვენი მთავარი პრინციპი ჩემთვის, ისევე, როგორც თქვენი შემოქმედების ყოველი მკითხველისათვის, ხახვებით ნათელია, როცა ერთგან შენიშნავთ, გამოკვეყნების მერე წიგნი დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებსო, მაგრამ მაინც გეკითხებით, იმიტომ, რომ, თუ სურვილი გაქვთ, უფრო კონკრეტული შთაბეჭდილებანი გამოთქვათ კრიტიკისთან თქვენი დამოკიდებულების თაობაზე.

— კარგი წერილი ალბათ ყველას უხარია, ცუდი კი სწყინს. მაგრამ თუ მენდობით, დეუბატებ, რომ ცუდ წერილს მაინც და მაინც იმის არ ვუწოდებ, რომელშიც მკერტიკებენ. საჭებარი, დიდიანბული წერილიც კი შეიძლება ძნელი წასაკითხი იყოს ავტორისათვის და ამდენად — ცუდიც. ყველაზე უფრო ცუდი წერილი კი ის არი, როცა ვიღაც გადაწყვეტს, ქვენა მოსაზრებათა გამო, ძირფესვიანად მოგთხაროს, ამოგადოს. (ყოველ შემთხვევაში ის დარწმუნებულია, რომ ამას მიაღწია). კრიტიკა ლიტერატურის დიდი ენარია. მე წამიკითხავს მრავალი კრიტიკული წერილი, რომლის ავტორებიც რამდენიმე გვერდზე ისე უბრალოდ და მიგნებულად გადმოსცემენ მხატვრული ნაწარმოების მთავარ არსს, რომ სურვილი გებადება, თუ არ იცნობ იმ მწერალს ან იმ ნაწარმოებს, დაუყოვნებლივ გაეცნო. ზოგჯერ ერთი დეტალიც რომ გაგიზილოს კრიტიკოსმა შენთვის უცნობი ნაწარმოებისა, უკვე ცხადი ხდება, რომ დიდ რაღაცასთან გელის სასიამოვნო შეხვედრა. ფოლანერს აქვს ჭერაც ჩემთვის უცნობი რომანი „ოღის ვკედლობი“. ფოლანერის დიალოგების თქვენიული თარგმანი წაიკითხული მაქვს და ალბათ თქვენ უკეთესად მოგხსენებთ, მგონი ამგვარი შინაარსისა: დედა კვდება და მამას და შეიღებს დედის ცხედარი მიაქვთ სადღაც, შორეულ ადგილზე, სადაც, ანდრძის თანახმად, ცხედარი უნდა დაიბრუნოს. გზაში კი მრავალი რამე ხდება... ამ ფაბულას რომანისა ერთ კრიტიკულ წერილში გავეცანი და თვით ამბავმა ისე შემძრა, დღემდე მეზინია ამ ნაწარმოების წაიკითხვისა, იმ პირველ შთაბეჭდილებას ვუფრობილდები. შეიძლება ვინმემ თქვას, რაო, კრიტიკისგან მხოლოდ ახალ ინფორმაციას მოითხოვო? ინფორმაციასაც, მაგრამ არა მხოლოდ ინფორმაციას... ნაწარმოების პათოსის, სათქმელისა და მხატვრული ბუნების ზუსტად გახსნას, ამოცნობას და გადმოცემას. ნაწარმოების კონცეფციის და მხატვრული ბუნების ახსნა კი ადვილი

არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომაველი დიდი ქმნილება მრავალშრიანი და ყოველ თითქოს და კლასიკურად უბრალო ნაწარმოებს სხვადასხვა ეპოქები და თაობებიც კი სხვადასხვანაირად კითხულობენ. ავიღოთ, მაგალითად, „ღონ კოტი“. დღეს ძალზე მოდურადაც კი იქცა: როცა რომელიმე მწერალს ვკითხებთან, რომელია ის ერთი მადლიანი წიგნი... თქვენ რომაო... ყველაზე უფრო... უმრავლესობა პასუხობს — ესპანელი კეთილშობილი ილაგოს თავგადასავალიო. მაგრამ ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს სხვა თაობებმა „ღონ კიხოტი სულ სხვა თვლით წაიკითხონ, მასხენდება ერთი შემთხვევა, ოღონდ მუსიკასთან დაკავშირებით: მაშინ ძალზე ახალგაზრდები ვიყავით მე და ჩემს მეგობარს (რომელსაც ფილოლოგიურთან ერთად მუსიკალური განათლებაც ჰქონდა), ერთ სალონში, ერთმა ქაბუტმა გოცებით გვეკითხა — როგორ, თქვენ ჩაიკოცა კი მოგწონთ; ჩემმა მეგობარმა სრულიად სერიოზულად (მაშინ მხოლოდ სტრავინსკი, რაველი ან შონბერგი უნდა მოგწონებოდა, ამას მოითხოვდა მოდა) აუხსნა, რომ ჩვენ ჩამორჩენილი ხალხი ვართ და ბეთოვენიც კი მოგწონს. ასე ხომ, ერთ მშვენიერ დღეს, ვინმემ რომ გვეკითხოს — როგორ, თქვენ დალაკტიონი მოგწონთ? — მაინც და მაინც არ უნდა გავიკვირვოთ, ჩვენს ჩამორჩენილობაში იქვე უნდა გამოვეტყუდეთ და მოვახსენოთ, რომ ვაყა კი მოგწონს. მხატვრული შემოქმედების ვარშემო საკმაოდ ხელსაყრელი ატმოსფერო სუფევს. ამ ატმოსფეროში სიოცხლის ფორმები ძალზე მრავალფეროვანია და იქ ყვადებიც კი კარგად გრძობენ თავს. როცა რომელიმე კრიტიკოსი, ან თუნდაც ჩვეულებრივი მკითხველი, ისე წაიკითხავს ჩემს ნაწარმოებს, როგორადაც მე მქონდა ჩაფიქრებული, ან სწორედ იმ დეტალზე დაიწყებს საუბარს, რომელზედაც ავტორი თუ მიუღს არა, ნაწილობრივ იმედს მაინც ამყარებდა, ძალზე მახარებს. უღიმღამო წერილებს კი, რაც უნდა ცაში ამიყვარონ, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პასუხი უნდა გავცეთ კრიტიკოსს? ამ ცდუნებას შეიძლება ვერ გავუძლო, თუ წინასწარ ვიჭებდი დარწმუნებულს, რომ ჩემი პასუხი ერთ კარგ წერილს დამაწერიანებს. მწერალს, რაც უნდა დიდი ნაწარმოები დაწეროს, მაინც შეიძლება დაატყდეს თავს გაუგებარი, დაუნდობელი, ან სულაც ყოველად უსამართლო ბრალდება. საამისოდ მწერალი მუდამ მზად უნდა იყოს. შეიძლება განაწყენდეს, გული დასწყყდეს, აღშფოთდეს, მაგრამ გაკვირვების უფლება — ეს როგორ გამიბედეს, ან ეს როგორ მოხდომ, მწერალს არა აქვს, რადგან ისე არაფერი ჯიუტობს „საყოველთაოდ მიღებული“ ნორმების წინაშე, როგორც მხატვრული შემოქმედება. რასაც ერთი მკითხველი აღფრთოვანებული შეხვდება, მეორემ შეიძლება

ცოვად გადასდოს გვერდზე. აქ ბევრი რამ სუბიექტურ მიზეზებს ემყარება. ლიტერატურაში ოდნავ ჩაბედულმა კაცმაც იცის, რომ ვაჟა ფშაველას მტრულადაც კი შეხედნენ; ტოლსტოის პრესას უშალავდა მუხლს; ჰემინგუეი გააწამეს კრიტიკისგან და თვით უახლოესმა მეგობარმაც კი უთხრა „ფიგურაზე“, რას არ მოიგონებ, მოგზაურობის შობაბუცილებები შეგიტახავს და აგიჩემებია, რომანი დაწერო. იგივე ტოლსტოი ხომ შექსპირის უარყოფითაცაა ცნობილი. სწორედ ამაზე აქვს ნათქვამი „მეფე ლირის“ დამდგმელ კინორეჟისორს, კოზინცეს — ტოლსტოი მუდამ „მეფე ლირს“ ებრძოდა, მაგრამ სიკვდილი მეფე ლირისაირი აირჩია თავადვეო. ლიტერატურა წუთით ვანზე დავტრავთ და, ფიზიკისა და მათემატიკის ახალი აღმოჩენებზე კი, სადაც ბევრი რამ ზუსტი მათემატიკური ფორმულებით და გაანგარიშებებით საბუთდება. ყველასათვის ერთაზმად მისაღება როდი ხდება. ხომ ცნობილია, რომ „ფარდობითობის თეორიას“ დამკინავეებიც კი ყავდა — ხუმრობდნენ, ეს თეორია მხოლოდ ორ კაცს ეხმობს მთელ მსოფლიოში და იმ ორში ერთი უსიოთინ აინშტაინიაო. მაშ რაღა იქნება ლტერატურაში, სადაც ზუსტი ფორმულებით ვერაფერს დასაბუთებ? ამიტომ ჩანს ხოლმე სასაცილო, როცა მწერალი კრიტიკოსს გასძახის — დამისაბუთე, რომ ჩემი ნაწარმოები სუსტიაო. რა თქმა უნდა, „დასაბუთება“ თითქოს აქაც შეიძლება, მაგრამ ძალზე მიახლოებით, ძალზე სააღბათო და ცოტა არ იყოს მაინც სუბიექტური... როგორც გითხარით, კრიტიკა უდიდესი რამაა. მაგრამ მისდამი დიდ პატივისცემასაც აქვს საზღვრები. უხედავება თუ წერის დროს, ან მერე, მწერალი კრიტიკაზე ფიქრობს. თუ მღელვარებით ელის ყოველ გამოჩნაბურებას და არცერთ ანოტაციას ან მიმოხილვას არ გამოტოვებს — იქნებ ჩემს გვარს წავაწყდეთ. იმას კი, რაღა თქმა უნდა, რომ წერის დროს მხოლოდ ნაწარმოებზე უნდა ვფიქრობდეთ, ჩვენს გმირებზე, ჩვენს სათქმელზე.

— გვითხარით, რამდენად აუცილებლად მიგაჩნია ისტორიულ რომანში იმდროინდელი ფონის, ისტორიული აქსესუარებისა და დეტალების, ენობრივი კოლორიტის აღდგენა? მაინტერესებს თქვენი რომანის — „უბო კითხულისა“ — მხატვრული თავისებურებებიდან გამომდინარე, რომანისა, რომლის საერთო ფონი და დრო პირობითია, თუშეცა არა ზოგადი. ამ რომანში მაინც ჰქმნით ერთგვარ ისტორიულობის ილუზიას, მაგრამ მის შესაქმნელად არ მიგამართავთ ენობრივი კოლორიტისათვის. არც ისტორიული რეალიების დაკონკრეტება გიცდიათ. მაგრამ შესაძლოა სულ სხვაგვარად იყოს საქმე, როცა მოავარი გმირი რომანისა იქნება არა გამოგონილი გიორგი ბალიაური,

არამედ რომელიმე ისტორიული პიროვნება. ასეთ შემთხვევაში, თქვენი მწერლური ბუნებრივად გამოდინარე, ეცდებით თუ არა, თუნდაც ნაწილობრივ, იმდროინდელი ფონისა და კოლორიტის აღდგენას. სწორედ თქვენი მწერლური ბუნებრივად გამოდინარე, რადგან ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით მაგალითები, და საუკეთესო მაგალითებიც, რომ ალეგორულად თანამედროვეობაც რომ გამოეხატა მწერალს, თუ მოქმედება წარხულში გადაქმნდა, ყოველთვის იცავდა იმდროინდელ კოლორიტს. ჩვენი მწერლობით რომ შემოვიფარგლოთ, სანიშნოდ შეიძლება და ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ გაგვხსენებოდა. თქვენ იქნებ სხვაგვარად ფიქრობთ?

— ისტორია მწერლისთვის თავშესაფარი არ არის. ისტორიიდან თვალთვალს მწერალი ვერ დაიწყებს. თუ დაიწყებს, მხატვრულ მიზანს ასცდდება. მე გვონია, ისტორიიდან იმას ირჩევენ, რაც სადღეისო სათქმელის გამოხატვის საშუალებას იძლევა, რაც მართლა ისტორიულია. თვით სიტყვა „ისტორიული“ ხომ იგულისხმება რაღაც ამოღებული შინაარსი, მოვლენა ფართო მნიშვნელობისა... არა წვრილმანი, არა მედინი, არამედ წარუღინებელი, რომელსაც მაგალითის ძალა აქვს. მაგალითი კი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი გვეჩრდება. შეიძლება გარკვეულ დროში ცოტნე დადიანის მაგალითი იყოს სასიციცხლო აუცილებელი, სხვა დროს კი — იმ კაცისა, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ერის სულიერი კულტურის შექმნას ემსახურებოდა — ტაძრებს აშენებდა, წიგნებს თარგმნიდა, თაბებს ზრდიდა. ბაგრატ მეოთხეს თავის მეფობის ყველაზე უფრო მწვევ დღეებში წიგნის კაცი დასჭირდა და გიორგი ათონელი იხმო. ამგვარად უნდა იხმოს მწერალმაც (ოღონდ ისტორიიდან) რომელიმე მოვლენა ან მოღვაწე. მეკითხებით, რამდენად აუცილებლად მიგაჩნიათ ისტორიული რომანში იმდროინდელი ფონის, ისტორიული რეალიების და ენობრივი კოლორიტის აღდგენა. მე რამდენად აუცილებლად მიმანჩია, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ ამ გზით ლიტერატურაში ბევრი კარგი ისტორიული ნაწარმოები შეიქმნა. საქმარისა ჩვენები გავიხსენოთ, სწორედ ისინი, თქვენც რომ ახსენეთ, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვერვა...“ მაგრამ კლასიკოსები იმტოვებ არიან კლასიკოსები, რომ არასოდეს ჩაგვაგონებენ — ჩვენს იქით აღარსად გაიხედოთ. ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ ანტიკური ტრადიციებისა და ჰომეროსის შემდეგ აღარაფერი შეიქმნებოდა. ყოველ საუკუნეს ან ყოველ თაობას ლიტერა-





ტურაში რაღაც ახალი მოაქვს, შეიძლება იმ დონისა არა, რა დონეც „ილიადაში“ ან „ოდი-სეაში“ იგულისხმება, მაგრამ მაინც ახალი, სწორედ ის, რაც ოდისეაში არ შეიძლება რომ ყოფილიყო, ეს გარემოება აძლევს ლიტერატურას განვითარების საშუალებას. ახლა ჩავთვალოთ, რომ ამ დიდ სახელებზე გუფინ ვილაპარაკეთ. და რომ ამ საუბრის არაფერი აქვს საერთო არც ჩემთან, არც ჩვენს მომდევნო კითხვა-პასუხთან. ამ პირობით დავუბრუნებები თქვენს კითხვას და ჩემს რომანს. რა თქმა უნდა, „ყამი კითხულისას“ საერთო ფონი და დრო პირობითია. თითქოს ვხედავდი რაღაც მოდელის მგვარს, რომელშიც ძველიც იგულისხმებოდა და ახალიც. ასე გამოვიდა თუ არა, მე არ ვიცი. მართალი ხართ: ისტორიული რეალიზმი, ფონი თუ კოლორიტი მართლაც არ მაინტერესებდა... ვერ ვიტყვი, ეს გზა ყველაზე უფრო საიმედოა-მეთქი. საიმედო კი არა, უიმედოც მგონია: კაცო მარტო ერთი იარაღის ამარა რჩები... მაგრამ ასე რომ არა, მაშინ აღარ მექნებოდა ის სასიამოვნო განცდა, რომ თანამედროვე რომანს ვწერდი. იი, სწორედ ეს მაინტერესებდა. — ისტორიულ რომანს წერ და იმგვარი განცდა გაქვს, თითქოს თანამედროვე რომანს წერდე. და უცებ წარმოვიდგინე, რომ ამგვარი განცდა აუცილებელიც კი უნდა იყოს ყოველი მე. უ. ისტორიული რომანის წერისას. რა თქმა უნდა, ჩემი რომანი ამითი დაზარალდა კიდევ: ხასიათების სიმძაფრე აღარ გამოვიდა. შეიძლება საერთო ატმოსფერო, საერთო ფორმა დასამახსოვრებელი ვახდა, არ ვიცი, მაგრამ პერსონაჟებს კი რაღაც ნამდვილად დააკლდა. ეს რაღა პროზაა? — იკითხავს ვინმე. შეიძლება არც არის პროზა, მაგრამ წერის დროს მწერალი იმაზე ფიქრს ვერ დაიწყებს — რა არის და რა არა, ან ვინ რას იტყვის. მწერალი წერს ისე, როგორც ეწე-რება... მე ასე მეწერებოდა, მე არ მაინტერესებდა რაგვარი ნივთები იყო გიორგი ბალიაურის სასახლეში, ან გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა ეს სასახლე. მე ვერ აღწერდი სკრუპულოზური სიზუსტით როგორ შემოდიოდა დაბრუნდებოდა ხალხის წინამძღოლი. ამგვარი შემოსვლის დროს მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა — რას ფიქრობდა წინამძღოლი, რა იყო მიზანი მისი შემოსვლისა... და რას ფიქრობდა კაცო (ზოისიმე ბერი), რომელიც მას თვალს არ აშორებდა, როცა კი შეეძლო და მაშინაც მასთან იყო, როცა არ შეეძლო. ისღა დამრჩენია ეთქვა, რომ პერსონაჟების სული მაინტერესებდა... მოვიხელთე თუ არა მათი სულები, ეს ჩემი სათქმელი აღარ არი. როცა ვწერდი, მეგონა, რომ ისინი წიგნში ჩასახლდნენ. თუ ვერ ჩასახლდნენ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა კარს გავღებ (ანუ გავებდევ და ჩემს წინგს გადავუღო წასაკითხად),

იქაურობა რომ ცარიელი დამხვდება, აღმოჩნდება სინანული შემიპყრობს. მაგრამ შესაძლებელია სულ სხვაგვარად იყოს საქმე, თუ მთავარი გმირი რომანისა იქნება არა გამოგონილი გიორგი ბალიაური, არამედ ისტორიულად არსებული პიროვნება... რა დროს რა იქნება, ამას მხოლოდ ახალი რომანის წერისას თუ მიხვდები. ახალ რომანზე კი წინასწარ ნუ მალაპარაკებთ, ძალზე ცუდად მაქვს დაცდილი...

— თქვენი მინიატურადან, „დაშვიდობება“, მაგონდება ერთი ასეთი ფრაზა, დედაბერი რომ ეუბნება ავტობუსში შემთხვევით შეხვედრულ ძველ ნაცნობ ბერიკაცს, „აბა, ჩემზე თუ რამე გაიგოთ, გადმოდი, არ დაიზაროთო“. ამ ვითომდა სახვთათმორისოდ ნათქვამი სიტყვების — „ჩემზე თუ რამე გაიგოთ“ — გარეგნული უზრალოების მიღმა იგონება ადამიანური ტიკვილი, სიცოცხლის წარმავლობის განცდა, რომელიც დედაბერს ძველ ნაცნობთან შეხვედრამ აუფორიაქა. ნათელია, რაც იგულისხმება ამ სიტყვებში, მაგრამ დედაბერი პირდაპირ რომ ვერ ამბობს, ეს სწორედ მისი შინაგანი ტიკვილის სიმძაფრეს გვიჩვენებს. ამიტომ მინიატურა, ჩემი აზრით, ამ ფრაზაზე უნდა იყოს აგებული, მთელი სიტუაცია კი ამ ზუსტად მოძებნილმა ფრაზამ მოყოლია. თქვენი რომანის, „შვიდი ადამიანისა და ტროლდასათვის“, პირველივე თავშიც გამოკვეთილად გაქვთ ნათქვამი, რომ ახრია მახაურის მთელი ცხოვრება, არსებითად, რამდენიმე ფრაზის ირგვლივ იყრის თავს, ფრაზებისა, რომლებიც შორეულ ამბებს, განცდებს, ფიქრებს წამოატეხებენ. ხოლო რომანის შექმნის ბიძგად, რომლის ირგვლივაც იყრება კომპოზიციური კარგა; ასახედებით წარმოსახულ სურათს მდინარის ნაპირას შეკრებილი შვიდი ადამიანისა, რომელიც „შეთხზული ამბის ავტორს“ უნახავს. მაგრამ ეს აქ შესაძლოა მხოლოდ მხატვრული ხერხი იყოს. რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, რა იყო ის პირველი საწყისი, რამაც დასაწერად გიბიძგათ: იდრა? სურათი? თუ რაიმე ფრაზა? ყველა მწერალს თავისი პასუხი ექნება, ხან უფრო მკაფიო, ხან თვითონ მისთვისაც ცოტა არ იყოს ბუნდოვანი თუ გაურკვეველი. თქვენთვის მაინც რომელია უფრო მახლობელი, რა გიბიძგებთ ხოლმე დასაწერად, რა არის ის, რაც მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი და შეუძლებელია სალიტერატურო კრიტიკამ შენახოს?

— რა იყო ის პირველი საწყისი, რამაც დასაწერად გიბიძგა — ამის გახსენება ამა თუ იმ ნაწარმოების მიმართ ზოგჯერ ძალზე ადვილია. ზოგჯერ შეუძლებელიც. მინიატურაზე, რომელიც თქვენ გაიხსენეთ („დაშვიდობება“), ადვილად შემიძლია ვიპასუხოთ: სწორედ ამ ერთმა ფრაზამ დამაწერინა. ეს ფრაზა ცოცხალია, ნამდვილად ითქვა, მე არ შემიბოხავს. კახეთს მიმავალ ავტობუსში ამოვიდა დედაბერი



და პირდაპირ ბერიკაცისაგან წავიდა. მერე დილაღი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც მინიატურაშია. იქვე იღვა პატარა ბიჭი, რომელიც, რამდენჯერაც დედაბერი ბერიკაცს ეტყობოდა — „ბიჭო“, ხმაშია ხარხარებდა, დედაბერი კი უტევდა — „რა გაკინებს, ჩემთვის ისევე ბიჭია“. ამ დილაღში მგონი ერთი რეპლიკა კი არ ჩამომატებია, მართ გამოვხზირე, დავამონტაჟე. მთავარი ეს ის არის, რომ ვიდრე სწორედ ის „საბედისწერო“ ფრაზა არ ითქვა — „აბა, ჩემზე თუ რამე გაიგოთ, გადმოდით, არ დაიხაროთო.“ არც მიფიქრია რომ დილაღს ოდესმე ქალაქში ვადავითანდი. ამ ფრაზამ კი პირდაპირ შეძრა. ეს ისე მშვიდად, ისე უბრალოდ თქვა დედაბერმა, და მერე, როცა ბერიკაცი ავტობუსიდან ჩავიდა, ერთხელაც ხმაშია დაუძახა, თითქოს საკუთარ ვასევენებზე კი არ ეპატოებოდა, არამედ მოკითვას აბარებდა ვილასთან. ამგვარი რეპლიკები ცხოვრებაში ხშირად გვესმის და უნებურად ხსოვნაში რჩება, რათა ერთ დღეს, როცა თითქოს დასაწერი არაფერი გვაქვს და მაგიდასთან ისე, მოვალეობისათვის დავვდებით, ხსოვნიდან ამოტრეტივდეს და ქალაქზე ვადავიდეს. ამ „თითო ფრაზას“, ეტყობა, ის უპირატესობა აქვს, რომ ნაწარმოებში ისინი, გინდა თუ არ გინდა (ეს ხშირად საეგზებოდ არც ხდება) მუდამ მთავარ ადგილს იჭერენ. მე ვიცი ნაწარმოებები, რომელთაც ერთი რეპლიკამ დეტალის ან ფრაზის გარეშე ვერც წარმოიდგენ. „ასი წლის მარტობას“ მარკსის პირველივე ფრაზა გასაღებვით მოერგო: „გაიგოს წლები და დახვერტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აუტრეალიზმ ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად...“ ტენის უილიამსის პიესა „იკავიანს ღამე“ ვერ წარმოიდგენია ერთი ფრაზის გარეშე: „სიციცხლეში ერთხელ მაინც უნდა ვიყოთ ღმერთები“. „ჟამი კითხვისაში“ ამგვარი ფრაზა არ ვიცი რომელია, ალბათ იმიტომ, რომ რომანის დასაწერად ერთ რომელიმე ფრაზას არ შევუგულბანებოვარ. აქ მთავარი იყო აკლამები, რომელიც მთავი ვნახე. მითხრეს, იმ აკლამებში ჟამიანობის დროს მიდიოდა სნეული და მკვდრებს შორის საკუთარი ნებით იკავება ადგილს, რათა ცოცხლებს მისი პირი არ გადასდებოდეთო. ეს იყო და ეს. მერე წამოვიდა კითხვები — რამ შეიძლება ათქვას კაცი რომ ასე მოიქცეს? მოვალეობის გრძნობამ? შიშმა? ფანატიზმმა? იქნებ სულაც თავად არ წამოვიდა და ძალით გამოავლეს? ეს კითხვები პასუხს მრავალი წლის მანძილზე მოითხოვდნენ და ბოლოს დაიწერა რომინი... „შვიდ ხმასა და ტორლოში“ ამგვარ თითო რეპლიკას განგებ მოვუყარე თავი და იმ თავს ასეც დავარქვი — „სიტყვები“. ამ სათურზე კარგა

ხანს ვყოყმანობდი. სარტრს აქვს ნაწარმოებები, რომელსაც „სიტყვები“ ჰქვია. ბოლოს მაინც ვაგებდე. თუ ვინმე სარტრის ეპიგონად ჩამთვლის, არა უშვებს, სარტრი მაინც სარტრია-მეთი. ამ რომანის შემქმნის საბაბი არც „მდინარის პირას გაკრული სურათია“, რომელიც შეთხზული ამბის ავტორს ოდესღაც უნახავს, და რომელზეც შეიძლება ადამიანი ყოფილა გამოსახული. კაცმა რომ თქვას, წერა იმ ერთი პატარა თავით დავიწყე, რომელიც მერე რომანის ბოლოში მოექცა — „ტორლოს სიყვლილი“ და შვიდ პერსონაჟს ასე დაემატა მერვეც — ტორლო. აქ ყველაზე უფრო გზის სიმბოლიკა მზიბოლავდა. ყველანი, შვიდედენი და ალბათ ტორლოც, სადღაც მიდიან. ეს დეტალი უკვე თვით კაცთა ცხოვრების მოდელის შემქმნის შესაძლებლობას მიძლევდა. ჩემთვის არანაყლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე მიზეზიც შვიდთა თემის გზაზე გამოსვლისა, გზაზე დადგომისა: შვიდედენს ვილაყებ თუ რაღაცაზე არიან ვაბარებულნი. პირველ ვარიანტს ასეც ერქვა: „შვიდნი სხვების წინააღმდეგ“. აქ კი უკებ წამომიშარა სათაურთ ცნობილი ტრაგედისა („შვიდნი თებეს წინააღმდეგ“) და მიხვდი, რომ ამდენ ეპიგონობას უკვე აღარავენ მაპატიებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოება სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ბევრი რამ გვაპატიოს. დავუბრუნდეთ ისევ დეტალის მნიშვნელობას. შეიძლება შევძღოთ თუ რომელიმე დეტალს ზედმეტ მნიშვნელობას მიანიჭებ. რომანში არის სცენა, როცა ადიდებულ მდინარეს მოხუცი ლეა ლელუშაურის გვამი მოაქვს. კაცმა რომ თქვას, როცა ამ თავზე ვფიქრობდი, მის მთავარ ნაწილად სწორედ ეს დეტალი მიმაჩნდა. ამ დეტალის ირგვლივ ტრიალებდა ყველაფერი, მთელი თავი ამ ამბისკენ ისწრაფოდა თითქოს. მაგრამ სულ არ ვამეკორევი, როცა ერთმა ძალზე გემოვნებიანმა კაცმა, რომლის აზრსაც დიდი მნიშვნელობას ვანიჭებ, მითხრა: იქნებ სულ არ იყო ეს დეტალი საჭირო, განა არ ემართა, რომ ლეა ლელუშაური ნისლებში ჩაიძირა და გაქრა, გვამის ჩამოტარება რაღად გინდოდაო. „რას ამბობთ, ეს თავი იმ სცენამ დაამწერინა-მეთქი!“ — ავფეთქდი. მაგრამ დღესაც მაწვავლებს ფიქრი, იქნებ ის ჩემთვის ძალზე ძვირფასი მკითხველი მართალია-მეთქი, და ხელეც კი გამმარგია, რათა შემდეგ გამოცემაში ამოკოვო. მაგრამ იქვე მაჩერებს ის, რაზეც თურმე მითქვამს კიდეც: ნაწარმოების გადაკეთება მისი პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარ მიმაჩნია მართებულად. ვის რა დავუმალოთ, ვის რა მოვაჩვენოთ უფრო კარგად? მკითხველთა ერთმა ნაწილმა ხომ უკვე თავდაპირველი სახით წაიკითხა და ნაცნობ დეტალს თუ ველარ ნახავს, ხომ იფიქრებს, რომ

რალაც უცხო გრძნობა კი არ გაწირინებს, არამედ უბრალო ხელოსნობა, რომელიც იმის უფლებასაც კი გაძლევს, რომ დღეს ერთი დეტალი ამოიღო, ხვალ კი მეორე ჩაუმატო. არა, როგორც დაიწერა, ისე უნდა დარჩეს. თუ უფრო კარგად შეგვიძლია წერა. თავი მომდევნო ნაწარმოებებში გამოვიჩინოთ. იმედს მაქვს ისე არ გამოგებთ, თითქოს წვალების, ჭახირისა და ხელნაწერზე გადაგების მომენტს უარყოფდეთ. დაე, წვალება და ჭახირი თავისთვის იყოს, მანამდე, ვიდრე ხელთ მართლა ხელნაწერი გვიჭირავს, გამოქვეყნების შემდეგ კი აღარ... თქვენს ნათქვამში ერთი რამ მენოხნა: ნაწარმოების შექმნის ბიძგი ზოგჯერ მწერლისთვის შეიძლება ბუნდოვანი და ქვეშეცნეულიც იყოს. აი, ამ მოთხრობით მაინც და მაინც ეს უნდა ვთქვათ, — მწერალი ალბათ ამაზე სავანგებოდ არც უნდა ფიქრობდეს, თუ ფიქრობს, შეიძლება ნაწარმოები ზედმეტად გაშალაშინებული ან ტენდენციურიც გამოუვიდეს. ქვეშეცნეული ან ბუნდოვანი ბიძგი ნუ შეგვაშინებს. ეს სულაც არ მოასწავებს იმას, რომ ავტორს მართლა არც სათქმელი აქვს რაიმე, არც ნაწარმოების მიზანდასახულობაზე ფიქრობს. სათქმელი თავისთავი იბადება, რადგან ქვეყნად არ არსებობს ნაწარმოები, რომელიც რაღაცას არ ამბობდეს. უფრო მეტიც, რაღაცას არ ჭადაგებდეს... შეიძლება სათქმელი ფორმულასავით ვერ ჩამოყალიბდეს, ანდაზის ხელმისაწვდომობით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ეს დღე უბედურება არ იქნება. იქნებ ბედნიერებაც კი იყოს: მკითხველს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, ნაწარმოების ამოხსნის მარაგად სარგებლობას იძლევა. მწერალი უამრავ რამეს ხედავს თავის ნაწარმოებში, რასაც სალიტერატურო კრიტიკა ყოველთვის ვერ შეამჩნევს. იქნებ ეს-ეც არის საფუძველი მწერლისა და კრიტიკოსის მარადიული კონფლიქტისა? როგორც ვერცერთი რეჟისორი ვერ დადგამს დრამატულ ნაწარმოებს იმგვარად, როგორცაღაც თვით ავტორსა აქვს „დადგმული“ წერის პროცესში, ასევე ვერცერთი კრიტიკოსი, ვერ წაიკეთებს მხატვრულ ნაწარმოებს მწერლისავე თვალთ. ამ უბედურებას თუ ბედნიერებას მიჩვეულნი უნდა ვიყოთ. ბოლოს და ბოლოს ის უფრო საინტერესო არ არის, სხვა რა თვალთ კითხულობს ჩვენს ნაწარმოებს?

— მინიატურაში „სიტყვები“, ასეთი რამ გიწერიათ, ერთხელ მეზობლების ჩხუბს შევესწარი და მათი ქაჭუაქა დიალოგი კუთხეში განახლდნა უცვლელად ჩავიწერეთ. ამ დიალოგს კი ასე ახასიათებთ: „იმ ორი-ოთხ დღურცელზე აკინძულ დიალოგში ყველაფერი იყო: ლაკონური ფრაზა, სიტყვა-ხვავიანობა და სიტყვის სიმსუფე. იყო მეტყველი პაუზები, მოულოდნელი შედარება, თამამი მეთაფორა. იყო ქვეტექსტი. იყო შეკ-

რული და მტკიცე კომპოზიცია“. ჩემთვის ეს სიტყვები იმით არის საგულდისხმო, რომ დიალოგისადმი თქვენს დამოკიდებულებას ამჟღავნებს და ამის გამოა, რომ თქვენეულ დიალოგებში მკაფიოდ იგრძნობა ყველა ეს ნიშანი და აგრეთვე ექსპრესია. ისეთი შთაბეჭდილება მჩრტება, რომ თქვენი დიალოგები დრამატურული ხერხებითაც კი უნდა იყოს აგებული. ისეთი შეკრული და მტკიცე კომპოზიცია აქვთ. არ ვიცი, შესაძლოა ამგვარი შთაბეჭდილება იმის ბრალიც იყოს, რომ ჩემთვის ცნობილია თქვენი გატაცება თეატრით. ამასთან, შევინსენ, რომ დიალოგის გრაფიკულ ფორმას მაშინაც იყენებთ, როცა გარეგნულად ამის საჭიროება თითქოს არ იგრძნობა, რადგან კაცი თავის თავს ესაუბრება და არა სხვას. ვგულისხმობ მოთხრობაში, „ჩივილი“, ბიჭის წახსევანად ამოხული უცხო კაცის გულმოსულ ბუზღუნს. საერთოდ როგორ უყურებთ დიალოგს, მის როლსა და დანიშნულებას თანამედროვე პროზაში?

— „სიტყვები“ ჩემს პირველ წიგნშია. იმ წიგნიდან ბევრ რამეს ახლა სულ სხვაგვარად დავწერდი, ან სულაც აღარ დავწერდი. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამ მინიატურაში ყველაფერი გულწრფელადაა ნათქვამი, სხვა წიგნებში შეტანისა კი მომერიდა, ვითომ რა დროს ჩემს გამოცდილებაზე ლაპარაკია-მეთქი. დღეს ამაზე უკვე სხვაგვარად ვფიქრობ: პირადად მე ძალიან დამინტერესებდა თუ ვინმე იციოდე წლის მწერალი გულწრფელად მეტყოდა რას როგორ წერს, ანუ სრულიად ახალგაზრდა შესაძლებელიც ფსიქოლოგიაში ჩამატებდა. ის მინიატურა, სხვა გზა არ არის, დღეს თქვენთან ერთად უნდა გავიხსენოთ: მინდა გითხროთ, რომ მაშინ, როცა უფრო მტკიცე კავშირი მქონდა სოფელთან, მაინც და მაინც კლამორმარცხებული არ გყოფილავარ—დიალოგები ჩავიწერო-მეთქი. „სიტყვებში“ ნახსენები დიალოგი ერთგვარი ცდა იყო — ერთი ვინახოთ, რამდენად ირღვევა ჩემი კუთხის უბრალო სასაუბრო მეტყველებაში სალიტერატურო ენის ნორმები-მეთქი. აღმოჩნდა, რომ არ ირღვეოდა. თუ დამიჯერებთ წინა პასუხში ნათქვამს, რომ „დამშვიდობების“ დიალოგი თითქმის უცვლელადაა გადმოწერილი ცხოვრებიდან, მგონი ალბათ დამიდისტურებთ, რომ იმ დიალოგში მტკიცე სალიტერატურო ნორმები მართლაც არ ირღვევა. მაგრამ ყოველგვარ „ცხოვრებისეულ დიალოგს“, რაგინდ ლიტერატურულიც არ უნდა იყოს, ერთგვარი გამოსწორება და ლიტერატურის სიმალეზე აყვანა მაინც სჭირდება. ლიტერატურა მაინც მაშლაა, ცხოვრებაზე უფრო მაშლაა. ეს რომ ასე არ იყოს, ლიტერატურა საჭირო არც

თამაზ ბიბილაძე  
მინდამ ამოღლის მხე

გახდებოდა, დაჯდებოდათ სადმე, ბაზარში ან დღეობაზე, ამალგებულ ადგილას და ყველაფერს წიგნივით წიკითხავდით. მაგრამ, ეტყობა, წიგნი სასიცოცხლო იყო აუცილებელი, წიგნი, რომელიც თავის მხატვრული სინამდვილით ცოტა განსხვავებული იქნებოდა ცხოვრებისეული სინამდვილისაგან, და რაც მთავარია, კაცობრიობის მახსოვრობას შეინახავდა. დიალოგმა, როგორც ბევრმა სხვამ, თანამედროვე პროზაში ცვლილება განიცადა. ბევრჯერ დიალოგი „მოდის“ მსხვერპლი გახდა. მაგალითად, ზემონახსენებ ჰემინგუეის დროინდელ წლებში ზოგჯერ მთელი იმედები ლამის მარტო დიალოგზე მყარდებოდა. მერე წამოვიდა პროზა, სადაც დიალოგი სულ გაქრა, დიალოგი გმირის ქვეცნობიერ ფიქრებს შეეწირა. ბევრი მწერალი ამას იმით ხსნიდა, რომ ადამიანი თითქოს არასოდეს ამბობს იმას, რასაც ნამდვილად გავიციდა, ამდენად ქვეშაირი ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასადგენად დიალოგი არ გამოდგება; რომ მთავარია რას ფიქრობ, და არა ის, თუ რას ლაპარაკობ. მაგრამ ადამიანები მაინც ლაპარაკობენ, ზოგჯერ ტყუილს და ზოგჯერ მართლს, და სანამ ვლაპარაკობთ, სანამ სიტყვიერი ურთიერთობა უიმედოდ არ მოძველებულა, მწერლობას დიალოგიც დასჭირდება. ვერც ქვეცნობიერი და ვერც სხვა რამ, დიალოგს ვერაფერს დააკლბს. დიალოგმა მაინც სასიკეთოდ იცავდა სახე: უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, უფრო ბუნებრივი გახდა. ავიღოთ კლასიკური ნაწარმოებები (ძალზე კარგი ნაწარმოებები) და თავისუფლად ვიპოვით დიალოგს, რომელიც სიტუაციის ლოგიკური აუცილებლობიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მწერლის სურვილიდან — სათქმელი რაც შეიძლება გასაგები გახადოს. გმირი ბევრჯერ გვეუბნება იმას, რასაც ცხოვრებაში არ გვეტყობა. ხომ გვახსოვს დიალოგები ძალზე კარგი მწერლებისა, სადაც ერთი პერსონაჟის ნათქვამს ლამის გვერდით თუ გვერდები უქირავს. ცხოვრებაში კი ამგვარ დიალოგს არავინ მართავს. ჩვეულებრივად, დიალოგში ერთგვარ მოწინააღმდეგე მხარის რეპლიკები, არტემენტები, პაუზები, შეძახილები, დიალოგი ნელდება, ისევე აქტიურდება... ეს დაახლოვება დიალოგისა ცხოვრებასთან სწორედ ამგვარად გამოიხატება: დიალოგი უფრო ბუნებრივი, სხარტი, ლაკონური და მოქნილი გახდა. თითქმის ქრება რემარკები — „თქვა მან“, „უპასუხა ამა“. მე მიყვარს დიალოგი, რომელშიც ათი კაციც რომ ლაპარაკობდეს, რემარკების გარეშე ვხვდები რომელი რეპლიკა ვის ეკუთვნის. ვხვდები რეპლიკაში გამჟღავნებული პიროვნების ხასიათით, კოლორიტით, ფრაზის სიგრძე-სიგანით თუ სხვა ათასი საიდუმლოთი. არ ვიცი, რამდენად დრამატურგიულია ჩემი დიალოგი. ისე თეატრის სიყვარული შეიძლება

მართლა ჩანდეს. თეატრალური აქტისუარები ჩემს პროზაში მგონი მართლაც ხშირად თამაშდება. დიალოგებში ბოლო ხანს იმძლევერა ჟარგონმა, განსაკუთრებით თეატრის და კინოს დიალოგებში. — მაზე რომ რაიმე თქვა, მაშინვე გაეტყვიან — ასე ლაპარაკობს დღეს ხალხი და თეატრი და კინო სიბართლეს ვერ უღალატებსო. მართლა ასე ლაპარაკობს? და თუ ლაპარაკობენ, მართლა შეიძლება ყველაფრის სცენაზე ან ეკრანზე ატანა? არ ვიცი... ერთხელ ავტობუსში ამოვიდა ორი ბიჭი წინა კარიდან და სამი უკანიდან. ერთმა, წინიდან ამოსულმა, ორი ბილეთი მოხია. მეორე ბიჭმა უკანიდან ამოსულზე მიუთითა და სამად სამი სიტყვა თქვა: „როზა, იმგენს აქენვ?“ ანუ, ორი რად მოხიე, უკნიდან ამოსულებს აქეთ ბილეთებიო? სამი სიტყვა და სამივე შეედომით! ამ რეპლიკას („როზა, იმგენს აქენვ?“) ლიტერატურული ნაწარმოების დიალოგში ალბათ ძნელად შეიტანს კაცი, თუმცა მკვეთრ დახასიათებს იძლევა გარკვეული სიცოცხლური ფენის ადამიანისა. შეიძლება სატირულ ფელეტონს მორგებოდ... სამწუხაროდ, ჩვენში ერთგვარი აღრევა მოხდა ჟურნალისტიკისა და ე. წ. „სიტყვაჯახული მწერლობისა“. ეს ახალი ამბავი არ არის. თუ ჩემი აზრი ვინმესთვის საყურადღებო იქნება, ზედმეტი „ცხოვრებისეულობა“ ლიტერატურას ნატურალიზმისკენ ეწევა: ლიტერატურა კი ერთგვარად ცხოვრებაზე ოდნავ უფრო ამღლებულს გულისხმობს. მეორე მაგალითსაც გეტყვი: ქუჩაში გოგო-ბიჭები საუბრობდნენ. წინა დღეს, ეტყობა, ვილაიც დაბადების დღეზე ყოფილან. ბიჭები რალაცას ყვებოდნენ დაბადების დღის ამბებიდან. ერთმა გოგომ იკითხა, რა მოხლავს? ბიჭმა, ვითომც „ერთობი, დამაჭრებლად, ლაკონურად უთხრა: „არეთი ბიჭი — ვფშე, მეორე ბიჭი — კაროჩე...“ მოდი და სული ნუ წაგძლევს, რომ გაიგო, მაინც რა თქვა ამ ბიჭმა, რა ინფორმაცია მიაწოდა გოგოს. აღმოჩნდა, რომ ერთმა ბიჭმა იმ დაბადების დღეზე მეორე ბიჭი გვახა. ამ უმეცარმა ფრაზამ მაინც თავისი ჯნა — ინფორმაცია გაავრცელა. ვერც ამ ფრაზას შეიტან ლიტერატურაში... ყოველ შემთხვევაში მე მგონია, რომ ეს ფრაზა ყველაფერს გააშარყებდა. მაგრამ ეს არ არის პრობლემა. პრობლემა სხვა რამაა: ამ სიტყვების მოქმედი და მისი მეგობრებიც ალბათ წლების მანძილზე ასოდე სიტყვით თუ ისარგებლებენ. ზერტლე ურთიერთობებისათვის მეტი არც დასჭირდებათ. ალბათ ამოდენა „სიმდიდრე“ ენისა ხელს სულაც არ შეუშლით საკუთარ წრეში ღირსეული ადგილი ეპიკორს. მაგრამ ვითუ ამ „ასსიტყვიანმა“ აიხიროს და ლიტერატორობა გადაწყვიტოს? მაშინ სადღა გავიქცეთ? მე შენ გიტყვი ვინმე ეცდება გზის გადაკეტვას, ან თაღაპირველადვე, ან როცა დაუნდობელ ბძიქლას გა-

უჩაღებს თავის თანატოლ თუ ხანდაზმულ მწერლებს, რომელთაც საკუთარ მარაგში ასი კი არა, ათასობით სიტყვა ექნებათ. თქმა არ უნდა, რომ „ასისტეციანს“ თავისი მფარველიც გამოუჩნდნენ, რომელიც დავიწყებს მტკიცებას, რომ ავტორი შეგნებულად გაურბის ე. წ. მდიდარ ლექსიკას, კარგად იცის რასაც აკეთებს და ზედმეტად ნუ ავლდებით. ამას ის მაფიქრებინებს, რომ ბოლო ხანს მოჩანს საამისო ნიშნები: ე. წ. „ლიტერატურული დიალოგი“ (ამ სიტყვის კარგი გაგებით) ლამის ცულ ტონად გამოცხადდეს, და არა მარტო დიალოგი, ენაც... ჩვენი კრიტიკოსები, თუ რომელიმე ნაწარმოებით განგებ არიან აღტაცებულნი, სიახლისა და ორიგინალობის დასტურად მიიჩნევენ იმას, რომ ავტორის ენა თურმე „გაცირალებული და დახვეწილი“, ანუ „ზედმეტად გაშლაშინებული“ სულაც არ გახლავთ... და თუ ნაწარმოებში სადმე გვხვდება გაუმართაობა, ხორკლიანი ფრაზები, ან სულაც ლიტერატურული ქართულის ელემენტარული უცოდინარობა, ავტორს ეს შეგნებულ სტილურ ხერხად უნდა ჩავუთვალოთ და არა მართლა უცოდინარობად; რომ ჩვენი დროის კემწარბი ლიტერატურის ერთერთი ნიშანი ე. წ. „უსტილო სტილიც“ გახლავთ... „უსტილო სტილი“, სხვისი არ ვიცი და, ჩემი აზრით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სტილი არ გაგაჩნია.

— წიგნს, რომელშიც თითქმის ყველა თქვენი მოთხრობა და სირველი რომანი შევიდა, დაარქვით „მთვარის შვილი“, სახელწოდება ერთერთი მოთხრობისა. ეს ის მოთხრობაა, რომლის ერთი ეპიზოდის სიუჟეტური ქარგაც ვაიხხენოთ თქვენი ინტერესების ერთი მხარის საინტელსტაციოდ, მე კი ვითხაროთ, მის შესახებ რაღაცას საგანგებოდ გკითხავთ-მეთქი. ავტორისეულ ანოტაციაში შენიშნავთ, ეს სათაური ყველაზე უკეთ გამოხატავს ამ წიგნის ბუნებას. რამდენადაც ვიცნობ თქვენს შემოქმედებას, მეტყვენება, რომ ეს სათაური ყველაზე ნაკლებად გამოხატავს ამ წიგნის საერთო ხასიათს, ისევე, როგორც თვითონ მოთხრობა ცოტა არ იყოს ამოვარდნილია თქვენი სტილისტიკადან ერთგვარად ზელოვნური იერის გამო. რაც მართლაც თქვენეულია ამ მოთხრობაში, ის სიუჟეტური ქარგა, რაც ვაიხხენოთ, და მისი მხატვრული გადაწყვეტა, ნამდვილი პროზაა, ხელოვნური კი მომჩვენა ბიქისა და მთვარის კავშირი. ეს ერთობის ხელოვნური იერი უნდა იყოს ბრალი იმ მითომანის გაღვინებას, ახე რომ მოედო ერთხანს ჩვენს მწერლობას. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, თქვენს შემოქმედებაშიც დაიწყებს ძებნა მითოლოგიური შრეებისა და პლასტიკისა და თქვენი პროზა ხელოვნურად დაუკავშირებს მითოლოგიურ მეოთხს. ცხადია, ამგვარი დაკავშირება სრულიად გაუმართლებელია, მაგრამ ახეთ ძიებებს შე-

უძღვებოდა თავისი გავლენა არ მოგხდებოდა თქვენი იქნება თუ სხვა მწერალთა შემოქმედებაზე. მაგრამ ეს ჩემი აზრია. თქვენ რამდენად მართებული გეჩვენებთ ეს აზრი?

— ღმერთმა სიკეთე მოგვით, რომ ასე პირში მომახალეთ, რასაც ფიქრობდით. დავიწყოთ სახელწოდებები. წიგნისა: რატომ ავირჩიე მინც და მინც „მთვარის შვილი...“ მოგვხსენებთ, წერა მოთხრობებით დავიწყე. მერე რატომაც ამეკვიტა ფიქრი, რომ ეს არ იყო საკმარისი, უკვე ფორმა ე. წ. მცირე, მინიატურული მოთხრობისა, აღარ მაქმავოფილებდა. ამის გამო დაიწერა „ნიღაბი“ — შედარებით ვრცელი, რაღაც ეპიური ელემენტებით. „ნიღაბს“ მოჰყვა „მთვარის შვილი“, სადაც, მეჩვენება, რომ უფრო მეტი განწყობილებაა, მეტი პოეტური სუნთქვა. მაგრამ თქვენმა ჭიქურმა შემოტევათ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ავტორის ჩანაფიქრი და მკითხველის აზრი უმეტესწილად ერთმანეთს არ ემთხვევა. მე „მთვარის შვილის“ სტილი ყველაზე უფრო ჩემული მეგონა, თქვენ მეუბნებით, ხელოვნური იერი დაპკრავსო. რას იზამ, გულწრფელად ვისურვებთ, რომ მართალი თქვენს იყოს... ახლა რაც შეეხება კრიტიკისა და მითოსის გარშემო ატეხილ აღტკინებას: ეს მარტო ჩვენი ერის ლიტერატურაში როდი მოხდა, მითოსი ლიტერატურაში გლობალურ მოვლენად გადაიქცა. მაგრამ უფლება არ გავქონს და მივთხოვოთ თუ გეტყვით, რომ როცა „მთვარის შვილი“ იწერებოდა, მითოსის ქარი ჭერ კიდევ არ ქროდა. „ქარიშხალი“ მერე ამოვარდა. არავითარი კავშირი „მთვარის შვილს“ „მითოსურ ქარიშხალთან“ არა აქვს. ვერ გეტყვით, ამ მოთხრობაში ბევრი რამაა ავტობიოგრაფიული-მეთქი, იმის თქმა კი დაბეჭითებით შემძლია, რომ აქ ყველაფერი ჩემულია, ჩემგან განცდილი და გამოვლილი, ისიც კი, რომ ბიქმა ღამით სასაღვლაოზე უნდა გადაიაროს. ჩემს ნაწარმოებებში მითოსის ელემენტები აქა-იქ თითქოს ბოლო წლებში შენიშნეს. ახლა სხვა გზა არა მაქვს და წუწუნის გარეშე უნდა ვითხაროთ, რომ ჩემედ დაწერილი ლიტერატურული წერილებით მინც და მინც ვანიტუფებელი ამ ვახლავართ, მით უფრო ისე, რომ ამ წერილებმა თავიანთ გავლენაში მომაქციონ და რაიმე თავიანთებურად დამაწერიონ. მაგრამ დავეუბრუნდეთ ისევ „ქამი კითხულისას“, როცა ამ რომანის (და არა მარტო ამ რომანის) და მითოსის ე. წ. კავშირზე ლაპარაკი გალიზიანებთ, გულისხმობთ ალბათ იმ რამდენიმე წერილს, სადაც გაკვრით ამ თემაზეც იყო ნათქვამი. ერთხელ უკვე ვთქვი და, სხვა გზა არა მაქვს, აქაც უნდა გავიმეორო, რომ როცა „ქამი კითხულისას“ წერა დავიწყე, მითოსზე არ მიფიქრია. მე უბრალოდ ვწერდი ჩემი გაგებით ჩვეულებრივ ქართულ ნაწარმოებს. ქართულ ნაწარმოებში კი, დაწყებული ძველ-

თავან, ყოველთვის იპოვიდით მითოსის ელემენტებს. ქართველის აზროვნება ხშირად მითოსურია. მისთვის ყოველდღიურობაშიც კი თავისი ადგილი უჭირავს მითოსს, ლეგენდებს, თქმულებებს, ეს განსაკუთრებით მითითა ყოფაში შეინიშნებოდა. ამას დაუმატებ მძლავრი გავლენა „ამირანისა“, „ეთერიანისა“, ბოლოს „ვეფხისტყაოსნისა“ და ნულარ გავიკვირდებით თუ ყოვლად უპრეტენზიო ნაწარმოებებშიც კი, თუ ის მართლა ქართული სულითაა გაფლენილი, მითოსის ელემენტებს შეხედებით. მითოსის ელემენტებითა სავსე ჩვენი წეს-ჩვეულებები, ერთულები, თამაშები, ცეკვები და სოფლის სახეობებიც კი... სულ სხვაა რას დავარქმევთ ე. წ. „მითოსურ რომანს“, რანაირ დეტალებს მივიჩნევთ ამგვარი რომანის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად. კაცმა რომ თქვას, კრიტიკოსები რომ ჩამაცვიდნენ, მაშინ მე იმაშიც მომიხდება თავის მართლება, რომ არ დამიწერიო ისტორიული რომანი, თავისი ტრადიციული აქსესუარებით და ისტორიულ რომანზე ჩვენი ჩვეულებრივი წარმოდგენით (ამაზე ზემოთაც გითხარები)... ამის შემდეგ კი უკვე ბუნებრივია ვინმე მკითხოს: კარგე, არც ისტორიულია, არც მითოსური, მაშ რაღაა? ამ კითხვისაგან თავის დასაცავად კვლავ ისლა დამჩინია გითხარო, რომ ამისი კვლევა ჩემი საქმე არ არის, ვწერ ის, როგორც შემიძლია წერა.

— თქვენს პროზაში აშკარად იგრძნობა თეატრალური აქსესუარები, რასაც თქვენ თვითონაც ადასტურებთ. როცა თეატრითა და დრამატურგით თქვენი გატაცება ვახსენე, მხედველობაში მქონდა არა ჩვენი პირადი საუბრები, არამედ თეატრალური აქსესუარები და თქვენი ლიტერატურული წერილები. წერილები არა მარტო თეატრზე, ხადაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად ამ სამყაროს შინაგანი განცდაც იგრძნობა, არამედ სხვა წერილებიც, რომლებშიც აუცილებლად ახსენებთ თეატრს, დრამატურგებს, თეატრალურ გარემოს. თქვენ თვითონ თუ დაგიწერიათ პიესა ან თუ აპირებთ? უკველა შემთხვევაში მკითხველისათვის უცნობია ამ უნარში თქვენი მოღვაწეობა.

— პიესა როგორ არ დამიწერია... თეატრშიც მივიტანე. განხილვის დროს ყველაფერი ვიყავი, ეპითეტებს ბოლო არ უჩინა (დაახლოებით სამოცდაათიანი წლებია). პიესა მინც არ დადგეს. ეტყობა, გამოქვეყნებული ცინიკოსებში ჩავგარდი; თავდაპირველად ისიც მჭეროდა, რომ ქებით ცაში აყავდათ პიესა, მერე კი ისიც დავიჭერე, რომ არც ისე კარგი აღმოჩნდა და თავიდან დასჭირვებია დაწერა. ბოლოს ერთ თეატრში თქვეს, პიესა რაღაც ექსპერიმენტული ჩანს, ჩვენ ახლა ექსპერიმენტების დრო არა გვაქვსო, და რომელიმე ვოდევილების დადგმა დაიწყეს. ვემსმდე პიესა აღარ დამიწერია. არც არავის ვემსმდე, არც მიკარს თუ რა მოხდა,

რადგან დღეს, წლების მერე, ჩემთვის მნიშვნელოვანი ნათელია. მარტო იმ ხალხმა გამოაცა, ვის ახლოსაც მაშინ მომიხდა ტრიალი. ხშირად მახსენდება ხოლმე ეს დაბნენის ხუმრობა, ბრიჯიტ ბარდოზე რომ უთქვამს: „ამ ქალმა შეუძლებელი შესძლო — კინო შემაჯარაო“. რა თქმა უნდა, იმ ხალხმა შეუძლებელი ვერ შესძლო, თეატრი ვერ შემაჯარა. დასკვნა კი საგულისხმო გამომატანინა: თეატრი, რომელიც არ ეძებს ახალგაზრდა, თუნდაც სრულიად უცნობ ავტორებს (მაშინ მგონი ახალგაზრდაც ვიყავი და თეატრისათვის სრულიად უცნობი) და ამაყადაც კი გამოაცხადებს, ექსპერიმენტების დრო არა გვაქვსო, აღარ არის თეატრი.

— თქვენ რამდენჯერმე ახსენებ ლიტერატურული გავლენა. უამისოდ, ცხადია, ვერც ცალკეული შემოქმედი გადარჩება და ვერც მთელი მწერლობა. ლიტერატურული გავლენა ხა-ში არ არის, თუ კაცი მას თავს დაადევნებს. ხასიკეთო, ბიძგის აღმგებელი გავლენა, რომლის კვალი ადარც კი იგრძნობა, და აშკარა პლაგიატი ერომანეთში არ უნდა ავრიოთ, რადგან პლაგიატის მოთმენა და მისი რითიმე გამართლება უაღრესად შემაზოთებელი მოვლენაა. ჩვენში არაერთედ დაუმოწმებიათ ტომას ელიოტის სიტყვები, ჩემს შემოქმედებაში ექვსიოდე სტრიქონი თუ მოაოვება ორიგინალური; დაუმოწმებიათ სწორედ პლაგიატის გამამართლებელი, მაგრამ ამ სიტყვების არსში ჩაწვდომა არ უცდიათ. ამ ფრაზის აზრი უფრო მახლობელი რომ გახდეს, გავისხენებ გალაკტიონის სიტყვებსაც, „ლურჯა ცხენებზე“ რომ უთქვამს: „მე მოვახერხე შეერთება რუსთაველის რითიმე და ბარათაშვილის რიტმისა... ეს არის გაღრმავება...“ აქ გამხედილია ლექსის წარმოშობის სათავე, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ „ლურჯა ცხენებში“ ყოველგვარი გავლენა სრულიად სხვა განცდას, რაობლიად სხვა აღმგებენს, სრულიად სხვა აზრობრივ შინაარსსა და მორჩილებული. ელიოტის სიტყვებიც მხოლოდამხოლოდ ამგვარ სიტუაციას გულისხმობს და პლაგიატობის სასარგებლო არგუმენტებად მისი გამოყენება ხასიკეთო. როგორ უფურცელ ამ მხრივ იმ ვითარებას, რაც ჩვენში სუფევს?

— მწერლობა „პლაგიატობით“ იწყება. წაიკითხა ათიოდე წლის ყმაწვილმა რაღაც მისთვის მნიშვნელოვანი, სულისშემძვრელი და თავდაც მოუხდა მსგავსი რაიმეს შექმნა. დიახ, მსგავსი რაიმეც. „შემოქმედის“ პრეტენზია იმ წუთში ამაზე შორს ვერ მიდის და რაც უფრო მსგავსია მისი ქმნილება პირველწყაროს, მით უფრო კმაყოფილია მისი შექმნილი. მერე, თუ ის ყმაწვილი მართლა შემოქმედი, არც ისე გვიან იმ დასკვნამდე უნდა მივიდეს, რომ ყოველგვარი მიბაძვა, რაც უნდა დიდ ვინმეს ვებავედეთ, სასაცილოა, და დაიწყოს საკუთარი

გზის ძებნა. ამ დასკვნამდე მისვლა ნურავის ეგონება ადვილი. ზოგი ადრე მიდის, ზოგი მოგვიანებით. ზოგი თავის შემოქმედებით გზას ისე ასრულებს, რომ ჰგონია, რასაც ვერ ყველაფერი მხოლოდ ჩემიაო. ახლის, ჭარ ათქმულის თქმა, საერთოდ, უღარესად ძნელია. ამას იშვიათად თუ ვინმე ახერხებს და იმათაც გენიოსებს უწოდებენ ხოლმე. მაგრამ მწერლობა მართო გენიოსებით დასახლებული მატერიკი ხომ არ არის. წაიკითხვე რომელიმე ძალზე კარგ ნაწარმოებს და იფიქრებ, ამ ქვეყნად ყველაფერი უკვე დაწერილია და კალმის ხელში აღება მართო იმისთვისდა ღირს, რომ მეგობრას ბართაო მისწეროო. მაგრამ მიმბაძველობა ზოგჯერ მატყუარაა. ნახავს ვინმე ორ მწერალში ორ ერთნაირ პასაჟს და აქედან ერთ-ერთს მიმბაძველად გამოაცხადებს. საქმე კი პასაჟში სულაც არ არის, არც სიუჟეტში, არც კომპოზიციაში. მე რომ ორი ზუსტად ერთნაირი სიუჟეტის ნაწარმოები წაიკითხო (და ამგვარი რამის პოვნა მოწადინებელი კაცისთვის მსოფლიო კლასიკაშიც კი არ არის ძნელი), თუ სხვა რამ საბაზი არ მექნება, ვერც ერთს ვერ დაეწამებ ცილს პლაგიატა-მეთქი. მთავარია ნაწარმოების სული და მწერლის სტილი. სტილის პლაგიატობა საშიშრელია, იმიტომ, რომ სტილს თვით ადამიანის ბუნება ქმნის ქვეშეცნეულად, საკუთარი მეობიდან, ტემპერამენტიდან და ბუნებრივი კანონებიდან გამომდინარე. სხვა ადამიანად ქცევის სურვილი კი, მეტი რომ არ ვთქვით, სასაცილოა და მხოლოდ მსახიობის თუ მოეთხოვება, ისიც სცენაზე. თქვენ გაისხნეთ ტომას ელიოტის სიტყვები: ჩემს შემოქმედებაში ექვსიოდე სტრიქონი თუ მიოპონება ორიგინალური. ეს პოეტის სიტყვებია და ნუ გავიგებთ მათ ზუსტად და პირდაპირი მნიშვნელობით. გავიგოთ, როგორც პარადოქსის ნიშნში, ან როგორც პოეტის ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედებისადმი, გაიზიანების ეამს გამოხატული. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. ყველა მწერალს ჰქონია იმგვარი გაიზიანების წუთები, როცა მზად არის ყველაფერი ცხელს მისცეს, რაც კი დაუწერია. მერე ეს წუთები გაივლის, მწერალიც გულს მოიბრუნებს, ერთხელაც გადახედვს თავის „ნაღვალს“ და ის ექვსიოდე სტრიქონი მაინც თუ აღმოაჩინა, რაზეც ელიოტი ლაპარაკობს, იფიქრებს, არც ისე ცუდად ყოფილა საქმეო და თუ ძალა შესწევს, შეიძლება კალმისკენაც წაიღოს ხელი. ამგვარი მწერალი... ჩავთვალოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ისე, რომ თავადაც ვერ გაიგო როგორ, მწერალმა დაძლია გავლენა, რომელიც ახალგაზრდობის ეამს აჩრდილივით დასდევდა. მაინც დარჩება მეორე რამ: აღმოჩენა, რომელიც სხვათა ნაწარმოების წაითხვით იზადება. მერე რა? ზოგჯერ ნაწარმოები ცხოვრებაში გაგონილი

ერთი ფრაზის გავლენით იწერება, ზოგჯერ სილექსის ერთი სტრიქონით. ეს სათაკლო არ უნდა იყოს. ამგვარი რამ მეცნიერებაში სათაკლოდ არ ითვლება. ერთი ფიზიკოსი უშუბის შედღამას, ან სულ ახლოს, გვერდით ჩაუღებს ქეშმარიტებას; მეორე ფიზიკოსი ამ შედღამას ითვალისწინებს და ქეშმარიტებამდე მიდის.

— შონ ოკეისის სიტყვები, თქვენს მეორე რომანს ეპიგრაფად რომ წაუშმდვარეთ, მკაფიოდ გამოხატავს თვალსაზრისს, რომ არასოდეს ვაძქრება სიცოცხლის რომანტიკა, მკაფიოდ და, იმავდროულად, მძაფრადაც, რადგან ამ სიტყვებით ირლანდიელი დრამატურგი უპირისპირდება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც თითქოს ეგვროფრადებულმა „ტექნიკურმა ცივილიზაციამ“ შეზღუდა და გააქრო რომანტიკა ცხოვრებიდან და, შესაბამისად, ლიტერატურაიდანაც. ამ სიტყვების მოშველიება არა მართო რომანის აზრობრივი შინაარსის გასაღებს გვაძლევს, არამედ საერთოდ თქვენს მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციასაც გამოხატავს. ამ რომანშივე ერთგან შენიშნავთ, რომ ლიტერატურაიდან მთავრის ვაძღვევა არ შეიძლება. მთავარ აქ, ცხადია, იმ რომანტიკულ საწერის სიმბოლოა, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იარსებებს. ტექნიკურმა ცივილიზაციამ, როგორც არ უნდა გვიმტკიცონ, შეუძლებელია ჩაკლას თუ გააფერმკრთალოს ადამიანური გრძნობები — სევდა, თანაგრძნობა, იმედი, სიყვარული... სიყვარულს ვანა რაიმე ოდნავ მაინც შეზღუდავს, სიცოცხლის რომანტიკულობის არსსა და საფუძველს? მოთხრობა „უველაწმინდას“ ერთ ეპიზოდს ლიტერატურადა ვაძღვევს ფრანგული სიმღერის სიტყვები, რომ სიყვარული ამქვეყნად ყველაფერზე ძლიერია. ჩემზეც ძლიერი, შენზეც ძლიერი, ქვეყნიერებაზეც ძლიერი... ამითაც თქვენს კონცეფციას გამოხატავთ... ჩვენს დღევანდელ პროზას თუ გადავხედვით ამ თვალსაზრისით, როგორ ფიქრობთ, რა შთაბეჭდილება შეიძლება დაგვრჩეს?

— აქა-იქ უკვე ჩივიან, რომ რომანტიკული ადამიანები გაქრნენ. ცხოვრება გახდა პრაქტიკული, ცაში ასახედდ ველარაფინ იღლის. გაქრა სიყვარული. მე არ ვიცი, ვარშემო კოდდე ცხოვრობენ თუ არა რომეო და ჭლიეიტა... აღბათ ცხოვრობენ... შეიძლება ამგვარი რამ საერთოდ ჩვენს დროში გამეფებული უწიგუნრობის ბრალია... დიხა, დიდი ტირაყებით გამოიღის წიგნები, ტელევიზიაში ვაჩვენებთ და რადიოთი გადავცემთ კლასიკოსთა ნაწარმოებების ინსცენარებებს, პროზაიკოსი ან პოეტი ლამის ჩვენს ყოველ საუბრეს, საიღის და ვახშამს „ესწრება“, მაგრამ ნამდვილ მკითხველთა რიცხვი მაინც ძალზე მცირეა. წიგნის მკიდველი ბევრია, მკითხველი — ცოტა. აღბათ ამან გამოიწვია, რომ ადამიანთა უმრავლესობას ის

უფრო აწუხებს, სად გარეცხოს თავისი მანქანა, ვიდრე როდის მოამთავროს წინა კვირას დაწყებული რომელიმე რომანის კითხვა. მოდის ახალგაზრდობა და ზერელე ნიადაგზე ზერელე წაყოფი ჩნდება. ვინ იტყვის, ეს კარგა ხანს გავრძელებზე თუ არა? ისე კი, თუ ოდესმე დედამიწას უსიყვარულოდ ცხოვრება მოეღოს, გვიჯობს ახლავე ასცდეს თავის ორბიტას და მზისკენ გაგვაქანოს (მგონი სულაც ორ თვეში გვიჯობს გავეხვით „მზის სხივებში“). ყველაზე მართალი მაინც ჩვენი დიდი პოეტი მგონია, რომელიც თავისი ლექსებით გვარწმუნებდა: უსიყვარულოდ ქვეყნიერებაზე არაფერი არსებობსო. ამაზე ნათლად რაღა შეიძლება ითქვას? თუ ჩათვლით, რომ თქვენს მიერ ნახსენები და ჩემი რომანის ეპიგრაფში გათამაშებული ე.წ. „ცხოვრების რომანტიკაც“ იგივე დიდი სიყვარულის ნაწილია, შეიძლება პასუხიც ამომწურავი გეჩვენოთ.

— ჩვენში კარგა ხანს გამეფებულ აზრს რომ დაუფეროთ, სევდა ღამის ნაკლადაც კი გამოაცხადონ. არადა, როგორ უნდა დავიჭეროთ ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობისაგან, ადამიანის ბუნებასა და ლიტერატურაზე, მეტი რომ აღარა ვთქვა, უადრესად ბუნდოვანი წარმოდგენისგან მოდის. განა ხადავო შეიძლება იყოს, რომ მწერლობას არამტუთ სევდის გარეშე არსებობა არ შეუძლია, სულაც სევდისაგან იღებს სათავეს, მისი არსებობის ძირი და ფესვი სევდაა? ახე რომ, სტილისა არ იყოს, სევდის განსაღებად ბრძოლა ლიტერატურის წინააღმდეგ ბრძოლაა. და ეს ყოველთვის ახე იქნება, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ადამიანის ბუნებას რაიმე რადიკალური ცვლილება ელის.

— ყველა დიდი „მხიარული ნაწარმოები“ დიდ სევდასაც იტევს, უამისოდ არ შეიძლება. ადამიანის თვით არსებობა გულისხმობს ტრაგიკულს და, მაშასადამე, სევდას. საამისოდ ადამიანს მართო სიკვდილის გარდუვალობაც ეყოფა, ანუ წუთისოფლის წარმავლობა. იყო დრო, როცა სევდა (განსაკუთრებით ჩვენს პოეზიაში) დიდ ნაკლად ითვლებოდა. დიდი ბოდიშებიც კი წამიკითხავს, მართალია მავან ლექსში არის რაღაც სევდიანი ნოტა, მაგრამ ფინალი მაინც ოპტიმისტურია და სევდას მაჟორული განწყობილება, ომახიანი შეძახილი სდევსო. კამაიცი მახსოვს იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ჩვენს ეპოქაში ტრაგედიის შექმნა, და ამ დავაში მართო ტრაგედია კი არა, თვით დრა-

მა იგულისხმებოდა. მინდა მჯეროდეს, რომ ყოველივე ეს წარსულს ჩაბარდა. თუ მართლა ცხოვრების სარკვე ლიტერატურა, როგორ შეიძლება ამ სარკვეში მართო ცხოვრების ის მხარე დაეინახოთ, რომლის დანახვაც გულთი გვევაიო? თუ მწერლობა სევდაზე იტყვის უარს, ამით უარს იტყვის თვით არსზე მწერლობისა, რადგან ყოველ დიდ სიხარულს თან სდევს სევდაც. ზოგიერთს სევდა მხოლოდ სოციალური მოვლენა ეგონა და იფიქრა, თუ ადამიანს სოციალური ჩაგვრიდან გათავისუფლებთ, სევდისგანაც გათავისუფლდებათ. ღმერთმა დაგვიფაროს სევდისგან გათავისუფლებული ადამიანისგან. ამაზე ზერელე, ამაზე ამჩატებული და ამაზე უპასუხისმგებლო რაღა უნდა წარმოიდგინოს გონებამ? სევდა ახლავს ყველაფერს — ჩვენს მოგონებებს, ღღისს, ღღეს, თუ გნებავთ ყველაზე ნათელ სამომავლო ოცნებებსაც კი... ნულა გავაგრძელებთ სიტყვას და ეს პასუხი ბანალური ქეშმარიტებით დავასრულოთ: ყველა მხატვრული ნაწარმოები სევდიანია... მაგრამ ვიდრე მართლა დავასრულებდეთ, ერთი სათქმელი კიდევ გამიჩნდა: არსებობს ნამდვილი სევდა და მოგონილი სევდა. მოგონილი სევდა საშინელებაა, ყალიბა, ხელოვნური, როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. მოგონილი სევდას შეუძლია ვილაციების მოტყუება, მაგრამ თანაგრძნობას მაინც ვერ იწვევს. გამოუცდელ ლიტერატორებს კი ხშირად სურთ მოგონილი სევდით ჩვენი, მკითხველის მოტყუება. ამიტომ შეხვედებით მრავლად მოთხოვნილებასა და რომანებში სტიქიური უბედურებებს, ათასგვარ სიკვდილს, ობლობაში გატარებულ ბავშვობას და სხვა ამგვარს. ხშირად კი გვაიწყდება, რომ ქეშმარიტი სევდისათვის სულაც არ არის საჭირო არც სტიქიური უბედურება, არც ობლობაში გატარებული ბავშვობა, არც სხვა რამ სიგანგებო... თვით ყოველდღიურობაც კი უადრესად სევდიანია. და საერთოდ, ჩემი აზრით, ზედმეტ „მკვლევობებს“ ლიტერატურაში უნდა ერიდოს კაცი. კაცის უბრალოდ, ანუ უმიზეზოდ მოკვდა, ლიტერატურაშიც ისეთივე დანაშაულია, როგორც ცხოვრებაში. ამ ქვეყნიდან წასვლა ყოველი პერსონაჟისთვის გარდუვალია და ეს ლიტერატურაშიც მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა „დრო დადგება“, როცა უზენაესი ინებებს ამას. უზენაესის ნების გათვალისწინების გარეშე კი, ეტყობა, მწერალს განაჩენის გამოტანის უფლება არა აქვს.



## ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

ელენე ჯაფელიძე

### სიმბოლიზმის უსუნავლის ისტორიისათვის

სიტყვა „სიმბოლიზმი“ გამოხატავს ფილოსოფიურ-ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც აღმოცენდა XIX საუკუნეში. ეს იყო ახალი მხატვრული სკოლა, რომელმაც გასული საუკუნის შუა წლების საერთო კულტურული გარდატეხა ახანა. სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის საწყისები, შორს რომ არ წავიდეთ, უკავშირდება ბოდლერის, ვერლენის, მაღარმეს, რემბოს, ნიკშეს, სტეფან გორგეს, პამსუნის და სხვათა შემოქმედებას.

სიმბოლიზმის ცნობილი მკვლევარის, მიჩელ ჭოისის აზრით სიმბოლიზმის თეორიული სათავეები გერმანიაში ჩამოყალიბდა. მარტლაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ პროფ. ველეკის პოეზიის დიალექტიკურ-სიმბოლისტურმა გაგებამ გარკვეულწილად განსაზღვრა სიმბოლისტთა შეხედულებები. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრანგმა სიმბოლისტებმა ჩაუყარეს „კლასიკურ“ სიმბოლიზმს საფუძველი და დიდი გავლენა იქონიეს არა მარტო ფრანგული, არამედ მსოფლიო პოეზიის განვითარებაზე. სიმბოლისტური მიმართულება გაფორმებულ სახეს XIX საუკუნის ბოლოს იღებს (მორეასის „სიმბოლიზმის მანიფესტი“ გამოცემა 1888 წ.). ოლონდაც, როგორც ფიქრობენ, რადიკალური გარდატეხა ფრანგულ პოეზიაში მის თეორიულ დასაბუთებამდე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. სიმბოლიზმის ისტორიას ცნობილი საბჭოთა მკვლევარი დ. ობლომიეცკი იწყებს 1857 წლიდან, ბოდლერის „ბოროტების ყვაობითა“ და ბექტელის შემდეგ. სიმბოლიზმის ესთეტიკის ძირითადი არის ძალზე მოკლედ ასე შეიძლება გადმოიკიცს: ბუნებაში არსებული ყველა საგანი უდიდესიდან უმცირესამდე შესაბამისობის იდეას არის დაკვემდებარებული. მიზეზი ამისა არის ის, რომ სამყარო იწყება მშვენიერების (სულიერის) არსებობიდან. არა მარტო ღმერთი ამყარებს კავშირს ამ გზით ადამიანებთან, არამედ ადამიანიც ზეშთასოფელთან. „სიტყვა“

არის შესაბამისობა ზეციურისა და ადამიანის კავშირისთვის შექმნილი (სვედენბურგი).

ხელოვნების საგანი არის „პლატონური იდეა“, გამოვლენილი მოვლენათა სამყაროში. იდეის შეცნობის საშუალება არის პერტეა. ხელოვნება იმეორებს წმინდა ცნობიერებით აღქმულ იდეებს. იდეათა შეცნობა მისი ერთადერთი წყაროა, ხოლო ამ შემეცნების წარმოჩინება მისი ერთადერთი მიზანი. მხატვრული შემოქმედება მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ის მიზნად ისახავს მარადიულის და ახსოვლულური შემეცნებას უკველ გარდამავალ ფორმაში (შოპენჰაუერი).

სიმბოლიზმა შექმნა ხელოვნების საკუთარი ფილოსოფია, შეიმუშავა ესთეტიკური პრინციპები. მართებული არ არის ვ. ასმუსის აზრი იმის თაობაზე, რომ სიმბოლიზმის შინაგანი იდეური პროგრამის წინააღმდეგობა შეესატყვისება მხატვრული ძიებების წინააღმდეგობას. პირაქით, სიმბოლიზმის შინაგანი იდეური პროგრამის განვითარების გზები შეესატყვისება მხატვრული ძიებების გზებს.

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური მიმდინარეობა, საერთო და ზოგადი მოდულებიხა და ნიშნების მატარებელია, მაგრამ სხვადასხვა ხალხის კულტურის ეგოლუტიაში ის განუყოფელია ეროვნულ-მხატვრული ტრადიციებისაგან და მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. სწორედ ამიტომაც სიმბოლიზმის ზოგადი თეორიული საფუძველების შესწავლა მოხერხდება სხვადასხვა ხალხთა სიმბოლისტური აზროვნების ვათაღლისწინებით. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ცნობილი თურქი სიმბოლისტის ა. მამიშის შემოქმედების ზოგადი თვისებებების განხილვა. ეს ინტერესი მით უფრო გამართლებულია, რომ თურქულ სიმბოლიზმი თითქმის სავსებით შეუსწავლელია.

XIX საუკუნის ბოლოს თურქულ სალიტ-

რატორი აზროვნებაში შეინიშნება ძველი ტრადიციული კანონებისა და ეტიკეტის ნგრევის ნიშნები, რომელიც განაპირობებულია თურქულ-ევროპული კულტურული ურთიერთობებით, რაშიც თავის მხრივ, გამოიწვია მანამდე უცნობი მიმართულებებისა და უანერების ჩამოყალიბება-განვითარება. ისტორიულად ეს პროცესი დაკავშირებულია „სერვეთი-ფუნუნის“ ლიტერატურული ჯგუფის ჩამოყალიბებასთან, კერძოდ, თვითვე ფიქრითან. ახდლები ავღღინარლი გადაშტებული ენთუზიაზმით აფასებს ამ პერიოდის ლიტერატურას და თვლის, რომ თურქული პოეზია ამ ეტაპიდან მოყოლებული ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით შეიძლება სახეებით ორიგინალურად ჩაითვალოს. მკვლევარის ამგვარი მტკიცება ერთობ გადაჭარბებულია. „სერვეთი ფუნუნმა“ მოამყვანა ის ფუნდამენტი, რომელზედაც აღმოცენდა ახალი თურნალი „ფეკრი ათი“, სადაც მონაწილეობის იღებენ როგორც „სერვეთი ფუნუნის“ ძველი თაობის ლიტერატორები, ისე ახალგაზრდა მწერლები. ა. ალქაევს გამოთქმით: „მათ შემქმნის ე. წ. თურქული ნიო-კლასიციზმი, რომელიც შეიცავდა ძველი ლიტერატურის ფორმას, შეზავებულს დასავლეთის იდეებთან“. „ფეკრი ათის“ ჯგუფში დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ ამ მიმართულების წარმომადგენლები, შემდგომში ეროვნული პოეზიის და პროზის დიდი ოსტატები: აჰმედ ჰაშიმი, იაჰა ქემალი, ჭენაბ შეჰაბედდინი, ჭეღალ საჰირი, იაკუბ ყადრი და სხვანი იზიარებდნენ მხოლოდ ერთ ესთეტიკურ დევიზს: „ხელოვნება ინდივიდუალური და ფინიდაა“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ თაობის ლიტერატორთა შემოქმედებამ გარკვეულად განსაზღვრა ნაციონალური შემოქმედების ახალი, მხატვრული, ესთეტიკური განვითარების გზები და თავისებურებანი. თურქ მწერალთა ამ პლედარში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ა. ჰაშიმს, რომლის შემოქმედებამ გარკვეულად განსაზღვრა ნაციონალური შემოქმედების ახალი, მხატვრული, ესთეტიკური განვითარების გზები და თავისებურებანი. თურქ მწერალთა ამ პლედარში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ა. ჰაშიმს, რომლის შემოქმედებამ გარკვეულად განსაზღვრა ნაციონალური შემოქმედების ახალი, მხატვრული, ესთეტიკური განვითარების გზები და თავისებურებანი.

ა. ჰაშიმის შემოქმედებაში შეინიშნება ნაციონალური მხატვრული აზროვნებისა და ახალი ევროპული სიმბოლისტური ესთეტიკის სინთეზური შერწყმა. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია მეტად თავისებური სტრუქტურა მხატვრული სახეებისა და სიმბოლოებისა. სწორედ ა. ჰაშიმის პოეტური ნაფიქრალის გააზრების სირთულემ აჰქმენინა თურქ მკვლევარ ვ. ბანარლის, პოეტის შემოქმედების განსაზღვრა და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა შეუძლებელია. ამავე აზრს იზიარებს მკვლევარი ი. გოცირიძე და დასძენს, რომ პოეტის შემოქმედება შეიძლება გააზრებულ იქნას ბერძენის ინტუიციის თიორიით. რიფთა ნეჭდეთ ევრიმერი ასკენის, რომ ა. ჰაშიმი ვერლენის მსგავსი პოეტი იყო, რომელიც არც კი და-

ფიქრებულა თავის მიმართულებაზე, რადგან პოეტი ხშირად ერიდებოდა საკუთარ მხატვრულ კონცეფციასზე აშარა საუბარს და ზოგჯერ ასეც იტყოდა: „სიმბოლიზმი რა არის? — არ ვიცი, მე პოეტი ვარ, ტოვებ მომღერალს ჩიტი ვარ“. რიფთა ნეჭდეთ ევრიმერი იმგვარ გულბურჯილობას იჩენს, როგორც არ შეშვენის ლიტერატორს. ვერლენიცა და ჰაშიმიც ძალზე კარგად ერკვეოდნენ სიმბოლიზმის თიორიულ საფუძვლებში, ვერლენი ერთ-ერთი იმაგანია, რომელმაც სიმბოლიზმის ესთეტიკა ჩამოყალიბა, ხოლო, რაც შეეხება ა. ჰაშიმს, მისი შემოქმედება მათლად მეტყველებს გამოკვეთილ პოეტურ მიმართულებაზე და მხოლოდმხედველობრივ მრწამსზე. და ბოლოს, იგი პირდაპირ, ყოველგვარი ორანზროვნების გარეშე, ესთეტიკურ კრებულში „ჩვენსავით“ თავის მასწავლებლად უორმონს ასახელებს, რომელიც, როგორც ცნობილია, ფრანგული სიმბოლისტური ესთეტიკის დიდი თიორტიკოსია.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ა. ჰაშიმის შემოქმედება იმ კუთხით არის ხაინტურესო, რომ მასში აღმოასვლური სუფიური აზროვნება შერწყმულია თანამედროვე სიმბოლისტურ ესთეტიკასთან. პოეტის საყურახს ხედავს და გააზრება ხშირ შემთხვევაში ტრადიციულია, ოღონდ მხატვრული პროექცია, მისი წარმოსახვის გამოხატვის ხერხები, ტროპული სისტემა ძნელად თუ მოთავსდება გარკვეულ ჩარჩოებში. როგორც ცნობილია, სუფიზმის მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედს სიმბოლური დონე წარმოადგენს. ასევე, სიმბოლიზმისთვის, ყველაფერი, რაც არსებობს, არის დეტალური რეპრეზენტაცია — სიმბოლო დეტაბრირი რეალიზაცია. სიმბოლიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „დინამიური სიმბოლოს“ თიორიას, რომელიც პირველად ანრი ბერგსონმა შემოიტანა, თუმცა ბერგსონამდე იგივე აზრი ბოდლიერს, მალარმესა და ვანერს ჰქონდათ გამოთქმული. თუკი სიტყვები გამოყენება იმისათვის, რომ საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ნებისმიერ ობიექტზე და გამოხატავენ იმას, რაც ჩვენთვის ნაცნობია, ისინი შეიძლება დღაგადენ იხე, რომ გადმოგვცენ უყელანარი სულიერი მდგომარეობა, ისეთიც, რომელსაც ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა ვერ იტყვს. მივანივით სიტყვას სიმბოლური მნიშვნელობა, ნიშნავს, გადავახლოთ მისი დანიშნულება. სიმბოლო ჩაედრმავებს, ფიქრში, ემოციებში ჩაიბრავს ადამიანს, იგი სხვადასხვა მნიშვნელობათა ძარღვია. სიმბოლო დინამიური ცენტრია, სადაც თავს იყრის ყოველგვარი „სიმართლე“ რეალურ დონეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა სიმბოლოს ძალა და მნიშვნელობა და ნიშნავს სინთეზს, ფიქრობენ სიმბოლისტები, პოეტი საშუალებას აძლევს მკითხველს, შეიცნოს უჩვეულო, ყოველდღიურობას მოკლებუ-

ლი სამყარო, რომელიც რეალობით არის ნაკარ-  
ნახები, სინამდვილის პოეტური ასახვა.

ა. ჰაშიმისათვის, როგორც კემშარიტი მის-  
ტიკოსისთვის, ფიზიკური სამყარო იდენს არე-  
ლილი ფორმა, რომლის ფონზედაც იგი ცდი-  
ლობს აღქვას ობიექტური კემშარიტება. სუ-  
ფიური გავებით, სამყაროს შექმნასა და არსე-  
ბობას ამართლებს ის ფაქტი, რომ ღმერთი  
უჩინარი ასპექტია და მას ხურს, თავისი მშვე-  
ნიერება წარმოაჩინოს, ამ მიზნით შექმნას სამ-  
ყარო სარკედ, სადაც აირეკლება მისი ხილამა-  
ზის ატრიბუტები. ღვთიური ხილამაზის უშუა-  
ლო ხილვა არ შეიძლება, ის დაწვევს და დაან-  
გრევს ყველაფერს. ა. ჰაშიმისთვის ორგანულია  
სამყაროს ამგვარი ტრადიციული გააზრება, იგი  
თავის თვალსაზრისს ნათლად გამოხატავს ლექს-  
ში „წანამდვარი“:

ვეყურებდი მე ცხოვრების ფორმებს  
ოცნების აულის წყლებში,  
ამიტომ მეჩვენება ნაირფეროვან ანარეკლად  
ღელაძიწის ქვები და მცენარეები.

პოეტის ფანტაზია ქმნის სამყაროს მოდელს  
არა ისე, როგორც ის რეალურად არსებობს,  
არამედ ისე, როგორი სახითაც ობიექტური გა-  
რემო მის ხედვაში აირეკლება. შეიძლება ით-  
ქვას, რომ ა. ჰაშიმისათვის სიმბოლურია მხო-  
ლოდ ის, რაც თავის თავში შორისკაცს უმაღლეს  
სამყაროს, ეს იქნება საგანი, მოვლენა თუ  
გრძნობითი მხარე. მისთვის სამყაროს სიმბოლუ-  
რი ასახვა, უპირველეს ყოვლისა, ბგერათა და  
ფერთა მარმონიაა.

დროისა და სივრცის პარადიგმების ურთიერთ-  
გადაკეციის ან შათი ურთიერთკავშირის შეს-  
წავლა ნათელყოფს სიმბოლოზის უმნიშვნე-  
ლოვანეს ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კატეგო-  
რიას — ორ სამყაროვნებას. პირველი რეალუ-  
რი, ობიექტური გარემოა, რომელსაც უპირის-  
პირდება ლირიკული გმირი, რომლისთვისაც  
კემშარიტი სამყარო მის იდებში, შეგრძნებე-  
ბსა და მოვლენებშია. აქედან გამომდინარე,  
დრო და სივრცე პოეტის სუბიექტური დამოკ-  
დებულების ნიშნით იკვეთება.

სივრცის სუბიექტური აღქმა დაკავშირებულია  
დროის ფენომენთან. დრო დინამურად ავი-  
თარებს ან პასიურს ქმნის სივრცეს. დროის  
კატეგორია განსაზღვრავს და წარმართავს პო-  
ეტის მედიაციას სამყაროს რაობის მოაზრების  
თაობაზე და შესაფერისი ემოციური შეფერი-  
ლობით წარმოაჩენს მას; უფრო მეტიც, დრო  
აკავშირებს, სწრაფად აერთებს სივრცის  
დანაწევრებულ ელემენტებს ერთმანეთთან: დრო  
პოეტისათვის არის ის აქტიური საწყისი, რომე-  
ლიც ცვლის სივრცის პოეტურიკალურ, არა-  
მდგრად სურათს. დილა, შუადღე, საღამო, შუა-  
ღამე ა. ჰაშიმისთვის საიდუმლოებით აღსავსე  
მეტამორფოზაა. დამე ათავისუფლებს მეოცნე-  
ბე სულს და აძლევს მას საშუალებას, ენა-

როს კემშარიტი რეალობას; აღუქრავს მას ხილ-  
ვას, ფანტაზიას, ოცნებას. პოეტისთვის ხაკრა-  
ლური დრო საღამოდან იწყება. მისთვის, რო-  
გორც კემშარიტი სიმბოლისტიკისთვის, დამაზა-  
სიათებელია ბუნების, საგნების განსაკუთრებუ-  
ლი აღქმა, მთავარია არა საგანი, არამედ ასო-  
ციაცია, სუბიექტური ხილვა, რომელიც ამ აღქ-  
მას თან ახლავს. რეალობის სუბიექტური აღქმა,  
ან, უფრო სწორად, სამყარო, წარმოჩენილი  
ღირიკული გმირის ხილვით იძერწება ისე, რომ  
მხედველობით წარმოდგენებს სმენით შეგრძნე-  
ბებიც თან ახლავს. რემბოსათვის თითქმის ყვე-  
ლა ბგერას თავისი ფერი ჰქონდა. ბოდლერი  
ფერს აღწერდა, როგორც ორი ან სამი ტონის  
აკორდას, მელოდიას, როგორც ფერთა ერთი-  
ანობას.

ა. ჰაშიმი განსაკუთრებული, უჩვეულო სახე-  
ებით გვიხატავს პეიზაჟს. მისი ბუნების სურათი  
ცხოველყოფილი და დინამურია. აქცენტი  
გაკეთებულია შეგრძნებებსა და ემოციებზე.  
ლექსით მიღებული ვიზუალური შთაბეჭდილება  
ძალზე იმპრესიონისტულ ელფერს იძენს. გავიხ-  
სენოთ ლექსი „შავი ჩიტები“:

დაისთა და სისხლით სულსაკვები ჩიტები  
წითელ ლერწმებზე, იაგუნდის წყალზე  
სხდებიან

და პორიზონტზე მზეს, თავმოკეითი კაცს  
რომ გვაგონებს,

სიმშვილითა და წუხილით შეიქცევიან და  
წყარდებიან.

ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ერთი  
ტონის, ერთიანი ფერის შთაბეჭდილება იპყრობს  
მკითხველს და მის წარმოსახვაში იჭრება ხას-  
ხასა, ალისფერი წითელი, რომელიც თანდათან  
მუქდება და სიშავში იკარგება. მიუხედავად  
იშინა, რომ ჩვენს წინ კოსმიური სურათი იშ-  
ლება, მაინც იგრძნობა კონკრეტული რეალობის  
აღქმა. პოეტს ჩამავალი მზე თავმოკეითი  
კაცს აგონებს, მზის სიწითლე — სისხლს, შა-  
ვი — დამის სიმბოლოა საერთოდ, წითელი ფერი  
პოეტისთვის უმაღლესი დამაბულობის, ექსტა-  
ზისეული განწყობის გადამოცემელია. ამ ფერის  
საშუალებით მთელი მისი სული მოდის მოძრა-  
ობაში. ვერპარნის შემოქმედებაშიც ვხვდებით  
შავისა და ოქროსფერის დაპირისპირებას.  
შავი გაგებულია, როგორც სიკვდილის სიმბო-  
ლო, ხოლო ოქროსფერი, როგორც სიცოცხლის;  
ნაყოფიერებისა და სიყვარულის ხატი. კონ-  
ფლიქტი შავსა და ოქროსფერს შორის აღიქმე-  
ბა, როგორც სიყვარულისა და სიკვდილის გარ-  
დაუვალი დაპირისპირება.

ლექსი „შავი ჩიტები“ შემოღამებას გვაშ-  
ცნობს, უჩვეულო შემოღამებას, რადგან პო-  
ეტის ეპოტერულ ხილვას ეფუძნება. „შავი  
ჩიტი“ პოეზიაში იდუმალი ხატია და მას ბევრი  
აზრობრივი ნიუანსი ეძენება: ზშირად მოიაზ-

რება, როგორც ბნელეთის მოციქული, სიკვდილის სიმბოლო. ა. ჰაშიმთან შავი ჩიტი ღამის ხატია, რომელსაც სული სისხლით გამოუყვებავს. ეს სისხლი ჩამავალი მზის სწოთლეა, რომელსაც შეიქცევინა ღამის ფრინველები. ვერძარნისაგან განსხვავებით ა. ჰაშიმი მზეს — დღეს იაზრებს, როგორც სიკვდილსა და არაბუნებობას, ხოლო ღამეს, როგორც ჰემოზოტი სიცოცხლეს. საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ღამის ბოლო პწკარზე, სადაც პოეტი გვაუწყებს, რომ შავი ჩიტები „სიმშვიდითა და წუხილით“ შეიქცევინა მზეს. სიმშვიდე და წუხილი განსხვავებული სემანტიკური ცნებებია და ისეთ აზრობრივ სინტაქსურ დგანან, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება გონებრივი ლოგიკის ენაზე შეუძლებელია. ამ სიტყვების სიმბოლური გათანაბრება ძლიერი, ემოციურად ჩამადრმავებელი ხატის შექმნას ემსახურება. ურთიერთმიმართებაში ეს სიტყვები ნაწილობრივ მკარგავენ თავიანთ კონკრეტულ მნიშვნელობას და ამით კიდევ უფრო მეტ წარმოსახვით ეფექტს ანიჭებენ ფანტასტიკურ ჩიტებს. სიტყვების ურთიერთთან ალოგიკური დაკავშირება სიმბოლისტურ პოეტიაში გავრცელებული ხერხია ირაციონალურობის, უჩვეულობის მისაღწევად. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, გვიხსენოთ მაღარმეს ბუნდოვანების პრინციპი პოეზიაში, რომლის მიხედვითაც, სიტყვათა დაკავშირებას იმ შემთხვევაში ენიჭება ჰემოზოტი ღირებულება, თუ ის ახალ, უცხო სემანტიკურ შინაარსს იძენს: თუ სინტაგმატიკური წყვილი ექსტრაექსტულ დონეზე ახალი ინფორმაციით იტვირთება, უჩვეულო ნიუანსებით მდლდარი შთამბეჭდავი სახე იქმნება და, რაც მთავარია, ეს სახე იმოსება ბუნდოვანებით. როგორც ვხედავთ, ამჟამად ჰაშიმი ბრწყინვალედ ფლობს ამ ხერხს.

სიმბოლისტების თვალსაზრისით, სინამდვილე მოჩვენებაა, მეცნიერება უაღბოა, ცხოვრებას, სინამდვილესა და ცნობიერებას არაფერი აქვს საერთო. თვალს ვვატყუებ, რადგან ის მზის სხივის თვისებას მიაკუთვნებს უვავილს, რომელსაც ჩვენ ვვკრეტთ. ყური გვაცდუნებს, რადგან პაერის რხევა მიაჩნია მოწკრიალე ზარის თვისებად. მთელი ჩვენი ცხოვრება მოჩვენებითი ილუზიაა, ჩვენ ვცხოვრობთ მარადიულ, ძველისძველ ცრუ წარმოდგენათა შორის. მეცნიერება უძლურია გამოაშკაროს ეს სიცრუე. მეცნიერებას მხოლოდ წესრიგი შეაქვს ცრურწმენათა ქაოსში, ახარისხებს მათ, რათა ამით გააადვილოს მათი ცნობა და არა შემეცნება. ამგვარი განცხადებით სიმბოლისტები კანტის ფილოსოფიის თვალსაზრისს იზიარებდნენ: ცნობიერება არ არის ობიექტური კატეგორია, ის მხოლოდ შემოქმედი სულის ნაყოფია და ტრანსცენდენტური სამყაროდან მოდის. სწორედ ამ თვალსაზრისიდან ამოდიოდა რემბო, როდესაც

წერდა, რომ „თუ იმას, რაც პოეტს მოეწონებოდა“ (ტრანსცენდენტურიდან — ე. წ.), აქვს ფორმა, იგი მას წარმოგვიდგენს, თუ ის უფრო შოა, (პოეტი — ე. წ.) მას ასევე ტოვებს“. ამ თვალსაზრისებმა და ტენდენციებმა უველაუნათლად მომცა ზომის ლექსებში იონა თავი, რადგან უშუალო შთაბეჭდილებებს უფრო ბუნებრივად გადმოსცემდნენ. ცნობილია, რომ ლირიკული ჩანახატი არ საჭიროებდა ლოგიკურ განზოგადებასა და მწყობრ კომპოზიციურ სტრუქტურას. „ბაზეტ გატარებული სათიბის“ ციკლის ლექსები ძირითადად ერთგვარი ჩანახატების შთაბეჭდილებას ახდენს. საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ციკლის ლექსებში მისტიკური განწყობის ფაზი პოეტისთვის თითქმის ყოველთვის „სიურპრისთან“ ან „დუმილთან“ არის დაკავშირებული. სიმბოლისტისთვის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, გამოუთქმელი ფენომენია. უფრო სწორად, ნაწარმოები გასაგებია უნდა იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შესაძლებელია იყოს „გამოუთქმელი“. მაღარმეს პოეზიის უმაღლეს დონედ „დუმილი“ მიაჩნდა, რადგან „დუმილი“ ჭერ გამოუთქმელი მრავალი აზრობრივი გრანობადი ნიუანსის შემცველია. თუ მაღარმე დუმილს წმინდა პოეზიის კულმინაციად წერტილად მიიჩნევდა, ა. ჰაშიმისთვის „დუმილით“ იხსენება მისტიკურ ხილვათა და განცდათა საუფლოს კარი. მასთან მიხედვით პოეტი უგულებელყოფს ფიციური დროის ჩარჩოებს, რომელიც მისთვის შერაცხულია, როგორც „მკვდარი წულის ზედაპირი“. შემოქმედის შინაგანი დროის საწყისი „დუმილსა“ და „სიურპრისთან“ არის მოცემული. ავიღოთ თუნდაც ლექსი „საღამო“:

დადუმებულა წყლის ბუბული უღრან ტყეში,  
წყლები მოიცავენ მისი ოცნებების ცას,  
უბრუნდებიან ამ ცისფერ ნაპირებს  
ჩრდილებისაგან გაკეთებული ჩიტები,  
პირში მზისგან წითლად მოელვარ  
მარგალიტი აქვთ.

მწერალი უჩვეულო პოეტური ხილვებით გამოგვიცემს გასაიდუმლებულ ჩრდილთა ფრინველების დაბრუნებას. ეს არის ნახატი, სადაც ფერთა გამოთვალვით გამოცემულია პოეტის შინაგანი განწყობა, რომელსაც დუმილი საოცრად ესდაგება, ხოლო ეს უკანასკნელი შემოქმედისათვის უფრო მეტის შიქმელი და მათუყვებელია, ვიდრე ქვეყნის ხმაური და ელერალობა. წულის ბუბულის დადუმების თითქმის ერთიანად ამუწეებს უღრან ტყეს. პოეტი მაღლდება ხილვამდე. წყალი კვლავ სარკის ფუნქციას ასრულებს და ოცნებათა ცა ირელება მის ზედაპირზე. ჩიტების ცისფერ ნაპირებთან დაბრუნებით ილუზიების შეგრძნება მძაფრდება.

ახალ, საკრალურ დროში გადასვლას აპირებენ შემდეგ სიტყვათა მიმართებათ: „დუმილი“ — „წყალი“ — „ფრინველები“, ეს სიტყვები პოეტის ცნობიერებაში ის ცნებებია, რომელთაც სრულყოფილად შეუძლიათ გადმოსცენ „სალამოს“ იღუმენი განწყობა. მისტიკურ შთაბეჭდილებას აძლიერებს ჩრდილთა ფრინველების პირში მზისგან წითლად მოელვარე მარგალიტის წარმოჩენა — ვიღებთ რაციონალური აზროვნებისთვის საერთოდ ალოგიკურ სურათს, რომელიც მხატვრული პირობითობის დონეზე იქნეს ზემოქმედების განსაკუთრებულ ძალას. ამ იღუმენებს ერთგვარ ბუნებრიობას სძენს მზე, რომელიც მარგალიტს ჩიტების პირში წითლად აფერადებს. ლექსის ძირითადი აზრობრივი დატვირთვა მიდის შემდეგ ლექსიკურ ერთეულებზე: „დუმილი“ — „წყალი“ — „ფრინველები“ და პოეტურ სინტაგმაზე „წითლად მოელვარე მარგალიტი“. წითელი ფერის სემანტიკა ა. მაშიშთან ჩამავალ მზესთან არის დაკავშირებული და მისტიკურ შინაარსს იძენს. მზე ხომ პოეტისთვის წარმავალი დროის ამხანაგევი ხატია, რადგან ქემშარტი დრო მისთვის საღამოდან, მზის ჩასვლიდან იწყება. მხოლოდ ჩამავალი მზე იპყრობს მაშიშის უფრადღებას თავისი უჩვეულო შეფერილობით, მაგრამ ღამის მისტიკრიის განუყოფელი კომპონენტებთან, მთვარესა და ვარსკვლავებთან შედარებით არამარკირებული სახეა, ამიტომ პოეტის მხატვრულ სინტაგმაში ის ნაკლებად ფუნქციონირებს. ეს ხატი გარკვეულად უკავშირდება „შავი ჩიტების“ სიმბოლოს. ორივე ლექსი საღამოს აღწერს, სახეობრივად მსგავსს, მაგრამ ამავე დროს ნიუანსურად განსხვავებულ პეიზაჟს წარმოაჩენს. სიმბოლისტიკის სიტყვა საიდუმლოა. ვ. გოფმანი თვლის, რომ რამდენადაც გაუგებარი ან ნაკლებად გაგებმა პოეტური სახეები, იმდენადვე განსაკუთრებული მუსიკალობით გამოირჩევა ლექსის ფონიკა; ხოლო რაც შეეხება სემანტიკას — იგი უსაღვროდ ფართო და იღუმენია. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „შავი ჩიტები“ შთაბეჭდავი სახეა, იღუმენი, მაგრამ, ამავე დროს, „ჩრდილის ფრინველების“ სემანტიკა იმდენად ზოგადი და არაბუნებრივია, რომ ექსტრატექსტულ გააზრებაში „გაუცხოების“ ვაცილებით ძლიერ ეფექტს იძლევა, ვინემ „შავი ჩიტების“ ხატი. ერთი ცუნდა დავიწონოთ, ლექსში „სალამო“ ბულბულის ხატაც განსაკუთრებული გავებით იტვირთება, რადგან, ჯერ ერთი, ის „წყლის“ ბულბულია და, მეორეც, ჩრდილთა ფრინველების დაბრუნების მხილველია. ა. მაშიშის პოეზიაში ჩიტები მისტიკურ კავშირს ამაყარებენ იდეალურ სამყაროსთან, ნადირობენ ღრმა წყლებში ცოურ მნათობებზე და გარკვეული ცნობიერებითაც არიან დაქილდობულნი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ პოეტისთვის ჩიტი მედიატორის

ფუნქციას ასრულებს. ჩიტები მხოლოდ საღამოს ან ღამე არსებობენ, ე. ი. დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ირეალურ სამყაროსთან კავშირის დრო მკვეთრად არის გამოჩენილი, იგი იწყება საღამოდან, ვითარდება ღამე და მთავრდება ციხის დადგომასთან ერთად ა. მაშიშისთვის ღამე არის სწორედ ის პერიოდი სულიერი მდელვარებისა, როდესაც მისი ოცნება, სწრაფვა და იღუმენი ზრახვები განსხვავდებიან. თითქოს უხილავი კავშირი ღვთაებრივ რეალობასთან, რომელიც დღე გაწვეტილია, ღამე კვლავ აღდგება და პოეტის მეოცნებე სულს იდეასთან აზიარებს. ის ინიციაციის გზით იძენს ენოტერულ ცოდნას, ხედავს უმაღლეს სამყაროს და სიმბოლურად წარმოაჩენს მას. როგორც ადრე ვთქვით, ჰერტის დრო საღამო ან ღამეა, ხოლო წყალი იმდენად გვევლინება სივრცულ ცნებად, რამდენადაც მის ზედაპირზე ირეკლება მარადიული სამყარო. ვნახოთ, როგორ წარმოადგენს პოეტი დროსა და სივრცის ერთობას ლექსში „შუაღამე“:

და უცებ შორეული მთვარე როგორც კი  
წყალში ჩავარდა,  
ცის პირმა ჩემი სულის წყლები გამახსენა,  
იმ სულში სხივფერნილი ერთი უცხო  
წყლის შროშანი  
მთელს ჩემს ნაღველზე მოჩანს როგორც  
ნორჩი და ბრწყინვალე.

პოეტის თვითჩაღრმავების მიზეზი ნაღველი და წუბილია, რომელიც არსებული ობიექტური მოვლენების შედეგად წარმოიშვა: როგორც აღნიშნავენ, სათაური „იტქისის ელემენტია“. მარკირებული და მკვეთრად ხაზგასმული პოეტის სულიერი ჩაღრმავების დრო შუაღამეა. ბუნების მუდმივ ცვლილებასა და ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა-განვითარებას პოეტი სიმბოლურად იაზრებს და აღწერს: იუნება სადა, ლაკონურ შედარებებს. წყლის ზედაპირზე მთვარის არეკლა პოეტს მარადიულ მშვენიერებას აგონებს. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, წყალი ხარის ფუნქციას იძენს, რომელშიც, მისტიკური გავებით, ღვთაური მშვენიერება აირეკლება. იწყება პოეტის სულიერი აღტყინება, მისი ე. წ. სულიერი მოგზაურობა, რომლის საწყისი ბუნებაში ძვეს. ბუნება მისთვის უნივერსალური სტატუსის მატარებელია. უველაფერი, რაც ბუნებაში ხდება, მის სულში გადმიხატება და შემდეგ ლექსად იღვინდება.

ა. მაშიშისთვის მარადიული სამყარო რეალურ გარემოში არ არსებობს. იგი თვითჩაღრმავებისა და მედიტაციების გზით მიდის ღვთაური სამყაროსკენ, ხოლო ამ უკანასკნელის ერთადერთი ასახვის ფორმა სიმბოლოა. ბუნების ჰერტა პოეტში სულიერ განცდებს იწვევს. მთვარის ამოსვლას იგი ბუნებრიობის ელფერი

ანიტებს და განცდილს ასე გადმოგვცემს:  
„მთვარე წყალში ჩავარდა“. ეს ანალოგია, ანუ ხედვის კუთხე — ქვევიდან ზევით — სიმბო-  
ლიზმის ერთ-ერთი სპეციფიკურობაა. საერთოდ,  
სიმბოლო არის საინტერესოდ ახსნა თავის  
დროზე გოეთემ. მას მიაჩნდა, რომ განსხვავე-  
ბა სიმბოლოსა და ალტეგორიას შორის მდგო-  
მარობს იმაში, თუ როგორ წერს ავტორი:  
იღებს უნივერსალურ იდეას და შემდეგ ეძებს  
შესაფერის დეტალებს თუ, პირიქით, დეტა-  
ლებში ხედავს უნივერსალურს. აქედან გამომ-  
დინარე, პირველი მეთოდი ქმნის ალტეგორიას,  
სადაც დეტალი იძენს უნივერსალურის სტა-  
ტუსს, ხოლო მეორე — პირიქით, ამუშავებს  
პოეზიის ნამდვილ ბუნებას — დეტალი თავის  
ხასიათში ატარებს უნივერსალურს. ამგვარად,  
სიმბოლოსა და ალტეგორიას განსხვავება იკვეთე-  
ბა თავად პოეტის შემოქმედებით პროცესში.  
გოეთეს შეხედულება სიმბოლოზე, როგორც  
კარლ ვიოტერი აღნიშნავს, წარმოშვა ღმერთი-  
სა და ფიზიკური სამყაროს იდენტურობის  
რწმენამ. „ჩვენ არ ძალგვიძს გამოვიცნოთ ქეშ-  
მარტი და ღვთაებრივი, ისევე როგორც არ  
შეგვიძლია აღვიკვაოთ და შევივარდოთ სინათ-  
ლით. სინათლეს ვხედავთ იმ საგნების საშუალებ-  
ით, რომელთაც იგი ანათებს; მას, ყველაფერ-  
ი, რაც არსებობს, არის სიმბოლო ძირითადი  
რეალობისა“.

როგორც ვხედავთ, ა. ჰაშიმისთვის ზემატე-  
რიალური სამყაროსა და მიხი სულიერი სამყოფ-  
ელის კავშირი ანალოგიაზეა აგებული. ლექსში  
სემანტიკურად მარკირებულია შემდეგი სიტუ-  
ციები: მთვარე, ცა, წყალი, სული, სულის  
წყლები, შროშანი, შინაარსობრივად ანალოგია  
შემდგენიარად წარმოჩინდება: „მთვარე ცისა  
წყალში ჩავარდა“-ს ესადაგება შემდეგი ფრაზა:  
„ჩემი სულის წყლებში შროშანი მოჩანს“. ცას  
შეესაბავსება სული, მთვარეს — შროშანი,  
ხოლო წყალს — სულის წყლები. და კიდევ.  
შროშანი თეთრი ფერის არის, თეთრი კი სუ-  
ლიერი ამაღლების ნიშნად გვევლინება. ამას  
გარდა, შროშანი სიწმინდის მშვენიერების სა-  
ტია (ქრისტიანობა), ასევე, ლოტოსი ბუდისტურ  
მედიტაციასა და იოგაში განვითარების საფე-  
ხურების სიმბოლური მაჩვენებელია.

ღამე სულს ღვებს, დგება განთიადი, სული  
ისევ მარწუხებში ექცევა. განთიადი ემოციური  
ხილვების დასასრულია. და თუ ღამე ისობა  
წღვარი ცასა და მიწას შორის, დღის ცისკრის  
პირველი სხივის გამოჩენასთან ერთად ოცნებისა  
და ზნანების ჩიტები ცასა და მიწას შორის  
გამოკიდებული რჩებიან და კავშირი ირღვევა.

განთიადი  
ხეთა განთიადით განათებულ კენწეროებზე  
წარმავალი სამყაროს ოცნებისა და ძილის  
ჩიტები

თრთიან,

ახლა ცას დაჰვარავს ალისფერი  
პირბადესაკით სხივი  
და საბრალონი ჰორიზონტისა და მიწის  
ტყვენი  
გახდებიან.

და მათი თვალები ცისკრის ვარსკვლავს  
მიაჩერდებიან  
და მათი ხმა დასასრულს ჩაგვჩურჩულებს.  
ეს ღექსი თავისი საერთო განწყობით მოგვა-  
გონებს ბოდლერის „ალბატროსს“. ფრინველი,  
რომელიც ცაში (ზეცაში) ფრენისას საოცარი  
გრაციითა და მომხიზველობით გამოირჩევა,  
მონადირის ისრით განგმირული, შემწარავი და  
ამაზრუნენა ძირს დანარჩენებულ.

„ტბაზე გატარებული საათების“ ციკლში შე-  
მაველ ლექსებში ბუნება, ჩიტები დამხმარე სა-  
შუალებება მწერლის ესთეტიკური მრწამსის გად-  
მოსაცემად; საგულისხმოა ის გარემოება, რომ  
აქ ლირიკულ გმირს თითქმის არ ვხვდებით (გა-  
მონაკლისად უნდა მივიჩნიოთ ღექსი „შუა-  
ღამე“). ფრინველი ადამიანის ფანტაზიაში იკვე-  
თება, როგორც სულის ზესწრაფვის სიმბოლო.  
ადამიანს მუდამაჟამს აწუხებდა მიწის მიწიღუ-  
ლობის დაძლევის სურვილი. ბოდლერის ღექსს  
„წეახვლა“, რომელიც „ბორბეტების ყვავილთა“  
ციკლის პროგრამულ ლექსად არის მიჩნეული,  
ორსამყაროვნების იდეა უძველეს საფუძვლად. დე-  
დამიწის ავადმყოფური აორთქლება, ადამიანთა  
ბინდით მოცული ყოფა ზარავს პოეტს, ამიტომ  
იგი უპირისპირდება მას და სახავს სულის ფრე-  
ნის იდეას ტბების, წვიმების თავზე, მზის სისტე-  
მის მიღმა მხარისაკენ.

ა. ჰაშიმის ღამის მისტერიის მთავარ საყრ-  
დენ ელემენტებად ობიექტურ რეალობაში გვე-  
ლინებთან ჩიტები და წყლები, ხოლო კოსმურ  
სიბრტყეზე — მთვარე და ვარსკვლავები.  
სწრაფვის ობიექტი მთვარის შუქით გასხვოს-  
ნებული მხარია.

სიმბოლიტთათვის ღვთაებრივი საწყისი იდე-  
ალია, რომლისკენაც შეგნებულად უნდა მიის-  
წრაფოდეს პოეტი. შემოქმედებითი მუშაობის  
ფორმა კი ჰერტა. პოეტი ხედავს შესაბამისო-  
ბას ზეციურსა და მიწიერს შორის და თავის  
შემოქმედებით თვალსაჩინოს ხდის მას. ხელო-  
ვანი, ყველახგან განსხვავებით, უკეთ ხედავს ამ  
ანალოგიას. ამიტომაც, დროის აქტიური საწყის-  
ის ზემოქმედებასთან ერთად, იცვლება შემოქ-  
მედის სივრცული ხედვა. ამგვარად, პოეტისათ-  
ვის დრო განსაზღვრავს და აპირობებს სივრცეს  
მასში შემავალი ყველა კომპონენტით. ქეშმა-  
რიტი ჰერტა ყოველთვის როდია შესაძლე-  
ბელი, ანუ პოეტის სულიერი გახსნის და უმაღ-  
ლესთან ზიარების უამი მკაცრად განსაზღვრუ-  
ლია.

შუა საუკუნეების აზროვნებაში დროის საკ-  
რალურობის მაჩვენებელ საპირისპირო ციკლს  
ვხვდებით. დანტესთვის ღამე ჭოჭობეთური,

ბორცობის ნიშნით ხასიათდება, ხოლო დღეს, განსაკუთრებით კი შუაღამს, პოზიტიური შინაარსი აქვს.

„ქეიზარი“ ა. ჰაშიმის შემოქმედებაში ხშირად გამოხასხულებს ობიექტი კი არ არის, არამედ მოქმედი სუბიექტი, მთავარი გმირი და მოვლენათა მამოძრავებელი. ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება ეტევა დროის გარკვეულ შუალედში, სივრცის მცირე ნაწილში, რომელსაც გააჩნია მგრძობა და ცნობიერება. სივრცული მოდელის გაფართოების ფუნქციონირებას სისტემასაც ეიხსრება. მეტაფორა ა. ჰაშიმის პოეტიაში, პირველ რიგში, დამაკავშირებელი როლს თამაშობს. იგი წამიერად აქცევს სინამდვილის დანაწევრებულ ელემენტებს ერთ მთლიანობაში და ამით თითქოს განასახიერებს საშუალო ერთიანობას და ადამიანის, როგორც მისი ნაწილის, თვითშემცნების გზებს. პოეტი ლექსში „მოსვლამდე“ ქრონოტოსს ასე წარმოაჩენს:

ჩემი გული ტყუა,  
უსასრულო მშვიდი,  
დიდი ტყუა,  
და ჩრდილებში გამდინარე  
ფართული წყლების სიხარულს ანარეკლი,  
როდესაც ამაოდ არღვევს დუმილს,  
ვტიკრობ რომელ დღეს, რა დროს,  
და დროს  
შებეალ ამ მხიარულ გულში?

ა. ჰაშიმი ადამიანის არსებობასა და ცხოვრებას იაზრებს ბუნების მოვლენების საშუალებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ არის პიეზაჟისტი. „იპონელ რემბოს“ ნაქაბარა ტუას სიტყვები ნათლად გამოხატავენ ა. ჰაშიმის პიეზაჟური ლირიკის თავისებურებებსა და მის შხატურულ პოზიციას. ტუა ამბობდა: „ღიახ, მე ბუნებას გამოვსახავ, მაგრამ ძალიან ხელმოვნურად. ჩემთვის სუბიექტური სათავე უველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ აქედან ჩნდება სიმბოლური სახე. ეს სინამდვილის ასლი კი არ არის, არამედ სიმღერა“.

შხატურული სახის პოეტია ა. ჰაშიმის ლექსის კონსტრუქციაში უმარავლეს შემთხვევაში დეკავშირებულია ბუნების შინაგანი არსის გააზრებასთან და აქედან გამომდინარე უკვე ადამიანთან, როგორც მის ერთადერთ შემეცნებელთან და მკვრივტელთან:

მოხვედი.  
ერთ დღეს  
სალამოს წყნარ  
იმ დაუსრულებელი სხივის ზღვებში  
ჩაძირული ხეები,  
როდესაც დუმილისა და მწუხარების  
საღვთოს  
წარმოადგენდნენ,  
შენ მოხვედი გულის ნაღველის  
დასაამებლად...

ეკ, ახალგაზრდობის თავებდროო რეკონსტრუქციაში იმ სველიანი საღამოს ამინდის მსგავსად შენი მოსვლა ამღვრეული სიმშვიდე იყო.

წელიწადის ყველა დროს მიუძღვნა პოეტმა ლექსები. „ტბაზე გატარებული საათები“ ცკალინსაგან განსხვავებით „თავისუფალი მუსთაჟის“ ლექსებში ქრონოტოპი ბევრად უფრო რეალისტური ფორმით წარმოგვედგება. აქ აღარ გვხვდება ცისფერი ნაპირები, დამდგარი წყლები და ფანტასტიკური ელფების მკონე შავი ჩიტები. ლანდშაფტი უჩვეულობას მოკლებულია, თუმცა კვლავ სუბიექტურ პრეზმში იკვეთება. წინა პლანზე გამოდის პოეტური გმირი, მისი სწრაფვა, სევა და ნაღველი. წელიწადის ერთადერთი დრო — გაზაფხული სახავს პოეტს მერმისის ნათელ სურათს. ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი მას კვლავ სასოწარკვეთაში და უიმედობაში აგდებს. ლექსში „ზამთარი“ წამით გაიღვივებენ პოეტის მხატვრული ხედვის გამოხსახველი კომპონენტები: დრო, როგორც საღამო, ხოლო სივრცე, როგორც გზები, პოროზონტი და ველები, მასზე მოხეტიალე უსახლკარო ჩიტები.

ავგუსტინი ამბობდა: მიმდინარე დროის ხანგრძლივობის განსჯის უნარი ადამიანის სულს აქვს მინიჭებული. მხოლოდ სულში ხორციელდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის აღქმა. წარსულის შესამეცნებლად გვაქვს მენსიერება, აწმყო იაზრება კვრეტის საშუალებით, ხოლო მომავლისათვის არსებობს იმედი და მოლოდინი. ამ იდეის ნათელ გამოხატულებას ვკოულობთ ა. ჰაშიმის შემოქმედებაში. პოეტის შეფასების ათვლის კრიტერიუმი იწყება მისი სულიერი მდგომარეობიდან.

სიმბოლისტიკის წინაშე განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ გამოიხასხა სიმბოლური მსგავსების, თანხმობების, ზოგჯერ ერთიანობის შესაძლებლობანი. ა. ჰაშიმი ასე წარმოაჩენს ამ იდეას ლექსში „ზაფხული“: ორი ადამიანი ერთმანეთს უკავშირდება სიყვარულით, მაგრამ მათ ერთობას საბოლოო ჯამში სიკვდილი მოაქვს. პოეტს ავადმყოფი ქალიშვილი, რომელსაც „გაზაფხულს“ უწოდებს, სიკვდილის სიმბოლოდ მკავს დანახული. ავადმყოფისა და ქანმრთელის, გაზაფხულისა და უძლეულების, სიკვდილისა და სიკოცხლის დაპირისპირებით იხსენება ცნებების აზრობრივი განსხვავება და იხინი ერთ ხემანტიკურ რეალში ექცევიან. ამდენად, სიყვარული ბედისწერის ფაქტორად გვევლინება.

სიყვარულის უნარი, პოეტის გაგებით, მხოლოდ სულს, მის ტრანსცენდენტურ „მე“-ს აქვს ბოძებული. ამიტომ შეყვარებული მამაკაცი სასიკვდილო სენს „სულიერი კავშირის“ გზით იძენს. ბედისწერის ფაქტორი — სიყვარული აერთიანებს შეყვარებულებს და სასიკვდილოდ

შერაცხავს მათ. პოეტი ამ აზრს ახე გადმოგ-  
ვეცემს:

ზღვა  
ოქროსფერ ნატიფ ქეიშაზე გაღადის  
და მთლიანად მწუხარებისა და დაშვების  
ხედვით არის  
მხოლოდ.

ამაღლებული საღამოს ფერის ქვეშ  
უძლური მკენსარე ავადმყოფი  
ქალიშვილი ახველებს...

ამ გაზაფხულის მკლავეებში მამაკაცში,  
გადაამებ წუხილში, სულიერი გადაღვრა  
ხდება.

კენისის უსიტყვოდ.  
შემდეგ... დაღდგარ წყალში მოზანაის  
ჩრდილი,

ტბაზე სხივის დამამტრეველი  
დიდი ღრმა ავარული გამოხედვის ცისფერი  
ვარსკვლავი.

შეუვარებულთა ბედი კომიურმა რეალობამ  
განსაზღვრა. „დიდი ღრმა ავარული გაზოხედვის  
ვარსკვლავი“ ამ შემთხვევაში ბედისწერის ის  
უზენაესი ძალაა, რომელმაც ეს მისტიკური  
აქტი განამტკიცა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს,  
რომ სიმბოლიტიკების, ისევე როგორც შუა სა-  
უკუნეების მისტიკოსების გაგებით, ლეოპოლდო  
ძალა მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში.  
ახე, მაგ., რემბო ამბობდა: „ჩვენ ვცდებით, რო-  
დესაც ვამბობთ, „ჩვენ ვფიქრობთ“; უნდა ით-  
ქვას: „ჩვენ გვფიქრობენ...“ „მე ვილაც სხვა  
ვარ“. მაღარმე იტყოდა: „ჩვენ გვფიქრობს“  
უმიღლებს ძალა. მე სტეფანი არა ვარ, გარკვე-  
ული მდგომარეობა (ვარ — ე. წ.), რომელ-  
შიც სულიერი სამყარო გამოვლინდება“. და-  
ვუბრუნდეთ იხეგ ლექსს „ზაფხული“, აქ  
კვლავ მარტივებულია შემდეგი ლექსიკური  
ერთეულები: ზღვა და საღამო, რომლებიც ბე-  
დისწერის ავარულ ვარსკვლავს უკავშირდებიან.  
ზღვა, ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ახე ით-  
ქვას, სამყაროს ფიზიკურ ასპექტს ასახიერებს  
და შეუვარებულებს იმდენად უკავშირდება,  
რამდენადაც მითივლს ამზადებს მოსალოდ-  
ნელი უბედურების აღსაქმელად. საღამო კი  
კომიური ძალების მეუფებას გვაძენის. ამ  
ლექსში პოეტი პირველად განმარტავს საღამოს,  
როგორც ამაღლებულს და ფერთ განსაკუთრე-  
ბულს. „ამაღლებული საღამო“, როგორც წყალ-  
გამყოფი ქედი, ისე აცალკევებს „მწუხარე  
ზღვას“ შეუვარებულთაგან. ამ კონტრასტით ნათ-  
ლად იკეთება შემდეგი ბინარული წყვილები:  
ზღვა და შეუვარებულები და საღამო და ვარ-  
სკვლავი. როგორც ვხედავთ, პირველი ბინარუ-  
ლი წყვილი უბედურების მაცნაა და შესაბამისი  
ემოციით ტვირთავს მითივლს, მეორე —  
თითქოს ეწინააღმდეგება პირველი წყვილით  
აღძრულ განცდას, წყვეტს ლოგიკურ ხაზებს  
და „გაუცხოების“ ეფექტით მიგვანიშნებს ნა-

წარმოების დედაზრზე, ადამიანთა  
ფაქტორობაზე: ამ მინორული და მფორული  
პასუხების ცვალებადობა და ურთიერთმიმარ-  
თება ძალზე დინამიურს ხდის ლექსს და გან-  
საკუთრებული ძალით მოქმედებს მითივლზე  
თავისი სისხლავით, ლაკონიზმითა და შინაგანი  
დინამიით.

გვინდა ორიოდ სიტყვით კომპოზურ სამყარო-  
სა და ციურ მნათობებზე შეგჩერდეთ, რომელ-  
თაც ა. ჰაშიმი თავის შემოქმედებაში ხშირად  
ახულიერებს. მთვარე ან ვარსკვლავი წყალში  
ხანაობს, მთვარე ისვენებს, დგას და იცინის,  
ხეებს ეცემიან მთვარე და ვარსკვლავები ანდა  
მთვარე წყალს სვამს. ერთი სიტყვით, პოეტის-  
თვის პერსონაფიციტირებულია არა მარტო ჩიტე-  
ბი, არამედ მთვარეც, მზეც და ვარსკვლავებიც.  
ზემატიკრიალური სამყაროს პოეტი კვრტრის  
აუზის წყლებში, ტბის და, ზოგადად, წყლის ზე-  
დაპირზე. ზღვა, ამ თვალსაზრისით არ არის  
მარტივებული, რადგან მის ზედაპირზე უშუა-  
ლოდ არ აირელება იდეალური სამყარო, თუმ-  
ცა მასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-  
ჭება პოეტის სახისმეტყველებაში. ჩიტები,  
მთვარე, ვარსკვლავები, წყლები, ღამე პოეტის  
ინტელტური ხილვის წარმმართველი ელემენტე-  
ზია. ს. მაღარმეს მხატვრული სისტემისათვის არ  
არის უცხო საღამოს ესთეტიკა და სარკინეუ-  
ლი არტკვლის ფუნქცია. ვ. გაფრინდაშვილი  
თავის წერილში „სტეფან მაღარმე“ ახე აფა-  
ხებს მის შემოქმედებას: „დაიხი და შემოდგო-  
მა — აი, ორი მომენტი, რომელიც დიდხანს  
შეადგენდენ მაღარმეს იდეალს... მაღარმემ  
შექმნა ოთახის ესთეტიკა, რასაკვირვალა,  
ოთახის თვალსაჩინო კატეგორია არის სარკე.  
შეიძლება, მაღარმე არის პირველი პოეტი, რო-  
მელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც  
შემოქმედების საგანს, და მაღარმემ მოგვცა  
სარკის პოეზია. სარკე ზომ უდიდესი სიმბოლოა  
ჩვენი ყოფისა. მაღარმე აზროვნებს სიმბოლო-  
ებით, რომელნიც, როგორც გრძნეული სარკეე-  
ბი, იძლევიან სინამდვილის უამრავ სახეს.  
როგორც ვხედავთ, ა. ჰაშიმის მხატვრული კონ-  
ცეფციის გამომხატველი სახე-სიმბოლოებია  
ზოგადად სიმბოლოზმის ესთეტიკაში თავსდება.  
თავად პოეტი თვლიდა, რომ „პოეზია არ იხადე-  
ბა ყოველდღიური ცხოვრებიდან, არც ადამი-  
ანის შემოქმედებიდან და მიწვნებისგან, არამედ  
აზრისთვის შეუცნობელი სათავიდან, დამეში  
დაფარული წყაროდან, სრული იდუმალბი-  
დან“. „ლექსი, რომელიც ყველას ეხმის, უნიკო  
პოეტების შექმნილია“. ა. ჰაშიმის გაგებით,  
პოეზია ღვთაებრივი საწყისიდან მომდინარეობს,  
რომლის შეცნობა გონებას არ ძალუძს. პოე-  
ზია მაშინ იქმნება, როდესაც შემოქმედი გონე-  
ბისგან შეგნებულად დაცილილი და განთავისუფ-  
ლებულია. ღამის საიდუმლოებაში ჩაპირული  
პოეტი იდუმალი სამყაროს გახალბეს იძებს და



რადაც უზენაესი ძალა თუ ძალები აწერინებენ ლექსებს. როგორც ვხედავთ, ა. შაშინი სულით ზორცამედ სიმბოლისტია.

როგორც ტ. ხილმანი ფიქრობს, ლირიკული უაზრის შინაგანი დამაბულობის და წინააღმდეგობის მიზეზი ის არის, რომ სიტყვიერი მსჯელობა დროში ვითარდება. ერთი მხრივ, ლირიკოსთვის ორგანული სათქმელის მოკლედ გადმოცემა. რადგან ლირიკა მიზნად ისახავს „მოცემული“ მდგომარეობის შენარჩუნებას, ამის გამო ტექსტი მიუღებელიც და გაუგებარიც შეიძლება იყოს, რაც ხშირად ეფუძნება კავშირების ხილულ „ალოგიკურობას“ და მოთხოვნას: გასაგებია „მხოლოდ საკუთარი თავისთვის“ (იგულისხმება ლირიკული „მე“ და საბოლოოდ პოეტი). მეორე მხრივ, ლირიკოსთვის ორგანული აღწერითი ხასიათის მსჯელობისკენ ნისწრაფება, აგრეთვე, კომუნიკაციური გაფორმების ძიება და „უველასათვის“ მხატვრული გამოვლენის საკითრებაც. ლირიკის არსი სიმბოლიზში სრულად არ არის გამოვლენილი. ნაწარმოების მხატვრული და ესთეტიკური ღირებულების გაზრდა, სახეების ახლებური წარმოჩენა მოითხოვს სიტყვის, როგორც ცოცხალი ხატის გამოძერწვას, სემანტიკურად მრავალფეროვანი სიმბოლოს შექმნას, რასაც სიმბოლიზში უპირატესი მნიშვნელობა ეძლევა. ალოგიკური კავშირებით მიღებულ სახეს თავისი კოდირებული შინაარსი ენიჭება, პოეტის მხატვრულ ლოგიკას ექვემდებარება და მის სათქმელს ნათელყოფს. სიმბოლისტიკის აზრით, მხოლოდ რჩეული შესწევთ უნარი სიმბოლისტიკური ლოგიკის გაგების, მათ, ვისაც ენით „შესახამისობის“ ცნება (ბოდლერი) და მათ, ვისაც შეგნებული აქვთ ის, რომ გასაგებად მხოლოდ ეურნალისტებმა უნდა წერონ, ხოლო პოეტმა თავისი შემოქმედება ლიტურგიად უნდა აქციოს (მაღარმე). მუსიკა პოეზიის მხატვრული არსის ვიწრო შინაარსობრივ ჩარჩოებს აფართოებს და იგი ზოგად აბსტრაქტულ სიბრტყეზე გადააქვს. როგორც მუსიკაა ზოგადი თავის არსში, ასევე სიმბოლისტიკა ნაწარმოებში არ უნდა იკითხებოდეს კონკრეტული შინაარსი. ამიტომაც აცხადებდა ვერლენი: „მუსიკა-ღობა უპირველეს ყოვლისა“, ამ მიზანს ისახავდა ყველა სიმბოლისტი. ა. შაშინი თვლიდა, რომ „ლექსი არ არის კეშმარტების მაცნე. ლექსის ენა კი არ უნდა გაიგოს, არამედ უნდა იგრძნოს. ეს არის ენა — შუამავალი მუსიკასა და სიტყვას შორის, სიტყვაზე უფრო მუსიკასთან ახლოს მდგომარე... ლექსში პირველ რიგში ღირებულება არა ცალკეული სიტყვების შინაარსი, არამედ მათი ურთიერთკავშირით მიღებუ-

ლი განცდა. ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვაგვარი განლაგება გვაძლევს სხვადასხვაგვარ მელოდიას და მთავარიც წაორედ ეს არის“. მაგრამ ბეგრა არა მარტო უღერადია სიმბოლისტიკოსის, არამედ ფერის შთაბეჭდილებასაც მხადებს მისში. რემბოს ცნობილ სონეტ „ზმოვნებთან“ დაკავშირებით ვერლენს უთქვამს: „ფიქრობ, რომ მას სულ არ ენაღვლებოდა „ა“ წითელი იყო თუ მწვანე, ასე წარმოუდგა, მორჩა და გათავდა“. რემბოს სონეტის გავლენით 1888 წელს ოქსფორდის 228 სტუდენტი აფართოებდა ბეგრათა სემანტიკას. სამწუხაროდ ის, რაც ექსპროზულ ხასიათს ატარებდა რემბოსთვის, ფორმალისტური ძიებების საფუძვლად იქცა. სიმბოლიზში ითვალისწინებს კომპოზიციური სისტემის დაქუცმაცებას, ლოგიკური კავშირების დარღვევას, მხატვრული ტექსტის უჩვეულო სინტაქსურ გაფორმებას. ა. შაშინი არ უნდა წერდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლექსის სქემა ყოველთვის მუარია. ძირითადი დატვირთვა ტროპულ სისტემას ეკისრება. პოეტის ტროპული აზროვნების შემოქმედებითი ინტერპრეტაცია ზღვარდაუდებელია, მწერლის ინტუიტიური ხედვა ესთეტიკური იდეალის მხატვრულ გადმოცემას ემსახურება. უჩვეულო ასოციაციური ხილვებით ნაყარნახევი სახეები დამატყვევებელი და მიმზიდველია. ა. შაშინი თვლიდა, რომ პოეტის შინაგანი თავისუფლება მოითხოვს ხელოვანისგან, უარყოს სოციალური პრობლემეტიკის განსჯა. პოეზიაში იგი განდევნილი იყო, პროლაზი — ქეშმარტი მოქალაქე.

სამყაროსა და ადამიანის მიხტივიტირებულ გააზრებას ზოგი სიმბოლისტი მკრეხელობამდეც მიუყვანია. ასე მაგალითად, ვერლენი და რემბო სრული სერიოზულობით კითხულობენ: პოეტი ღმერთია, თუ „მხოლოდ“ წინასწარმეტყველი. სამწუხაროდ, ილუზია რეალობას ვერ შეცვლის. ფიზიკურ სამყაროზე ამღლებული ბევრი სიმბოლისტი ძირს დანარცხებული და გულგატეხილი აღმოჩნდა, (ეს პირველ რიგში რემბოსა და ვერლენზე უნდა ითქვას). ა. შაშინს სიკვდილის წინ უკითხავს: „სიცოცხლე სიკვდილისთვის, სიკვდილი რაღასთვის“.

ა. შაშინის პოეზიაში იგრძნობა ღრმა სულიერი ტკივილი, წრფელი, მაგრამ უძალიო პროტესტი კაცისა, რომელიც ვერ ეგუება მის ირგვლივ გამეფებულ „სიციარიტეს“. თანამედროვე მკითხველი ა. შაშინის ლირიკას აღიქვამს არა მარტო XX საუკუნის დასაწყისის პოეტური კულტურის მნიშვნელოვან მწყვლედ, არამედ „ღამის ქადონობაში“ ჩაფლული მემოცნევი იდეალისტის სულიერ აღსაზრებად.



649/138.



ფან 60 კკკ.

052060 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ